

xx සාම්පූහික ජාතියා තුදුරු සෙවක මණ්ඩල ආචාර්ය මධ්‍යම

චාන්ද්‍ර එස්ට්‍රොපිට්

1998



XX საეკენის ეართადი ფილოსოფიის ანთოლოგია

I ტ.

I ნაკვეთი



თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემის
თავისუფალი 1998

87 (2Γ)
1 (479, 22)
2 567

ଏନାମାଲାଗ୍ରହିଣୀରେ ପ୍ରାଚୀମନ୍ଦଗ୍ରହନିଲାଙ୍କ ମେଳପ୍ରା ଶାଖ୍ୟରେ କ୍ଷାରତ୍ୱସ୍ଵରୂପ ଉଠିଲା-
ନେଟ୍ରୋସ୍କ୍ରେପ୍ଟରେ ନାମିର୍ରେଗ୍ରେସନ୍ ପାଇଁ ପ୍ରକାଶିତ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

ଫିଲ୍‌ଡିପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

ଫିଲ୍‌ଡିପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

ଶାରୀରିକତାକୁଳିକାରୀ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

ଶୈଖିତାକୁଳିକାରୀ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

। ଫିଲ୍‌ଡିପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

ରୂପାନ୍ଧିକାରୀ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ


ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

© ଅନାମାଲାଗ୍ରହିଣୀରେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

0301020000

2 _____

608 (06)-98



ISBN 99928-56-27-0

ფინანსით აზროვნების ერთ-ერთი თავისებურება მრავალ

ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი თავისებურება მრავალ მიმართულებათა, ნაკადთა თანაარსებობა და ურთიერთბრძოლა. ფილოსოფია თავისი ბუნებით, თითქოსდა, პლურალისტურია, რადგან პრობლემატიკა, რომელსაც იყი იხილავს, შეიძლება მრავალი განსხვავებული განზომილებით წყდებოდეს და ყოველი მათგანი არსებობდეს სხვების კვერდით. მე-20 საუკუნის ფილოსოფია, ისე როგორც ძველი ბერძნულიც, სწორედ ამ ნიშნით ხასიათდება. ჩვენი საუკუნე მრავალ ფილოსოფიურ სისტემათა ურთიერთბრძოლის, განსხვავებული პრობლემატიკისა და ზოგჯერ ერთი და იმავე პრობლემების მრავალსახოვანი გადაჭრის სიმღიდრეს წარმოაჩენს. მთელი ფილოსოფიის ისტორია არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკისა და შეტაფიზიკის, რაციონალიზმისა და ემპირიზმის, დეტერმინიზმის, ინდეტერმინიზმისა და სხვა მრავალ „იზმთა“ დაპირისპირების არენა, სადაც თითოეული „იზმი“ თავის მხრივ მრავალ ნაკადად და განშტოებად იყოფა. არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა იმდენი განსხვავებული სისტემა თუ „იზმი“, რამდენიც მე-20 საუკუნეშია. ფილოსოფიის ამ საერთო სურათის ფონზე თავისებურად ირეკლება და წარმოჩნდება მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიაც. მის საფუძველში ძევს მატერიალისტურ და იდეალისტურ, დიალექტიკურ და შეტაფიზიკურ, რაციონალისტურ და ირაციონალისტურ სისტემათა მრავალფეროვნება. შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის ფილოსოფიაში არაა პრობლემა, რომელიც თავისებურად არ იყოს დასმული და გააზრებული ქართულ აზროვნებაში და არაა მიმართულება, რომელიც ქართულ აზროვნებას გამოხმაურების გარეშე დარჩინდა. თუ საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ღირებულებაზე ვიმსჯელებთ, ის უნდა შევაფასოთ და გავზომოთ არა იმ მასშტაბით, თუ რა ახალი, მსოფლიო აზრის განვითარებისაგან განსხვავებული, სისტემა შექმნა.

მან, — ასეთი სისტემა არ შეუქმნია არა მარტო საქართველოს, არამედ ფილოსოფიური აზროვნებით ცნობილ ისეთ კვეყნებსაც უდიროვორიცაა: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და ესპანეთი, — არამედ იმის მიხედვით, იდგა თუ არა ის ეპოქის ფილოსოფიური აზროვნების დონეზე, იყო თუ არა მასში გაცნობიერებული ევროპული ფილოსოფიური აზროვნების პრობლემატიკა და შეძლო თუ არა არეალი მთელი იმ მრავალსახოვანი სისტემებისა, რომელიც ასე უხვადაა წარმოდგენილი მე-20 საუკუნის მსოფლიო ფილოსოფიურ აზროვნებაში. ჩვენი თეალსაზრისით, ქართული ფილოსოფია იდგა თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების დონეზე და განიხილავდა ევროპული ფილოსოფიისათვის ნიშანდობლივ, ყველა აქტუალურ პრობლემას — იმ საკითხებს, რომელიც საუკუნის დასაწყისის აზროვნებისთვის არსებითს წარმოადგენდნენ და ქმნიდნენ მრავალუროვან ფილოსოფიურ მიმდინარეობათა სიმდიდრეს. სწორედ ეს ვითარება გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ მე-20 საუკუნის ქართული აზროვნება მნიშვნელოვანი რგოლია მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების ჯაჭვში. მაგრამ არა იმით, რომ ქართული აზროვნება ევროპულზე მაღლა დგას, როგორც ზოგიერთს წარმოუსახავს, არამედ იმით, რომ ქართული აზროვნება ევროპული და მსოფლიო აზროვნების ღონეზეა. ეს სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველ ერს აქვს ფილოსოფიური აზრის ისტორია და მასზე არ ვრცელდება პეგელის გამოთქმა: უბედურია ერი, რომელსაც საკუთარი ფილოსოფიური აზროვნება არ გააჩნია; პროფ. ს. დანელიას გამოთქმაც — „კაცი მონაა, თუ მას საკუთარი აზრი არა აქვს“ — შეიძლება გამოვიყენოთ ერის მიმართაც.

მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრი მრავალმხრივ საყურადღებოა მკელევართათვის. ქართული აზროვნების ისტორიაში მანამდე არ ყოფილა ასეთი ინტენსიური განვითარების ეპოქა. ჩვენი საუკუნის ქართული ფილოსოფია პრობლემატიკის მრავალუროვნებით, მათი გადაწყვეტის გზებითა და ფილოსოფოსობის ღონით უმაღლესი საფეხურია ჩვენი აზროვნების ისტორიაში და ღირსეულად დგას თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის გვერდით. ყოველივე ეს შეძლეს ცნობილმა მოაზროვნეებმა: შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, სერგი დანელიამ, კონსტანტინე კაპანელმა, კოტე ბაქრაძემ, მოსე ვოგიძერიძემ, კიტა მეგრელიძემ, სავლე წერეთელმა და სხვ. ქართველ ფილოსოფოსთა მთელი პლეადა თანამედროვე ფილოსოფი-

ის აქტუალური პრობლემატიკის ცენტრში დგას. ამას მოწმობს ის დიდი ინტერესი, რასაც მათი შრომებისადმი იჩინენ ევროპის, აზიასა და ამერიკის კონტინენტებზე. შალვა ნუცუბიძის ორი მონოგრაფია პირველად გერმანიაში გამოვიდა, მათ შესახებ პროფ. შ. ხიდაშელმა 12 რეცენზიას მიაკვლია გერმანულ პერიოდულ პრესაში; კოტე ბაქ-რაძის მრავალტომიანი თხზულებებიდან ერთი ტოში გამოვიდა ჩეხო-სლოვაკიაში, ორი მონოგრაფია ითარგმნა და გამოვიდა პოლონურ ენაზე. მარტო პოლონეთის პრესაში მიკვლეულია ამ ნაშრომებზე ხუთი მრავალგვერდიანი საექრნალო რეცენზია; მოსე გოგიძერიძის საღოქტორო დისერტაცია სოლომონ მამონის შესახებ შევიდა ფი-ლოსოფიის ისტორიის გერმანულ ცნობარებში როგორც მამონის მსოფლმხედველობის გამოკვლევის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში; დღეს თანამედროვე ქართულ ფილოსოფიურ ნაზრევს სწავლობენ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე.

შე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას ძირითადად ორი წყარო ასაზრდოებდა: ტრადიციულ-ისტორიული ქართული ფი-ლოსოფიური აზროვნება, რომელსაც ბრწყინვალე წარმომადგენლები ჰყავდა ჯერ კიდევ მე-10—12 საუკუნეებში, და თანამედროვე ევროპულ ფილოსოფია. განსაკუთრებით ძლიერი წყარო სწორედ ეს უკანასკნელია, რადგან თანამედროვე ქართული ფილოსოფია ევროპულ ფილოსოფიურ სისტემებთან კონტაქტში და მათი იდეების გაზიარებით ყალიბდებოდა. ეს ითქმის თანამედროვე ქართველ ფილოსოფოსთა არა-მარტო იმ პლეადაზე, რომელმაც გაიარა ევროპული ფილოსოფიური სკოლა და ფილოსოფიისადმი ინტერესი ევროპელ მოაზროვნეებთან დაიყმაყოფილა (კაპანელი, უზნაძე, ნუცუბიძე პეტერბურგის უნი-ვერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბაქრაძე, გოგიძერიძე, მეგრელიძე და სხვები), არამედ იმათ მიმართაც, ვისაც ფილოსოფიური განათლება და პირველი ფილოსოფიური ზიარება რუსეთში ან საქართველოში მიუღიათ (ს. დანელია, ს. წერეთელი და სხვები). თანამედროვე მსოფლიოში ევროპული ფილოსოფია ბატონობს და მისით ნასაზრდოები ქართული ფილოსოფიაც მის პრობლემებსა და ტენდენციებს გამოხატავს, — ესაა მისი ძლიერების წყარო, ვისაც ამის უარყოფა უნდა, ჰეგელის თქმით, ჰგავს ქედმაღალ და თავის თავზე დიდი წარ-მოდგენის მქონე უვიც ადამიანს, რომელიც „ადვილად მიიწერს ხოლ-

შე ახალ აღმოჩენას ავით იმას, რაც თეოთონ სხვებისაგან უსწოვდა
და ეს მით უფრო სჯერა, რამდენადაც იყო მათ აღმომჩენთ უძრძების
ან ამდაბლებს; ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იყო იმიტომ არის
მათზე გაჯავრებული, რომ თავისი შეხედულებები მათგან გაღმო-
ილი".¹

ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ ფილოსოფოსთა ნააზრევი ფილო-
სოფიური პრობლემებისადმი მიღებოს, მათი დასმის და გადაწყვეტის
გზების მხრივ განსხვავებულ სურათს გვაძლევს: ერთნი ფილოსოფიის
პრობლემატიკის დამუშავებას ახდენენ მარქსიზმის პოზიციებიდან.
მაშინდელი პოპულარიზატორობის ტენდენციების საპირისპიროდ
ცდილობენ, ღრმად შეიჭრან ფილოსოფიის თეორიულ და ისტორიულ
პრობლემატიკაში და წინ წამოწიონ ისტორიულ-თეორიული საკით-
ხების ის მომენტები, რომელიც ნაკლებად იყო გამუქებული მარქ-
სისტი ავტორების მიერ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან მოსე გოგი-
ბერიძე, კოტე ბაქრაძე, კ. მეგრელიძე, უფრო გვიან ს. წერეთელი;
მეორე ტენდენცია ასეთია — ამოსავალია ძირითადი ფილოსოფიის
ისტორიული პრობლემატიკა, კვლევა წარმოებს ისტორიულ განასერ-
ში, მაგრამ ისე, რომ ავტორის მსოფლმხედველობა მასში მაინც
იჩინს თავს. ასეთია ს. დანელიან ნააზრევი, რომელიც ტრანსცენდენ-
ტალიზმისა და ლირებულების ფილოსოფიის შუქზე იკვლევს: ანტიკუ-
რი და ახალი ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებს. ასეთივეა
უზნაძის ნააზრევი, დაწყებული მისი საღოქტოორ დისერტაციით
სოლოვიოვზე და ბერგსონისადმი მიძღვნილი შრომებით დამთავრე-
ბული; მესამენი ეძიებენ გზებს საკუთარი ფილოსოფიური სისტემის
ჩამოყალიბებისათვის. მათთვის ისტორია მხოლოდ ფონია და ძირი-
თადად კვლევის მიზნად ისახავენ ფილოსოფიის თეორიულ პრობლე-
მატიკას. ისინი არ იზღუდებიან რომელიმე ისტორიული სისტემის
ჩარჩოებით და ფილოსოფოსობას საკუთარი სისტემის შექმნის გზად
მიიჩნევენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ორი მოაზროვნე — შალვა ნუ-
ცუბიძე და კონსტანტინე კაპანელი. ერთიც და მეორეც საუკუნის დასა-
წყისში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე და პირელ ნაშრომებს
უძღვნიან ფილოსოფიის ისტორიულ პრობლემატიკას: შ. ნუცუბიძეს

¹ ვ. ვ. ვ. ა., ლოგიკის შეცნიერება, 1962, ვ. 27.

ანტერესებს ბოლცანოს გნოსეოლოგიის პრინციპები, კაპანელს — ნიცვეს სიცოცხლის ფილოსოფიის იდეები, მაგრამ როგორც ერთს, ისე მეორეს ფილოსოფიის ისტორია არ გაუხდია მიზნად, ის მათვის საუკარი თავის პოვნის საშუალება იყო. ცნობილია, რომ არავინ იწყებს აზროვნებას საუკარი კონცეფციით, არამედ სხვისი გაეცალული გზით მიღის საუკარ ნაზრევთან, მაგრამ აჩრდილი იმისა, ვინც პირველად აღძრა მასში ინტერესი პრობლემისადმი და პირველი ამო-საცალი წერტილი იყო მისთვის, მთელი შემდგომი აზროვნების პრო-ცესში გასდევს მეცნიერის ნააზრებს. გავიხსენოთ თუნდაც ჰეგელის დიალექტიისა და ფილიობახის მატერიალიზმის გაცლენა მარქსზე, წლების განმავლობაში რომ გასდევდა მის ნააზრებს. ანალოგიური კოთარებაა ქართველ მოაზროვნებოანაც და სწორედ ასეთი გახლ-დათ ამ ორი მოაზროვნის გზაც, — ნუცუბიძემ და კაპანელმაც საკუ-თარი სისტემის საქმაოდ მკაფიო კონტურები მოხაზეს, რომელშიც ადგილად გამოიცნობა, რით დაიწყებს აზროვნება და ვინ იყო მათი სულიერი მოძღვარი — ეს ეხება როგორც პრობლემატიის დაყენე-ბას, ისე მისი გადაჭრის გზების ძიებასაც. ბოლცანოს გნოსეოლოგი-ურმა პრინციპებმა და თავისთავადი ჰეშმარიტების ცნებამ განსა-ზღვრა ნუცუბიძის ალეთოლოგიის ჩამოყალიბება, ისე როგორც ნიც-ვეს სიცოცხლის ფილოსოფიის იდეებმა და კულტურაზე ორიენტირე-ბამ განსაზღვრა კაპანელის ორგანოტრონიშმი.

საერთოდ, არა მარტო ქართული, არამედ თანამედროვე შსოფლიო ფილოსოფიური აზრის განვითარება გვიჩვენებს, რომ მისი წყარო ეერთობული ფილოსოფია, რადგან მსოფლიოში არსებული ყველა ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა ეერთობული წარმოშობისაა. თავის მხრივ, ევროპის ფილოსოფია განსაზღვრულია გერმანული ფილოსოფიით, ეინაიდან ყველა ძირითადი მიმდინარეობა გერმანიაში იღებს სათავეს. გერმანული ფილოსოფია კი განსაზღვრულია გერმა-ნული კლასიკური ფილოსოფიით, რომლის სათავეში დგას კანტი. ამიტომ სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. ს. დანელია: „კანტის ფილოსოფია შეიძლება შევადაროთ დიდ აუზს, რომელშიც შემოდიან მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიის ნაკადები და, რომ-ლიდანაც გამოდიან მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიის კეცებერთელა შედინარები, მათ შორის — მარქსიზმიც. კანტის ფილოსოფია არის

დიდი და დახლართული კვანძი, საღაც ერთმანეთშეა გადაბმული მოული საკუცობრით აზროვნება კანტამდე და კანტის შემდეგ”¹.

როგორც აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზრის ძირითადი ნიშანია თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის ნიადაგზე დგომა. ამიტომ საჭიროა მოკლედ მაინც სქემატურად მოიხატოს, რა ძირითადი ტენდენციებია მეოცე საუკუნის ევროპის ფილოსოფიის აზროვნებაში და ამ კუთხით განვიხილოთ ქართული ნააზრები.

თანამედროვე ევროპული ფილოსოფია ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდება. ერთი მხრივ, მისი მთავარი ობიექტია სიცოცხლე, ადამიანი, მისი ყოფიერება და საზრისი, ისე როგორც საერთოდ ყოფიერება.

ამ ტენდენციას ავითარებენ და ფილოსოფიას ამ მიმართულებით წარმართავენ: სიცოცხლის ფილოსოფია, მისგან გამომდინარე ექსისტენციალიზმი, პერსონალიზმი, ონტოლოგიის სხვადასხვა სკოლა, უენომენოლოგიური ნაკადით, და რელიგიური ფილოსოფიის წარმომადგენლები. ამ მიმართულებათათვეს დამახასიათებელია კელევის ცენტრში ონტოლოგიური პრობლემატიკის დასმა; მეორე ძირითადი ტენდენცია მომდინარეობს ნეკანტიანელობისა და პოზიტივიზმის მიერ დამკვიდრებული პრინციპებიდან. მასში კვლევითი დირებულების მქონედ ცხადდება შემეცნება, ჰეშმარიტება, მეცნიერება. იგი ფილოსოფიაში გნოსეოლოგიური ნაკადის გამომხატველია. ონტოლოგია და გნოსეოლოგია — ესაა ორი ძირითადი ტენდენცია, რომლებიც ისახებიან თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში, მაგრამ ისინი არ ამოწურავენ ამ ფილოსოფიის ძირითად ტენდენციებს. თანამედროვე ევროპული ფილოსოფია არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის, გნოსეოლოგიზმისა და ონტოლოგიზმის დაპირისპირებათა არენა, გარდა ამისა, მასში სხვა წინააღმდეგობრივი ნაკადებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ერთ-ერთი მათგანია რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის დაპირისპირება, კონებისა და ანტივინების, დისკურსიული და ინტუიციური აზროვნების, ლოგიკისა და ალოგიზმის ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციათა არსებობა. შეუძლებელია რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობის გააზრება და-

¹ ს. დანელია, კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოდევაწეობა, თბ., 1977, გვ. 30.

სახელებულ საპირისპირო ტენდენციებში მისი ადგილის მონახვის გარეშე. რადგან მათ მიღმა ან მათზე მაღლა მდგომი ფილოსოფიური სისტემა თანამდროვე ევროპულ აზროვნებაში არ არის და ორც შეიძლება იყოს. სიცოცხლის ფილოსოფიისა და ექსისტენციალიზმის ალგორიზმი, ირაციონალიზმი და ინტუიტივიზმი თავინთ საპირისპირო ტენდენციას ეჯახება პოზიტივიზმისა და მასთან ახლო მდგომ მიმართულებათა — ემპირიზმის, ლოგიკიზმისა და რაციონალიზმის სახით. ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ლოგიკისადმი უსაშლერო რწმენა, ყველა პრობლემის მათი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობის მტკიცება, მოკლედ სციენტიზმი და ოპტიმიზმი სამყაროსა და ადამიანური არსებობის მიმართ, აგებული მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლაზე; მეორე მხრივ, მეცნიერებისა და ლოგიკის შეზღუდულობის მტკიცება, ძირეული ადამიანური და სოციალური პრობლემების მათი გზით გადაწყვეტის შეუძლებლად გამოცხადება, შემი მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის წინაშე, მათ ჩრდილოვან მხარეთა გამო, პესიმიზმი ადამიანური და სოციალური სამყაროს მიმართ — ასეთია ორი საპირისპირო ნაკადი ევროპულ აზროვნებაში.

ანალოგიურია საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზროვნებაც — მეცნიერების თეორიის, შემცნების პრობლემატიკისა და ლოგიკის პრინციპების კვლევისადმი სწრაფვა განსაუთრებით მძღავრ ნაკადა წარმოჩინდა პროფ. შ. ნუცუბიძის მოღვაწეობის დასაწყისშივე. ალეთოლოგიური რეალიზმის პრინციპების პირველი გადმოცემა, ფილოსოფიური სემინარის ჩამოყალიბება, სადაც განმსაზღვრელი გნოსეოლოგიური პრობლემატიკაა, წარმოადგენს იმ მძღავრ ბიძგს, რომელმაც გააძალებული გახადა შემცნების თეორიული ნაკადი ქართულ აზროვნებაში. შემთხვევითი არ იყო, რომ დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიძერიძე ოციანი წლების დასაწყისში აქტიურად ჩაეპნენ გნოსეოლოგიისა და ლოგიკის პრობლემატიკის დამუშავებაში. საქართვისა ალენიშვილთ უზნაძის შრომა „ლიბნიცის“ „petites perzeption“-ზე და „იმპერსონალიებზე“, ს. დანელიას პოლემიკური წერილი უზნაძის წინააღმდეგ დაიბნიცის საკითხზე და „ჭეშმარიტების გვარი“; კოტე ბაქრაძის რეცენზია შ. ნუცუბიძის „ალეთოლოგიურ რეალიზმზე“, რომელშიც „რეალიზმის“ საპირისპირო ჭეშმარიტების თეორიაა წამოყენებული; მ. გოგიძერიძის „შემცნების აქსიომატიური დასაბამი“ და სხვ. ეს ლოგიკის

კურ-გნოსეოლოგიური ნაკადი პრობლემატიკის დაყენების შერჩევა
იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან შეძლო ქართული ფილოსო-
ფიური აზრის განსაზღვრა მოელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მეორე ნაკადი დაკავშირე-
ბულია კ. კაპანელის, დ. უზნაძის და ნაწილობრივ ს. დანელიას სა-
ხელთან. უზნაძის ინტერესი აღამიანისა და აღამიანური ყოფიერების
საზრისის პრობლემებისადმი გამოვლინდა ჯერ კიდევ მის სადოქტო-
რო დისერტაციაში, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ სოლოვიოვის
ფილოსოფიას. ბუნებრივია, უზნაძისთვის სოლოვიოვის მსოფლმხედ-
ვლობა სინტერესო იყო არა მისი რელიგიურობის, არამედ ანთროპო-
ლოგიურობის გამო. საქართველოში უზნაძის მიერ გამოკვეყნებული
ერთ-ერთი პირველი შრომაც „ფილოსოფიური საუბრების“ რუბრიკით
ეძღვნება აღამიანის პრობლემას. ესაა წერილი სათაურით — „სიკ-
ლილი“ (გაზეთი „კოლხიდა“, 1911, №4). ასეთივე „ცხოვრების
საზრისი“ და „ომის ფილოსოფია“. ანალოგიური მიმართულებისაა
მისი ნაშრომი „ორგანული მსოფლმხედველობა“ („პრომეთ“, 1918,
№ 3), შემდგომში კი, „სიცოცხლის ფილოსოფიის“ თვალსაჩინო წარ-
მომადგენლის ანრი ბერგსონის მსოფლმხედველობის საუკეთესო ვალ-
მოცემა და ბერგსონისეული პრობლემატიკის განხილვა შრომებში —
„ანრი ბერგსონი“ და „ბერგსონის მონიზმი“ — უდავოდ ადასტურებს
უზნაძის ცხოველ ინტერესს აღამიანური ყოფიერების პრობლემატიკი-
სადმი. სავარაუდოა, რომ ამ მიმართულებით მუშაობდა უზნაძის მი-
ერ დაარსებული ფილოსოფიური სემინარიც, რომლის შესახებ არსე-
ბობს პროფ. კ. ბაქრაძის მოვონება. — ის აღნიშვნას, რომ სემინარზე
პლატონის ფილოსოფიის პრობლემატიკა განიხილებოდა და სემინა-
რი მეტად ნაყოფიერი იყო¹. შემდგომში დ. უზნაძე ორიგინალურ
ფილოლოგიურ თეორიას ქმნის და ამდენად, ფილოსოფიის ზოგადი
საკითხების მიმართ მისმა ინტერესში უკანა პლანზე გადაიწია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მიმართულებით აზროვნების განვითა-
რებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ს. დანელიასაც. ამის საფუძ-
ველია მისი შრომები ანტიკურ ფილოსოფიაზე. ანტიკური ფილოსო-
ფიის პერიოდიზაცია ორ ეტაპად: კოსმოლოგიურად და ანთროპო-

¹ კ. ბაქრაძე, ფილოსოფიური აზრი საქართველოში, თბილისი, 1968, გვ. 6.

ლოგიურად და საკუთარი ინტერესებისა და ორიენტირების წარმართვა, უმთავრესად, ანთროპოლოგიური პერიოდისა და პრობლემების საკუთარებისად.

საბოლოოდ ამ მიმართულებით კვლევის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის კ. კაპანელსაც, რადგან იყო იყო მოაზროვნე, რომელმაც ადამიანური ყოფიერებისა და კულტურის პრობლემატიკაზე თრიენტირებული ფილოსოფიური მიმდინარეობის შექმნა სცადა საქართველოში.

თრი ტენდენცია მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ აზროვნებაში — გნოსეოლოგია-ლოგიკისა და ადამიანისა და კულტურის კვლევის მიმართულება — ფაქტობრივად წარმოდგენილია ორი ფილოსოფის მსოფლმხედველობით — შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური რეალიზმით და კ. კაპანელის ორგანოტროპიზმით. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათ მიერ საკითხის გადაწყვეტა, თვით საკითხის დაყენება და ქართული აზროვნების ამ ორი საპირისპირი მიმართულებით განვითარება უდავოდ დამსახურებაა. საკითხის დაყენებას რომ ვაცხადებთ მათ დამსახურებად და არა მის გადაჭრას, ეს არა იმიტომ, რომ საკითხის მათეული გადაჭრა ჩამორჩებოდა ამ საკითხის გადაჭრას ევროპულ ფილოსოფიაში. „ალეთოლოგიურ რეალიზმის“ და „ორგანოტროპიზმში“ დაყენებული პრობლემატიკა აქტუალურია ყველა ფილოსოფიური სისტემისათვის. ამიტომაა მნიშვნელოვანი იმის გარკვევა, რა ფილოსოფიური დონე იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და რამდენად ნაყოფიერი იყო მაშინ პრობლემების დასმა თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართული ფილოსოფიის ანთოლოგიის ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მასში მხოლოდ ის ფილოსოფოსებია წარმოდგენილი, რომელიც უკვე არ არიან ცოცხალთა შორის, ანთოლოგია კი თანამედროვე ფილოსოფიისაა. იგი წასულთა თავისებური მოსაგონარია, ამით ანთოლოგია გარკვეულად სიკედილზე მიგვანიშნებს, მაგრამ ამავე დროს ანთოლოგია არის ძეგლი, რომელშიც მკედრები ცოცხალი რჩებან და რომელსაც ისინი უკვდავებაში გადაყავს. ანთოლოგია სწორედ სიცოცხლის ძეგლია, მასში მარად ცოცხალი

თუ დაიმკუიდრებს ადგილს. ამ შოსაზრებას კარგად გამოხატავს პოე-
ტი ვალერიან გაფრინდაშვილი ლექსში:

იავახის მიერ
მის მიერ მის მიერ

„წარწერა ანთოლოგიის წიგნზე“:

ანთოლოგია თავიდანევე რად შხიბლავს ასე?
იქნებ იმიტომ, რომ მავრებს ის სასაფლაოს,
სადაც კუთხეულობ წარწერების გეღსაელავ ქათს,
თარიღებით და მწევლ ცრემლებით თვითეულ ქვაზე.

ამა წიგნისა დაუვიაწყარ მშეენიერ ხშაზე,
ვით ორუეობი, ეცრედიას, — თავის ყოლაობის, —
გაცემის სსოფნის გაფილებულ ნაზ საქანაოს,
ელიზოუმის რომ აღმოვჩინდე ბინტიან ცაზე.

ანთოლოგია პანოპტიკუმის სჯობია მათიც:
თითქოს ჯავშნიან შეომართა პქრის ასპარეზი,
წევნ მასში ეხედავთ ოლიმპიურ სრბოლათა რაინდს,
რომ იტაცებდა გამარჯვებას თავის შხარეზე.
ანთოლოგია უკედავების არის თავდები
ოქრის უკრძის და ოქრის სიტყვის არგონავტებით.

ვდეარ კოდა

შალვა ხელიშვილი¹

შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წელს, 16 ივნისს, სოფ. ფარცხა-ნაყანებში (ქუთაისის გუბერნია).

იგი სწავლობდა ხონის დაწყებით (ნორმალურ სკოლაში), შემდეგ ამ სკოლის მესამე განყოფილებიდან გადავიდა ქუთაისის კლასიურ გიმნაზიაში. გიმნაზია დაამთავრა 1906 წელს. იმავე წელს გაემგზავრა პეტერბურგს. იქ შევიდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1910 წელს.

პეტერბურგში შალვა ნუცუბიძე მუშაობდა ცნობილი პროფესორების — ა. ველენსკის, ნ. ლოსკისა და ი. ლაპშინის სემინარებში; უფრო გვიან იგი უბრუნდება პეტერბურგის უნივერსიტეტს, წარმატებით აბარებს ზეპირ და წერილობით სამაგისტრო გამოცდებს ისტორიულ-ფილოლოგიური საბჭოს საჯარო სხდომაზე და 1917 წელს იწყებს საცდელი ღერეციების კითხვას პრივატ-დოცენტის უფლების მოსამავებლად.

1911—1914 წლებში შალვა ნუცუბიძე ორჯერ იყო გაგზავნილი ევროპაში, სადაც უმთავრესად მუშაობდა ლაიფციგში ცნობილი ფილოსოფოსების — უნდტის, ფოლკლტისა და ბარტის ხელმძღვანელობით. ლაიფციგში 1911 წელს იგი კითხულობს მოხსენებას ალეთოლოგის პრინციპების შესახებ.

1922 წელს იგი აქვეყნებს „ალეთოლოგიის საფუძვლების“ პირველ წიგნს.

1925 წელს შალვა ნუცუბიძე თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დადგენილებით ევროპაში მიემგზავრება სამეცნიერო მიზნით.

¹ ბოლგარიული მონაცემები აღმულია შ. ხიდაშელის წიგნიდან „შალვა ნუცუბიძე“.

მიკლინებაში ყოფნის დროს შ. ნუცუბიძე წერს ახალ გამოქველუ-
ვას სათაურით — „ჰეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“.

1927 წელს შალვა ნუცუბიძე აღდგნს ხსენებულ ნაშრომს ფილო-
სოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საპპორნო-
ხმად ანიჭებს შ. ნუცუბიძეს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო
ხარისხს.

შალვა ნუცუბიძის საღოქტორო ნაშრომის გამოქვეყნებიდან ზუთი
წლის შემდეგ დაიბეჭდა მისი მეორე ნაშრომი „ფილოსოფია და სი-
ბრძნები“ გერმანულ ენაზე. (ბერლინი, 1931 წ.).

1956 წელს (I ტ. და 1958 წელს ტ. II) გამოდის შალვა ნუცუბიძის
„ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომეული.

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე გარდაცე-
ვალა 80 წლის ასაკში 1969 წლის იანვარში.

XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში შალვა ნუცუბიძემ პირვე-
ლმა სცადა დამოუკიდებელი, ორიგინალური ფილოსოფიური სისტემის
შექმნა, რომელსაც უწოდა აღეთოლოგიური (აღეთოლოგიური)
რეალიზმი.

პირველად ფილოსოფიის ეს მიმართულება მან წარმოადგინა
ისტორიულ განასერში. პირველი შრომა მიუძღვნა ბოლცანოს თე-
ორიის დაღავებას, რაღაც თავისი ფილოსოფოსობის ძირითად ხაზს
ხედავდა ბოლცანოს მიერ დაწყებული საქმის გაერმელებაში. ბოლ-
ცანოს ფილოსოფოსობის ძირითადი ცნება — ჰეშმარიტება თავისთა-
ვად ხდება ნუცუბიძის ფილოსოფოსობის ამოსავალი, მაგრამ ნუცუბი-
ძე არ ჩერდება ბოლცანოს დანეზე, მას სურს, უფრო ღრმად გაიგონ
ჰეშმარიტება თავისთავად. მისი მიზანია ფილოსოფიის ახალი გზით
წარმართვა, ახალი მეტაფიზიკის აგება. ამ მეტაფიზიკის არსებაზე ერთი
შეხედვით გნოსეოლოგიურია, რაღაც ემყარება ჰეშმარიტებას თავის-
თავად, მაგრამ ფაქტობრივად გნოსეოლოგიის ფარგლებიდან გასვლას
მოასწავებს. თვით გნოსეოლოგიაშიც ნუცუბიძე ტრადიციულისაგან
განსხვავებული მიმართულებით მიღის. ნაცვლად შემეცნების შესაძ-
ლებლობისა და პირობების შესახებ საკითხოს დასმისა, ნუცუბიძე სა-
კითხს სვამს შემეცნების სტრუქტურის შესახებ, ამავე დროს, საკით-
ხის ამ დასმას აგებს დეკარტის მსგავსად ფილოსოფიის ამოსავალი
წერტილის ძიებაზე. შემეცნების თეორია მოძრაობდა ფსიქოლოგიზ-
მისა და ანტიფსიქოლოგიზმის განზომილებაში. ნუცუბიძე უარყოფს

ორივეს, რადგან მიაჩინია, რომ ფილოსოფია უნდა იდგეს ყოველგვარ წინააღმდეგობაზე მაღლა. ფილოსოფიის ამოცანაა საერთოდ ადამიანურული ზე მაღლა დადგომა. ეს თეორია აღეთოლოგიურია, რადგან მისი მიზანია ჰეშმარიტება თავისთავად — აღეთება, რომელიც ყოველივე ადამიანურზე მაღლა დგას. ეს აღეთება — ჰეშმარიტება თავისთავად რეალობაა, არსები არსზე მეტია. მიტომ ეს თეორია რეალიზმია. როგორც ვხედავთ, ნუცუბიძის მსოფლმხედველობა აღეთოლოგიური რეალიზმია. ნუცუბიძის ფილოსოფიას ორი შესავალი აქვს: I და II სპეციალური შესავალი. პირველი შესავლის ამოცანაა დაპირისპირებაზე მაღლა მდგომი ჰეშმარიტება თავისთავად და შემეცნების სტრუქტურა. მეორე სპეციალური შესავალი მიზნად ისახავს ადამიანური ელემენტების გაგებას, მასში განიხილება სპეციფიკურ-ადამიანურისა და სპეციალურ-ადამიანურის მიმართება, „ჰეშმარიტების პრობლემა და შემეცნების სტრუქტურა“ აღეთოლოგიის პირველი სპეციალური შესავალია. მისი ამოცანაა ორი ძირითადი ცნების — თავისთავადი ჰეშმარიტების და შემეცნების სტრუქტურის დადგენა.

ნუცუბიძის მსოფლმხედველობის ფორმირება შეწყდა ორი შესავლის გამოცემის შემდეგ. მისი თქმით, მას უნდა დაეწერა აღეთეთოლოგია, სადაც რეალიზებული იქნებოდა შესავლებში დაღვენილი პრინციპები, ამის ნაცვლად მუშაობა დაწყოო ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიაში. მან პირველმა შექმნა ქართული ფილოსოფიის ისტორია და წამოაყენა პიპოთეზები, რომლებმაც მსოფლიო გამოხმაურება პოვეს.

ხაშორიშვილი: „შეშმარიტება და უემცველის სტრუქტურა“

აღმოჩენილობის რაოდის მოგადი მონასაზი

1. ძირითადი ზარალის აღმოჩენა

უკანასკნელი თავის შედეგი იყო სრულიად დამოუკიდებელი, უთუოდ დასაშვები ფენომენი: „ჰეშმარიტება თავისთვალისწილების უნდა გვექონდეს, დაუტოვოთ აზრთა სხვადასხვაობის სფერო და დაუპირისპირებლობის სფეროს მიერახლოვდეთ. როგორც აღვნიშნეთ, ეს მოთხოვნა თან სლევდა ფილოსოფიურ აზროვნებას ანტიურიდან ჩეენ დრომდე. თუ გვსურს დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნა, უნდა ვალიაროთ, რომ ეს მხოლოდ „ჰეშმარიტების თავისთვალისწილების“ შესაძლებელი, იმიტომ რომ ის იმყოფება აზრთა სხვადასხვაობის და დაპირისპირებულობის გარეშე. ალეთეროლოგია უნდა ესწრაფოდეს სწორედ იმას, რასაც არისტოტელე „პირველ ფილოსოფიას“ უწოდებდა და რასაც არსისა და აზროვნების პრინციპები უნდა მოეცა. ჰეშმარიტების პრობლემის განხილვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ გამორიცხა თვით არისტოტელემ ჰეშმარიტება „პირველ ფილოსოფიაში“, რომლის ავტორაც ის ფიქრობდა ცნების ჰეშმარიტების გარეშე.

იმისათვის, რომ ახლოს მიეიღეთ ჩეენს პრობლემასთან, უნდა მოვახდინოთ ანალიზი ამგვარად ყოფნის ფაქტისა, რომელშიაც, ვფიქრობთ, ვიძოვით კვალს „ჰეშმარიტებისა თავისთვალისწილების უნდა დაეყრდნოს ამოსავალი წერტილის ფაქტურობას, რათა ასპარეზი არ მიეცეს არავითარ გზიდან ამცდენ და ცვალებად „თვალსაზრისებს“. მაშ, რა არის საპოვნელი? მსჯე-

ლობა მცდარია და ამავე დროს, როგორც მსჯელობის ამგვარად ყოფნის ფაქტი, ჰეშმარიტია. ამას ამბობს ძირითადი ფაქტი, რომ-ლიდანაც უნდა ამოეიდეთ ჩვენ. ამრიგად, ძალაშია ორი მომენტი: ერთი და იმავე მსჯელობის მცდარობა და ჰეშმარიტება. ხომ არ არის აქ ღოგიერი წინააღმდეგობა? ხომ არ აუქმებს ეს ე-წ-ძირითად ღოგიერ კანონებს, რამდენადაც ერთი და იმავე სუ-ბიექტს ერთსა და იმავე დროს მიეწერება კონტრადიქტორული თუ არა, ყოველ შემთხვევაში სულ ცოტა კონტრარული ნიშნები მაინც?

ეს ასეც იქნებოდა, ჩვენ რომ ღოგიერის ნიადაგზე ვიდგეთ. ნამდევილად კი საქმე სულ სხვაგვარად არის: „ჰეშმარიტი“, აქ რომ „მცდარობან“ ერთად პრედიკატად მიეწერება, არ არის ის „ჰე-შმარიტი“, რომელიც მხოლოდ „მცდარის“ საპირისპიროდ არსებობს, ასევე პირუერ, „მცდარი“ — მხოლოდ ამ „ჰეშმარიტის“ საპირისპიროდ. მხოლოდ „მცდარი“ ეუთვნის ჩვენს შემთხვევა-ში ღოგიერის სფეროს, და განსაკუთრებით კიდევ ხაზი უნდა გა-ესვას იმ გარემოებას, რომ „მცდარი“ აქ შემდგომ ნაგულისხმევ „ჰეშმარიტზე“ როდი მიუთითებს. ყველაზე თვალსაჩინო დასაბუ-რება იმისა, რომ ჩვენს შემთხვევაში ღოგიერი და ალეთეიოლო-გიური სხვადასხვა გზით მიდიან, სწორედ ისაა, რომ ა-ქ ა-რ ა-კ-ი-ა-რ ა-კ-ი.

ეს არის პირველი, რაც ჩვენ აქ თვალში გვეცემა. მავრამ იმ გარემოებას, რომ ორი დებულება, მიუხედავად მათი დაპირის-პირებული ფორმულირებისა, ერთმანეთთან ნამდვილ წინააღმდე-კობაში არ იმყოფება, უფრო ღრმა საფუძველი უნდა ქვენდეს. უწი-ნააღმდეკობრიობა ახასიათებდა სწორედ ალეთეიოლოგიურისა და ღოგიერის არსებით განსხვავებას ორივე სფეროსათვის დამახა-სიათებული არსებითი ნიშნების საფუძველზე. რომელია ეს ნიშნე-ბი? როგორ შეიძლება ჩვენს შემთხვევაში ორი დებულება სრუ-ლიად გათიშულ სფეროებს ეუთვნოდეს?

ერთი მსჯელობა ჩვენს პირველ დებულებაში ღოგიერი აზ-რით დახასიათებულია როგორც „მცდარი“ და ამ კეალიფიკაციას იღებს დაპირისპირებულობის ნიადაგზე, ამდენად იგი ამ სფერო-სადმი კუთვნილების ნიშნებს ატარებს. მეორე დაპირისპირებულო-ბის მიღმა მდებარეობს და თავის მხრივ მას მისი შესაბამისი ნი-

მნები აქვს. მაგრამ დადგინდება ეს მათში? თუ ჩვენ მხოლოდ უაქტების ჩარჩოებში დავტჩებით, მაშინ უკვე მიიღება ორივე დებულების შემდეგი არსებითი თავისებურება: პირველი დებულება ამტკიცებს საქმის გარკვეულ ვითარებას, რომელსაც იგი ჭეშმარიტად მიიჩნევს; მაშასადამე, შინა არსობლიობა შეადგენს მის დამახასიათებელ ნიშანს. არის თუ არა მეორე დებულება უშინაარსო დებულება, რომელიც ამბობს: „დამოუკიდებლად იმისა, აღნიშნული მსჯელობა სწორია თუ არა, მსჯელობის ამგვარად ყოფნის ფაქტი ჭეშმარიტი რჩება?“ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ასეა და გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, ეს ახლავე დაწერილებით უნდა გამოვიკვლიოთ. ვკაქეს თუ არა საქმე ორივე შემთხვევაში ისეთ დებულებებთან, რომლებიც გარკვეულ საქმის ვითარებას ამტკიცებენ ან უარყოფენ? სწორედ აქ გადავვეშლება ის, რის გარჩევაცა და გადმოცემაც ბოლცანოს სურდა, მაგრამ, სამწეხაროდ, ვერ მიაღწია მას. არსებობს დებულებები, რომელთაც შინაარსი აქვთ, რამდენადაც მათ განსახილველ არსთან შინაარსობლივი დამოუკიდებულება აქვთ. მათ საქმე აქვთ არსებულთან, რომლის მიმართ ისინი „საპირისპიროს“ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. აქ განხილება არა არსებული როგორც ასეთი, არამედ არსებული, რამდენადაც იგი „უპირისპირდება“. ამრიგად, დაპირისპირებულობა, რომლის შესახებაც ლაპარაკია ამ დებულებებისადმი მიშართებაში, თვით მათ მიერ როლია განპირობებული, და ის არც შეიძლება განპირობებული იყოს დებულებების მიერ, რადგან დაპირისპირებულობის ცნება ბევრად გასცდება დებულების ცნების ფარგლებს. მარტო ერთი დებულები თ არ არსებობს არავითარი დაპირისპირებულობა. მაშასადამე, მარტო დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი კი არა, როგორც ამას ლასკი ფიქრობდა, არამედ დაპირისპირებულიც დებულების ან მსჯელობის ცნების მაღლა და მის გარეშეა. თუ ვაღიარებთ, როგორც ეს ლასკს სურს, დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი ემთხვევაო კატეგორიათა სფეროს, მაშინ წამოიჭრება საკითხი: მანც საიდან წარმოდგენა დაპირისპირებული? ამით კატეგორიებიდან დედუცირებული მოძღვრება დაპირისპირებულობის მაღლა მდგომის შესახებ გადამწყვეტი კითხვის წინაშეა დაყენებული.

ამრიგად, მეორე განსხვავება ჩვენს ორ დებულებას შორის

ისა, რომ პირველი შინაარსიანია, მეორე — უშინაარსო. აქედან ცხადი ხდება შემდეგი ორი განსხვავდება: შინაარსო ბლაკი დებულება რელაციური ბუნების შეონება. ის, რაც მასში მტკიცდება, ეხება რაღაცას, რომელიღაც საქმის ვითარების გამოხატულებაა, რაღაცაზეა გიგართული, სხვა სიტყვებით, ინტენციონალური სახისაა. „ჰეშმარიტება თავისთვალი“, როგორც შინაარსცარიელი ფენომენი, არ არის რელაციური, რაც უშეალოდ გამომდინარეობს მისი უშინაარსობიდან, რის გამოც მას აკლია ყველა პირობა რელაციისათვის, მიმართებისათვის და სხვ. მისთ იგი არ არის „წმინდა“, რადგან ის „განწმინდით“ არ აითვისება, რამდენადაც ის არ აითვისება საერთოდ. ის ყოველგვარი ათვისების, გავების უწინ და მაღლა იმყოფება. ის არის წმინდა ამგვარად ყოფნის ფაქტიურობის თავდაპირველი წყარო (Ur-Sprung).

ამით შემუშავდა უკანასკნელი განსხვავება, განხორციელებისა და მდგომარეობის განსხვავება. მსჯელობა, რომელიც ჯერ კიდევ ორ შესაძლებლობას შორის მოძრაობს, მხოლოდ მიღის მისი შინაარსის საქმე; მოახერხა თუ არა მან, ყველა მოწინააღმდეგე შესაძლებლობანი გამოირიცხა და თავისთვალი უდავო პოზიციად დაემტკიცებინა. განხორციელებისადმი, რაღაც მდგომარეობისადმი მისწრაფება მსჯელობის, როგორც დაპირისპირებული ფენომენის, დამახასიათებელი ნიშანია. პირიქით, „ჰეშმარიტება თავისთვალი“ ამ გენეტური მომენტის მიღმა იმყოფება, იგი მდგომარეობას მიღწეულია, განხორციელებულია ანუ გამოხატულებაა იმისა, რომ ყველაფერი არის ისე, როგორც არის, ანუ, ამგვარად ყოფნის ფაქტიურობის მდგომარეობაა.

2. ამავარად ყოფნის ფაქტორობის მოხალეები

წმინდა ფაქტიურ ნიადაგზე ჩვენ მივიღეთ ოთხი ნიშანი, რომებიც განმეორებით მოფიქრებას საჭიროებენ იმისათვის, რომ შემდეგში შეიძლებოდეს მათი გამოყენება. შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ I ა) მსჯელობა ექვემდებარება ლოგიკის ძირითად კანონებს საერთოდ და კერძოდ წინააღმდეგობის კანონს. 1 ბ) მაგრამ ჰეშმარიტება თავისთვალი როგორც დაპირისპირებულო-

ბის მაღლა მდგომი ფენომენი, ამ კანონების გარეშე ან მაღლა დგას.
2 ა) მსჯელობა შინაარსობლივი ფენომენია, არსებული თავის თავ-
ში მიიღო და ამიტომ მას განიხილავს როგორც შინაარსს. 2 ბ) „ჰეშ-
მარიტება თავისთავად“ უშინაარსო, რადგან ის თავის თავში არა-
ფერს შეიცავს. იგი წმინდა ამგვარად ყოფნის ფაქტიურობაა და
სხვებს შორის შეიცავს აგრეთვე მსჯელობასაც როგორც ამგვარად
ყოფნის ფაქტიურობას. 3 ა) არსი დგას მსჯელობის საპირისპიროდ.
არსი მსჯელობისათვის არის მხოლოდ ის, რაც პირისპირ დგას. შეგ-
რამ არსებითი განსხვავება არსებობს საგანსა და წარმოდგენას შო-
რის, შესაბამისად საგნობრივი არსის ონტოლოგიურობასა და წარ-
მოდგენილი არსის გნოსეოლოგიურობას შორის. ყოველივე ამის თა-
ნახმად მსჯელობა ყოველ შემთხვევაში რელაციონალურია. 3 ბ) მაგ-
რამ „ჰეშმარიტება თავისთავად“, როგორც უშინაარსო, ირელაციო-
ნალურია. არაფერი დგას მის საპირისპიროდ; ამრიგად, მას არ აქვს
რა ისეთი, რაც მის პირისპირ იდგეს, უშინაარსობა და უსაგნობრი-
ობა მხარდამხარ მიღიან. 4. ა) და ბოლოს, მსჯელობა მიისწრაფვის
მტკიცე მდგომარეობისაკენ, ე. ი. შესრულების, განხორციელების
მდგომარეობაშია. 4 ბ) მაგრამ „ჰეშმარიტებას თავისთავად“ აქვს
მყარი მდგომარეობა, ე. ი. იმყოფება ამგვარად ყოფნის ფაქტიუ-
რობაში.

ძირითადი ფაქტის ანალიზის ამ შედეგებმა უნდა გადაწყვიტოს,
თუ რომელი მიმართულებით არის აქ ახალი კვლევის სფერო და
საერთოდ არის თუ არა იგი. მაგრამ ეს გადაწყვეტა შეიძლება მხო-
ლოდ წინააშწარი იყოს და მას შეუძლია ზოგადად შეეხოს მხო-
ლოდ ახალი სფეროს აღვილს. მაგრამ იგი საკმარისი უნდა იყოს
იმისათვის, რომ კვლევის ახალი სფეროს საჭიროება და გარდუ-
ვალობა ვამართლოს. თუკი დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს
ის, რაც მიღებულია ამგვარად ყოფნის ფაქტიურობის შესახებ,
საიდანაც უნდა ამოვიდეთ, და თუ მასში მოცემულია ყველა ნიშა-
ნი, ახლახან რომ აღვწერეთ, მაშინ არაეთარი უფლება არ ვვაქვს
თავი ავარიილოთ მოთხოვნას, მოიძებნოს სამისოდ (კიმეორებთ:
ფაქტიური და არა ლოგიკური) საფუძვლები. ჩვენ აქაც ვაწყდე-
ბით კითხვას: ამართლებს თუ არა საკმარი გაანალიზებული ამ-
გვარად ყოფნის ფაქტი იმას, რომ გავხედოთ ჯერ კიდევ გაურკვე-
ველ სფეროში შეჭრა? და ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუმცა ჯერჯე-

რობით არ არის ცხადი, მოხდება თუ არა ამ გაურკვეველ სფეროში წინსელა, მაგრამ ფაქტიურობის მოთხოვნა მაინც დაქმაყოფილდება. ნ. პარტმანთან ერთად სამართლიანად შეიძლება უკუვაგდოთ რამე თვალსაზრისხე დგომის მოთხოვნა, განსაკუთრებით როგორც ფილოსოფოსობის ამოსავალი წერტილი, მაგრამ ფაქტიურობის მოთხოვნას თავიდან ვერ აცილებ. რას გვასწავლის ეს ფაქტიურობა?

წინასწარი ანალიზის შედეგებშე დაყრდნობით, შეგვიძლია დავაღინოთ, რომ ჩეენს წინაშეა კვლევის ასპარეზი, რომელსაც 1) არ მიეყენება ლოგიის ძირითადი კანონები, რომელიც 2) უშინაარსოთ, 3) ირელაციონალურია და 4) ის კი არ არის, რაც უნდა განხორციელდეს, არამედ ამგვარად ყოფნის ფაქტიურობაა. ეს უკანასკნელი გადამწყვეტია საკითხისათვის, გვაძლევენ თუ არა ეს ამგვარად ყოფნის ფაქტიურობანი კვლევის განსაკუთრებულ სფეროს. ამრიგად, უპირველესად და დაწვრილებით უნდა შევეხოთ ამ საკითხს.

„ჭეშმარიტება თავისთავად“ სამარისად არის განმარტებული და საქმე მუდამ იმას ეხებოდა, რომ ეს „თავისთავად“ წარმოდგება არა „საპირისპიროსაგან“, როგორც, მაგალითად, ბოლცანოსთან¹, არამედ ამგვარად ყოფნის ფაქტიურობიდან, რომელშიც გადალახულია სწორისა და მცდარის დაპირისპირებულობა. არა მხოლოდ დებულებისა და „დამდგრინის“ უენომენოლოგიურ გათიშვას არ შეუძლია მიგვიყვანოს ამ „თავისთავადთან“, არამედ მას ვერ მიეკავეთ ვერც ლოგიკური „საპირისპიროს“ გზაზე. თუ ჭეშმარიტება „თავისთავად“ ლოგიკური რელაციით მიიღწევა, მაშინ თეზისი დაუპირისპირებლობის შესახებ შეირყევა: „დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი“ უნდა დაუპირისპირდეს „დაპირისპირებულების“. ეს მიუღებელია; და ამით „თავისთავად“ არც ფენომენოლოგიურად და არც ლოგიკურად აღარ ჩანს გასაგები. ლასკის დუმილი „თავისთავად“-ის როგორც დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის დამახასიათებელი თვისების გამო ფრიად სიმპტომატურია: არ არსებობს ლოგიკური გზა ალეთეიოლოგიური „თავისთავად“-ისაეკნ, ისევე როგორც არ არსებობს იგი დაპირისპირებულიან დაპირისპირებულობის მაღლა მდგომზე გადასვლისათვის.

¹ დაპირისპირებულობის შესახებ. იხ. ბოლცანო, Wissenschaftslehre გვ. 11, 22, 129 და 141.

ლასქმა ფაქტიურად თავისი „გასელის“ ამოცანა ვერ გადაწყვიტა, ამის ნაცვლად გან მიიღო დაპირისპირებულ ელემენტთა შერიცება: გონიერამახვილმა მოაზროვნებ ვერ შეამჩნია, რომ გზა „თავის-თავისისკენ“ ვერც წინ და ვერც შემდეგ ვერ იყო ნაპოვნი.

ახლა უკვე ცხადია, რომ ეს „თავისთავად“ მხოლოდ სხვა, ღრმად მდებარე გარემოებათა გამომჟღვნებაა „თავისთავად“, ე. ი. სა-კუთრივ დაპირისპირებულობის მაღლა მდგომი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც დაპირისპირებულ ელემენტთა შეერთების ცდით კი არ მიიღება, არამედ ის, რასაც შინაარსობრივ ელემენტებთან საერთოდ საქმე არა აქვს.

ფილოსოფიის ისტორია იმის ბრწყინვალე მაგალითებს იძლევა, თუ რაოდენ უნაყოფოა დაპირისპირებულ ელემენტთა გათანაბრების ყოველგვარი ცდა როგორც ანტიურ ხანაში, ისე ახალ დროში. ვერც პლატონთან და ვერც არისტოტელესთან ვერ მოხერხდა გზის პოვნა მრავალფეროვანებისა და წინააღმდეგობრიობის ფარგლებს გარეთ. ასევე პლატონის შთავონებული უკუდინება „ერთისაკენ“ იმავე წინააღმდეგობებზე დაიმსხერა. თუ ახალი ეპოქა იმავე მიზნებს ისახავს, მანც საეჭვო ჩანს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, „კოპერინიკისებურ საქმეშია“ თუ არა გზა ელემენტთა გაერთიანებისა და დაპირისპირებულობის მაღლა მდგომისაკენ. მხოლოდ „უშინაარსოს“, რომელიც თავის თავში არაფერს შეიცავს და მხოლოდ ამგვარად ყოფნის ფაქტიურობას, ე. ი. არა „წინ“-ს ან „საპირისპიროს“, შეუძლია მოგვცეს „თავისთავად“, ალეთეროლოგიურ დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი.

როგორც ამ ორ, ისე უკელა სხვა შემთხვევაში, ადგილად ჩანს დასადგენი კავშირი. „ჭეშმარიტების თავისთავად“ უშინაარსობას მიყვავართ ირელაციონალურობისაკენ. თუკი არსებობს ელემენტები, რომლებიც, უნდა შეერთდნენ, როგორც ფორმა და მატერია არისტოტელურ-სკოლასტიკური ან ახალი „კოპერინიკისებური გაგებით“, ან სხვა რამ, მაშინ რელაციონალურობა გარდაუვალია. ყოველი „თავის-თავში-შეცულობა“ შეიცავს „თავის-თავის-გარეთ“ არსებობასაც. რამდენადაც არსებობს მხოლოდ „შინაარსი“, ამდენად არსებობს სათანადო რეალიზაციის, მიმართების კეცელა ელემენტი: თავის-თავში-შემცველი, თავის-თავში-შეცულობა და თვით შინაარსი. ბოლცანომ ვერ მოახერხა ეჩვენებინა ალეთეროლოგიური,

არაუკინოშენალური დებულება და შესაბამისი ჰეშმარიტება
 როგორც ნამდვილი „თავისთავად“, რაღაც უშინაარსოს ცნება ვერ
 შეამჩნია². თვით ისეთმა ოსტატმა დაპირისპირებულობაზე მაღლა
 მდგომის პრობლემისა, როგორიცაა ლასკი, იგი სავნობრიობაში გა-
 დაიტანა და ყურადღება არ მიაქცია იმას, თუ რას ნიშნავს საკუთ-
 რივ ეს „პირისპირი“. ყოველ შემთხვევაში გაუგებარია ის, რომ საგ-
 ნის საპირისპიროდ დგომისაგან მოელოდე „დაპირისპირებულო-
 ბის“ დაძლევას, როგორც ამას ლასკი აკეთებს. „ჰეშმარიტება თა-
 ვისთავად“ მაღლა დგას როგორც სავნობრიობაზე, ასევე დაპირი-
 სპირებულობაზე და ორივე ეს მომენტი მხოლოდ მისი უშინაარ-
 სობით არის გარანტირებული. არაუკის არ შეიცავს ის თავის თავ-
 ში, რაღაც არაუკის არ დგას მის პირისპირ. შინაარსიანობა და
 საენობრიობა მუდამ ერთად არის: ისინი ერთად არსებობენ და
 ერთად ისპობიან. ორივე იმავე დაპირისპირებულის სფეროს ეკუ-
 თენის — რჩება კიდევ მეოთხე ნიშანი, რომელიც პირველი შე-
 ხედვით სხვებთან არც თუ ისე მჭიდრო კავშირში ჩანს. მაგრამ
 ნამდვილად ეს ასე როდია. „ჰეშმარიტება თავისთავად“ რომ არა-
 ვითარ ცვალებადობას არ ემორჩილება, უდავო ჩანს და უშუალოდ
 გამომდინარეობს ყველა აქამდე თქმულიდან. ის, როგორც ამგვა-
 რად ყოფნის ფაქტიურობის გამოხატულება, განსხვავდება მსჯე-
 ლობისაგან, რომელიც პირველად ახლა უნდა განხორციელდეს. ეს
 იმაში მუდავნდება, რომ „ჰეშმარიტების თავისთავად“ სტატიკური,
 მარავ უცვლელი ბუნება ისევე ეკეთვის „ჰეშმარიტების თავის-
 თავად“ მოელს, ე. ი. ალეთეროლოგიურს, როგორც მისი სხვა ნა-
 წილები. ეს წინასწარი ანალიზი უკე იმას ამტკიცებს, რომ აქ
 კვლევის სრულიად დამოუკიდებელი ასპარეზი არსებობს. რაც
 უფრო დაწერილებით გამოვიკვლევთ იმ ნიშნებს, რომლებიც უკე
 წმინდა ფაქტიურად მოსდგამს „ჰეშმარიტებას თავისთავად“, მით
 უფრო აშკარად და ნათლად გამოვლინდება ახალი სფეროს ერთა-
 ნობა და შინაგანი კავშირი. ჩვენი აზრით, აქედან შეგვიძლია დავას-
 კვათ, რომ ალეთეროლოგიურის ეს სფერო დაუბრკოლებელი წარ-
 მატებით განხილვას კვპირდება.

² ის გარემოება, რომ პოლცანო ზოგჯერ „ობიექტურ ჰეშმარიტებაზე“ დაპარ-
 ენს, ამ შემთხვევაში არავითარ განსხვავდებას არ წარმოადგენს. შედ. Wissen-
 schaftslehre 1, გვ. 114.

დეკარტის თეზისის გაფართოება არავითარ შემთხვევაში წინას არ აყენებს მისი აქსიომატიკის ძალას. დეკარტის სურდა, ალიარება მოყვავებინა გარკვეული დებულებისათვის, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა გარკვეული შინაარსის ჰეშმარიტებაზე. სწორედ იმაში დაინახა მან თავისი ამოცანა, რომ სიცხადე და გარკვეულობა უნდოდა ნააზრევის მთელ სფეროზე გაევრცელებინა. პირველად საქმე სხვაგვარად იყო. თავიდანვე იცის დეკარტმა, რომ საქმის ვითარებაზე მიმართულ მსჯელობას წინ უნდა უსწრებდეს ცოდნა, რომელიც ამ მომენტს შესაძლებელს ხდის. აქ მუღავნდება შემეცნების ერთი უარსებითესი თავისებურება: რომ მას არ შეუძლია წინსვლა უწანამდლვროდ, რომ ის წარმოადგენს ნაცნობიდან უცნობზე გადასვლას. შემეცნების სტრუქტურის განხილვის დროს შესაძლებლობა გვენება დავინახოთ, რომ შემეცნების ეს საყურადღებო თვისება უკვე დეკარტმა წამოსწია წინ. ისე ამბობს დეკარტი: «*La raison naturellement nous dicte que nous ne devons jamais juger de rien que de ce que nous connassions distinctement auparavant que de juger*»³. ეს წანამდვარი ცოდნა, რავი იგი მსჯელობებისათვის პირობას გვაძლევს, თავად მსჯელობებში არ შეიძლება მოგვეცეს. ამიტომ ის წინასწარ უნდა იყოს მოცემული, რადგან მსჯელობები და მათში გამოთქმული ცოდნა პირველად მხოლოდ მისი საშუალებით იქნება შესაძლებელი. სწორედ ამ მომენტს გამოხატავს დეკარტი «*inquisitio veritatis*»-ში, როდესაც ამბობს: «*ego sum, quia, si non essem, non possem dubitare*»⁴. ისე ჩანს, თითქოს დეკარტი ამ უკანასწენელ დებულებაში შემეცნებას კი არა, არამედ შემმეცნებელის ამგვარად ყოფნის ფაქტიურობას გულისხმობდა. მართლაც, სინამდვილეში სრულიად საქმის შესაფერი და უაქტიური ბუნებისა არის ეს დამთხვევა, რამდენადაც შემეცნება წინ უძლვის მსჯელობის შინაარსში წარმოდგენილ შემეცნებას.

მაგრამ დეკარტმა ამ ამოსავალ პუნქტს მტკიცედ ვერ ჩასჭიდა ხელი. ჰეშმარიტების მცდარმა თეორიამ სხვა მიმართულებით წაი-

³ Pinz, Philos. I. 44.

⁴ LS III. 155.

დეკარტის თეზისის გაფართოებას მიუყავართ სწორ ამოსავალ წერტილამდე. შემცნება არის და უნდა იყოს ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა. ამიტომაც ჩვენი ამოცანაა, ეს წანამძღვარი შემცნება ცხადი გავხადოთ. იგი მსჯელობებს წინ უსწრებს და ამ აზრით როგორდაც უნდა შესრულდეს, განხორციელდეს. იგი ნამდვილი პირველ-წყაროა რომელიც არ გამოიყანება, რაც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო⁵. გარკვეულობა და სიცხადე, რაზეც დეკარტი ასე ხშირად ლაპარაკობს, წარმოადგენს ე. წ. *Iument naturale*-ს რეალურ შინაარსს. ეს განსაკუთრებით იუარება მხოლოდ ტერმინში «Iument» [სინათლე]; ხოლო «naturale» ნიშანმა უნდა გამოხატოს ამ წანამძღვარი შემცნების არათეორიული, ფაქტიური, წინათეორიული ბუნება. დეკარტის ძირითადი თეზა «cogito, sum» „ცხადია და გარკვეული“ არა მისი შინაარსობრივი მხარის მიმართ — ეს დაპირისპირებულობის სფეროს ეკუთვნის — არამედ ამგვარად ყოფნის ფაქტიურობის მიმართ. ამიტომ ჩანს დებულება «si non essem, non possem dubitare» ყველაზე უფრო შესაფერ მაგალითად ცხადი და ყველა შემდეგი ცოდნის მიერ ნაველისხმები შემცნებისათვის.

ამ უკანასკნელი დებულებისათვის უფრო მეტი უპირატესობის მინიჭება ისტორიულად ქცეული «cogito»-ს წინაშე დეკარტის გაფართოებულ თეზასთან მიიახლოებას ნიშნავს. ამ გაფართოებას, რომელიც ზემოთ ერთხელ უკვე განიმარტა, თან მოსდევს ფაქტიური სიცხადე. სრულიად ცხადი უნდა იყოს არა მარტო დებულება, რომელიც ნათელ და გარკვეულ შინაარსს გამოიქვამს, არამედ აგრეთვე მის გამოიქმაში გამოხატული წმინდა ამგვარად ყოფნის ფაქტიურობა თავად. ამ უკანასკნელისთვის სულ ერთია, მსჯელობაში მოცემული გამოთქმა შეესაბამება თუ არა სინამდვილეს. ჩვენ უკვე გვპინდა შემთხვევა, აღვევნიშნა, თუ როგორ გადახვევინა საკუთარი გზიდან მათემატიკური მეთოდოლოგიის ზეგავლენაში ფილოსოფოსობის მეთოდოლოგიის. დეკარტმა ვერ შეამჩნია, რომ მისი თეზისის ძალა

⁵ უოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ცხადი უნდა იყოს, რომ შემცნება, საიდუმაც უნდა ამოვიდეს დეკარტეს თანამად, და „პირველწყარო არაალეთიოლოგიური აზრით მეტრად უნდა იქნეს განსხვავებული“. შედრ. H. Cohen, System, Logik, 3. Aufl. Berlin, 1922, «Das Prinzip des Ursprungs».

და უცილობა შინაარსში კი არ იყო, არამედ უშინაარსოში. დეკარტის გაფართოებული თეზისი იმაზე უნდა მივყითოთებდეს, რომ დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შედეგებამდე მიღიან შინაარსობლად ვი დებულებანი, პოზიციას მიაღწივენ, თუ ისევ უარყოფაზე გაიყინებიან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულიად დამოუკიდებლად ამ გნოსეოლოგიურ-ონტოლოგიურად წარმომდგარი სავნობრიობისა და დაპირისპირებულობისა (Gegen-ständlichkeit und Gegen-sätzlichkeit), არსებობს კიდევ „ჰეშმარიტება თავისთავად“, რომელიც ყველა ამ ელემენტის ამგვარად-ყოფნას გამოხატავს. მასში მოცემულია ზემოაღნიშნული ცხადი შემეცნება, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ჩვენს ანთროპოლოგიურ, გათოშვაზე აგებულ შემეცნებას. მას წილი არ უდევს აზრთა სხვადასხვაობაში, ის განთავისუფლებულია პოზიცია-ნებაციის შესახებ გადაწყვეტილებისაგან, უშუალოდ არის მოცემული და მისევნ ლოგიური გზა არ მიღის; მაგრამ საგანგებო, ალეთეროლოგიური მიმართულებით ის გზას გვიჩვენებს. ამ გზით ბუნებაზე, რომელიც წარმოვიდგება როგორც ნამდვილი რეალურობის მეთოდი. აქ ჯერ კიდევ არ შეიძლება იყოს ლაპარაკი.

„ჰეშმარიტების თავისთავად“ უშუალობა ემყარება მარტივ ამგვარად ყოფნის ფაქტიურობას. იგი წინ უსწრებს დაპირისპირებული მსჯელობის შესაძლებლობებს, მათგან მოთხოვნილ ჰეშმარიტებასთან ერთად, რომელიც დაპირისპირებული ჰეშმარიტებაა ანუ „ჰეშმარიტებაა ჩვენთვის“. იგი ცხადია, მაგრამ არა ძევლი არისტოტელური აზრით, რაზეც ლაპარაკია *Analyt. post.-ში*. როგორც უშინაარსო, ის არ შეიძლება იყოს „საწყისი“. იგი არის მხოლოდ საწყისთან, როგორც წმინდა ამგვარადყოფნის ფაქტიურობის გამომხატველი. მათემატიკურ-აქსიომატური დარეცირება, რომელმაც დეკარტზე დიდი ხნით ადრე უკვე არისტოტელეს აზროვნებაზე მოახდინა გავლენა, „ჰეშმარიტების თავისთავად“ დროს მხედველობაში ვერ მიიღება. და სხვა არავინ, თუ არა ისევ დეკარტმა მოვეცა უბრწყინვალესი დასაბუთება იმისა, რომ ფილოსოფოსობის გზაზე ამოსავლის კითომდა შინაარსს აღარავითარი შემდგომი გამოყენება აღარ აქვს.

ასევე „ჰეშმარიტების თავისთავად“ უშუალობას არაფერი აქვს საერთო შინაგან თუ გარეგან ინტუიციას დაკავშირებულ უშუა-

* Aristoteles. *Analyt. post.* II, 19 B.

ლობასთან. შინაგან და გარევან ინტუიციად დაყოფას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გარევეული შეზღუდვის პირობით. ნამდვილად „არც არსებობს გარევანი ინტუიცია; იგი წინასწარ გულისხმობს“ მუდამ მკერრეტელის მჭიდრო კავშირს იმასთან, რაც ცნობილი უნდა იყოს როგორც „შინაგანი“; და ამ აზრით იგი სრულიად არ არის ორი-ენტიტებული „გარეთ“. ფენომენოლოგის სავსებით „შიგნით“ ორინტიტებული თვალთახელებით ეს თვალსაზრისი შეიძლება აღი-ნიშნოს როგორც ნეგაცია-პოზიციის ერთად ყოფნა, რასაც ფენო-მენოლოგია გარევეოთ შეიცავს.

ინტუიციის ორივე შემთხვევასთან „ჰეშმარიტების თავისთა-ვად“ უშეალობას საერთო არაფერი აქვს. თუ ეს უკანასკნელი ნეგაცია-პოზიციის დაპირისპირებულობის ნიადაგზე დგანან, მაშინ ვთქა „ჰეშმარიტებისა თავისთავად“ გადის მათ უარგლებს მიღმა და უკედაფერს, რაც მასზე იმყოფება, თავის თავში შეიცავს. სიც-ხალის მოთხოვნა, აღიარება დაპირისპირებულობის სფეროში, მო-ისხნება დაპირისპირებული თვალსაზრისების თანასწორუფლებია-ნობით. შემდეგ, რადგანაც რელაციონალურობა, რაღაცაზე შიმართება, როგორც დამახასიათებელი თვისება „ჰეშმარიტების თავის-თავად“, მხედველობაში არ მიიღება, „ჰეშმარიტების თავისთავად“ უშეალობას საერთო არაფერი აქვს ფენომენოლოგიასთან.

4. „თაორიკა“ და „არსაზის ჯვრება“

უშეალობა, „ჰეშმარიტებას თავისთავად“ რომ ახასიათებს, არ არის აქსიომატური სახის. მას არავითარი აზრით არ აქვს არც პრე-ზუმუტიული ხასიათი, ე. ი. ამ უშეალობაზე არ შეიძლება შემდგომი მიმართება ჰქონდეს ამ მის სიცხადესა და აღიარებულობაში მის-გან დამოკიდებულ დებულებებს. „თავისთავად“ ნიშნავს სწორედ ამგვარი განზრახვის დაუშვებლობას. აյ ჩვენ ვიმყოფებით ჯერ კი-დევ ანტიურობისათვის ცნობილი შეიცვალი ის სფეროში და გვიან ეპოქას ეს სიტყვა რომ არ გაეყალბებინა, იგი შეიძლება უველაზე შესაფერისი იქნებოდა იმისათვის, რომ წინასწორი მიღწევის ფაქტი დაეხასიათებინა. ამ შემთხვევაში აღინიშნება ძა-ლიან საინტერესო, ანტიურობიდან ახალ ეპოქამდე მიმდინარე ვარდაქმნა ცნებისა, როდესაც ანტიურ ხანას სურდა პრაქტიკუ-

ლი საქმიანობისათვის აზრისეულის წმინდა სფერო დაეპირისპირებინა, ის თავშესაფარს მუდამ ფილოსოფიაში ჰპოვებდა. სოკრატესთან საგანგებოდ გამოხატულმა ამ პოზიციამ არისტოტელისთვის უმაღლეს წერტილს მიაღწია მისი მეტაფიზიკის დამაკვირვებელ — თეორიაში. გარევეული აზრით ახალი დროც მასში ნამდვილად მაინც და მაინც არაფერს ცვლის, როდესაც „თეორიას“ უპირისპირებს „პრაქტიკას“. რამდენადაც, მეორე მხრივ, სიცხადე, ინტეცია, შვერეტელობა და სხვ. მისთ საგნობრივი სფეროდან წარმოდგებიან, ჩვენ გვინდა, რომ ძევლი ცნება „თეორია“ შევინარჩუნოთ. ამ აზრით ჩვენ სამართლიანი გვვონია, როდესაც ამბობენ, რომ „ჭეშმარიტება თავისთავად“ დაინახება, ან თეორიულად არის მოცემული.

ამ „ხედვაში“ ორი რამ უნდა განვასხვაოთ: ჯერ-ერთი, მასში იგულისხმება ხილული სამყაროს დამოწმება. მაშინ იგი ემთხვევა შვერეტელობის ან ინტუიციის ცნებას. ორივე უკანასკნელი ცნება ემყარება დაპირისპირებულს. მაგალითად, შვერეტელობის განხორციელებისას წინასწარ იგულისხმება განსაჭვრეტი და განშვერეტი. რადაც მიმართული უნდა იყოს სხვა რადაცაზე. სწორედ ეს მიმართულობა როგორც „ჭეშმარიტების თავისთავად“ წანამდვარი უკავდებულ უნდა იქნეს. ინტუიცია და შვერეტელობა ისეთი ფერმენტია, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ მიმართულობის შინაგანი სტრუქტურის საფუძველზე. ისინი სწორ და, მაშასადამე, უმოქლეს გზად მოჩანან და სხვა ყველა დანარჩენზე არა ეკითხებათ რა; საბოლოო პუნქტის ხასიათის, ე. ი. მათი დაპირისპირებულობის შესახებ ისინი არაფერს წყვეტენ. რაოდენ სხვადასხვანაირი გამოხატულებაც არ უნდა მისცენ ინტუიციის ცნებას, მაინც უცვლელი რჩება ის მთავარი, რომ აქ ყველაფერი მიმართულობის საკითხში გადადის.

ჩვენი თეზისიც არავითარ ცვლილებას არ შეიძლება ექვემდებარებოდეს მაშინ, როდესაც ინტუიციის ცნება დაკავშირებულია რელაციის, მიმართების მომენტების ცვალებადობასთან, როგორც ამას ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში შეიძლება პქონდეს ადგილი. საკითხის პრინციპული გადაწყვეტა შეუძლია მოგვცეს არა სხვადაფინას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ არა-მყოფობას (Nicht-Dasein). თუ კი შვერეტელი და განშვერეტილი არსებობს—რაც არ უნდა ცვლი-

ლება განიცადოს თითოეულმა მათვანმა განჭვრეტის დროს — საქმის არსი ივივე რჩება; შემდეგ გადაწყვეტილი უნდა იქნეს კიდევ საეკონომიკური არსების განჭვრეტის ან განჭვრეტის სხვა სახის შესახებ. შეიძლება გამირთლებული ჩანდეს „თეორიის“ ძებნა არსების ჭვრეტაში, მთ უმეტეს, რომ პლატონური «eidos» გამოცხადებულია ამ არსების ჭვრეტის ობიექტად. ეს დაშვება წინდაწინე უკუსაგდებია იმიტომ, რომ „ჭეშმარიტებასთან თავისთავად“ დაკავშირებული თეორია უმიმართულებოა, მაშინ როდესაც ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის არსების ჭვრეტა მტკიცებ აღვას მიმართულობას. პირველი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მჭვრეტელობა და არსების განჭვრეტა მონათვესავე იყოს. პუსერლი „იღებში“ ამბობს, — განმდევლი ანუ ინდივიდუალური მჭვრეტელობა შეიძლება გარდაიქმნას არსების განჭვრეტაში (Ideation — იდეაცია); მაგრამ იყი დაუმატებს: რომ ასეთი შესაძლებლობა... გავებული უნდა იქნეს როგორც არსების შესაძლებლობა“ (ibid). ის ფიქრობს, რომ არსების განჭვრეტა „პრინციპულად თავისებური და ახალი სახის მჭვრეტელობა არის“ და განასხვავებს მას განჭრეტისაგან ჩვეულებრივი, ვიწრო, ე. ი. ინდივიდუალური აზრით. მაგრამ მთავარ ყურადღებას ჩვენ ვაქცევთ არა იმას, შეიძლება თუ არა განსხვავებულ ნიშანთა რიცხვის კიდევ გაზრდა, არამედ იმას, რომ „არსების განჭვრეტა არის ცნობიერება რაიმეს შესახებ, საგანზე, რაღაცაზე, რაზეც მისი მზერა მიიმართება“⁷.

ამრიგად, დადგენილია, რომ არსების ჭვრეტას, ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის მეთოდს, არ ძალუდს დაპირისპირებულობის ფარგლებს გასცეს, თუმცა აქ იგულისხმება სწორისა და მცდარის მიღმა მყოფი არსების ჭეშმარიტება, „ნათელყოფა“ (Sichtigsein), რაზეც პუსერლი ლაპარაკობს, განკუთხილია იმისათვის, რომ „თეორიის“ რეალური საქმის ვითარება წარმოადგინოს; ოღონდ ცალმხრივი მიმართულობის მომენტი კვლავ იწვევს მჭვრეტელად და განჭვრეტილად გაყოფას; რის დროსაც, გარდა იმისა, რომ ისევ ამოტივტივდება ანთროპოლოგიზმი, კვლავ ძალაში შედის „საპირისპირო“, არა „რაღაცაზე“ მიმართული“ ხედვა,

⁷ Ideen., 1922, Halle, ვვ. 10.

⁸ Ibid, ვვ. 11.

რაც მუდმივად „სპეციალურ-ადამიანურს“ უკავშირდება, არამედ უმიმართულებო ხედვა, ის, რაც „თავისთავად ჰეშმარიტების“ „თეო-რიაში“ არსებობს.

5. ართიანობა და სიმარტივა


„თავისთავადი ჰეშმარიტების“ „თეორია“, როგორც იტყვიან, არ გვაძლევს არაეითარ ბაზისს, რასაც შემდგომი დასკვნები დაუკავშირდებოდა. თეორიულის ერთიანობა, ანუ აღეთოლოგიურის ერთიანობა როდი გახლავთ ნაწილებისაგან შედგენილი ერთიანობა, ის არის არა ჰეშმარიტებათა კომპლექსი, როგორც იტყოდა ბოლცანო, არამედ კომპლექსური ჰეშმარიტება. როგორც ერთიდან მეორეზე გა დას ვდა, ასევე ერთიდან მეორის გამოყვანა აღეთოლოგიურის სფეროსათვის სრულიად უცხოა. როგორც არ უნდა მიუთითებდნენ ნაწილები ერთმანეთზე, როგორც არ უნდა ახლოს იდგნენ ისინი ერთმანეთთან, შედევი მაინც მუდამ ივივე რჩება. ერთი არის უწყვეტი ელემენტთა უსახელო ჯამი და მეტი არაფერი. ერთიანობა, რასაც ლასკის არგუმენტაცია უმიზნებდა, შერიგებულ ელემენტთა ტოლქმედა. უსრულესი და დაურღვევებული ერთიანობა არ გახლავთ გაერთიანებულთა ერთიანობა, როგორც ლასკან არის, არამედ პრინციპულად დაპირისპირებულობაზე, მრავალსახოვნებაზე მაღლა მდგომი ერთიანობაა, რომელიც არ შეიცავს არაეითარ ნაწილს და, მაშასადამე, არავითარ შინაარსს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა სიმრავლის საბირისპიროდ მდგომი და მისი გადალახვით მიღწეული ერთიანობა, არამედ ერთიანობა თავისთავად, რის დროსაც „თავისთავად“ ირელაციონალური ცნებაა. აյ მართებულია არა პლატონის ჲნ, რომელიც მიიღება „სხვისაგან“ განთავისუფლების გზაზე, არამედ ლაიბნიცის მონადა, რომელიც თავის უშინაარსობაში მთელი სამყაროს ამგვარადყოფნას გადმოსცემს.

თუ „ჰეშმარიტება თავისთავად“ არის ერთიანობა თავისთავად, სადაც არ არის არაეითარი გადასცვლა და არაეითარი „დასკვნა“, მაშინ ამ ერთიანობაში და მისი საშუალებით ნათელი უნდა იყოს ყველა-ფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული. ჰეშმარიტება თავისთავად,

როგორც ალეთეროლოგიურმა ძირითადშა თეზისშა გვასწავლა, შენაგან რელაციათა, მიმართებათა ჭეშმარიტება კი არ არის, არამედ მიმართების, რელაციის მომენტების გარეშე და მაღლა დგას. ის არის არა არსებულის შესახებ მოსაზრება, რასაც ეს არსებული „საგნის“ სახით უპირისპირდება, არამედ იგი როგორლაც არსებობს ამ არსებულთან. «Si non essem, non possem dubitare», ამბობს დეკარტი და ამ გამოთქმით ის ბევრად უფრო მარჯვედ გამოხატავს თავის ძირითად აზრს არსებულთან ერთდროულად როგორლაც არსებულ უწანამძღვრო ჭეშმარიტების შესახებ, ვიდრე დებულებით «cogito-sunt», რომელშიც არსის მომენტი მეორადის და დანამატის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც, დეკარტის მოსაზრებას, როგორც ცნობილია, არ შეესაბამება. ამ დებულების აზრი ის არის, რომ არა-მსჯელობის შესაბამისი ან, როგორც უკეთ ჰუსერლი ამბობს, „არა-პრედიკატიული“ აზროვნება როგორლაც ერთდროულად არის არსებულთან. ყველა სხვა ისეთი მოსაზრება, რომელიც არსებულს თავის თავში შეიცავენ და უპირისპირდებიან შინაარსის ფორმით ამ შინაარსის განხილვისათვის საზომად გამოყენებულ არსს.

შემდეგ დასადგენია, რომ „ჭეშმარიტების თავისთავად“ სფეროში არ არსებობს არავითარი გამოყვანა, არავითარი გადასვლა იმ ერთიანობის მიმართ, რომელიც ალეთეროლოგიურის არსებას შეადგენს. თუ ამ სფეროსათვის მოსაზრებათა და სხვა მისით, სიმრავლე უარსაყოფია, მაშინ ასე ჩანს, თითქოს მხოლოდ esse-მ უნდა მოგვცეს ყოველიცე შემდგომის საფუძველი, მაგრამ როგორ არის ეს შესაძლებელი და რას ნიშნავს ეს „esse“? დაპირისპირებულის ნიადაგზე ყველა პრობლემა ბევრად უფრო მარტივი ჩანს. მუდამ უდიდეს სიძნელეებს აწყებოდა ფილოსოფია, როდესაც იგი მოისურვებდა ხოლმე „მრავალისათვის“ საფუძველად „ერთი“ დაედო. მაგ. არა „ერთის“ „სხვისაგან“ განთავისუფლებაში იყო პრობლემის ძირითადი მნიშვნელობა ანტიკურობისათვის — ეს შედარებით ადვილად შეიძლება განხილოების მიზანით განვითაროთ „ერთიდან“ „მრავლის“ წარმოშობაში. „განწმენდის“ შედეგად მიღებულ „ერთს“ ისე უნდა მოეცა „მრავალი“, რომ ამ უკანასკნელს წილი არ ჰქონდა „სხვაში“. ეს ანტიკურობის მთავარი პრობლემა იყო. ამის გამო ჩავარდა პლატონი თავისი მოღვაწეობის მესამე პერიოდში გამოუვალ სიძნელეში და თავშესაფარის ძიება პითა-

გორეიზმში სულაც არ ნიშნავდა გამოსავალს, არისტოტელურმ
სცადა იმავე პრობლემის გადაწყვეტა თავის ფორმა-მატერიას
სტრუქტურით, რაც ყოველ შემთხვევაში უშედეგო აღმოჩნდა.
პლოტინის შთავონებული აღსვლა „ერთში“ იმავე სიძნელეს წააწ-
ყდა სწორედ შეა პროცესში, სახელდობრ, ერთიდან სიმრავლის
მეორადი ემანაციის დროს. რაოდენ ძლიერი კონცეპტი ძალაც
არ უნდა დაეხარჯათ ყველა ამ შემთხვევაში, მით უფრო მეტად
ცდებოდნენ, რაც უფრო გამუდშებით ეძებდნენ
გად ას კლას. კიდევ უფრო მეტი: ამ გადასვლას „ერთიდან“
მის საპირისპირო „სხვასთან“, „სიმრავლესთან“ და ა. შ. უნდა მიე-
ყვანა. ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ განწმენდის მეთოდის გზაზე
ფილოსოფოსობის „საძიებელი ამოსავალი წერტილით“ ვერაფერს
გააწყობ. მხოლოდ ლაიბნიცმა გაივო, რომ მონადამ პრინცი-
პულად უარი უნდა თქვას ყოველგვარ გადასვლაზე.
უშინაარსომ მასთან უნდა დაადგინოს მთელი სამყაროს შინაარსი;
მაგრამ მას მაშინვე, შეცდომა მოსდის, რაც მას გზას უდობავს
სიმრავლისა და დაპირისპირებულობის დასაძლევად. წარმოდგენის
ძალა არ გამოდგება მონადის ამგვარად ყოფნის უშუალო განსა-
ზღვრისათვის, ეს მიიღწევა მხოლოდ სხვა, მისი მოპირდაპირე მო-
ნადების ასახვის შემთხველი გზით. ზემოთქმულიდან პირველ
ყოვლისა ის გამომდინარეობს, რომ აღეთებით ლოგიური გამოყენის, შესაბამისად, დე-
დუცირების და სხვ. მიღმა მდებარეობს. ეს თავისებურება
სრული დადასტურებაა აგრეთვე იმისა, რომ აქ არა მარტო „იქთ
მიმავალ“, არამედ „იქთდან მომავალ“ გზაზე ლაპარაკისას საქმე ეხე-
ბა გზას, რომლის ბუნება ლოგიურისაგან განსხვავებულია. ამასთან
ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არსებობს ძირითადი გან-
სხვავება ახლახან ჩამოთვლილ ორივე მიმართულებას შორის:
„ჰეშმარიტებისაკენ თავისთავად“ მიმავალი გზა მეთოდოლოგიუ-
რადაც უნდა იქნეს გაებული, ხოლო მისგან მომავალი გზა არ
გაიგება მეთოდოლოგიურად. მეორე: „ჰეშმარიტება თავისთავად“,
რაღაც წესით, არსებულთან არსებობს, რაკი ახლახან ამ პარაგრა-
ფებში შევეცადეთ რაც შეიძლება მოკლედ განვევმარტა პირველი,
ახლა ჩვენი ამოცანაა, ავხსნათ ურთიერთობა არსებულსა და „ჰეშ-
მარიტებას თავისთავად“ შორის.



ძირითადი ოლეთეიოლოგიური ფაქტი თრმშერივი უკნომენია, ერთია და იგივე მსჯელობა შინაარსობლივად შეიძლება ჰეშმარიტი ან მცდარი იყოს, მაგრამ როგორც ამგვარად ყოფნის ფაქტიურობა, იგი ყოველთვის ჰეშმარიტია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იგივე უკნომენი, ზემოდან დანახული, ვლინდება როგორც ყოვლისმომცველი ერთიანი არსი ან არსის მწვრივი, ხოლო ქვემოდან დანახვისას თვალწინ ვაღავეშლება შინაარსთა მწვრივი. უფრო გვიან საქმე გვექნება ამ ყოვლისმომცველ განზომილებასთან. მასში გამოხატულებას პპოვებს არსებულის ერთიანობა, რამდენადაც ის შემდგომ გამრავლებას არ განიცდის. აյ წარმოშობა უნიშვნელოვანები საკითხი: არსებული როგორც ასეთი, „ჰეშმარიტებაა თავისთავად“, თუ ეს ჰეშმარიტება მის „გვერდითაა“, „ზევითაა“, ან სხვა რომელიმე მიმართება-შია მასთან?

არსებული, როგორც ასეთი, არ შეიძლება იყოს „ჰეშმარიტება თავისთავად“. მაგრამ ეს ასეა არა იმიტომ, რომ ყოველი ჰეშმარიტება შედარებითი შეფასების შედეგია. ყოველივე ზემოთ თქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ეს თავიდანვე არ ეხება დაბირისპირებულობაზე მაღლა მდგომ ჰეშმარიტებას. ჰეშმარიტების პრობლემის სპეციალური შესწავლისას ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი. ახლა კი გვინდა შეკრირდეთ ოლეთეიოლოგიურ ძირითად ფაქტზე: ეჭვი არ არის, რომ იმისაგან „დამოუკიდებლად“, მსჯელობა („S. P.“) ჰეშმარიტია თუ მცდარი, ეს მსჯელობა, როგორც ამგვარად ყოფნის ფაქტი, ყოველ შემთხვევაში მუდამ „ჰეშმარიტია“. ამრიგად, ამგვარად არსებული არსებული გვერდით „თეორიულად“ მიეკალწიოთ მას.⁹

პირველი, რაც უნდა ცხადვეყოთ ოლეთეიოლოგიურ ძირითად ფაქტი, ეს არის ის, რომ არსებობს მხრივ ერთობს მხრივ ერთი არსი

⁹ თუ რა განსხვავება არსებობს „ესენციალურად“. ორიენტირებულ შეთოდსა და არა არსებულ „ში“, არამედ არსებულ „თან“ მაძიებელ შეთოდს შორის, ანსნილი იქნება ქვემოთ, მეოთხე თავში.

და არსებულის ერთიანობა მდგომარეობს შენ
 ამგვარად ყოფნაში; არსებულის ჰეშმარიტყოფნა არ იწევეს
 არსებულის გაორმაგებას. ვითარება არ არის ისე, რომ ერთი მხრივ
 გვერნდეს ჰეშმარიტი არსი და მეორე მხრივ, მის გვერდით არსებუ-
 ლი არსი. ამ გაორმაგებას ეწინააღმდეგება აგრეთვე დაპირისპირებუ-
 ლი ტერმინოლოგია, რომელიც ცნობს რელაციონალურობისათვის
 დაუშვებელ გაორმაგებას მხოლოდ მოსაზრების, სუბიექტური წარ-
 მოდგენის ფორმით „თავისთავად არსებულის“ საპირისპიროდ. მით
 უფრო გადაუდებელი ამოცანაა, მოიძებნოს ჰეშმარიტების ადგილსამ-
 ყოფელი არსებულის ერთიანობასა და ერთადერთობაზე მაღლა. მე-
 ორე, რაც უნდა აღინიშვნოს ჩვენი ძირითადი ფაქტის თაობაზე, შემ-
 დევნაირად გამოიხატება: ყოველი არსებული არის ის,
 რაც იგი არის. ეს ერთი შეხედვით უგუნური დებულება შეიცავს
 სწორედ უმნიშვნელოვანებს მომენტებს, რომელთაც დღემდე, სწორედ
 მათი სიმარტივის გამო, ყურადღება არ მიუქცევიათ. თუმცა აზროვ-
 ნება ემორჩილება რა ზოგად წესს, სხვა დროს ირჩევს partem de-
 biliorem, ჩვენს შემთხვევებში მას უპირისისპირდება ნაცნობიდან უც-
 ნობისაკენ წინსვლის ცდა. ეს დებულება დღემდე ცხად დებულებად
 ითვლებოდა და. აზროვნება გარჯის დირსად არ თვლიდა იმას, რომ
 იგი დაწერილებით შეესწავდა.

ეს მარტივი დებულება ორი მნიშვნელოვანი ნაწილისაგან შედგე-
 ბა: ა) არსებობს რაღაც, ბ) და იგი არსებობს ისე, როგორც
 ის არსებობს. ამრიგად, აქ ორ რამესთან გვაქვს საქმე: ერთი
 მხრივ ხაზი აქვს გასმული არსის ფაქტს, მეორე მხრივ იმას, რომ ეს
 არის არსებობს ამგვარად და არა სხვა გვარად. არსე-
 ბული, მაგალითად, ABC ელემენტები არსებობენ, არიან. მაგრამ ეს
 უქომენი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.
 ABC-ს მუნარსში უფრო მეტი რამ იფარება, სახელდობრი ის, რომ
 იგი როგორც ABC მუნარის. „არსი“ წმინდად თავისთვის — ცარიე-
 ლი ცნებაა. შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ამგვარად ყოფნის ფაქ-
 ტიურობა, ამგვარად არსებული; თუ ვით არ ეგი სხვა გვარია,
 მაშინ არ „არსებობს არავითარი არსებული, ისე-
 ვე როგორც ამგვარად ყოფნის გარეშე არ არსე-
 ბობს არავითარი არსი. ლოგიკურ ნიადაგზე არსი აუცი-
 ლებლად არარსში უნდა გადაიდეს. ამის საუკეთესო მაგალითს ჰეგე-
 ლის აზრთა მსვლელობა წარმოგვიდგენს. ლასკ არსებულისაგან არ-

სის გამოყოფა იმით სურს შეინარჩუნოს, რომ „არსებულს“ როგორც „გრძნობად-შვერტელობითს“ განასხვავებს არსისაგან როგორც „საგნობრივისაგან“¹⁰. ამით ყველა ელემენტი ერთმანეთშია არეული, მაგრამ რამ არსის ცნება მაინც საგნობრიობის ცნებასთან უშეიძროს კავშირშია, რადგან საგნობრიობამ არსის ცნება უნდა იხსნას სიცარის-ლისაგან, რაც მას სხვაგვარად გარდაუვალად ემუქრება. თუ საგნობრიობას გამოვრიცხავთ დაპირისპირებულობის სფეროდან, ისპობა შესაძლებლობა იმისა, რომ არსის აზრიანი ცნება შევინარჩუნოთ. არსი ან არაფერია, ანდა არსებულთან არსებული გარკვეულობაა, ე. ი. ამ გვარად-ყოფნა. არსებობს არსის მხოლოდ ასეთი აზრიანი მნიშვნელობა: ამ გვარად-ყოფნა ყოველივე სხვა „მაკონ-სტრუირებელი“, შესაბამისად „თვალსაზრისისეული მეტაფიზიკის“ მიერ არის შექმნილი.

7. ავგარად ყოფნა და „არსებადება გერი“

არსის როგორც ამგვარად ყოფნის შეფასება იმას გამოხატავს, რომ თავდაპირეველ ერთიანობაში არ დაიშვება არაეითარი გაორება, არ დაიშვება ის არც ნოოლოგიური სახით. ის, რაც არსის ცნებამ უნდა შეასრულოს, ამგვარად ყოფნაში გამოელინდება. ის გარემოება, რომ არსებული მხოლოდ ამგვარადად და სხვაგვარად არ არის, ნიშნავს იმას, რომ მასში განამდვილება არსის რომელიღაც სახე, რომელიც სხვაგვარად ყოფნას უკუაგდებს. მაგრამ არსის ეს განამდვილებელი სახე მხოლოდ ამ განხორციელებაში წარმოიქმნება და არსებობს. თუ ამგვარად ყოფნის მომენტი არსებულს ჩამოსცილდა — რაც შეუძლებელია ცხადი იყოს, — არსებული ვეღარ იქნება ამგვარად არსებული. ამით არსებობს ყოველგვარი განსხვავება ე. წ. არსებულს შორის; ამით მოცემულია იმის შესაძლებლობაც, რომ მას შეუძლია სხვაგვარად ყოფნაც. მაშ არსის ორი რიგი უნდა არსებოდეს: ამგვარად ყოფნისა და სხვაგვარად ყოფნისა.

„ამგვარად ყოფნა“ აქ წარმოდგენილი ფორმით არსებითად განსხვავდება მაინონგისა და მისი სეოლის „ამგვარად ყოფნისაგან“. ამგვარად ყოფნა ჩვენთვის კავშირშია მუნარსთან, რაც მხოლოდ ამგვარად ყოფნაში და ამგვარად ყოფნის საშუალებით ხორციელდება. იგი დია-

¹⁰ W, II, 44, 272.

დექტიურად ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფ მომენტთა შორის ერთ-ერთია, რომელსაც უპირისპირდება სხვა კარად ყოფნა, არა ჰეგელის სეული აზრით, არამედ აღეთეოლოგიური აზრით. აქა არა არსი „სხვაგვარად ყოფნის“ წინააღმდეგ, რომლებიც უნდა ვალიალახონ, რათა ადგილი დაეთმოს მათი სინთეზის უმაღლეს საფეხურს, არამედ „არსზე მეტი“, რომელიც ასევე უპირისპირდება ამგვარად ყოფნას და მასში აღწევს დაპირისპირებულობის მოხსნას. ჰეგმარიტება ჩვენთვის, მაინონგისაგან განსხვავებით, ემთხვევა ამგვარად ყოფნას, რომელიც მუნკოფიერებას ახასიათებს. არა ონტოლოგიური არსი, არამედ, ამგვარად ყოფნა, მაშასადამე, აღეთეოლოგიური არსი არის ყოვლად ურეალესი, რამდენადაც ყველაფერი არის ისე, როგორც ის არის. ამით ყოველგვარი განსხვავება ე. წ. იდეალურ და რეალურ საგნებს შორის მოსპობილია¹¹.

რამდენადაც აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს არსებულის ცნებისაგან არსის ცნების გამოყოფაზე, ჩვენ ამას უნდა დავუძირისპიროთ, რომ არსის სახეები პირველად არსის ცნებაში მიიღებენ თავიანთ გარკვეულობას¹². მაშინ არსებულთან მისელისათვის შეიძლებოდა დამყარება სხვა თეზისზე დაპირისპირებულ ფორმათა შესახებ.

რაც შეეხება ო. ზელცის მიერ წამოყენებულ „არსებობის როგორც საგნის გარკვეულობის“ პრინციპს, გარდა გაურკვეველი ცდისა, რომ არსებობა როგორც საგნის გარკვეულობა სავის ცნების ნიშნად განმარტოს, მასთან კიდევ ძალიან ბერით საინტერესო არგუმენტაციაა დაკავშირებული, რომლებიც ჩვენი შევეძლო მიგვეღო, ყველაფერი რომ დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი თვალსაზრისის უქონლობით არ უცდებოდეს. სწორედ ამ უქონლობის გამო ავტორმა არ იცის, რომ „მუნარსი“, „გარკვეულობის როგორობა“ და „მოცემულობა“, როგორც „სამი გარკვეულობა“, რომლებიც მას შეეძლია ყოველი ნებისმიერი ფენომენის მიმართ არსებულად მიიჩნიოს, არ არიან ტოლფასი მომენტებია¹³. ამ შეფასებით, თავისთვალი ცხადია,

¹¹ Melnong, Gegenstandstheorie, 40.

¹² ჩვენი გავება განსხვავებულია დრიშის გავებისაგანაც, თუმცა ის ამტკიცებს, რომ „მუნარსი“ და ამგვარად ყოფნა ერთმანეთის სავებით მოითხოვთ, მას აელია წარმოდგენა ამგვარად ყოფნის დალექტიური ბუნების შესახებ. Ordnungslehre, 1923, 2. Aufl., ვ. 52.

¹³ O. Selz, Existenz als Gegenstandsbestimmtheit, Münchener philosophische Abhandlungen, Leipzig, 1911, გვ. 261.

ლოგიკური სუბორდინაცია არ იგულისხმება; მაშინ ავტორს ვერა-ფერს უსაყველურებთ, რადგან მან თვითონ იცის, რომ „მუნარსი“ ის გარკვეულობაა, „რომელიც არსებულ საგანს რანგის თანახმად ყველა თავისი გარკვეულობის როგორობის უწინ ახასიათებს“¹⁴. ჩვენ აქ წინ წამოვწევთ ავტორის იმ მტკიცებას, რომ საგნებს, „გარდა თავისი მოცემულობისა, აგრეთვე, მოსდგამს როგორც გარკვეულობა, ასევე მათი მუნარსი“. ეს შეპირისპირება მით უფრო გაუგებარი ჩანს, რამდენადაც ავტორი კიდევ უფრო აშარად არკვევს, რომ „მუნარსი თავისთავად“ მოცემულობაზე უწინ არსებობს¹⁵, რომ ის „შემდეგაც ისევე, როგორც აღრე“ ისევ ისე რჩება. ავტორს რომ კადევ ერთი ნაბიჯი გადაედგა და მოცემულობასთან ერთად საპირისპიროდ მდგომი საგნობრიობაც მოეხსნა, მაშინ ის დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის ცნებამდე მივიდოდა. ამით მოიხსნებოდა აგრეთვე „გარკვეულობის როგორობასა“ და მუნარსს შორის აღიარებული მანძილიც, ასევე მტკიცებაც, რომ „რომელიმე გარკვეულობის როგორობის არსებობა“ გულისხმობს „ობიექტის არსებობას, რომელსაც ეს გარკვეულობის როგორობა გააჩნია“, — მაშინაც, როცა სხვა საფუძვლებზე დაყრდნობით „ბუნების შესაბამისი“ ჩანს, რომ „როგორისა“ და „რას“ გათიშვა არ არის დასაშვები. ჩვენ შეგვიძლია, ავტორს საესებით დაცეთანხმოთ, როდესაც ის ამბობს: „ყველა არსებული მხოლოდ არსია და ასევე მხოლოდ ინდივიდუალური, მუნარის საგნობრივი გარკვეულობის გამო“. მაგრამ როდესაც ის ამ ორჯერ გამეორებულ „მხოლოდს“ შეზღუდვის აპრის სმარობს, ამას ჩვენ გავიგებდით ზოგადი წესის სახით, რაც მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, რომ როგორც მოცემულობას, ისევე საგნობრივს დაპირისპირებულობის სფეროდან გავდევნით.

მაგრამ შესაძლებელია, რომ არსისა და არსებულის გათიშვის გზას სულაც არ დაადგეთ და მაინც არსებული შემთხვევითად გამოაცხადოთ და სცადოთ ეს შემთხვევითობა სულ სხვა გზით დაუკავშიროთ არსებას. ამ გზას ადგას უენომენოლოგია: „ყოველი სახის ინდივიდუალური არსი შემთხვევითია. ის ასეა, მაგრამ თავისი არსების თანახმად სულ სხვაგარად შეიძლებოდა ყოფილობა“¹⁶. მაგრამ ეს სხვაგვარად

¹⁴ ibid, 268.

¹⁵ ibid, 270.

¹⁶ Husserl, Ideen, gg. 9.

ყოფინის შესაძლებლობა ხელს არ უშლის ინდივიდუალურ არსეს, პქონ-
 დეს „არსება და, მაშასადამე, წმინდად საწვდომი არსება და ეს დგის
 ახლა ზოგადობის სხვადასხვა საფეხურის არსების ჰეშმარიტებათა
 შორის“. ამრიგად, ფაქტორობა შეიცავს „მეორად“ და რელატიურ
 განსაზღვრებებს; და მიუხედავად ამისა, სწორედ ამგვარ შემთხვევი-
 თობას შეუძლია შეადგინოს „თავისებურება“, რომელიც კვლავ
 ფაქტორობის არსებას ეკუთვნის, რამაც, მაშასადამე, თავის მხრივ
 უნდა შეადგინოს „არსებითი პრედიკაბილიები, მას რომ უნდა ახასია-
 თებდეს, რათა შეიძლებოდეს, რომ მას სხვა მეორადი და რელატიური
 განსაზღვრებებიც გააჩნდეს“ (ibid.). აქ ჩვენთვის, უპირველეს ყოვ-
 ლისა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არსებობს თავისებური და თავისი
 არსების მიხედვით უაღრესად მნიშვნელოვანი მიმართულება აზროვ-
 ნებისა, რომელსაც ყოველ ფენომენში, რაც არ უნდა განსხვავებული
 იყოს ის სხვისაგან, შეუძლია განჭვრიტოს „არსების ჰეშმარიტება“.
 „შინაარსი“, როგორც რეალური „საქმის ვითარება“, როგორც ჩანს,
 ამ დროს არავითარ როლს არ თამაშობს და „არსებობანი“ (Existen-
 zen), ინდივიდუალურ არსამდე ჩამოქვეითებული და აზრით „არსე-
 ბებს“ დაპირისპირებული, ფანტაზიის ქმნილებათა მოცემულობას გა-
 უთანასწირებიან, რამდენადაც ორივე გზას ჰკაფავს არსებისაკენ¹⁷.
 ეს გათანასწორება საბოლოოდ ჩამარხულია არა თვით „საქმის ვი-
 თარების“ თავისებურებაში, არამედ იგი არის „ფენომენოლოგის ძი-
 რითადი ასპარეზის“ სამსახურში, სადაც რეფლექსიის ყველა უნი-
 მენი ერთიანდება, რათა ათვისებულ იქნეს როგორც „აბსოლუტური
 არსი“. წმინდა ცნობიერების „საკუთარ არსეს“, რასაც ვეძებთ აქ სა-
 ბოლოოდ, ნამდევილად მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს: მან რეფლექსია-
 ში და რეფლექსიის საშუალებით უნდა იპოვოს გზა ჰეშმარიტი ფი-
 ლოსოფოსობისაკენ. ნაცვლად იმისა, რომ „გულუბრყვილოდ“ აღქმასა
 და გამოცდილებაში ვიცხოვროთ, ამ აქტებში, რომელებშიაც ნიეთო-
 ბანი (Dingheiten) (ჩვენ ვიტყოდით „საგნობრიობანი“) „გვევლინე-
 ბიან“¹⁸, უნდა მოიძებნოს გზა აბსოლუტური არსისაკენ. ყოვე-
 ლივე ეს მშვენიერია და სავსებით შეესაბამება ფილოსოფოსობის გზის
 ძიებას. მაგრამ ყოველივე ეს ამაოთ, თუ არ იქნება აღიარებული, რომ

¹⁷ ibid., 42.

¹⁸ ვვ. 94, პუსტლის შრომაში ამ აღილზე არის «Dingeinheiten» და არა

ეს მიტოვება „მათში ცხოვრებისა“ მხოლოდ „უშინაარსო“ დაღვენა-
შია, დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომშია. არსების ჭიდვა-
შარი ტება, რომელსაც სურს იყოს „გულგრილი“¹⁹ ჰეშმარიტები-
სა და არაჰეშმარიტების, სინამდვილისა და არასინამდვილის მიმართ,
არ არის თავმდები ამ დაპირისპირებულობების გარეთ გასვლა. ეს
დაძლევა, როგორც ზემოთ ითქვა, შეუძლია ვანახორციელოს მხო-
ლოდ „ჰეშმარიტებამ თავისთავად“, რომელსაც ამგვარადვე გულგრი-
ლი დამოკიდებულება აქვს აღნიშნული დაპირისპირებულობის მიმართ,
მარტამ ამისათვის სულ სხვა საფუძველი არსებობს. არსების ჰეშმა-
რიტება მხოლოდ მაშინ შესძლებს მიაღწიოს „აბსოლუტურ არსს“,
როდესაც ეს არსი დაპირისპირებულობაზე მაღლა იქნება. ფენომენო-
ლოგიის აბსოლუტურ არსსაც უნდა, რომ იყოს დაპირისპირებულო-
ბაზე მაღლა. მაგრამ ეს მიიღწევა არა დაძლევის მეთოდით, რომელიც
ერთადერთი ნაყოფიერი შეიძლება იყოს აქ, არამედ უართქმისა და
თავშეკავების მეთოდით, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს არა იმასთან,
რაც დაპირისპირებულობაზე მაღლა დგას, არამედ, უკეთს შემთხვე-
ვაში, ნეიტრალობამდე. ჩვენ აღიდ მნიშვნელობას არ ვანიშკებთ არსისა
და მგვარად ყოფნის განსხვავებას, რასაც საგნის თეორიის წარმო-
შალვები აკეთებენ, რადგან არსებულს არ შეიძლება ჰქონდეს
ამგვარად ყოფნის გარეშე პოსტულირებული არსი. როგორც კი აღ-
მოჩნდება, რომ ეს განსხვავება არ არის მყარი, მაშინვე ვაქრება ის
სიძნელე, რომელიც იღეალური და რეალური საგნების განსხვავები-
თან წარმომდგარა. „ჰეშმარიტება თავისთავად“, როგორც დაპირის-
პირებულობაზე მაღლა მდგომი, არც იღეალურია და არც რეალური,
ივი არის „არსზე მეტი“. მივმართოთ ამ ცნებას.

არსში გადაინასკევება „არსზე მეტი“ და ამგვარად ყოფნა. ამაში
გამოიხატება ის ფაქტი, რომ არსებული დიალექტიური ბუნებისაა.
ყველაფერი, რაც არის, არის ისე, როგორც იგი არის და, ამდენად,
გარეულებად მას არ შეუძლია შეიცავდეს იმაზე მეტს, რაც ის არის.
შეირჩე მხრივ, რამდენადაც არსებული არა მარტო არის, არამედ
მხოლოდ ისეა, როგორც არის, ის რაღაც იმაზე მეტი უნდა იყოს,
ვადრე არის ის, რაც არის. მაშასადამე, ამგვარად ყოფნის ფაქტში
უკვე არის „არსზე მეტი“ ფაქტი. ამრიგად, ყოველი არსებული

¹⁹ ქვე, გვ. 13.

უკვე შეიცავს „არსზე მეტი“. „არსზე მეტი“ არ არსებობს არსებულის „გვერდით“, „ზემოთ“ და ა. შ., იმიტომ, რომ იგი ს აერთოდ არ არსებობს. იგი უკვე აღარ საჭიროებს არაეითარ არსებობას სწორედ იმიტომ, რომ არსებულის არსი არსებულზე მეტი. არსებულის ფაქტიურობა ამგვარად ყოფნაშია და, ამრიგად, ხორციელდება „არსზე მეტის“ საშუალებით. თუ არაფერს შეუძლია სხვაგვარად ყოფნა, ვიდრე ისე, როგორც არის, მაშინ „არსზე მეტი“ არ საჭიროებს არაეითარ საკუთარ არსებობას, არაეითარ საკუთარ „მუნკოფიერებას“. სადაც არის არსი, იქ არის „არსზე მეტი“; მხოლოდ მასშია მისი „მუნ-ყოფიერება“.

ათასწლობით სწავლობს ადამიანის გონება არსებულის არსებას და გასაოცარია, რომ მან მასში ის მხარე ვერ აღმოაჩინა, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს „არსზე მეტი“. მხოლოდ ერთხელ ავიდა ანტიურობა ამ წვერვალზე — როდესაც პარმენიდე არსებულს აზრით მისწვდა. ჩვენ არ გვჭირდება იმის განსაზღვრა, თუ რა დამოკიდებულებას აღიარებდა გვნიაღური ელეველი ამ ორ მომენტს შორის. დადგენილი არ არის, რომ იგი იგივეობას აღიარებდა, რაც პირველად პ. კოპენბა²⁰ გაიხადა თავისი „მეთოდური“ იდეალიზმის ამოსავალ წერტილად, რაც ჩვენს დროში ნ. პარტმანმა²¹ კელავ „მიზანს ზევით გამიზნულ იგივეობის თეორიად“ გამოაცხადა²². ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ აქ ყოველ შემთხვევაში საქმე გვაქვს „არსზე მეტის“ აღიარებასთან. და მართლაც, როგორც ელეველთა მთელი აზროვნების დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, არსებული ჯერ უნდა ქცეულიყო — „მთლიან-ერთად“ და არაფერი არ უნდა დაეტოვებინა თავის გარეშე; რას გამოც აზროვნება არსებულს ეკუთვნის. არსისა და აზროვნების შინაგანი დამოკიდებულება კი არ ჩანს აქ გადასაწყვეტი, — ასე შეიძლება გაიგონ მხოლოდ იგივეობის თეორია „შემცნების პრობლემის“ დროს, — არამედ არსებულის ყოვლისმომცველი ერთიანობა და მთლიანობა, რომელიც, რაც უნდა დაჯდეს, აზროვნებას არ-

²⁰ Cohen, System der Philosophie. Erster Teil. Logik d. Reinen Erkenntnis, 3. Aufl. Berlin, 1922, გვ. 15.

²¹ N. Hartmann, Diesseits von Idealismus und Realismus. Kritikstudien, B XXIX.

²² Parmenides U., 94.

სებულის სფეროს შეუწყობდა. მხოლოდ ამ ოვალსაზრისით უნდა გა-
ვივოთ ქსენოფონტის მტკიცება: თბ ყავ პლეი ესტ! ერემა²³.

თუ აზროვნება არსებულის სფეროს ეკუთვნის, ამით ის არსე-
ბულში როდი გადადის. აქედან უკვე შორს აღარ არის იმის აღიარე-
ბამდე, რომ არსებულთან კიდევ რაღაც არის დადგენილი: „არსზე
მეტი“. ჩვენ დავინებით როდი ვადგავართ იმ აზრს, რომ პარმენიდემ
მოახერხა არსებულის არსების გამორკვევა. ჩვენ აქ ისტორიული ექს-
კურსი როდი გვაინტერესებს, არამედ გვინდოდა მხოლოდ აღვევენიშნა,
თუ რა პირობებში შეიძლებოდა განხორციელებულიყო აზრი „არსზე
მეტის“ შესახებ. არსებულის არსება, რომელსაც არ შეუძლია იმაზე
მეტი იყოს, რაც არის და რომელსაც მაინც თან ახლავს „არსზე
მეტი“, გადადის „ჰეშმარიტებაში თავისთავად“. პირეულს მოსდევს
მეორე. რამდენადაც უცილობელია პირეული, იმდენად ურყევად არის
დაგენილი მეორე: თვით არსებული ან მისი დროში
და სივრცეში მოცემული ნაწილი კი არ არის
ჰეშმარიტი, არამედ „არსზე მეტი“ მასში, რაც მეღავნდება არ-
სებულის ამგვარად ყოფნაში²⁴. „ჰეშმარიტებას თავისთავად“ არ გა-
აჩინია „საეუთარი შინაარსი“ არსებულის ამგვარად ყოფნის გვერდით.
იგი არ წარმოდგება აგრეთვე არც თვით დაპირისპირებისაგან, რად-
გან სამისოდ უმიშვნელოვანესი რამ აკლია: დაპირისპირების ფაქტი,
რაც სულ ცოტა ორ მომენტს მაინც საჭიროებს „საპირისპიროსათ-
ვის“. „ჰეშმარიტების თავისთავად“ უშინაარსობა, რომელიც ზემოთ
წინასწარ გამოვლინდა, მასში პპოვებს თავის დადასტურებას. ახლა
ჩვენ შევვიძლია უფრო გარკვევით ვთქვათ: „ჰეშმარიტების თავის-
თავად“ უშინაარსობა იქიდან მოდის, რომ იგი ამგვარად-ყოფნის დია-
ლექტიური ბუნებიდან წარმოდგება. არა არსებული, არამედ ამგვა-
რად ყოფნის, ან „არსზე მეტის“ მომენტი მასში არის მატარებელი
ჰეშმარიტებისა, რომელიც არ არსებობს, მაგრამ ყველა სხვის არსე-

²³ შდრ. Zeller, Die Philosophie der Griechen. 1892. Leipzig. 348
და შემდ.

²⁴ არსზე მეტის მომენტი ალეთეოლოგიურ-დიალექტიკურის საქმეა. ლიტერ-
ატურის ფილოსოფიის შეიქ წამოყენებული მომენტი, რაც „მიშვნელობის, ძალის
შემნება ისე, რომ არ არის აუცილებელი იყოს“ (Windelband, Präludien
1903, გვ. 393) სულ სხვა რამ არის, იგივე ლოტცესთან: „აღმულება... არც ისეა,
როგორც ნივთი და არც მოვლენასავით ხდება... მისი სინამდვილე იმაშია, რომ მას
ძალა და მიშვნელობა აქვს“. Logik, 1874, 499 და შემდ.

ბობას გამოხატავს. უშინაარსობა, ირელაციონალურობა, გულგრილობა ძირითადი ღოვიური კანონების მიმართ და დასრულებულობა — ეს ოთხი ნიშანი, რომლებიც „თორორის“ შემთხვევაში მხედველობაში იყო მიღებული, მით უფრო ნათელი ხდება, რაც უფრო მეტად შეეჩერდებით ალეთეროლოგიურ ძირითად ფაქტზე. „ჭეშმარიტება თავის თავად“ დიალექტიური მომენტია არსებობის ულ ში. ივი „არის“ იმდენად, რამდენადც არის არსებული და ამიტომ იგი აღარ არის „თავისთვის“. იგი არის ფაქტიურობა ან უგარესეულობა არსებობის არსებობის და მას აქტიურობა არ იყო წინასწარ გამოვლინდა. უშინაარსო ირელაციონალურია, რაც მას აქტიურობა არსებობის არსებობის არსებობის და მას აქტიურობა ნიშანი, უშინაარსობა, იწვევს აგრეთვე სხვა ნიშნებსაც: გულგრილობას ღოვიური კანონების მიმართ და დასრულებულობას. რაც შეეხება პირველს, ივი წარმოდგება ამგვარად ყოფნის დიალექტიური ბუნებისაგან, რაც იწვევს დაპირისპირებულის არა მოჩერენებით, არამედ ნამდვილ გადალახვას. ამით ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი გამოკლევის მთავარ პენქტს, სადაც ჩვენი ამოცანაა, დავადგინოთ დაპირისპირებულობაზე მაღლა დგომა „ჭეშმარიტებისა თავისთავად“.

8. ბაიბისის ირავალობაზე მაღლა დგომა „უავარიტაპისა თავისთავად“

აქამდე დადგენილია, რომ დაპირისპირებულობაზე მაღლა დგომა „ჭეშმარიტებისა თავისთავად“ მდგომარეობს „თავისთავადში“, ე. ი. დაპირისპირებული მომენტების „გარეშე“ და მათზე „მაღლა“ ყოფნაში. ალეთეროლოგიურ ძირითად ფაქტს ცხადი უნდა გაეხადა ეს მხარე „ჭეშმარიტებისა თავისთავად“. მას შემდეგ, რაც ცნება „ჭეშმარიტებისა თავისთავად“ ზოგადად დადგენილია და საბოლოოდ იგი „ამგვარად ყოფნისა“ და „არსზე მეტის“ დიალექტიური გადაწყვეტა აღმოჩნდა, „ჭეშმარიტების თავისთავად“ არსების განსაზღვრება კიდევ ისე უნდა შეიქვსოს, რომ მან დაპირისპირებულობის გადალახვას მიაღწიოს.

ჩვენ დავინახეთ, რომ ფილოსოფიაში ცნობილი ყველა ცდა, ეპოვათ ფილოსოფოსობის ამოსავალი წერტილი და ამ აზრით გადაედახათ მრავალსახოვანი და დაპირისპირებული; შინაგანი ნაკლოვანები-

საფან დაიმსხვერა. აღარაფერს კამბობთ რა ანტიკური და ახალი დრო-ის პოზიციების შემთხვევაში, ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გავუსვათ იმ „გამო-რემოვბას, რომ ჩვენს თანამედროვე მოაზროვნებსაც, რომელთაც დაპირისპირებულის გადალახვა ფილოსოფიის გარეეულ პროგრამად აღიარეს, ჩვენი აზრით, დაებნათ ის გზა, რომელზეც ეს გადალახვა შესაძლებელია. პუსერლის ცდა, როგორც აღინიშნა, ნეიტრალობით მთავრდება. ფენომენოლოგის ძირითად ასპარეზზე არ არსებობს არაერთარი დაპირისპირებული ჰეშმარიტება-არაჭეშმარიტება; რეა-ლური-არარეალური და ა. შ., მაგრამ ეს იმიტომ, რომ ფენომენოლო-გია ნეიტრალურად ეპყრობა ამ დაპირისპირებულობას. ნეიტრალობა და კულტრილობა როდია გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა. ასევეა ლას-კუნან. ჩვენ უკვე შემთხვევა გვერნდა, აღგვენიშნა, რომ ლასქს დაპი-რისპირებულიბის დაძლევის ნაცვლად შემოაქვე შერიცება მისი მო-მენტებისა, რითაც, თავისთვალ ცხადია, დაპირისპირებულობაზე მაღ-ლა მდგომი არ მიიღწევა. უკანასკნელი გარემოება იმით გამოიხატება, რომ გაშუალება შერიცება ში „საგანს“ და ეკის რე-ბა. დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომთან მისასვლელს უზრუნ-ველყოფს არა ნეიტრალობა ურთიერთმებრძოლი მომენტების მიმართ, არა ამ მომენტთა პრობლემატური შერიცება უსარვებლი შუამავლის დახმარებით, არამედ მხოლოდ ის, რამაც დაპირისპირებულობა თავის თავში დიალექტიკურად გადალახა.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის შესრულება შეუძლია „ჰეშმა-რიტებას თავისთვალ“. მაგრამ რაში უნდა მდგომარეობდეს დიალექ-ტიკური ბუნება „ჰეშმარიტებისა თავისთვალ“? იმ უაქტში, რომ არ-სებული, თუმცა მას როდი სურს იმაზე მეტი იყოს, ვიდრე არის სინამდვილეში. როგორც კი არის, მავინც უკვე „მეტია“, ვიდრე ის, რაც არის. მრი-გად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს წინააღმდეგობის განხორციელებასთან. ცნება „არსზე მეტი“, რომელიც არსებულის ამგვარად ყოფნაში ხდე-ბა ნათელი, თავის თავში ისეთ მომენტებს აერთიანებს, რომლებიც ლოგიკურად წინააღმდეგობრივად ითვლებიან და მრიგად ლოგიკურ გზაზე მიუღებელნი არიან. ამაშია დასაბუთება იმისა, რომ აქ ჩვენს წინაშე არა ლოგიკური, არამედ მისგან ძირეულად განსხვავებული სუკრო ალეთეროლოგიურისა. მასთან ასლო კავშირში იმყოფება ალე-თეოლოგიურის ნიშანი, რასაც ზემოთ სხვასთან ერთად წინასწარ

ხაზი გაესვა: ძირითადი ლოგიკური კანონების გამოუსაღებობა აღვ-
თეოლოგიური ძირითადი ფაქტისათვის.

ფაქტი, რომ მცდარი მსჯელობა, როგორც მსჯელობის ამგვარად
ყოფნა, ჭეშმარიტებაა, რაც თვით ამ ფაქტში ნათელი ხდება, ახლა
შეიძლება უფრო ზუსტად აღიწეროს. წინააღმდეგობის მიღმღურობა,
რაც პირველი შეხედვით ცხადი არ არის ალეთეოლოგიურ ფაქტში,
თავის საბოლოო ახსნას პპოვებს „ჭეშმარიტების თავისთავად“ და-
ლექტიურ ბუნებაში. წინააღმდეგობა იმ მომენტში, როდესაც ის
მეღაენდება, შეგვიძლია ვთქვათ, უკვე გადალახულიც არის „ამგვარად
ყოფნის“ და „არსზე მეტის“ ცნებების მომენტებით, რომლებიც უერ-
თდებიან „ჭეშმარიტებას თავისთავად“. აქ ლაპარაკი არ არის დაპი-
რისპირებულთა შერიცებასა ან ნეიტრალიზაციაზე, არამედ მათ დას-
მასა და გადალახვაზე. „ჭეშმარიტების თავისთავად“ არსებას შეაღ-
გენებ არა შინაარსიანობა და დაპირისპირებულობა, რომელიც, რო-
გორც დავინახავთ, ნიშანია სწორედ „ჭეშმარიტებისა ჩეკვთვის“,
არამედ უშინაარსობა და დაპირისპირებულობაზე მაღლა დგომა.

ასე და მხოლოდ ასეა შესაძლებელი დაპირისპირებულობაზე მაღ-
ლა მდგომისაკენ მიმავალი გზა. ასე და მხოლოდ ასე შეიძლება და-
ძლიო დაპირისპირებული. ის გარემოება, რომ უშინაარსო „არსზე
მეტი“ სათანადო ყურადღების გარეშე იყო, გახლდათ მიზეზი იმისა,
რომ ყველა დღემდე ჩატარებულმა ცდამ როგორც ჭეშმარიტების თე-
ორეტიკოსების, ისე ამოსავალი პუნქტის მკელევრების შხრივ, ვერ
შესძლო თავი დაეღწია დაპირისპირებულობის ბრჭყალებისაგან.

9. ლოგიკურისა და ალეთეოლოგიურის ღიალეათვია

ისე ჩანს, თითქოს „ჭეშმარიტების თავისთავად“ დიალექტიკური
ბუნების აღიარება უკუგდებულ დაპირისპირებულობას ისევ შემოუშ-
ვებს უკანა კარგიდან. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა
აღნიშნოთ, რომ აქ შეიძლება მხედველობაში მიეიღოთ დიალექტი-
კურის მხოლოდ განსაზღვრული ცნება. დიალექტიკის საკითხის ის-
ტორიულ განხილვას, რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა იყოს იგი, ამ
შესავალში ვერ შევუდგებით. მაგრამ მაინც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ
ანტიკურობის დიალექტიკას, რომელიც გარკვეული აზრით ტრანს-
ცენტრულურ ფილოსოფიაში კიდევ პოულობს გამოძახილს, აქ წა-
გულისხმევ დიალექტიკასთან არავთარი საქმე არა აქვს. სავსებით

ალეთერიოლოგიის წრის გარეთაა ის დიალექტიკა, რომელიც ელევაციური შეხედულებათა სხვადასხვაობაში წარმოშვა, რომელიც შემდეგ პლატონთან განვითარდა კითხვისა და პასუხის ფორმით შეხედულებების გაცვლის სახეობად, შემდეგ არისტოტელესთან, როგორც არამედმივი და მერყევი შეხედულებების გამოხატულებათა ასპარეზი, დაუპირისპირდა აზრისა და არის მუდმივ ფორმებს, შემდევ კი, ამ უკანასკნელი სახით, სათანადო შესწორებებით ტრანსცენტალურ ფილოსოფიამდე შემოინახა. დიალექტიკის ჩვენი გავება ხაზს უსვამს იმას, რომ „წინააღმდეგობის“ და „შეჯახების“ გამომდევნები მომენტები მათს გადაჯვარედინებაში უშინაარსობაში ის ისე, როგორც იგი არის — გამოთქვამს „თეზისი“, მაგრამ რამდენადაც იგი ისე არის, როგორც არის, ის „მეტია“, ვიდრე ის, რაც არის. გარეულობა-არ შედის არსებულში, ის „მეტია“, ვიდრე ის, რაც ვაირკვევა. ალეთერიოლოგიურად თუ გამოვხატავთ, ეს თეზისი ასე გამოითქმება: არსებული არ არის ჭეშმარიტება, არამედ იგი არის როგორც ჭეშმარიტება, ე. ი. ჭეშმარიტების წესით. აქ დამტკიცდება არა არსის ჭეშმარიტება, არამედ არსებულის ჭეშმარიტყოფნა. რა არის ამ დიალექტიკაში დაპირისპირებული? „თეზისი“ ამბობს, რომ არსებული მეტი არაფერია, თუ არა მხოლოდ ის, რაც ის არის. სად არის „ანტითეზისი?“ რამდენადაც არსებული არ არის იმაზე მეტი, რაც იგი არის, ის მეტია იმაზე, რაც არის. „მეტი არაფერი, თუ არა არსებული“ იგივეა რაც „არსებერი მეტი“. ეს დიალექტიკურის ალეთერიოლოგიური გამოითქმაა. რა არის მასში საკუთრივ ალეთერიოლოგიურ-დიალექტიკური?

ალეთერიოლოგიურ-დიალექტიკური „თეზისი“ უკვე მის „ანტითეზისში“ და მუდმივად მოიხსნება: „ამგვარად ყოფნა“ შეიცავს თავისი თავში „არაამგვარად ყოფნას“ და მხოლოდ მისი საშუალებით შეუძლია არსებობა. „ამგვარად არსებულში“ არაფერი არ ჩერება გარეშე „არა ამგვარად არსებულისა“ და პირიქით. „ამგვარად არსებული“ გადადის „არაამგვარად არსებულში“ — და პირიქით მუდამ ისე, რომ არცერთი მათგანი თავის არსებას არ იცვლის. ფაქტიური ერთმანეთში გადასცვა იძლევა უშინაარსობას. „თეზისმა“ კი არ უნდა დაძლიოს „ანტითეზისი“ (ანდა პირიქით), არამედ თავად დაპირისპირებულობა, რომლის მომენტებიც არიან ისინი, გადალახული თავის უშინაარსო ურთიერთგადასცვლაში. დაპირისპირებულობის წამოჭრა აქ ამავე

და რომ ს მათი მოხსნაა. არსებული არის ისე, როგორც იგი არის და „ამგვარადყოფნაში“ უკვე ჩამარხული „არსზე მეტი“. „არსზე მეტი“ გასდევს არსებულს მთელს ყოფიერებაში; და ეს არის ის „ჩემშემარტება, თავისთავად“, რომელსაც წინაღოვნეურის სფეროში თავისი აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს²⁵.

თეზისი და ანტითეზისი, პოზიცია და ნეგაცია ორგვარი სახით შეიძლება ერთმანეთს შეეჯახონ. ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ ერთმანეთი მოხსნან და შედევგად „არარაობა“ მოვცენ. ეს შემთხვევა ჯერ კიდევ რჩება დაპირისპირებულობის სფეროში, რადგან „არარაობასთან“ მიმყვანი დაპირისპირება მაინც დაპირისპირებად რჩება. აյ ჯერ კიდევ არავითარი გადაწყვეტილება არ დგინდება და ეს შემთხვევა საკუთრივ ფიქრის და მსჯელობის სფეროს ეკუთვნის, რაც ჯერ კიდევ მსჯელობის გამოყვანამდე ვერ მიღის. ამრიგად, ეს შემთხვევა ქმნადობაში მყოფი შემეცნების მაგალითია და ეკუთვნის მაშასადამე, აზროვნების ფსიქოლოგიას. სხვა შემთხვევაა, როდესაც პოზიცია მის დაპირისპირებულ ნეგაციას გადალახავს. ანტითეზის სძლევს თეზისი. ამ დაძლევის შედევგია თეზისის შინაარსის გამდიდრება და ხიდი მესამე, სინთეზის უფრო მაღალი მომენტისაკენ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დიალექტიკს, რამდენადაც იგი უარყოფის გადალახავს ისახავს მიზნად, თვით უარყოფა უკვე თავისებურად ესმის²⁶. მიუხედავად ამისა: მთავარი საქმე აქაც ის არის, რომ დიალექტიკა დაპირისპირების მომენტებს ტოვებს. გა ა დ ა ს ვ ლ ა ა ხ ა ლ მ თ მ ე ნ-ტ ზ ე ხ დ ე ბ ა დაპირისპირების ერთი ელემენტის მეორე ელემენტით დ ა ბ ლ ე ვ ა შ ი. ამრიგად, შეუძლებელია, აქ ლაპარაკი იყოს თვით დაპირისპირებულობის პრინციპულ მოხსნაზე, არამედ შეიძლება დაპარაკი იყოს მხოლოდ დაპირისპირებულ ელემენტთა შორის დაფის პროცესის განსაზღვრულ ფორმებზე, როგორც ის შემთხვევა, სადაც პოზიციისა და ნეგაციის შეჯახებას შედევგად არარაობა აქვს, ისე ის

²⁵ თუ რაოდენ ძნელია ლოგიკურ-დიალექტიკურის ნიადაგზე დაჩრინოთ დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომისაკენ წინსელა, გვიჩვენებს კონის ცდა «Theorie der Dialektik», 1925, გვ. 220—230.

²⁶ Hegel, Enzyklop.—Logik, §§ 116—120, Wissenschaft der Logik, erster Teil, 1923, Lasson, გვ. 35 და შემდ. „რამდენადაც რეზელტატი, უარყოფა, გა ნ ს ა ზ დ ვ რ ე დ ა უარყოფა არის, მას აქვს შ ი ნ ა ა რ ს ი მ“. თვალში საცემი განსხვავდა ლოგიკურ-დიალექტიკურსა და ალეთერიოლოგიურ-დიალექტიკურს შორის სწორედ ამ „შინაარსშია“.

შემთხვევაც, სადაც ნეგაცია დამარცხდება და პროცესი ახალ, შინაარ-
სით მდიდარ პიზიციას უერთდება, ძეელ ნიადაგზე რჩება. სწორი არ
არის, რომ ღოგიერ დიალექტიკაში გამოიყენება ის ცნება დაპირის-
პირებულ ელემენტთა შესახებ, რომელსაც ვხვდებით რიერტთან.
ღოგიერ დიალექტიკაში ერთმანეთის საპირისპიროდ მდგომი მომენ-
ტები ერთმანეთთან სპეციფიკურ დამოკიდებულებაშია, აյ „განსხვა-
ვებულს დაპირისპირებული აქვს არა სხვა საზოგადოდ, არა-
მედ თავის სხვა“²⁷. კიდევ უფრო მეტია: ეს მომენტები, ერთმანეთთან
მიმართებაშია როგორც განსხვავების მომენტები, რომელიც არის იგივეობის
საფუძველს შეიცავენ. დებულება: „საუკეთესო არის იგივეობის
და განსხვავების ერთიანობა“²⁸ მოწმობს, რომ დიალექტიკური დაპი-
რისპირების მომენტები ამ დაპირისპირების მძლეველი ერთიანობის
ელემენტები არიან. ეს ყურადსალები ადგილია პეგელის აზრთა მსვლე-
ლობაში; ოღონდ ჩვენ გვვინია, რომ ეს ერთიანობა არ მიიღწევა და-
პირისპირებულ ელემენტთა შინალოგიკური ბრძოლის გზაზე. არა ერთ-
ერთი ელემენტის მეორე ელემენტით დაძლევას, არამედ „დაპირისპი-
რების“ პრინციპულ მოხსნას მისით შეპყრობილ ელემენტებთან ერთად
მიეყავართ ერთიანობამდე დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომისა.

10. არსი და ვაშარითება

„ჰეშმარიტება თავისთავად“ არის არა არსებული, არამედ „ამგვა-
რად ყოფნისა“ და „არსზე მეტის“ დიალექტიკური ერთიანობა. „ჰეშ-
მარიტების თავისთავად“ დიალექტიკური ხასიათი ამ მომენტებს გაუ-
თიშველ მომენტებად ხდის და არსებული ამგვარად ტოლი იქნება ჰეშ-
მარიტად არსებულისა. ირელაციონალური ჰეშმარიტება, რომლის
დადგენაც სხვადასხვა საშუალებით იქნება გარანტირებული, ყოვ-
ლად ურეალებია არსებულში, რითაც სულაც არ იქნება აღიარებული,
რომ არსებული თავად ჰეშმარიტებაა. აღეთეოლოგიკური დიალექტი-
კა, რომელიც ახასიათებს „ამგვარად და არა სხვაგვარად ყოფნას“,
წარმოგვიდგენს ჰეშმარიტების ხასიათს. მრავალი საუკუნის მანძილზე

²⁷ Hegel, op. cit, § 119 (პეგელის ენციკლოპედიის პირველი ნაწილი, ლო-
გიის მეცნიერება, შ. პაპუაშვილის თარგმანი, თბილისი, 1962, § 119, გვ. 267).

²⁸ Ibid, Wissenschaft der Logik, ვვ. 87, 90 (პეგელის ენციკლოპედიის პირვე-
ლი ნაწილი, ლოგიის მეცნიერება, შ. პაპუაშვილის თარგმანი, თბილისი, 1962,
§ 121, გვ. 273).

განმტკიცებული წარმოდგენა, რომ ჰეშმარიტება აუცილებლად რულაციონალური ცნებაა, რასაც თავი ვერ დააღწის კველა ძროს გამოჩენილმა მოაზროვნებმა შეიძლება და უნდა გადალახულ იქნეს მხოლოდ უშინაარსო „ჰეშმარიტების თავისთვალ“ საფუძველზე. ოღონდ ეს უშინაარსო აღძრავს, მეორე მხრივ, პრეტენზიას, რომ იგი „არსზე მეტია“. აյ ჩეენ უკვე ვიმყოფებით სწორედ აღეთეოოლოგიური დიალექტის სფეროში.

თუ არსებული არსებობს როგორც ჰეშმარიტ-არსი, მაშინ ამით ვაღწევთ რეალისტურ თვალსაზრისს, რაც ყველა აქამდე ნათქვამის შეღეგს წარმოადგენს. ჰესერლის, ლასკისა და სხვათა საპირისპირო არსის, არსებობისა და რეალობის ცნებებს ვაერთიანებთ „ჰეშმარიტ-არსის“ ცნებაში და ამრიგად აღეთეოოლოგიური რეალიზმის მის მოთხოვნას ვაყენებთ. ამით ჩეენ გაეყმიჯნებით როგორც ჰეშმარიტების თეორეტიკოსებს, რომელთაც უშინიათ რეალიზმისაკენ გადადგან ნაბიჯი, ასევე იმ რეალისტებს, რომლებიც არსზე ჩერდებიან, ნაცელად იმისა, რომ გაემართონ „არსზე მეტისაკენ“. დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომზე დაყრდნობით ჩეენ ვეინდა აღეთეოოლოგიური რეალიზმის პრობლემათა წრის საშუალებით შოვიპოვოთ ერთიანი და ძალაუტანებელი თვალსაზრისი დაპირისპირებულს დაქვემდებარებულ პრობლემათა აღსაწერად. ამ შესავალ გამოველევაში ჩეენ ვეინდა შემოვთავაზოთ მხოლოდ წინასწარი გადმოცემა, ჩეენს პრობლემებთან შეიძროდ დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის განმარტებასთან ერთად. — რამდენადაც ყოველი თვალსაზრისის არსებობის გამართლება ლოგიკური ფენომენების ასსნაში იჩენს თავს, ამდენად შემდეგში აღეთეოოლოგიის სპეციალურ შესავალში შეეცდებით ლოგიკის ძირითადი ფენომენები აღეთეოოლოგიური თვალსაზრისით განვაზოგადოთ.

აյ მხოლოდ იმაზე ვეინდა მივუთითოთ, რომ ჩეენი თვალსაზრისის — აღეთეოოლოგიური რეალიზმის — საფუძველზე ჩეენ უყაპირისპირდებით გავრცელებულ თვალსაზრისებს. ირელაციონალური ჰეშმარიტება ჩეენ ვეყოფს ისეთი მოაზროვნებისგან, რომელთაც არა მარტო ერთხელ და სამუდამოდ გაწყვეტეს კავშირი ფსიქოლოგიზმთან, არამედ მსჯელიბის აზრის სრული დამოუკიდებლობა უღიარებიათ. მაგალითად, როდესაც იოზეფ გაიზერი ამბობს: „ჰეშმარიტება არაფითარი თავისთავის არსებული ან სუბსტანციალური არ არის, არამედ მას თვისებისა და რელაციის ბუნება აქვსო“, აქედან ნათელი ხდება,

რომ ეს მტკიცება, მართალია, ძალზე შორს მიდის, განსაკუთრებით, როდესაც გაიზერი დაურთავს ჰეშმარიტების „მატარებელი მსჯელობის“ ბის „აზრიათ“²⁹, მაგრამ მას უმნიშვნელოვანესი რამ აკლია: ყოფელი ციდა, რომელიც დაპირისპირებულობის ნიადაგზე ჩამოატარება, როგორი რადგან ალექსანდრე და ფართო ციდაც არ უნდა იყოს ის, უძლურია, მთლიანად მიატოვოს ანთროპოლოგიზმი, რადგან ამ შემთხვევაში, სულ ცოტა რომ კოქვათ, მაინც ჩამოატარება „საპირისპირო“ და რელაციონალობა. თუ არ არის იმის შესაძლებლობა, რომ გავიხედოთ დაპირისპირებულობის მაღლა და იქით, მაშინ ანთროპოლოგიზმის გადალახვა უმიერთა კიკითხოთ: რა მოუვა ჰეშმარიტებას, თუ რელაციაში გამომეტავენებული „მტკიცება“ მცდარია? მაშინაც განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ამით „ჰეშმარიტებას თავისთავად“ ბოლო მოედო? მაშინაც იდა-ებები იმაზე, რომ მათი მტკიცება, თუმცა შინაარსობლივად მცდარია, მაგრამ როგორც ამგვარად-ყოფნის ფაქტი ჰეშმარიტებაა? ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ყველა ეს თეორია, როგორ თანამიმდევრულადაც არ უნდა ააგონ ისინი, შინაარსობლივზე მიჯაჭველი და დაპირისპირებულობისა და ანთროპოლოგიზმის ჩარჩოებთანაა დაკავშირებული. ფილოსოფიას, რომელიც თავისუფლდება ფსიქოლოგიზმისა და ანთროპოლოგიზმისაგან, მხოლოდ მაშინ ექნება წარმატება, თუ ის ანთროპოლოგიზმის ბოლო ნაშთს — დაპირისპირებულობასაც თავიდან მოიშორებს და ისეთ თვალსაზრისს მიუახლოვდება, რომელიც დაპირისპირებულობის მომენტებზე ხელის აღების ნებას იძლევა. დანარჩენი უნდა ითქვას ჰეშმარიტების პრობლემის განხილვის დროს.

იმის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ ირელაციონალური ჰეშმარიტება, ე. ი. „ჰეშმარიტება თავისთავად“ მიითხოვს ყოველგვარი საეშირის გაწყვეტას არა მარტო ანთროპოლოგიზმთან, არამედ, არა ნაკლებ რადგანალურად, — რეალისტურ ცრურწმენებთანაც საერთოდ. რ. პერბერტიცი სამართლიანად იქცევა არა მარტო იქ, სადაც ამბობს, „რეალისტებთანაც“ პრობლემათა გადახლართვას მოლად ვერ აიცილებენ თავიდანო“³⁰, არამედ იქაც, სადაც ის თავისი პროლეგომენების ერთიანას „რეალისტური ბანაკიდანაც მოელის“. პრობლემა წინააღმდეგ პრობლემათა გადახლართვისა, რასაც პერბერტიცი კიულპეს „რეალიზმებაზეც“ ავრცელებს, სრულიად სამართლიანია. მაგრამ ჩამდე-

²⁹ J. Geiser, Wahrheit und Evidenz, გვ. 16 და შემდეგ.

³⁰ Herbertz, Proleg. IV.

ნადაც ეს ბრძოლა დაპირისპირებულობის ნიადაგზე წარმოქას, განკუსავითხავი რჩება, შეიძლება თუ არა წარმატება პქონდეს მას? ჰეშმარიტების პროცესის პროცესის განთავისუფლება ჰეშმარიტების უკეცების პროცესის პროცესის პროცესის პროცესის გადახლართვისაგან მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხერხდეს, როდესაც დამყარდება განხსნავება „ჰეშმარიტების თავისთავად“ აღეთეიოლოგიური აზრით და „ჰეშმარიტების ჩვენთვის“ შორის. ჰერბერტცის არ შეუძლია წარმატებით ებრძოლოს აღნიშნულ გადახლართვას, რადგან ის თვითონ დაუშვებს „ჰეშმარიტების თავისთავად“ გადახლართვას „ჰეშმარიტებისთან ჩვენთვის“²¹. ჰეშმარიტების პრობლემის გათიშვა ჰეშმარიტების შემცნების პრობლემისაგან არ მიიღწევა არსისა და სინამდვილის გათიშველ სუროებზე მითითებით, როგორი საფუძვლიანიც არ უნდა იყოს ეს მეორე გათიშვა. პრობლემათა გადახლართვისაგან გამოვეყიყვანს არა არსი, არამედ „არსზე მეტი“. ეს გზა, მართალია, რეალისტური რჩება, მაგრამ რადგან მას ჰეშმარიტების წესში არსებულთან მიჰყავს, ეს აღეთეიოლოგიური რეალიზმია.

არსი სულაც არ საჭიროებს იმას, რომ იყოს არსებულის რეალური პრედიკატი. პიუში და მას შემდეგ კანტი შეცდომას ჩადიან, როდესაც ფიქრობენ, თითქოს არსს ან არსებობას შეეძლოთ მოითხოვონ არსებულის სხვა პრედიკატების გვერდით ყოფნა. არსის ცნების საქმეა არა ის, რომ იყოს პრედიკატი სხვა პრედიკატთა შორის, არამედ მასში გამოიხატება ის, რომ ეს პრედიკატები ამგვარად და არა სხვა გვარად ეკუთვნიან ამ და არა სხვა არსებულს. არა არსი, არამედ „არსზე მეტი“ ამგვარად ყოფნასთან დიალექტიურ კანტიში იყო ის, რაც არ შეიძლება იყოს პრედიკატი სხვა პრედიკატთა შორის, არამედ რაც პირველად ხდის შესაძლებელს თვით პრედიცირებას და მხოლოდ ამგვარად მოსდგამს არსებულის ცნებას. კანტმა და ყველამ, ვისაც ეკვნა, რომ მისი არგუმენტაცია არსის, როგორც რეალური პრედიკატის, წინააღმდეგ მყარია, არსებულში ვერ შეამჩნია „არსზე მეტი“. თუ რეალისტს სურს ორიენტაცია არსზე აიღოს, ის, როგორც თავისუფალი არ უნდა იყოს ფსიქოლოგიზმისა და მთლიანად ანთროპოლოგიზმისაგანაც, კანტის არგუმენტაციის ძალას ვერსად წაუვა. ისეთ არგუმენტებს, როგორიც კანტსა აქვს, ვერც დუმილით უარყოფ და ვერც უბრალოდ მიიღებ, საჭიროა მათი უკუგდება. მაგრამ აქ ახლა

²¹ Ibid, V.

ახალი პერსპექტივები იშლება. ღირებულების ფილოსოფიის ძალა რიკერ ტი ისე უდი ფორმით იმაზეა დამყარებული, რომ იგი კანტის ტის არსის არგუმენტაციიდან წარმოდგება²². თუ რეალიზმი, როგორც ეს პერპერტიციანაც²³ ხდება, არსის პრობლემის მიმართებით კანტის თეზისს ვერაფერს დაუპირისპირებს, ე. ი. თუ მან ვერ გაითვალისწინა „არსზე მეტი“, არსებულს რომ მოსდგამს, მაშინ მისი ბრძოლა არ-სისათვის წინაშეარ ამაოა.

იმ დასკვნებს პირისარ, რიკერტის ღირებულების თეორიას კან-ტის არსის მოძღვრებიდან რომ გამოჰყავს, ასეთი რეალიზმი იარაღ-აყრილია. მხოლოდ იქ, სადაც „არსზე მეტი“ თავისი აღეთეილობი-ური გამოხატულებით მოსდევს არსებობა, როგორც გარ-კვეულობა და, მაშასადამე, პრედიცირების შესაძლებლობა, იქ რეალიზმი მტკიცედ უდგას კანტის არსის მოძღვრე-ბას და აკრეთვე იქიდან გამომდინარე დასკვნებს.

11. ალათაიოლოგის აღმილი

ზემოთქმულიდან ადვილი მისახვედრია, თუ როგორ უნდა ვუპასუ-ხოთ საკითხს აღეთეილობის აღვილის თაობაზე ფილოსოფიის მთლიან სფეროში. თუ აღეთეილობის მოიცავს იმას, რაც დაპირის-პირებულების ყოველგვარ რეგიონზე მაღლა იმყოფება, მაშინ გას იმის უფლებაც უნდა მიენიჭოს, რომ „პირველი ფილოსოფია“ ერქ-ვას. ფილოსოფიის თვალსაზრისი ყოველგვარი თვალსაზრისიანობის უარგლებს გარეთ უნდა იყოს. ჟეშმარიტების დიალექტიკური ბუნება მოელ ხაზზე შეიცნობა. იგი არა მარტო დაპირისპირებულობის მოხს-ნის ძირითად მომენტში, ე. ი. „ამგვარად ყოფნისა“ და „არსზე მეტის“ უშინაარსობის ძირითად მომენტში მეღდავნდება, არამედ იმაშიც პო-ვებს გამოხატულებას, რომ ისეთ თვალსაზრისს ადგას, რომელიც სძლევს დაპირისპირებულობით მოცემულ შეზღუდულობას. დაპირის-პირებულებაში მყოფი შეზღუდულობა, მართლაც, თავისებური ცალ-მხრივობა იმიტომ, რომ დაპირისპირებულობიდან წარმომდგარ ამ შეზღუდულობაში მეღდავნდება მხოლოდ ერთი თვალსაზრისი, ერთი მხრიდან წარმომდგარი. ამით, თავისთვალ ცხადია, მეორე მხრის

²² H. Rickert, Der Gegenstand der Erkenntnis, Tübingen, 1915, 140—143.

²³ R. Herbertz, Prolegomena, Halle, 1916, და შემდ. 130 და შემდ.

თვალსაზრისი არ არის გამორიცხული, პირიქით, იგულისხმება კოდე-
ვაც, რამდენადაც დაპირისპირებულობა მოითხოვს და გულისხმობს
დაპირისპირების შემადგენელი ორივე მომენტის არსებობას. დაპირის-
პირებულობის შეზღუდულობა და ცალმხრივობა ტოლმინშვერლოვა-
ნია და ისინი განაპირობებენ ადამიანურს, ე. ი. ანთროპოლოგიურს
მსოფლიგებაში.

ამ გამოვლევის დასაწყისში უკვე აღნიშნული იყო, რომ ამ ანთ-
როპოლოგიური ცალმხრივობის დაძლევა ფილოსოფიის მთავარი ამო-
ცანაა. ფრიად სასაჩვენებლო ამოცანა იქნებოდა ფილოსოფიის განვითა-
რება ერთხელ მაინც ამ თვალსაზრისით გაშუქებულიყო, თუ სად და
როგორაა ეს, უმეტესწილად არაცნობიერი, მისწრაფება გამოვლენი-
ლი. ბრძოლა „სპეციფიკურ-ადამიანურისაგან“ და დაპირისპირებუ-
ლობაზე დამყარებული შეზღუდულობისაგან გასათავესულებლად
იმიტომ კი არ წარმოებდა, რომ ამ შეზღუდულობის საზღვრები გა-
ფართოებულიყო, არამედ იმისათვის, რომ ამ შეზღუდულობის გამს-
გავედო ხიდი. მეცნიერების ამოცანა პირისპირ-
მდგომის (Gegepn-Stehende) ცალმხრივად, ე. ი. როგორც ჩვენ „სა-
პირისპირ დამდგომის“ გაცნობა და, ამრიგად, არსის არსებაში
შეჭრა. ამაზე დაყრდნობით, მაშასადამე, მეცნიერების მონაცემთა დახ-
მარებით ამ პირისპირ-მდგომის იქით შეხედვა არის მსოფლ-
მს ედ ველობის ამოცანა. ბრძოლა საგნის მოპოვებისათვის,
მიუხედავად იმისა, რომ გულმოლგინედ წარმოებს, არ არის ფილოსო-
ფიური მოდვაწეობა. ეს ბრძოლა რჩება პირის პირ-მდგომის გა-
მოღმა და მთელი მისი შედევი იმით გამოიხატება, რომ ადამიანის
შემცნება პირისპირ-მდგომის (Gegen-Stand) დაუახლოვოს, ე. ი.
აღრე ობიექტურად მიჩნეული ცოდნა შემდგომი დაკვირვებების სა-
უძველებელ უკუაგდოს როგორც სუბიექტური. ეს არის მუდმივი მეც-
ნიერული წინსვლის გზა, რომლის მთავარი ამოცანაა სისტემატური
დახლოება „შინაარსობლივისა“ „უშინაარსოსთან“, „ჩვენი კუშმარი-
ტებისა“ — „კუშმარიტებასთან ჩვენთვის“.

აქ მოკლედ გაღმოცემული განსხვავება ფილოსოფიისა და მეცნიე-
რების ამოცანებს შორის, რაც აღეთეიოლოგის მონაცემებს ემყარე-
ბა, საბოლოო ანგარიშით გვიჩვენებს, რომ მეცნიერების იდეალი მდე-
ბარეობს. შინაარსობლივისა და უშინაარსოს, „ჩვენ კუშმარიტებასა“ და
„ჩვენთვის კუშმარიტებას“ შორის არსებული მანძილის სასურველი
მოხსნის მიზართულებით. მაგრამ ამ იდეალისათვის საჭიროა ამავე

დროს ანგარიშის გაწევა ჩვენს შეზღუდულობასთან, აზრთა სხვადა-
 სხვაობასთან და დაპირისპირებულობასთან. ჩვენ მხოლოდ მაშინ, მა-
 ვაღწევთ ცალმხრივობის გადალახვას, როდესაც დაუპირისპირებლის
 აღმოჩენის შესაძლებლობა მოგვეცება; და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს
 „თეორია“, ზეთვალსაზრისისეული თვალსაზრისის ეს მიღება მხო-
 ლოდ ალეთეიოლოგიის ძირითადი ფაქტით იქნება უზრუნველყოფილი.
 სიცხადე და ინტეიცია, როგორც „რაიმზე მიმართულების“ მდგომა-
 რეობანი, ჩვენ უკუვაგდეთ; ამით „თეორია“ უფრო მტკიცედ დააგა-
 „უმიმართულებო ხედვას“. მიმართულების უქონლობა უნდა ნიშნავ-
 დეს აღმატებულობას, გამარჯვებულ გულგრილობას, რომლისთვისაც
 ყველა მიმართულება თანაბრად ლია და მისადგომია. „ზეთვალსაზრი-
 სისეული თვალსაზრისი“, „დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი
 „ჰეშმარიტება თავისთვალ“ გვაწედიან ერთადერთ ფაქტიურ შესაძ-
 ლებლობას, გადავლახოთ ცალმხრივობა როგორც „სპეციფიკურ-ადა-
 მიანურის“ გამოხატულება და მიეკალწიოთ ყოველმხრივობას. ამ ყო-
 ველმხრივობის შექმე ისეთ სპეციალურ ადამიანურ ფორმას, როგო-
 რიც არის „პირისპირ-დგომა“, ადვილად მივუჩინთ თავის ბუნებრივ
 აღგილს და სათანადოდ დავაფასებთ. მაშინ მაგალითად, ცხადი გახ-
 დება ის, თუ რას ნიშნავს ეს „პირის პირ“ „პირისპირ-დგომაში“
 (Gegen-Stand) რომ მასში მხოლოდ ყველა დაპირისპირებულობის
 ცალმხრივობა გამოიხატება. ასევე აისხება მაშინ დაპირისპირებუ-
 ლობის სხვა გამოვლენანიც თავის სხვადასხვა სფეროში. ყველა ამ
 შესაძლებლობას, რაც ფილოსოფიური კვლევა-მიების საგანს შეად-
 გენს, საფუძვლად უნდა ედოს ირელაციონალური „ჰეშმარიტება თა-
 ვისთავადის“ უშინაარსო სფერო, რომელიც ნაწილებად არ „გაიხლო-
 ჩება“. ის პირველად იჭერს დაპირისპირებულობის გადამღახველ
 თვალსაზრისს და შემდეგ ზემოდან დასცექერის დაპირისპირებულობის
 ორივე მხარეს და მათი დამთხვევის იდეალიზებულ შესაძლებლობას,
 თავს იდებს „სპეციფიკურ-ადამიანური“ შეზღუდულობისაგან განთა-
 ვისუფლებას და, როგორც უშინაარსო, აღარავითარ მცდარ გაზომვას
 აღარ ექვემდებარება.

ეს არის ალეთეიოლოგიის შინაარსი. მაშასადამე, არსების მიხედ-
 ვით, ალეთეიოლოგია უნდა იყოს „პირველი ფილოსოფია“. ამ „პირ-
 ველი ფილოსოფიის“ ცნება არ წარმოდგება უბრალო ჩამოთვლის სა-
 ჭიროებიდან. იყი ლოგიკური საბუთებით მოითხოვს აღნიშნულ ად-
 გილს. არისტოტელეს თანახმად, „პირველმა ფილოსოფიამ“ უნდა გად-

მოსცეს არსისა და აზროვნების პრინციპები, მაგრამ არა გათიშულად, არამედ როგორც ურთიერთეუთვინილი. ამის გაღმოცემა ძალზე შეისწავლით წავიდებანდა, ამასთან ეს არცაა საჭირო. არსებითი ისაა, რომ ფილოსოფიის ამვარი უუძემდებელი ნაწილის აუცილებლობას ანტიურობიდანვე აღიარებდნენ. არისტოტელესთან ეს კიდევ უურო მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მან პირველიდ განსხვავება ის, რაც არის, თავისთავად“ და ის, რაც არის „ჩვენთვის“. ეს იყო საქმე, რომლის მნიშვნელობა მცირეოდენმა იგრძნო და რომელიც იმ მწვერფალებისკენ მიემართება, რომელზეც მხოლოდ ჰეგელი და ნაწილობრივ ლასკა ავიდნენ. ამ განსხვავების თვალსაზრისით არის გამსჭვალული არისტოტელეს მთელი „მეტაფიზიკა“ და „ანალიტიკების“ შედევრი იმაზე, მიუთითებს, რომ „პირველი ფილოსოფია“ ფილოსოფიის სხვა ნაწილთა გამოყვანას კი არ ემსახურება, არამედ მათთან მიყვანას. ამით წინასწარ დასახულია სპეციფიკური, მხოლოდ პირველ ფილოსოფიაში გამოყენებული, „თავისთავადსა“ და „ჩვენთვის“ შორის ხიდის გამდები მეთოდის დიდი ფილოსოფიური ამოცანა. მაგრამ ჩადგან თვით არისტოტელემ ამ მხარის შესაბამისად, ცალმხრივი მეთოდების — დედუქციისა და ინდუქციის — დედაარსი სისრულით ვერ განავითარა და მათი ერთმანეთთან მიმართების პრიბლემა მომავალ თაობებს დაუტოვა, „პირველი ფილოსოფია“, რომელიც განსაკუთრებულ შეთოდოლოვიას საჭიროებდა, ჩრდილში დარჩა და საუკუნეთა მანძილზე არ იცოდნენ, თუ რა გამოყენება შეიძლებოდა პქონოდა მასც⁴.

აღეთეთოლოგიაში „პირველი ფილოსოფია“ კვლავ უნდა აღსდგეს. ყოველმხრივი, „შეთვალსაზრისის სეული თვალსაზრისი“, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოიცავს „პირისპირ-დგომას“ და მის „წარმოდგენილ-არსს“, აძლევს მას საამისო გამართლებას. „ჰერმა-რიტებას თავისთავად“ არაფერი არ უპირისპირდება, რაზეც დამოკიდებული იქნებოდა ის და რის შეფასებასაც დაემორჩილებოდა. უშანარსოდ და ირელაციონალურად იმყოფება იყი დაპირისპირებულობის

⁴ მაგრამ „პირველი ფილოსოფიის“ პრიბლემამ კვლავ ფილოსოფიური კვლეულების ცვინტრში გამოინაცელა. მაგალითად, „უენიმენოლოგია“ და აგრეთვე „საგნის: თეორია“ „პირველი ფილოსოფიის“ პრეტენზიას აცხადებენ. ორივე პრეტენზია გაუმართლებელია: ფილოსოფიოსის საუკუნეებით შეეძლია მოვცეს არა ყოველგვარის ვადაწვერისაგან „თავშექავებას“, არამედ „გადაწვერისათვის“ შეპრინც დაპირისპირებას გადალახვს.

შილმა, ყველა თავისი მომენტი დაუმორჩილებია, თავის თავში მაულა და მოუხსნია. გრისეოლოგია და ლოგიკა მას ექვემდებარება, რადგან პირველი რჩება მიმართებაში: „საგანი-წარმოდგენა“, რომლის ორივე კომპონენტი დაპირისპირებულობის სფეროს ეკუთვნის, მეორეს კი წინაღოვნიურის სფეროდან წარმომდგარი რეაქცია ის სპეციური რი აღეთეთ დოგიური მეთოდით შეკლია მხოლოდ დასრულებულის.

აღეთეიოლოგიის ადგილის ამ გაფებამ შეიძლება მრავალი ეპვიწარმოშევას, მათ გაფანტვას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით, რადგან ნათქვაშის დასაბუთება უკეთესად მოხდება ზემოთ აღნიშნულ ძირითად პრობლემაზე „აღეთეიოლოგიური რეალიზმის“ თვალსაზრისის ფაქტიური გამოყენებით. მხოლოდ ერთი შეპასუხება უნდა გავითვალისწინოთ აქ, რადგან ის ეხება სწორედ აღეთეიოლოგიის მიმართებას სხვა ფილოსოფიურ დისკიპლინებთან. ჩვენ ვეგლისხმობთ ლასკის შეხედულებას იმაზე, რომ აღეთეიოლოგია შეიძლება იყოს მხოლოდ ლოგიკის ნაწილი.

ლასკი ამოდის იქიდან³⁵, „რომ საზრისი შეკვედება განცდის ფაქტიურობაში“ და ფიქრობს, რომ აქ „მიიღება კვლევის ორი დიდი სფერო თეორიული ფილოსოფიისა“. რაში უნდა იყოს კვლევის ამ ორი სფეროს ამოცანა? მას შეუძლია ან „უპირატესად საზრისის სტრუქტურისა და კატეგორიალური ფორმის შინაარსის გამოყვლევა სცადოს, ან მიმართოს თეორიული საზრისის რეალიზაციის წყაროს, მისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას“. ამის გამო ლასკი მიღის იმის მტკიცებამდე, რომ „ლოგიკის სფერო იყოფა ობიექტისა და სუბიექტის, ჰეშმარიტებისა და შემეცნების, აღეთეთ დოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემებად“. ამ შეხედულების თანახმად, ვაშასადამე, აღეთეიოლოგია ლოგიკის ნაწილს წარმოადგენს. ეს შეხედულება ღრმად არის ჩამარხული ლასკის აზროვნების საფუძვლებში და წარმოდგება იმ რწმენისაგან, რომ ყოვლისმომცველი და უუძემდებელი სფერო „კატეგორია — კატეგორიათა გასაღის“ მიმართების სფეროა, რაც ლოგიკურის ნამდეილ შინაარსს შეადგენს³⁶.

ჩვენ ვერ დაეთანხმებით ამ მსჯელობებს, სახელდობრ, შემჭევი ორი არგუმენტის გამო: ჯერ ერთი, მიმართება „კატეგორია — კატე-

³⁵ S. W. II, 422 და შემდ.

³⁶ S. W. II, 423.

გორიათა მასალა” ვერ გვაძლევს დაპირისპირებულობაზე მაღლა
მდგომს, საიდანაც დაპირისპირებული განიხილება ყოველმხრივ და
არა ცალმხრივად; აქ მიიღება დაპირისპირებულობის შერიცვება, რო-
მელიც საქმარისი არ არის „ზეთვალსაზრისისული” თვალსაზრისის
მისაღებად. ამის დამადასტურებელია იმის აღიარება, რომ ეს კოომ-
და დაპირისპირებულობის მაღლა მდგომი ვერ სცილდება საგნობრიო-
ბას, რომელიც, ჩვენი აზრით, ტიპიურ „სპეციულ-ადამიანურ”, ანუ
ანთროპოლოგიურ მომენტს შეიცავს. მეორეც, რჩება ლოგიურისათვის
შეუღწევადი სფერო, რასაც აღრე წინ ა-ლ ო გი კური კუწოდეთ,
ახლა ა-ლ ე თ ე ი ო ლ ო გ ი უ რ ს კუწოდებთ. მისი არსებობა მარტო
იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ ლასკის მიერ მიღებულ ლოგი-
კურს იქით ამ ლოგიურისათვის მიუღწეველი გარევეული სფერო
მდებარეობს, არამედ იქიდანაც, რომ საუძველად მდებარე დაპირის-
პირებულობაზე მაღლა მდგომი თავისი თავიდან არ აფრის
გამოყვანის ნებას არ იძლევა, პირიქით, იგი მხო-
ლიდ „თავის თავთან” მიყვანის, რედუცირების
საშუალებას იძლევა. ამით წარმოგვიდვება სპეციული
მეთოდის პრობლემა, რაც ლასკის მოძღვრების ნიადაგზე განუხორ-
ციელებელია — ა-ლ ე თ ე ი ო ლ ო გ ი უ რ ი რედუქციის მე-
თოდის პრობლემა.

ეს ორი არგუმენტი ჩვენ საქმარისი გვვინია იმისათვის, რომ უარ-
ვყოთ ლასკის მტკიცება აღეთეოოლოგის შესახებ. ამრიგად, ვუიქ-
რობთ, ძალაში რჩება ჩვენი თეზისი: ა-ლ ე თ ე ი ო ლ ო გ ი ა ში
კ კ ლ ა ვ ა ღ ს დ გ ა „პირ ვ ე ლ ი ფ ი ლ ო ს ფ ი ა ს”.

თავმარითაშის პროგრამა

1. თავმარითა „თავისთავად“ და თავმარითა „ჩავთვის“

რაյო აქამდე მთელი კვლევა მიმართული იყო ჰეშმარიტების პრობლემაზე, შეიძლება ვინმეს ეკონომის, რომ მისი სპეციალური ხაზებას და წინწამოწევა ზედმეტი იქნება. მაგრამ ეს მხოლოდ შეიძლება ასე ჩანდეს; ნამდვილად კი ეს ასე არ არის. „ჰეშმარიტება თავისთავად“, რომელიც აღეთეთილოვნერი ძირითადი ფაქტიდან მივიღეთ, საჭიროებს დადასტურებას პრობლემათა გარკვეულ წრეზე თავისი გამოყენებით. ამ აზრით ახლა მივმართოთ წემოთ აღნიშნულ პრობლემებს, რომელთაგან ჰეშმარიტების პრობლემას პირველი აღვილი ეკუთვნის.

თუ ვვინდა ვნახოთ, რა სახე შეიძლება მიიღოს ჰეშმარიტებამ, რომელსაც ჩვეულებრივ შემეცნების პროცესში მიითხოვენ, ამით არ იგულისხმება ჰეშმარიტების შეცვლა ჰეშმარიტების შემეცნებით. პერძერტცი მართალია, როდესაც ამ აღრევის ანუ, როგორც ის ამბობს, „პრობლემის გადახლართვის“ გამო ვაფრთხილებს. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ. რომ ჰეშმარიტების შემეცნება, როგორც მსჯელობის შედგენის ამგვარად ყოფნის ფაქტი. ეკუთვნის „ჰეშმარიტების თავისთავად“ სუეროს და ამით საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია უშინაარსო, ირელაციონალური ჰეშმარიტება შინაარსობლივ და რელაციონალურ ჰეშმარიტებასთან, გამართლებულია. შინაარსიანობა, რაზეც აქ ლაპარაკია, მაშინვე იწევეს საგნის პრობლემას — ფაქტს, რომელიც კვლავ ამტკიცებს იმას, თუ რაოდენ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ყველა აღნიშნული პრობლემა. რადგანაც უშინაარსობა და „ჰეშმარიტება თავისთავად“ ერთია და, მეორე მხრივ, შინაარსობლივი ჰეშმარიტება დაპირისპირებულობის ჩარჩოებში გამეღავნებული ჰეშმარიტებაა, ამიტომ საბოლოოდ პრობლემა, რომელსაც ჩვენ აქ ვსწავლობთ, იქა-

მდე მიღის, რომ უნდა აიხსნას „ჰეშმარიტების თავისთავად“ და „ჰეშმარიტების ჩეენთვის“ დამოკიდებულება.

„ჰეშმარიტება თავისთავად“ უშინაარსოა, ამიტომაცა სწორები ირელაციონალური გზა, რომელზეც უნდა ვიპოვოთ მისი ნიშნები. ეს უკვე ცნობილია. ამით ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი: ისე კი არ არის, რომ ჯერ საქმე გვერდდეს ჰეშმარიტად-ყოფნის ფორმაში არსებულ არსთან და მერე კი იმავე არსთან „ჰეშმარიტების ჩეენთვის“ ფორმით. სამყაროს ერთიანობა და ერთადერთობა. რაც პარმენიდებან მოყიდებული უკვე ანტიკურობისათვის იყო ცნობალი, არ ისანება პროტაგორას მიერ ჰეშმარიტების გამრავლებით, შესაბამისად არც ადამიანთა მოსაზრებების მრავალგვარობით და პლატონის „ექსიზე“ კვლავ იჩენს თავს. ეს მაგალითი ჰქონის სასწავლია. ამრიგად, „ჰეშმარიტების თავისთავად“ დამოკიდებულება „ჰეშმარიტებასთან ჩეენთვის“. არ შეიძლება ნიშნავდეს სამყაროთა გამრავლებას. ჩეენ არ ცეცილობთ ჰეშმარიტების „მოპოვებას განცდის ფაქტიურობაში“, როგორც ლასკა ამბობდა ხოლმე. არა, ჩეენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მას შემდეგ, რაც ჩაეწედით „ჰეშმარიტების თავისთავად“ სამყაროს, მისი პოზიციიდან განვიხილოთ დაპირისპირებულობის სამყარო.

ჰეშმარიტების დაყოფა „ჰეშმარიტებად თავისთავად“ და „ჰეშმარიტებად ჩეენთვის“, როგორც უკვე ვთქვით, ბოლცანოსაგან წარმოდგება. მაგრამ მან ეს დაყოფა მოახდინა არა პრინციპულ, ე. ი. ჰეშმარიტების ბუნებიდან ადებულ საფუძველზე, არამედ ჰეშმარიტებისა და ჰეშმარიტად მიჩნევის მომთხოვნი მსჯელობის აქტების მიმართების საფუძველზე. ნათელია, რომ განსხვავება ალეთეროლოგიურ, ე. ი. ირელაციონალურ, უშინაარსო „ჰეშმარიტებასა თავისთავად“ და ბოლცანოს „ჰეშმარიტებას თავისთავად“ შორის აქაც თავს იჩენს; მოსალოდნელია, რომ „ჰეშმარიტებასა თავისთავად“ და „ჰეშმარიტებას ჩეენთვის“ შორის არსებული დამოკიდებულების პრობლემაც, ამისა შიხედვით, სხვა გადაწყვეტას მიიღებს.

„ჰეშმარიტება ჩეენთვის“ საკუთრივ და პირის პირებული ან უფრო ზუსტად, დაპირისპირების ნიადაგზე მდგომი ჰეშმარიტებაა. ამიტომ მან უნდა მიიღოს დაპირისპირებულობის დამახმატებელი ნიშნები. მაგრამ რადგანაც შეორე მხრივ, „ჰეშმარიტება

¹ S. W. II, 422.

თავისთავად” უკეთა არსებულს ახასიათებს, იგოვე “ჰეშმარიტება ჩერენთვის” უნდა ატარებდეს აგრეთვე დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგრმისადმი კუთნილობის ნიშნებს. მაშასადამე, „ჰეშმარიტება ჩერენთვის” დიალექტიკურ სტრუქტურასაც უნდა ინარჩუნებდეს, მავრამ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ჰეშმარიტებას თავისთავად” დაალექტიკური მომენტი ერთსა და იმავე ღროს დასმულია და მოხსნილი — სწორედ ამაში გამოიხატება მისი დფომა დაპირისპირებულობაზე შეღლა. მაგრამ რაში უნდა იყოს დიალექტიკური ხასიათი „ჰეშმარიტებისა ჩერენთვის” და რა პერსპექტივები შეიძლება პქონდეს გას იმისათვის, რომ აქაც მოხსნილი იყოს დიალექტიკურის მომენტები? მიემართოთ მისი არსების უფრო დაწერილებით აღწერას.

მხოლოდ შინაარსობლივის სფეროში არსებობენ სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც იმის მიხედვით განისაზღვრებიან, თუ რამდენად ახლოს ან შორის დგანან „ჰეშმარიტებასთან თავისთავად”. „ჰეშმარიტებისაგან თავისთავად” იგი არ გამოიყვანება, რადგან მისგან სეროოდ არაფრი არ გამოიყვანება; საამისოდ არ არსებობს მთავარი პირობა: გამოყვანის გზა. „ჰეშმარიტება თავისთავად” არსებობს, როგორც „საწყისი” და, როგორც შემეცნების ბუნების განხილვის ღროს დავინახეთ, იქ, სადაც ჩერენ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, გამოყვანაზე უდაპარაკობთ, სინამდვილეში არსებობს მიყვანა ან უყურები კვანა. ეს აღეთეოოლოგიური რეალუქციის მეთოდია.

იმის გადამწყვეტი საფუძველი, რომ „ჰეშმარიტება ჩერენთვის არ გამოიყვანება „ჰეშმარიტებიდან თავისთავად”, ისაა, რომ „ჰეშმარიტება თავისთავად” უშინაარსოთა დებულება, რომ უშინაარსოდან არაუკრი გამოიყვანება, ღოვგური ჩანს; თუ იყე თავის მნიშვნელობას გააურცელებს „ჰეშმარიტებაზე თავისთავად”. შეიძლება ისე გამოწინდეს, რომ აქ ღოვგიური დებულება წინაღოვნების მიმართ გამოიყენება, სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარადაა. კლაპარაკია არა ღოვგიური კანონის გამოყენებაზე, არამედ აღეთეოოლოგიურად განხილულ ფაქტზე: უშინაარსოს არ შეუძლია არაუკრის თავისთავიდან გამოყვანა. მაგრამ ამით მეორე გზა დაეკტილი როდია: უკუსვლა შინაარსობლივი კი უშინაარსოსაკენ. რა მარტივაც პირ კედი გზა — შინაარსობლივის, „ჰეშმარიტების ჩერენთვის“ უშინაარსობლი, „ჰეშმარიტებიდან თავისთავად“ გამოყვანის გზა — და უშვებელია, ამ დენადვე დასაშვებია და აუცილებელია.

ბელია მეორე გზა — უშინაარსოზე „ჰემარიტებაზე ზე თავისთავად“ შინაარსობლივის, „ჰემარიტებაზე ჩინ ჩვენთვის“ უკუმიყვანის გზა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თეზისით არსებითად განისაზღვრა „ჰემარიტების თავისთავად“ მიმართება „ჰემარიტებასთან ჩვენთვის“. მოკლედ: „ჰემარიტება ჩვენთვის“ ეს არ გამომდინარებს „ჰემარიტებისაკენ თავისთავად“. არა-მედ მიღის უკან „ჰემარიტებისაკენ თავისთავად“. მან უნდა დაოშოს შინაარსობლიობა, რათა დაემთხვეს „ჰემარიტებას თავისთავად“, და ამ აზრით „ჰემარიტება თავისთავად“ გარდაქმნას „ჰემარიტებად ჩვენთვის“. ჩვენ დავინახავთ, რომ შემცენების მნიშვნელობა სწორედ ამ „გარდაქმნაშია“.

2. „შინაარსობლივი“ და „უშინაარსოზე“

ზოგადი განსხვავება „ჰემარიტებასა თავისთავად“ და „ჰემარიტებას ჩვენთვის“ შორის მიღის უშინაარსოსა და შინაარსობლივის განსხვავებამდე. გამოყვანის ნაცვლად მიყვანის მეთოდი ამის უშუალო შედეგია. მაგრამ ჩვენს გამოთქმაში მიმართება ძალიან ფართოდაა გაეცემული და ამიტომ საქმაოდ ცხადი არ არის. „ჰემარიტების ჩვენთვის“ როგორც დაპირისპირების სფეროდან წარმომდგარი ცენტრის დასახასიათებლად ის, ყოველ შემთხვევაში, არაფერს გვაძლევს. იმისათვის, რომ სიცხადის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, აუცილებელია შინაარსობლივისა და უშინაარსოს ცნებათა უფრო ახლო განხილვრა ცვალოთ².

დაპირისპირებულობის ფარგლებიდან გასვლის რამდენიმე ტიპიური ცდის განხილვამ დაგვინახა, რომ ყველა მათგანს ჯერ კიდევ საქმე პქნონდა შინაარსობლიობასთან და ამის გამო ისინი. როგორც უშედეგონი მივატოვეთ. ამასთან, შინაარსობლივი ითვლებოდა დაპირისპირებულობის ნიშნად. ამ აზრით ჩვენ გნოვასხვავებთ შინაარსობლივს, როგორც დაპირისპირებულსა და უშინაარსოს, როგორც დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომს. ახლა უნდა განვმარტოთ, თუ

² „შინაარსობლიობა“ („Inhaltlichkeit“) როგორც „შინა-არსი“ („In-sich-halten“), როგორც ჩანს, ცონბილი იყო ეკვი ლაბიტუისათვეს. მთ უფრო საინტერესოა, რომ სწორედ დაბინიშვა აუშინაარსოს“ ცნებას ჰემარიტება მიაწვრის შერ. Nouv. ess. I, 1, § 21 და შემდეგი.

რას უნდა ნიშნავდეს და რა კონკრეტული აზრი უნდა გამოიხატოს იმის თქმით, რომ შინაარსობლივი უშინაარსოს ერთეის: ამით შევუძლ ძლებთ ეუპასუხოთ პრობლემას „ჭეშმარიტებისა ჩვენთვის“³.

უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ის, თუ რას ნიშნავს უშინაარსობა „ჭეშმარიტებისა თავისთავად“. იგი დაალექტიფირი მომენტების გადაწყვეტაა. „ჭეშმარიტება თავისთავად“ არის არა „თავისთვის“, არამედ აგრეთვე „სხვისთვისაც“. სხვა სიტყვებით: იგი არის „თავისთავად სხვისთვის“, ან, უფრო ზუსტად: „სხვისთან“. ეს „თავისთავად სხვასთან“ ჭეშმარიტების ბუნების გამმსჭვალავი ოლეოთვითოვგიური დაალექტიფის შემდგომი გამოხატულებაა. ჩვენ უკვე კიცით, რომ ეს დაალექტიფია, ღოვიურისაგან განსხვავებით, კურ, პირეელად მნიშვნელობის მქონე კი არ არის, რათა შემდეგ შეიძლებოდეს მისი გამოყენება, არამედ ყოველგვარი „პირეელად“ თუ „უწინ“-ის გარეშე ალეთოლოვგიურ ძირითად ფაქტში „ხდება ნათელი“. უშინაარსოს შეესაბამება მიმართულების არამქონ ანთელყოფა, რადგან აქაც დაძლეული უნდა იქნეს „ადამიანურ-ანთროპოლოგიური“, ე. ი. თეალსაზრისისეული თვალსაზრისით, რომელიც მიმართულების მომენტში თავზე მოვეხვევა.

ჭეშმარიტება არის „თავისთავად“ იმიტომ, რომ იგი „სხვასთანაა“. ის რომ იყოს „თავისთავად თავისთვის“ — მაშინ ეს იქნებოდა დაპირისპირებული მასტრაბის შეჭრა იმ სფეროში, რომლისთვისაც დაპირისპირება უცხოა. ამით ის როდი შეწყვეტილა იმად ყოფნას, რაც არის, „თავისთავად“ და „თავისთვის“ ღოვიური თვალსაზრისით არ არიან შეუთავესებელი, რადგან უენომენი შეიძლება იყოს „თავისთავად“ და „თავისთვის“. ამის დამადასტურებელი საბუთი ის არის, რომ კანტის „ნივთი თავისთავად“ ღოვიური თვალსაზრისით არის შექმნილი. ამიტომაც იმავე აზრთა კონტექსტიდან ამოსულ ჰეგელის დიალექტიკას არასოდეს არ მიუტოვებდა ღოვიური გზა, რითაც ღოვიური დაალექტიფის ბედი წინდაწინკე ვალაწყვეტილი იყო საბოლოოდ.

ღოვიურისა და წინააღმდეგიურს შორის არსებული დამოკიდებულების სპეციფიკურობა მარტინ იმით კი არ გამოიხატება, რომ ის, რაც ღოვიურში წინააღმდეგობით სავსეა, წინააღმდეგიურში წი-

³ შედრ. „ჩემში არსის“ და „ცნობიერების შინაარსის“ უარყოფა პ. ფრიძენან, *Ordnungslehre*, 2. Aufl. 1923, გვ. 22.

ნააღმდეგობისაგან თავისუფლად ითვლება. ეს მხოლოდ ცალმიზრები განხილვა იქნებოდა, ისევე ცალმხრივი, როგორც უკედავერთ უკან ანთროპოლოგიურად გაიზომება. თუ ერთხელაც უნდა მოხერხდეს ამ ცალმხრივობის გადაღახვა და საქმის აგრეთვე მეორე მხრიდანაც განხილვა, მაშინ ცალმხრივი მიმართების მხოლოდ ამ კონსტრუქტურულ-ადამიანურს". ამისთვის განხილვა უნდა მოხდეს სხვა მხრივ. ნაჩერები უნდა იყოს, რომ ის, რაც ლოგიკურის სუკრომის ასატანად ითვლება, გამასადამე, წინააღმდეგობის კანონს აქმაფილებს, წინააღმოგიყურის სფეროში შეუთავსებლად გვევლინება. ლოგიკურის „თავისთავად და თავისთვის“ არსებული რომელიც შეუთავსებელი არაფერს შეიცავს და არათუ ლოგიკურად დასაშეებია, არამედ კანტის ფილოსოფიაში ფაქტიურად გამოყენებულიც იქნა. ჩამო „გერმანული იდეალიზმის“ განვითარებაში ცნობილი შედეგები გამოიწვია, — ალეთეროლოგიურის სფეროსთვის სრულიად შეუთავსებელია. ამ ფაქტის ახსნა ამავე დროს უშინაარსოს უფრო ახლო განსაზღვრისათვის უნდა გამოდგეს.

„ჰეშმარიტება თავისთავად“ არ წარმოდგება ერთი უკონტრის მეორესთან შედარებით, რადგან ის საერთოდ არსაიდან წარმოდგება. ის არის იქ, სადაც რამეც ამგვარად ყოფნაშია. იგი „თავში“ არ შეიცავს არსებულს, ე. ი. ის არ წარმოადგენს არსებულს როგორც შინაარსს, რადგან მას არ აქვს არაეითარი „თავის თავში“. დაალექტიკური მომენტების შეჯახება „მის გამო“, მაგრამ არა „მასში“ ამავე დროს ნიშნავს დაპირისპირებულობის შემადგენელი ორივე მომენტის მობსნას, თვით დაპირისპირებულობასთან ერთად. „ჰეშმარიტება თავისთავად“ რჩება შეუკებელი და ამით ყველა ფერს აღემატება. ის არის „თავისთავად“ ამ შეუხებლობაში და აქედან ერთნაირად გულგრილად განიხილავს დაპირისპირებულის ჰეშმარიტებასა და მცდარობას. მას აქვს უნარი განჭვრიტოს დამიანურის შეზღუდულობა და ცალმხრივობა, რადგან მისთვის ამავე დროს მისაწვდომია მეორე, ამ შეზღუდულობის შემაღვენელი, „პირისპირ-მდგომი“. ყოველი სახის არსებულობან ყოფნა მისი აბსოლუტური არსებაა და მასში რომ კიდევ რამერჩებოდეს, რაც მას ამ „არსებულში“ ჯერ კიდევ არ გაუცია, მაშინ არა თუ თვითონ ის შეწყვეტდა „ჰეშმარიტებად თავისთავად“ ყოფნას, არამედ ამით „არსებულიც“ უკვე უნდა ყოფილიყო გაგებული არარო-

გორიც განხორციელებული, არამედ როგორც ის, რაც ხორციელდება. მით ის დაპირისპირებულობაში ჩაიძირებოდა და დაიკარგებოდა ყოველგვარი იმედი ოდესმე დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის მიღწევისა. იმისათვის, რომ იყოს „თავისთავად“, „ჭეშმარიტება თავისთავად“ უნდა იყოს „სხვისთვის“; იმისათვის, რომ თავის თავს ზიანი არ მიაყენოს. მან არ უნდა მიაყენოს ზიანი არსებულს. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტთავან ერთი მეორეს „თავის შემდევ იწვევს“. ეს ლოგიკურის შეჭრა იქნებოდა. ეს მომენტები არ არიან ისეთ მიმართებაში, როგორიცაა „ერთი მეორის შემდეგ“.

აქ კულაფერი ერთია. სიმრავლე და მრავალფეროვნება მხოლოდ დაპირისპირებულთან ერთად არსებობს. მაგრამ ისინი განხილული უნდა იქნენ არა როგორც ცოდვიანი დაცემა, არამედ როგორც „სპეციულურ-ადამიანურის“ გამოხატულება.

ამავდე ადგილი გასავები უნდა იყოს, თუ რა განსაკუთრებული რამ არის „ჭეშმარიტება ჩვენთვის“. ისიც არის „თავისთავად“, ოლონდ ის არ არის ამავე ღროს „სხვისთვის“. მაგრამ ის ცდილობს, აგრეთვე, „ასეთიც“ იყოს; და აი ამაშია ღრმად ჩამარხული მისი საიდუმლო მამოძრავებელი ძალა. თუ მან ეს ვერ მოახერხა, ე. ი. თუ „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ ჯერ კიდევ არის მხოლოდ მისწრაფების მდგომარეობაში, მაშინ მისი „თავისთავად“ მასთან რჩება, ე. ი. მას „თავის თავში აქვს“ ანუ „შინა -არსობლივად“ აქვს ის, რასაც ესწრაფების. ახლა ჯერ კიდევ საქმე იმას არ ეხება, რომ აეხსნათ, თუ როგორ წარმოდგება შინაარსობლიობა დაპირისპირებულობისაგან. აქ მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, თუ რა უნდა გვესმოდეს შინაარსობლივის ცნებაში. რამდენადაც „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ არ არის „სხვისთვის“ და „სხვასთან“, ის ამ უკანასკნელთან გარკვეულ მანძილზე იმყოფება. ამ მანძილის სიღიდე თავს იჩენს შინაარსობლივის მხარეში. „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ უნდა გაჰყვეს „ჭეშმარიტების თავისთავად“ გზას, მაგრამ მას არასოდეს არ ძალუს ამ უკანასკნელში გარდაქმნა. „ჭეშმარიტება ჩვენთვის“, როგორც არ უნდა შეეძლოს მას მიუახლოვდეს - „სხვისთვის“ - და „სხვასთან“-არსს, მაინც რჩება „ჩვენთვის“; თუმცა მას შეუძლია შინაარსობლიობის, ე. ი. მისწრაფების მიზნის მანძილის მოხსნით, თანხვდეს „ჭეშმარიტებას თავისთავად“, მაგრამ მის აღვილზე გამოსვლას ვერ შეძლებს. რაც ლოგიკურად შეთავსებადია, ალეთეოროგიურად შეუთავსებადია. დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის „თავისთავად“ სულ არ ჰგავს დაპირისპირებულის „თავისთავადს“. პი-

რველი აღეთეთიოლოგიურ-დიალექტიკურია, ხოლო მეორე ლოგიურ-დიალექტიკური. უშინაარსოს შეუძლია მხოლოდ „თავისთავად“ და „სხვასთან“ ყოფნა. ამით მიიღწევა მთლიანად დაპირისპირებულობის მოხსნა. ლოგიკურის თვალსაზრისით ეს აშკარა წინააღმდეგობაა. შინაარსობრივ შეუძლია იყოს „თავისთავად და თავისთვის“. ლოგიკურ-დიალექტიკურმა ანტითეზისზე გამარჯვება უნდა იზიდოს და სინთეზი და სინთეზის საშუალებით შინაარსის გამამდიდრებელ შედეგს დაეუფლოს. „ზეთვალსაზრისისეული“ თვალსაზრისით ეს შეუთავსებელი ჩანს, იმიტომ, რომ „თავისთავად“ შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც საპირისპიროს დაძლევაში კი არ მდგომარეობს, არამედ „საპირისპიროდ-ყოფნის“ მოხსნაში საერთოდ.

ფილოსოფიაში აქამდე ცნობილი ყველა „წმინდა“ ამოსავალი წერტილი, რაც არ უნდა სხვადასხვა სახით იყენება. ისინი წარმოდგენილნი, უმინაარსოსაგან წარმოდგება. მაგრამ რადგან ისინი ყოველთვის არ უწევენ ანგარიშს დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომს, ამ უკანასკნელის გამოღმა რჩებიან; როგორც ასეთი, ისინი ამავე დროს ცალმხრივი არიან, სახელმობრ, შინაარსობლივთან არიან დაკვირებულნი. დამახასიათებელი ნიშანი ყველა ამ შეხედულებისა, რომელთა ისტორია პლატონიდან მოკიდებული „წმინდა ლოგიკმდე“, ფენომენოლოგიამდე, საგნის თეორიამდე და სხვა მისთ. აღწევს, ისა, რომ ყველა ისინი ცდილობენ, შინაარსობლივი როგორმე გამოიყვანონ „წმინდა“ საწყისიდან. ძალიან საინტერესო იქნებოდა ამ გამოყვანათა სახისა და წესის წარმოდგენა ისტორიულად, მაგრამ ამისგან ამ შესავალ გამოკვლევაში თავი უნდა შევიკავოთ.

3. „თავარიგობა ჩათვალის“ და „ჩვევი თავარიგობა“

ფენომენის მნიშვნელობა იმაზე დამოუკიდებელია, თუ რა თვალსაზრისს ვაღიარებთ მისი განხილვისას. თვალსაზრისის ამ აღიარებას საერთო არაფერი აქვს ცრურწმენით აღსავსე იმ თვალსაზრისიანობასთან, რომლის თავიდან მოშორებას სამართლიანად ვკირჩევს ნ. ჰარტმანი. აქ იგულისხმება არა ცრურწმენის თვალსაზრისიანობა, არამედ „თეორიის“ თვალსაზრისიანობა ზემოთ აღწერილი არისტორელესებური გავებით. საქმის ნათელსაყოფად უნდა მიეთითოს იმაზე, თუ რა განსხვავებას ნიშნავს — ის თვალსაზრისი ფენომენში იმყო-

უება, თუ მის გარეთ. შეიძლება, მავალითად, შემეცნების უენომენის განხილვა შეინიდან გარეთ და გარედან შეიგნით. პირველ შემთხვევაში იქ ყველაფერი „ამგვარადყოფნაა“ და ეხება „ჰეშმარიტებას თავის თავისად“. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია, რომ შემეცნება, შინაარად სის შეფასებისგან დამოუკიდებლად, როგორც მსჯელობის გამოქმის „ამგვარად ყოფნა“, ეკუთვნოდეს დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი ჰეშმარიტების სფეროს. ყველა არსებულისათვის დამახასიათებელი „არსზე მეტი“ გარდაქმნის სწორედ ყველაფერს, რაც მხოლოდ „არს“ ეკუთვნის. ეს გახდავთ არა „თეორიის“ მიერ მოთხოვნილი თვალსაზრისი, არამედ „უმიმართულებო“, სწორედ ამიტომ არაშემზღვდავი, „ზეთვალსაზრისისეული“ თვალსაზრისი.

მაგრამ თუ თვალსაზრისი გარედან შეიგნით არის გადატანილი, მაშინ საქმე სულ სხვა რამესთან გვაქვს: ახლა განიხილება არა არსებული როგორც ასეთი, არამედ არსებული როგორც საგანი. უშინაარსოს არც უნარი ჰქონდა და არც სჭირდებოდა „დაპირისპირებოდა“ არსებულს; ასევე არც არსებული „უპირისპირება“ მას. მაგრამ საქმე ბეკრად უფრო რთულია. „საპირისპიროს“ ცნებას ორი მნიშვნელობა აქვს. ის შეიძლება ორგვარად იქნეს განხილული: ან როგორც ყოველგვარი მიმართულებისადმი გულგრილი „საპირისპირო“ საერთოდ, ან როგორც გარკვეული მიმართულება. რამდენადაც იყი მიმართულებისადმი გულგრილია, ამდენად გვაქვს ორი „საპირისპიროს“ კომპლექსი. მაგრამ თუ ნაგულისხმევია განსაზღვრული მიმართულება, მაშინ გვაქვს ერთი, შემეცნება, რომელიც მიმართულებას თავისი თავიდან გამოიყვანს. პირველია ჰეშმარიტება „ჩვენთვის“, შეორე — „ჩვენი“ ჰეშმარიტება. ამრიგად ჰეშმარიტების ცნება დაიზღვება სამ შემდეგ მომენტიდ: „ჰეშმარიტება თავისთავად“, „ჰეშმარიტება ჩვენთვის“ და ბოლოს „ჩვენი ჰეშმარიტება“, რომელთაგან პირველი, „ჰეშმარიტება თავისთავად“, დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის სფეროს ეკუთვნის, ორი დანარჩენი კი დაპირისპირებულობის სფეროს, მაგრამ სხვადასხვა აზრით. როგორია დამოკიდებულება — ჰეშმარიტებასა ჩვენთვის“ და „ჩვენს ჰეშმარიტებას“ შორის?

ვასაგებია, რომ ამ შესავალ გამოკვლევას შეუძლია გაპყვეს აღმრულ პრობლემათა მხოლოდ ზოგად ხაზს. ამ შემთხვევაშიც ჩვენ გვინდა ძირითადი მომენტის ხასგასმით დაექმაყოფილდეთ. ცხადია, რომ აქ განხილული სისტემა მიმართებების შესახებ კიდევ შეიძლება

დიუერენცირებულ იქნეს. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს კონკრეტული შესაძლებლობანი, აი საკითხი, რომელიც აქ უნდა ჰქონდეს ზოგადად.

„ჰეშმარიტება ჩვენთვის“ და „ჩვენი ჰეშმარიტება“, როგორც ითქვა, ორივე დაპირისპირებულობის სფეროს ეკუთვნის. ამის გამადასტურებელი საბუთი მათ შინაარსიანობაშია. ორივეს ჩატარებული შინაარსად, რაც შეიძლება „დაუპირისპირდეს“ „პირისპირ მდგომს“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: მათ ეს მათი „პირისპირ მდგომი“ შინაარსის სახეობის კეალობაზე აქვთ. მაგრამ რაშია მათ განსხვავება? ეს მაშინვე ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებოთ რომ „ჰეშმარიტება ჩვენთვის“ დაპირისპირებულობის ბრძოლის შეუღულში იმყოფება საერთოდ, რომ იგი ეპრძეის ასათვისებელ „საგანს“ და შინაარსობლიობიდან უშინაარსობისაკენ ისწრაფების. „ჩვენი ჰეშმარიტება“ კი ეპრძეის „სხვა“ ჰეშმარიტებას, იგი ექვემდებარება პოზიცია-ნეგაციის მიმართებას, როგორც მოსაზრება, როგორც მტკიცება სხვა მოსაზრებათა და მტკიცებათა წინააღმდეგ. უკავე შემთხვევაში საქმის ვითარება ისე არ უნდა გავიგოთ. თითქოს ჰეშმარიტების ეს ორი სახე ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილი იყოს. არსებულის ერთიანობა, ე. ი. ჰეშმარიტების სახეობის მიხევულ არსებულის ერთიანობა, თავდებია იმისა, რომ ყველაფერი, რაც მას ექვემდებარება, რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა იყოს, იმავე ერთიანობას ეკუთვნის. ასევეა ამ შემთხვევაშიც: „ჩვენს“ ჰეშმარიტებაში „ჩვენთვის“ ჰეშმარიტებისაგან განსხვავებით, ის სპეციალური დამოკიდებულება იყვალისხმება, რომელიც პოყვობისა და უარყოფის, ე. ი. დადებითი და უარყოფითი მსჯელობის დაპირისპირებულობაში იჩინს თავს და სრულიადაც არაა მსჯელობის აქტი თვითონ.

ცალმხრივ მოაზროვნებას, რომლებიც ვერ გადადიან დაპირისპირებულობის საზღვრებიდან და ამდენად დაპირისპირებულობის ნიადაგზე რჩებიან, არ სურთ და არც შეუძლიათ აღიარონ, რომ ჰეშმარიტებისეულ შეფასებას ემორჩილება არა გამოთქმის მიმართება სუათან, არამედ ორივეს მთლიანობა, ე. ი. შემცნებისა და შესმეცნებლის კომპლექსი. არც ამგვარად ყოფნის ფაქტის ნაწილს, რაც სავნის წესში არსებობს, და, მეორე მხრივ, არც მასზე გამიზნულ შემცნებით წვდომას ძალუს შეცვალოს ორივეს მომცველი ამგვარად ყოფნის ფაქტი, ე. ი. მათი კომპლექსი. ამ ცალმხრივობაზე აგებული

ჰეშმარიტების თეორიები უთუოდ რელაციონალურია და როგორც
არ უნდა გაუჩბოდნენ ისინი წინაკანტიანური ფილოსოფიის დოგმა-
ტიტებს და როგორც არ უნდა აცხადებდნენ, რომ ეწინააღმდეგებიან ჰეშმა-
რიტების როგორც წარმოდგენის საგანთან შესაბამისობის თეო-
რიას, ყველა ისინი უკლებლივ სწორედ ამ შესაბამისობის თეორიას
უერთდებიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ რა ფორმით ხდება
საფუძველშივე „დოგმატური თეორიის“ მოჩერენებითი დაძლევა სხვა-
დასხვა მოასრულებოთან, ცალმხრივობა, რელაციონალურობა და შე-
საბამისობის თეორია ერთმანეთისაგან განუყოფელია. ვისაც დაპირი-
სპირებულობის მაღლა მდგომი „ჰეშმარიტებისათვის თავისთავად“
არასოდეს არ მიუღწევია და ამიტომ ცაპირისპირებულობის ნიადაგ-
ზე გაყინულა, იმას არ შეუძლია, თუ კი თანმიმდევრული სურს დარ-
ჩეს, ეს შედეგები თავიდან აიცილოს⁴.

„ჰეშმარიტება თავისთავად“ ვრცელდება ყველაფრის არსებობაზე
და მათ შორის აგრეთვე დასახელებული კომპლექსის არსებობაზე. ჰე-
შმარიტება „ჩვენთვის“ კომპლექსში შემავალი მომენტების, ე. ი. შე-
მეცნებისა და შესამეცნებლის ერთად არსებობაა. შემეცნებისათვის
შესამეცნებელი არის საპირისპიროდ-მდგომი, ანუ „საგანი“. ეს ჰე-
შმარიტება თავის თავიდან იზომება; როგორც ცალმხრივს, სხვაგვა-
რად არც შეუძლია. იგი ცდილობს სწვდეს „საგანს“ და აქ სხვა გზა
არ არის, გარდა იმისა, რომ ამ გზაზე ის იწყებს იმის „წარმოდგე-
ნით“, რაც მას „პირისპირ უდგას“. მაგრამ შემეცნების განსაზღვ-
რა, ე. ი. ჰეშმარიტების გაგების მიზანი იმაში უნდა მდგომარეობდეს,
რომ ყველა შეალედური გამორიცხოს, რათა ამით „პირისპირ-
მდგომს“ ვწვდეთ როგორც „ამგვარად-არსებულს“. ეს არის სწო-
რედ ის მომენტი, სადაც „შინა-არსი“ მოცემული უნდა იყოს როგორც
საკირიასპირო.

„ჰეშმარიტებასა ჩვენთვის“ და „ჩვენს ჰეშმარიტებას“ შორის არ-
სებული მიმართების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეიძლება მო-

⁴ მაგალითად, ა. პუენდერს სურს, კვლავ გააცოცხლოს შესაბამისობის თეორია.
იმის მიხედვით, რასაც პუენდერი ეწოდებს ცნებას „შესაბამისობის თეორიისა უცრი
ზესტი აზრით“, ის „მსჯელობის ჰეშმარიტებას“ განსაზღვრავს როგორც „მსჯელი-
ბის შესაბამისობას საქმის არსებულ კითარებასთან“. რადგან აქ მნიშვნელობა „რე-
ლუციის პრედიკტს“ ენიჭება, ჰეშმარიტების ყველა რელაციონალური თეორიის
გამოხატულებასაც ექვება. Logik, გვ. 75—89.

ხდეს მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ჭეშმარიტების საში ჟანგ
ერთმანეთთან მიმართება. მიემართოთ ახლა ამ შემაჯამებულ უკან
ხილვას.

4. რაშარითავს სამი სახ

ახლა ჩვენი ამოცანაა წარმოვადგინოთ ჭეშმარიტების პრობლე-
მის უძნელესი მხარე, სახელმობრ, ცხადვუოთ დამოკიდებულება, ჭე-
შმარიტების სამ სახეობას შორის. ამრიგად, არსებობს ჭეშმარიტების
სამი სახე: „ჭეშმარიტება თავისთვალი”, „ჭეშმარიტება ჩვენთვის” და
„ჩვენი ჭეშმარიტება”. ახლა ჩვენ ვენდა თითოეული მათვანის ხასია-
თი შემაჯამებელი ფორმით დავადგინოთ და, რაც მთავარია, თი-
თოეული მათვანის საბოლოო ადგილი განვსაზღვროთ. აქ განსხვაბი-
ველი პრობლემა ჩამარხულია აღეთეოოლოგიური ძირითადი უაქტის
შედეგში. იქ ჩვენ დაენახავთ, რომ მსჯელობის გამოთქმა, როგორც
ამგვარად ყოფნა, მსჯელობის შინაარსისაგან დამოუკიდებლად, ჭე-
შმარიტია. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამგვარადგიონის უაქტ-
ში მოცემული ჭეშმარიტება არსის სახისა და წესის მქონეა. ჩვენ
კიდევ უფრო მეტი ვიცით: შემეცნების ფაქტი იმ ძირითადი ფაქტის ნა-
წილია, რომელიც შემეცნებისა და შესამეცნებელის ჯამისაგან შეღვ-
ბა, ე. ი. მათ კომპლექსს შეაღენს. თუ დაისმება კითხვა, როგორ
მოედის ეს შემეცნების სახე შესამეცნებელს, მაშინ უფრო დიდი კი-
თხვა რჩება: როგორია საქმის კითარება ამ შემეცნებისა და მისი სე-
ნის მიმართ, ე. ი. მათი გამაერთიანებელი ფაქტის მიმართ? საგნის
პირისპირ ყოფი შემეცნება გარკვეული დებულების როგორც საგნის
შინაარსის წამოყენებაში მდგომარეობს: ის ცდილობს, ამ შინაარსში
„პირისპირ-მდგომს“ სწოდეს. უფრო უმაღლესი რიგის კითხვის მიე-
კავართ ირელაციონალურ ჭეშმარიტებამდე, რომელიც ჩელაციის, მი-
მართების ორივე მხარეს მოიცავს და ზეთვალსაზრისისეულ, დაპირის-
პირებულობაზე მაღლა მდგომ თვალსაზრისს ნიშნავს.

მაგრამ ამით ჯერ კიდევ ცოტა რამ გახდა ცხადი; საგნის მიმართ
გარკვეული თვალსაზრისის აღიარება რომ არ ხსნის ახალი თვალსაზ-
რისის აუცილებლობას, ამით ისეთი ფაქტია წინ წამოწეული, რომე-
ლიც თავისთვალ ბევრს არ ნიშნავს. უნდა ვაღიაროთ, რომ გაერთია-
ნებული, კომპლექსის შემაღენებელი ელემენტების ეს ფაქტი გასავაჭა-
ხდის აღეთეოოლოგიურ ძირითად ფაქტს, როგორც ამგვარად ყოფნის

ფაქტს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არც ამითაა ახსნილი. თუ შემეცნება და შესამეცნებელი იმ კომპლექსის ელემენტებია, საიდან ნაც აღეთეთოლოგიური ძირითადი ფაქტი წარმოდგება, ამით ჯერ კა-ლე სრულიადაც არ არის განსაზღვრული, თუ როგორ შეიძლება გა-ვატაროთ განსხვავება „ჭეშმარიტებასა ჩვენთვის“ და „ჩვენს ჭეშმარი-ტებას“ შორის. პრობლემის სიმძიმის ცენტრი აქ იმაზეა გადატანილი. რომ გასაგები გავხადოთ ის, თუ როგორ არის შესაძლებელი, აღნი-შნულ პირობებში განვასხვავოთ ჭეშმარიტების ეს თრი სახე.

„ჭეშმარიტება თავისითავად“ არსებობს მსჯელობის შინაარსისა-გან დამოუკიდებლად, მაგრამ არავითარი შესაძლებლობა ან აუცი-ლებლობა არ არის, განვასხვავოთ „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ და „ჩვე-ნი ჭეშმარიტება“. ორივე შემთხვევაში შესრულებულია პირობები აღეთეთოლოგიური ძირითადი ფაქტისათვის: უმაღლესი კომპლექსის ელემენტების სახით გვაქვს

- ა) საგანზე მიმართული შემეცნება და
- ბ) ამ მიმართულების პირისპირ მდგომი.

ორივე შემთხვევა სტრუქტურულად ერთნაირია. როგორ უნდა გა-ნვასხვავოთ ისინი? უნდა დავეთანხმოთ, რომ კომპლექსის აგებულე-ბის თვალსაზრისით წინამდებარე შემთხვევაში არ არსებობს საუ-ძეველი იმისათვის, რომ განვასხვავოთ „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ და „ჩვენი ჭეშმარიტება“. მაგრამ უნდა ვიკითხოთ: რა მიმართებით არ დადგინდება განსხვავება ჭეშმარიტების ამ ორ სახეობას შორის? მა-შინ ადგილი შესამჩნევი უნდა იყოს, რომ ჭეშმარიტების ორივე სახე ივივეობრივია, რამდენადაც მსჯელობის გამოტანის ფაქტს გულისხ-მობენ. ყოველგვარი შემდგომი ახსნა-განმარტების გარეშე უნდა ვალი-აროთ, რომ ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არის მოსალოდნე-ლი, იმიტომ, რომ მას განსხვავების არც უნარი აქვს და არც სჭირდება იგი. აღეთეთოლოგიური ძირითადი ფაქტი ეხება ორივე შემთხვევას და ორივესთვის თანაბრად აქვს მნიშვნელობა. მაგრამ მოუხედავად ამისა, არსებობს ისეთი საბუთები, რომელთა საფუძველზე ორივე შე-მთხვევა აღვილად და ნათლად გაირჩევა ერთმანეთისაგან.

„ჩვენი ჭეშმარიტება“ ჩვენგან წამოყენებული და მტკიცებული დებულებაა, რომელსაც ვუპირისპირებთ სხვა მტკიცებებს, რომდებიც ჩვენსას არ ეთანხმება. იგი ჯერ კიდევ განსხვავებულ მოსაზრებათა საფუძველზე იმყოფება და ჯერ კიდევ არ დაუფლებია მის საპირის-

პიროდ მიმდინარე მოწინააღმდეგე მტკიცებებს. აქ არსებული დაპირის პირებულობა, რომელიც პოზიცია-ნეგაციასთან ძალიან ახლოს დასჭირდა მათ მანც არ ემთხვევა. შემეცნება აქ ქმნადობის მდგომარეობაში, რაც ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შეგვიძლია ჩვენი მსჯელობაში როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად გამოვხატოთ. აქ არ იგულისხმება პოზიციის ნეგატიური გამოხატულება, არც ორმავი ნეგაცია, როგორც პოზიტიური მსჯელობის ფორმა. აქ საქმე ეხება დაპირისპირებულობის შემდგენლ მომენტებს, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ერთადერთი შეიძლება გვეკუთვნოდეს, ე. ი. ან რაღაცას ვამტკიცებთ ან არა „ჩვენს“ ჰეშმარიტებას შეუძლია გამოვიდეს თითოეულ ამ ორ ფორმაში. იგი „გულგრილია“ მსჯელობის ფორმისადმი, რამდენადაც იგი პოზიცია-ნეგაციის სფეროს ეკუთვნის. ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში მიკერძოებითია: ჩვენ ან ერთ მხარეს დაგვაერთ, ან მეორე მხარეს. ერთდროულად ორივეს ვერ დავეთანმხმებით, რადგან დაპირისპირებულობის ასეთი დაძლევის გზა არ არსებობს. როგორც პირებულ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ გვინდა ვადგენ ჩვენს დებულებას და უაქტიურად ვადგავართ კიდევაც მას, რადგან იგი „ჩვენი ჰეშმარიტებაა“. მთელ გზას იქით მივყავართ, რომ საპირისპირო ინსტანციებზე ხელი ავიღოთ, რათა ამით გავკაფოთ „ჰეშმარიტებისაკენ ჩვენთვის“ მიმავალი გზა. ამიტომ წინასწარ უნდა პლინიშნოს, სად ხვდება ერთმანეთს ეს ორი ჰეშმარიტება და რაშია შთა ძირითადი განსხვავება. ამრიგად, „ჩვენი ჰეშმარიტება“ ეკუთვნის დადებით და უარყოფით მსჯელობათა დაპირისპირებულობის სფეროს. დაპირისპირებულობის იმ ნაწილის დამახასიათებელი, რომელსაც „ჩვენი ჰეშმარიტება“ ეკუთვნის, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ ელგმენტთა შეურიგებლობაშია. „ჩვენს ჰეშმარიტებას“ ვერ მივაღწევთ შერიგების გზაზე, არამედ მხოლოდ ბრძოლისა და დათრგუნების გზაზე. რაც არ არის ის, რასაც ჩვენი დებულება ამტკაცებს, უცხოა და მტრული; ამიტომ უნდა განადგურდეს იგი, რომ გამარჯვებისაკენ გზა გაიკაფოს. ამრიგად, აქ არსებობს მხოლოდ „ჩვენი“ მიკერძოებული, შეურიგებელი დებულებანი.

„ჰეშმარიტების ჩვენთვის“ სფეროს დაპირისპირებულობა სხვა სახისა არის. ნეგაცია-პოზიცია მანამდე ვერ აღწევს. სწორედ მათ ბოლო უნდა მოეღოს, რათა „ჰეშმარიტებამ ჩვენთვის“ შესძლოს დაწყება. იგი მსჯელობაა, აღარავითარი მიზნისაკენ რომ აღარ ისწრაფვის. როგორ და რა პირობებში ხორციელდება იგი — ამის

ცხადყოფა ლოგიის საქმეა. აქ არ ესაჭიროებთ ამ ლოგიკურ გამო-
ვეანათა გაღმოცემას, ჩვენ მხოლოდ იმას დავაღვენთ, რომ „ჰეშმარიტება
ჩვენთვის“ პირველად მაშინ იწყება, როდესაც „ჩვენ ჰეშმარი-
ტების“ სფეროს დაპირისპირებულობას ბოლო ედება. მაგრამ რომელია
ახლა „ჰეშმარიტების ჩვენთვის“ სფეროს დამახასიათებელი დაპირი-
სპირებულობა? შის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს საგნობრი-
ობა.

ჰეშმარიტების პრობლემის როგორც ასეთის განხილვის დროს ჯერ
კიდევ არ ვეჭირდება, დაწერილებით შეეხებოთ საგნობრიობას. ამას
ჰეშმარიტების მოვიტოვებთ. მაგრამ „ჰეშმარიტება ჩვენთვის“ აა-
საგნობრიობა მაინც განუყრელი არიან. აქ მხოლოდ ამით დავქმაყო-
ფილდებით საგნობრიობის თაობაზე.

„ჰეშმარიტების ჩვენთვის“ დაპირისპირებულობა საგნობრიობის
დაპირისპირებულობაა. პოზიცია-ნეგაციაზე დაუუძნებული დაპირი-
სპირებულობისაგან განსხვავებით იგი ისეთი დაპირისპირებაა, რომ-
ლის შერიგება შეიძლება. ამ შერიგების უნარმა ლასეი შეაცლინა და
დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი გადაიტანა საგნობრივში.
მაგრამ საგნობრიობის სფერო ჯერ კიდევ მაინც დაპირისპირებულო-
ბის სფეროა. შემეცნება და შესამეცნებელი ერთმანეთს უპირისპირ-
დებიან, მაგრამ ამ დაპირისპირების აზრიც სწორედ იმაშია, რომ იგი
ერთხელაც არის უნდა მოიხსნას. თუ შემეცნება საპირისპიროდ
შედგომის წყდომას ეხება, მაშინ ერთხელაც არის დადგება მომენტი,
როდესაც შესაძლებელი იქცევა ნამდვილად, ე. ი. შესამეცნებელი შე-
იცნობა. ამ დაპირისპირებულობის ელემენტთა შერიგების უნარი არის
მათი *conditio sine qua non*. მასშია კიდევ უკვე გზა, რომელსაც მივ-
ყავართ „ჰეშმარიტებისაერთობაც“. არ არსებობს გამოყვანის
არაეითარი გზა „ჰეშმარიტების თავისთავად“. მიმართ ჩვენ დავინახეთ,
რომ ეს შეუძლებლობა ჩამარტულია „ჰეშმარიტების თავისთავად“
უშინაარსობაში. მაგრამ ივიცე უშინაარსობა არათუ მოითხოვს, არამედ
შესაძლებელს ხდის, რომ „ჰეშმარიტება ჩვენთვის“ მიუყანილ იქნეს
„ჰეშმარიტებამდე თავისთავად“. ეს მიუყანა გახლავთ „ჰეშმარიტების
ჩვენთვის“ განხორციელების გზა, რითაც ივი, რასაკვირველია, ჯერ
კიდევ უკვე გახდება „ჰეშმარიტება თავისთავად.“ დამთხვევა — და არა
შეოანხმება — „ჰეშმარიტებისა ჩვენთვის“ „ჰეშმარიტებასთან თავის-
თავად“ არის შერიგების განხორციელება, რომელშიც დაპირისპირე-
ბულ ელემენტები ერთი გახდებიან. უკელა მათ შორის გამოსული

სუბიექტური წარმოშობის ელემენტი, აზროვნების ფსიქოლიგიას როგორც ეკუთვნის, გამოირიცხება; ამრიგად, ამ ხელშემშლელ ელემენტთა მიღებით აღსდგება იმ კომპლექსის სიწმინდე, რომელშიც შესამცირებელი და შემცნება ერთი გახდება. ეს ერთიანობა, „ფორმა-მასალის“ რელაციის გამოყენებით კატეგორიულად ახსნილი, დასკმა „კოპერინისეულ საქმედ“ გამოაცხადა და მასში დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის ეძებდა. ახლა ცხადი გახდება, თუ როგორ არ უწევა იგი ანგარიშს საგნობრივის დაპირისპირებულობას და შემცნებისა და შესაცნობის შერიგების შესაძლებლობას. მისითვის რომ ყოველივე ეს ცხადი ყოფილიყო, მაშინ მას შეცდომაში ვერ შეიყვანდა „ჰეშმარიტებაში ჩვენთვის“ დაფარული შერიგების შესაძლებლობა და საბოლოოდ მიღწეული ერთიანობა, რათა ემტკიცებინა დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის არსებობა საგნობრივში. საგნის პრობლემა ავისხისნის შემდეგს.

ახლა ისლა დაგვრჩა, კუპასუხოთ უკანასენელ კითხვას: თუ „ჰეშმარიტება ჩვენთვის“ ცდილობს დაემთხვეს საგანს როგორც ამგვარად არსებულს, მაშინ მან უნდა შეწყვეტის „ჰეშმარიტებად ჩვენთვის“ ყოფნა, მას შემდეგ, რაც ეს დამთხვევა მიღწეულია. რა საფუძველი არსებობს კიდევ იმისა, რომ გავატაროთ განსხვავება „ჰეშმარიტებასა თავისთავად“ და „ჰეშმარიტებას ჩვენთვის“ შორის, როდესაც მათი დამთხვევა ფაქტია? ამ კითხვაზე გაცემულმა პასუხად საბოლოოდ უნდა დაადგინოს აგრეთვე უჰეშმარიტების ჩვენთვის“ არსებობა.

ავიღოთ ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა, ე. ი. ის, რომ შემცნება პოზიცია-ნეგაციის დაპირისპირებულობიდან გამოდის და შინაარსობლივი უშინაარსოსთან მაქსიმალურად დაახლოებულია. განა ამით ამ დაპირისპირებულობის საზღვრის გადაღახვის შესაბლებლობა მოცემულია? სრულიადაც არა. საქმე იმას ეხება, თუ რა ბუნება აქვს დაპირისპირებულობის თითოეულ ამ სფეროს. პირველი რეგიონის დაპირისპირებულობა მხოლოდ ბრძოლაში შეიძლება გაღაწევდეს. მისი საზღვრიდან გასვლა არათუ შესაბლებელია, არამედ აუცილებელია. ასევე როდება მეორე შემთხვევაში: რადგან ეს დაპირისპირებულობა უკანასენელია, ამიტომ იგი დაუშვებს შერიგების შესაბლებლობას, რაშიც ხორციელდება შემცნების ფაქტიური განხორციელება, ე. ი. შემცნება და შესამეცნებელი ერთი გახდება, ხევასიტყვებით რომ ვთქვათ: „ჰეშმარიტება ჩვენთვის“ და „ჰეშმარიტება

თავისითავად” ერთმანეთს დაემთხვევა, შინაარსობრივი უშინაარსოში გადავა. მაგრამ რადგანაც საგანი კომპლექსის მხოლოდ ერთი ნაწილი დალია, რომელიც, დაპირისპირებულიდან ამოსული, შერიგებას არის დაპირისპირებული. რაც უნდა სრული იყოს ორივე ჰეშმარიტების დამთხვევა, საბოლოოდ მაინც საქმე გვაქვს „ჰეშმარიტებასთან ჩვენთვის”. ამ საგანს, როგორც ითქვა, შეიძლება სავსებით ვწვდეთ მის ამგვარად ყოფნაში. მაგრამ იყი შეუდამ აღებულია შემეცნებასთან მის დაპირისპირებაში და მისი შედეგია „ჰეშმარიტების ჩვენთვის” არსებობა. სხვა სიტყვებით: იყი არის შემეცნების ნიადაგზე წარმოშობილი ჰეშმარიტება, რომელიც დაპირისპირებულობის ელემენტების ურთიერთობიდან ამოსულა და არსებული აღმოჩენია საპირისპიროდ მდგომში არსებული მხრიდან. „ჰეშმარიტება ჩვენთვის” არ ემთხვევა „ჰეშმარიტებას თავისითავად”, არამედ მასში არსებულის ერთ ნაწილს, დაპირისპირების ერთ წევრს. მაგრამ ეს დამთხვევა შეესაბამება შემეცნების არსებას, რაც ერთმანეთის პირისპირ მდგომ ელემენტთა შერიგებაში მდგომარეობს. მაგრამ ჰეშმარიტება, რომელიც მოიცავს არა მარტო ელემენტთა შორის გამოფენულ ურთიერთობას, არამედ აგრეთვე როგორც შემეცნების ფაქტს, ასევე შესამეცნებლის ფაქტს, ე. ი. დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი, მაშასადამე, არა შერიგებული, არამედ ნამდილად დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი ჰეშმარიტება, არის „ჰეშმარიტება თავისითავად”.

ასე გადაწყვდება ჰეშმარიტების პრობლემა, უფრო ფართო აზრით, ე. ი. ჰეშმარიტების სამიეკ სახის ურთიერთობის შემცველი პრობლემა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ე. წ. შესაბამისობის თეორიას ჩვენ უარყოფთ არა მარტო „ჰეშმარიტების თავისითავად” მიმართ, სადაც მისთვის, ცხადია, აღარაეთარი ადგილი აღარ დარჩენილა. არამედ საერთოდ ყოველგვარი ჰეშმირიტების მიმართ. მის ნაცვლად ჩვენ ვიცავთ დამთხვევის თეორიას, რომლის მთავარი აზრია ის, რომ დაპირისპირებულის ჰეშმარიტება ემთხვევა დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომის ჰეშმარიტებას. ის, რაც სხვადასხვა საზის ჰეშმარიტების დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს, შეგვიძლია ასე განვსაზღვროთ: „ჩვენი ჰეშმარიტება” არის ქმნადი ჰეშმარიტება, აჰეშმარიტება ჩვენთვის” ქმნილი ჰეშმარიტებაა, ხოლო „ჰეშმარიტება თავისითავად” არსებული ჰეშმარიტებაა.*

* იმეტყვება წიგნიდან: შ. ნუსუბიძე, პრომები, ტ. II, 1979, გვ. 74—130.

არაოპაპიტიკის ფურცელი*

რუსთაველის გენიალური შემოქმედების იდეოლოგიური ძირის გარკვევაში პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) ნააზრევს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ინტიური ფილოსოფიის მემკვიდრეობა პეტრე იბერის იდეათა სისტემაში გადატეხილი, როგორც მოვარანო ანტიურობის იდეოლოგია, საფუძვლად დაედო საუკუნეთა აზროვნებას, ვიდრე რენესანსამდე. გასაცემია, რომ ამის გამო რუსთაველის მსოფლგავების ამოსახსნელად უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება. პეტრე იბერის (არა როგორც ოეოლოგიურ-საეკლესიო მოღვაწის), არამედ როგორც გენიალური მოაზროვნის საქმიანობას, რომელიც ანტიური ფილოსოფიის მიერ დასმული, მაგრამ გადაუჭრელი საეთნების სიმძიმე ასწია და ისეთი სახით დაამუშავა, რომ მთელი შესაუკუნების აზროვნებას მისცა მიმართულება.

არეოპაგიტული ფილოსოფიის, ესე იგი პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) ნააზრევის ისტორიულ-ფილოსოფიური მნიშვნელობის ნათელყოფამდე, რაც ჩევნი მეცნიერების დამსახურებას წარმოადგენს, შესაუკუნეთა გასწვრივ იდეალისტურ-მატერიალისტური ხაზის აღნიშვნა შეასაუკუნებრივ ფილოსოფიაში მნელ საქმედ იყო მიწინეული ასმათ გამოსახატავად ერთვეარი შემცირებულებით, ნომინალიზმითა და რეალიზმით წარმოიდგინებოდა.

პეტრე იბერის ნააზრევის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მან ალღო აუღო ანტიურიდან შეა საუკუნებისაკენ გარდამავალი აზროვნების გადაზრდას ფილოსოფიურ სისტემად და პანთეისტური იდეალიზმის დიალექტიკური დასაბუთებით წარმართა მთელი მომღევნო მედიევალური აზროვნება, ვიდრე რენესანსამდე. ეს თვალსაზრისი პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) აზროვნებაზე კარგა ხანია შემჩნეული.

* წავითხულია მოხსენებად ბიზანტიოლოგთა საქაუშირო ყრილობაზე, 1965 წლის 18 დეკემბერს.

ლია, მაგრამ მთლიანად ვერ გაიშალა თვით ამ ორეოპაგიტული აზროვნების განვითარების ნათელყოფამდე. ჩემს მონოგრაფიაში «Петр Ивер и античное философское наследие» ვწერდი, რომ შეა საუკუნეთა ფილოსოფია არის გამოსაცელი პეტრე იძერის ნაზრევისათვის.

ჩემზე ადრე არეოპაგიტიის შესახებ ეს თვალსაზრისი გამოთქვა ანტიკური ფილოსოფიის ბუმბერაზმა ედუარდ ცელერმა. 1903 წელს „ბერძნებთა ფილოსოფიის ისტორიაში“ იგი წერდა: „პროცეს სისტემა წარმოადგენს არა მარტო დასკვნით წერტილს ბერძნებთა ფილოსოფიის, არამედ გამაერთიანებელ რკოლს, რომელიც შეასაუკუნეობრივ მეცნიერებაში გადასვლას მოასწავებს და რომელიც ფსევდო-ლიონისტება და სხვებისაგან იღებდა შემდგომ ბიძგს“ (ცელერი, დასახ. ნაზრობი, ტ. III). გასაგებია, რომ ცელერი ლაპარაკობს მხოლოდ ფსევდო-დიონისეზე, რადგან საჭიროა მეცნიერების აღმოჩენა 1942 წლის შემდეგ გახდა ცნობილი მეცნიერებისათვის.

1953 წელს შეა საუკუნეთა ფილოსოფიის კონგრესზე ასეთივე აზრი გამოთქვა ერთ-ერთმა მომსახურებელმა — გრონჟისმა (ფრანგულად):

„იმ დროს, როდესაც ათენის ფილოსოფიური სკოლა დაიშალა, იყო ფსევდო-არეოპაგელი, რომელმაც მათი შემკვიდრეობა მიიღო და გადაკცა იგი ბიზანტიის კელებისას“ (შეა საუკუნეთა ფილოსოფიის პირველი საერთაშორისო კონგრესის აქტები, გვ. 345, ლუვენ-ბრიუსელი, 1953 წელი).

ავტორი, როგორც ჩანს, საექლესიო აზროვნების კაცია და ფსევდო-არეოპაგელის ნაზრევის არა შეა საუკუნეების, არამედ „ბიზანტიის კელებისათვის გადაცემაზე“ ლაპარაკობს, მაგრამ, რაც მთავარია, იყა შეინც ან ტი ი კური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გადაცემაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, ის აფასებს არეოპაგიტიკულ ნაზრევს ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით. ისიც მიღწევა. რომ ის „ფსევდო-არეოპაგელზე“ და არა „ფსევდო-დიონისეზე“ ლაპარაკობს.

ამრიგად, ფილოსოფიის ისტორია აფასებს და წინ სწევს ფსევდო-არეოპაგელის (პეტრე იძერის) საქმიანობაში მის ნაზრევს, რომელიც მან კავშირი გააძირ ანტიკურ ნაზრევსა და შეა საუკუნეებს შორის. ეს გარემოება მთელი ეპოქების შემცველია და ამიტომაც პეტრი

ტრე იბერი ისეთი ფიგურაა, რომლის გარეშე კაცობრიობის კუთხით
რის ისტორია არ არსებობს. მან მიიღო ანტიკური აზროვნების შექმნა
კვიდრეობა და ვადასცა ის შეა საუკუნეებს ადამიანის ადგილისა და
როლის წინ წამოწევით. მაშინდელი დროს მისედვით; როდესაც ფი-
ლოსოფია მთავარ მიზანს თეოლოგიაში ხედავდა, გასაგებია, რომ პე-
ტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ) ადამიანის მთავარი მიზანი „გამოტე-
რთებაში“, დმერთად ვახდომაში (ბერძნულად „თეოზისში“) დაინახა.
ამის ირგვლივ და ამის გამო გაშლილ არეოპაგიტულ აზრებს მიემდევა
ჩემი მონოგრაფია «Петр I и античное философское наследие» და ამდენად აյ ამაზე აღარ შევჩერდები.

ამ შემთხვევაში ჩვენს წინ (როგორც კელევის საგანი) დგას საჭ-
თხი — არსებობს თუ არა იმის გარდა, რაც მე (1942 წელს) და ბე-
ლგიელმა აკადემიკოსმა (1952 წელს) ერნ. პონიგმანმა გავაკეთეთ,
კი დ ე ვ ს ხ ვ ა გ ზ ა, წმინდა ლიტერატურულ-ლოკუმენტალური,
რაც არეოპაგიტიკის ჩასახვა-განვითარების გზაზე მიუთითებდეს?
ამით ის კი არ მინდა ვთქვა — თითქოს ეს მეთოდი, რომელიც გამო-
იყენეთ მე და პონიგმანმა, საქმარისი არ იყო. არა, მთავარი დასაყრ-
დენი ჩვენი არგუმენტაციისა, რომელიც 1942 წლის ნაშრომში —
«Тайна Псевдо-Дионисия» წამოვაყენე, ხოლო ათი წლის შემდეგ
აკად. პონიგმანმა დაადასტურა, და რომელიც შეიცავდა პეტრე იბერის
მასწავლებლის ითანა (მითოიდატე) ლაზისა და იეროთეონის იგივეო-
ბას, ურყევია და ძალაში რჩება. ამის გარდა — ერნ. პონიგმანის და-
მატებითი საბუთი — პეტრე იბერისა და იეროთეონის მოსახლეობები
დროთა დამთხვევის შესახებ, ერთგვარ დავას იწვევდა, ხოლო ჩემი
დამატებითი საბუთი — ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) მიერ „მი-
ზეზთა წიგნის“ ავტორობის თაობაზე და ისიც ქართულ ენაზე. ავრე-
თვე ერთგვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ყველაზე ნაკლები ლირებულებისაა პეტრე იბერის (ფსევდო-
დიონისეს) მოღვაწეობიდან მოყვანილი ის ფაქტები, რომელთაც ზო-
გიერთინი ემყარებიან ჩვენ მიერ დასმული საფითხის ირგვლივ გამარ-
თული კინათის დროს. როგორც ვნახეთ, პრეოპაგიტიკის ავტორი ფი-
ლოსოფია ისტორიას ეკუთხნის, მის გარკვეულ პერიოდს გამოხა-
ტავს, იგი ათენის სკოლის შემდეგ გამოვიდა სამწერლო სარბიელში,
პროკლეს ნაზრევი გადამუშავა და ამის ნიადაგზე ანტიკურ ფილო-
სოფიურ მემკვიდრეობას ის სახე მისცა. რომელიც მოვისანო ანტი-

კურობის შეა საუკუნების ფილოსოფიაში გადასცლას წარმოადგენდა
ვიდრე რენესანსამდე.

ესაა ისტორიულ-ფილოსოფიური ჩარჩოები, რომებშიც მოცემულია
ლია არეოპაგიტიკის ჩასახვა-განვითარება და პრობლემა არეოპაგი-
ტიკის წყაროების შესახებ. ეს ამოსავალი თხზულება (თუ „ზოგიერ-
თო სხვა მომენტი განსხვავებული“ არის პროექტის „კავ-
შირნი თეოლოგიურნი“ (ბერძნულად „სტოიაშეოზის თეოლოგიუ”) მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დაწერილი დიდი ხა-
ნია დადგენილია, რომ მაშინდელ საერთაშორისო მიმართულებათა სა-
ტუაციაში, რომელიც ბიზანტიისა და სპარსეთს შორის არსებობდა,
ქართველი მეფის ვარაზ ბაკურის ძე, ერობაში ნაბარნუგად ანუ მუ-
რეანად წოდებული, თორმეტი წლისა, მეფის კარზე მისთვის კოლ-
ხეთიდან საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლის, მითრიდატე ლაზის
თანხლებით, ბიზანტიაში იქნა მძევლად გამოთხვეოდი, რათა სპარ-
სეთ-საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებას ხელი შემოღდა. კოლ-
ხეთის აკადემიის წრეებში, ფილოსოფიურად განსწავლები მითრი-
დატე (ბერობაში — ოთანე) ლაზი მაღვე დაუახლოვდა ფილოსოფიოს
პროექტს, რაც სხვათა შორის მათ ინტიმურ ფილოსოფიურ თანა-
შრომლობამდე მივიდა. ამის შემდეგ მითრიდატე (ოთანე) ლაზია
ანუ იეროთეოსმა, როგორც მას პეტრე იბერი უწოდებდა, გადამუშავა
პროექტს წიგნი „კავშირნი თეოლოგიურნი“.

ეს სათაური პროექტს წიგნის ბერძნული სათაურის „სტოიაშე-
ოზის თეოლოგიკეს“ თარგმანია, მაგრამ არეოპაგიტიკული წიგნების
ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელმა XI საუკუნეში ეფრემ მცი-
რემ (რომლის თარგმანებიც ამ წიგნების პირველ ნამდვილ თარგმანს
წარმოადგენდა მსოფლიო ლიტერატურაში) მას გაუკეთა ქართული
სახელი „წმინდისა იეროთეოსისა ღმრთის მეტყველებითთავან თხრო-
ბის შენიცებათა“.

ამით ნაჩვენებია ის განსხვავება, რომელიც არსებობს პეტრე
იბერის (დიონისე არეოპაგელის) მასწავლებლის ოთანე ლაზის (იერო-
თეოსის) მიერ გადამუშავებულ წიგნსა და პროექტს მიერ დაწერილ
ორიგინალს შორის.

არეოპაგიტიულ წიგნთა უუძებელებელ ნაწარმოებში — „საღმრთო-
თა სახელთათვის“, მისი აეტორი — პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე)
პირდაპირ ამბობს, რომ ზემოთ დასახელებული ნაშრომი იეროთეოსი-
სა არის „შემოკრებილი“ ბერძნულად („საუკუნეგემენა“) პროექტს წიგ-

ნიდან — „კავშირნი ღმრთისმეტყველებითი“: მაშასადამე, წიგნი რომლისაგან „შემოკრებულით“ გაღმოცემული მეორე წიგნი იმავე სა-
თაურით იყო, პროკლეს თხზულება კი არაა, არამედ მისი გადამუშავე-
ბა, პეტრეს მასწავლებლის, იოანე ლაზის მიერ. ნათელი რომ ყოფი-
ლიყო, რომ აქ ლაპარაკია არა პროკლეს „კავშირნით“ პირდაპირ საჩ-
ვებლობაზე, არამედ მისგან (პროკლეს „კავშირნიდან“) გაღმოკვეთე-
ბულ იმავე სათაურის წიგნზე, თხზულების — „საღმრთოთა სახელთა-
თვის“ ავტორი პეტრე იძერი (ფსევდო-დიონისე) წერს, რომ ამ მეო-
რე, იეროთეოსის (იოანე ლაზის) მიერ დაწერილ წიგნში ლაპარაკია
„რაოდენ — რა არს ზეშთაბუნებისათა მათ იესუს ბუნების-მეტყვე-
ლებად“ („საღმრთოთა სახელთათვის“, ს. ენუქაშვილის გამ., გვ. 22,
1961).

ეს ხაზგასმა, სახელდობრ, რომ ამ მეორე „კავშირნში“ ლაპარა-
კი იყო (რომლის სათაური, როგორც ითქვა, იყო „წმინდისა იეროთე-
ოსისა ღმრთის-მეტყველებითგან თხრობის შენივთებათა“) იქსოს შე-
სახებ, იმ მიზნითა გაეკოტებული. ჩათა ნათელი იქნეს განსხვავება ამ
ორ, ერთი და იმავე სათაურის მქონე წიგნთა შორის, რადგან მეორეს
ავტორმა, იეროთეოსმა შემოკლებით გადმოსცა „იესუს ბუნების-
მეტყველებად“, ე. ი. ქრისტეს ბუნების შესახებ მსჯელობანი, რაც,
ცხადია, პროკლეს, როგორც წარმართი ფალისოფლის წიგნში კი
იქნებოდა.

პეტრე იძერი იქვე აგრძელებს, რომ მას ამავე საკითხზე საკ-
მად აქვს ოქმული თავის თხზულებაში: „ამის პირისათვის ჩუქ
მიერცა კმასაყოფელად თქმულ არს სხვათა ადგილთა შინა“. ეს
„სხუა ადგილი“ არის ის წიგნი, რომელსაც პეტრე იძერი ასახელებს
თავისი ნაშრომის — „საღმრთოთა სახელთათვის“ პირველ პარა-
გრაფშივე, სადაც მიუთითებს: „ამ ჩემი წიგნის წინ დაწერილ თხზუ-
ლება „ღმრთისმეტყველებითთა სახეთ შემოღებათა“. ამ ადგილს პე-
ტრე იძერი სწერს თავის კორესპონდენტს — თანამდვერელ ტიმოთეს:
— „ხოლო აწ ჟე სანატრელო, შემდგომად, საღმრთოთა სახელთა თა-
რგმანებისა მოუკდე, რაოდენ დასახევნებულ არს, საღმრთოთა სახე-
ლთა თარგმანებას“.

ამრიგად, პეტრე იძერი მოგვითხრობს, რომ მან, ვიდრე შეედ-
გებოდა წიგნის „საღმრთოთა სახელთათვის“ წერას, დაწერა წიგნი
ღმრთისმეტყველების (თეოლოგიის) პირითადი ცნებების შესახებ, რასაც

ურთვეარი შესავალი როლი უნდა შეესრულებინა მის „ახალ ოცნება-
გიაში“ ანუ არეოპაგიტული წიგნების მთელი კრებისათვის.

ამ მითითებით უდავო ხდება, რომ პირველი ნაწარმოები პეტრი მითითებისა იყო „ღმრთისმეტყველების სახის შემოღებანი“. ეს თბზულე-
ბა, მისივე მითითებით, პეტრე იძერმა დაწერა იქროთეოსი (იოანე
ღაზის) მიერ დაწერილი წიგნის საფუძველზე, რომელიც პროკლეს
წიგნის „კავშირის თეოლოგიურნის“ შემოკლებას ანუ როგორც პეტრე
ამბობს — „შემოკრებას“ (ბერძნულად „სხεუნგემენას“) წარმოადგენ-
და. პეტრე პირდაპირ ამბობს, რომ „კავშირის“ შემოკრებილად დამ-
წერი მისი მასწავლებელი იყო „დიდებულისა მისცა წინამძღვრისა ჩვე-
ნისაგანცა ზეშთაბუნებისა“ (პეტრე იძერილი, დას. ნაშრ. გვ. 22).

მაშასადამე, ზემოთ დასახელებულმა გერმანელმა მეცნიერმა
ედ. ცელერმა და ფრანგმა ლუი გრონქისმა იციან არეოპაგიტული წი-
გნების ავტორის — პროკლეს მიერ ერთგვარ სისტემაში მოყვანილი
ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის შეა საუკუნეებისათვის გა-
დაცემის ფაქტი, მაგრამ არ იციან, რომ ეს ამბავი უფრო რთული მოვ-
ლენა იყო და რომ ქრისტიანული თეოლოგიის გაფორმებაში მოცე-
მული ნააზრევი (არეოპაგელის) კერ იქნებოდა პირდაპირ წარმართი
პროკლეს მემკვიდრეობიდან, როგორც წყაროდან მომდინარე.

რა თქმა უნდა, პროკლეს მეოხებით იმ საფეხურის შექმნა, რო-
მელსაც შეა საუკუნეებისათვის უნდა გადაეცა ანტიკური ფილოსოფიის
მიღწევები, აუცილებელი იყო, და რომ ეს ასეა, ორივე ზემოთ და-
სახელებულ მკვლევართან შედარებით, უკეთესად გაიგო კარლ მარქს-
მა, როდესაც ის პროკლეს მისი გამო თვლიდა ასეთ გარდამავალ სა-
ფეხურად, რომ მან „ფანტასტიკურად გააღლო“ ერთ მთლიანობად ან-
ტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა, ჩასაც დიალექტიკურად გაგე-
ბული ისტორიულ-ფილოსოფიური განვითარება მოითხოვდა. ფილო-
სოფიის ისტორიკოსებს უნდა სცოდნოდათ, რომ ქრისტოლოგიის სა-
ხით გაშლილ ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობას სათანადო წანა-
მძღვრები ესაჭიროებოდა და ასეთი კაცი უნდა მდგარიყო პროკლესა,
როგორც ანტიკური ფილოსოფიის უკანასკნელ სისტემატიზატორსა,
და ისედაც საეჭვოდ გამომყურე, დამწეუბი ქრისტოლოგიის ფილო-
სოფიურ საფარად გამომყენებელს შორის.

ამიტომაც, თბზულების „საღმრთოთა სახელთათვის“ ავტორმა, პე-
ტრე იძერმა, სწორედ ის ნაწყვეტი მოიყვანა ამ თბზულებაში თავისი
მასწავლებლის იოანე ღაზის (იეროთეოსის) წიგნიდან — „ღმრთისმე-

ტუელებითთა სახის „შემოღებანი“, რომელიც პირდაპირ ქრისტოლუ-
გიურად ეღერდა. აյ მეორე მიზეზიც იყო, რომლის შესახებ უურნად
„შნათობის“ მკითხველნი საქმის კურსში არიან, სახელდობრ რომ ეს
დასახელებული წიგნი, რომელიც ფალოსოფიის ისტორის განვითარე-
ბაში „მიზეზთა წიგნად“ იწოდა, პეტრე იბერის მიერ ქართულად იყო
დაწერილი და ამის გამო მისი ციტირება ბერძნულ ენაზე დაწერილ
მსოფლიო ფალოსოფიურ ძეგლში უჩიეულო ამბად გამოიყერებოდა.

ამრიგად, V საუკუნეში პროკლეს „კავშირნის“, როგორც წარმარ-
თული ნაწარმოების ქრისტოლოგიური ფილოსოფიისათვის, გადასაჭ-
თებლად საჭირო შეიქნა ორი მოაზროვნე — იოანე ლაზი (იეროთე-
სად წოდებული) და პეტრე იბერი, რომელთაც ანტიკური ფილოსოფიის
მემკიდრეობა მიიღეს, გადაამუშავეს და არეოპაგიტიული მსოფლგა-
ვების („ადამიანის გაღმერთების“) ლოზუნებით, სინამდვილედ აქციებ
ახალი რენესანსული ერა, რომლის აღმოსავლური მონაკვეთის მეთაუ-
რი რუსთაველი იყო.

დასავლეთის მეცნიერებას საკითხი არეოპაგიტული წიგნების კ-
ტორისა და ანტიკური ფილოსოფიის ისეთი დამამთავრებელისა, რო-
გორიც იყო პროკლე, ცხადია, ისევე არ გამოიქარათ, როგორც პეგე-
ლისა და მარქსს, მაგრამ, თუ უკანასკნელმა ამ დამთავრებაში და-
ნახა ანტიკური ფილოსოფიის მობსნა და იმავე დროს განვითარება,
სხვა მეცნიერები დაიღებეტიკური გზის არცოდნის გამო, დაიბნენ და
სწორ გზას ვერ მიაგნეს. მაგალითად, ამ საკითხების მკვლევარი მი-
ულერი (1918 წელი), და შეიცერი (1951 წელი) ნეოპლატონიკოს
პლოტინისა და არეოპაგიტული წიგნების აეტორს შორის შეამაგლს
პროკლეში ხედავდნენ (შეად. ერნ. პონიგმანი, გვ. 56, ჩვენი გამოცემა).

ამრიგად, პლატონისა და პროკლეს შუა კი არ იყო საჭირო სა-
ფეხურის მონახვა, როგორც ამას დასავლეთის მეცნიერება შეცდომით
სჩადიოდა, არამედ პროკლესა, როგორც ანტიკური აზროვნების სა-
სტემატიზატორ-დამამთავრებელსა და მოგვიანებით ანტიკურობის გა-
მაგრძელებელს პეტრე იბერის შორის. როგორც გაირკვა, მეცნიერები-
სათვის ეს შეამავალი პროკლესა და პეტრე იბერის (ფსევდო-დიო-
ნისეს) შორის ქართველი მოაზროვნე — იოანე ლაზი (იეროთეოსად
წოდებული) სულ ბოლო ხანამდე უცნობი იყო, სანამ ცხადი არ გახდა
თვით პეტრე იბერის მითითება ამ წყაროზე, როგორც შეამავალზე
პროკლესა და პეტრე იბერის შორის.

სადაა დაცული ეს წყარო პეტრე იბერის ნააზრევისა, რომელსაც
დღეს მანც არეოპაგიტიას უწოდებთ, როგორც აკადემია ეწოდა
პლატონის ფილოსოფიურ სკოლას იმ შემთხვევის გამო, რომ იგი აკე-
ბულ იქნა პლატონის მიერ ვინმე აკადემისაგან ნაყიდი მიწის ნაკვე-
თზე (შეად. „არეოპაგა“, როგორც ადგილი არეოპაგიტიის დაბადე-
ბისა).

ითანე ლაზის (იეროთეოსის) თხზულებიდან პეტრე იბერშა მოი-
ყვანა ადგილები თავის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“
და დააღავა თავისივე თხზულების — „თეოლოგიური სახელშემოლე-
ბანის“ სახით. დიდი ნაწილი პროკლეს „კაცშირნისა“ ითანე ლაზის
(იეროთეოსის) მიერ ზემოთ დასახელებული „შემოკრებილის“ მიყო-
ლით. შინაარსი თავისი პირველი თხზულებისა, რომელიც პეტრე იბე-
რშა ზემოთ დასახელებული გზით მიიღო, ე. ი. „თეოლოგიური სა-
ხელშემოლებაში“, მოათავსა თავისი თხზულების „საღმრთოთა სახელ-
თათვის“ პირველ სამ თავში.

რატომ უხდა გადამუშავებინა პეტრე იბერს მისი მასწავლებლის
ითანე ლაზის (იეროთეოსის) მიერ „შემოკრებული“ პროკლეს „კაცში-
რნიდან?“

პეტრე იბერი ამ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე სავანგე-
ბოდ ჩერდება და ცდილობს ამ გარემოების გამართლებას.

შეიძლება ვისგანმე საყვედურის ლირსი იყოს, ამბობს პეტრე იბე-
რი. „რომ დაცებულსა მას მოძღვარსა ჩეუნსა — იეროთეოსს შემოკ-
რიბნეს „ღმრთისმეტყველებითნი თხრობის შენიერებანი ზეშთაბუნე-
ბასა“ და ჩვენ, თითქოს „არა კმარ იყვნეს იგინი, აღვსწერეთ აწინდე-
ლსა ამას ღმრთისმეტყველებისას“. ამის საპასუხოდ პეტრე წერს:
მას — იეროთეოსს, რომ კველაფერი საქმაო სისრულითა და თანმიმ-
დევრობით ეთქვა „ყოველნი სიტყუანი ღმრთისმეტყველებისანი და
ერძოთაგან შემოკრებითა წარმოესრულნეს ყოველი თავის ღმრთის-
მეტყველებისანი“, ჩვენ არ დავუშვებდით ისეთ სივერაგეს, რომ
„მისვე და კრისა თრგზის თქვემითა ნამეტნავად ცუდათ ემეტყვე-
ლებდეთ“.

ეს, ვანაგრძობს პეტრე, უსამართლობაც იქნებოდა „მოძღვარისა მი-
რით და მეგოპრისა“, რომელშაც პავლეს შემდეგ თავისი სიტყვით

განვეამტკიცა და მივითვისებდით „დიდებულსა შის მხედველობას“ და გამოთქმულებასა მისსა“, მაგრამ პეტრე აღიარებს, რომ მისი მასწავლებელმა — იეროთეოსმა — „მოხუცებულებრივ მოვკითხოვ ჩეურ და მოკლებითი საზღვარი დამისხნა და თითოეულსა მათგანსა შინა მრავალი რაა შეაწყედია“ („საღმრთოთა სახელთაოების“, თავი 3, გ 2).

როგორც ჩანს, თვითონ პეტრე იძერის (ფსევდო-დონისეს) განმარტების თანახმადაც კი, მასწავლებელსა — იეროთეოსსა — და მის აღზრდილს — პეტრე იძერს — შორის პრინციპული განსხვავება არ ყოფილა. რომ პეტრემ რაიმე ახალი თქეა თავის მასწავლებელონ — იეროთეოსთან — შედარებით, ეს კატეგორიულად უარყოფილია თვითონ პეტრეს მიერ, რომელიც თავისი თხზულების „საღმრთოთა სახელთაოების“ მესამე თავის ბოლოში პირდაპირ აცხადებს: „ხოლო არა რას ახლის მეტყუელებათა კადნიერ ვიქნებით“, არამედ, განავრიბს პეტრე იძერი, ნაწილ-ნაწილ და ზედმიწევნით ნათელი ვიყავით შემოკლებულად თქმული ნამდვილი ტაძრისა ღმრთისა — იეროთეოსა“ (პეტრე იძერიელი, დას. ნაშრ., გვ. 29, თავი 3, გ 3).

აქ სრულიად ნათლადაა ნათქვამი, რაც ხან ძეველი, ხან ახალი ქართულით მოვიყვანე, რომ იეროთეოსი ნამდვილი სახელი იყ არ არის, არამედ შერქმეული სახელდებაა, რის გაგებაშიც პეტრე იძერი თვითონ გვეხმარება ბერძნეული სიტყვის „იერო (6) თეოსის“ „ტაძარი ღმრთისა“ ქართულად თარგმნით.

ამდენმა განმარტებამაც არ უშეველა დასავლეთის საეკლესიო მწიგნობართ, გაეკოთ პეტრე იძერის ნათქვამი, რომ მისი მასწავლებელი იყო მისი სიყრმის მასწავლებელი, საქართველოდან ბიზანტიაში გატანებული ლაზი მითრიდატე, ბერძაბაში ითანე (იეროთეოსი). ასე მა-გალითად, პეტრე იძერის არეოპაგიტული წიგნების აკტორობის მოწინააღმდეგე იყრ. პაუსლერი აცხადებდა, რომ ბიზანტიოლოგები შტაგ დ მაირი და კოხი ფსევდო-დიონისეს პრობლემას გადაწყვეტ-დნენ ადრე, თუ „იეროთეოსის და პროკლეს იღენტურობას აღიარებდნენ“ (იერ. პაუსლერი, „ორიენტალია ქრისტიანია“, ლათინურად, 1933, 182).

ჯერ ერთი, პროკლესა და პეტრე იძერს შეა იეროთეოსის შეამ-ცლობაზე ლაპარაკის შემდეგ, პაუსლერის ეს განცხადება სრულია უნიადაგო. მეორე ის, რომ პროკლე როგორც წარმართი ფილოსო-ფისი ანტიკურობისა, სრულიად შეუურებელი იყო პეტრე იძერის

ქრისტოლოგიურ მასწავლებლად. ამრიგად, პეტრე იბერის (ფსევდო-ლიონისეს) პირველი თხზულება ყოფილა ის, რომელიც მან საქართველოს ლოდან (იბერიიდან) თავისი გაყოლებული მასწავლებლის — მოანელაზის (იეროთეოსის) მიერ პროკლეს „კავშირნიდან“ შემოკრებილი წიგნიდან გადააკეთა, და რომელშიაც დამუშავებული იყო საკითხი „ლმრთის-მეტყველების პირველ სახეთა შემოლებისათვის“. ამ წიგნის სახელს პეტრე იბერი ბერძნულად დაწერილ წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“, ცხადია, ბერძნულად ხმარობს („ისოტიპოსეის თეოლოგიაში“), მაგრამ შემდეგში სახელწოდება იცვლებოდა. მაგალითად, ლათინურად მისი სათაური იყო „დე სუმმა ბონიტატე“ („უმაღლეს სიკეთისათვის“), ხოლო XIII—XIII საუკუნეებიდან იგი იწოდებოდა „მიზეზთა წიგნად“ („ლიბერ დე კაუზის“).

ასეთი სათაურის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო, როგორც ჩანს, უკვე იეროთეოსის მიერ შემოკრებილი „კავშირნიდან“. ამაში დასარწმუნებლად საქართველობაში იქნეს მიღებული ის ფრაგმენტი, რომელიც პეტრე იბერს თავისი მასწავლებლის იოანე ლაზის (იეროთეოსის) დასახელებული შემოკრებილი „კავშირნიდან“ შეუტანია წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“. აქ მოყვანილი პირველიც ფრაზა იეროთეოსისა იკითხება ასე: „ყოველთა მიზეზი და აღმაგებელი იესუსს ღმრთებაა, რომელი კერძოთა ყოვლობისა თანაერთობით... არც კერძო არს, არცა ყოვლობა, და ყოველ არს და კერძო, ვითარცა ყოვლისავე ყოვლობისა და კერძოობის თავსა შორის თვისსა შემოკრებელი“. ამის შემდეგ მოდის ღვთაების როგორც პირველი მიზეზის იმ ელემენტების დადგნა, რომელთაც წინ წასწიეს მოძღვრება დიალექტიის შესახებ, პროკლეს „კავშირნშია“ მოცემული, რასაც პროკლეს უმაღლეს მიღწევად უთელიდა პეგელი, თუმცა მას ორ კართველ მთაშოროენთაგან გადამუშავება დასჭირდა, რადგან პროკლეს ტრიადით, რომელიც მან პლატონისაგან ისესხა, არ ამოიწურებოდა დიალექტიკის საკითხი, საჭირო იყო კერძოსა და ზოგადის ისეთი მიმართულების განვითარება, სადაც მათს მთლიანობაში მიღწეული გახდებოდა უსასრულობა და უსაზღვრულობა.

ამ სახით დიალექტიკის განვითარების საკითხი იდგა ისე, როგორც მას, ლენინის თქმით, არისტოტელე ეხებოდა, მაგრამ ანტიკურ ფილოსოფიას არისტოტელეს შემდეგ კადევ თრი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდა — პროკლემდე და აქედან ორ სახელოვან ქართველ მოზრივნემდე — იოანე ლაზარძე და გენიალურ პეტრე იბერამდე.

იოანე ლაზისავან მოყვანილ ფრაგმენტს (რომელიც პროველს გადამზადებას წარმოადგენს), პეტრე იძერი შემდეგანირად აგრძელებს „პირველი მიზეზი“ სრულ არს უკუ უსრულთა შორის, ვითარცა სრულთ მთავარი, ხოლო უსრულ სრულთა შორის, ვითარცა ზეშთა სრული და წინაითვე პირველთაგან სრული, სახე სახემყოფელ უსახოთა შორის, ვითარცა სახეთ მთავარი, ხოლო უსახო სახეთა შორის, ვითარცა ზეშთა სახეთაც“ („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი ბ, გ 10). და აქედან მოპყავს პეტრე იძერს იოანე ლაზის ნაშრომის დასკვნითი ადგილები: „იგი (პირველი მიზეზი, — შ. 6.) უზეშთავს არს არსთა შორის შეოფისა მისა ერთობისავან... მომყვანებელ ყოვლისა ერთობისა და სიმრავლისა“ (პეტრე იძერიყლი, დასახ. ნაშრომი, თავი ბ, გ 11).

დიალექტიკის განვითარების ისტორიისათვის მოყვანილ ადგილებს უაღრესი მნიშვნელობა აქვს და, თუმცა იეროთეოსის წმინდა ფილისოფიური ნაშრომიდან ყველაზე დიდი ეს ურაგმენტი გვაქვს (პეტრე იძერის მიერ შემონახული), მაგრამ უსეც საქმარისია მისი გასაგებად, თუ როგორ გადაამუშავა იოანე ლაზმა მისი მოწაფის — პეტრე იძერის დიალექტიკა, და როგორ გადაამუშავა უკვე პეტრე იძერმა დასახელებული ადგილი იმ წიგნში, რომელსაც მან თვითონ უწოდა „ღმრთის მეტყველებითთა სახის მოღებანი“ და რომელიც საბოლოოდ მიჩინთა წიგნად იწოდა.

თუ პირველწყარო პეტრე იძერის ფილისოფიური მუშაობისა მიენდებულია და მიზეზთა შესახებ მოძღვრება საფეხურს წარმოადგენდა არეობაგიტული წიგნების შესავლისა, მაშინ გასაგებია შემდეგი საუცხურიც — „მიზეზთა წიგნიდან“ შემდეგი თხზულებისაკენ — „საღმრთოთა სახელთათვის“, რომელშიაც „საღმრთოთა პირველ საწერო შემოღებანი“ შესავალი სამი თავის სახით იქნა დალაგებული, რა თქმა უნდა, „მიზეზთა წიგნის“ როგორც შესავლის გამოყენება თხზულებისათვის „საღმრთოთა სახელთათვის“, არ ნიშნავს, რომ გარდა მოხსენებული სამი თავისა, ამ შესავლის მოხსენიებასა და გამოყენებას არ პქონდეს ადგილი.

ამის გამო ახლა მთავარია იოანე ლაზის (იეროთეოსის) ნაშრომის „მიზეზთა წიგნისათვის“ და თხზულების „საღმრთოთა სახელთათვის“ ზოგიერთი ძირითადი მომენტის შედარება. ზოგი რამ არეობაგიტიკულ წიგნთა დასახელებული შესავლიდან მოიპოვება სხვა არეობაგიტიკულ

წიგნებშიაც, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის დასაღვენად, თუ სანამდე სწოდებოდა ამ შესაელის გავლენა.

თუ დამტკიცდება, რომ აღნიშნულ წიგნებში გარკვეული თანმიმდევრობით გამოყენებულია ითანე ლაზის (იეროთეოსის) აზრები, გადამუშავებული პეტრე იბერის მიერ, ნათელი გახდება, რომ პროცეს „კავშირნი“, მართლაც, ყოფილი პირები წყარო არეოპაგიტული წიგნებისა, ხოლო არა უშაალოდ, რადგან წარმართი ფილოსოფოსის აზრები, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვერ გამოდგებოდნენ ქრისტოლოგის დასაფუძნებლად.

ამიტომაც გასავებია, რომ ასეთი შეა საფეხური პროცესა და პეტრეს შორის უნდა არსებულიყო და არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს შეა საფეხური იყო პეტრე იბერის მასწავლებელი, აგრეთვე ქართველი მოაზროვნე მითორიდატე (ითანე) ლაზი.

როგორც პირველწყაროზე, პროცეს „კავშირნის“ ითანე ლაზის (იეროთეოსის) მიერ გადამუშავებაზე დამყარებული პირველი წიგნი პეტრე იბერისა „მიზეზთა წიგნი“ („მდჩთის-მეტყუელებითა პირველ სახეთა შემოღებანი“) და მეორე წიგნი „სამდროთოა სახელთათვეს“, როგორც ეს ოვითონ პეტრეს აქვს მითითებული ამ წიგნის პირველი თავის პირველსავე პარაგრაფში, ამით არეოპაგიტულ წიგნთა სისტემაში შესულია როგორც ორი მიზითადი წიგნი. ამით არეოპაგიტულ წიგნთა თანმიმდევრობა დასაელეთის მეცნიერთა მიერ ამ საჯითხის გადაჭრის შედეგებისაგან განსხვავებით, გარკვეულია ყველა ხუთი წიგნის (და არა როგორც აქამდე ეკონათ — ოთხის) თანმიმდევრობა. სრულიად ბუნებრივია, რომ არეოპაგიტულ წყაროთა პრობლემა, როგორც გაიჩინა, დიდ როლს ასრულებს არეოპაგიტულ წიგნთა თანმიმდევრობისათვის, რადგან იყო არ შეიძლება გაირკვეს, თუ მისი დასაწყისისადმი მიმართება არ არის ნაჩვენები.

სამწუხაროდ, მეცნიერება აქამდე ამ პრობლემას არ აქცევდა ყურადღებას, არ მიაჩნდა საჭიროდ პეტრე იბერის (ფეხვდო-დიონისეს) ისტორიულ-ფილოსოფოური ოვალსაზრისით განხილვა და, მიუხედავად ზოგი მითითებისა საქმის ამ მხარეზე (ცელერი და სხვ). არ თელიდა საჭიროდ, ნათელი გაეხადა, სად და როგორ გადავიდა ანტიკური ფილოსოფის მემკვიდრეობა მოგვიანო ანტიკურობის და აქედან შეა საუკუნეების იდეოლოგიად.

თუ საჭიროა გაირკვეს, ვინ და როგორ შეასრულა მსოფლიო კულტურის ისტორიის უდიდესი ამოცანა — ანტიკური ნაზრევის მოგვი-

ანო აზროვნებისათვის გადამუშავება, მან უნდა წამოსწიოს წინორი ქართველი — მსოფლიო ფილოსოფიურ-ისტორიული საქმიანობის შეარმომადგენელი — იოანე ლაზი და პეტრე იბერი — რათა პირველში დაინახოს ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის „შემოკრება“, ხოლო მეორეში — მისი გადამუშავება მიზეზთა ფილოსოფიის შემკვიდრეობის მიზეზთა ფილოსოფიის საკითხები, რითაც მან პლატონის იდეების ნაცვლად მიზეზთა პრობლემა დააყენა, მაგრამ მას საბოლოო სახე ვერ მისცა, რადგან უსასრულობის ცნების უგულებელყოფის გამო ვერ მოუპოვა დიალექტიკას უარყოფითი დასაყრდენი და წინააღმდეგობათა მთლიანობის „საზღვრის დაუსაზღვრებით“ ვერ გამოხატა, როგორც ეს ფილოსოფიურად იოანე ლაზიდან ამოსულმა პეტრე იბერმა გააეთა, და რაც XI—XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსით — იოანე პეტრიწით გამუადებული, გენიალურმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა პოეტური სახეებით გაშალა.

მაშიასადამე, აქ ჩაეყარა საუკუნეებით იმ დიდ საფეხურს კაცობრიობის უსლტურის ისტორიაში, რომელიც შეუძლებელია გასწიროვანთა მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის მრავალ საუკუნეთა მიჯნაზე „ადამიანის გაღმერთების“ უდიდეს პუმანისტურ დროშას აღმართავს და დაიწყება რენესანსის ეპოქა.

იოანე ლაზისა და პეტრე იბერის საქმე ანტიკური აზროვნების შემოქრებითი გადამუშავების ნიადაგსა და მიზეზთა ფილოსოფიაზე პასუხის გაცემით უნდა შეფისდეს. ამ გზით წასული აზროვნებისა და შემოქმედების გაერთიანება აღრინდელი რენესანსის სახით წარმოდგება რუსთაველის შემოქმედებასა და აზროვნებაში და „ღმერთკაცის“ (არეოპაგიტულ „თეანდრიკოსის“) იდეას „ეკაცდმერთის“ იდეას დაუპირისპირებს. ამას ამზადებს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი იოანე ლაზისა. „მიზეზთა წიგნი“ პეტრე იბერისა და კველა ამათი იოანე პეტრიწის მიერ „კვალად გადმოღება“, რაც „ერთიას“ და „ასის“ დიალექტიკად ჩაექსოვა რუსთაველის ფილოსოფიურ პოეზიაში, იმის საღიძებლად „ეინ საზღვარსა დაუსაზღვრავს“ და „გახდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასა ერთად“.

საკითხავია — არსებობს თუ არა V საუკუნიდან (როცა შემუშავდა არეოპაგიტიკის წყაროები), ვიდრე XIII საუკუნემდე (როცა რუსთაველით აღმოსავლეთის რენესანსი იწყება). საშუალება იმის ჩვენებისა, თუ როგორ ვითარდებოდა აღნიშნული იდეური კავშირი? ეს კითხვა არ

კულისხმობს არეოპაგიტიკის იდეური განვითარების ისტორიის მთლიანი მოტანას, რაც ურიად ვრცელი ამბავი იქნებოდა და არ იქნებოდა მშიდრო კავშირში არეოპაგიტიკის წყაროების ძირითად საკითხთან. უკანასკნელს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ შეიძლება დაღვინდეს კავშირი: ა) პროკლეს „კავშირისის“ და იოანე ლაზის ნაწერებს შორის (ცხადია, შემონახული ფრაგმენტის ფარგლებში), ბ) იოანეს ამ ფრაგმენტსა და პეტრე იბერის ნაშრომს — „მიზეზთა წიგნს“ შორის, გ) პეტრე იბერის „მიზეზთა წიგნსა“ და არეოპაგიტულ წიგნთა შორის (მომეტებულად წიგნთან „საღმრთოთა სახელთათვის“).

საძიებელი მასალის უფრო ახლობრივად დაზუსტებისათვის უნდა განსხვავებულ იქნეს ერთიმეორისაგან ორგვარი საზომი არეოპაგიტიკის იდეური განვითარებისა: ერთია — ეხება ეს განვითარება თვითონ არეოპაგიტული წიგნების ავტორის — პეტრე იბერის — იდეურ უონდს თუ არა და მეორეა — ეხება თუ არა არეოპაგიტიკის იდეური განვითარება მის ისტორიას საზოგადოდ, რაც პირებელისაგან განსხვავებით, შეიძლება სხვა ავტორებსაც ეხებოდეს, რომელთაც არეოპაგიტიკის დამშავების პროცესში აღრე თუ მოგვიანებით, ესა თუ ის მონაწილეობა მიიღეს.

პეტრე იბერის, როგორც არეოპაგიტული ნაწერების ავტორის მოღვაწეობის დადგენისათვის, რა თქმა უნდა, მთავარი იყო ის, რაც დოკუმენტურადა მოცემული, როგორც არეოპაგიტიკის წყაროები, ხოლო ისეთ პიროვნებებს, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდებოდნენ მის ნაწერებს, როგორიც იყვნენ VII საუკუნის მოაზროვნე მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც თავისი კომენტარებით არეოპაგიტიკის ქრისტიანობასთან შეკუებას ცდილობდა, იოანე სკოტ ერიუგენა, რომელმაც (IX საუკუნეში) თარგმნა არეოპაგიტული წიგნები ბერძნულიდან ლათინურ ენაზე (თუმცა არც ისე ხარისხიანად, როგორც ეს უფრე მცირებ გააკეთა ქართულ ენაზე XI საუკუნეში), თომა აქინელი, რომელმაც თვალსაჩინო კომენტარები მიუძღვნა XII—XIII საუკუნეებში „მიზეზთა წიგნს“, თუმცა არც ისე შედეგიანად, როგორც ეს დაახლოებით იმავე XII საუკუნეში გააკეთა ქართველმა შოაზროვნემ იოანე პეტრიწმა — საერთოდ დამსმარე როლის შესრულება შეუძლიათ არეოპაგიტული ნაწერების მის წყაროებთან მიმართების ისტორიული დადგენისათვის.

ნათქვამის მიხედვით საჭიროა სათანადო საბუთის მოყვანა არეოპაგიტიკის წყაროებსა და მის შემდგომ განვითარებას შორის კავში-

რის „დასადასტურებლად“. იოანე ლაზის ფრაგმენტში საჭაოლ კანკე კვა ორი მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა არეობაც მომდევნობის სისტემისათვის: ა) პირველმიზეზის შესახებ, მისკენ მიმდევალი ჩამისგან მომავალი გზის გათვალისწინებით, და ბ) პირველი მაზეზის შეოხებით წინააღმდეგობის მოხსნის შესახებ. პირველ შემთხვევაში ყურადღების საგანია საფეხურების ანუ იერარქიის ამბავი, რომელიც არეობაც გიტული სისტემის მთელ გარეკეულ აღნავობას გამოხატავს.

პირველმიზეზში, კვასწავლის იოანე ლაზი, მოცემულია „ყოვლურ-ბაც“ და „კერძოც“ და ამიტომ ის ყოვლის მიმართ უპირატესია და „პირველთაგან მყოფი“. ამიტომაც პირველი მიზეზი დგას არსში, როგორც ყოვლისა და კერძოს უპირატესი მთლიანობა და არსი ისწრაფვის „პირველ მიზეზისაკენ“, ე. ი. იშლება მასში. ესაა პანთეიზმის რაობა, ზემოდან ქვევით და ქვემოდან ზევით იერარქიულად გამდიდნ.

ეს ამბავი გამოთქმულია „მიზეზთა წიგნში“ მრავალ ადგილას, რომელთა შორის უფრო დამახასიათებელია ის, რაც იოანე ლაზის ურაგმენტიდან გადატანილია ჯერ „მიზეზთა წიგნში“ და შემდეგ აქვთან, როგორც შესავლიდან, წიგნში „საღმრთოთა, სახელთათვის“, საქმე ეხება შუალობას, რომელიც აერთებს პირველს და შემდგომს. ეს ადგილი „მიზეზთა წიგნში“ მოცემულია § 30-ში, სადაც ის იკითხება ასე: „იმ საგანთა შორის, რომელთა არსება და მოქმედება მარა-დიცელობის მომენტს განეკუთვნება, და იმისაგან იმ საგანთა შორის, რომლის არსება და მოქმედება დროის მომენტს განეკუთვნება: არსებობს შუალობა, სახელობრი ის, რომლის არსება მარადიცელობას, ხოლო მოქმედება დროულობას მიეკუთვნება“. გაშასაღამე, აქ ლაპარაკია იერარქიაზე, რომლითაც პირველის დასასრული და შემდგომის დასაწყისი ერთიმეორეს უკავშირდება.

სწორედ ეს მდგრამარეობა („მიზეზთა წიგნის“) როგორც არეობა-გიტული წიგნების შესავლის § 30-შია მითითებული, გამოყენებული აქვს პეტრე იძერის (ფსევდო-დიონისის) თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“, სადაც იგივე აზრი იყოთხება ასე: „ყოველთა მოქმედი იგი (პირველი მიზეზი, ღმერთი, — შ. 6.) და მარადის ყოველთა... წესისა. მიზეზი და მარადის დასასრულისა პირველთა... შეაწყობს და დასასრულისა კეთილის — მოქმედებს“ (იქევ, § 3, ბოლო).

ყველაზე აღრინდელი წყარო პირველ და მომდევნო საფეხურთა იერარქიისა პროკლეს „უკავშირნშია“ მოცემული (თავი 106-ე) და ამა-

დო ქართულით ასე იკითხება: „ყოველი შემძლება იყოს არსებითად“⁵ და მოქმედებითაც და აერეთვე ყოველი ღროული საშუალია საუკანი-სა და ღროულს შორის“ ცხადია, რომ „ზედროული და ღროული“, როგორც იერარქიის საფეხურები, საშუალის მიერ ერთდებიან, მაგრამ ეს არა ჩანს ნათლად პეტრე იბერის მიერ შემონახულ ითანე ღა-ზის ფრაგმენტში, რაღაც იქ წინააღმდევობათა დიალექტიური მოლი-ანობა ჭარბობს, როგორც მსჯელობის მეთოდი. პირველი მიზეზი, შე-მდგომთა მიმართ დავინდება არეოპაგიტიკაში, მაგრამ ეს დამოკიდებუ-ლება, პირველთაგან მყოფი, განისაზღვრება ან საფეხურების საშუალე-ბით — პირველი, საშუალო და შემდგომი — ან დიალექტიურად და-პირისპირებულთა მოლიანობით: სრული, უსრულო და ზეშთასრული. ითანე ღაზის ფრაგმენტში ეს ორი მომენტი არის მოცემული, მაგ-რამ აქცენტი წინააღმდევობათა მოლიანობას აქვს გაეცებული. ამ შეიძლება ითქვას, რომ თვითონ პეტრე იბერი უპირატესობას აძლევ-და იერარქიის გზით მოცემული ქვეყნის მოლიანობას, ან დიალექტიის გზით (წინააღმდევობათა გზით) მოპოვებულს. პეტრესათვის აქ მოლი-ანობა იყო მთავარი, როგორც მის პირველ წყაროშიც — ითანე ღაზის ფრაგმენტში წერია. მომდევნო მოაზროვნეთათვის — ხან იერარქიუ-ლი და ხან დიალექტიური მოლიანობა ჭარბობდა. თუ მაქსიმე ელმისა-რებული მოლიანობის თვალსაზრისშე იღვა, ერიუგენა იერარ-ქიის თვალსაზრისს უსეამდა ხაზს, თომა აქვთნებული მის ნიაღაგზე იღვა თავის „კომენტარებში მიზეზთა წიგნისა“, ხოლო ითანე პეტრიწი ისევ არეოპაგიტულ პოზიციას დაუბრუნდა (ი. პეტრიწი, დასახ. ნაშრომი, ვ. 219).

„შემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ არეოპაგიტიკაში მოცემული იყო ორი ნაკადი, რომელიც საბოლოოდ ერთ „შემოკრებულში“ ეზია-რებოდა მოლიანობას. „პირველითგან მყოფი შემოკრებილი“ ითანე ღა-ზისა (V ს.) იგივე იყო, რაც ითანე პეტრიწის მიერ შეიძიო საუკუნის შე-მდევ ხაზებასმული მარადიულობა პირველისა, რომელიც თავმდებია შემდევოთა, როგორც „მრთლეულად“ შეკრებილი საფეხურებისა (ი. პეტრიწი, დასახ. ნაშრ.). ამ თვალსაზრისიდან განსხვავებულია I X საუკუნეში ღათისნურად დაწერილი წიგნი ითანე სკოტ ერიუგენისი „გა-ნუოფისათვის ბუნებისა“, სადაც იერარქიული თვალსაზრისია წინწა-მოწეველი. ამდენად, უფრო აღრინდებული გავება არეოპაგიტიკისა არ აღმოჩნდა ისე ახლო ითანე ღაზისა და პეტრე იბერის გავებასთან, როგორც ითანე პეტრიწის მიერ მოწოდებული გავება.

ამ განსხვავებამ დიდი როლი ითამაშა მხატვრულ შემოქმედებაში, რის ნიმუშს წარმოადგენს რუსთაველი და დანტე. პირველი ი პეტრით გაშეაღებული პეტრე იბერის შეხეღულებათა რენესანსის ინადაგზე იდგა და ქვეყნის „გაეკთილებას“ ღვთაებისადმი დიალექტური გზით სვლაში ხედავდა, სადაც „საზღვრის დაუსაზღვრება“ უკვდავი ღმერთისადმი სავალი გზა იყო როგორც უსაზღვრული საზღვარი. ამ გზაზე ოცნებობს ნესტან-დარეჯანი, როცა ამბობს:

„მომცნეს ფრთხი და აღვურინდე, მიესწევდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ეხედვიდე ცისა ეღვათა კრომისას.“

დღისა და ღამის წინააღმდეგობათა მიღმა სწრაფვა და სიბრძლის მიღმა მარადიული სინათლის წყდომა — ასეთია ღალაზე ტიკურად გაშლილი ქვეყნის წყობა, არეოპავიტიეს ამოსავალი წყაროდან, ვიდრე მის უკანასკნელ საფეხურამდე, რომელიც „საიდუმლო ღმრთისმეტყველებაშია“ მოცემული. ამ ფილოსოფიურ წყდომაშია გასავები რესთაველის სახეები: „მზე დაუვალი“, „უღამო ღამე“ და სხვ.

ამ მარადიულ სინათლეს (იტალიურად „ლუჩი ეტერნას“) ეტრუსი და იტალიელი გნომისა დანტე, მაგრამ მისი გზა ღვთაებისაკენ, როგორც მარადიული სინათლისაკენ, წარმართულ იქნა იერარქიის მეშეებით. დანტეს მსოფლგავება არეოპავიტულ ელემენტებს შეიცავს, რომელიც, თომა აქვინელის მიერ შესწორებული, ერიუგნას გავებას წარმოადგენდა. დანტეს პოემაში, ისე როგორც რუსთაველის პოემაში მოსსენიებულია ფსევდო-დიონისე, მაგრამ „იერარქიის ისტატად წოდებული“. ასეთი სახელი დანტემ აწარმოვა ფსევდო-დიონისეს ტიტულისაგან — „იერარქიის ღოქტორისა“, როგორც მას შეა საუკუნეთა სწავლულინ აღიდებდნენ.

რა თქმა უნდა, ღვთაებისაკენ, როგორც უზენაესი სინათლისაკენ დანტესათეისაც პირდაპირი გზა არ არსებობდა და ჯოჯოხეთის — ბნელისა და სამოთხის სინათლის შეა წინააღმდეგობრივი გზა იყო გათვალისწინებული, რომლის შემდეგ „ზეშთასინათლის“ სამყოფელი სუფევდა. ეს არ იყო არეოპავიტიეს პირველწყაროდან წარმოებული გზა, რამდენადაც აქ იერარქიის საწყისი იყო გაბატონებული.

იმპიტრი უზნაძე

დაბადი 1886 წელს. 1907 წელს დამთავრა ქუთაისის კლასიკური კიბინაშია. უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში. სწავლობდა ლათინური უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1909 წელს პალეს უნივერსიტეტში დაიცვა საღოქტორო დისერტაცია — „ვ. სოლოვიოვის მსოფლმხედველობა.“ ექსპერიმენტული ფილოგიის ფუძემდებლის უკანდტის მოწაფე იყო. 1918 წელს, ივანე ჯავახიშვილთან, შალვა ნუცუბიძესთან, ავაკი შანიძესთან და სხვებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტში დაარსა ექსპერიმენტული ფილოგიის ლაბორატორია, რომელიც შედევე საქართველოს მეცნიერებათა აქადემიის ფილოგიის ინსტიტუტის და მთელი ქართული ფილოგიური სკოლის დასაყრდენი გახდა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩიმ-დგმელი იყო სიკედილამდე.

ამოღლოვიაში დ. უზნაძის მასალები ისეა შერჩეული, რომ მეოთხეულს წარმოდგენა შეექმნეს მისი აზროვნების ძირითად მიმართულებებისა და ნააზრევის შედეგებზე. უზნაძის აზროვნება ორი მიმართულებით ვითარდებოდა — ფილოსოფიური და ფილოგიური. მის ფილოსოფიურ ნააზრევში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადრეული პერიოდი სოლოვიოზე შრომის შექმნიდან ბერგსონზე შრომაშე. ამ პერიოდში უზნაძემ შეიმუშავა თავისებური მსოფლმხედველობა, რომელიც მოკლედ შეიძლება დახასიათდეს როგორც სიცოცხლის ფილოსოფია. ამ ნააზრევში ძირითადია ცხოვრების, მისი შინაარსისა და საზრისის, სიკედილსა და სიცოცხლესთან მისი მიმართების საკითხები.

დ. უზნაძე საზრისის საკითხს ორ განზომილებაში განიხილავს: სოციალურ-კულტურულსა, ეროვნულ-ერთობათა საზრისის სახით და სოციალურ-ინდივიდუალურში, პიროვნების საზრისის სახით. პირვე-

ლი განზომილება ეხება ისტორიის საზრისს. ესაა კულტურული მუნიციპალური სფერო და საკითხი ისმის მისი სუბიექტის შესახებ. მცველე ვარი თვლის, რომ არ არსებობს ერთიანი კულტურა და არც საზრისის ერთიანი სუბიექტი. ყოველი ერთი საკუთარ კულტურას ქმნის, გაშასა-დამე, კულტურის საზრისის სუბიექტი არის ერთი. ისტორიული მასალის ანალიზით აცტორი ასაბუთებს ამ დებულებას; რადგან ერთიანი კულტურა არ არსებობს, ამიტომ არც განვითარების ერთიანი კრიტერიუმი იქნება. ყოველი ეროვნული კულტურის განვითარება ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ერთი სულიერი ძალების განვითარების ბაზა-ზე. რაც შეეხება ინდივიდის ცხოვრების საზრისს, იგი განიზომება იმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას შესაბამისი ერთი კულტურის შექ-მნაში და რამდენად უწყობს ხელს სამყაროს გარდაქმნას. აქ ამ სევ-ლია ადამიანის არსება, რომელიც მდგომარეობს სამყაროს შემოქმე-დებით გარდაქმნაში. ამ არსების განხორციელებაა ადამიანის საზრი-სიანობის მაჩვენებელი. ადამიანს დახვედა სამყარო, მაგრამ ეს არ იყო კულტურის სამყარო, მასში მხოლოდ შესაძლებლობა ჩანსა, ადამიანი ამ შესაძლებლობას რეალობად აქცევს, ბუნების გარემო-ნურებისა და ხელოვნური სამყაროს ანუ კულტურის შექმნით. ესაა ადამიანის ცხოვრების, ისე როგორც მთელი ერთი, დანიშნულება და საზრისი. აქტიური ადამიანი უპირისპირდება საზრისს მოკლებულ პასიურ ბუნებას და ჩვენს ცნობიერებას შეაქვს მასში საზრისი. მთე-ლი ისტორია ასეთი გასაზრისიანების პროცესია. გარდაქმნა-შემოქ-მედება ჩვენი ცხოვრების მთავარი ძარღვაა, მისი განხორციელების სამი ფორმაა: ნება, როგორც განმსაზღვრელი, აზროვნება და ვრჩო-ბა. ამ ძალებით მკვიდრდება სამყაროში საზრისი.

მკვლევარი პირველ რიგში ხაზს უსვამს მთელი ჩვენი ყოფიერე-ბის განსაზღვრულობას სიკედილით, ჩვენი ცხოვრების მდინარებას ყოფნა-არყოფნის ელფერში. ეს ნათლად ჩანს რელიგიაში, რადგან უკვდავების იდეის წყარო სიკედილია. მისგან გაქცევის სურეილი წარმოშობს მოძღვრებას უკვდავებაზე. მკვლევარი კარგად ანალიზებს რელიგიის წარმოშობის განპირობებულობას სიკედილისაგან რაეის დაღწევის სურეილით და რელიგიის მისწრაფებას—ძლიოს სიკედილს საიქონის მარადიული ცხოვრების გამოვლენით. მკვლევრის აზრით, ქრისტიანობაც და ძეველი ბერძნებიც ერთნაირად ცდებოდნენ, რო-დესაც სიკედილს განიხილავდნენ როგორც სიცოცხლის მიმწო-

ტრანსცენდენტურს. ის ზიმელთან ერთად ამტკიცებს, რომ სიკვდილი სიცოცხლისთვის ტრანსცენდენტური კი არა, იმანენტურია. იგი თვით სიცოცხლეშია ჩამარხული და იწყება სიცოცხლესთან ერთად. სიკვდილი, როგორც ცხოვრების შინაგანი საზღვარი, არა მარტო მასზე გააზრების წყარო და ბიძეის მიმცემია, არამედ სიცოცხლის ფორმაცაა, სიცოცხლის მუდმივი თანმხლებია და არა მისი ბოლო მომენტი. სიკვდილის ცოდნა განაპირობებს ჩვენი ცხოვრების არსებულ ფორმას; რომ არ ვიცოდეთ სიკვდილის შესახებ, ცხოვრება განსხვავებული ფორმით წარიმართებოდა.

ელუარდ კოდუა

რა არის ხახათვების თაორიგი?

„მე“ და „სამყარო“ — ამ ორი ცნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მხოლოდ მაშინ დაისმება ადამიანის წინაშე, როდესაც ის სულიერი განვითარების ზრდისას იმ საფეხურამდე მიერა, როცა „წარმოდგენისა“ და „ობიექტის“ განცალკევებაში თავის გამოხატულებას იპოვის. ჩვეულებრივ ადამიანის გონებისათვის არსებობს მატერიალური ქვეყანაც და ადამიანიც; პირ ვეღი თავის თვის, მეორისაგან დამოუკიდებლად, მეორეც ასეთი ვე დამოუკიდებლობით აღჭურვილი; პირების მოსპობა მეორის მოსპობას არ ნიშნავს ლოგიურად, მეორის მოსპობა კი — პირველისას; მეორე სარკვე პირებისათვის და როგორც სარკვე მოსპობა მისი პატრიონის მოსპობას არ ნიშნავს, ისე სუბიექტის უარყოფა არ ნიშნავს ობიექტის უარყოფას. მაგრამ ბოლოს ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადი ხდება, რომ სუბიექტი და ობიექტი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ ჩვეულებრივ გულუბრყელო ადამიანისთვის მისი გრძნობის ორგანოთა შედეგები ობიექტებია და მეტი არაფერი, ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანისთვის აშენაა, რომ ისინი მისი წარმოდგენებია და, როგორც ასეთი — წმინდა სუბიექტური მოვლენები; ფიზიოლოგია აშვარად გვეუბნება, რომ ტვინის განსაკუთრებული ნაწილები, ადამიანის განსაკუთრებული ნაწილები, სხვათა შორის, ადამიანის გრძნობის ორგანოებთან არიან მჭიდროდ დაკავშირებული, პირებითა დაშვება მეორეთა შეცვლას ან მირიანად მოსპობას ნიშნავს; ამიტომ ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანი ერთხელ და სამუდამოდ յარგავს გულუბრყელო რწმენას, რომ ყოველივე მისი ნაგრძნობი იმავე ტროს ობიექტია, ნივთია და მეტი არაფერი. თუ აქამდე მისი შემცნების ხაზანს უპირველეს ყოვლისა გარეშე მოვლენათა მიმდინარეობა, მათი

¹ საბალხო გაზეთი №164, 1910 წ.

არსი შეადგენდა; თუ დღემდე იგი კითხულობდა, რა არის ის, რომი არსებობაც მე მწამს, რა არის ამ მოვლენათა კალეიდოსკოპის დაუღალავ მოძრაობაში ის, რაც მოძრაობს და ამავე დროს უცვლელი რჩება? რა არის სუბსტრატი ან სუბსტრანცია არსებული მსოფლიოსი, და ამ კითხების პასუხს თვით ობიექტური არსებობის ანალიზში ეძებდა (მაგალითად ისე, როგორც ქიმიკოსი ნივთთა ანალიზში და მათ სინთეზში პოლიობს ატომთა შეერთების კანონებსა და თვით ატომებს), დღეს იგი სულ სხვა გზას დაადგა. მისი შემცენების საგანს ყველაზე უწინ თვით შემეცნება შეადგენს. ადამიანისთვის მსოფლიო წარმოადგენს ადამიანის სუბიექტურ მოვლენას, რადგან შეუძლებელია რაიმე ნივთი, რაიმე მოვლენა, რომელთაც მისთვის რაიმე ფასეულობა პქონდეს მისგან დამოუკიდებლად; ყველა მოვლენა, რომელსაც მე ჩეაღურს ვეძახი, მხოლოდ იმით ხდება ასეთი; რომ ჯერ ჩემ გრძნობათა ორგანოებში გაივლის; ყველა ურთიერთობა ამ მოვლენათა შორის, მათი შეფასება და მნიშვნელობა ადამიანის აზროვნების ნაყოფია. ამ მხრივ მოელი ბუნება (Natur) (რა არის ბუნება, თუ არა ნივთი ყველა თავისი თვისებითა და ურთიერთდამოკიდებულებით) ჩემი „სუბიექტური“ ცნობიერების (Bewußtsein) მოვლენაა; სუბიექტური ცნობიერების გარეშე არ არსებობს ჩემთვის არაფერი¹, არც ნივთი, არც მისი თვისება; მაგრამ ეს სუბიექტური მოვლენა ამავე დროს ჩემთვის რაღაც „ტრანსსუბიექტის“, რაღაც გარეშე მყოფს წარმოადგენს, რომელიც მაიძულებს, მასთან ასეთ და არა ისეთ დამოკიდებულებაში ვიყო. ამგვარად, რაღაც ერთბაშად სუბიექტური თხოულობს, რომ მე იყო ტრანსსუბიექტურად ვალიარო, რომ ის, რაც მხოლოდ ჩემში ხდება, ჩემს გარეშე დავსვა, და აი სწორედ აქ იძალება კითხვა და ეს სა-

¹ წერილი მეოთხეული, რომ მე ვითომ აქ ეგრეთ წილაპული „იმანენტური ფილოსოფიის“ ან „ერთსციინციალიზმის“ შემცნების თეორიას ვაწვდი. მე დარწმუნებული ვარ, რომ შეპესა და შებერტ-ზოლენჟინის იმანენტური ფილისოფია, რომლის ცენტრალურ წერტილსა და საფუძველს „ცნობიერების იმანენტობა“ წარმოადგენს, მხოლოდ ისტორიული გაუგებრობაა და მოლად ეგრეთ წილებულ „ბერკლის დომაზიერა“ დამყარებული, რომელიც დაახლოებით ასე დადადგბს: ყოველიც ტრანსცენდენტური სუბიექტის გარეშე, შემცნება კი სუბიექტური აქტია, მაგ, ტრანსცენდენტის შემცნება შეუძლებელია, მე აქ ვხსარობ მათ არგუმენტებს მხოლოდ შეთოლური მოსაზრებით, რომ ნათლად გავარკვიოთ შემცნების თორიის პირველი საკითხი, როგორც სკაპტიური აზროვნების აუცილებელი შედევრი, საკითხი შემცნების შესაძლებლობისა.

յութեա յարդიնալուրո և այսուհետո Մըմեցնեծուն ուղարկուսա. Իւ Շվեյցարիա վալուահեա հիմտոյուն և Սշածոյեյթուրուն տրանսլյուսիոյեյթուրագ? Իւ Շվեյցարիա վելմմծանելուն, հոգուսաց ամյահարա հիմտ և Սշածոյեյթուր ՝ ցամուլունգ-նաս” (Erliebnis) և պատրակա վալուահելուրագ (Allgemeingültigkeit) վածլոյց? Բարմուցուցոնուտ, հոմ մուլ հիմտ և Սշածոյեյթուր ցամուլունգ-նատ զարդա, արևօծուն և հաջաց բրանսլյուսիոյեյթուրո. Ամ Մըմտեցքամ, Շյեսածլուց և ամ և պայտուն անսենա, մուս էասւենուն մուրեմա մուս, հոմ ըյ ամ բրանսլյուսիոյեյթուր և վեմահուն, հոգուրց էուրույլ և սալույրուր, հոմելից գամաց ամաց և վալուահելուն Շյեսածլուց բրանսլյուսիոյեյթուր մուռուուն և այյեճան զամյենց ան զայուլոյց ամ յայանսյենցլս, մուս Շյեսածլ և Սշածոյեյթուրագ ցամուոյի անըն ուծոյեյթուր և սալույլուն վածլոյց և ամու յայուլուսատոյուն և այալուց պարագանուն Մըմեցնեծուն զամունուն. Մազրամ մահյենց ունտու բրանսլյուսիոյեյթուրո, հոմելուց հիմտ ուղուունունունուրունուն և ամուլունց արևօծունց և ամաց գրուս և Սշածոյեյթուր և Մըմեցնեծուն և անգանաց ոց ար արևօծուն. Ու ու յս անցա, ուս մզելու և պայտունը ուազուն մալամու հիմտ. Բյուն է ինոն ունենցա Մըմեցնեծուն յայսյուրուն, հոմելմաց ագրու ու զամուն և նենա ցշտանտ-յաս, ու Մըմեցնեծուն և սեցա համիյ իյարուս զյր մուցնախացտ. ցուլուսու- յուուրագ մոանիրունց ագամունունուն յս արևօծունուն և պայտուն, մուս յարնուունուն նասւենու — մուլու յալունունունուն և մուս էռուրունուն յարնուունա; մուս գագածունունունուն Բյուն արևօծունուն, Բյուն ցանցուարյ- նուն դագաստուրունա. Մազրամ սպելուրունուն ուս արուն, հոմ ասյուն գագած- ուրունուն, յրուու Մըմեցնուու, Մըմելուց և ամ Մըմեցնեծուն ուղուրուն և պիու- րուն ուս մըւնուուրունա, հոմելուց ամ և պայտուն նասւենուն ցալումաս պա- լունուն. Մըմեցնեծուն ուղուրուն էուրույլուն և պայտուն ամցահարագ յարդին- ուրուն և պայտուն, հոմլուն անսենահեաց գամոյունց պանարինուն և պայտունուն. Տակ է ամ մըմեցնեծուն պայտունուն: պայտունուն ամ մըմեցնեծուն պայտունուն:

ամյահարա, հոմ մըմեցնուուրունուն, հոմլուն և պայտուն ու պայտուն Մըմեցնեծուն յայսահեան, յայլուց արա այցէ, համիյ ինոնասիւար ալցիւրուն ինոնադագենուն ունելմմծանելուն. ցունոյա ան յիմու, ան և սեցա համիյ մըմեցնուուրուն, հո- գուրց յիմուուրուն, հոգուրց ագամունունուն ցամուլունց պանսայուրու- նուն ամսահրենուն և ուս տիւմբունուն Մըմեցնեծուն, միուրուունա ուազուն և սագ- նուն ցանսանց ուրունուն. ցունոյա, հոգուրց սածունենուն միուրունուն մըմեցնու- րուն, ուազուն սագնագ „ամապուրակուն ցամուլունց պանսայուրունուն“ (mittelbare

Erfahrung — ვუნდტის განმარტებით) იღებს, სახელდობრ იგი ირკვევს მოლექულური ან მოლარული მოძრაობის კანონებს არსებულ ბუნებრივ მოვლენებში; ამ კვლევის პროცესში იგი საჩვებლობს სუბიექტის აბსტრაქციით, უყურებს ბუნებრივ მოვლენებს, როგორც სუბიექტისავარ სრულებით დამოუკიდებელ ობიექტურ კატეგორიებს, თითქოს სინამდვილეში ისინი ისე არსებობდნენ, როგორც მას ეწევნებიან. ფიზიკის ფარგლები მისი საგნის მოლარული ან მოლექულური მოძრაობის ფარგლებია. ამ ფარგლებს გარეშე ფიზიკა არ არსებობს, იგი სხვა რამებ მეცნიერება ხდება, რადგანაც მისი საგანი, მისი გაისიო *détrec-i* არ არსებობს. ამ ფარგლებში დარჩენა და კვლევა კი ნიშნავს წინასწარ აღებულ აზრს, რომ საზოგადო შემცირება უკავშირო არ არ არსებობს, არა მაგრამ ამ კითხვით იგი თავის საგნის ფარგლებს გასცილდებოდა. ამგვარად, ფიზიკა, როგორც ასეთი, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც იგი წინასწარაა დარწმუნებული, რომ კვლევის მეშვეობით კაცობრიობის შემეცნების საღარი მდიდრდება, როდესაც მას სწამს, რომ შემეცნება შესაძლებელია. ამ მხრივ ფიზიკა და ყველა სხვა მეცნიერება წინასწარ გააზრებული მეცნიერებაა. შემეცნების თეორია იკვლევს თვით შემეცნების შესაძლებლობას, და თუ მას ასეთის გამოკვლევა უნდა, იგი არალოგიურობას ჩაიდგნს, თუ რამებ წინასწარ აღებული აზრით ისარგებლებს, რადგანაც აშეარაა, რომ ყოველი წინდაწინ აღებული აზრი მხოლოდ მაშინ არის ასეთი, როდესაც მე იგი მწამს, როდესაც მე იგი სინამდვილედ მიმართია, ე. ი. როდესაც თვითშემეცნებას (ამ აზრით გამოხატულ შემეცნებას მაინც) შესაძლებლად ვცნობ. შემეცნების თეორიის *raison d'être-i* შემეცნების შესაძლებლობის გამოკვლევაა, წინასწარ გააზრებული კი შემეცნების შესაძლებლობის აღიარებაა; მაშინ, ამ უკანასკნელის უკრიტიკოდ მიღება შემეცნების თეორიის თვითშემეცნელობაა, თვითშემოსპობაა. ამიტომ შემეცნების თეორია წანამძღვარს დამყარებული მეცნიერება შეცნიერება კერძო იკრება ვერ იჭირდა (იხ. Voelzelt, Erfahrung und Denken). პირიქით, იგი ისეთი მეცნიერება უნდა იყოს, რომელიც თვითონ იკვლევს სხვა

მეცნიერების წანამძღვრებს და მათი შეფასებით ოვით მეცნიერებას არსებობის უფლებას ადასტურებს ან უარყოფს.

ეს შეფასება არა მარტო მეცნიერების წინათ აღებულ აზრებს კვება, არამედ მის კომპეტენციაში შედის, აგრეთვე, ის შედეგები, რომლებიც მეცნიერებას თავის გამოკლევებით მოაქვს. შემეცნების ოქონია, როგორც მსაჯული, წონის და აფასებს მეცნიერებათა ნაყოფი. ხედავს შემეცნებისათვის მათ ღირებულებას ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათ შემცნებით მნიშვნელობას.

როდესაც კარდინალური საკითხი შემეცნების თეორიისა, საკითხი შემეცნების შესაძლებლობისა ნამდვილად ისხნება, მაშინ შემეცნების თეორეტიკოსის წინ დგება მეორე საკითხი, შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც იყო პირველი, საკითხი იმისა, თუ რომელია ის წყარო, საიდანაც შემეცნება მიმდინარეობს — საკითხი შემცნების წყარო და შესახებ. როდესაც ჩემს წინ დგას მსიფლიო, რომელიც დაინებით თხოულობდა ჩემგან პასუხს: რა ვარ მე, რა ხარ შენო? როდესაც მივისწრაფი შემეცნებისავენ, ძალაუნებურად უნდა მივმართო იმ წყაროებს, რომლებიც ჩემი შემეცნების განხორციელებას შესაძლებელყოფენ; სადაა ის რაღაც იქსი, რომლის ანალიზი ან სინთეზი აუცილებელ რეზულტატად შემეცნებას მომცემს? არის ეს იქსი თვეთ ბუნება ჩემგან დამოუკიდებლად, თუ ასეთი რამ „მე“ ვარ, მისგან დამოუკიდებლად? ვარ მე ობიექტი სწორედ ისე, როგორც იგი ახლა ჩემს წინ დგას, ემბირიოლი ობიექტი თუ სუბიექტი, გადამწყვეტი ამ საკითხის ახსნაში? ან შეიძლება ორივე, როგორც ობიექტი, ისე სუბიექტი, მონაწილეობს ჩემი შემეცნების პროცესში, როგორც მისი წყარო? ვიდრე ეს საკითხები არ გადაიჭრება, ვიდრე შემეცნების წყაროები ერთხელ და სამუდამოდ არ გაირკვევა, მანამ შემეცნება ერთ წერტილზე იქნება. იგი წინ აღარ წავა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, იგი არ იარსებებს დანამდვილებით; იგი მხოლოდ შესაძლებელი, პოტენციური იქნება. ამგვარად აშკარაა, რომ მეორე საკითხი შემეცნების თეორიისა, საკითხი შემეცნების წყაროებისა თითოების ისეთივე მნიშვნელოვანი ყოფილა, როგორიცაა საკითხი შემეცნების შესაძლებლობისა. ამიტომ ყოველი შემეცნების თეორია, თუკი იყო მართლაც ასეთი უნდა იყოს, აუცილებლად აყენებს ამ საკითხს და ცდილობს, მას ასე თუ ისე ანგარიში გაუწიოს.

მაგრამ ამ ორი საკითხის გადაჭრით და მეცნიერებათა ნაყოფის შემეცნებით, მისი მნიშვნელობის შეფასებით არ თავდება შემეცნებით.

პროცესი; იბადება ახალი კითხვა შემეცნების წარმოშობის უმთავრესად შეიძლება შესახებ. ცნება შემეცნების წარმოშობა უმთავრესად შეიძლება გაიჩვეს სამგვარად: 1. როდესაც შემეცნების თეორეტიკოსი ფაზის მიზანს პოულობს ცნობიერების ფორმებში — ცნების, მსჯელობისა და მიზანის პორტანებისას და მით შემეცნებას, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენას, თავისი რეფლექსის საგნად ხდის. როდესაც იგი ამ ფსიქოლოგიური მოვლენების „დროულ ქმნას, მათ გენეზის ინდივიდუალური და კენტალური განვითარების მიმღინარეობაში“ თავის გამოკვლევის საგნად ქმნის, მაშინ იგი მხოლოდ პირდაპირ ან წმინდა გამოცდილებას იყვლევს, როგორც შემეცნების შინაარსს; მისი უმთავრეს მიზანი კონკრეტულ-შინაარსიანი შემეცნება და მისი წარმოშობაა და არა ყოველი ადამიანისა და ყოველი შინაარსისთვის სავალდებული შემეცნება, — მაშინ იგი შემეცნების ფსიქოლოგიურ წარმოშობას იყვლევს, ეს უკანასკნელი კი ძირითადად განიტარება შემეცნების „ლოგიური“ წარმოშობისაგან, რომელიც მხოლოდ უნდა გვაინტერესებდეს და გვაინტერესებს კიდეც შემეცნების თეორიის გარევაის დროს. II. არის კიდევ მეორე გზა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ, როდის, ადამიანის კულტურული განვითარების რომელ საფეხურზე წარმოიშვა რაიმე გარკვეული შემეცნებითი ფორმა, რა მიზეზებმა წარმოშვა იგი და საჭ; ან როგორია ის ნიშნები, რომლებც სასოგადოების განსაზღვრულმა კულტურულმა ხანამ დაასევა წარმოშობილ შემეცნებით ფორმებს? აშკარაა, რომ ასეთ გამოკვლევასთან შემეცნების ლოგიურ წარმოშობას არაფერი აქვს საერთო; ეს უკანასკნელი გზა შემეცნების ისტორიული წარმოშობის სახელით შეგვიძლია დავახისიათოთ. III. დავვრჩინა მესამე და უკანასკნელი გზა, გზა შემეცნების ლოგიკური წარმოშობისა და აი, სწორედ ეს გზაა, რომ ჩვენ ახლა გვაინტერესებს. რა არის შემეცნება? ამ ცნების დაწვრილებითი გარკვევა ჯერჯერობით უადგილოდ მიგვაჩნია. ვიტყვი მხოლოდ გაკვრით, რომ შემეცნება რაიმე საგნისა ან მოვლენისა სხვა არაფერია, თუ არა ჩემს არსებულ გამოცდილებაში ამ საგნის ან მოვლენის შესაფერი ადგილის პოვნა, ნახვა, მისი სხვა რომელიმე ფართო ნაცნობ ცნების ქვეშ სუბსუმირება. ასეთია შემეცნების დეფინიცია ფსიქოლოგიურად. ლოგიკურ მნიშვნელობას ჰეშმარიტება მხოლოდ მაშინ იღებს, როდესაც მე

იმის, სახელდობრ მასზე გამოთქმულ მსჯელობას ნამდვილად მივიჩნევ. ამგვარად, აშკარაა, რომ ყოველი შემეცნების აქტის აუცალებელი პირობა სუბიექტია, რომელიც მსჯელობას, ობიექტი ის (საგანი ან მოქლენა) წმინდა გამოცდილება, ცდა ყოფილა. მაგრამ შემეცნება არ არის ცოდნა: ვინ არ იცოდა, მაგალითად, პირდაპირი მოძრაობის თანდათანობითი სისწრაფის ზრდა! კაცობრიობამ ეს თავისი არსებობის დასაწყისიდანვე იცოდა, მაგრამ მისი შემეცნება მას არ ჰქონდა, მან არ იცოდა, რომელ კანონებს ემორჩილებოდა ეს მოვლენა. არ ცოდა ადგილი ამ მოვლენისა მთელ მის შემეცნებელ გამოცდილებაში; გან შე-17 საუკუნემდე არ იცოდა, რომ ეს კანონი შემდეგი ფორმულით გამოისახება $V^2 = 2as$, ანდა, სიტყვებით რომ გამოვთქვათ, „სისწრაფის კვადრატი უდრის ყოველი გზის სიგრძეზე გამრავლების ორჯერ მეტ პროდუქტს“. ასეთია შემეცნება, როდესაც მე მიზნად შემეცნების ლოგიკურ წარმოებას ვისახავ. აშკარაა, რომ ჩემი გამოვლენება მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როდესაც ვარკვევ, ასე ეოჭეათ, შემეცნების ნაწილებსა და ვამბობ: აი ეს ნაწილი მხოლოდ სუბიექტს ეკუთხნის, მისი გონიერის კანონიერი ნაყოფია. ობიექტიმა კი აი ეს ნაწილი წარმოშვა; ანდა ვამბობ: მთელი შემეცნება, თურმე სუბიექტის ნაყოფი ყოფილა, თურმე ობიექტი აქ არავითარ როლს არ ასრულებს; ეს კი არა, თეოთ ობიექტიც გაძიპოსტაზებული სუბიექტი ყოფილა! ამ შემთხვევაში მე უკვე მიღებას თვალწინ შემეცნების ლოგიკური წარმოშობის კვლევა, წარმოშობა, რომელიც ერთ განსაზღვრულ შინაარსს კი არ ეყრდნობა, არამედ ყოველ შესაძლო შინაარსს შეიძლება მოხსმარდეს. ასე უნდა იყოს შემეცნების ლოგიკური წარმოშობა ვაკებული და მხოლოდ მაშინ შეიძლება შემეცნების თეორეტიკოსსა მიაღწიოს თავის მიზანს.

ამგვარად, ვხედავთ, რომ შემეცნების თეორია ისეთი შეცნიერება ყოფილა, რომელიც კითხულობს: არის თუ არა შემეცნება შესაძლებელი, სადაა შემეცნების წყაროები, როგორია შემეცნების წარმოშობა? რომ იგი თვით არავითარ წინასწარ დადგენილ აზრს არ იღებს და სხვა შეცნიერებათა წინადვე აღიარებულ აზრებისა და მათი ნაყოფების შემეცნებით მნიშვნელობას აფასებს. მაგრამ ამით თავდება შემეცნების თეორიის ამოცანა? აშკარაა, რომ ის შეცნიერება, რომელიც შემეცნების თეოთურობით წარმოადგენს, არ იქნება დამთავრებული, თუ შემეცნების ფარგლებს არ გდებს არ გაარკვევს, ერთხელ და სამუდა-

მოდ არ აღიარებს, აქვს შემეცნებას ფარგლები თუ იგი განუსაზღვრებია, შეუძლია ადამიანს მთელი არსებობის შემეცნება თუ მისი შემეცნების საგნებს მხოლოდ განსაზღვრული მოვლენები შეაღენს?

ჩოდესაც ადამიანის წინ მთელი ბუნება იშლება ყველა თავისი მოვლენის, მათი ცვალებადობისა და ნივთის დროული აღორძინებით, კანკარებითა და დაღუპით, ერთი სიტყვით, როდესაც ადამიანს მოელ თავის სიცოცხლეში ცვლილებათა კალეიდოსკოპი უდგას თვალწინ, — რასაკირველია, სუბსტანციური არსებობის შესახებ ბუნებრივად ებადება კითხვა მას: მეტაფიზიკა, რელიგია და ხელოვნება შესაძლო პასუხია ამ კითხვის, მხოლოდ სხვადასხვა ელფერით; მაგრამ როგორც მეტაფიზიკა, ისე რელიგია და ხელოვნება დადგებით პასუხს გვაძლევენ ამ კითხვაზე და სუბსტანციური არსებობის სამ შემეცნებით ფორმას წარმოადგენენ; ფილოსოფიის ისტორიამ იცის ისეთი შეხედულებანი, რომელიც უარყოფენ სუბსტანციური არსებობისა და შემეცნების შესაძლებლობას, ასეთია, მაგალითად, კანტის ფილოსოფია. შემეცნების თეორია სწორედ ამ კითხვის ახსნას ცდილობს, როდესაც გას ეჭვი შეაქვს შემეცნების უსაზღვრობაში და ამიტომაც კითხულობს: სად არიან შემეცნების ფარგლები?

ამ უკანასკნელი კითხვითა და მისი პასუხით მთავრდება შემეცნების თვითცნობიერების სისტემა. ამით თავდება შემეცნების საგნისა და ამოცანის დახასიათებაც. დაგვრჩენია მხოლოდ საკითხი შემეცნების თეორიის მეთოდისა და მისი სხვა მეცნიერებებთან დამოკიდებულების შესახებ.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ერთი შეხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემეცნების თეორიას, როგორც მეცნიერებას, რომელიც თვით შემეცნების შემეცნება უნდა იყოს, არ უნდა პქონდეს გარკვეული და ყველასაგან მიჩნეული ფარგლები იმ მეცნიერებასთან, რომელიც თავის დანიშნულებას საზოგადოდ მთელი ფსიქიური ცხოვრების გარკვევაში პოულობს; შემეცნების თეორია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია და როგორც ასეთი, ვერ წამოაყენებს მოთხოვნილებას საკუთარ მეთოდზე და მის განცალკევებულ მეცნიერებად აღიარებაზე. მართლაც, შემეცნების თეორიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებისა, და მისი საკუთარი მეთოდის არსებობის შესახებ დღეს გაცხარებული ბრძოლაა გაჩაღებული ეგრეთ წოდებულ ფსიქოლოგია და ანტიფსიქოლოგთა ან ფორმალისტთა შორის.

პირველი მიმართულება — ფსიქოლოგიზმი გვარწმუნებს, თუ ფსიქოლოგია მთელ უსიქიურ ცხოვრებას იკვლევს, თუ მისი საგანი არა მარტო გრძნობითა და ნებით ისაზღვრება, არამედ მას ეკუთვნის, აგრძელებე, მთელი ფართო ველი შემეცნებისა, რატომ უნდა იყოს შემეცნების თეორია (ან ლოგია) ისეთი მეცნიერება, რომელიც ფსიქოლოგის კომპეტენციის გარეშე დგას; რა უფლება გვაქვს, არ მივიჩნიოთ მას მეთოდად „აღწერა, ანალიზი, შემეცნების უსწერებისა და მათი შედეგების გვნეტიკური წარმომდინარეობა“, როდესაც ნამდევილი შემეცნების თეორია მუდამ ამ მეთოდით სარგებლობდა და სარგებლობს კიდევ? მართალია, არსებობს ე.წ. „კრიტიკული“ ან „ტრანსცენტურული“ მეთოდი, მაგრამ განა აშკარა არ არის, რომ ასეთი მეთოდების არსებობა სრულებით არ არის საკმარისი, შემეცნების თეორია ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად მივიჩნიოთ! რა არის შემეცნება, თუ არა ფსიქიური ცხოვრების გამოაშეარავება, ფსიქოლოგიური მოვლენა და თუ ეს მართლაც ასეა, მაში იგი უსათუოდ უნდა ემორჩილებოდეს საზოგადო ფსიქოლოგიურ კანონებსა და ემორჩილება კიდევ. შემეცნების წარმოშობა, მისი ფსიქოლოგიური წარმოშობა, შემეცნების საშუალებანი და მისი განსაკუთრებული ფორმები თვით სუბიექტის ორგანიზაციაშია დამაღლული, და თუ ყველაფური ეს ასეა, განა აშკარა არ არის, რომ შემეცნების თეორია, მხოლოდ ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ნაწილი ყოფილა! ფსიქოლოგთა ჯგუფს ეკუთვნის ლოკი, იუმი, მილი და სხვ., დღევანდებულ ფილოსოფიაში კი მახო და სხვ. მეორე მიმართულება — ფორმალიზმი კი აცხადებს, ვითომ შემეცნების თეორიას არავითარი დამოუკიდებულება არა აქვს ფსიქოლოგიასთან, რომ იგი სრულიად თავისეფალი ფორმალური მეცნიერებაა; პუსერლის აზრით, არსებობს მესამე სამეფო, სადაც გაბატონებული არიან „ჰემმარიტუბანი თავისთვის“, ჩეენგან დამოუკიდებლად, და შემეცნების თეორია სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც ამ მესამე სამეფოსაკენ მიისწრაუვის და როგორც ასეთი არავითარი კავშირი არა აქვს ემპირიულ მეცნიერებებთან, რომელთა რიცხვს სხვათა შორის ფსიქოლოგიაც ეკუთვნის. ამ უკანასკნელის კანონები ბუნებრივი კანონებია. ლოგიკის კანონები კი იღეაღური კანონებია დამოუკიდებლად თვით აზროვნების ფაქტისაგან, რადგანაც იგი ამ მესამე სამეფოს კანონებისაკენ ისტრაუვის, რომელიც აზროვნებისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს აღიარებული. ფორმალისტთა ჯგუფს ეკუთვნიან: კანტი, პეგელი და სხვ., თანამედროვე ფილოსოფიაში კი — ნატორპი, კოპენი და სხვ.

არის კოდევ მესამე მიმართულება, რომელსაც შემარიცებელი პოზიცია უკავია ამ ორ მიმართულებას შორის. წარმომადგენლები არიან კუნძული, პეფდინგი, პალავია და სხვ. კუნძულის აზრით, ყოველი შემეცნებითი აქტი, როგორც სულიერი მოვლენა, თავისი ფაქტური მხრით ფსიქოლოგიას ეკუთვნის, სანამ მის ფორმალურ მხარეს თავისი ლოგოკური მნიშვნელობით შემეცნების თეორია არ შეაფასებს (Wundt, Einleitung in die Philosophie, S. 28). ასეთ შეფასებასთან კი ფსიქოლოგიას საერთო არაფერი აქვს. პეფდინგი თავის „რელიგიის ფილოსოფიაში“ ამბობს: „შემეცნების თეორია იყვლევს ჩვენი შემეცნების ფორმებსა და ელემენტებს და კითხულობს, შეიძლება თუ არა მათი სმარება არსებობის შემეცნების პროცესში? ფსიქოლოგია კი იყვლევს მათ ფაქტურ წარმოშობას და ყურადღებას არ აქცევს მათ შემეცნებით ღირებულებას (Religions-Philosophie, S. 85). აი ყველა რს მიმართულება შემეცნების თეორიაში, რომელთაგანაც ერთ-ერთის დადასტურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემეცნების თეორიის სხვა შეცნიერებებთან დამოკიდებულებისა და მისი შეთოლის გარკვეულისთვის.

ასეთ სქემატურ საკითხთა დაყენებითა და მათი ანალიზით მიღწეულია ამ წერილის მიზანი; მსუბუქადა გამერკვია შემეცნების თეორია, როგორც ასეთი, და არა ამეგო შემეცნების თეორიის სისტემატური შენობა. ეს მიზანი კი, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ ჩვენი შეცნიერების საკითხთა დასმით მიიღწევა. უპასუხეთ ყველა ამ საკითხს და თქვენ გვექნებათ თქვენი შემეცნების თეორია.

შილოსოფიანი საუბარი. სიკვდილი*

შემთხვევითი მოვლენა კი არ არის ის, რომ ყველაზე უფრო გავრცელებულ რელიგიურ მოძღვრებაში, — ქრისტიანობაში — სიკვდილის საკითხს ცენტრალური პოზიცია უკავია. ადამიანის სულს, მუდამ მშფოთოვარებს და დაუცხრომელს, განსაკუთრებული გრძნობა ეუფლება, როდესაც იგი პირისპირ დაუდგება ყოფნა-არყოფნის საკითხს, ყოველ განცდაში, მარტივი იქნება იგი თუ რთული, ადამიანის სული განცემურებულ ჩასჭიდებია ამ საკითხის თითოეულ გამონასკეს და სწორებ ამიტომაა, რომ ჩენი სულიერი ცხოვრება ერთბაშად ყოფნა-არყოფნის ელექტრშია მოვლენილი.

განსაკუთრებული ძლიერებით რელიგიურ განცდაში პოულობს იგი თავის გამოხატულებას. რელიგია სწორებ ადამიანის ცხოვრების და მის განცდათა დროული შეზღუდულობის შედეგია. იგი ამ შემოფარგლულობაზე დამკვიდრებული ლტოლვა-მისწრაფებაა საზღვარდასმელი არსისა და არსებისაკენ. დიახ, სიკვდილი აძლევს და საბამს უკვდავების იდეას. ეს ასეც უნდა იყოს. მე ვხედავ ჩაიმე განსაზღვრულ მოვლენას და იმავე წამს ჩემს ცნობიერებაში ჩააღაუ სავსებით განუსაზღვრელის ცნება წამოიჭრება; მე ვხედავ სიკვდილს, გახრწნას და იმავე წუთს ჩემს სულის სამკვიდროს უკვდავებისა და მარადისობის იდეა ეუფლება. ფსიქოლოგიაში ასეთი ფაქტი არისტოტელებ „კონტრასტის ასოციაციის“ სახელით მონათლა. ამ სფეროში იგი დღესაც ბატონობს, მაგრამ განა მარტო ამ სფეროში? მე მეონია, რომ მის მოთხოვნილებებს თავისუფალი აზროვნებაც ახორციელებს...

დიახ, რელიგია, მარადიულობისაკენ მისწრაფება სიკვდილშია წარმოშვა. ამიტომაცაა, რომ ყოფნა-არყოფნის პრობლემა განსაკუთრე-

* გაზეთი „ეკლეზიდა“, 1911 წ., № 40.

ბული მღვიმებით არის ჩაქარგული რელიგიური მსოფლმხედველობის ყოველ ნაქსოვში. ქრისტიანობა სწორედ ისეთი რელიგიაა, რომელიც მაც მარტოდმარტო შეძლო სიკედილის დაძლევა და მის ნანგრევებზე უკედავი არსებობის კოშკის აღმართვა. მან სააქაოს ღროულ ცხოვრებას საიქიო დაუპირისპირა, ხოლო ეს საიქიო აბსოლუტური არსებობისა და უკედავების კვარცხლბეჭებზე აამაღლა.

სააქაო ცხოვრება გახრწინოთა და სიკედილით იმიტომ თავედება, რომ იგი მსახურებაა სხეულისა, სხეული კი თავისთავად მკედარი და პასიურია. სიცოცხლის პრინციპი სულია და ამიტომ იგი, როგორც პლატონმა ოქა, უკედავია. ვინც სააქაოს სულზე ზრუნავს, იგი ამით თავის უკედავებაზე ფიქრობს. ამიტომ მთელი სააქაო ცხოვრება ზრუნვაა საიქიო მარადიული ცხოვრებისათვის. ამით ქრისტიანობამ მიწიერი, დროული ცხოვრება საიქიო, უკედავ ცხოვრებას დაუქემდებარა და სიკედილს სძლია. ეს უკანასკნელი მხოლოდ საშუალებაა უკედავი ცხოვრების მიღწევებისათვის. ეს დაძლევა სიკედილისა ქრისტიანობამ თავისი მოძღვრების მკედრეთით აღდგომით დაასურათ.

მაგრამ ქრისტიანობა ცდება ისე, როგორც ცდებოდნენ ძველი ბერძნები და ან როგორც ცდება დღეს ყოველი გულუბრყეილო ადამიანი. ბერძნებს ეგონათ და დღესაც ბევრს პერნია, თითქოს სიკედილი წუთიერი იყოს, თითქოს ბეჭის ლერთები ჩვენი ცხოვრების ძაფებს ართავდნენ, და იგიც მანამდე გრძელდება, სანამ ერთ მშენებელ წამს ეს ძაფი არ გაწყდება. ძაფის გაწყვეტის მიზეზი თვით ძაფი როდია, იგი სულ სხვაგან მარხია. ვით დამოკლეს მახევილი, ისე ჰკიდია ადამიანის თავზე საშიში ცელი ულმობელი სიკედილისა. საკმარისია მახვილს რომ ძაფი ამაგრებს, გაწყდეს და ადამიანის ცხოვრებას წერტილი დაესმება. ამგვარად, სიკედილი რაღაც, გამოურკვეველ მოვლენას მოასწავებს, მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. სიკედილი თვით სიცოცხლეში მარხია. იწყება თუ არა სიცოცხლე, იწყება იგიც და მასთან ერთად წინ მიიღლტვის. სიკედილი, ამგვარად, იმან ენ ტური მოვლენაა და არა — ტრანსცენდენტური.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ზიმელმა განსაკუთრებული მღვირებით გაუსვა ხაზი სიკედილის ცხოვრებასთან იმანენტურობას. მეც მას მივყვები და ზოგი შესწორებით შევეცდები, ფარდა ავხადო სიკედილის საშინელ იდუმალებას.

ყველასათვის აშვარაა, რომ ყოველი მოვლენა ერთგვარ საზღვარ-

ში ხდება და ამ, სწორედ ეს საზღვარია, რომ მას განსაკუთრებულ
 სახეს, თავისებურ ფორმას აძლევს. ჩვენ ვამბობთ, სითხეს თავის-
 თავად არავითარი ფორმა არა აქვსო, და მაზე ყველა გვეთანხმება;
 მაგრამ როგორც კი შეეცდებით, განსაზღვრული ფორმა მიეცეთ მას,
 იმწამსვე რაიმე მაგარ საგანს მივმართავთ, რომ მისი მეშვეობით სით-
 ხის უფორმობას საზღვარი დავუდევთ; ჩვენ ვასხამთ მას ჭიქაში და
 იგი ამით ამ უკანასკნელის ფორმას დებულობს. აյ ფორმა, როგორც
 ვხედავთ, განსაზღვრაში, შემოფარგვლაში მდგომარეობს; ფორმა გან-
 საზღვრას უერთდება. ასევე ითქმის ყოველ სხვა მოვლენაზე. უნდა
 გვახსოვდეს მხოლოდ, რომ მოვლენათა მთელი სამყარო ორ სამკითხ-
 როდ იყოფა: სამკითხრო არაორგანულისა და ორგანულისა. ამის მი-
 ხედვით განსაზღვრაც ორგვარია: ა. არაორგანული თავის განსაზღვ-
 რისათვის მეორეს, მის გარეშე მდგომ ნივთს თხოულობს. აյ ერთი
 მოვლენა მეორეს საზღვრავს, მხოლოდ ზერელებ, გარეგნულად. ეს
 განსაზღვრა სიერცეში ხდება. სითხე თბოულობს ჭიქას და მით ისა-
 ზღვრება და ეს კიდევ სხვას. ბ. სულ სხვა თრგანული. ზიმელის
 აზრით, განსაზღვრა ამ სფეროში სულ სხვა გზით ხდება. იგი და რო-
 ულია და არა ვრცელი (räumlich). იგი შინაგანია და არა გარეგანი.
 მაშასადამე, ცხოვრება როგორც პრინციპი ორგანულისა, შინაგანსა
 და დროულ საზღვარს დაემორჩილება და არა ვრცელი. ცხოვრების
 საზღვარი კი სიკედილია, მაშასადამე, იგი მისი ფორმაა. როგორც
 ასეთი, იგი არ არის უკანასკნელი წუთი სიცოცხლისა. იგი მთელ ჩვენს
 ცხოვრებას თან სდევს და სწორედ ამიტომა შესაძლებელი, რომ იგი
 მას საზღვრავს, ფორმას აძლევს, ჩვენ რომ სიკედილი არ ვიცოდეთ,
 მაშინ ცხოვრება სულ სხვა სახეს მიიღებდა, იგი ძირიანად სხვა იქნე-
 ბოდა. მაგრამ როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ცხოვრებასთან სიკ-
 ედილის ასეთი მჭიდრო კავშირი? ზიმელი ფიქრობს, თითქოს ადამიანის
 ცხოვრებას თვით სიკედილის ფაქტი აძლევდეს ფორმას. ჩემი შეხედუ-
 ლებით ეს შეცდომაა. ადამიანის ცხოვრება მისი სულის ყოფა-ვითა-
 რებაა; ვარეგანი ფაქტით კი სულის განსაზღვრა წარმოვიდგენელი და
 გაუგებარია. სიკედილი იდეაა, და მხოლოდ როგორც ასეთს შეუძლია
 მას სიცოცხლის განსაზღვრა და მისთვის თავისებური ფორმის მიცემა.

სპინოზამ თქვა: ადამიანი და ყოველი ნივთი მისიწრაფეის თავისი
 არსებობის შენარჩუნებისათვის; და ეს დებულება მან აუცილებელ
 ჰეშმარიტებად აღიარა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ცხოვრება,

რომელსაც მიზანი თავის ფარგლებს გარეშე პქონდეს დასმული. ცხოვრება სიცოცხლისთვის ხდება და არა სხვა რამისათვის. ამიტომ ვერც ერთ მოვლენას ვერ მიჩვენებთ ადამიანის ცხოვრებაში, რომ იგი მის კეთილდღეობას ეწინააღმდევებოდეს. ადამიანს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მუდამ თვალწინ უდგას სიკვდილის იდეა და სწორედ ამ იდეისდაგვარად მართავს იგი თავის ცხოვრებას.

დღიდან თავისი წარმოშობისა მისი არსებობის მიღწეულ წერტილამდე ადამიანმა დიადი გზა განვლო, და მისი ცხოვრების ისტორია, დარეინის თვალსაზრისი რომ გავითვალისწინოთ, მხოლოდ ეპოპეაა სიკვდილის იდეასთან ბრძოლისა. სიკვდილის იდეა რომ არ ყოფალია, მთელი ჩვენი ფსიქიური და ფიზიური ორგანიზაცია უფორმო მასის მდგომარეობას არ ვასცილდებოდა. საკეირეული ფსიქიური და ფიზიური შეგუება ბუნების იდუმალ ძალებთან, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანისთვის, სრულებით უცხო იქნებოდა ჩვენთვის. დაას, მთელი ჩვენი ცხოვრების ფორმა, სახე სიკვდილმა წარმოშვა; ივი განუყრელი დარაჯივით მუდამ თან გვესდევდა და კიდევაც გვესდევს; ცხოვრების ყოველ მხარეს თავის ელფერს აძლევს, ამიტომ სიკვდილი, როგორც იდეა, უდიდესი ბოროტება იქ არა, უდიდესი სიკვდილია.

დასთვისაც ძვირფასია ცხოვრება, როგორც ასეთი, მისთვის სიკვდილიც ძვირფასი უნდა იყოს. ვინც იმით ამაყობს, რომ იგი ერთ-უარედიან, უკვდავ პროტოპლაზმას არ წარმოადგენს, რომ იგი მსოფლიო ცხოვრების ერთგვარი გამოხატულებაა, იგი სიკვდილს უნდა უმაღლოდეს.

დაას, სიკვდილი ფორმაა ცხოვრებისა, მაგრამ ივი დაუძინებელი მტერა სიცოცხლისა...

მაშ. ცხოვრება და სიცოცხლე ერთი და იგივე არ ყოფილა.

მოს ფილოსოფია

სიკედლი რომოს მოწოდება

მახსუებს, ამ რამდენიმე წლის წინ ერთი სურათი ვნახე, სურათი სრულიად საღა, უბრალო ხასიათის იყო. მაგრამ მან მაინც მღვიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. წარმოიდგინეთ მშევნიერი ახალგაზრდა ასული, იგი ტბის გაყინულ ზედაპირზე მოხდენილად მისრიალებს; მაგრამ მას მუდამ თან მისდევს მისი ჩრდილი, რომლისთვისაც მხატვარს სიკედლის ჩონჩხის სახე მიუკია. მას თავისი უსული, უხორცო ხელები წინ გაუშევერია. იგი ცდილობს, ასულის მშევნიერი სხეული მჟღავებში მოიძრუვდიოს და თავის ცივ გულზე მიიკრას. მას სურს, მისი სიცოცხლის მაჯისცემა სამუდამოდ ჩააქროს, მაგრამ თითქოს ასულიც ვრმნობს თავისი უხილავი თანამგზავრის განზრახვას. იგი მისრიალებს ტბის ზედაპირზე და აი, უახლოვდება ისეთ დაფილს, რომელიც საქმაოდ გაყინული არ არის... საქმარისია ერთი წუთი და ისიც გადაიჩეხება. სიკედლის აჩრდილი ათროთოლებულ ხელებს სწევს ქალწულისაკენ, მაგრამ ქალწული უეცრად განზე იხრება, თოთქოს მას სიკედლის ხელიდან გასხლტომა უნდოდეს. იგი იცვლის მიმართულებას და განაგრძობს თავის გზას. გადის დრო... იგი უეცრად წონასწორობას კარგავს და სიკედლის ჩონჩხიც კიდევ მეტი წყურევილით იშვერს ხელებს ქალწულისაკენ, რათა მისი მშევნიერი სხეული გულზე მიიკრას; მაგრამ ქალწული იმწამსვე სიმძიმის ცენტრს პოულობს და ამგვარად სიკედლის კიდევ ხელიდან უსხლტება. ერთი სიტყვით, ყოველი ნაბიჯი ამ ქალწულისა, ყოველი მიმოხერა და მოძრაობა მისი სხეულისა განსაზღვრულია ერთი გრძნობით, ერთი სურვილით: სურვილით, რომ სიკედლის უსული ჩონჩხს ხელში არ ჩაუვარდეს. ამგვარად, მთელი მიმართულება ამ ქალწულის მოძ-

¹ განეთი „სახალხო ფურცელი,” 1914, № 148, 149, 150, 153, 155.

რაობისა სიკვდილის შიშის გრძნობით არის ნაკარნახევი, ამ სუ-
რაობა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი შთაბეჭდილება
მოახდინა იმიტომ, რომ მის დანახვაზე ჩემს ცნობიერებაში აღამიანის
სიცოცხლის ბედის სურათი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაიხატა
და, მართლაც, განა ასეთი არ არის მთელი ცხოვრება ადამიანისა! განა
ყოველი ნაბიჯი ჩეენი ცხოვრებისა სიკვდილის შიშის გრძნობით
არ არის ნაკარნახევი; განა ჩეენი დაბადების პირველსავე მომენტი-
დან იმის ცდაში არა ვართ, რომ სიკვდილის ცელის მსხვერპლი არ
შევიქნეთ! ჩეენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩეენი კერძო არსებო-
ბის პირობები, ყველა ფორმა ჩეენი ყოფნისა სიკვდილის შიშის
გრძნობით არის შექმნილი და გამოწვეული. ეს შიშია ამგვარად მთე-
ლი ჩეენი ცხოვრების მმართველი პრინციპი. იგი უმთავრესი რეგუ-
ლატური მომენტია ადამიანის მთელი ცხოვრებისა.

ამ სახით, სიკვდილის შიში მუდმივი და აუცილებელი ფაქტია მთელ
საკაცობრივ ცხოვრებაში.

ჩეენ ყველანი გამსჭვალული ვართ ამ გრძნობით და იმის მიხედ-
ვით ვაშენებთ და ვანგრევთ ჩეენი ცხოვრების შენობას. მართალია,
არსებობს ზოგი უმაღლერი და უბედური ძე ამა ქვეყნიური სიცოცხ-
ლისა. მათთვის მთელი ცხოვრება ადამიანისა უმიზნო და უაზრო
ბრძოლაა სიკვდილის ყოვლისშემძლე ძლევამოსილებასთან, ბრძოლა,
რომელიც, სულ ერთია, ბოლოს სიკვდილის ძლევით გათავდება: ამი-
ტომ სიკვდილი ასეთებისათვის სხნაა, იგი მათთვის უდიდესი სიკეთეა,
რასკერველია, მათთვის შიში სიკვდილის წინაშე აღარ უნდა არსე-
ბობდეს, და ისინიც აღტაცებული მოქრძალებით ჩასჩერებიან სიკვდი-
ლის ბნელად ამოღრმავებული თვალების ბრჩა გამომზეტყველებას,
თითქოს მეტი მოუთმენლობით მოელოდნენ მისი ფარული მოსელის
საიდუმლოების განჭერეტას.

სიკვდილის ასეთ პოლოგეტებს პესიმისტებს უწოდებენ. მათთვის
უცხო უნდა იყოს შიში სიკვდილის წინაშე, და ამიტომ მათი ცხოვრე-
ბაც გამონაკლისს უნდა შეადგენდეს სხვათა ცხოვრებასთან შედარებით.
მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. სიკვდილის ეს პოლოგე-
ტები მხოლოდ სიტყვით არიან მისი მეგობრები, მაგრამ, როდესაც
საქმით დასჭირდებათ სიკვდილთან მეგობრობის გამოაშეარავება, მა-
შინ ისინიც ისე იმსჭვალებიან თავისი მეგობრის შიშით, როგორც ყვე-

ლა ჩეეულებრივი მოკვდავი. გაიხსენეთ შობენბაუერი! ვინ იყო მასზე უფრო ბრწყინვალე მოციქული პესიმიზმისა, მაგრამ ძნელია ფასტი ისეთი ადამიანი, რომელიც მასზე უფრო გაურბოდა სიკვდილს!

ამგვარად, აშეარაა, სიკვდილის ფაქტი ყველას თანასწორ საშინელებას აღუძრავს არსებაში, ყველას თანაბარი შიშის თრთოლეთ უქრობს იმედს და თუ ეს ასეა, მაშასადამე, იგი ფაქტობრივად ყველასთვის ერთგვარი სიდიდის ბოროტებას უნდა წარმოადგენდეს, ბოროტებას იმდენად აბსოლუტურს, რამდენადაც აბსოლუტურია მისგან გამოწვეული შიში.

მათაფილისა სიახლი არ არის პორიტიკა

მაგრამ არის კი ასე? მართლა წარმოადგენს სიკვდილი ბოროტებას, თუ იგი სიკეთეა, რომელიც ყოველი სიცოცხლის ზრდასთან და გაფართოებასთან ერთად იზრდება და მწიფდება. არის ხომ ზოგი მოაზროვნე, რომელიც სიკვდილში უფრო სიკეთეს ხედავს, ვიდრე ბოროტებას. ჩანს, შესაძლებელი ყოფილა ასეთი პრობლემის დასმი. და, მაშასადამე, არც ისე ეჭვმიუღომელი ჭეშმარიტება ყოფილა სიკვდილის ფაქტის უაღრესად ბოროტად აღიარება.

გავსინჯოთ, რას გვეუბნება ყველას არსებაში დამარხული შიში სიკვდილის წინაშე? სიკვდილი ბოროტება არისო, თორემ სხეანაირად გაუგებარი იქნებოდა ის აბსოლუტური შიში, რომელსაც სიკვდილის ფაქტის წინაშე განვიცით. მაგრამ როგორ მუშავდება, როგორ იძალება და მწიფდება ეს შიში ჩვენს არსებაში? ადამიანის სიცოცხლე აურებელ უცხო მოვლენათა გავლენას განიცდის. იგი ნაზი მცენარეა, რომელიც აუცილებლად უნდა შეეგუოს იმ გარესენელის თვისებათ, სადაც მას გაუხარებია და გაზრდილა, თუ სურს თავისი არსებობის შენარჩუნება. ეს შეეგუბა ამიტომ მთელი მისი ცხოვრების შინაარსს, მთელი მისი მოქმედების ამოცანას შეადგენს. ეს შეეგუბა მისი პრაქტიკული ცხოვრების მორევს აძლევს მიმართულებას. სწორედ აქ, ამ შეეგუბის პროცესში იძალება ათასვარი აზრი, რომელიც ახლოებს ადამიანს მის პრაქტიკულ მიზანთან, რომელიც შეიგნებს მისი საუკეთესო არსებობის პირობებს. აქ, პრაქტიკულ საქმეში იჭედება და იღესება ადამიანის გონება, ხოლო იმისთვის, რომ ადამიანი საუკეთესოდ შეეგუოს თავისი გარესკელის პრობლემებს, სრულებით არ

არის საჭირო შევნება, შემეცნება ამ პირობების არსისა. საჭიროა მხოლოდ ცოდნა შათი ურთიერთგავლენისა, მათი ერთმანეთშე დამოკიდებულებისა, საჭიროა შევნება მხოლოდ მათი ვარეშე თვისისებისა, რათა ადამიანმა იცოდეს, თუ რა მოსდევს ამა თუ იმ მოვლენას, რაზიანისა და სარგებლობის მოტანა შეუძლია მას, რომ ყოველი ეს მოვლენა თავისი ცხოვრების სასარგებლოდ მიმართოს. რა საჭიროა, მაგალითად ადამიანმა იცოდეს არსი რომელიმე ხილისა, თუ ეს მან იცის, რომ ესა თუ ის ხე ამა და ამ დროს მწიფესა და გემრიელ ხილს იძლევა. მას ხომ ამ ხილის მეტი პრაქტიკულად არაუკრი აინტერესებს. რა საჭიროა ადამიანმა იცოდეს არსი მიწისძერისა, თუკი მან კარგად იცის ის მავნე შედევები, რომლებიც შეიძლება მას აუცილებლად მოჰყვეს. ამ სახით ადამიანი იმთავითვე ეჩვევა მოვლენათა ურთიერთგავლენის შემეცნებას, ხოლო არსებითი ცოდნა ამ მოვლენებისა მისი ინტერესების სფეროს გარეშე რჩება. ამიტომ იგი მოვლენათა ზედაპირზე სრიალს უფრო ეგუება, ვიდრე მათი არსის ჩაწვდომასა და მის შემეცნებას. ცხადია, ასეთ პირობებში ადამიანი მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე დარჩებოდა. ამიტომ ახირებული იქნება, ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების პირობებში გალესილ გონებას ნამდვილი, არსებითი, აბსოლუტური შემეცნება მოვთხოვთ. საიდან უნდა მოგვცეს მან ასეთი აბსოლუტური შემეცნება, როდესაც იგი მხოლოდ შედარებითი შემეცნების ძიებაში გაიზარდა და გაილესა. ამგვარად, როდესაც რაიმე აბსოლუტურის, არსებითი ცოდნის მიღება გსურთ, ტყუილად ნუ მიმართავთ გონებას. იგი გადაჭრილ პასუხს ასეთ შემთხვევაში ვერ მოგცემთ.

ასეთივე თქმა შეიძლება იმ გრძნობების შესახებაც, რომლებიც ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე ამუშავებული ცნობიერებაზე იძალება. როდესაც თქვენ რაიმე მოვლენის ნამდვილი შეფასება გსურთ, ასეთი გრძნობებისაგან ნუ მოელით თქვენი სურვილის დაკმაყოფილებას. ისინი ასეთ შემთხვევაში არასაიმედო მოწმობას მოგცემენ. მათი საქმე მხოლოდ პრაქტიკულად მნიშვნელოვანი მომენტების შეფასებაა. ის კი, რაც პრაქტიკაზე მაღლა დგას, უცნობისა და გაუგებარი მნიშვნელობისაა ასეთი გრძნობებისათვის. ავიღოთ, თუ გნებავთ, სიკედილის ფაქტი. თქვენ გსურთ მისი არსებითი მნიშვნელობის შეფასება. ცხადია, ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების ველზე აღმოცენებული გრძნობისათვის მისი მნიშვნელობა მხოლოდ უარყო-

ფითო ხასიათის იქნება. სიკედილი ხომ უარყოფაა, ხომ დაბოლოებაა ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებისა. ამიტომ ჩვენი ჩვეულებრივი გრძნობების შეფასებით იგი უდიდესი ბოროტება იქნება, მაგრამ თქვენ ხომ სიკედილის პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასება არ გსურთ; თქვენ მისი არსებითი, მისი აბსოლუტური ღირებულება გაინტერესებთ! ჩანს, თქვენს საკითხს ჩვეულებრივ გრძნობათა შეფასება ვერ გადაჭრის. გაშასადამე, როდესაც ადამიანის ჩვეულებრივი ცნობიერება სიკედილის უაქტის, როგორც უდიდეს ბოროტებას გვიხატავს, ეს მისი აბსოლუტური კი არა, პრაქტიკული შეფასება ყოფილა.

მაგრამ ნუთუ ეს იმის მომასწავებელია, რომ რადგან ადამიანის ცნობიერება იმთავითვე პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე ილესება, ჩვენთვის ნამდვილი, აბსოლუტური ცოდნა საზოგადოდ შეუძლებელია? ნუთუ აღარ დაგვრჩნია ძალა მოვლენათა ზედაპირის ერთხელ მაინც დატოვებისა და მათი არსის წევდომისა? ნუთუ აბსოლუტური შემცნება აღამიანისათვის მართლა მიუწვდომელია?

როდესაც აბსოლუტური შემცნებისაჲნ მივისწრაფეთ, მოვლენათა ზედაპირის კი არა, მათი არსის ანუ მეტაფიზიკური სინამდვილის გაგება გვინდა. ადამიანი კი თავის ცნობიერებასთან ერთად, სწორედ ისე, როგორც ყოველი სხვა მოვლენა, მარტო პრაქტიკულს, ჩვეულებრივ სინამდვილეს კი არ ეკუთვნის, იგი მეტაფიზიკურის სამკვიდრო შეილიკა. ამიტომ მისი ცნობიერებისათვის სრულებითაც არ უნდა იყოს უცხო ეს მეტაფიზიკური სინამდვილე; იგი, მართალია, პრაქტიკულ არსებობას შეეცა, მაგრამ არსებითად მაინც ამ მეტაფიზიკური ყონის მორევიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, მისთვის შეუძლებელი არ უნდა იყოს მეტაფიზიკური სინამდვილის ამბის გავება, რაკი იყი თვითონ ეკუთვნის მას.

ამგვარად, ცხადია, აბსოლუტური ჭეშმარიტების კარები ჩვენი ცნობიერებისათვის სულ დახშული არ ყოფილა. მაგრამ პრაქტიკული ცხოვრების ველზე ცივმა გონების მუშაობამ ადამიანის სულის მორევს ყინულის ზედაპირი გადააკრა. იგი ამ ზედაპირზე მუშაობას შეაჩინა. მისი სიღრმე კი მუდმივი უმოქმედობის გამო უძრაობას შეავცა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი გონება მხოლოდ შედარებით ცნობებს გვაწვდის და ჩვენი გრძნობა აბსოლუტურ ღირებულებათა ფასს ვერ გვათვალისწინებს. მაგრამ ადამიანის სულიერი ცხოვრების მორევი მთლად

არ გაყინულია. საჭიროა ძლიერი ამოძრავება ჩვენი სულისა, უტეხი ქართველი, რომ ჩვენი სულის შეუძრეველი დელვა გამოიწვიოს და კარგი სულის ზედამირი გააპოს. მაშინ დაიმსხვრევა ბორჯილი, ჩვენი ცოდნა ბიურებისათვის პრაქტიკული ცხოვრების ვარჯიშობას რომ დაუღევს, და შესაძლებელი შეიქნება აბსოლუტურის მეტაფიზიკური სინამდვილის შესახებ ამბის გაგება. მაგრამ ასეთი ძლიერი დელვა ჩვენი სულისა იშვიათია, პრაქტიკული აზროვნების სალტები ძნელად იმსხვრევა და ჩვენი სულიერი ცხოვრების პირდაპირი ძალები იშვიათად განთავისუფლდება. ასეთ მომენტში ჩვენ თითქოს ხელახლა ვიძალებით, პრაქტიკული ცხოვრების მოსაზრებებს ხელიდან ვუსხლტებით და მისგან განთავისუფლებული ჩვენი სულის სამკიდროში დამოუკიდებელ გრძნობებს ვუთმობთ აღვილს.

იშვიათია ასეთი მღელვარება ჩვენი სულისა, მაგრამ მაინც კვლას განუცდია იგი.

აიღოთ მავალითად, ფაქტი თეოთმკვლელობისა. მე მახსოვს ერთი მომენტი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც მთელი არსებით ერთი გრძნობით ვიყავი შებოჭილი. ეს ის მომენტია იყო, როდესაც ჩემი საუკუთესო მეგობრის თეოთმკვლელობის ამბავი გავიგე, რაგინდ უკიდურესი მოწინააღმდევე უნდა ვყოფილიყავი თეოთმკვლელობისა, მე მაინც უნდა დაგმორჩილებოდი იმ ძლიერსა და კეთილშობილ გრძნობას, რომელიც მაშინ მთელს ჩემ არსებას მოეულინა. ეს იყო ღრმა თანაგრძნობა თეოთმკვლელისადმი და, როგორც ასეთი, იგი გამართლება იყო თეოთმკვლელობისა, თუმცა კი საზოგადოდ ყოველგვარი სიკედილი ბოროტებად მიმაჩნდა და მისი უდროოდ გამოწვევა კიდევ—ბოროტების შსახურებად. მაგრამ აյ პრაქტიკული ცხოვრების საზომი აღარ მოქმედებდა, გამოაშვარავებული შეხედულება თვითმკვლელობაზე, ჩემი ბუნების უშუამავლო შეხედულება ცხოვრების ფაქტის პირდაპირი ბუნებრივი შეფასება იყო. სწორედ ამიტომ მისი უფრო მჯეროდა, ვიღრე ჩვეულებრივი სახროენოდ განწყობილი გონების არეუმენტებისა, მაგრამ თეოთმკვლელობას რომ თავი დავანებოთ, კიდევ უფრო აშეარა და ხელსაყრელი ჩვენი მიზნისათვის ომის ფაქტი აღმოჩნდება. ჩვენი ჩვეულებრივი აზროვნება სიკვდილს უაღრესად ბოროტებისა და უბედურების სახელით ნათლადეს. მისთვის სიკედილი ვერაფრით ვამართლდება. ამიტომ პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე განვითარებული სინდისი მკვლელს, როგორც უდიდესი ბოროტების გამომწვვავ

მიზეზს, უდიდესი სასჯელის ღირსად აღიარებს. მაგრამ იწყება ომი...
და ჩვენი აზრი და გრძნობა ძირფესვიანად იცვლება. იგი ჩვენი სულას
სამკეთროს მორევში მძლავრ ქარიშხალად ტრიალდება, ჩვეულებრივ
ლროს გაჭედილ ღირებულებათა მწყობრი სისტემა ერთბაშად ნიავდე-
ბა, მისი შემართებელი და დამსრულებელი ძალა — სინდისი ძირფეს-
ვიანად ირყევა; და მტრის სიკედილი სასიქაღულო და სანატრელი მ-
ბით ეპურება ჩვენს სმენას. ერთ დღეს ასი ათასობით ისრისება ადა-
მიანის ნორჩი სიცოცხლე, ხმება გულში დარგულ ვარდები იმედები-
სა, და ყველა ეს, სხვა დროს რომ ბოლმით აქებდა ჩვენს არსებას,
ახლა სანეტაროდ გავგხდომია, და თუ ვინმემ თავი ისახელა მტრის ბ-
ნაების მუსრის გავლებით, ჩვენ სასიქაღულოდ მიგვაჩნია მისი „რაინ-
დობა“, და რაც უფრო მეტი დამბუჯველი იქნება მტრისთვის მისი
მახვილი, მით უფრო მეტად ვაჯილდოვებთ მას. სხვა დროს ერთი კა-
ცის მკელელიც საკირველი სისასტიკით ისჯებოდა, რაღაც ჩვენი
გონების თვალი სიკედილში უდიდეს ბოროტებას ჰვერტდა; ახლა კი
ათასი კაცის მკელელი არანაკლები საკირველი რიცხვით ჯილდოვდე-
ბა, და თუ უწინ ერთი კაცის მკელელი თითოთ საჩერებელი იყო ყვე-
ლასათვის, როგორც უგვანო და დამნაშავე, ახლა ათასი კაცის სის-
ხლში ამობანილი ხელი გმირისა და კეთილისმყოფელის ხელად
გვეჩვენება.

ცხადია, რომ ომიც ძირფესვიანად ათავისუფლებს ჩვენს სულიერ
ცხოვრებას გონების კატეგორიების ბატონობისაგან, და ამ გზით
ჩვენს პირდაპირ უშუამავლო შეფასებას კვალს უკაფავს.

ამგვარად, აშეარაა, რომ ჩვენს ცხოვრებაში არის ისეთი ძლიერი
მოქმედები, რომელთა სიმძაფრე სულიერი ცხოვრების მორევის ზედა-
პირზე ატივტივებულ გონების ქსელს აპობს და სულის სილრინიდან
ჩვენს პირდაპირ, უშუამავლო განცდათა და შეფასებათ ათავისუფ-
ლებს. და აი, აქ ისმის კითხვა: ნუთუ აქაც გონების ნაკვლევ გზას უნ-
და მივსდიოთ და პირდაპირ ბუნებრივ გრძნობას ყური არ ვათხოვთ.
ჩვენ უკვე საკმაოდ გავერკვეით, რომ გონებას ცხოვრების ფაქტების
შეფასებასა და გაგებაში ძალა არ აქვს, და, მაშასადამე, ასეთ შემ-
თხვევაში ჩვენთვის უფრო სანდობი უშუამავლო განცდის ნაკარნა-
ხევი გზა იქნება. და თუ ჩვენ ამ აზრს დავადგებით, მხოლოდ მაშინ
შეგვეძლება სისწორით გადაუჭრათ ომის საკითხი და გავივოთ ის
საკირველი ფაქტი, რომ ომის დროს ჩადენილი მკელელობა უფრო

რაინდობად მიგვაჩინია, ვიღრე დანაშაულად, მაშ, რას გვეუძნება
ჩვენი ბუნებრივი რწმენა, როდესაც იგი ომიანობით გართულებული
მდგომარეობის შესახებ ანგარიშს გვაძლევს? იგი სიკვდილს რაინ-
დობად სახავს. იგი ამბობს, რომ კერძო ადამიანის სიცოცხლე არ
წარმოადგენს უდიდეს ღირებულებას. რომ ჩვენი დანიშნულება თვი-
ოთი სიცოცხლესა და, მაშასადამე, მის გაფართოებასა და გაღრმა-
ვებაში როდი უნდა ვეძიოთ. რომ პირიქით, სიცოცხლე მხოლოდ
საშუალებაა, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ის უმაღლესი და-
ნიშნულება, ადამიანის არსებობას რომ საჩიულად უდევს.

ამ თვალსაზრისით, ცხადია, სიკვდილი და სიცოცხლე ამ დანიშნუ-
ლებისათვის სულ ერთია, რომ ზოგჯერ იგი სიკვდილს მოითხოვს და
ზოგჯერ სიცოცხლეს.

მაშასადამე, ჩვენი არსებობის აზრი თუით (ჩვენი) სიცოცხლის
ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ (და მასზე)
მაღლა.

ვლაშიარ სოლოვიოს როის ფილოსოფია

ისე როგორც ჩვენ, რუსეთის ცნობილი ფილოსოფოსი ვდ. სოლო-
ვიოვიც ფიქრობს, რომ ადამიანის დანიშნულება სუბიექტურ განწყო-
ბილებაში ან ბედნიერებაში კი არ მარხია, არამედ იგი აუცილებლად
ობიექტური ხასიათისაა. მაგრამ როგორ ესმის სოლოვიოვს ეს ობიექ-
ტური აზრი ჩვენი არსებობისა? ემპირიული მსოფლიოს დამახასიათე-
ბელი თვისება, ამ ფილოსოფოსის აზრით, აღვირახსნილი ეკოზმის ბა-
ტონობაა; აյ ჩვენ მუდამ დაქსაქსულობასთან, მუდამ შურთან და
მტრობასთან გვაქვს საქმე, სადაც უკლებლივ გამეცებულა დაუსრუ-
ლებელი ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. სულ სხვა ხასიათისაა მე-
ტაუიზიკური სინამდვილის ბუნება. სოლოვიოვის ღრმა რწმენით იქ
განუსაზღვრელი თანხმობა და სიყვარული მეფობს. ის, რაც აქ მტრუ-
ლად გადაიდებია ერთმანეთს, იქ, ზეარსებულ სფეროში, ულრმეს
პარმონიად შეერთებულა იყი დაუსრულებელი სიკვრული ს ი კ ვ რ უ ლ ი ს
გრძნობის მორევში, რომელიც მეტაფიზიკური რეალობის ნამდევილ
პრინციპს შეადგენს. ამგვარად, გამოდის, რომ სოლოვიოვის რწმენით,
ემპირიული და მეტაფიზიკური სამყარო ორი მოპირდაპირე პოლუსია,
მაგრამ გულდასმით დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ ასე არ შეიძ-

ლება იყოს. ემპირიული სამყარო თავდაუჭერელი ეგოიზმის სამკუთ-
როა, მაგრამ ამ სამყაროში ეგოიზმის გარდა არაფერი რომ არ არსე-
ბოდეს, მაშინ იგი ერთ წამში დაიშლებოდა და, მაშასადამე, მისი არ-
სებობა შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ემპირიული სინამდვილე
ფაქტია. რით აისხება ეს გარემოება? სოლოვიოვის აზრით, ამის ახ-
სნა არც ისე ძნელია. მართლაც ემპირიული სამყარო ხომ მეტაფიზი-
კური რეალობის ანარევლია, მისი მოვლენაა, მაშასადამე, მეტაფი-
ზიური სამყაროს პრინციპი — სიყვარული — ემპირიულ სამყაროს
მოვლენათა შორისაც უნდა იჩინდეს თავს და, ეს მართლაც ასე ხდება.
ე. წ. ბუნების კანონები, როგორიცაა, მაგალითად, ნიუტონის გრავი-
ტაციის კანონი, ან ქიმიური ნათესაობის კანონი, სხვა არაფერია თუ
არა იმ უნივერსალური სიყვარულის გამოხატულება, რომელიც სარ-
ჩულად უდევს მოელ მეტაფიზიურ არსებობას, მაგრამ ბუნების კანო-
ნები ამ უნივერსალურ სიყვარულს საქმაოდ ვერ გამოხატავს. ცხოვ-
რების დანიშნულება, მისი აზრი და მიზანი კი სწორედ, ამჯეკვნად
სიყვარულის სავსებითი განხორციელებაა. და თუ ეს ასეა, მაშ, აღა-
მიანის ცხოვრებაც არაა გამონაკავისი. ამ შემთხვევაში მოელი ჩენი
ყოფნა-არსებობა სიყვარულის ან ერთობის და სოლიდარობის თან-
მიმდევარი განვითარების პირდაპირი გამოხატულება უნდა იყოს.

ომი ადამიანის ცხოვრებაში ღიღმნიშვნელოვანი მომენტია. ამიტომ,
სოლოვიოვის აზრით, ისიც ამ ცხოვრების აზრის (გაერთიანების) კან-
ონორციელებას უნდა ემსახურებოდეს. ივი ცდილობს, ისტორიულადაც
დასაბუთოს ეს დებულება და მიუთითებს მრავალ ოშს, რომელნიც
მათგან გაერთიანების მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ ამ რესი ფალთ-
სოფოსის ეს შეხუდულება ომის შესახებ კრიტიკული თვალით რომ
განვიხილოთ, დავინახავთ, რომ იგი არც თუ ისე ახლოს დგას ჰერმა-
რიტებასთან. ომი რომ საზოგადოდ კაცობრიობის გაერთიანების საქმეს
არ ემსახურება, ამის დამტკიცება მაინც და მაინც დიდ სიძნელეს არ
წარმოადგენს. გავიხსენოთ თუ გნებავთ ის ომები, რომელთა შედეგი
რომის იმპერიის განაწილება იყო. რომის იმპერია უნივერსალური სა-
ხელმწიფო იყო, მაგრამ ხალხთა დიდი გადასახლების იმედმა მოელი
სოლიდოს შემაერთებელი ეს გიგანტი არ დაინდო და მარტო ევროპა-
ში ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ათამდე მნიშვნელოვანი მონარქიის


¹ v. D. Usnадзе, W. Solowjow, seine Metaphysik und Erkenntnistheorie, S. 162 ff.

დაარსება გამოიწვია. ეგრეთ წოდებულმა 30 წლიანნა ოშმა გერმანიას გაერთიანების მაგიერ სრული პარტიკულარიზმის გაძატონება მოუტარება და ასეთივე ხასიათის იყო ის ომებიც, რომლებმაც ისმალეთის იმპერია რამდენიმე ეროვნულ სახელმწიფოდ გაყო და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ომი. ცხადია, ცხოვრების აზრის სოლოვიოვისეული კონსტრუქცია ისტორიულად იმდენად სუსტი ყოფილა, რომ მისი შერიგება ურიცხვ ისტორიულ ფაქტთან შეუძლებელი აღმოჩნდა.

მაგრამ სოლოვიოვის ფილოსოფია მარტო ისტორიულად კი არ არის მცდარი და შეუფერებელი. შეუფერებელია იგი სხვა ოვალსაზრისითაც. თუ ომი ობიექტურად მართლა სამყაროს არსებობის დანიშნულებას, გაერთიანებისა და სიყვარულის დაყყარებას ემსახურება, მაშინ აშენაა, რომ ყოველგვარი ომი, როგორც უნივერსალური მიზნის მსახურება, ერთნაირ სულიერ განწყობილებას უნდა იწვევდეს მეობართა არსებაში, ერთნაირი გმირობისა და თავგანწირვის წყარო უნდა იყოს, და ეს იმიტომ, რომ თუ ცხოვრების აზრი ყოველგვარ ოშში მართლა პოლიტიკურ ერთგვარ გამოხატულებას, მაშინ ცხადია, ყოველი მეომარი, როგორც ცხოვრების აზრის განხორციელების მსახური, თავისი არსების ღრმა ქვეცნობიერ კუნჭულში მაინც, უნდა კრძნობდეს როგორმე თავისი საქმის სიღიადეს და, ეს გრძნობა, შის გმირობასა და თავგანწირვაში უნდა პოულობდეს თავის ანარეკლს.

ზაგრამ ყველამ იცის, რომ ყოველგვარი ომი ჩვენში ერთნაირ სულიერ აღფრთვანებას არ იწვევს. არის ომი, რომელიც მთელი ერის სავიზუელი გატაცების, გმირობისა და თავგანწირვის წყაროდ იქცევა და არის ომი, რომელიც თითქმის არავითარ თანაგრძნობას არ ბადებს იმ ერის შეილთა შორისაც კი, რომელიც თვითონ არის ამ ოშის გამომწვევი მიზნი.

ცხადია, ცხოვრების აზრის სოლოვიოვისეული შეფასება, რომელიც როგორც აღამიანის არსებობის მიმდინარეობის ობიექტური შენარჩისი, ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან აქტში უნდა გამოსჭვივოდეს, უძლეურია ოშისაღმი ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დამოკიდებულების ფაქტის ახსნაში. ამიტომ ცხოვრების აზრის ამ ფილოსოფიისეული კონსტრუქცია მცდარად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, საჭიროა, თვითონ ჩაეუკირდეთ ცხოვრების პროცესს. შეიძლება როგორმე მოვახერხოთ იმის შემჩნევა, რაც სოლოვიოვს გამოქარა.



როდესაც რომელიმე ფაქტის ნამდვილი არსებითი ხასიათის გაფენა გვინდა, ადამიანის გონიერას როდი უნდა მივმართოთ. იგი უძლუ-რია განჭვრიტოს მოვლენათა არსი. მას მხოლოდ ზედაპირულ თვისებებზე უჭრის თვალი. სულ სხვაა მოვლენათა არსებითი აბითულუტური გარდუვალი ბუნების ჩვენი პირდაპირი უშუამავლო გულის სიღრმიდან ამოხეთქილი შეფასება. მხოლოდ ასეთი შეფასებაა სანდო და ეჭვმიუღომელი და, სწორედ ამგვარი იყო სიკედილის შეფასება, რომელიც ჩვენ არსებობას ომის საშინელებათა ქარიშხალმა გულის სიღრმიდან ამოაკვნესინა ჩვენს არსებაში, ომის დროს ცალკეული ადამიანის სიკედილი შიშს აღარ იწვევს. გამოდის, რომ ჩვენი სიცოცხლე ჩვენი არსებობის მიზანი კი არ ყოფილა, არამედ საშუალება, რომელიც მის გარეშე ვაშლილ ობიექტურ მიზანთა აყვავებას ემსახურება და ზეარავად ეწირება.

ჩვენი არსებობის დანიშნულების ეს ობიექტური ხასიათი, კაცობრიობის ისტორიული წარსულიდანაც ნათლად ჩანს, თორემ რად იქ-ნებოდა ჩვენთვის უკვდავი თემისტორიულ და ფილიასი, არისტოტელი და პლატონი, ალექსანდრე და ნაპოლეონი, რომელთაც გაცილებით უკეთ შეეძლოთ მოწყოთ თავიანთი პირადი ბედნიერება. მაშინ მათ შეგირ კაცობრიობის გმირთა პანთეონში პირველი რიგი დათმობილი ექნებოდათ ალკიპიადსა და კრასს, კატილინასა და ლუქულს, მაშინ პამადი და ბუდა, კონფუცი და ქრისტე თავს დახრილნენ ეპიკურესა და არისტოკრატ რომაელთა წინაშე, რომელთა ცხოვრება მუდამდე ვანცხრომა იყო, მაგრამ კაცობრიობა ამათ წინაშე როდი იხრის ქედს, მათ სახელებს როდი აღბეჭდავს ოქროს ასოებით თავის შეხსიერების დაფაზე. მას უფრო ისეთნი აინტერესებს, რომელთა ცხოვრება პირად ბედნიერებას კი არ მისდევდა, არამედ ობიექტური შინაარსის შემოქმედებას ემსახურებოდა. მხოლოდ ასეთთა ცხოვრებაა ჩვენთვის საყრდენებო და ისიც იმდენად, რამდენადაც ისინი ამ ობიექტური შინაარსის შემოქმედებას ეწეოდნენ.

ამიტომ კაცობრიობის მთელი ისტორიული წარსული შემდეგი სურათის სახეს იღებს: წარმოიდგინეთ უდიდესი ბალავერი, რომელზეც უნდა აიგოს დიდი ნაგებობა და ამ ბალავრის გარშემო მიღეთი ხალხი. ათასი და ათი ათასი ადამიანი ირევა ამ მომავალი შენობის საუკეთენო — ზოგს მძიმე ღოდი გაუდვია ზურგზე და ბალავრისკენ

մուսթրացքներ, մշորեց յորև դա և սոլաս ցիոնցք օմազբ աղջունուսացեն, Յո-
շա յուղը ցածր և անշահեր ծալացրեն և նոհնոտ և հայրանու, լոռից
ծուռ և ծարու մոժրառներ յորհանքուն պայման մու ցարմեմո. ամ
աղջունուն ցորեա մոժուրեան ոյց գամենեալ ծալու յո մրացալո
պայման ցորեա ցամովուն կալո և կալո մեօարշալեան պարամելո-
ծուռ ու պայման և սոմլերուն ցանցերոմաս մուսպեմոն. մատ սաեց սոս-
թոյնեան և յապուուն ցորեա եղչեալ անու և ուսոն ցանցուուն ցորեա-
ծուռ և ապոնցուն մուսիրեան մի սայուրց աղամօնանեան, լոռմելոնու ոյ
հալաւ արամեցուլեան ուստուսուն ծալացրեն և հալաւ ամենեան,
հալուն և հալուտուն, լոռմ յուտեռու, տայտոնաց ցըր ցելուցոան. ամուրու
մատ սոսլելուն և աղամօնան մուսիրուն ուս աղամօնան, տայտոնան որո
ջան սուրուելու ան յանիրու հալաւ Մենոն ացեան հոմ անգում-
ծուռ.

Բայց ուստորուն բարսունու սինորց ասյու մուշառնա. Բայց ու
ցայց ասացեան հալաւ ջուն Մենոն, լոռմելու բայց ինոնամրեան և-
սիցատ և մեմքաց մուսու ճամտացրեան Բայց ունուն ցագմուցուատ, ամցա-
հաւ, ջածացեան ու ջապուուն ցայց տան ու ճանունուլեան, լոռ-
մելսաց մույլու Բայց մալ-լոնե յնդա մոցաթմարու. Բայց մոցալուն
ան սեխու ճամտացուց ցանսանց ցալուրուն. ցանսայցուրց ան առու ամուրու,
լոռմ Բայց ու կեռուրեան ուստոնին մեռուն ույտ նորունեան աղ-
նունուն պայման ցորեան և տայցանուսպեմու լոռսագ, լոռմելոնու մույլ
տայցանու մալ-լոնեն ասյու Մենոն ացեան անմարեն, ხոլո ույ-
տուն, լոռմելուն ամցարու Մենոն սուսլելուն և սոցույց մուրինեցուատ,
ու ցանսացուն, լոռմ Բայց մեյսուրեան ցալուրու յիշեան, մաց-
համ ու առու յս Մենոն, յալուն մուռն մույլ մալ-
լոնեն լոռմ անմարես? Բայց մաս յուլուրուն Մեմոյմելեան սաեցուու
աղնունուն մացրամ ենորաւ յուլուրուն Մեմոյմելեան ցնեան Մո-
նահուն ան և հուրուն ցայց ցայց պայման, ան ցանսեցուեալ ցանմարտուն ցու-
մանուն. պայման Մեմուն յիշեան, լոռմ յս ցնեա չըր յուղը
և ունեմաթուրու և ցագանց պայման մոյլուն, ուստորուն պայման լոռուն
ունեմաթուրու և ցագանց պայման մոյլուն ու պայման լոռուն. հոյսու և
լուստուն յուլուրուն մոյնանալ լուստուրուն ցայց ու պայման լոռուն. մատու
սահինուն ու պայման յուլուրուն. մատու անիրու, յուլուրուն յալուն
ունեմաթուրու ու պայման յուլուրուն. ամուրու ուսոն յույն ցուս-
թուն յուլուրուն պայման մոյլուն ու պայման լոռուն սայցենուրուն ան

მოაზროვნეთა ღრმა რწმენით, ადამიანთა მოდგმის განვითარება, და
 გაუმჯობესება არ მოაქვს კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ მათვების
 კულტურა სრულიად არ ნიშნავს განვითარებას. უმეტესობა კი დარწ-
 მუნებულია კულტურული ცხოვრების ღრმა მნიშვნელობაში, მაგრამ
 არ სწამს მისი განვითარების შესაძლებლობა. ასეთების შებედულებით
 კულტურული ცხოვრება სრულებით არ დგას პროგრესის გზაზე, არ
 მდიდრდება და ფართოვდება ღროის მსვლელობასთან ერთად, რელ
 ელინთა მდიდარი კულტურა გაცილებით აღრე არსებობდა. ვიზრე სა-
 შეაღო საუკუნეების, მაგრამ განა შეეღრება ელინთა კულტურის
 სიღრმე და სიმაღლე საშუალო საუკუნეების ბნელით მოცულ კულ-
 ტურულ ცხოვრებას? მოკლედ, ასეთების აზრით, კულტურა არ დგას
 მუდმივი განვითარების გზაზე. მართლა რომ ჩავუკაირდეთ კულტუ-
 რული ცხოვრების წარსულს, თითქოს დავრწმუნდებით, რომ კულტუ-
 რული ცხოვრების წინსვლა არსებითი განვითარება არ უნდა იყოს.
 განა ხშირი არა ჩვენს წარსულში მომენტები, როდესაც ზერელე
 მეოთვალყურე უაპერები უაქცევისა და უკან დახვევის ფაქტს აღნიშ-
 ნავს. ავიღოთ თუნდაც ელინთა და რომაელთა მდიდარი კულტურის
 დამხობა და მის ნანგრევებზე ბარბაროს გერმანელთა მარტივი ცხოვ-
 რების ფორმათა აღმართვა, რომელსაც ასე ხშირად უთითებს ყველა
 უარმყოფელი, მაგრამ საქმარისია მეტი ყურადღებით. ჩავუკაირდეთ
 კულტურული ცხოვრების მოძრაობას და მაშინათვე აღმოვაჩენთ იმ
 ძირითად შეცდომას, რომელზეც დაუუძნებულია კულტურული ცხოვ-
 რების შეუძლებლობის შესახებ ეს აზრი. მართლაც, განა აშერა არ
 არის, რომ აქ ერთ კულტურულ მთლიანს გულისხმობენ, რომელიც
 ერთ ხაზისებურ მიმართულებას უნდა მისდევდეს. მაგრამ სინამდვი-
 ლეში ასეთი ერთი კულტურა არ არსებობს, არ არსებობს სწორედ ისე,
 როგორც არ არსებობს რეალურად ერთი კაცობრიობა, რომელსაც
 აუცილებლად გულისხმობს ერთი საკაცობრიო კულტურის ცნება.
 პირიქით, არსებობს სწორედ იმდენი კულტურული მიმდინარეობა,
 რამდენი ეროვნებაც ცოცხლობს. და ეს იმიტომ, რომ, როგორც ქვე-
 ვითაც გავარკვევთ, კულტურული შემოქმედების სუბიექტი შეიძლება
 მხოლოდ განსაზღვრული ეროვნული ერთეული იყოს. და თუ ეს მარ-
 თლა ასეა, თუ არსებობს ერთი საკაცობრიო კულტურული უკან დახე-
 ვა ელინთა და რომაელთა კულტურასთან შედარებით, სრულებით არ
 ამტკიცებს საზოგადოდ კულტურული ცხოვრების განვითარების შეუძ-

լլեցածոնքած. յև ուշից մեռլուց օմ գարեմույթանց մօցցուութեցն, հռմ
սաօնտուրու ասեարենից անալո, կուլտուրուլու համուրինունու ըրուցե-
նա գամուսուլա. ուզու յըլունու կուլտուրու ամուտ ահապյուրո ձայսյարցաւի, ու-
գութան դա პրայսեությունը եղալունու հայտարմութեա ուզու մշցուուրուն-
թյունատ, პլատոնուսա դա արօնտուրությունը ուուլուսուցուր ուզու ուզու
թուրունիցուրությունա դա սօնդրմէ դահիատ, հաց մատ ամ անալ ըրուցեն-
տա գամուսուլամօւ քյոնքատ դա ուզու ցըրմանցու թումինն գամուսուլա
կուլտուրու ասեարենից եռու մոմասիւցույնու ուզու մատու կուլտուրուլո
ցեռցրեն գանցուուարենն ցիւաչ մշցուումուսա; դա ամութու սամշալու սա-
սայսնենց ուստու ուժու կուլտուրուլո ցեռցրեն գանցուուարենն մյուսամլութենու ամությունն անուրի մու մշցուույնութենունա.

ամ սաեսու, հռուցեալու կուլտուրու գանցուուարենն մշցանց վալապարա-
յութ, այսուուցեալու սաենից ունդա ցյունուց յրու հռմելու գանսան-
ցուրուլո յրուցեն ցեռցրեն. այսու ուզու ալմորին-
ուցիա ուշից ամյարա ոյան ճանցուսա դա ոյսյուցուսա, մեռլուց մամոն
մշցութեն կուլտուրու. գանցուուարենն ուզու մշցուն. մցըլմա սաձերմ-
եցու ուուլուսուցուր անհռուցենն ան եղալունու գանցուուարենն ումալլու ցարցլու մուալիս, եռլու ծոնանուրու ուուլուսուցուա դա ծո-
նանուրու եղալունուն, ույսու ոյու մուաց ծերմենտա թումինն կուլտու-
րուլ ցենու ոյսուունու, ուժու პորցուցուումուսա դա սաճա եսեսու-
տու ալմորինն ան. հանս, այս ծերմենտա կուլտուրուլո մշցոյմենց ուզյա-
ռա ոյսյուցուստան ցյունու սայմի.

Ցացրամ հայոցուրութ ծոնանուրու եղալունուն ան ուուլուսուցուա դա
ուուլուսուցուա ուզու ալմորինտ, հռմ ծոնանուրու անհռուցեն ան ուուլունուն
եղալունուն սուլ սեց եսսուտուսա, ուուրի ուուլուսուցուա դա եղալունուն
շցըլո ցլանուս. ամ ոյսանսյունու մութուցեն ան պրոնելլումեն սուլ
սեց սույնու ոյսուունու, ուուրի պրոնելլումեն ան մութուցեն ծոնանուրու-
թ ուուլուսուցուսա դա եղալունունուս. ոյս սայրուն եսսուտու մութու-
ցեն ան պրոնելլումեն ուզու ասեսենցլո, այս յու հըլուցուրուսա դա յինու-
թունուլուս. հանս, կուլտուրուլո ոնթյուրուս ոյս սեց մոմարտուլլուն մուս-
ցըլու, այս յուու սեցս. ամութու ամյարա մշցուումաս հացուցեն, ոյս ծո-
նանուրու եղալունուն ան ուուլուսուցուա դա ցըլո ցլանու ուուլուսուցու-
ուրու անհռուցենսա դա եղալունուն ցացրմելլուն հացուցուու. ծոնան-
ուրու հըլուցուրու ուուլուսուցուս դա հըլուցուրու եղալունուն հա-
նսան մարտլալու արսյենուն մցըլ սաձերմենտու դա ոյս սանցագուն

შესაძლებელია ბიზანტიია თავისი ხელოვნებით და ფილოსოფიით
ქვეყანა ელადას შევადაროთ, ამ შედარების დროს მხოლოდ ესაჩინაშები
უნდა გვეონდეს მხედველობაში. ამ ჩანასახთან შედარებით კი ბიზან-
ტიიამ დიდი ნაბიჯი გადაღვა განვითარების გზაზე, ხოლო საეროვნო
მოწიუები და პრობლემები ბიზანტიურ კულტურას აღარ აინტერესებდა
და ამ მხრივ მისი კულტურული ცხოვრება თითქოს უკან დახვევის ხა-
სიათს ატარებდა.

ამგარად, უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული განვითარების
პროცესში ორგვარი მიმართულება არსებობს: ერთი არის გადამაცემა
და სრულყოფა ერთისა და იმავე პრობლემისა და მეორე კიდევ წა-
მოშრო ახალი პრობლემისა და დამყრობა ახალი საკულტურო სფერო-
ებისა. ორივე მიმართულება კულტურულად თანასწორი ღირებულე-
ბის მიმართულებაა და ამიტომ განვითარების თეალსაზრისით ერთიც
შეიძლება ან და მეორეც, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარე-
ობს. რომ ერთი ინტენსიური ხასიათისაა, მეორე კი ექსტენ-
სიური, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ვამტკიცებთ, თითქოს
ეროვნულ კულტურას საერთოდ არ ახასიათებდეს სრული შეჩერება
და ზოგჯერ უკან დახვევაც. თანამედროვე საბერძნეთი, ან საბერძნეთი
ოსმალეთის ბატონობის დროს, ძველ ელადასთან და თუნდაც ბიზან-
ტიისთან შედარებით, არც ერთი მხრივ არ არის კულტურული წინ-
სვლა, მაგრამ აქ თვით კულტურას არავითარი წილი არ უდევს, მიზეზი
გარეშე ხასიათისა და იგი იმაში მდგომარეობს, რომ ბერძენთა ეროვ-
ნულმა სულმა შემოქმედებითი ძალა დაკარგა, რომ იგი ოსმალთა ბა-
ტონობის ქვეშ სრულიად გამოიყიტა, დროებით მოისპო კიდეც და რა
გასაკვირია, რომ ბერძენთა კულტურული ცხოვრება ოსმალთა თარე-
შობის დროს შეჩერდა და უკანაც დაიხია. ვისთვის უნდა მოგვეთხოვა
საბერძნეთის კულტურული წინსვლა, როდესაც ამ წინსელის სუბიექ-
ტი ბერძენის ეროვნული სული აღარ არსებობდა. ამგარად ცხადია,
რომ განვითარება ასე თუ ისე მაინც იკვლევს გზას ადამიანთა არსე-
ბობის რიცხვს პირობებში. ხშირად იგი ღილი ხნით ჩერდება, გვერდზე
უხვევს და ზოგჯერ არც უკან დახვევას ერიდება, მაგრამ იგი საერთოდ
თავისის აკეთებს და ბოლოს და ბოლოს თავის უეჭველ ფაქტიურობას
მაინც არ კარგავს. მაგრამ როგორ არის განვითარება შესაძლებელი?

როდესაც განვითარების შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებლად
კველისხმობთ ზრდას, ახალი ფორმებისა და მომენტების შემოქმედე-

დას. ამ სახით განვითარება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც
ასეთ ზრდას არაუერი ეღობება.

აკილოთ ნივთიერი, არაორგანული ბუნება. არის თუ არა აქეცენტი-
თარება შესაძლებელი? თანამედროვე მეცნიერების ღრმა რწმენით
მთელი არაორგანული ბუნების ქვაეუთხედს ნივთიერებისა და ენერ-
გიას შენახვის პრინციპი წარმოადგენს. ამ პრინციპის ძალით იქ არა-
უერთი იყარება და არც არაუერი ჩრდება. მაშასადამე, ზრდა, ახალი
ნივთიერებისა და ენერგიის გაჩენა ან განვითარება იქ იმთავითევ უარ-
ყოფილია. მაგრამ განვითარება მარტო ზრდას კი არ გულისხმობს,
მისთვის აუცილებელია აგრეთვე შემოქმედების ცნება. ნივთიერს, ორ-
განულ მსოფლიოს კი ღრმა პასიურობა ახასიათებს, მაშინ, როდესაც
შემოქმედება მოქმედებას, აქტიურ ძალას მოითხოვს. ამგვარად, განვი-
თარება არც ამ მოსაზრებით არის შესაძლებელი ნივთიერ მსოფლი-
ოში.

განვითარების ცნება ლოგიკურად დაუსრულებლობის შესაძლებ-
ლობას შეიცავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მარტო ერთ
განსაზღვრულ მოვლენას კი არა, მთელი ცხოვერების პროცესს ეხება.
ასეთი დაუსრულებლობა კი შეუძლებელია იქ, სადაც ენერგიის ნივ-
თიერების რაოდენობა იმთავითევ ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვ-
რულია. მაშასადამე, არც ამ მიზეზის გამო შეიძლება არაორგანულ
მსოფლიოში განვითარების ფაქტი ვაღიაროთ. არის კიდევ ერთი მო-
მეტტი, რომელიც აუცილებლად მარხია განვითარების ცნებაში. ეს ის
შეფასებაა, რომელიც განვითარების ყოველ ცალკე საფეხურზე ზრდა-
სა და იდეალურ მიზანთან დაახლოებას აღნიშნავს. ასეთი შეფასება
კი შეუძლებელია თავისითავად ერთბაშად პასიურისა და შეედარს არა-
ორგანულ მსოფლიოში.

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს განვითარების ფაქტი
სახოვადოდ შეუძლებელი იყოს; საქმე ისაა, რომ უჟეველად არსე-
ბობს მსოფლიოში აქტიური პრინციპი, რომელიც აღჭურებილია ყველა
იმ თეოსებით, განვითარების შესაძლებლობისათვის რომ აუცილებელი
პირობაა. ეს აქტიური მომენტია, რომელიც ჩვენთვის სულიერო-
ბის სახელით არის ცნობილი. სულმა იგივეობა და უცვლელობა არ
აცისს პირიქით, მისი მდგომარეობის ყოველი ახალი მომენტი ახალი
შინაარსის შეძენაა, რომელსაც იგი ძველს უმატებს. და ეს საკვირვე-

ღ თვისება სულისა ყველასათვის ნათლად მეხსიერების ნიჭში ვლინ-
დება.

სულის ამოქმედება თავისთავად, ავტონომიურად ხდება. იგი მსო-
ფლიო არსებობის აქტიური მომენტია, რითაც ძირიანად განსხვავდე-
ბა პასიური მსოფლიოს უმოქმედობისაგან, რომელიც უძლეურია თა-
ვისთავად რამე მოქმედება გამოიწვიოს. ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია შემოქმედების პრინციპი იყოს. მაგრამ სული იმავე დროს, რო-
გორც უსაზღვრო აქტივობა, დაუსრულებელი სწრაფვით ხასიათდება.
მაშასადამე იგი აბსოლუტური მომენტია მსოფლიოში, მაგრამ აბსო-
ლუტური არა განხორციელებით, არამედ აბსოლუტური მისწრაფებით,
შესაძლებლობით. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს,
რომ განვითარება, რომელიც, როგორც დავინახეთ, დაუსრულებლობას
გულისხმობს. შეიძლება მხოლოდ სულშე იყოს დამოკიდებული.

მაგრამ, თუ სული თავისი მისწრაფებით უსაზღვროა, რად არ არის
იგი განხორციელებული აბსოლუტი? რა უნდა მას, რად ისწრაფვის
უსასრულოდ ან საით მიისწრაფების იგი?

ბევრი ფილოსოფისების აზრით (პლატონი, არისტოტელი), სული
ნივთიერებით არის შემოფარგლული. ამიტომ იგი სრული არ არის.
იგი მხოლოდ მიისწრაფების ასეთი სრულყოფისაკენ, რომელიც მხო-
ლოდ მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც სული დაძლევს და მოსპობს
ნივთიერებას. მაშინ სულის მისწრაფებას წერტილი დაესმის და გან-
ვითარების პროცესი დასრულდება. ასეთია ძეველი აზროვნება.

დღევანდელი მეცნიერება კი აშეარად გვეუბნება, ნივთიერების
მოსპობა შეუძლებელია. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ მეცნიერების
მოწმობით და უნდა ვაღიაროთ ნივთიერების მოუსპობლობა. მაშასა-
დამე, სული ანუ აქტიური მომენტი მსოფლიოში მუდამ უნდა ებრძო-
დეს ნივთიერებას, ანუ მსოფლიოს პასიურ მომენტს, და სწორედ ამ
მუდმივი ბრძოლის აუცილებლობაა, რომ დაუსრულებელ განვითარე-
ბას შესაძლებლად აქცევს. მაგრამ ეს ბრძოლა თუ მუდმივი უნდა იყოს
და იგი პასიური მომენტის სრული მოსპობით ვერასდროს ვერ უნდა
დასრულდეს, მაშინ ცხალია, ამ ბრძოლის მხოლოდ თანდათანი შერი-
გება უნდა პქონდეს მიზნად. შერიგება აქტიური მომენტისა მსოფლი-
ოში პასიურობან. ეს უკანასკნელი თანდათან გამჭვირვალე უნდა გახ-
დეს აქტიური მომენტისათვის, იგიც დაემსგავსოს აქტიურ მომენტს,
ასე ვთქვათ, განსულიერდეს. ასეთი განსულიერებული ნივთიერების

ნიმუშს ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს: იქ სული თითოეულ უკარებში არის შეჭრილი და ამ სახით თითოეული უჯრედი ცოცხალი, აქტიური არსებაა. სწორედ ასეთივე ხასიათისაა მსოფლიო აქტიური მორიგეობების მისწრაფება; იგი უნდა შეიჭრას მოელ ნივთიერ, პასიურ სამყაროში და მოელი მსოფლიო ადამიანის ორგანიზმისებურ ცოცხალ არსებად უნდა გადააქციოს; ასეთია მოელი კულტურული შემოქმედების აზრი. ასეთია კულტურული განვითარების შინაარსი.

შართლაც, რა არის კულტურა, თუ არა პასიური მომენტების ასეთი განჭერებული, განსულიერება აქტიურის საშუალებით? აიღეთ მეცნიერება! უცნობი და შეუცნობელი ჩვენი გონიერისათვის რაღაც პასიურ, უძრავსა და უსარგებლო სფეროს წარმოადგენს. მაგრამ როგორც კი შევიცნობთ მას, ის უკვე უცხო და უმოქმედო არაა ჩვენთვის. მისით ვსარგებლობთ, მას ვიმსახურებთ ჩვენი მიზნების თანახმად.

აიღეთ ხელოვნება! გარე ბენების მკვდარი მასალა, შევი მარმარილო ან ფურადი ხელოვანი შემოქმედის სულის შთაბერებით სულიერ არსებად იქცევა. რა არის ვენერა მიღოსელი ან სხვა რომელიმე ქანდაკება, თუ არა სულიერი არსება! აქ სხეული ნივთიერებაა (მარმარილო) და სული ხელოვანის იდეაა, რომელიც განხორციელებულია მკედარ მასალაში. ამიტომ ეს მასალა უკვე აღარაა პასიური, მკვდარი მომენტი; იგი განსულიერებულია ხელოვნერი ნაწარმოების იდეით, რომელიც მხოლოდ მის საშუალებით ცოცხლობს.

აიღეთ ჩვენი კულტურული ცხოვრების ყოველი სხვა სფერო, თქვენ ყველგან იქნებით აქტიური სულის პასიურ მომენტებთან ბრძოლის და პასიურის აქტიურთან შერიგების მოწმე. თქვენვე ყველგან დაინიხავთ მოელი მსოფლიოს განსულიერების ცდას, პასიური ნივთიერების ძარღვებში სულის შეჭრას, მისი სიცოცხლის მაჟისცმით ათაბაშებას.

ასეთია კულტურული შემოქმედების აზრი და ასეთია ადამიანის ცხოვრების მიზანი და დანიშნულება. პირეელი შეხედვით ჩვენი არსებობისა და მოქმედების დანიშნულების ასეთი გავება თითქოს წააგავს ხორციელ სულის ბატონობის ძველ იდეალს, მაგრამ ხორცის ქრისტიანული დამცირება და მოსპობა ისე, როგორც ეს ძველ ასკეტიზმი გამოიხატა, მიმართული იყო მოელი არსებული ცხოვრების უარყოფისაკენ. ეს ცხოვრება ხომ ეშმაკის სამკვიდროა, ამიტომ მისი მიყოლა

უაზრობაცაა და სახითვათოცო, ფიქრობდა ქრისტიანული ასკეტიზმი და მთელი თავისი ძალ-ღონით კულტურული შემოქმედების საწინააღმდეგოდ გამოდიოდა. მისი იდეალი გადატანილი იყო მომავლის, საიმპერიო ცხოვრების ფარგლებში და აქ — სააქაოს — მას მხოლოდ სიიკონზე ზრუნვა დარჩენიდა.

სულ სხვაა შეხედულება ცხოვრებისა და არსებობის დანიშნულებასა და მიზანზე. იგი სააქაოს მოსპობისაენ კი არ მიგვაქნებს, პირიქით, მისი ცდა იქით არის მიმართული, რომ სააქაო როგორმე ამაღლლოს, იგი როგორმე გაააქტივოს. მისი იდეალი, მაშასადამე, სააქაო ცხოვრებაა და არა საიქიო არსებობა. ამიტომ ცხოვრების აზრის ჩვენი გეგმა მიწიური არსებობის განწტელებაა, მისი უაღრესობის აღსარებაა, მისი მიმდინარეობის კურთხევა და მისი მნიშვნელობის გააძლიერება. აქ თითქოს რელიგია ციდან მიწაზე ეშვება, საიქოს ცხოვრება ზედმეტი ჩნდება და სააქაო თვით იდებს რელიგიურ საწერის. დაბადების წარმოდგენით ადამიანი შემოქმედების გვირგვინით დათავსაა. ღმერთმა იმით დაასრულა თავისი შემოქმედების პროცესი, რომ მან ადამიანის არსებაში საუკეთესოდ შეარიგა სული ხორცს, აქტიურობა — პასიურობას. სამაგიეროდ, ნივთიერების მთელი დანარჩენი მსოფლიო განუსულიერებელი დატოვა. და ამით თითქოს იმთავითვე განსაზღვრული დანიშნულება მისცა ადამიანის არსებობას; სწორედ იმგვარივე შერიგება აქტიური მომენტისა პასიურთან, როგორიც მან ადამიანის ორგანიზმის შემოქმედებით გვიჩვენა.

ამგვარად, ჩვენი დანიშნულება დათისგან დაწყებული საქმის დარღულებაა, დათისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების განვითარებაა. და თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ჩვენს გამუდმებულ ფუსტეს, დაუღალავ შრომას მნიშვნელობა პქონდა, ჩვენს დროულ ცხოვრებას—ღრმა აზრი და ამ უკანასკნელს კიდევ რელიგიური ღირებულება.

აიროვაზა და ცხოვრების აზრი

ასეთია ცხოვრების აზრის ჩვენი გაეგბა, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არის კულტურული შემოქმედების სუბიექტი, ყოველი ცალკე პიროვნება, თუ სხვა რომელიმე უფრო რთული ხასიათის ერთეული. ეჭვი არ არის, ყოველი შემოქმედება მხოლოდ ამქვეყნიური ნიადაგზე იძადება და იზრდება. იგი, მაშასადამე, აუცილებლად გულისხმობს როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ხასიათის ერთიანობას.

ასეთ ერთიანობას კი პიროვნება წარმოადგენს, თავისი განსაზღვრული ფიზიური და სულიერი ძალებით. ამიტომ ცხადია, მხოლოდ პიროვნების ცხოვრების ფარგლებში და პიროვნების ძალების მეობებით შემოიძლება მიღება და განხორციელება იმ ღრმა და მნიშვნელოვანი მიზნისა, რომელიც ჩვენ ცხოვრების აზრად დავსახეთ. მაგრამ აქ ერთი გარდაუეალი სიძნელე იძალება. ეს სიძნელე ადამიანის პირადი ცხოვრების მოსპობის, ადამიანის სიკვდილის გამოწვევის სიადვილეში მარხა. მაგრამ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აქ ამ სიადვილეს?

აიღეთ ცოცხალი ორგანიზმის უბრალო გამოსახულება, მაგალითად, უნიშვნელო მწერი ან წვემის ჭია, ან კიდევ, უფრო ხელსაყრელი მაგალითი ჩვენი მიზნისათვის, ჭიანჭველა. მთელი მისი სიცოცხლე გამუშავებული ფუსტუსია, გამუშავებული შრომაა თავისი ცხოვრების საუკუთხესოდ მოწყობისათვის. ხომ ყელასათვის ცნობილია, რომ ჭიანჭველათა სამეცოში ნათლად ისახება საზოგადოებრივი ცხოვრების მარტივი ფორმები. ჭიანჭველა თავის შესაფერ სადგომებს აშენებს, იგი ეკონომიურ ცხოვრებას ეწევა და თავის ხანმოკლე დღეს სოციალურ ურთიერთობათა მოწყობის ცდაში დავს. ერთი სიტყვით, მისი ცხოვრება ისეთივე საზრიანობითა და ანგარიშით არის ნაშენები, როგორც ადამიანთა საზოგადოების ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, მისი ცხოვრების შენების სერიოზულობა მისთვის ისეთივე უაღრესობით არის ნაწარმოები, როგორც ჩვენთვის ადამიანთა ცხოვრების შენება. მაგრამ რას ნიშნავს ერთი ჭიანჭველას გასრესა? სრულებით არაფერს. განა სინდისის სრული სიმშევიდით არ ესპონთ და ვანადგურებთ ხშირად ჭიანჭველათა საზოგადოებების მთელ სამშეობებს! და მერე რით აისწნება ჩვენი მოქმედების ეს საკვირველი სისასტიკე, რად არ გვესმის აქ სინდისის ხმა ან მისი ულმობელი ქეჯნის ტკიცილები? ცხადია, ამ საკვირველ სისასტიკესა და ულმობელობას ჩვენი სინდისის ამ გაუგებარ სიმშევიდეს ერთგვარი რწმენა უდევს საფუძვლად. რწმენა, რომ ჭიანჭველას არავითარი დანიშნულება არა აქვს სამყაროში, რომ მისი არსებობა უაღრესად უნიშვნელოა და ამიტომ იქნება თუ არ იქნება ერთი თუ ორი ჭიანჭველა ზედმეტი, ამით არც არაფერი შეეძატება მსოფლიოს და არც არაფერი მოაკლდება. ასევე ვიქცევით და ასევე ვფიქრობთ ჩვენ ყოველ სხვა შემთხვევაშიც. ერთი სიტყვით, ყოველი არსების ცხოვრების მნიშვნელობას მისი დანიშნულების სიადიდით ეშომავთ, და მით უფრო დიდად გვეჩენება რომელიმე არსე-

ბის არსებობის ღირებულება, რაც უფრო დიდია ის დანიშნულება, რომელსაც იყი ემსახურება. მივმართოთ ადამიანის ცხოვრების ჭანჭველის გასრესა ჩევნი სინდისის სიმშვიდეს არ არღვევს, მაგრამ ადამიანის არსებობის აღვევთა, ადამიანის სიკედილის მოახლოვება შიშის გრძნობას აღძრავს მთელს ჩევნს არსებაში, უდიდეს სინდისის ქენჯნას იწვევს ყოველ ნორმალურად მგრძნობიარე ადამიანში.

რად ხდება ასე?

ცხადია, ადამიანის ცხოვრება უდიდესი დანიშნულებისათვის გვკონია შექმნილი, და როდესაც მისი არსებობა წყდება, ამით მისი დანიშნულების განხორციელებაც შეუძლებლად მივგაჩინია. სწორედ ეს იწვევს ჩევნში ღრმა სინაწელის გრძნობას. ეს ხდება ჩევნი უსაზღვრო შიშის მიზეზად სიკედილის უღმობელი მოახლოების წინაშე.

ამგვარად, გამოდის, რომ ცხოვრების უღრმესი აზრის განხორციელებელი სუბიექტი ცალკე პიროვნება ყოფილა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მართლა კერძო ადამიანის ცხოვრებას აქვს დაკისრებული ეს უდიდესი დანიშნულება. როგორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანით აქედან?

ყოველგვარი დანიშნულება თავისი განხორციელების შესაძლებლობას კულისებრის. ასე რომ არ იყოს, მაგალითად, ჩევნ რომ დარწმუნებული არ ვიყოთ, რომ ჩევნი დანიშნულების განხორციელების ძალა შეგვწევს, მაშინ არც სურვილი გვექნებოდა მისი განხორციელებისა; ვაფიქრებდით, ეს დანიშნულება ჩევნი ძალებისათვის არ არის შექმნილი და მისკენ მისწრაფება უნაყოფო დროის დაკარგვა იქნებათ და არ შეცდებოდით. ამგვარად, ვიტირობთ, რომ თუკი ვინმე უნდა მიისწრაფოდეს რამზე დანიშნულების განხორციელებისაკენ, ე. ი. თუკი არსებობს ისეთი დანიშნულება, რომელიც უნდა განხორციელდეს (და სხვაგვარი დანიშნულება არ შეიძლება არსებობდეს), მაშინ მას შესაფერი ძალებიც უნდა ჰქონდეს მისი განხორციელებისათვის. სადაც არ არის ასეთი შეთანხმებულობა ძალებსა და ამ უკანასკნელთა მეოხებით განსახორციელებელ დანიშნულებას შორის, იქ ამ დანიშნულების შესაძლებლობა იმთავითვე უარყოფილია. და ისეთი დანიშნულება, რომელიც ვერასდროს ვერ განხორციელდება ამ ძალების საშუალებით, უკვე აღარ არის ამ ძალების დანიშნულება, აქედან ცხადია, რომ თუ ადამიანის ცხოვრებას უდიდესი დანიშნულება აქვს დაკისრებული,

მის არსებაში კალეც უნდა იმაღლებოდეს მისი შესრულებისათვის საკურაისი ძალები. ამიტომ ადამიანის სიცოცხლე შესაფერი სიმტკაცის უნდა იყოს, მისი გამძლეობა იმ ზომის მაინც უნდა იყოს, რამდენსაც მისი დანიშნულების სიღიაღე იწონებს.

მაგრამ არის ეს ასე? საუბედუროდ არა. უკარი შემთხვევითი წინდაუხედაობა — და, ადამიანი მას მსხვერპლად ეწირება. უბრალო, სულ პატარა ტყვიაც საქმარისია, რომ ჩვენს სიცოცხლეს ბოლო მოეღლოს, ერთი წვეთი საწამლავი იმდენად ძლიერია ჩვენი სიცოცხლის გამძლეობასთან შედარებით, რომ მასთან ბრძოლა ჩვენს ორგანიზმს არ შეუძლია. ერთი ბეჭრო ჭუჭყი საქმარისია მისთვის, რომ ჩვენი სისხლი მოიწამდოს და სიცოცხლის მაჯისცემა სამუდამოდ შეწყდეს; ტვინის ზედაპირზე წვრილი ქინძისთავის ერთი წინდაუხედავი ჩხვდეტა საქსებით საქმარისია, რომ ჩვენს მუდმივ უუსუფუსს ბოლო მოეღლოს.

ამგვარად, აშეარაა, რომ ის უდიდესი ბოროტება, სიკედილს რომ უწოდებთ, სულ უბრალო საბაბით კმაყოფილდება, რათა დაგვეპატრიონის, რათა ბოლო მოუღოს სიცოცხლეს, რომელიც უდიდესი დანიშნულებისათვის გვვონია გაჩენილი. ჩანს, სიცოცხლეს სრულიად არ ჰქონია იმდენი თავდაცეის ძალები, რომ მისი დიდი დანიშნულების განხორციელება ოდნავ მაინც შესაძლებელი იყოს. და თუ ეს ასეა, მათ შეცდომა იქნება ვითიქროთ, თითქოს ჩვენს სიცოცხლეს ასეთი დიდი დანიშნულება ჰქონდეს სახოგადოდ — ცხადია, თუკი არსებობს მაღალი დანიშნულება მსოფლიო ცხოვრებისა, იგი კერძო ადამიანის ძალებით ვერ განხორციელდება. მისი სუბიექტი სხვაგან უნდა ვვძიოთ.

ერთ, როპორც ცხოვრების აზრის საგიარეთი

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, სხვა მოსაზრებაც გვაიძულებს, რომ კერძო პიროვნება ცხოვრების აზრის განხორციელების სუბიექტად არ ვაღიაროთ. ეს გარემოება კერძო ადამიანის მოღვაწეობის სრული დამოკიდებულების ფაქტი გახლავთ.

კულტურული მოღვაწეობა რომ ავილოთ, დაეინახავთ, რომ მისთვის ერთგვარი ნიადაგია საჭირო, სადაც მუშაობა ისახება და მწიფდება, სადაც მასალა გროვდება და მუშავდება, მაგრამ ყველგან და ყოველთვის არ არის ერთგვარი არც ის პასიური მასალა, რომელიც აქ-

ტიურმა სულმა უნდა განჭერიტოს და სხვისთვისაც გამჭერივაღვე
 უნდა აქციოს, და არც ის აქტიური მაღა, რომელიც ამ მასალას უნდა
 შეეღულოს. ერთის თავისებურება დამოკიდებულია განსხვავებულ
 ბუნებრივ პირობებზე, რომელიც სხვადასხვა ადგილის სხვადასხვანაირ
 სიმღიდრეს მაღავს თავის წიაღში, და მეორეს განსაჟუთრებულობა
 დაფუძნებულია წარსულ განცდათა თავისებურებაზე. ხოლო ბოლოს
 და ბოლოს ესეც იმავე ბუნებრივ პირობათა განსხვავებულობასაა
 მჭიდროდ შეკავშირებული. მართლაც, პირველი გრძნობა, პირელი
 მისწრაფება და სურვილი იმ დროს, როდესაც ადამიანის სულიერია
 ცხოვრებამ პირველად დაიწყო აღორძინება, აუკიდებლად ფიზიკური
 გარესკნელის თვისებებზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ ეს გა-
 რესკნელი სხვადასხვა ადგილის სხვადასხვა ხასიათისაა. მაშასადამე,
 იმთავითვე სხვადასხვანაირი უნდა ყოფილიყო ის სულიერი განცდე-
 ბიც, რომლებიც მასზე იყო დაფუძნებული. სულიერი ცხოვრების ში-
 ნაარსის ერთხელ შეძენილი თავისებურება კი არასდროს იკარგება.
 პირიქით, იგი საფუძვლად ედება და იწვევს უფრო ღრმა განსხვავე-
 ბას და თავისებურებას მომავალში. და ეს იმიტომ, რომ ადამიანის
 სულიერი ცხოვრება ცოცხალი მორევია, რომელიც ერთხელ მიღვ-
 ბულ შთაბეჭდილებას, ერთხელ განცდილ გრძნობას სამუდამო ად-
 გილს უთმობს თავის უძირო კალაპოტში და მას არასდროს კარ-
 გავს; და ჩახან იგი შემდეგ ყოველ ახალ შთაბეჭდილებას, ახალ განც-
 დას აღრე მიღებულის პრიზმაში ჭრის და მისი საფერავით ღებავს,
 ამიტომ რაც უფრო რთულია წარსულ განცდათა შემადგენლობა, მით
 უფრო თავისებური იქნება ახლადმიღებულ შთაბეჭდილებათა უერი.
 ხოლო ყოველი ახალი შთაბეჭდილება, ახალი განცდა მარტო ამ მხრით
 კი არ არის დამოკიდებული წარსულში მოგროვილ განცდებზე. აქ
 სხვაგვარი დამოკიდებულებაც არსებობს: საქმე ის არის, რომ ჩვენი
 ცნობიერებით წარსულში შეძენილი შინაარსი თავისებურ მიმართუ-
 ლებას ამღევს მის მოქმედებას და მას მხოლოდ ამ მიმართულებით
 ემარჯვება ახალი შთაბეჭდილებების მიღება.

ამგვარად, მუშავდება ჩვენი სულის ის თავისებური ტენდენციუ-
 რობა, რომელსაც საზოგადოდ ინტერესს უწიოდებთ. მაგრამ რადგა-
 ნაც ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში მრავალ ადამიანს უხდება
 ცხოვრება, ამიტომ მათი სულიერი თვისებანი ერთი და იმავე შთაბეჭ-
 დილებების გამო ერთმანეთს უნათესავდებიან, ერთგვარი მისწრაფე-

პით ივსებიან, ერთგვარი ინტერესებით ხელმძღვანელობდნ. მათ შორის ეს სულიერი ერთიანობა ერთმანეთის სულიერი ცხოვრების გაგების თანაგრძნობის შესაძლებლობას ედება საფუძღლად და, ცხადია, საერთო ცხოვრების მოწყობის სურვილი, ერთად უდელის წევის შეთანხმება ჩაისახება. ასე ჩნდება ის მტკაცე სოციალური მაფი, რომელიც მათ ერთ ერთვნებად აერთებს, ხოლო ეს გარემოება ახალ შემაკავშირებელ საფუძღლად ედება მათ აწმყო სულიერ ცხოვრებას. ამიერიდან ცალკე ფიქრი, ცალკე გრძნობა უკვე შეუძლებელია. ადამიანის სულიერი ცხოვრების მუშაობის ყოველი მომენტი მჭიდრო მაფებით არის გადახლართული თავის თანამოაზრეთა აზრისა და გრძნობასთან.

იყი ამგვარად მხოლოდ საერთო ნიადაგზე აშენებს და ამ ნიადაგის გარეშე დგომა მას არ ძალუდს. ამიერიდან მისი სულიერი ცხოვრების მორევში მარტო კურძოდ ნაგრძნობი და ნააზრევი როდი შედის და მთელ მის მიმდინარეობას თავისებური ფერით დებავს; არა, საერთოდ ნაგრძნობი მისი სულიერი ცხოვრების მთლიანობის აუცილებელი ელემენტი ხდება. ამიტომ მისი აზრი და გრძნობა უკვე მისი აღარა; ამიერიდან მასში ის რთული ერთეული მოქმედებს, ფიქრობს და გრძნობს, რომელშიც იყი შემადგენელ ნაწილად შევიდა.

აი, სწორედ ამის გამო არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ცალკე პიროვნება იყოს კულტურული შემოქმედების სუბიექტი. და თუ ამის კაცები ეროვნული ერთეულის დარღვევისა და მოსპობის სიძნელეს დაუშამატებოთ, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ კულტურული შემოქმედება მხოლოდ რთულ ერთეულთა ანუ ერთვნებათა ფარგლებში შეიძლება წარმოებდეს, რომ მის გარეშე შეუძლებელია ამუშავება სულიერი ცხოვრებისა და, მაშასადამ, წარმოუდგენელია იმ უაღრესი დანიშნულების შესრულებაც, რომელიც, ჩვენს არსებობას უნდა ედოს საფუძვლად.

რაის აროვალება

ახლა გადავხედოთ ომის პრობლემას. ყოველი ცალკე ადამიანის სიცოცხლე კერძო შედევისათვის უმაღლესი ღირებულებაა. ამიტომ სიკედილი, როგორც ამ სიცოცხლის ჯაჭვის დასრულება, უკანასკნელი რგოლი, ყველაზე უფრო შემბორკელი შიშის წყაროდ გვევლინება. ხოლო ომის დროს თითქოს ძირიან-ფესვიანად ვიცვლებით. თითქოს

სამუდამოდ ქრება ჩვენს არსებობაში დამარხული ბუნებრივი შიგი
სიკედილის ბასრი ცელის წინაშე; თითქოს მიმზიდველი და მეგობრუ-
ლი ხელი ისაღვურებს სიკედილის ჩონჩხის ცივ ძელებში. თითქოს
მისი ხელის შემხუთველი ხელის მოჭერა გულითადი და სანატრელი
მეგობრის სალამივით ათბობს მთელ ჩვენს არსებას. ამიტომ ათასო-
ბით ახალგაზრდა სიცოცხლე თავისი ნებით უშიშრად და ამავად მი-
დის სიკედილის შესახვედრად, ხოლო მტრის ბანაკიდან მოსული ამბე-
ბი ჩვენს მოპირდაპირეთა მუსრის გავლების შესახებ მუდამ დაუსრუ-
ლებელ სიხარულსა და აღტაცებას იწვევს ჩვენს არსებაში.

ომიანობამ ამნაირად არც საკუთარი სიკედილის წინაშე და არც
სხვისი მკვლელობით გამოწვეული სინდისის ქეჯნა იცის. ჩვენ უკვე
ზევით მივუთითეთ ჩვენი სულის ამ საკეირველ მოვლენას, ამ საიდუმ-
ლო თვისებას. ხოლო მაშინ იგი აუხსნელ პრობლემად მოვკეჩვინა.
მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენი არსებობის საიდუმლობას ფარდა ახა-
და, უკვე აშკარაა, რომ სხვანაირად შეფასება ომის ეელზე დაბადებუ-
ლი სიკედილისა და მკვლელობისა შეუძლებელიც იქნებოდა.

მართლაც, ან კი რად უნდა იწვევდეს შიშს ჩვენი ცხოვრების
მთელ მომენტში სიკედილის ფაქტი. ადამიანის არსებობის დანიშნუ-
ლება ხომ ბედნიერება არაა; იგი ხომ ჩვენი სუბიექტური ცხოვრების
ფარგლებს გარეშე, ობიექტური ღირებულების განხორციელებაში
მარხია. მაშასადამე, რა გასაკეირია, თუ ცხოვრების ჩვენგან დამოუკი-
დებელი ობიექტური აზრი, რომელიც უშეამავლოდ და დამოუკიდებ-
ლად ხორციელება, თავის ტრიალში ჩვენ არ გვეკითხება და ხშირად
ჩვენი გონებისათვის შეუფერებელსა და გამოურკვეველ ნაბიჯებს
გვადგმევინებს. რა არსებობის აზრი იქნებოდა იგი, თუ ცხოვრებაში
ისეთ მომენტებს ექნებოდა აღვილი, რომელიც მის ბატონობას არღ-
ვევინ და აქარწყლებენ. სიკედილი, როგორც დაეინახეთ, მხოლოდ ჩვე-
ნი გონებისათვის არის მუდამ და ყოველთვის უაზრობა. ცხოვრების
ობიექტური დანიშნულებისათვის იგი, როდესაც ცალკე პიროვნებას
ეხება, ხელ ერთია. მაშასადამე, რამდენიც არ უნდა გვედაპარაკოს
ჩვენი გონება და მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი ჩვენი გრძნო-
ბიერება, სიკედილი, როდესაც მას ცხოვრების აზრის ინტერესები მო-
ითხოვს, არ არის უაზრობა. ამიტომ ასეთ მომენტებში ჩვენი გონების
ჩვეულებრივი შეფასების და შეხედულების წინაშე, ადამიანის არსე-

ბის ფარული სიღრმიდან მაინც თავს ამოყოფს მისი დანიშნულების შეგნება და ბუნებრივისა და უშუამავლო ჩრდენის სახით სიკვდილს რაინდობად ნათლავს და მკვდელობას — გმირობად.

აქედან ცხადია, რომ ომი ჩვენი შეხედულებით სწორედ ისეთი მდგომარეობა ყოფილია, რომელიც განუყრელი კავშირით უნდა იყოს მიმაგრებული ცხოვრების აზრის მიზანშეწონილ ტრიალთან; ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ომი ცხოვრების დანიშნულებით არის ხოლმე გამოწვეული, რომ იგი მას ემსახურება და ამიტომ იგი აუცილებელიც არის და სასურველიც. მაგრამ არის კი ასე? ამ საკითხის გადაჭრა არც ისე გაეციშირდება, თუ ჩვენ ერთხელ არჩეულ გზას არ გადავცილდებით და ერთხელ შემუშავებულ თვალსაზრისს არ ვუდალატებთ. ცხოვრების აზრი ლვოთისაგან დაწყებული საქმის განვიძობაა, იგი განსულიერებაა და გაცხოველება მთელი მსოფლიოს, ხოლო სუბიექტი ანუ აგენტი, რომელსაც მისი განხორციელების ძალა შესწევს, ან ეს დაკისრებულიც აქვს, ცალკე ეროვნების სულია. ეროვნული სული კი ის საერთო ატმოსფეროა, რომელსაც ყნოსავს და ისისხლხორცებს ეროვნების ყველა კერძო წევრი. იგი ცნობიერების შინაარსის პირველი საერთო მთაბეჭდილებებით შექმნილი ერთიანობაა. ეს ერთიანობა საფუძველია ახალ მთაბეჭდილებათა ერთნაირი შეფასებისა და შეთვისებისა. იგი ამგარად განვითარების ერთი და იმავე გზის არჩევაა, და რადგანაც მთელი მომავალი ყოველთვის წარსულისა და მყოფადის წიაღთაგან გამომდინარეობს და ირკვევა, ამიტომ ეროვნული სული მთელი მომავალი კულტურის განსაზღვრული სახისადმი მისწრაფებაა.

ასეთია ეროვნული სული.

ორი რომელი ცხოვრების აზრის ცავითაც

ამ თვალსაზრისით აშკარა ხდება ის სიღრმე სხვადასხვაობისა, რომელიც ცალკე ეროვნებათა სულზეა აღბეჭდილი, და რადგანაც ახლად დაბადება. წარმოუდგენელია, რადგანაც დაწყებულ გზაზე სიარულის მიტოვება და უკან დაბრუნება სულიერი ცხოვრებისათვის. შეუძლებელია, ეინაიდან ეს დაბრუნებაც წარსული განცდა იქნებოდა, ესეც კადევ ახალ ამოუშლელ ელემენტად შევიდოდა სულიერი ცხოვრების ფარგლებში და მის განსაკუთრებულობას სხვებთან შედარებით კი არ

მოსპობდა, კიდევ უფრო გააღრმავებდა, ამიტომ ცოცხალი ერისათვის
მეორე ერში მისი გაოქვეფა ან ასიმილაცია სიკედილსა და სწულებრივი
სპობას უდრის.

ასეთი მოვლენა კი ცხოვრების დანიშნულებას ერთ სუბიექტს მო-
აკლებდა და, მაშასადამე, ცხოვრებაში ისეთ ფაქტს ექნებოდა აღვილი,
რომელიც არსებობის საერთო დანიშნულებას კი არ ემორჩილება,
არამედ მას გზაზე ეღობდება.

ცხადია, ამგვარად, რომ ცხოვრების აზრი ყოველი ცალკე ეროვნუ-
ლი სულის ინტერესების სრულ განხორციელებას მოითხოვს. მაგრამ
ეროვნება მრავალია. მაშასადამე, ნამდვილი ცხოვრების აზრი და მისი
ობიექტური დანიშნულება მხოლოდ მაშინ იღება განხორციელების
გზაზე, ე. ი. მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება იგი ცხოვრების ნამდვი-
ლი აზრი, თუ ეროვნებათა ინტერესები არსებითად ერთმანეთის წი-
ნააღმდეგ არ არის მიმართული, თუ მათ შორის ანტაგონიზმი და წი-
ნააღმდეგობა ნამდვილად არ არსებობს, თუ მათი განვითარება და
სრულყოფა ერთსა და იმავე დროს შესაძლებელია. ერთი სიტყვით,
ნამდვილი ცხოვრების აზრი, ეროვნებათა სოლიდარობას მარტო სა-
სურველად კი არ ცნობს, არამედ აუცილებლად კულისხმობს და მო-
ითხოვს.

მაგრამ ისტორიული სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. იგი ხში-
რად შლის ხოლმე ჩვენს წინაშე სურათს ეროვნებათა ქიშპობისა და
ერთმანეთის ჩაყლაპვის სურვილისა. იგი თითქოს სულ მუდამ გვარწ-
მუნებს, რომ ერთა სოლიდარობა მხოლოდ უსაქმურთა და მეოცნებეთა
აღვირასნილი ფანტაზიის ნაყოფია, რომ იმ ურიცხვ ომთა რიგი,
რომელიც მთელი ჩვენი ისტორიული წარსულის საწყაურს ავსებს,
ერთა სოლიდარობის უნიადაგობას ყველასათვის საკმაო ნათელს უნდა
პოვნდეს. ერთა შეჯახება, ერთა გადაიღება მართლაც ისტორიული
ფაქტია. მაგრამ განა ეს გარემოება ამტკიცებს ერთა სოლიდარული
განვითარების შეეძლებლობას და, მაშასადამე, ჩვენგან აღიარებული
სიცოცხლის აზრის მცდარობას?

თანამედროვე ომები და უმეტეს ნაწილად უწინდელებიც გამოწვე-
ული იყო თითქმის მუდამ ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური“ ინტერე-
სებით. ერს ან ბაზარი ესაჭიროებოდა და ან ახალი მიწა გამრავლებულ
მცხოვრებთათვის. ამიტომ იგი მეორე ერის ინტერესთა სფეროე-
ბის საზღვარს გადალახავდა ხოლმე და ეს უკანასკნელი თავისი ინ-

ტერესების შემძლალველს ბუნებრივსა და კანონიერ წინააღმდეგობას ვაუწვდა. შედეგი თითქმის ყოველთვის ომი იყო. მაგრამ ეკონომიკური რი ინტერესი არსებითად, სრულებით არ მოიხსოვს სხვისი ინტერესების შეძლალებას. სურს რომელიმე ერს თავისი წარმოების გაფართოება, მას სურს თავის მცხოვრებთათვის საარსებო ლუქმის მოპოვება? მას ამისთვის სხვა გზა აქვს, და გზა უფრო ბუნებრივი და კეთილშობილი. ადამიანის სულის სიძლიერე განუსაზღვრელია; ბუნებრივ ძალთა გამოყენების დაუშრეტელი შესაძლებლობაა. საჭიროა მთელი სულიერი ძალების ამუშავება, შეჭრა ბუნების სამულობელოში, მის საიდუმლოებათა განვირება. ერთი სიტყვით, საჭიროა ძალდატანება სულიერ საუნჯეთა განვითარებისათვის. მაგრამ მარტო გარე ბუნება კა არ არის გასაჭვრეტი, განსასულიერებელი. საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და სხვა დამოკიდებულებათა მოწყობის, შესაძლებლობაც ყველა პასიურ ბუნებრივ მოშენტს წარმოადგენს. საჭიროა აქაც მათი განვირება, მათი საუკეთესო ფორმების გავება, და თქვენთვის უკვე გადაწყვეტილი იქნება ყველა თქვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საკითხი, ეკონომიკური იქნება ეს მოთხოვნილება თუ სხვა, სულ ერთია.

ამგვარად, გამოდის, რომ ეკონომიკურ მოთხოვნილებათა წამოჭრა, მა თუ იმ ერის ცხოვრებაში, არსებითად მხოლოდ პრობლემას უყენებს მისი სულიერი ცხოვრების პოტენციებს, წინსვლას, განვითარებას, მოქმედების მოსთხოვს მას. მაგრამ ზოგი ერი სულის ამოძრავებასა და ამოქმედებას ხშირად მის გაუნდრევლობასა და შეუწუხებლობას არჩევს. ამიტომ იგი თავისი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად სხვას, უფრო ადვილ გზას ეძებს. იგი სხვა ერს ეცემა და მისი ჩაყლაპვით თავისი ინტერესების გაძლოლას დამობს.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ერის ნამდვილი ინტერესები ომს არ მოიხოეს. პირიქით, ომი სხვის თავზე დასხმის სახით დალატია ეროვნული სულის ნამდვილი ინტერესებისა, რომელიც, როგორც ვიცით, მის მუდმივ განვითარებასა და წინსვლაში პოულობს თავის დანიშნულებას და არა მის დაძაბუნებასა და დატუქსვაში და მისი განვითარების დროებით შეჩერებაში. ომი კი, სწორედ იმ ერის ინტერესების დაძაბუნებას იწვევს, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, და ამაცე დროს ომის გამომწვევი ერის სულიერი შემოქმედების დროებით შეჩერებას, რადგანაც იგი თავისი ინტერესების დაჭა-

ყოფილებას ახალი ფორმების შემოქმედების მაგიერ სხვისი ინტერ-
სების დატუქსვაში ეძებს.

ცხადია ამგვარად, რომ ცხოვრების აზრი თავისთავად სრულებათ
არ მოითხოვს ომს, როგორც თავისი განხორციელების აუცილებელ
იარაღს. იგი ამგვარად არ იწვევს ომს, მაგრამ რაյო ეს უკანასკნელი
ფაქტად იქცევა, ცხოვრების აზრი უკვე დიღლობს მის დამორჩილებას
და თავისი მიზნებისათვის გამოყენებას. ომი ცხოვრების აზრის თვალ-
საშრისით არ არის საჭირო იმ ერთიათვის, რომელმაც იგი გამოიწვა.
მაგრამ იგი შეიძლება დამღუპველი იყოს იმ ერთიათვის, რომლის წი-
ნააღმდეგ არის იგი მიმართული. აქედან ცხადია, რომ იერიშის მიმტა-
ნი ეროვნება, ამ შემთხვევაში, ცხოვრების ობიექტური დანიშნულების
საწინააღმდეგო მიმართულებას იღებს, მაშინ, როდესაც მოგერიები-
თი პოლიტიკის მიმდევარი ერი თავისი ეინაობის, თავისი განვითარე-
ბის და დანიშნულების შესაძლებლობის დაცვით არის გატაცებული.
და, მაშასადამე, ცხოვრების აზრის განხორციელების გზას ადგია.

აქედან ცხადია, რომ ყოველი ცალკე პიროვნების ცნობიერებაში,
რომელიც თავის ღრმა კუნტულებში მაინც ცხოვრების აზრის შესაფე-
რი გამოსატულების მატარებელია, ორგვარი განწყობილება იქნება
ომისადმი, როდესაც ომი მოგერიებითი ხასიათისაა, მაშინ თითოეული
პიროვნების ძალ-ღონე ეროვნული ეინაობისა და არსებობის დაცვისა-
კენ, ე. ი. ცხოვრების აზრის განხორციელებისაკენ არის მიმართული;
ასეთ შემთხვევაში ყველას სიამოვნებითა და აღტაცებით მიაქვეს ზეა-
რავად თავისი სიცოცხლე ომის სამსხვერპლოზე. ასეთი ომის დროს
ადამიანის ჩვეულებრივ შიშის სიკვდილის წინაშე აღვილი აღარ რჩე-
ბა და ყველა რაინდად და გმირად იქცევა. ამიტომაც იძალება
ყოველთვის თავდაცვითი ომის დროს საკიონველი ერთსულოვნება
ერის სხვადასხვა ნაწილთა შორის, და ისიც კი, ვისაც აბსოლუტურად
ომის წინააღმდეგ მოაქვს თავი, ისიც ერთბაშად იცვლება და მახ-
ვილით ხელში მტრის წინააღმდეგ იღაშეჩებს. ვინც თავის მომშეს
მუდამ მტრულად ეგებებოდა, ვინც სისხლის დანახვაზე საშინელებით
ცახცახებდა, ვისაც სასიკვდილოდ უბრალო მწერიც არ ემეტებოდა,
ახლა გამხეცებულ მეომრიად იქცევა და ცეცხლითა და მახვილით მტრის
ბანაჯში სიკვდილი და მუსრი შეაქვს. მხოლოდ მოგერიებით ომს შე-
უძლია წარმოშვას ისეთი წარმტაცი პიროვნებები, როგორც მაგალი-
თად, საფრანგეთის ეროვნული გმირი ფანა დარკი იყო. მაგრამ, რო-

დესაც ომი შეტევითი ხასიათისაა, როდესაც მას მიზნად სხვა ერის ინტერესთა გადაღახვა და მისი დაბაბუნება აქვს დასახული, მაშინ ყოველი ცალკე პიროვნების ცნობიერების ღრმა კუნჭულში იძაღვება— იზრდება თანდათანობით, მაგრამ განუწყვეტლივ, ღრმა წინააღმდეგობა ამ ომისადმი. მისი, როგორც დიდი ბოროტების შეფასება, მაშინ თავგანწირება და გმირობა სანთლით საძებნი ხდება. შიში და მხდალობა სიკვდილის წინაშე ჩვეულებრივსა და გადამდებ სენად იბუდებს და კრცელდება ხალხში; მოღალატეთა რიცხვი თანდათან მრავლდება, და ასე ამ სახის ცხოვრების აზრი სასტიკად სჯის მას, ვინც მისი განხორციელების გზაზე სიარულის სიძნელეს გაექცა და უფრო აღვილად სავალი გზა აირჩია. ამგვარად, ჩეენ ვხედავთ, რომ მოგერიებითი ომი ჩვეულებრივ გმირული სულის განწყობილებას იწვევს, სულის განწყობილებას, რომლისთვისაც უცხოა შიში და სიკვდილის რილი; ხოლო შეტევითი ომი სამავიეროდ ნიადაგად იქცევა, რომელზეც აღვილად იზრდება სიმხდალე, შიში და უკმაყოფილება ომის დამწყებრივი მიმართ. ჩეენ უკვე ვიცით, თუ რად ხდება ასე, პირეელ შემთხვევაში ერის ინტერესებს ემუქრებიან, მის დატუქსეას ლამობენ, ე. ი. ცხოვრების დანიშნულების სუბიექტს გულზე ფეხს აძიჯებენ. ეს კი ცხოვრების აზრის საწინააღმდეგო აქტია. აქ, მაშასადამე, თავის დამცველი ერი, დამცველი გამოდის თვით ცხოვრების აზრის განხორციელებისა. ამიტომ აქ ომი გმირობად იქცევა. მეორე შემთხვევაში კი იგი ცხოვრების აზრის წინააღმდეგ არის მიმართული. ცხადია, ასეთმა ომმა საზოგადოდ გმირობა და გატაცება არ უნდა იცოდეს, მაგრამ შეტევითი ომი ხშირად მოგერიების ხასიათს იღებს. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოპირდაპირ ძლიერი აღმოჩნდება. ასეთია მაგალითად, დღევანდელი ომი, რომელიც გერმანიის მთავრობამ დაიწყო; ამ სახით იგი შეტევითი ომია, მაგრამ იმთავითეუ აშეარა შეიქნა, რომ გერმანელთა დამარცხება აუცილებლად მთელი გერმანიზმის დატუქსით და დაქვემდებარებით გათავდებოდა.

ამგვარად, ეს შეტევითი ომი მოგერიებით ომად გადაიქცევა და გერმანელები გრძნობენ, რომ ისინი მარტო თავიანთი ეროვნული ინტერესების სუეროების გასაფართოებლად კი არ იძრმებიან, არამედ თავიანთი ვინაობის ღირსეულად შენახვისთვისაც. მხოლოდ ამით აისსნება ის უკიდურესი გატაცება თანამედროვე ომით, რომელიც გერმანიის საზოგადოების ყველა სფეროშ განიცადა.

თუ შეტევითი ომი ცხოვრების აზრის განხორციელების შცდას
 გზაზე სრბოლაა და მოგერიებითი ომი მისი პირდაპირი შსახურება,
 აქედან ცხადია, პირველი შუდამ დამარცხებით უნდა თავდებოდეს და
 მეორე კიდევ აუცილებელი გამარჯვებით. წინააღმდეგ შემთხვევაში
 ჩვენგან აღარებული აზრი ცხოვრებისა ნამდვილი ცხოვრების აზრი
 არ იქნებოდა. ცნება ცხოვრების აზრისა ხომ მთელი ცხოვრების მიმ-
 დინარეობის მისევნ მიმართვასა და ყოველი ცალკე მომენტის მისოფის
 შსახურებას გულისხმობს. შაშახადამე, იგი არსებობის ყოველ ფაქტში
 უნდა ხორციელდებოდეს, და არც ერთ ფაქტს არ უნდა ჰქონდეს აღ-
 ვილი, რომელიც მას ეწინააღმდეგება. ისტორიული წარსულის წიგნი
 რომ გადაუფურცლოთ, მართლაც ხშირად შევცვლდებით ისეთ მომენ-
 ტებს, რომლებიც ამ დებულებას ბრწყინვალედ ამტკიცებენ. აღეწ
 თუ გნებავთ ძეელ სპარსელთა ომი ელადასთან. ყველამ იცის, რომ ამ
 ორი ერის ძალთა განწყობილება ისეთი იყო, რომ ელინთა დამარცხე-
 ბა თითქმის უჰქველი იყო, მაგრამ ბერძნები, უწინარეს ყოვლისა თა-
 ვიანთი დაცვის საქმეს ემსახურებოდნენ და სხვა პირობებთან. ერთად
 სწორედ ამ გარემოებამ შთაბერა უტეხი და უძლეველი სული ბერძნ-
 თა ტომებს, და ბოლო ამ ომისა სპარსელთა ურიცხვი ჯარის დამარც-
 ხება იყო. სულის ასეთ აღფრთოვანებას ჩვენ ზნეობრივ ძალის ვეწო-
 დებთ ხოლმე, და სწორედ ეს ზნეობრივი ძალაა, ბევრ სხვა ომის მოუ-
 ღიანდნელ შედეგს რომ გასაგებად ხდის. მაგრამ მეორე მხრივ, ხშირად
 შეხვდებით ომების მატიანეში ისეთ ამბებსაც, რომლებიც სულ სხვას
 გვეუბნება. აღეთ მაგალითად, რომაელთა ომი პუნიელებთან. მოგეხ-
 სენებათ, იგი პუნიელების სრული დამარცხებით დასრულდა. ჩვენი თე-
 ორიით კი უფრო მოსალოდნელი იქნებოდა პუნიელების გამარჯვება. მაგრამ მოში მარტო ზნეობრივი მომენტი როდი თამაშობს როლს, აქ
 დიდი მონაწილეა აგრეთვე სრულიად გარეშე ხასიათის პირობები. მა-
 გალითად, გეოგრაფიული შეუფერებლობა სტრატეგიული თვალსაზ-
 რისით, ან ხალხის სიმრავლე, ან საზოგადო ტექნიკური განვითარება.
 პუნიელებს საუთარი ჯარი არც კი პყავდათ, რომ მრავალრიცხოვან
 რომაელთა ლეგიონებს გამეღაევებოდნენ. მოვაჭრე პუნიელები მაინც
 და მაინც არ აქცევდნენ დიდ ყურადღებას თავიანთ საომარ ძალთა
 განვითარებას. მათ უული ჰქონდათ და ფულით კი, მათი შეხედულე-
 ბით, ისეთ ჯარს იქირავებდი, როგორსაც მოისურვებდი. მაგრამ ნაქი-
 რავები ჯარისკაცი, უცხო ქვეყნიდან გადმოგდებული, ცუდი დამცე-

ლი იქნებოდა უცხო ერის ინტერესებისა. ამიტომ საკვირველი არ
არის, რომ პუნიელები დამარცხდნენ.

გაშასაძამე, ეს ომი სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენგან წამო-
ყენებულ შეხედულებას. პირიქით, იგი კიდეც ამტკიცებს მას. მართ-
ული, მხოლოდ თავდაცეით ომს შეუძლია წარმოშვას ისეთი გმირები,
როკორიც იყო დიდი პანიბალი. განსაკუთრებით უკანასკნელი ომის
დროს, როდესაც კართაგენი სამუდამოდ ეცემოდა, იფეთქა საკვირვე-
ლი სულის სიმტკიცემ კართაგენის მოქალაქეთა შორის: რომაელთა
დიდ ჯარს ძალზე გაუჭირდა პატარა იარაღასსნილი კართაგენის აღება
და კინაღამ დამარცხებული დაბრუნდა ომის ცელიდან. მაგრამ რიცხვ-
მა და იარაღმა მაინც სძლია სულგანწირულთა მხნეობასა და გმირობას
და კართაგენი დაეცა.

თქენ ხედავთ, რომ ამ კართაგენელთა ცხოვრებისა და გრძნობის
მიმართულება და მათი დამარცხება მართლაც უფრო ამტკიცებს ჩვენს
თეორიას, ვიდრე რომაელების გამარჯვება არღვევს მას.

ამგვარად, ომის ფაქტი თავისთავად ძირიანად ეწინააღმდეგება
ცხოვრების აზრის ძირითად მიმართულებას და, სწორედ ეს გარემო-
ება ხსნის იმ საკვირველ მოელენას, რომ თავდაცეითი ომი თავგან-
წირვისა და გმირობის უშროეტ წყაროდ იქცევა, და ხშირად სუსტი და
მცირერიცხოვანი ერი ძლიერსა და უდრევ ერთან შეტაკებაში გამარჯ-
ვებული გამოდის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცხოვრების აზრმა მაინც
თავის შესაფერ კალაპოტში უნდა ჩააყენოს აღამიანთა მოქმედების
ათასვარი მცდარი და შეუფერებელი სახე და ცხოვრების ყოველი
სუერო თავისი მიმართულებით უნდა აამოძრაოს. ჩანს, უნდა დადგეს
ისეთი დრო, როდესაც უუჭი და უაზრო ხარჯვა ჩვენი ენერგიისა სა-
მუდამოდ უნდა აღიყვეთოს; უნდა დადგეს ისეთი ხანა, როდესაც სხვა-
თაშორის ომიც სრული დავიწყების ტალღებს უნდა გაძყევს. მაგრამ
როკორ განხორციელდება ეს ხანა რეალურად, და არის თუ არა თანა-
მედროვე ომი უკანასკნელი რგოლი იმ სისხლში ნაბანი ჯაჭვისა, რომე-
ლიც დღვევანდელ კულტურულ კაცობრიობას თავის ველურ წინაპ-
რებთან აკავშირებს, — ეს სხვა ხასიათის პრობლემებია და მათი გა-
დაწყვეტა ნაშრომის საზღვრებს სცილდება.

ცეკვის რაოდა

ადამიანის ძალების განვითარება, ზოგადი დებულებაა, რომელიც სრულიად არ განსაზღვრავს, თუ რას წარმოადგენს კონკრეტულად ეს ძალები.

შეუძლებელია ჩვენი ფსიქოფიზიკური ორგანიზმის ყოველ უზნებელის თანაბარი მნიშვნელობა პქონდეს ცხოვრებაში და ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია, ცხოვრებას მთავარი ძარღვი არ პქონდეს, რომლის ფეოქეაზეც უნდა იყოს აშენებული მთელი მისი სიგრძე-სიგანე და თუ ეს ასე აღმოჩნდა, მაშინ ცხადია, იმ ძალებს შორისაც რომლებიც ცხოვრებას ქმნიან, უმთავრესი ის ძალა აღმოჩნდება, რომელიც ამ მნიშვნელოვან ძარღვისცემას უდევს საფუძვლად.

თანამედროვე ადამიანი ყველა თავისი ძალის განვითარების დონით საკაცობრივი ისტორიის მუშაობის პროდუქტია. ისტორია ერთადერთი აღმზრდელია ადამიანის ტიპისა. იგი ლესავს და იგი ჰერს ადამიანის ძალებს.

მივმართოთ ამ საერთო აღმზრდელს, რა წვლილი შემოაქვს მას ჩვენი საეკითხის გადაჭრის საქმეში? ჯერ გავაანალიზოთ თვით ცხოვრების ცნება, რადგანაც ჩვენ ისტორიის შესახებ ვიხსერდება საუბარი და ისტორია კა ცხოვრების ბეჭის მატიანეა.

ავილოთ ცხადი ფაქტი, ერთი განსაზღვრული მომენტი ჩვენი ცხოვრებისა. მე მაგიდასთან ვზიდარ და ამ სტრიქონებსა ვწერ. ამ შემთხვევით ამოღებული ნაგლეჯი ჩემი ცხოვრებისა. გავხინჯოთ იგი ანალიზურად.

ყველაზე აღრე თვალში აქ შემდეგი მომენტები ვვსვლება. სუბიექტი (მე), ობიექტი (ქაღალდი) და შათი ურთიერთდამოკიდებულება (წერა). ხოლო ეს უკანასკნელი მომენტი, ურთიერთდამოკიდებულება (წერა) ფუნქციაა არა ობიექტისა, არამედ სუბიექტისა. სუბიექტი მოქ-

* „მეცნიერება“, 1915 წ., № 69.

მეღდებს და მისი მოქმედების საგანი თბიერტია. მე ეწერ ქალალდზე. ჩემი მოქმედება აյ არ არის შემთხვევითი ხასიათისა. იგი განსაკუთრებული ზღვრული მიზნის განხორციელების სურვილით არის გამოწვეული. — მე ერთგვარი აზრების მატარებელი ვარ; ეს აზრები თავისთვად არ უკავშირდება არც დროსა და პრც სივრცეს. ის როგორც აზრები, მუდმივია და ყოვლადი; სივრცე მას არსებითად წინ ვერ გადაელობება; მე რომ ვწერ, ამავე დროს შემიძლია წარმოდგენილი მყავდეს ჩემს მსმენელებად ყველა და ყველგან დროისა და სივრცის ზეგავლენის მა-უხედავად.

ამგვარად, სუბიექტი მატარებელია ყოვლადი საზღვარდაუსმელი შინაარსისა, რომლისთვისაც იდეალურად არ არსებობს არც დროისა და არც სივრცის საზღვრები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ჩემი ცნობიერება საკიონელი გარემოა, რომელიც თავის ზღუდეთა შორის მთელ მსოფლიოს იტევს; მე შეიძლია მთელი არსებობა წარმოეკი-ვინო. ხოლო იმ განსხვავებით, რომ მაშინ, როდესაც რეალურ მსოფ-ლიოს სივრცის ბატონობა ამძიმებს, ჩემს ცნობიერებაში წარმოდგე-ნილმა არსებობამ სივრცე არ იცის. ამიტომ არის, რომ იქ აზრსა და ვრძნობას სივრცე ვერაფერს აკლებს.

მაგრამ მე მსოფლი იდეალურად ვარ თავისუფალი; ჩემი აზრე-ბი მსოფლი იდეალურად არის ყოვლადი ხასიათისა. რეალურად კი მდგომარეობა სულ სხვაგვარია. ჩემი ცნობიერება მთელი თავისი შინაარსით ჩემი ფიზიკური ორგანიზმის ფარგლებშია მომწყვდეული. ამიტომ იგი შეკუმშულია ვანსაზღვრულ სუეროში და მისი შემოუ-ფარგლელობა საზღვარდასმულია. წარმოიდგინეთ მზის სხივები! იგი ხომ მთელ მსოფლიოს ანათებს, მისთვის სივრცე თითქოს არც კი არსებობს, ისე ფენს თავის შექს მთელ მიდამოს. მაგრამ ვთქვათ, ერთ მშენებელ დღეს მზის ბურთი დიდ არავამშეკირვალე ბუდეში ჩა-დევს. რა დაემართება მაშინ მის სხივებს? ისინი ვანაგრძობენ არსე-ბობას, მაგრამ მზის ბუდის კედლებში ვერ გამოაღწევენ და შეკუ-მშულნი შიგნით დარჩებიან.

დაასწორებით ასეა ადამიანის ცნობიერებაც: აზრმა სივრცის და-ბრულებანი არ იცის (აი ახლა მე ბერლინში ვარ აზრით), მაგრამ ჩემი იმ მიზნი როგონიზმი მისი ბუდეა, რომლის კედლებიც მის რეალურ ყოვ-ლის მოცულობას აფერებებს.

ამგვარად, ადამიანის ორგანიზმის ბრალია, რომ ჩემი აზრი თუმ-ცა სივრცით ყველაფერს წევდება, მაგრამ რეალურად მარტო ჩემ-

თვის არის ცნობილი. ვინც კი ჩემი ორგანიზმის გარეშე დგას, ვინ წყდება მას.

მაგრამ ეს გარემოება მას არ უსპობს მისწრაფებას — თავისი იღებულები თვისება ყოვლადობისა რეალურადაც განახორციელოს. მიმტომ იგი მიმართავს ფიზიკურ ორგანიზმს, რომელიც, მართალია მას ყოვლადობას ართმევს, მაგრამ შუამავლის როლს მასსა და სივრცეს შორის მაინც თვითონ კისრულობს. ამნაირად, სუბიექტი სივრცეს-თან ბრძოლის ორგანოდ თვის ორგანიზმს ირჩევს.

ეს რომ ასეა, ამას ჩვენი მაგალითი ამტკიცებს. მე განსაზღვრული აზრები მაქვს, რომელმაც სხვამდე უნდა მიაღწიოს, ე. ი. რომელიც ჩემი ორგანიზმის საზღვრებს უნდა გასცილდეს; როგორ ვაქცევი ამ შემთხვევაში? ეიღებ კალმისტარს, ვუწებ კალმის მელანში. ვუახლოებ ქაღალდს და ვიწვევ განსაზღვრულ მოძრაობას, ე. ი. ვწერ. ჩემი ნაწერი კი შეიძლება ყველას ჩაუკარდეს ხელში. ამგვარად, ჩემი აზრი ფიზიკური ორგანიზმის ფარგლებს სცილდება და სივრცეში გადადის და ყველა ეს ორგანიზმის დახმარებით ხდება.

ეს ანალიზი ჩემი ცხოვრების ერთი ნიმუშისა საკარისია მისთვის, რომ ნათლად დავინახოთ, თუ რა მომენტები შეადგენს ცხოვრების ნამდვილ ცნებას საზოგადოდ. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი სუბიექტია, რომელიც როგორც იდეალურად შემოუფარგელელი, რეალური ყოვლადობისავენ მიისწრავთვის, ხოლო მეორე ფიზიკური ორგანიზმია, რომელიც ერთადერთი საშუალებაა ამ ყოვლადობის განხორციელებისა.

მაგრამ ბრძოლა მარტო ორგანიზმთან როდი უხდება სუბიექტს, რათა მასში თავისი მიზნის შესაფერი მოძრაობანი გამოიწვიოს და თავისი ყოვლადობის რეალური განხორციელებისათვის იმსახუროს. არა! თეთი ირგანიზმი თავის გარეშე, ნივთიერ მსოფლიოში ხდება ედიდეს დაბრუოლებას: ნივთიერება და ყველაფერი, რაც მას უნაოესავდება თავისი პასიურობით, უდიდეს დაბრუოლებად ევლინება სუბიექტის ცნობიერების ყოვლადობისავენ მისწრაფებას და ასე ისახება ბრძოლა ცნობიერებასა და ნივთიერის შორის. მაგრამ ცნობიერება იმარჯვებს ამ ბრძოლაში. იგი ნივთიერებას იმორჩილებს და თავისი მიზნისათვის იყენებს, მისთვის, რომ ჩემი აზრები სხვისთვის ხელმისაწვდომი გავხადო, მე ვსაჩვებლობ სხვათა შორის ქაღალდის სითეთრით და მელნის სიშავით და ასოებით ქაღალდს ვაჭრელებ. მე

ვაცი, რომ ასეთი ქადალდი ჩემს აზრს შორს გაიტანს და ხანგრძლივად შეიძინავს.

ამნაირად, ჩემი მაგალითის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცხრილური პა ბრძოლაა ცნობიერებასა და ნივთიერებას შორის, რომელთაგანაც პირველი თავის უნივერსალობისაკენ მიიღწრაფების და ამას წინ ელობება შეორე, მივე დროს მეორის საშუალებით ლამიბს თავის შიზნის განხორციელებას.

ეს ასეთი არა მარტო ჩემს მაგალითში, კაცობრიობის მთელი ისტორიული ცხოვრება სწორედ ასეთი ბრძოლაა, მისი საფუძველი წინ მისწრაფებაა სულიერი ცხოვრებისა, რომელსაც გზაზე ეღლის ყველაფერი ბუნებრივი, ე. ი. არასულიერი და როგორც ასეთი უბრავი და პასური. ასეთ პასურ მომენტს შეადგენს უწინარეს ყოვლისა ნივთიერი ბუნება, მავრამ არამარტო ეს. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება თავისთავად პასურია და როგორც ასეთი ისიც წინ უდგება ჩემი სულის უნივერსალობისაკენ სწრაფვას და რამდენადაც არსებობის ყველა ეს პასური მომენტი პასურია, იმდენად იგი ჩემი ცნობიერებისათვის განუჭრებული ქაოსია, უაზრო და უმიზნო. წესი აზრი და მიზანი ჩემს სულ შეაქვს მასში, და ეს იმდენად, რამდენადაც იგი მას თავისი საკუთარი მიზნის შესაფერად გარდაქმნის. მთელი ისტორია სწორედ ასეთი გარდაქმნის პრიცესია, ქაოსის ზღუდეთა შორის საზრიანობისა და მიზნიანობის დამკვიდრებაა.

ჩემი აზრის გასაშუქებლად ნებას ვაძლევ თავს, ანალოგიას მივმართოთ. ცნობილი პედაგოგის, შარედმანის ერთ-ერთ წიგნში (Weg zur Kraft ვვ. 13—16) სანიმუშოდ მოყვანილია გაკვეთილი ქვეყნის განვითარების შესახებ. ჩემი ამჯამად სრულიად არ გვაინტერესებს ამ გაკვეთილის პედაგოგიური მხარე, მხოლოდ გვსურს — მისი შინაარსი ჩემი აზრის საიდუსტრიალიზაციოდ გამოეიყენოთ.

აი, ეს შინაარსიც:

„მოწყალე დმერთი თავის თქროს ტახტზე ბრძანდებოდა; ცაში ყველაფერი სიხარულისა და ბედნიერებისაგან ბრწყინავდა. ზოდი ანგელოზები ტახტის გარშემო იდგნენ, წყნარად არხევდნენ თავის გრძელ გედასებურ ფრთებს და გალობდნენ: „ცა აღავლენს საუკუნო დიდებასა““. პატარა ანგელოზები თეთრ ღრუბლებში ისხდნენ და უსმენდნენ, ან ერთმანეთს ამბებს მოუთხოობდნენ, ან საუცხოო ცის ყვავილებს ასხურებდნენ და ან კიდევ ფერზულს, ან მაღულობიას თა-

გაშობდნენ. ერთი ხუჭუჭა და ვამლივით დაბერილლოყებიანი პატაწა, მოწყალე ღმერთის მოსასხამის კალთებქვეშ დაიმაღადა და იქ კერაერი მიაგნო მას.

და მოწყალე ღმერთი მისჩერებოდა თავის ანგელოზებს, დიდებსა და პატაწებს. ხედავდა მათ ბედნიერ და კმაყოფილ სახეებს და ოვათონაც კმაყოფილი იყო. სულ ახალ-ახალ სათამაშოებს იგონებდნენ, ახალ საგალობლებს გალობდნენ და მოწყალე ღმერთი ანაზღად თავისი ტახტიდან აბრძანდა და გაიარა მთელი ცის სიერცეზე, მას უშორეს კუთხემდე და ეს ვერც ერთმა ანგელოზმა ვერ შეამჩნია. ცის ამ კუთხეში მან პატაწა კარი ნახა, რომელიც მსნეილი რეანით იყო შემოჰკებილი. ის პრიალდა, როდესაც მოწყალე ღმერთი მას აღებდა, მაგრამ ანგელოზები ისე ხმამაღლა გალობდნენ. რომ ეს ვერავინ გაივონა. აი, აქ ამ ღია კარებთან შეჩერდა მოწყალე ღმერთი, აქ ბოლო იყო ცისა, ძირს ძირს აღებდა უძირო სიღრმე, რომელშიც არაფერი იყო, გარდა ბნელი, ჩუმი უვარსკვლაურ და უმთვარო დამისა; ვერაფერი, გარდა სიბნელისა ვერ დაინახა აქ ღმერთმა. დიდხანს ჩასჩერებოდა ის ქვევით, ბნელ სიღრმეს, შემდეგ მოსწყდა და გადაეშვა პირდაპირ ამ პირღია უკუნეთში. სულ ძირსა და ძირს ეშვებოდა იგი განამდე, სანამ არ შეატყო, რომ ვერც თავის ხელებს არჩევდა, ვერც ანგელოზების სიმღერას ისმენდა და ვერც რას, გარდა თავისი საკუთარი სულისთქმისა. აი, აქ შეაჩერა მან თავისი ფრენა და ჩუმად ბრძანა თავისთევის: „ცაში ყველგან სიხარული და ბედნიერებაა, აქ კი სიბნელეა, სიცარისელეა და უდაბნოა. აქ უბნელეს დამწერ, მაგრამ აქაც უნდა იქნეს ცა, აქაც მსურს ვჭვრეტდე ბედნიერ სახეოთ ყველგან სინათლეს, სიხარულს, მხიარულებას და ღრტაცებას. მე მეორე ცა უნდა შეექმნა“ და აა მაშინ წარმოთქვა მოწყალე ღმერთმა: „იქნეს სინათლე!“ და ნელი თანდათანობით უკუნი ბნელი დაიმორჩილა სინათლემ და განათდა აქაც ისე, როგორც ცაში და იგი ჭვრეტდა, როგორ მოძრაობდნენ მის გარშემო თეთრი ღრტაცები, უჯახებოდნენ ერთმანეთს და ერთად მოგროვდნენ, როგორ დელავ-და ყველაფერი უწესრიგოდ. და აა მაშინ ცის ქვეშ ღმერთმა გააკეთა ნისლისაგან დიდი ფართო მიწა, რომელიც სილისა და ქვიშისაგან შედგებოდა. მაგრამ წყალი მოეფინა მიწას და მთელი ნიადაგი დაასველა; ასე რომ, ყველაფერი ატალახდა. მაშინ გაიწოდა წინ მოწყალე ღმერთმა ხელები და ბრძანა: „წყალო, იმდინარე დაბლობი აღგალებით, რათა მიწა მშრალი შეიქნეს“. მაშინ წყალი დაეშვა მთე-

ბილან და დაბლობში ერთ ადგილას მოგროვდა. ამგვარად, ვაჩქდა დიდი ზღვა, ხოლო რეებს, მდინარეებს და ნაკადებს მოწყალე ღმერთი— მა ნება დართო, ემდინარათ მოელ მიწაზე, რათა ქვეყანა მთლიან ერთანად არ გამშრალიყო. და როდესაც ახლა ყველგან ცივსა და შავ მიწას და დიდ ყომრალო კლდეებს ხედავდა, მიხვდა, რა აკლდა მიწას და ბრძანა: „დაუ, მიწა წარმოშობდეს ბალასს, ხეებსა და ბუჩქ-ნარს“.

და ამ, გაჩნდნენ მცენარენი, ერთიმეორეს მოსდევდა. ყვავილები თავის ჭრელ ყვავილებს ისხამდა. ირგვლივ დაიდი ჩრდილოვანი ტყეები და ბუჩქები ჩნდებოდნენ. მაგრამ ყვავილებიც მაღე დაჭრებოდნენ და ბუჩქებიც გახმებოდნენ, რომ მოწყალე ღმერთის წვიმაზე არ ეზრუნა, და საქმარისი სითბო რომ ყოფილიყო, ამისათვის მოწყალე ღმერთი შექმნა მშე, რომელიც ცაზე მოძრაობს, დამისათვის კი — მოვარე და ურიცხვი ვარსკვლავები. ახლა, რაღაც მშე ციდან სითბოს აგზავნიდა, მიწაზე შევენიერება იყო, და მოწყალე ღმერთი აქეთ-იქთ დაიარებოდა, ყველაფერს უყურებდა, ნორჩ ამწვანე-ბუღ მინდორს, მრავალ ათას ყვავილს, ბნელ ტყეებს, მაღალ მთებს და ღრმა ჭალებს, მდელვარე ზღვას და ოქროს მშეს.

ამ, ას შედგა ერთ ადგილას და გაიხედა შორს სიერცეში; იქიდან შეისმა მას ხმამაღალი ტირილი, შოთქმა და ყვირილი: „სად არის ჩეენი ღმერთი!“ — „მოწყალე ღმერთი, სად ხარო“. „ოჲ, აღარ გვყავს მოწყალე ღმერთი!“ ასეთი ხმები ყოველი მხრიდან მოისმოდა. ღმერთი სიცილით იახედა მაღლა ცისქნ, ლია კარების მიმართულებით და კარებში მან ორი ძლიერ განსაცვილებელი თვალი დაინახა. რომელიც მიწისკენ იცეირებოდა და როდესაც ღმერთი ტაში დაუკრა და დაუძხა, მაშინ პატარა ანგელოზმა კარებში რომ იცეირებოდა, დაიყვარა: „მოდით აქ, ის აქ ყოფილა! მოწყალე ღმერთი აქ ყოფილა! შეხედე, რა შევენიერებაა აქაო!“ მაშინ ანგელოზმა დაიწყეს კარებში გამოძრომა, სწრაფად დაეშვნენ მიწისაუენ და ვაკეირ-ვებისაგან თვალები გაუშტერდათ, სიხარულისაგან ტაშს უკრავდნენ და დაუსრულებლად იძახდნენ: „ოჲ! რა საუცხო მშვენიერებაა აქ! ნა-მდევილი ცა არისო!“. და მოწყალე ღმერთი იცინოდა, აჩვენებდა მათ მოელ დედამიწას და როგორც მიიყვანა ისინი ზღვასთან, მაშინევ შექმნა ათასი თევზეული, რომელიც წყალში დაცურავს. ის წავიდა ტყი-სკენ და იქ შექმნა ურიცხვი ფრინველები, დიდი და პატარა, ჭრელი და ყომრალო, მგალობელი და მყვირალა, შექმნა ყველა სხვა მხეცია,

რომელიც ტყეში ცხოვრობდნენ: მგლები და მელიები, ქურციკ და
ირმები, სპილოები და თაგვები, ჭიები და პეპლები, ფუტკარი და ბუ-
ზები, ერთი სიტყვით, ყველა კეთილი და ბოროტი ცხოველი, რომელიც
ცხოვრობს მიწაზე, პაერში და წყალში და თითოეულ ცხოველს ღმერ-
თმა სახელი მისცა და უბრძანა მათ, რა უნდა ესვათ და ეჭამათ, ან
სად უნდა ეცხოვრათ და როდესაც ყველაფერი გაათავა, მაშინ თავის
ანგელოზებთან ერთად ისევ ცისკენ გაფრინდა”.

თქვენ ნათლად ხედავთ უბრალო ქაოსს, რომელშიც თანდათა-
ნობით იჭრება აზრი და მიზანი. ღვთაებრივი ისაღვურებს ყველგან
და ანგელოზთა გუნდი აღტაცებულია გარდაქმნილი ქაოსის ჰვრეტით.

„ოჟ რა საუცხოო მშვენიერებაა აქ. აქ ნამდვილი ცა არისო“,—
ამბობს იგი. და მართლაც, ცაში დასრულებული უნივერსალობაა, დე-
დამიწა კი ფარგლებს უდებს ამ უნივერსალობის ჩეალურ განხორციე-
ლებას, სწორედ ისე, როგორც ეს ჩვენს ცნობიერებას ემართება და
ჩვენი კულტურული ცხოვრება ერთიანად გამეორებაა და გაგრძელე-
ბა ღვთისაგან დაწყებული ქაოსის გარდაქმნის საქმისა. ჩვენი სული,
სადაც კი იგრძნობს თავისი უნივერსალობისაკენ მისწრაფების და-
ბრკოლებას, ყველგან ცდილობს დაიმორჩილოს ეს უკანასწერი და
თავისი მიზნის განსახორციელებლად იმსახუროს. მაგრამ ასეთი გარ-
დაქმნა ქაოსისა იმავე დროს გამდიდრებაა მსოფლიოსი, ახალი ფო-
რმების შექმნაა, რომლის მასალაც, მართალია, ცხოვრებიდან არის
აღებული, მაგრამ იგი სულია გაცხოველებული და ამ მხრივ სრუ-
ლიად ახალი მოელენაა მსოფლიოში. ხოლო ადამიანის სული ერთ-
ბაშად ვერ უდგება ქაოსს არსებაში და ერთბაშად ვერ გარდაქმნის მას.
ეს თანდათანობით ხდება, და თითოეული მიღწეული საფეხური ამ
მიმართულებით, რომელიც ისტორიული ცხოვრების ხანგის სახელით
არის ცნობილი. არსებითად ჩვენი სულის განვითარების სხვადასხვა
საფეხურად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, არსებითი ძარღვი ცხოვრებისა გარდაქმნაში ან შემო-
ქმდებაში მარხია; აქტიური სული ებრძევის და გარდაქმნის ყველა-
უერს, რასაც პასიურობის ბეჭედი აზის, და ამბები ამ გარდაქმნისა
არის ამბავი ადამიანის ისტორიული ცხოვრებისა.

თქვენ ხედავთ, რომ უმთავრესი ნაკლი, ან თუ გნებავთ, უმთავ-
რესი ძარღვი მართლა პქონია ისტორიულ ცხოვრებას და იგი შემოქ-
მდება ან გარდაქმნა ყოფილა. აქედან უკვე აღვილი გადასაწყვეტია,

ჩვენი ორგანიზმის რას, რომელ ძალას შეხვდებოდა რეალური არსებობის მთელ სიგრძეზე მეტი მუშაობა, მეტი ვარჯიშობა. ცხადია, ეს ის ძალა უნდა იყოს, რომელიც საფუძვლად უდევს მოქმედებას. მთელების პრინციპი კი, როგორც ყველამ ვიცით, ნების ყოფაა. ნება, მაშასადმე, ის ბერკეტია, რომელიც ამომრავებლა და მაღლა სწევდა პასიურ არსებობას; ამიტომ ნების ისტორია მთელი ცხოვრების ისტორიაა. ამდენად იგი ადამიანის ფსიქიური ორგანიზმის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ორგანო მსოფლაზალობა*

(ვ. ს რ ლ ი ა რ ი ა მ)

ჩეენ ცხოვრობთ საზოგადოებრივი ყოფის ყოველმხრივ ღიუერე-ცციაციის ხანაში. ცხოვრება წინ მძღის და ფართოვდება. ეს წინსედა ადამიანის სულიერი და სოციალური შინაარსის დაუშრეტელ წყაროდ იქცევა, საიდანაც გადმოსჩეიფს დღემდე უცნობი, თავისუფალი ფან-ტაზისათვისაც კი წარმოუდგენელი მღიერებით აღჭურვილი ნაკადი, რომელიც ცხოვრების ზღუდედაუდებელ ველს ათასი და ათასათასი მხრით ხერავს.

შრომა უკიდურეს წერტილამდე ნაწილდება. ამიტომაცა, რომ სა-ზოგადოების თითოეული წევრი იძულებული ხდება, გარდაუვალი ფარ-გლებით შემოზღუდოს თავისი მოქმედების ასპარეზი. ეს ასპარეზი რაც დრო გადის მით უფრო მცირდება, ხოლო მისი ზღუდე იზრდება და მაგრდება. რად ხდება ეს? საქმარისია ოდნავ ჩავუკვიდეთ ამ საკითხს და თქვენ მიხვდებით, რომ იშვიათი სიმღიდორე აწინდელი ცხოვრებისა, თავისი შინაარსის შესაუერ ორგანიზაციის აუცილებელ მოთხოვნილებას ატარებს. ეს უკანასკნელი კი დღესდღეობით მხოლოდ ერთ საშუალებას აღიარებს მიზანშეწონილად: ეს არის რომაელთა მიერ შემოღებული პრინციპი: divide et impera.

ასეთია პირველი დამახასიათებელი თვისება ჩეენი საუკუნისა, მაგ-რამ ჩეენ აქვე გვხვდება მისი არსის მეორე, არანაკლებ მნიშვნელო-ვანი მხარე. ჩეენი ცხოვრების ცალკე მიმღინარეობათა განვითარება იმავე დროს მთელი ცხოვრების განვითარებაცაა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ცხოვრება ორგანიზმია და მისი სხვადასხვა მხარე ორგანუ-ლად ესისხლხორცება ერთიმეორეს. ამიტომ, რასაკვირველია, დასე-რილი ცხოვრების თუნდ ერთ მხარეზე გაბატონება ყველა დანარჩენის ვათვალისწინებას მოითხოვს.

* უკანალი „პრომფოგ“, № 3, 1918.

მნაირად, უაქტი ცხოვრების დიურენც ციციას ა
მისი ორგანული სინთეტიზაციისადმი საჭირო ჩამოყალიბებას ბა ბას ბა ბას: ასეთია ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში იბადება და იზრდება. ცხადია, ჩვენი ცხოვრების შუაგულში ვამეუებული ასეთი აშეარა წინააღმდეგობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მეცნიერებისათვის, კერძოდ კი ფილოსოფიისათვის. და მართლაც, ადამიანის შემცნების ურდის ისტორიაში მრავალ მიმდინარეობას ვხვდებით, რომელთაც მიზნად ამ წინააღმდეგობის გაღაჭრა აქვს დასახული. პოზიტივიზმი, მაგალითად, რას წარმოადგენს, თუ არა ამოძახილს ამ წინააღმდეგობის შესუსტებისადმი ღტოლეიოლებისას შემცნებით ველზე. სოციალიზმის კი იგივე მიზანი დაუსახავს. მხოლოდ სულ სხვა სფეროში: მას სურს, სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ წინააღმდეგობას საკუთარი ვწინა შემოუაროს.

მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. უკვე დასახელებული წინააღმდეგობით გამსჭვალულ მიმდინარეობას ჩვენს ცხოვრებაში პარალელურად მეორე სულ სხვა სახის მიმდინარეობა სდევს თან; და ეს მიმდინარეობაც ჩვენი ცხოვრების რადიკალური წინააღმდეგობისა და მისგანვე წარმოშობილი გაერთიანებისადმი ღტოლეიოლების შედეგს წარმოადგენს. რა სახის არის ჩვენი მისწრაფება ცხოვრების სინთეზისადმი? ჩვენ გათიშული ცხოვრების ფარგლებში ერჩებით და იქ ისეთ მომენტებს ვეძებთ, რომელთაგან მთელი ცხოვრების გაერთიანება არის შესაძლებელი; მაგრამ ამას კი არ ვყითხულობთ: შეუძლია კი ერთმა, ცხოვრების კურძო ნაწილმა გაერთიანება დაივისროს? მაშინ ვის გაუკირდება, რომ ამან გამოიწვიოს სრულებით უთანაბრო ამაღლება ცხოვრების ზოგიერთ მხარეთა და მიმდინარეობათა, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებას უნდა უკუებდო მთელი წინააღმდეგობა, რომელიც ბუდობს სოციალურ ნიადაგზე. მას უნდა ეთამაშა მთელი ცხოვრების გამაერთიანებელი ძალის როლი. მაგრამ ეს განა შესაძლებელია? ეკონომიკური ურთიერთობანი ხომ სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენს და არა მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მსოფლმხედველობაში წამოჭრილი წინააღმდეგობის მოსპობა ზოგჯერ იმით უნდათ, რომ მთელი ცხოვრების კვაკუთხედად მის ერთ-ერთ მხარეს ირჩევენ და მისი ამგვარი უთანაბრო განდიდებით ცხოვრების პრობლემის გადაჭრას გვპირდებიან. ამ ნიადაგზე ჩაისახა ეთიცი შიო, ეს თეტი შიო,

ო ნ ტ ე დ ა ე ტ ი უ ა ლ ი ზ მ ი და სხვა. მაგრამ დღეს მათ მხსნელ ძალაში ჰქვე შეგვაქვს და თითქმის აღარაფერი ვეწამს. რატომ? იმტკომ, რომ ვიცით მათი გენეზისი და მათი როლი. ადამიანის ცხოვრება ადამიანის განვითარების ერთ-ერთ მხარეში ვერ იპოვის თავის გვირგვინს.

ფილოსოფია განყენებული მეცნიერებაა, მაგრამ სწორედ ეს განყენებული ხასიათი ფილოსოფიისა ქმნის მასში ისეთ თვისებას, რომელიც მას ფრიად კონკრეტულ ცოდნის დარგად ხდის, რომელიც მას ისეთი გრძნობიერებით აღჭურებილ საზოგადოებრივი სულიერი მდგრამარეობის მაჩვენებლად აქცევს, რომ მას ამ მხრივ ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა დარგი მეცნიერებისა. ამიტომ ადეილი გასაცემია, რომ ყველაზე უწინარეს თავისი გამოხატულება სწორედ ფილოსოფიაში იძოვა ადამიანის სულის იმ გაორებამ, რომელმაც განსაკუთრებით ჩვენს ღროში იჩინა თავი. წარმოიშვა ძლიერი ლტოლვილება, რომელიც შემეცნების დიფერენციაციას, გამოხატულს მეცნიერული შრომის განაწილებაში, მით უდებდა ბოლოს, რომ ზოგად ცნება ათა მეოხებით დაქსაქსულ მეცნიერულ ჭეშმარიტებათა და შემეცნებათა პარმონიულ გაერთიანებას ცდილობდა. განსაკუთრებული გარეულობით ეს ლტოლვილება იმ სინთეზურ ფილოსოფიაში გამოხატა, რომელსაც დასაბამი ცნობილმა ინგლისელმა სპეცსერმა მისცა. მაგრამ ეს ცდა ადამიანის დამაქმაყოფილებელი სინთეზის დამკვიდრებისა შემეცნებით დარგში თავიდანვე უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს. მართლაც, თვით ამოსავალი პუნქტი სპეცსერის სინთეზური ფილოსოფიისა სრული უნაყოფობის ნიშანს თავისიავე წიაღში ატარებს. იგი დამკვიდრებულია შეურიგებელ შინაგან წინააღმდეგობაზე და ეს წინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ სპეცსერის სინთეზური ფილოსოფია დიფერენციაციის პარმონიულად დაგვირცებინებას მეცნიერების საშუალებით ლამობს. მაგრამ როგორ შეიძლება მეცნიერებამ ასეთი როლი შეასრულოს, როდესაც იგი თვითონ შედგება შემეცნებითი ცხოვრების დიფერენციაციისა, თვით მხოლოდ შესაძლო ელემენტია იმ დაქარგული პარმონიისა, რომლისაკენაც მიისწრავების სინთეზური ფილოსოფია და არა გვირგვინი ან ყოვლისშემცველი შემეცნებითი კატეგორია. იგი პროდუქტია შემეცნებითი ცხოვრების დაქსაქსვისა. მაში, როგორ შეიძლება იგი ამ ცხოვრების სინთეზს წარმოადგენდეს.

სპეცსერის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ ფილოსოფიური აზროვნება მაინც არ ცხრება და სინთეზური პარმონიის დამამკვიდრე-

ბელ ნავთსაყუდელს მაინც შოუსვენრად ეძებს. ე დ უ ა რ დ პ ა რ ტ-
გ ა ნ გ ა, მეორე ცდა წამოაყენა ასეთი სინთეზის დამკიდრებისა, მაგ-
რამ არც ეს ცდა შეიძლება დამაკაყოფილებლად ჩაითვალოს. ჩატი-
მდგომარეობს იგი? რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება, აი ის სამი
მიმდინარეობა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, რომელიც მთელ მის
შინაარსს ამოწურავს. ეს სამი მიმდინარეობაა, რომ ჩვენს ხანაში თავის
კიდეებს გადასცილდა და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულე-
ბა მიიღო. მათი შერიგება აუცილებელი პრობლემაა ჩვენი ხანისა და
პარტმანიც ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას. მას სურს, ფილოსოფია
რელიგიას შეარიცოს და ორივე მეცნიერებას დაუკავშიროს. მას
სურს, სინთეზურად შეაზავოს ეს სამი მხარე ადამიანის სულიერ ცხო-
ვრებაში. მაგრამ არც მისი ცდაა შესაწყინარებელი. მიზეზი ის „კინე-
მატოვრაფიული აზროვნებაა“, რომელიც მთელ თანამედროვე ფილო-
სოფიას ახასიათებს. კლადიმერ სოლოვიოვი სწორედ პარტმანის
ფილოსოფიურ ცდას ირჩევს პირველ საფეხურად, რომელზედაც სურს
მას, სულიერი ცხოვრების პარმონიულ სინთეზამდე ამაღლდეს. სო-
ლოვიოვის აზროვნების და ცხოვრების მიზანი სწორედ ასეთი სინ-
თეზის დამკვიდრება იყო. ისიც გრძნობს ჩვენი ცხოვრების შუაუ-
ლში კამეფებულ დისოციაციას და წინააღმდეგობას და მისი სრული
აღვეისავენ მისისწრაფების. საუკეთესო ამოსავალ პუნქტად, როგორც
ეთებით, იგი პარტმანის ცდას აღიარებს. მაგრამ მას ნათლად აქვს
წარმოდგენილი ყველა სუსტი მხარე პარტმანის ფილოსოფიისა. ამი-
ტომ იგი ვერ ჩაითვლება პარტმანის მოწაფედ, სწორედ ისე, რო-
გორც წარმოუდგენელია მისი მატერიალისტად ან მხოლოდ ჩვეულე-
ბრივ იდეალისტად ჩათვლა. მეორე მხრივ, მისი ფილოსოფიური სი-
სტემისათვის არ არის უცხო არც ერთი ფილოსოფიური მიმართულე-
ბის ელემენტი: არც მატერიალისტი, არც იდეალისტი, არც პოზიტი-
ვიზმი და არც სხვა რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრება, რომელ-
საც კი ოდესმე თავი უჩინია ფილოსოფიის განვითარების მრავალსაუ-
კუნვარ ისტორიაში. კინც ცოტათი მაინც იცნობს ფილოსოფიის ის-
ტორიას, მას უთუოდ ეცოდინება, რომ ლაიბნიცის აზროვნებას ერთი
დამახასიათებელი თვისება პქონდა. ეს თვისება იმაში მდგომარეობ-
და, რომ იშვიათი უნივერსალური ნიჭით აღჭურებილი მოაზროვნე, ყო-
ველ უმნიშვნელო ფილოსოფიურ მიმართულებაშიც კი, ერთ რამე
შინაშვნელოვან მომენტს პოულობდა და ასეთ მომენტთაგან თავისებუ-
რსა და წარმტაც ფილოსოფიურ სისტემას პქმნიდა, სისტემას, რომე-

ლსაც დღესაც არ დაუკარგავს მთელი თავისი მნიშვნელობა. ვდა სა-
ლოვოვიც სწორედ ასეთი აზროვნების ტიპიურ წარმომადგენლად
უნდა ჩაითვალოს. ისე როგორც ლაიბნიცი, სოლოვიოვიცის წრაფების,
ანალიტიკური თვალით განიხილოს ყველა ისტორიულად მოცემული
ფილოსოფიური მოძღვრება, მის მრავალ მხარეთა შორის სადი ეჭვ-
მენტები ამოარჩიოს და ამ უკანასკნელთ თავისი მსოფლმხედველობის
უმაღლესი სინთეზის ზღუდეთა შორის შესაფერი ადგილი მიუჩინოს.
ჩვენ აქ მიზნად არა გვაქვს, სოლოვიოვის ფილოსოფიის ყოველმხრივი
და დასრულებული დახსასიათება მივაწოდოთ მკითხველს: ჩვენ გვსუბს,
მხოლოდ ერთ მომენტს მივაქციოთ ყურადღება. სახელდობრ, რარ-
გად და რა სახით უწევს სოლოვიოვის ფილოსოფია ანგარიშს ჩვე-
ნი დროის ცოდნისა და არსებობის დარგში დამკვიდრებულ დისოცია-
ციის პროცესს. ასეთი ზოგადი ექსკურსი. სოლოვიოვის ფილოსო-
ფიურ სისტემაში, საუკეთესოდ აღადგენს ჩვენს წინაშე ფილოსოფიის
აზროვნების ნიშანდობლივ ხასიათს და მის კულტურულ-ისტორიულ-
სა და, კურძოდ, ფილოსოფიურ მნიშვნელობას.

* * *

ყველა ფილოსოფიურ პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანების
ადგილი უჭირავს პრობლემას ცხოვრების აზრისა და მიზნის შესა-
ხებ. ამიტომაცა, რომ სოლოვიოვი ამ პრობლემას ყოველი ფილო-
სოფიის პირველ პრობლემად თვლის. იგი განსაკუთრებული ყურადღე-
ბით ეცყრობა მას და თავისი ცხოვრების საუკეთესო ხანას მის ასენას
უმსახურებს. ეს გარემოება ნათელს ფენს სოლოვიოვის აზროვნების
მთავარ მიმართულებას, — იგი ხასიათდება პრაქტიკული ინტერესით,
რომელიც მთელ მის აზროვნებას ერთ მოტივს — ეთიურ მოტივს
აძლევს და მის გამოკვლევათ ამ მოტივის გარშემო ატრიალებს.

საიდან იბადება ეს პრობლემა? ყველასათვის ცხადია, რომ თანა-
მედროვე კაცობრიობა რაღაც გამორკვეული შორს ღრმოლვის მსხვერ-
პლი შექმნილა. იგი ვერ კმაყოფილდება არსებულით და ამიტომ
თავისი არსებობის ზღუდეთა იქით დამობს საკუთარი სულის კმაყო-
ფილების ცოდნას. აი სწორედ ეს კმაყოფილებაა, რომ ადამიანს ჭე-
დავინებით უყენებს საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად აზრია-
ნია მისი ცხოვრება. მაგრამ ეს საკითხი აუცილებლად ერთ დებულებას
გულისხმობს. იგი მოითხოვს ცხოვრების განვითარების ფა-

ქტად აღიარებას. მართლაც, განა უაზრობა არ იქნებოდა ის დაუ-
დგრომელი ძიება ცხოვრების აზრისა, რომელიც თანამედროვე კულტურული
ცობრიობას ახასიათებს, რომ ცხოვრება არ ვითარდებოდეს, რომ
იგი წინ არ მიიწევდეს და, ეით ჯარა, მხოლოდ ერთი წერტილის გა-
რშემო ტრიალებდეს? მინტომ ფიქრობს სოლოვოვი, პრობლემა ცხო-
ვრების აზრიანობის შესახებ აუცილებლად განვითარების ცნების
ჰეშმარიტ გავებას გულისხმობს.

გერმანიის კლასიკური ფილოსოფიის საუკუთესო წარმომადგენელ-
მა, იდეალისტმა პეგელმა, განსაკუთრებული გულისყურით შეისწავლა
განვითარების პროცესი და იგი სამ ხანას დაუქვემდებარა. პირველი
ხანა არის განუყოფელი არსებობისა, მას ცვლის ხანა სრული წინა-
აღმდეგობისა, ასე რომ, ამ პირველ ორ ხანას შორის გარდაუვალი
უფსერებული ითხრება, მაგრამ შემდეგ დგება მესამე ხანა, რომელიც
თვეს რთულ შინაარსში პირველ ორ მოწინააღმდეგე ხანას ორგანუ-
ლად აერთებს, — იგი არის ხანა პარმონიული სინთეზისა, განვითა-
რების ასეთ მიმდინარეობას მან დიალექტია უწოდა და იგი ამგეარად
სამ მომენტიან მიმდინარეობად დასახა: თე ზისი იცელება ან ტი-
თე ზი სი თ და ბოლოს მყარდება სინ თე ზი.

დაახლოებით იგივეა განვითარების თეორია ინგლისული ფილოსო-
ფოსის, სპენსერისაც. მისი კონცენტრაცია, დიუკერენ-
ციაცია და დეტერმინაცია არსებითად განმეორებაა, მხო-
ლოდ სხვა სახით. პეგელის თეზის-ანტითეზის-სინთეზისა.

კლასიკურ სოლოვოვი ამ თრ ფილოსოფოსს ემხრობა და ისტო-
რიულ განვითარებას ისიც სამი მომენტის თვალსაზრისით ხედავს.
ამისდა მიხედვით იგი ნათლად ჭვრეტს ყოველი განვითარების უკანას-
კედ მიზანს და ეს მიზანი, მისი შეხედულებით, სპენსერის დეტერმი-
ნაციაა, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღთა შორის
წამოჭრილ დაქსაქსვას, ადამიანის ცხოვრების ძალების შედღის
შეღლასა და მტრობას პარმონიული სინთეზის ზღუდეთა შორის ბო-
ლო ედება. მაგრამ აქ იბადება კითხვა: როგორ უნდა გვესმოდეს
ადამიანის ცხოვრების ძალი, რომელთა სინთეზური გაერთიანებაც
ჩვენი განვითარების მიზანს უნდა წარმოადგენდეს? ეპეს გარეშეა,
რომ იმ ძალთა ძებნა ჩვენ თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მო-
გვიხდება და მათი განსახიერების პოვნა მხოლოდ ამ ცხოვრების ფო-
რმებში შეგვეძლება. საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები კი, რო-
გორც სოლოვოვს პირია, ბოლოს და ბოლოს დაფუძნებული არიან

ადამიანის ბუნების ნიშანდობლივ თვისებათა საძირკველზე. აქედან აშეარაა, რომ ჩვენთვის აუცილებელი ხდება ადამიანის ბუნების შევა- დი ანალიზი მაინც. ადამიანის ბუნება სამი მხრით სახიერდება: წარ- მოდგენა, გრძნობა და მოქმედი ნება. აი ის სახეები ჩვენი არსებობი- სა, რომლითაც მსოფლიოში ადამიანის არსებითი ბუნება ვღინდება. ეს სამი სახე ადამიანის ბუნებისა ორგვარ ფარგლებში სახიერდება: ინდივიდუალურისა და სოციალურში. მათი სოციალურ ფარგლებში გა- ნსახიერება სარჩელად უდევს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის ფორმებს; სოციალურ ფარგლებში გაშლილი მოქმედება კი ობიექტურ სახეს იღებს და ეს ობიექტური სახეა სწო- რედ ის, რაც საზოგადოებრივი არსებობის ფორმებს წარმოადგენს. ამ- გვარად, მხოლოდ იმდენადაა შესაძლებელი ნება წარმოვიდგინოთ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის ფორმა, რამდენა- დაც მას მიზნად საერთო, სოციალური მომენტი დაუსა- ხავს; იმდენადაა შესაძლებელი აზროვნების ცხოვრების ფორმათა პრი- ნციპად აღიარება, რამდენადაც იგი ობიექტური ჰერმარი- ტებისაკენ მიისწრაფები. გრძნობაც მხოლოდ მაშინ გაწევს ცხოვრების ფორმათა პრინციპობას, როდესაც მის შინაარსად ობიე- ქტური მშვენიერება ნება იქცევა.

სოლოვიოვის დრმა რწმენით, ჩვენი ბუნების მხარეთა ასეთი სო- ციალური ობიექტური მოქმედება ფაქტია, და მთელი ცხოვრება ყოვე- ლი საზოგადოებრივი ერთეულისა სწორედ ამ მოქმედებაზეა აგებული. პირველი უმნიშვნელოვანები პრინციპი ამ სამ ფაქტორთა შორის არის სოლოვიოვის აზრით ნება, იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამ- გვარად სახიერდება: 1. ის მიზანი, რომელიც უნდა განახორციელოს ნებამ, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმამ, არის ობიექ- ტური სიკეთე. ეს უკანასკნელი კი აუცილებელ პირობად სუბი- ექტთა არსებობას მოითხოვს. სუბიექტთა არსებობა კი დამოკიდებუ- ლია გარეშე ბუნებაზე, რომელსაც ყოველი არსი მიმართავს თავისი არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად. ამ ნიადაგზე წარმოაშობა ათასგვარი დამოკიდებულება და ურთიერთობა ადამიანსა და გარეშე ბუნებას შორის. ამ დამოკიდებულებებს, ამ ურთიერთობებს გან- წესიერება, ორგანიზაცია ეჭირება და ის ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც მიზნად ამ განწესრიგებას ისახავს, არის ეკო- ნომიური საზოგადოება. ამგვარად, პირველი სახე, რო-

შეღსაც იღებს ნება, როგორც უორმა სოციალური ცხოვრების, არის ეკონომიკური საზოგადოება. იგი პირველი ობიექტივაცია ნებისა.

2. ადამიანის ცხოვრება მარტო ეკონომიკური არსებობით არ განი-
საზღვრება. ადამიანის მარტო მატერიალური უზრუნველყოფა კი არ
აქმავთიღებს, მას სურს, აგრეთვე, იმ ურთიერთობათა განწესებუ-
ბაც, რომელიც იბადება საზოგადოდ ადამიანთა შორის. ამ ურთიერ-
თობათა მოწესრიგების აუცილებლობა კი ადამიანის სოციალური ცხოვ-
რების მეორე ფორმას წარმოშობს, რომელსაც მიზნად საზოგადოებ-
რის ურთიერთობათა ორგანიზაცია აქვს დასახული. ეს მეორე ფორმა
ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა არის ის, რასაც ჩვენ პო-
ლატიკურ საზოგადოებას ანუ სახელმწიფო ამგვარად საზოგადოებრივი ნებისყოფის მეო-
რე ობიექტივაციაა.

3. ადამიანის მარტო მატერიალური, მარტო უფლებრივი კუთილ-
დებობა ვერ დააქმაყოფილებს. მას სურს, აგრეთვე, როგორმე აბსო-
ლუტურ არსებობაშიაც პქონდეს ნაწილი. — მას სურს აგრეთვე
მოედს უნივერსუმთანაც როგორმე გრძნობით შეკავშირდეს.
მას სურს, ტრანსცენდენტურთან ერთად იარსებოს. ერთი სიტყვით,
მას აქვს რელიგიური მოთხოვნილებაც და მისი სურვილი ამ მოთხო-
ვნილების დაქმაყოფილებისაჲნაც არის მიმართული. ამ ნიადაგზე
ჩნდება საზოგადოებრივი ცხოვრების მესამე ფორმა. სულიერი საზო-
გადოება ანუ ეკლესია. ეკლესია ამგვარად მესამე ფორმას საზო-
გადოებრივი ცხოვრებისა. იგი მესამე საფეხურია ნების ობიექტივაცი-
ობა.

სოლოეიოვი სამიერ ამ ფორმას ერთმანეთს უკავშირებს და პოუ-
ლობს, რომ უმთავრესი მნიშვნელობა უკანასკნელ ფორმას, „ეკლესია“
ეკუთვნის. იგი, მისი აზრით, ასე ვთქვათ, მიზანია მთელი საზოგადოე-
ბრივი არსებობისა. იგი აზრის მიმართულების მიმნიჭებელი მომენ-
ტია სოციალურ ცხოვრებაში, მაშინ როდესაც ეკონომიკური საზოგა-
დოება და მეურნეობა მხოლოდ გარეგანი საფუძველია, ხოლო სა-
ხელმწიფო მისი განხორციელების საშუალებაა. ჩვენ რომ განვითარე-
ბის თვალსაზრისით განვიხილოთ საზოგადოებრივი არსებობის სამი-
ცვ ფორმა, იმ შემთხვევაში გადასაჭრელი გვევნება საკითხი მათი ურ-
თიერთობისა როგორც თვითგანვითარების პროცესში, ისე მის უკა-
ნასკნელ საფეხურზე. ეს არის საკითხი ჩვენი საზოგადოებრივი იდეა-

ლის შესახებ და ამიტომ მისი გათვალისწინება აუცილებელია სოკლოვიოვის მსოფლმხედველობის სურათის შესავსებად.

ის მიზანი, რომლისკენაც მთელი განვითარება მისისწარავის, დაქსაქსულ ძალთა სინთეზური შეერთება, — ანუ დეტერმინაცია არის, ასე ფიქრობს სოლოვიოვი; აქედან თავისთვალი გამომდინარების სოციალური იდეალის საკითხის გადაჭრაც. მართლაც, თუ იდეალი განვითარების სინთეზია, იმ შემთხვევაში აშკარაა ის ურთიერთობაც, რომელიც უნდა არსებობდეს საზოგადოებრივ ფორმათა შორის ცობიერების განვითარების უკანასკნელ საფეხურზე. ეს ურთიერთობა ხელთეზური უნდა იყოს, სამივე ფორმა ერთი სინთეზური ორგანიზმის თანასწორუფლებიან წევრს უნდა წარმოადგენდეს. არ უნდა არსებობდეს მათ შორის მტრობა და შური. თითოეული მათვანი ავტონომიურად განავებდეს ყველა იმ საქმეს, რომელიც მისი მოქმედების ასპარეზს ეკუთვნის და უთანაბრო პრეტენზიას მათ შორის არავითარი აღვილი არ უნდა პქონდეს, მთლად ავტონომიური თავის საკუთარ ამოცანათა ფარგლებში, ყოველი მათვანი შემადგენელ ნაწილად უნდა შედიოდეს მის მაღლა მდგომ ფორმაში, თავისი საკუთარი ნების საფუძველს მხოლოდ ამ უკანასკნელში უნდა პოულობდეს განხორციელებულს. მხოლოდ ამ უკანასკნელიდან უნდა იღებდეს თავის მოქმედებათა მიზანს და აზრს, და ამგვარად მხოლოდ მასში ხედავდეს თავის ნამდებლ არსებობის ფორმას. ასეთი სინთეზური ორგანიზმის სათავეში წარმოუდგენელია სხვა რამ არსებობის ფორმა იდეკს თუ არა კლებია, როგორც ერთადერთი ცხოვრების ფორმა, რომელსაც შეუძლია ანგარიში გაუწიოს მხოლოდ ადამიანის სულის უმწევერებლეს მოთხოვნილებას, მის რელიგიურ ლტოლვას და რომელიც ამცირად შეძლებს, უმაღლესი მიზანი და აბსოლუტური ფორმა მისცეს ცხოვრების ყველა სხვა ფორმას.

ასეთია აზრით მსვლელობა სოლოვიოვისა. ამ გზით იგი სოციალური იდეალის აღიარებამდე მივიდა, რომელსაც შემდეგ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდა. ეს იდეალი, სოლოვიოვის აზრით, განყენებული მსჯელობის ან ფანტაზიის ნაყიფი კი არა, კაცობრიობის ცხოვრების უღმობელი ლოგიკის კანონთა შედეგა. იგი არ არის უტოპია; მისი განხორციელება ისევე აუცილებელია, როგორც ჩეალიზაცია განვითარების პროცესის მესამე საუკუნერისა. კაცობრიობის განვითარების მესამე საფეხურია „სრულ-

კოფილი საშოგადოება“ ანუ „თავისუფალი თეოკრატია“, — აი ხახე-
ლი იმ იღეაღური წესწყობილებისა.

სანამ ცხოვრების იმ ფორმის გათვალისწინებას შევუდებოდეთ რო-
რომელიც ადამიანის ფსიქიკური არსებობის მეორე ფაქტორის, წარ-
გი დ გ ე ნ ი ს ჟეგავდებით მუშავდება, საჭირო იქნება ჯერ გეხამე-
ფაქტორი განვიხილოთ. როგორც ვიცით, ეს მესამე ფაქტორი, სო-
ლოვიოვის აზრით, გრძნობა აა, მაგრამ გრძნობა არა ინდივიდუა-
ლურია. არამედ გრძნობა, როგორც ობიექტური, ზოგადი მოვლენა.
გრძნობა, რომელიც მიმართულია ობიექტურობისაკენ, ე. ი. გრძნობა,
როგორც პრინციპი თბილექტური შემოქმედების ა. ტექნიკა, მხატვრული ხელოვნება და მისტიკა, აი ის სამი სახე სო-
ციალური შემოქმედებისა, რომელიც თავისებურ განხორციელებას
აძლევს ობიექტური გრძნობის საგანს: აბსოლუტურ შშვერინებას.
დღეს კეთილ ეს სამი სახე შემოქმედებისა, საკებით გამოთიშვლია
ერთმანეთისაგან და მათი სრული დამოუკიდებლობა და ერთმანე-
თის უყურადღებობა ჩვენი დროის დამახასიათებელ თვისებად უნდა
ჩაითვალოს.

თუ მესამე და უკანასკნელი ხანა განვითარებისა. მართლა სანაა
პარმონიული სინთეზისა, იმ შემთხვევაში ამ სამი ფორმის ურთიერთ-
დამოკიდებულებამაც განსაკუთრებული სახე უნდა მიიღოს: გათი-
შვამ და დისტრიბუტორი სინთეზურ პარმონიასა და სისტემატიკურ
მთლიანობას უნდა დაუთმოს. მაგრამ ამ სინთეზურ სისტემაში ერთ-
ურთო უორმა აუცილებლად უნდა იაშაშობლეს უმითავრეს როლს, ამ
პარმონიულ არსებობაში პრიორიტეტი ერთაერთს უნდა პქონლეს მი-
ნიჭებული. მაგრამ რომელს?

ამ საკითხის გადაჭრა ადვილია, თუ გავისხენებთ, რომ მისტიკა—ეს
მესამე სახე შემოქმედებითი მოღვაწეობისა, შემოქმედებითი
დამოქმედებულება გრძნობა უკან ს ც რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ-
ურ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს თ ა ნ. მაგრამ გრძნობას იმდენად შეუძლია და-
მოკიდებულება პქონლეს ტრანსცენდენტურ სინამდვილესთან, რამდენა-
დაც ეს უკანასკნელი აბსოლუტურ მშვენიერებას წა-
რმოადგენს. მთელი შემოქმედება მიმართულია ამ აბსოლუტური შშვე-
რინებისაკენ; მისკენ მიიღოტვის ტექნიკა, მის განხორციელებას
კსრაფე მხატვრული ხელოვნება — მაგრამ პირდაპირი დამოკიდე-
ბულება მასთან მარტო მისტიკას აქვს. აქედან აშკარაა, რომ
იმ სახეთა შორის, რომლითაც შემოქმედება გვევლინება, ნამდვილი

პირველობის უფლება მხოლოდ მისტიკას აქვს; მხოლოდ მას შეუძლია
აზრი და მიზანი მისცეს შემოქმედებით სისტემას, მხოლოდ მას შეუ-
ძლია სათავეში უდგეს განვითარების მესამე საფეხურზე განხორციე-
ლებულ სინთეზს, რომელზეც პირველად დაიმსხვრევა დაქსაქსვა მე-
მოქმედებითი სახეებისა და მათ შორის აუმღვრევილი პარმონია გან-
ხორციელდება. ტექნიკას და მხატვრულ ხელოვნებას მხოლოდ ქვემ-
დებარე როლი რჩებათ, თუმცა თავისუფლება მათი მოქმედებისა სა-
კუთარ ასპარეზზე მაინც უზრუნველყოფილი რჩება — ასეთი არის შე-
მოქმედებითი მხატვრული იდეალი სოლოვიოვისა. „დასრულებული
შემოქმედება“ ან „თავისუფალი თეატრი“ — ამ სახელი ამ იდეალისა.

ადამიანის აზროვნება არის ის მესამე ფაქტორი, რომელიც თავი-
სებურ გამოხატულებას აძლევს საზოგადოებრივი ცხოვრების დანარ-
ჩენ ფორმათ. აზროვნება, რამდენადაც იგი აბსოლუტური ჭეშმარიტე-
ბის აღდგენისაკენ მიიღოტვის, შესაძლებელია მხოლოდ სამი მიმარ-
თულებით მოქმედებდეს: 1. შესაძლებელია, აზროვნებას მხოლოდ ფაქ-
ტიური ცოდნის შეძენა პქონდეს მიზნად დასახული, იმ ფაქტიური ცო-
დნისა, რომელიც წარმოშობა გარეშე და შინაგანი ბუნების ცხოვრე-
ბის დაკირვებით და განცდით; 2. მაგრამ იგივე აზროვნება შესაძლე-
ბელია სულ სხვა მხრით მიიღოტვოდეს. შესაძლებელია, მისი მიზანი
ფაქტიურ ან მატერიალურ შემეცნებაში კი არ ისახებოდეს, არამედ
მისი განხორციელება ცოდნის ფორმალურ მხარეში ან მის
ლოგიკურ დასრულებაში გამოიხატებოდეს; 3. აზროვნებას შესაძლე-
ბელია მესამე მიმართულებაც პქონდეს. მესამე მიმართულება იმაში
მდგომარეობს; რომ ადამიანის აზროვნების მიზანი და საგანი გარემო
შემეცნების ფაქტიური და ფორმალური მხარით კი არ შემოიფარგლე-
ბა, იგი აბსოლუტური შინაგანი საკენაცხადისაც მიისწრაფის.

ერთი სიტყვით, ადამიანის აზროვნების მიმართულება სამგვარია.
იგი ან მატერიალური, ფაქტიური ჭეშმარიტების ძებნით კმაყოფილ-
დება, ან ფორმალურ ლოგიკურ ჭეშმარიტებას ეძებს, ან აბსოლუტუ-
რი დასრულებული სინამდვილის აღდგენისაკენ აქვს მიმართება. პი-
რევლი გზით ადამიანის აზროვნება დადგებით მეცნიერებას
ქმნის, მეორის ნიადაგზე აღმოცენდება განყენებული ფილოსოფიაში —
მფარველი იდეას, თეოლოგიაში — აბსოლუტურ არსეს. ამისდა
მიხედვით ყოველი ცოდნის მატერიალურ ნიადაგს დადებითი მეცნიე-

რება გვაწვდის; იდეალურ ფორმას ფილოსოფია გვანიჭებს, ხოლო აბ-
სოლუტურ შინაარსსა და უმწვერეალეს მიზანს თეოლოგია გვაძლევს. სოლო-
გოორვის ღრმა რწმენით, როგორც ხედავთ, მხოლოდ თეოლო-
გიას შეუძლია აზრი და მნიშვნელობა მიანიჭოს როგორც ფილოსოფიის
განვენებულ იდეათ, ისე მეცნიერების მუნჯ ფაქტებსაც. უთეოლოგი-
ოდ ფილოსოფიის იდეები უშინაარსო. ცარიელი ფორმების მეტი არა-
ფერი იქნებოდა, ხოლო მეცნიერული ფაქტები ინდიცირენტული მასა-
ლის მნიშვნელობას კერ გასცილდებოდა.

დღესდღეობით რომ ყველა ამ ცოდნის დარგს შორის სრული
უთანხმოება და მტრული დამოკიდებულება არსებობს, ცხადია, შეიძ-
ლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ჰეშმარიტება ჩვენთვის
რაღაც მუდამ ახლოს მდგომ, მაგრამ ამავე დროს მუდამ თვალმიუწვ-
დომელ საგანს შეადგენს. მის აღსაღენად საჭირო უნდა იყოს მოლი-
ანი აზროვნების მოქმედება და არა მხოლოდ მეცნიერება ან მხოლოდ
ფილოსოფია და თეოლოგია. ჰეშმარიტება მხოლოდ მაშინ იქნება ადა-
მიანის ხელში, როდესაც ეს სამი მხარე ადამიანის აზროვნების მოქმე-
დებისა ერთად შეკავშირდება და როდესაც მათ შორის სოლიდარული
დამოკიდებულება განხორციელდება.

სარგი ღავალია

სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი სერგი იოსების ძე დანელია (1888—1963) დაიბადა სამეგრელოს პატარა სოფე. ნაჯახაშოში, გლეხის ოჯახში. პირველი დაწყებითი განათლება მიიღო სამრევლო სკოლაში. შემდგომ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც 1906 წელს წარჩინებით დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა ხარჯოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. თარი წლის შემდეგ იმავე ფაკულტეტზე გადადის მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც 1911 წელს ამთავრებს პირველი ხარისხის დიპლომით. შემდგომ წლებში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ხერსონის, ფოთის, ახალციხის, მიხაილოვესკის გიმნაზიებში. ასწავლის რესულ ენასა და ლიტერატურას, ლათინურ ენასა და ისტორიას. 1919 წელს გადადის თბილისში ჯერ განათლების სამინისტროში, ხოლო შემდეგ 1922 წ. მას იწვევენ ფილოსოფიურ დისციპლინათა მასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში მოსელამდე სერგი აქცენტებს მრავალ საყიდეობო ნაშრომს პედაგოგიის, ისტორიის, ეკონომიკის და სხვა საკითხებზე. სერგის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდ იშლება უნივერსიტეტში მოსელის პერიოდიდან. 1927 წელს სერგი დანელია იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ქართველები კოლოფონების მსოფლმხედველობა“. 1930 წლიდან ის უნივერსიტეტის პროფესორია, ამ პერიოდში განსაკუთრებულ ინტერესს იჩინს რუსი და ქართველი შოაზროვნებისადმი.

1927 წლიდან უნივერსიტეტში შემოიღეს რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსი, რომელიც პირველად ს. დანელიამ წაიკითხა. 1933 წელს ჩამოყალიბდა რუსული ლიტერატურის ისტორის კათედრა, რომლის გამგედ იმრჩიეს ს. დანელია. უნივერსიტეტში ის კითხულობდა შემდეგ კურსებს: ანტიკური ფილოსოფიის ისტორია, ახალი ფილოსოფიის ისტორია, პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორია, პედაგო-

გია, დასავლეთ ეკრობის საზოგადოებრივი აზრის ისტორია, რუსული დამტერატურის ისტორია. ს. დანელიას ძირითადი ფილოსოფიური შრომებია: ატომისტური ფილოსოფია ძეველ საბერძნეთში, 1925-წ; ქსენოფანე კოლოფონელი, 1926.; წინასოერატული ფილოსოფია, 1928.; სოერატეს ფილოსოფია, 1936.; უნ-ევ რუსოს ცხოვრება და მოღვაწეობა, 1948.; იმანუილ კანტი, 1960 და სხვ.

ს. დანელიას მოღვაწეობის ძირითადი პროფილი იყო ფილოსოფიის ისტორია, რომელშიც ის ავლენს გარკვეულ მსოფლმხედველობრივ ორიენტაციასაც. მან შეიმუშავა ფილოსოფიის ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიური წანამდვრები, ანტიკური ფილოსოფიის კვლევა აავო წყაროთა კრიტიკის ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდით ანალიზზე. ს. დანელიას აზრით, ბერძნული ფილოსოფიით იწყება ფილოსოფიური აზროვნება. მანამდე არსებულს ის თვლის მითოლოგიად და ფილოსოფებად. ფილოსოფიის ისტორიაში მობრუნების პუნქტად ესახება ის მთაზროვნები, რომლებიც კვლევას წარმართავენ ადამიანისა და ლიტებულების სამყაროზე. ამით გამოყოფს ის კოსმოლოგიურ პერიოდს ანთროპოლოგიურისაგან. ამიტომ თვლის ქსენოფანეს ახალი მსოფლმხედველობის პიონერად და სოერატეს — ანტიკური ფილოსოფიის მწვერვალად, ახალ ფილოსოფიაში კი — კანტს.

ფილოსოფიის ისტორია წარმოდგენილი აქვს როგორც განვითარების პროცესი. ის უარყოფს პრეზენტიზმს, წარსულის განხილვას აწყოს დირებულებათა შუქშე და მოითხოვს ყოველი ეპოქის საკუთარი დირებულებებით შეფასებას. ამ გზით აღწევს განხილვის ობიექტურობას. ფილოსოფიის ისტორიის კვლევის ეს პრინციპები სრული სახით აისახა შრომაში — „სოერატეს ფილოსოფია“, რომელსაც აქვეყნებთ.

ელუარდ კოდუა

ასანოფანის პროგლობა

ჩემი წიგნი „ქსენოფანე კოლოფონელი“, რომელიც სადისერტაციო შრომად მაქვს წარმოდგენილი, შექხება ანტიკური ფილოსოფიის წინასოკრატული ხანის ერთ უმნიშვნელოვანეს მოაზროვნეს, ელეატური ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელს. ელეატურმა მიმართულებამ დიდი როლი შეასრულა ბერძნული აზროვნების განვითარებაში. მან შექმნა პირობები, ურომლისოდ ბერძნული აზროვნება პრიმიტიული პილოძონიშის ფარგლებს ვერ გასცდებოდა. მანვე შემოტანა საბერძნეთის ფილოსოფიურ ვითარებაში იმის შეგნება, რომ მეცნიერების პრინციპი გრძნობათა გაღმა მდებარეობს და ის აზროვნებით შეიცნობა მხოლოდ. ამან გაანაყოფიერა მეცნიერული ძიება და შესაძლებელი გახადა იონიის ფიზიკოსთა გულებრყვილო თეორიების ადგილზე გაჩენილიყო ორი უდიდესი ფილოსოფიური სისტემა ძველი საბერძნეთისა: ატომისტური მეტაფიზიკა დემოკრიტესი და იდეათა თეორია პლატონისა. ამიტომ ცხადია, თუ რამდენად საინტერესო უნდა იყოს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიკოსისათვის განვითარება ელეატური მიმდინარეობისა და კერძოდ მოძღვრება ამ მიმდინარეობის დამაარსებლის, ქსენოფანე კოლოფონელისა.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ინტერესი, რომელსაც იწვევს ქსენოფანეს თეორია. ქვემოთ დაეინაბავთ, რომ ეს თეორია წარმოადგენს ლოგიკურად დასრულებულ მონოთეიზმს. როგორადც უნდა დავაფასოთ ჩვენ დღეს ეს მოძღვრება, ერთი მაინც უდავოა, პილითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლა უდიდესი პროგრესული ნაბიჯი იყო იდეოლოგიური ვითარების სფეროში.

ვიდრე ჩემი წიგნის მთავარ ხაზებს გაგაცნობდეთ, საჭიროდ მიმართო აქ ერთ გარემოებაზე შევჩერდე. ჩემი მიღვომა ქსენოფანეს მოძღვრებისადმი, როგორც იმ ნაწილში, რომელსაც მე ქსენოფანეს უიზიკას უწოდებ, ისე იმ ნაწილშიაც, რომელსაც მე ქსენოფანეს მეტაფიზიკა დავარქვი, არის მიღვომა მხოლოდ ისტორიკოსისა, ე. ი. მეცნიერისა.

Կոչելըցարո մոշլենա Շյօմլեծա գանեօլուլ օյնես և եցագանենց
տցալսաշիրուստ. մատ Շորկու ցրտու տցալսաշիրուստ որովնուս, մյուրյա-
տցալսաշիրուստ հիմենուս. մարտալու, Կոչելը որովնա որուոռն ցշլուն-
նեմոծն հիմենուս. և եցա հոմ արա ոցու հա, որովնա ար Շյօմոնցա տց ար
ցշրամի, հոմ որովնու Մյենուս Մյեսամլեթլուն ար արուս ադամունտա-
ցուս ալյացուուու. մաշրամ պաշացուրո յս և ըրուլուն եցու
ոմուս ալուարյան, հոմ որովնուս պյու տացուսու և էպուոյուրո լողոցուրո
նունու, հոմելուլ գանեսեցաց մաս հիմենուսացան. յս գանեսեցաց պա-
պացանց պայուն նատլաւ աշյահաց պյու ոյ, և աճաւ մուլությունու որովնուս
դա հիմենու պամալուց գանցուուարյան. ասուու մոշլենցա, ցրտու
մերուց, մյունուրյան, Մյուրյա մերուց, հյուլուց.

Մյունուրյան որովնուս պամիցուրյալուց նոմունու, ուս հոգորու հյ-
լուց պա պամիցուրյալուց նոմունու հիմենուս. մյունուրյան և ուստիմանու հա-
մուցալուն պամունա, եռուու հյուլուց ուստիմանու համուցալուն պա-
մունա, հիմենու. մյունուրյան ուցալսանիրուսու արուս ուցալսանիրուսու ծո-
նցեծրուց, հոմելուլ մունչետմունուն մունչու է մրոնցուն պա. պար-
ուալուց ուցալսանիրուսու յու արուս ուցալսանիրուսու նիցենցեծրուց, հոմե-
լուլ սասիւց պալուն սեմոծն. ոյ, և աճաւ հյուլուց ուր անուունց սաո-
ւում լուտաց մալուս մոյմեց պաս եցաց, մյունուրյունու անուու-
նց պա պալուն ալմուահինուս ծունցեծրուց մալուս մոյմեց պա.

Իյմո ինցնուս սացանու մոնուունմուս գահենա սաերմենուն. յս սացա-
նու մյ մյունուրյունու գամոյզալուց ունույթաւ վայուու. յս ոմաս նունացն,
հոմ ոյ, և աճաւ հյուլուց ուցալսանիրուսու մալունու մետուուն նիցենց-
եծրուց մոշլենաս դառնահաց, մյ վուդուն ծունցեծրուց մունչենց պա-
մոցահինու.

Իյմո անուու, մոնուունմուս ուր օդյուս գահենա Մյեսամլեթլուս ունցա-
րուց մալուս մոյմեց պատ ացեսնատ, հոմելուն ահենեն պաշել և եցա
ուցա. մյունուրյան մի Մյեմուց պատ ունցա. մոնուունմուս գահենա
արամուու Մյեսամլեթլուս ծունցեծրուց մունչենց պատ ացեսնատ, ահամել մյու-
նուրյան նուրդապու մոցալուն մացաց պատ և յունու աս ացեսնատ ոցա.
և աճաւ մյունուրյուն մոցալուս ծունցեծրուց մունչենց պատ մունչուն սուր-
մենու օմօրյան, ոյ ուս մյունուրյան սաւ յուու մացա.

Չան պալուսուցուրյուն անուունց պատ գանցուուարյան օբունոծն, ուս գա-
նցաց, հոմ իյմո գամոյզալուց յեցնուց յուլուց ուր յու մերուց
մետուուն լուրտալուս ուն լուսու նուրուց մատ Մյեսասրուլուն պատ, հոմելուն
շացու XVIII սաւյունուս գանմանատլեթլուտ ինոնամ օսաթյան ունուու. մյ մեց-

ველობაში მყავს აქ დავით იუმი, კლოდ პალრიან პელვაციუსი
და სხვ., რომელთაც შესაძლებელი გახადეს მეცნიერებლი მიღებობა
სარწმუნოების განვითარების პრობლემისადმი.

ზემონათქვამიდან გასაგები ხდება, რომ ქვლევის დროს უწინარეს
ყოვლისა ჩემს წინაშე წამოიჭრა ასეთი საკითხი: მართლაც თუ პეტონ-
და მონოთეისტური იდეა ქსენოფანე კოლოფონებლს? საქმე ის არის,
რომ მრავალი მეცნიერი (მათ შორის აქ განსაკუთრებით დასასახლე-
ბელია ფრეიდი და ნიკლაუს რობერტი, რომელმაც ქსენოფანეს უძლენა ფრიად
შნიშვნელოვანი მონოგრაფია („Ueber die Theologie des Xenophanes“), ამტკიცებს, რომ ქსენოფანე იყო არა მონოთეისტი, არამედ
პოლითეისტი, ოლონდ სხვა პოლითეისტებისაგან განსხვავებით მან
მხოლოდ წინ წამოაყენა ის აზრი, რომ მრავალ ღმერთთა შორის არის
ერთი უდიდესი, და იგი სხვებს არა მგავს. ასეთ შეხედულებას არ
შეიძლება მონოთეიზმი ეწოდოს, და ფრეიდნტალიც ქსენოფანეს
მსოფლმხედველობას მონოთეიზმის მაგიერად პენოთეიზმის სახელ-
წოდებას აძლევს.

დაახლოებით იმავე პოზიციას, რომელზედაც ფრეიდნტალი დგის,
იცავს ბევრი სხვა ისტორიკოსი ფილოსოფიისა. ცნობილი მეცნიერი
თეოდორე გომპერცი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ქსენოფანე
არამცო არ იყო მონოთეისტი, რომელიც ახალ შეხედულებას ამჟა-
რებდა, არამედ ის იყო უბრალო რესტავრატორი იმ იდეოლოგიისა,
რომელიც მეექვსე საუკუნის საბერძნეთისათვის დიდი მანძილით უკან
დატოვებული მსოფლმხედველობა იყო. მართალია, ქსენოფანეს მო-
ნოთეისტობას ფრიად გამოჩენილი დამცველებიც ჰყავდა; ცელერი,
დილსი, კილმო ვიცი და სხვები. მაგრამ აღსანიშნავია მაინც
ის ვარემოვბა, რომ ქსენოფანეს მონოთეისტობა, ჩემი აზრით, არ იყო
იმდენად მტკიცედ დასაბუთებული, რომ ზედმეტი ყოფილიყო ამ სა-
კითხის ხელშეირედ გადასინჯვა.

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქსენოფანეს მონოთეისტობა სა-
დაცვ საკითხია, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ წყაროები ქსენოფანეს
ფილოსოფიისა საქმაო სიცხადით არ ამოწმებენ მის მონოთეისტო-
ბას. ეს წყაროები ორ ჯგუფს ეკუთხიან: პირველი ჯგუფი ქსენო-
ფანეს ფილოსოფიის შესასწავლი წყაროებისა არის ქსენოფანესაგან
დარჩენილი ფრაგმენტები. ესენი გაბნეული არიან მოვკიან ხანის
შეწრალთა თხზულებებში და ისტორიულ-ფილოლოგიურად გამოკ-
ლეული არიან პერმან დილსის მიერ, რომლის წიგნითაც „Die

Fragmente der Vorsokratiker“) მე მომიხდა სარგებლობა. რა
თქმა უნდა, მე ვერ შევძლებდი ჩემი გამოკვლევის დაწერას კომი-
დილსს წინასწარ არ შეესრულებინა ამისათვის საჭირო ფილოლო-
გიური მუშაობა. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პერიან დილ-
სის ზემოდასახელებულმა წიგნმა თითქმის ახალი ასპარეზი გაუხსნა
ისტორიულ-ფილოსოფიურ კვლევას, რადგანაც ფილოლოგის არა-
სპეციალისტებისათვისაც მისაწერომი გახდა წინასოკრატული ფი-
ლოსოფის მასალები, და სწორედ ამით აიხსნება ნაწილობრივ ისიც,
რომ გამოკვლევათა რიცხვი წინასოკრატული ფილოსოფის შესახებ
დილსის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

როგორც ვთქვით, ქსენოფანეს ფრაგმენტები საქმაო სიცხადით არ
ამტკიცებენ მის მონოთეისტობას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი
ფრაგმენტია ამ შემთხვევაში: ღმერთებში ერთი ღმერთი ღმერთებსა და
ადამიანებს შორის უდიდესია, მაგრამ ბევრმა მკვლევარმა (და მათ შო-
რის განსაკუთრებით ფრეიდუნგნტალმა) შესაძლებლად დაინახა ამ ფრაგ-
მენტისათვის პოლითეისტური ინტერპრეტაცია მიეცა.

რაკი ქსენოფანესაგან დარჩენილი ფრაგმენტები საქმაოდ ვერ
გვარწმუნებენ ქსენოფანეს მონოთეისტობაში, საჭირო გახდა სხვა წყა-
როებისათვის მიმართვა, ე. ი. მიმართვა არაპირდაპირი წყაროებისა-
თვის, რომელშიც იყვლისხმება ძეველ მწერალთა მოწმობა ქსენო-
ფანეს მსოფლმხედველობის შესახებ. ყველაზე უფრო გარკვეულად
ქსენოფანეს მონოთეისტობაზე მოვაითხრობს ერთი ანონიმური თხზუ-
ლება, რომელმაც წევნს დრომდე მოაღწია და რომელიც ცნობილია
სათაურით „De Melisso Xenophane Gorgia“. მაგრამ, ვიდრე ამ
თხზულებას დავეყრდნობოდი და მის მიერ მოწოდებულ ცნობას
ქსენოფანეს მსოფლმხედველობის შესახებ სანდო მოწმობად ჩავთვ-
ლიდი, საჭირო იყო ამ წყაროს შეფასება.

ანონიმური თხზულებისადმი დამოკიდებულებამ მეცნიერულ ლი-
ტერატურაში თვალსაჩინო ეკოლუცია განიცადა: თავდაპირველად
მის მოწმობას ნდობით ეკიდებოდნენ, რაღანაც ფიქრობდნენ, რომ
ის არის ან არისტოტელეს, ან თეოფრასტეს ნაწარმოები. მაგრამ
თანდათან გაირკვა, რომ არ არსებობს დამარწმუნებელი საბუთი იმი-
სათვის, რომ ეს თხზულება არისტოტელეს ან თეოფრასტეს ნაწერად
ჩავთვალოთ. ამიტომ ნდობითი დამოკიდებულება ანონიმური თხზუ-
ლებისადმი უნდობლობით შეიცვალა. თვით ცელერმა, რომლის თვალ-

საჭრისისათვის ანონიმური თხზულება კარგი საბუთი იქნებოდა, მაგრა
საეჭვო წყაროდ ჩათვალა იგი ქსენოფანეს ფილოსოფიის შესახტავდა.
ცელერის აზრით, ანონიმური თხზულებით შეიძლება სარგებლობა
მხოლოდ როგორც დამატებითი საბუთით ქსენოფანეს შეხედულებათ
გამოკვლევის დროს. თუ პირდაპირი წყაროები ქსენოფანეს ფილოსო-
ფიისა, ან არაპირდაპირი, მაგრამ საქმაოდ დამარწმუნებელი, მოწმობა-
ნი მოვითხრობენ ქსენოფანეს შესახებ ისეთ რასმეს, რაც ანონიმურ
თხზულებაშიც არის ნათქვამი, მხოლოდ მაშინ არის დასაშვები ამ
თხზულების ცნობებით სარგებლობათ, — ამბობს ცელერი.

ცელერის დაფასებას ანონიმური თხზულების ლირსებისა ბერი
მოწინააღმდეგ აღმოუჩნდა. ვანსაკუთრებით მოსახსენებელია აქ
ფრანც კერნი, რომელმაც ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლე-
ვათ მთელ რიგში სცადა აღედგინა ანონიმური თხზულების ლირსება.
დავა ცელერსა და კერნს შორის ანონიმური თხზულების შესახებ
გრძელდებოდა ოციოდე წელს, მაგრამ საკითხი საბოლოოდ მაინც
გადაუწყვეტილი დარჩა და კამათი დამთავრდა იმით, რომ ცელერ-
მა explicite აღიარა, რომ ანონიმური თხზულება შეიძლება ერთი
და იმავე უფლებით ჩავთვალოთ, როგორც ისეთ თხზულებად, რო-
მელიც ეწინააღმდეგება ქსენოფანეს ფრაგმენტებში გამოთქმულ შე-
ხედულებებს, ისე იმვარ თხზულებად, რომელიც ეთანხმება ამ ფრავ-
შენტებს.

ცელერსა და კერნს შორის წარმოებული კამათის ასეთი დაბო-
ლოება არ შეიძლებოდა ჩავვეთვალა ანონიმური თხზულების მნიშვნე-
ლობის დამატებიცებელ გარემოებად. ამიტომ საჭირო გახდა ახალი
არგუმენტების წამოყენება, და მეც ცეცადე ამ არგუმენტებისათვის
მიმემართა. მე სრულიად ავიღე ხელი იმის გარკვევაზე, თუ ვინ იყო ამ
ანონიმური თხზულების ავტორი: იყო ის არისტოტელე თუ თეოფრა-
სტე. — და ცეცადე ცხადმეყო ანონიმური თხზულების მნიშვნელობა
მისი შინაგანი ნიშნების საშუალებით და აგრეთვე მისი დაპირისირე-
ბით სხვა სანდო მოწმობებთან, როგორიც არის, მაგალითად, მოწ-
მობა სიმპლიკოსისა, რომელიც აკადემიის უკანასკნელი წარმომა-
დგენილი იყო. სიმპლიკოსი სწორედ ისე ახასიათებს ქსენოფანეს,
როგორც ანონიმი. შესაძლებელია ისიც კი ითქვას, რომ თავის მო-
წმობაში ქსენოფანეს შესახებ სიმპლიკოსი დამოკიდებული უნდა
ყოფილიყო სწორედ ამ ანონიმურ თხზულებაზე. თუ სიმპლიკოსის,
რომელიც ანტიკური მწერლობის საუკეთესო მცოდნედ შეიძლება
ჩაითვალოს, ანონიმური თხზულება სანდო წყაროდ მიაჩნდა, მაშინ

ცხადია, რომ არც ჩვენ გვაქვს საფუძველი მას უნდობლად მოვეძე-
რათ, ვინაიდან სიმპლიკოსზე უფრო ახლო ძველი საბერძნეთის ფი-
ლოსოფიურ მწერლობას არავინ იცნობს დღეს.

რაი ანონიმური თხზულების (De Melisso Xenophane Gorgia)
მიერ მოწოდებულ ცნობათა მნიშვნელობა ცხადი შეიქნა, ამით
გადაწყდა ჩემთვის ქსენოფანეს მონოთეისტობის პრობლემაც, ვინაი-
დან ამ ანონიმურ თხზულებაში გარკვეულად დამოწმებულია, რომ
ქსენოფანეს მოძღვრება მონოთეისტური იყო.

ვას შემდეგ, რაც ქსენოფანეს მონოთეისტობა დამტკიცებულ
ფაქტად იქცა, საჭირო იყო ამ მონოთეიზმის დეტალების შესწავლა.
უწინარეს ყოვლისა, უნდა გამერკვია ის, თუ როგორ ესმოდა ქსენო-
ფანეს დევთაება: პანთეისტურად თუ თეისტურად?

ფილოსოფიის ისტორიკოსთა შორის ძალიან გავრცელებულია აზრი,
რომ ქსენოფანეს მოძღვრება არის პანთეიზმი. აյ ეთანხმებიან ერთ-
მანეთს ისეთი მეცნიერებიც კი, რომელნიც სხვა საკითხში ერთი-
მეორეს რადიკალურად ეწინააღმდეგებიან. თუ ქსენოფანე პანთეი-
სტი იყო, მაშინ ის მთლად არ გამიჯვნია პოლითეისტურ იდეო-
ლოგიას, ვინაიდან პოლითეიზმი არსებითად პანთეისტურ საფუძ-
ველზე არის ავებული. პანთეიზმი აიგივებს ღმერთსა და ბუნებას.
თუ მიემართეთ სპინოზას ტერმინოლოგიას, რომელმაც ყველაზე
უფრო დასაბუთებული პანთეისტური ფილოსოფია შექმნა, ღმერთი
პანთეისტისათვის ბუნების გარეშე კი არ იმყოფება, არამედ ის შიგ
ამ ბუნებაშია მოცემული. როგორც მისი სუბსტანცია: Deus est
omnipotens rerum causa immanens, non vero transiens, ამბობს
სპინოზა, რომლის „ეთია“-ში ტერმინი „ღმერთი“ ხშირად იხმარება
„ბუნება“-სიტყვის ნაცვლად: Deus sive natura.

პოლითეისტური რელიგია იყო ბუნების ძალთა გალმერთება. თავ-
დაპირებულად წარმართი კაცობრიობა ვერ სწვდებოდა ბუნების მთლი-
ანობასა და ერთობას. მისთვის ბუნება მრავალ მოვლენათა ჯამი
იყო და თითოეულს, მეტად თუ ნაკლებად საყურადღებო მოვლენას,
ის ღმერთად აცხადებდა. თანდათან იმის მიხედვით, თუ როგორ წი-
ნაურდებოდა კაცობრიობა ინტელექტუალურად, ის სწვდებოდა მოვ-
ლენათა ურთიერთეავშირს და ამრიგად მრავალი ერთიმეორისაგან ჯერ
განცალკევებული ღმერთები. უკავშირდებოდნენ მის წარმოდგენაში
ერთმანეთს და ერთი მთავარი ღმერთის ქვეშევრდომნი ხდებოდნენ,

ამით ისინი კარგავდნენ პირვანდელ თავისთავადობას. პოლიტეკნიკური რელიგიის ვითარების ამ გზაზე უკვე იჩინა თავი საბერძნეთის მისტერიებში, სადაც ზექსი გამოტხადებულია მსოფლიოს თავად, შეაგულად და ბოლოდ. განსაკუთრებით კი ჩამოყალიბდა ეს პანთეიზმი სტოელთა სეკლაში, რომელიც ერთი უკანასკნელი ნაყოფია ანტიკური ფიზიკა.

ქსენოფანეს ფილოსოფია, ჩემი აზრით, არ იყო პანთეიზმი, და ეს გარემოება კიდევ უფრო აშორებს მას პოლიტეკნიკისაგან და უფრო გარევეული მონოთეიზმის სახეს აძლევს ამ მოძღვრებას. მართალია, ჩვენი წყაროები მთლად ცხადად არ ამტკიცებენ იმას, რომ ქსენოფანე არ იყო პანთეიზტი, მაგრამ ეს წყაროები არც იმას ამტკიცებენ საქმათ სიცხადით, რომ მისი მოძღვრება იყო პანთეიზმი, — გარემოება, რომელიც აღიარა უკვე ასეთმა ავტორიტეტიანმა ფილოლოგმა, როგორიც იყო ბერ კი.

რაფ ქსენოფანეს პანთეიზტობის პრობლემა არც პირდაპირი, არც არაპირდაპირი წყაროების მეშვეობით არ წყდებოდა, საჭირო იყო ან სრულად ხელის აღება ამ პრობლემის გადაწყვეტაზე, ან მიმართვა სხვა გვარის მოსაზრებათათვის. სწორედ აქ წარმოდგა ჩემს წინაშე მთელი სიერძე-სიგანით ქსენოფანეს მნიშვნელობა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის.

ქსენოფანე დამარსებელია ელეატური მიმდინარეობისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ფილოსოფიური აზროვნების ევოლუციაში. უკვე პლატონი, რომლის იდეათა თეორია ელეატიზმის საფუძველზე წარმოიშვა, ქსენოფანეს ელეატიზმის დამაარსებლად თვლიდა. ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე არისტოტელე, რომელიც ამბობს, რომ პარმენიდე იყო ქსენოფანეს მოწაფეო.

აქ ახალი საშუალება გაჩნდა ჩვენი პრობლემის გადასაწყვეტად: ქსენოფანეს პანთეიზტობის თუ თეისტობის პრობლემების გადასაჭრელად მე მიემართე ელეატიზმის სხვა წარმომადგენელთა შესწავლას, განსაკუთრებით დიდი დახმარება გამიწია აქ რეინ ჰარტმა, რომელმაც 1917 წელს დაბეჭდილს ოხულებაში „Parmenides und die Geschichte der griechischen Philosophie“ ფრიად საყურადღებო კონცეფცია მოგვცა ელეატიზმისა. ამ კონცეფციით ის რადიკალურად გაემიჯნა საბერძნეთის ფილოსოფიის ყველაზე უფრო სახელოვან მეცნიერებას ედუარდ ცელერს. უკანასკნელის შეხედულებით, მთელი წინასოკრატული ფილოსოფია იყო ფიზიკა. აქ კერძოდ არ იცნობდნენ ლოგიკისა და ეთიკის საკითხებს. ამ შეხედუ-

ლების თანახმად, ელეატიზმიც რჩება, ცელერის გავებით, ფინიკის ფარგლებში, და ელეატური არის არის ფიზიკური სუბსტანცია ან განუენილი ნივთიერება. ცელერი ამტკიცებს, რომ ელეატური ფილოსოფია წარმოშობაა აბსტრაქციის გზით მიღებური ფიზიკისაგან. უკანასკნელი ეძებდა საგანთა საწყისს: ერთმა იპოვა საწყისი წყალში, მეორემ რაღაც უსაზღვროში, მესამემ ჰაერში. ელეატებმა კი საწყისს მოაცილეს კონკრეტული ნივთიერების ნიშნები და შეღებად მიიღეს აბსტრაქტული ცნება ნივთიერებისა. ეს არის სწორედ ელეატების არსი. ის ფიზიკური არსია, რომელსაც არ ამძმებს არც ერთი კონკრეტული ნივთიერების სპეციფიკურობა. არსი არ არის არც წყალი, არც ჰაერი, არც ცეცხლი, არც სხვა. რომელიმე სტიქიონი. ის არის მხოლოდ ნივთიერება საზოგადოდ. აი ასეთი ნივთიერება ჩათვალეს ელეატებმა მოვლენათა სუბსტრატად, მათ საწყისად. ამრიგად, მთელი განსხვავება ელეატური ფილოსოფიისა მიღებურისაგან იმაში მდგომარეობდა, რომ იმ დროს, როდესაც მიღებულები საგანთა სუბსტრატად კონკრეტულს ან გრძნობათა საშუალებით საწყდომ ნივთიერებას აცხადებდნენ, ელეატებმა საგანთა სუბსტრატად ცნეს ნივთიერება საზოგადოდ, რომელსაც არც ერთი კონკრეტული ნივთიერების სპეციფიკური თვისება არ პქონდა და მხოლოდ ყველა ნივთიერებისათვის საზოგადო თვისებებს შეიცავდა. ასეთი ნივთიერების ცნებამდე კი ელეატები მიეიღნენ მიღებური საწყისის ანალიზისა და მისგან ზედმეტი ელემენტების გამორიცხვის საშუალებით. ერთი სიტყვით, ელეატიზმი, ცელერის გავებით, მდებარეობს აზროვნების განვითარების იმავე ხაზზე, რომელზედაც იმყოფება მიღებური ფიზიკა. აზროვნების განვითარება არის მხოლოდ განზოგადების ახალ საფეხურებზე ასელა, ანალიზის გაღრმავება, წინააღმდეგობათა დაძლევა, ელეატიზმიც არის ნაშთი მიღებური ფიზიკის ლოგიკური ანალიზისა, და როგორც ასეთი, თვითონ ისიც ფიზიკის ფარგლებში რჩება. ასეთია, დაახლოებით, ცელერის გავება ელეატური ფილოსოფიისა, — გავება, რომელსაც საჭმაოდ გრძელი ისტორია აქვს.

სწორედ ამ გავებას წინ აღუდგა რეინ ჰარტი. მან სრულიად განსხვავებული კონცეფცია მოვცა ელეატიზმისა, რეინპარტმა და-ამტკიცა, რომ პარმენიდეს ფილოსოფია არ იყო ფიზიკა. მან ცხადყო, რომ „პარმენიდე იყო დიდი რევოლუციონერი, რომელიც ფი-

ზიკურ აზროვნებას პირსახეში სცემდა, სადაც კი ეხერტებოდა", „პარმენიდეს ეზიზლებოდა აზრთა ფიზიკური მსვლელობა", ჩადგანაცის იყო „პირველი ლოგიოსი". ამის შესაფერისად ესმის რეინცარტს პარმენიდეს არსიც: უკანასკნელი სრულიადაც არ არის საწყისი არხე მიღეტური ფიზიკის გაგებით. არსი არის პარმენიდესათვის ცნება არსისა, და არა ნივთიერება. თუ მიღეტის ფიზიკისებისათვის არხე იყო ფიზიკური მიზეზი სავნებისა, პარმენიდესათვის არსი არის ლოგიკური საბუთი არსობისა.

ელეატერი ფილოსოფიის ცენტრალური წარმომადგენლის ახერომა ინტერპრეტაციამ ახალი შუქი მოფინა ქსენოფანეს მოძღვრებასაც. უდავოდ არის ცნობილი, რომ ქსენოფანეს ღმერთი ეთანაბრება პარმენიდეს არსს. მაგრამ თუ არსი არ არის ნივთიერი არსი, რომელიც მიღეტური არხეს მსგავსად მატერიალურ სუბსტრატად უდევს მოვლენათა მრავალფეროვნებას, მაშინ არც ქსენოფანეს ღმერთი უნდა იყოს ნივთიერი არსი, რომლისგანაც არიან ფიზიკურად შემდგარი ბუნებრივი მოვლენები. და ეს მით უმეტეს, რომ ამგვარი გაგება ქსენოფანეს მოძღვრებისა გვაიძლებს, ქსენოფანე ჰილომისტად გამოვატადოთ, როგორც ამას დერინგის მაგალითი გვიჩვენებს. დერინგი ამტკიცებდა, რომ ღმერთი ქსენოფანესათვის იგივე იყო რაც დედამიწა, ან ის, რასაც ბერძნულ მითოლოგიაში გაია ეწოდება. მთერამ უკვე თვით ქსენოფანესაგან დარჩენილი ფრაგმენტები გვიმტკიცებენ, რომ ქსენოფანეს თავისებურება სწორედ ის იყო, რომ წინ აღუდგა ნატურალისტური რელიგიის ღმერთებს, მათ შორის გაიასაც, და ღვთაება დასახა გარეშე აღამიანთა და საზოგადო მთელი ბუნებისა. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ისიც, რომ ყველა, ვინც ქსენოფანეს ღმერთში ნივთიერებას ხედავს, ვერ ახერხებს ახსნას ერთი ფრიად საყურადღებო მოწმობა თეოფრასტესი, რომ ქსენოფანეს ღმერთი იყო „არც განსაზღვრული და არც უსაზღვრო, არც მოძრავი და არც უძრავი“. მა მოწმობის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ მივიღებთ, რომ ქსენოფანესათვის ღმერთი არ იყო (განუვილი) ნივთიერება. და, როგორც განუვილელი, ის არ იყო კრუელად არც განსაზღვრული, არც უსაზღვრო.

ასეთი გაგებით, ქსენოფანე წარმოდგება ჩვენს წინაშე, როგორც პირველი თეისტი საბერძნეთში, რომელიც წინ უსწრებს თვით ანაქსავორას, ქსენოფანეს ღმერთი უფრო მაღალი ხარისხის ცნებაა,

ეიღო ანაქსაგორას ნუსი, რომელიც ანაქსაგორას ფიზიურ ტერ-
განებში პქონდა მაინც გააზრებული. ეს გარემოება აქცევს ქსენოფონ-
ფანეს ფილოსოფიას საყურადღებო მოვლენად არა მხოლოდ ფილო-
სოფიის ისტორიკოსისათვის, არამედ კულტურის ისტორიკოსისათვი-
საც. ქსენოფანე სავირტეული მოაზროვნება მთელ ანტიურ კაცობრიო-
ბაში. ამიტომ საჭირო იყო მისი მოძღვრების ფსიქოლოგიური გენე-
ზისის გარკვევა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად კი მომიხდა გა-
მოკველევა ქსენოფანეს პოროვნებისა და აგრეთვე იმ საზოგადოებრივი
წრისა, რომელშიაც ქსენოფანე ვითარდებოდა. ჩემი ამოცანა აქ ის
იყო, რომ ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებში, რაც ჩენ ქსენოფანეს
შესახებ მოგვეპოვება, აღმოჩენისა ისეთი ფაქტები, რომლებიც გასა-
ვებად გახდიდნენ ქსენოფანეს მოძღვრების წარმოშობას. აქ მხედვე-
ლობაში იყო მიღებული ქსენოფანეს პოლემიკა ბერძნული პოლიტიკ-
ის ანთროპომორფიზმის წინააღმდევ, ვინაიდან ეს პოლემიკა დამახა-
სიათებელია თვით ქსენოფანეს აზრთა წყობისათვისაც.

მთელი კელევის შედეგად ქსენოფანე კოლოფონელის სახით, ჩემს
წინაშე წარმოდგა დიდი მოქალაქე, დეკინილი ამ ქვეყნის უკუღმართო-
ბით. ნატურალისტური ოპტიმიზმი პომეროსის დინჯი ეპოსისა ასეთ
კაცს უერ დააქმაყოფილებდა, და ის მთელი თავისი ენერგიით წინ
აღუდგა პომეროს-ჰესიოდეს პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელ-
შიაც ის ჭვრეტიდა როვორც სამშობლო ქვეყნის დაცემისა, ისე საკუ-
თარი თავის უბედურების მთავარ მიზეზს. პირადი ცხოვრების გამოც-
ალებამ მოსწყვიტა ქსენოფანე თავის წრეს და მოხეტიალე ინტელი-
გენტიად აქცია. აუცილებელი შეიქნა ძევლი იდეალების გაკრიტიკება,
და ამ კრიტიკამ, რომელსაც წმინდა ზნეობრივი საფუძველი პქონდა,
ახალი მსოფლგანცდის წინამორბედად გახადა ქსენოფანე.

ასე იქნა დაწერილი ჩემი წიგნი. მე არ ვუიქრობ სრულიად, რომ
ჩემი ინტერპრეტაცია ქსენოფანეს მოძღვრებისა ყველასათვის მისაღე-
ბი იყოს. შეიძლება, იქ ვამოთქმულ ზოგიერთ დებულებას მეტი
დასაბუთება სჭირდებოდა. მაგრამ ისიც საქმარისია, თუ დამეთანხმე-
ბიან, რომ ჩემს წიგნში მოცემულია ქსენოფანეს შესახებ საკუთარი
აზრის შედგენის ერთ-ერთი ცდა.

სოკატას ფილოსოფია*

გ ა ს ა ვ ა ლ ი

§ 1. წყაროები სოკრატეს ფილოსოფიის შესახულად

სოკრატეს არ დაუწერია არც ერთი ფილოსოფიური თხზულება. ჩვენთვის ეს საკვირველიც კი არის, რადგან თანამედროვე ეპოქა, როდესაც განვითარებული საწარმოო ტექნიკა აღვილად იძლევა საშუალებას მცირე მნიშვნელობის აზრებიც კი დაბეჭდილი წიგნების, ეურნალების და განხეთების სახით მოეფინოს ფართო მასებს, ვერ ეგუება ზეპირ ფილოსოფიას, და სქელტანიან წიგნებში ჩამოუსხმელ ფილოსოფიურ თეორიას ეჭვის თვალით უცქერის. მაგრამ სხვა იყო სოკრატეს ეპოქა. აზრთა ჭიდილი და დააბული ფილოსოფიური შემოქმედება ამ დროს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ ეძებდა დაწერილი სიტყვის სამოსელს და ქმაყოფილდებოდა ხშირად ზეპირი სიტყვის ფორმით. გარდა ამისა, თეოთონ სოკრატეს ფილოსოფიური მოღვაწეობის სპეციფიკური ხასიათიც აღარ მოითხოვდა სოკრატესაგან, რომ მას დაწერილ თხზულებაში ჩამოყალიბებინა თავისი ფილოსოფია: სოკრატესათვის ფილოსოფია იყო აზროვნების ცოცხალი პროცესი და არა წიგნებში დაგროვებული მკვდარი სიბრძნე. არც ისე საოცარია ამის შემდეგ, რომ საბერძნეთის ერთი უდიდესი მოაზროვნის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება დღეს ისეთი წყარო, რომელიც პირდაპირ მისგან მომდინარეობდეს, და ამიტომ იძულებული ვართ, არაპირდაპირი წყაროებით დავკმაყოფილდეთ.

სოკრატეს ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ ანტიკურმა მწერლობამ ჩვენ მრავალი ცნობა დაგვიტოვა. ამ ცნობებს, ცხადია, ერთნაირი ღირებულება არ შეიძლება პქონდეთ. სხვებშე უფრო უხვ ცნობებს სოკრატეს შესახებ გვაწვდიან ქსენოფონტე და პლატონი, რომლებიც სოკრატეს თანამედროვენი იყვნენ, დიდი ხნის განმავლო-

* ს. დაწერილია, ნაშრომიდან... სოკრატეს ფილოსოფია, თბილისი, 1935 წ. გვ. 3—74.

გაში იმყოფებოდნენ მასთან პირად ურთიერთობაში და მრავალჯერ ფორილან მისი მოღვაწეობის უშუალო მოწმენი. სხვადასხვა წერტილი-დან აშექებენ ქსენოფონტე და პლატონი სოკრატეს პიროვნებას; და ეს უკანასკნელიც ამის გამო თითქმის სტერეოსკოპული სიცხველით წარმოგვიდგება თვალწინ. თითოეული ცდილობს, სოკრატეს მოღვაწე-იპაში ის დაანახოს მყითხელს, რაც მას თვითონ მოსწონდა ამ იშვიათ აღამიანში. „ანაბაზისის“ და „ეკონომიკის“ ავტორი ქსენოფონტე დიდი პრაქტიკული გამოცდილების პატრონი იყო და სწორედ ამ პრაქტიკულ-უტილიტარულ მხარეს ამჩნევდა და აფასებდა ის სოკრატეს მოღვაწეობაში. ამიტომ თავის თხზულებებში (*Memorabilia, Apologia*)¹, რომლებიც მან სოკრატეს მოღვაწეობის აღწერას უძღვნა, ქსენოფონტეს ფსიქოლოგიურად აღარ შეეძლო არ წარმოედგინა სოკრატე, როგორც ფხიზელი ჭკუის პრაქტიკოსი, რომლისათვის უცხოა ყოველგვარი ოცნება და გატაცება, ყოველგვარი ენთუზიაზმი. სოკრატეს მოღვაწეობიდან ქსენოფონტეს ამოკრეფილი აქვს ისეთი ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ათენელ მოაზროვნეს, როგორც დინჯს, უაღრესად პატიოსანს, ჭკუადამჯდარს და ძველებური სათონებით აღჭურებილ პიროვნებას, მაგრამ ამავე დროს, ცოტა არ იყოს, მოსაწყენ პედანტს. გადაჭარბება არ იქნება, თუ ითქვა, რომ სოკრატეს პორტრეტი, რომელიც ქსენოფონტემ მოგვცა, იმდენად შეეფერება ნამდვილ სოკრატეს, რამდენადაც ერთი კუთხიდან გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი შესაძლებელია თავის თრივინალს შეეფერებოდეს. ქსენოფონტეს კალმით სოკრატეს სახე დავიწროვდა, გაბრტყელდა და შესამჩნევი ვულგარიზაცია განიცადა: ის დაემსგავსა ცხოვრების იმ უტილიტარისტულად შეფერილს ვიწრო იდეალს, რომელიც ქონდა ფილოსოფიური ეროსისაგან შორს მდგომ ქსენოფონტეს² და

¹ უკანასკნელი თხზულების შესახვა აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი არ თვლის მას ქსენოფონტეს ნაწარმოებად, ზოგიკეთი კი იცავს ამის საწინააღმდეგო შეხედულებას, შერ. Ueberweg-Praechter. Gesch. d. Philos. I, 147.

² შერ. Brandis, Griech.-röm. Philos., II a. 40 f. კარლ იოელი, Gesch. der antiken Philos., I, 740 ff., ამტუებს, რომ ქსენოფონტე განიცემდა ერთის მხრით სამხედრო წესწყობილებით ცნობილ სპარტანელთა დორიზის, ხოლო მეორეს მხრით ანტისთერენს კინოზ მის გაედენს, და სწორედ ეს გარემოება იყო ამის მიზნები, რომ ქსენოფონტემ ეკრ შესმლო ატაციზათ გაედენილი სოკრატეს სწორი ასახვაო, იოელის თქმით, ქსენოფონტემ

და თუმცა ფაქტები, რომლებსაც გვაწვდის ქსენოფონტე სოკრატეს შესახებ, სწორი და სანდოა, ცალ-ცალკე თუ ავიღეთ ისინი, მაგრამ პროპორცია ამ ფაქტებისა, მათი ურთიერთი დამოკიდებულება და ხვედრითი წონა სწორად არ არიან წარმოდგენილი, ვინაიდან თვითონ ქსენოფონტეს არ ესმოდა კარგად ამ ფაქტების სიღრმე და მათი ფილოსოფიური აზრი, ამიტომ ქსენოფონტეს მიერ დახატული პორტრეტი სოკრატესი, როგორც ეს შლეიერმახერმა აღნიშნა.

მოახდინა ისტორიული სოკრატეს „კინიზაცია“ როგორც ატიციშმის ტაბიური წარმომადგენელი, სოკრატე იყო თეორეტიკოსი, რაც იმინადასტი და იალექტიკოსი; ქსენოფონტემ კი სოკრატე აქცია ნების ერთობლად — აშობს იოელი. უნდა აღინიშნოს, რომ ოველის კონსტრუქცია იმაზე უკრო შორის მიღის, რის უფლებასც ფაქტები გვაძლევენ. პრეჩტერის სიტყვით, ოველის კონცეცია „beruth auf einem schwanken Hypotesenbau“. Ueberw. I, 149. მაგრამ იმ აზრს, რომ სოკრატეს მოძღვრების აჩხებას ქსენოფონტე ვერ ჩაწერა, იმდენად ურყევ დებულებად სოველ იოველიც, რომ ის აშენებს ამ აზრზე ძალან ფართო პილოთებას.

¹ ლერინგის სიტყვით (Die Lehre des Sokrates als soziales Reformsystem, 78), ქსენოფონტე აზრი „ein Spediteur, der uns die War ueberliefert, deren wahre Beschaffenheit er selbst nur unvollständig kennt, die er aber ehrlich und zuverlässig weiter befördert“.

² მე-18 საუკუნიდან სოკრატეს ფილოსოფიის ერთადერთ სანდო წყაროდ უკრიტიკოდ ითვლებოდა ქსენოფონტეს Memorabilia, სანამ ჯერ დისენტა 1812 წელს, შემდეგ კი 1818 წელს შევეირმახერმა არ შეიტანეს ეჭვა ქსენოფონტეს მოწმობებში. შევეირმახერი თავის გამოკლევებში „Ueber d. Wert d. Sokr. als Philosophen“ ამტკიცებდა, რომ ქსენოფონტეს არ შეეძლო სოკრატეს მოძღვრების სწორი დახასიათება მოეცა, კინაღან თვითონ ქსენოფონტე არ იყო უძლისოფითი, ფილოსოფიური მოძღვრების სწორი დახასიათება კი მხოლოდ ფილოსოფის შეეძლათ. წინააღმდეგ ამისა პეველი. Vorles. üb. d. Gesch. d. Philos. II, 69, და შინ კედლად ცელებიც, D. Phil. d. Griechen, II, 82, 94 158, 183, იცავდნენ ქსენოფონტეს ცნობებს. ცელების აზრით, ქსენოფონტეს ცნობები სოკრატეს შესახებ არ ეწინააღმდევებიან პლატონის ცნობებს, თუ ამ კუანასენელთა შორის ავიდებთ მხოლოდ იმ შეხედულებებს, რომლებიც უკვეცად უკუთხოდა სოკრატეს. მართალია, ქსენოფონტეს გადმოცემაში სოკრატეს მიწერილი აქვს ერთმანეთის საწინააღმდევო აზრები, პლატონის გადმოცემაში კი ამ წინააღმდევობებს აღარ აქვს აღვილი. მაგრამ წინააღმდევობა ქსენოფონტეს კი არ გამოუკინება, არამედ თვითონ სოკრატეს უნდა პქონებოდა იგი ნამდვილად. თუ კი პლატონის გადმოცემაში ამ წინააღმდევობებს აღარ ვპოულობთ, ეს, ცელების აზრით, ამტკიცებს, რომ პლატონის შეუსწორებია სოკრატეს მოძღვრება. როგორც ვხე-

არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულად მართალ პორტუგალიად, რო-
მელსაც არავითარი შესწორება აღარ სჭირდება და რომელიც უკრიტიკული
კოდ უნდა იქნეს მიღებული. რომ სოკრატე ისეთი გულვიზრო რეზონე-
რი და ფხიზელი „საქმის კაცი“ ყოფილიყო, როგორც მას ქსენოფონტე
წარმოგვიძევნს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, როგორ მოხდა, რომ
ასეთმა უფრესულმა და პროზაულმა პდამიანმა თავის გარშემო შემოიკ-
რიბა საბერძნეთის უნიკიტერესი ახალგაზრდობა, რომელსაც აღურთო-
ვანების ნაკლებობას ვერავინ დასწამებს. ქსენოფონტე მართალია
წერილმანებში, მაგრამ ცდება მთავარში. ის ხედავს სოკრატეს მოძ-
ლვრების მძივებს, მაგრამ ვერ ამჩნევს კარგად იმ ძალს, რომელზედაც
ეს მძივები იყო აცმული.

თუ ქსენოფონტემ გააბრტყელა და დაავიწროვა სოკრატეს სახე, წი-
ნააღმდეგ ამისა პლატონმა გააღრმავა და გააფართოვა უკანასკნელი.
ქსენოფონტე ამდაბლებდა სოკრატეს, რადგან იგი ვერ შეწვდა მას;
პლატონს კი, პირიქით, ზეცამდის აპყავდა სოკრატე, რადგან თვითონ
პლატონი ვერ ეტეოდა უკვე სოკრატეს ფილოსოფიური პიროვნების
ფარგლებში. თავის დიალოგებში პლატონს წარმოდგენილი პყავს
სოკრატე, როგორც მთავარი პერსონაჟი, რომელიც მიმართულებას
აძლევს ფილოსოფიურ საუბარს და გამოყავს ამ საუბრიდან ის დას-
კვნები, რომლების გამოყვანაც სურდა თვითონ პლატონს. ამ დიალო-
გებში წამლილია საზღვარი სოკრატეს ფილოსოფიასა და თვითონ
პლატონის საკუთარ სისტემას შორის: აქ სოკრატეს ათქმევინებენ
ყველაფერს, რაც კი პლატონის ფილოსოფიის შინაარსს შეადგენდა. რა
უნდა მიეწეროს ამ შინაარსიდან სწორედ სოკრატეს, პლატონის დია-
ლოგებიდან აღარ იჩვევა. ყოველ შემთხვევაში სოკრატეს შეიძლება
აქედან მიეკუთვნოს მხოლოდ ზოგიერთი პრინციპი და არა მათი დეტა-
ლური განვითარება, რომელიც მხოლოდ პლატონის მიერ იყო პირადად
გაკეთებული. მაგალითად, პლატონი მიაწერს სოკრატეს იდეათა თეო-

ზავთ, ქსენოფონტეს ცნობების რეპილიტაციას ცელური აკეთებს სოკრატეს მოძლე-
ბებისათვის წინააღმდეგობის მიწერით. ცელურს ჩადენილი აქვს petitio principii
საფილი, თუ რამდენად სანდოა წყარო, წყდება ცელურთან სოკრატეს მოძლეობის
შინაარსზე მითითებით, რაც თავის შერიც თვითონ გულისხმობს უკვე. რომ წყა-
რების საკითხი გადაწყვეტილია.

რიას, მაგრამ არისტოტელეს უტყუარი ცნობით იდეათა თეორიის შექმნა პლატონის საქმე იყო და არა სოკრატესი!

აზროვნების ისტორია არ იცნობს მასწავლებლისადმი ისეთი ღრმა პატივისცემისა და ისეთი უანგარო სიყვარულის მეორე მაგალითს, როგორსაც იჩენს პლატონი სოკრატეს მიმართ. პლატონის გადმოცემაში ყველაფერი, რაც კი პლატონმა იცოდა, იყო სოკრატეს ცოდნა, თვითონ სოკრატე კი იყო ფილოსოფიის ცოცხალი განსახიერება, აბსოლუტურად სპეტაკი არსება, ნათელი ნიმბით შემოსილი პიროვნება, თავისებური წმინდანი, რომელსაც არაეითარი ჩირქი არასოდეს არ მოცხებია, რომელიც ყოველგვარ მდაბალ ინტერესებშე მაღლა იდგა და, მარადიული იდეისადმი ცოცხალი ეროსით შეცყრობილი, ზევილან დასცექეროდა წუთისოფლის ორომტრიალს. რა თქმა უნდა, პლატონის დიალოგებიც, როგორც თავისებური Wahrheit und Dichtung, სოკრატეს ისტორიულ სახეს არ იძლევიან. ასეთი მიზანი, ცხადია, არც პლატონს ჰქონდა, და, რამდენადაც ეს დიალოგები ასწორებენ ქსენოფონტეს მიერ მოწოდებულ ცნობებს სოკრატეს შესახებ, იმდენად თვითონ მათაც სჭირდებათ ამ უკანასკნელ ცნობებთან დაპირისპირება, რათა სოკრატეს ისტორიული სახე სწორად იქნეს წარმოდგენილი და გადაჭარბებას აღარ ექნეს აღილი. როგორც ისტორიული სოკრატეს შესახებ ცნობათა მომწოდებელი წყაროები, უფრო მნიშვნელოვანია ამ დიალოგებს შორის პლატონის განვითარების ე.წ. „სოკრატულს პერიოდში“ დაწერილი დიალოგები (ლახეტი, პიბის უმცროსი, ხარმილი, იონი, ევტიურონი) და აგრეთვე „კრიტონი“ და „სოკრატეს პოლოგია“, რომელიც პლატონმა დაწერა აღმართ უშუალოდ სოკრატეს გარდაცვალების შემდეგ. განსაუთრებით აღსანიშნავია „სოკრატეს პოლოგია“, სადაც მოცემულია სოკრატეს ცხოვ-

¹ შრ. Iocel, I. 734, II. ცელერის აზრით, II, 154, პლატონი ბექრს რასმე ათქვევინებს სოკრატს ისეთს, „was er nie gesagt hat, oder gesagt haben kann“. ამის საწინააღმდევოდ ბერნეტი (Phaedon)-ის გამოცემის წინასიტყვაობაში) და ა. ტეილორი (Variæ Socratæca) ამტკიცებული რომ პლატონის სოკრატე ისტორიული სოკრატე, ეთნადან პლატონმა, არამცუუ აღრინდელი პერიოდის დიალოგებში, არამედ უფრო კვიდან დაწერილს დიალოგებშიც კი შხვალოდ ის ათქმევინა სოკრატის, რასაც უკანასკნელი ნამდვილად იყენობდათ. ბერნეტისა და ტეილორის შეხედულება კურ ცვეულა იმ ფაქტს, რომ თანასმად ბესეს შენიშვნისა, ჩეკ უკე არისტოტელის მოწოდების გამო იძულებული ვართ „zur Scheidung zwischen sokratischen und platonischen Lehrgut“. Ueb. Prächt., I, 153.

რების დრამატული აღწერა და ნათელყოფილია, რომ სოერატე იყო უწინარეს ყოვლისა „სიბრძნის მაძიებელი“ ადამიანი, რომლისათვის ეს თეორიული ძიება შეაღენდა ცხოვრების მთავარ მიზანს.

მესამე თვალსაჩინო მოწმე სოერატეს შესახებ არის ჩენითვის არისტოტელე, რომელიც ქრონოლოგიურად პლატონსა და ქსენოფონტეზე უფრო დაშორებული იყო სოერატესაგან და უკვე ამ მიზეზის გამო შეეძლო მეტი ობიექტითვობით მიღვომოდა სოერატეს მოძღვრებას¹. მართალია, არისტოტელე არ გვაძლევს სოერატეს მოღვაწეს სახეს, მაგრამ სოერატეს მოძღვრების მთავარი დებულებები მას მეტი სიზუსტით აქვს გადმოცემული, ვიდრე ქსენოფონტეს და პლატონს. ამტკიმ არისტოტელეს ცნობები სოერატეს შესახებ წარმოადგენენ იმ ცნობათა აუცილებელ კორექტივს, რომლებსაც ვვაწვდიან პლატონი და ქსენოფონტე.

რაც შეეხება ანტიკური დიტერატურის დანარჩენ წარმომადგენელთა ცნობებს სოერატეს შესახებ (მათ შორის ვანსაკუთრებით აღსანიშნავია ციცერონისა და დიოგენე ლაერტის მოწმობები), ისინი ან ზემოდასახელებული სამი მწერლის ცნობებიდან არიან დამოკიდებული, ან თავისუფალი უანტაზის ნაყოფს წარმოადგენენ და, როგორც ასეთები, მოკლებული არიან ისტორიულ მნიშვნელობას.

სოერატეს ისტორიულ-ფილოსოფიური არაგიგა

§ 2. პერძნული აზროვნების კოსმოლოგიური პერიოდი

სოერატე ეკუთვნის ანტიკური ფილოსოფიის განვითარების იმ პერიოდს, რომელიც ძირითადად ვანსხვავდება უფრო აღრე არსებულ პერიოდისაგან. უკანასკნელს ეწოდება ანტიკური ფილოსოფიის კოს-

¹ დურინგი, წინააღმდეგ ამინა, უიქრობდა, რომ არისტოტელეს მიერ მოწიფებული ცნობები სოერატეზე წარმოადგენენ ქველს აეფრიშიში სოერატეს შესახებ დაკანონებული შეხედულებების უძრავთ რეზოუმეს, მა როგორც ასეთებს, მათ აკლიათ აუტოპისის ნიშვნელობა, და თავისი ღირსებით ისინი ჩამოვარდებან ქსენოფონტეს ცნობებს სოერატეზე. ეს სკამტიკური დაფასება არისტოტელეს ცნობებისა ძალიან სახიდათა ფილოსოფიის ისტორიებისათვის, ვინაიდან ის გზას უსხნის არისტოტელეს ნიმილისტურ უარყოფას, რომელს ნიმუშს იძლევა, მაგალითად, ლევან-შეიმი თავის გამოყვლევაში Die Wissenschaft des Demokrits, 1914, 14, და ვატლის ხელით ანტიკური ფილოსოფიის შესწავლისათვის აუცილებლად საჭირო ხატილისუანელო ძალს.

მოლოგიური პერიოდი (შეიძლებოდა მისთვის ფიზიკალური ან ნატურალობსოფიური პერიოდიც გვეწოდებინა), ვინაიდან ამ პერიოდის მოაზროვნეთა მომეტებული ნაწილი უფრო კოსმოსის ან ბუნების პრობლემებს იყვლევდა¹. გავიხსენოთ, რომ ბუნება, ე. ი., რაც ბაღებს და აჩენს, ან რაც დაბადებულთა და გაჩენილთა სამკიდრებელია, იყო ძველი ბერძნისათვის კოსმოსი, ე. ი. მწყობრად დალაგებული და შევნივრად მორთული სამყარო. რამ გააჩინა შზე და მთვარე, რა მიზუშმა, შექმნა ზღვა და ხმელეთი, რისგან ჩნდებიან ქარი და წვიმა, მთა და ბარი, მცენარეები და ცხოველები, მათ შორის კაციც, — ამ იმ საკითხების არე, რომლების გადაწყვეტას ცდილობდენ უმთავრესად კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვნები, თაღესიდან დაწყებული ვიზრე ანაქსაგორამდე. კაცზე ეს ფილოსოფოსები, როგორც ვხედავთ, მხოლოდ სხვათაშორის აჩერებდენ თავის ყურადღებას: ადამიანი, მისი საზოგადოებრივი ცხოვრება და ამ ცხოვრებაში შექმნილი კულტურული ღირებულებანი (სარწმუნოება, ზნეობა, სახელმწიფო ყოფა, ხელოვნება, მეცნიერება) არ შეადგენდენ ამ მოაზროვნეთა კვლევამიების ვანსაკუთრებულს (მით უფრო ნაკლებ — მთავარს) საგანს. თუ კი კოსმოლოგიური პერიოდის ფილოსოფია ეხებოდა ზოგჯერ კაცს, იგი მას ისე შეისწავლიდა, როგორც ბუნების სხვა მოვლენებსაც (მაგალითად, როგორც თევზს ან ლოკოინას), ე. ი. შეისწავლიდა გარეგანი დაკვირვების იმ მეთოდებით, რომლითაც სარგებლობს ბუნების მეტყველი ან ფიზიკისი საკუთარი პრობლემის გადაწყვეტის დროს. მიზანი ამ შესწავლისა იყო ყოველთვის ახსნა ან ზოგადი მიზუშის აღმოჩენა. სხვანაირად რომ ითქვას, წინა-სოკრატული ხანის ფილოსოფია კაცს ისე უდგებოდა, როგორც ფიზიკა ან ბუნებისმეტყველება მიუდგება ხოლმე თავის საკედევ საგანს, და, მაშასადამე, მას ფიზიკის სახელი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ფილოსოფიის, ამ ტერმინის ზუსტი გავებით.

აქედან გასაგებია, რომ ადამიანში კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვნეს შეეძლო მხოლოდ ის შეენიშნა, რაც ფიზიკალური მეთოდის საშუალებით შეინიშნება ხოლმე. ეს არის უმთავრესად ადამიანის

¹ ი. ჩემი წიგნი: „ანტიური ფილოსოფია სოკრატეს წინ“, 50.

სხეული და ამ უკანასკნელის ბიო-ფიზიკური ფუნქციები, ე. ი. ის, რაც
კაცს საზოგადო აქვს სხვა ცხოველებთან და, საერთოდ, გარეგანი
ბუნების სხვა მოვლენებთან. ის კი, რაც ადამიანს მთელი გარეგანი
ბუნებისაგან განასხვავდს, რაც ადამიანის სპეციფიკას შეადგენს და
მას განსაკუთრებულ ღირსებად ითვლება (ე. ი. ის, რომ ადამიანი
უპირველეს ყოვლისა სოციალური ცხოველია, რომელსაც აქვს უნა-
რი იარაღის კეთებისა და აგრეთვე განვითარებული სულიერი ცხოვ-
რება, სარწმუნოება, ზნეობა, ხელოვნება, სამართალი, მეცნიერება,
რომელიც არც ერთს ცხოველს არ გააჩნია, გარდა ადამიანისა), —
ყველაფერი ეს კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვნეთა თეორიებში
თითქმის გამოუყვალეველი რჩებოდა: ისინი ან სრულიად არ ეხებოდნენ
ამგვარ სავნებს (ე. ი. არ ეხებოდენ ფსიქოლოგიის, რელიგიის, ეთნიკის,
ესოციტიკის, პოლიტიკის, გნოსეოლოგიის საკითხებს), ან, თუ ეხებო-
დნენ, წყვეტილენ მათ ტლანქებად, ფანტასტიკურად, განკუნებულად,
ამიტომ არავითარი სარგებლობის მოტივა საზოგადოებრივ პრაქტი-
კისათვის ამ თეორიებს აღარ შეეძლოთ, ზოგჯერ კი, პირიქით, დიდი
ზიანიც მოპქონდათ ამ პრაქტიკებისათვის (თუ უშუალოდ არა, ყოველ
შემთხვევაში მეშვეობით), ვინაიდან იმ დებულებიდან, რომ ადამიანი
ცხოველია, კრიტიკულად განუწიროვნელ აზრს ის დასკვნა შეეძლო გა-
მოეყვანა, რომ ადამიანი მხოლოდ ცხოველია, რომ მას არაუკრი აქვს
ისეოთი, რაც სხვა ცხოველებს არ გააჩნიათ, და, მაშასადამე, სარწ-
მუნოება, ზნეობა, ხელოვნება და მეცნიერება არარაობას წარმოად-
გენენ. ამით მზადდებოდა თეორიული ნიადაგი ულტურულ ღირებუ-
ლებათა ნიბილისტური უარყოფისათვის, ე. ი. მზადდებოდა უსაშინე-
ლები ხიფათი კაცობრიობის სოციალური წინსვლისათვის. გავისხე-
ნოთ, რომ სოფისტი პროტაგორი, ეს უდიდესი ნიბილისტი კაცობრიო-
ბის ისტორიაში, ფიზიკისი დემოკრიტეს მოწაფე იყო. ამრიგად, რო-
გორც ეს არაერთხელ მომზდარა ახალს ეკროპაშიც, ფიზიკალური აზ-
როვნების ცალმხრივმა და უკრიტიკულ განვითარებამ წარმოშვა მცენ-
საბერძნეთში სკეპტიკიზმი, ნიბილისმი და კულტურისადმი ინდიფერენ-
ტული განწყობილება და მოწინავე ელემენტებისათვის საგრძნობი
გახადა აუცილებლობა ამ ფიზიკალური აზროვნების შემოწმებისა, მისი
ღირებულების გასინჯვისა და მისთვის საზღვრების მიჩნისა.

პეველის ენით რომ ითქვას, კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვ-
ნებს (კლატების გამონაკლისით) თავისი კვლევა-ძიების პრიმიტიუ-
ლი მეთოდების საშუალებებით ადამიანი შეეძლოთ განხილათ მხო-

ლოდ როგორც ობიექტი ან ბუნების მარტივი მოვლენა (ე. ა. განკუნებულად), მაგრამ მათ აკლდათ შესაძლებლობა, განეხილათ ადამიანი, როგორც სუბიექტი ან საზოგადოებისა და კულტურის რთული მოქლენა (ე. ი. კონკრეტულად). ამიტომ გასავებია, რომ კოსმოლოგიური პერიოდის უკრიტიკო თეორიებში ადამიანი, მიუხედავად მოელი თავისი სირთულისა და სისათუთისა, იქცა უბრალო მიეკტად, ბუნების უბრალო მოვლენად, როგორიც არის, მაგალითად, ყოველი პარუტევა. ასე ამარტივებდონენ ადამიანს ეს თეორიები და, ამით ცხადყოდნენ, რომ ადამიანს ჯერ კიდევ არ პქონია კარგად შემჩნეული თავისი განსხვავება ბუნების სხვა მოვლენებისაგან, ე. ი. არ პქონია კარგად შეცნობილი თავისი თავი.

§ 3. ადამიანის გაობიექტების სოციალური დეტერმინანტი

სოციოლოგიურად არც კა შეიძლებოდა, რომ სხვანაირად ყოფილიყო, თუ წარმოვიდგენთ, რომ ყოველი იდეოლოგიური ფაქტი, სხვათა შორის ფილოსოფიური თეორიაც, საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია და სოციალური ყოფის ასახვას წარმოადგენს. კოსმოლოგიური პერიოდის მთაზროვნებიც იდეოლოგიური ვითარების ინერციის გაფლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, და მათ ჯერ კიდევ ვერ მოქეცებებინათ, კრიტიკული ანალიზის საშუალებით დაეხსნათ თავი იმ პრიმიტიული მსოფლგანცდისაგან, რომელიც უკვე პატრიარქალური საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ პირობებში მომზადდა და რომელიც ამ მოაზროვნებს წინა თაობათავან გამოიცათ მემკვიდრეობით.

პატრიარქალურის საზოგადოებაში კი ადამიანი ასლოს დგას ბუნებასთან და თითქმის უშუალოდ გრძნობს ბუნებრივი აუცილებლობის სიმწვავეს, რადგან თხელია ეკონომიკურ კულტურის ის გარეს კნელი. რომელიც ამ საზოგადოებრივი ფორმაციის ადამიანს გარს აკრაეს და ბუნების შესხიდან იცავს. აქ ჯერ კიდევ მეოთხს ბუნების ტლანქი დესპოტიზმი, მისი უხეში ძალა, და ბიოლოგიური არსებობისათვის ბრძოლით დამოწმებული ადამიანი თითქმის ის არის მეორე ადამიანი-სათვის, რაც არის ცხოველი ყოველი სხვა ცხოველისათვის, ე. ი. ვარემდებარე ობიექტი. ურთიერთობა ადამიანთა შორის აქ ბუნების უღმობელი კანონებით არის განსაზღვრული, და წმინდა საზოგადოებრივი სიმართლე ჯერ კიდევ სუსტი და მოუმწიფებელია.

სარწმუნოება, ზნეობა, ხელოვნება და მეცნიერება პატრიარქალურ
საზოგადოებაში იმდენად განუვითარებელია, რომ მათი ჰემოქმედება
ადამიანზე თითქმის არც კი ჩანს. სარწმუნოების ადგილი აქ დაჭერილი
აქვს მის სუროვატს, ე. ი. ბუნების ხილულ მოვლენათა, გაღმერთებას
(ნამდვილი სარწმუნოება კი არის უხილვა საგანთა მხილება), ზნეო-
ბის ადგილი დაჭერილი აქვს მამა-პაპულ ადათების ბრძა შესრულე-
ბას. (ნამდვილი ზნეობა კი იწყება ამ ადათების ინერციის გადალახვით
აღაშიანის მიერ), მეცნიერების ადგილი უჭირავს უბრალო გამოცდი-
ლებას (ნამდვილი მეცნიერებისათვის კი გამოცდილება არის მხოლოდ
მასალა), პოლიტიკური ყოფა მხოლოდ დესპოტს ეკუთვნის (მასება კი
პოლიტიკურ არსებობას მოკლებული არიან), რაც შეეხება ხელოვნე-
ბას, ის ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი სარწმუნოებისაგან, რო-
გორც დამოუკიდებელი რაობა (ნამდვილი ხელოვნება კი მხოლოდ
ასეთი გამოყოფის შემდეგ ჩნდება, ვინაიდან ის, რაც მორწმუნებასთვის
რეალურია, ხელოვანისათვის მხოლოდ პირობითია). განვითარების
ასეთ დონეზე მყოფ საზოგადოებაში, რომელსაც არ გააჩნია არც გან-
ვითარებული სარწმუნოება, არც განვითარებული ზნეობა, არც გან-
ვითარებული პოლიტიკური ყოფა, კაცი ჯერ კიდევ ბევრად არ განიჩ-
რევა პირუტყვისაგან: ჭამა, სმა, შთამომავლობის გამრავლება, ძილი
და ადამიანის სხვა ბიოლოგიური ფუნქციები პატრიარქალურს საზო-
გადოებაში თითქმის პირუტყვულად არის გაშიშვლებული კულტურის
ნაზი სამოსელისაგან. გასაგებია ამიტომ სოციოლოგიურად, რომ აქ
სხვა შეხედულებაც არ აქვთ ადამიანზე გარდა იმისა, რომ ადამიანიც
ისეთივე ცხოველია, როგორც ყველა სხვა ცხოველები, ისეთივე სა-
განია, როგორც ბუნების დანარჩენი საგნები, რომელთაგან არც ერთს
არ შეუძლია გაექცეს თავის ბეჭს, ე. ი. დაბადებული ბუნების გაძი-
როვნებულს აუცილებლობას. სწორედ პატრიარქალური საზოგადოე-
ბის ამ შეხედულებათა წრეში იმყოფებოდნენ კოსმოლოგიური პერიო-
დის მთავროვნები, ვინაიდან ამ დროს ფილოსოფია ახალი წამოწყება
იყო: არისტოტელეს თქმით, ის მხოლოდ „პირველ ნაბიჯებს“ აკე-
თებდა და არ პქონდა შესრულებული თავისი ისტორიული დანიშნუ-
ლება — სოციალური მემკვიდრეობით მიღებული და პრიმიტიულად
გულუბრყვილო პატრიარქალური მსოფლმხედველობის სრული დაშლა,
მის ნაცვლად კი უფრო დასაბუთებული და უფრო მტკიცე მსოფლ-
მხედველობისათვის იღეოლოგიური ნიადაგის შექმნა. ამიტომაც იყო
კოსმოლოგიური პერიოდის აზროვნება უმთავრესად გარე-ბუნებისა-

კერ მიძყრობილი, ფიზიკა მიაჩნდა მთელ შეცნიერებად, შემეცნების შიზნად თვლიდა მოვლენათა ახსნას, ე. ი. მოვლენათა კენებისის ან პუნქტივი მიზეზების აღმიჩნას, ხოლო ბუნებრივ მიზეზად უშროს ფიზიკისთა პირით აცხადებდა მხოლოდ ზოგადი ელემენტების შექმნა-კურ შეერთება-დაშლას.

რომ ახსნით და, მით უმეტეს, ზოგადი შექმნიკური მიზეზების აღმოჩნით მსოფლიოს შემეცნების გამოცანა არ არის ამოწურული, რომ ფილოსოფია იგივე არ არის, რაც ფიზიკა, რომ პოზიტიური (გენეტური) მეცნიერებაც კი არ განისაზღვრება მოვლენათა ფიზიკური შემეცხებით, რადგან ფიზიკური მეცნიერების გარდა შესაძლებელია ფიზიკოლოგიური და ისტორიული მეცნიერებები, რომელთაგან პირველი სარგებლობს შინაგანი დაკვირვების მეთოდით, ხოლო მეორე ხსნის თავის საკელევ მოლექნებს არა ზოგადი და განვითარებული ფიზიკური მიზეზებით, არამედ კერძო და კონკრეტული საზოგადოებრივი მიზეზებით, — ეს გარემოება კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვნეთა შორის მარტო ელეატებს თუ პერიოდი შეგნებული, და იმათაც კამოლოდ ნაწილობრივ.

§ 4. კვლევა-ძეგბის საგნის შეცვლა ანთროპოლოგიურ პერიოდში

რაც უფრო კითარდებოდა ელადის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება და pari passu სდებოდა ადამიანის გასუბიექტება ან გაპიროვნება პრაქტიკაში (დიდი ცვლილება საბერძნეთში მოხდა ამ მიმართულებით სპარსეთთან ომის შემდეგ), რაც უფრო უკან ჩრიბოდა საზოგადოებრივი ყოფის პატრიარქალური ფორმები და ფეხს იკიდებდა ვაჭრობა-მრეწველობა (თუმცა მონური წარმოების წესის საფუძველზე), რაც უფრო კიწროდებოდა ბარბაროსობის არე კულტურის მიერ და ადამიანი თავისუფლდებოდა ბუნების ბრჭყალებიდან, — მით უფრო სუსტდებოდა სოციალური და ფიზიკოლოგიური პირობა კაცის თეორიული გაიგვევებისათვის ცხოველებთან და საერთოდ ბუნების ობიექტებთან, მით უფრო იყიდებდა ფეხს მოაზროვნეთა შორის (ჯერ კანტიკუნტად, შემდეგ კი საყოველთაოდ) ის შეხედულება, რომ ადამიანი მეტია, ვიდრე ობიექტი ან ბუნების უბრალო მოვლენა, ვანიდან ის არის სუბიექტი, პიროვნება, საზოგადოების წევრი ან, მოვლედ, საზოგადოებრივი კულტურის მოვლენა. ამრიგად, ადამიანის გასუბიექტებას პრაქტიკაში სდევდა თან მისი გასუბიექტება თეორიაში, და წარმოდგენაც ადამიანზე იცვლებოდა რეალური ადამიანის

ცელასთან ერთად ადამიანის ამ პრაქტიკულ და თეორიულ გასუბიექტების პრინციპების პროცესთან დაკავშირებული იყო იმის შეგნებაც, რომ არ არის საქმიო, რათა კაცი შესწავლის იქნეს, როგორც ობიექტი, — და, გაშასაძამე, მეცნიერებაც არ ამოიწურება ფიზიკალური მეთოდით, ფინანსთან შემცნების იმ მეთოდებს, რომლითაც სარგებლობს ფიზიკა, ყოფილთვის გამოეპარება ის, რაც ადამიანს ახსათებს, როგორც სუბიექტს, და რაც მას ბუნების დანარჩენი მოვლენებისაგან განასხვავებს, ე. ი. შეუმჩნეველი დარჩება რელიგია, მორალი, პოლიტიკა, ხელოვნება, მეცნიერება. აქედან გამოირკვა ისიც, რომ ფიზიკა არ ყოფილა უნივერსალური მეცნიერება ან ფილოსოფია, როგორც ეს კოსმოლოგიური პერიოდის მოაზროვნეთა უმრავლესობას წარმოედგინა, რომ ფიზიკალური შემცნება (ე. ი. მოვლენათა ახსნა ფიზიკური მიზნებით) არ ყოფილა ერთად ერთი სახე შემცნებისა, რომ გარდა ფიზიკისა შესაძლებელი ყოფილა სხვა მეცნიერებაც, რომელსაც თავისი საჯუთარი საგანი აქვს და თავისი საჯუთარი მიზანი და მეთოდი გააჩნია. ფიზიკის გვერდით ვითარდება ისტორია, რომელიც თუებიდებს სახით ისტორიოგრაფიის მაღალ ნიმუშებს იძლევა, საფუძვლები ეყრება სოფისტების საშუალებით ფსიქოლოგიას, ეთიკას, და პოლიტიკას, ბოლოს კი, სოკრატეს მეოხებით, ყალიბდება ათინაში ფილოსოფიის დიალექტიკური მეთოდიც, რომლის მერთალი წინაგრძნობა უწინ მხოლოდ ელეატურს სკოლას და მისგან დამოკიდებულ პერაკლიტეს თუ პქონდათ და რომელსაც შემდეგ უართოდ გამოიყენებენ პლატონი და არისტოტელე, რათა პოზიტიურ მეცნიერებათა მიერ შეგროვებული მასალის სინთეზით შექმნან მაღალი საფეხურის ფილოსოფიური სისტემები. მოკლედ, აზროვნების კოსმოლოგიურს ან ფიზიკალურს პერიოდს სცვლის ანთროპოლოგიური პერიოდი, რომელიც თავის მხრივ მაღალ გადადის ბერძნული აზროვნების განვითარების სისტემატურს ან სინთეტიკურს პერიოდში, სადაც ბუნება და ადამიანი თანასწორად იქნენ დაყენებული მათზე უფრო მაღლა მდგომი პრინციპების ქვეშ და დიალექტიკურად იქნა მოხსნილი როგორც ადამიანის ფიზიკალური გაობიექტება, ისე ბუნების ანთროპომორფისტურა გასუბიექტება ან სოფისტურ-სუბიექტივისტური გაფენომენება.

თუ კოსმოლოგიური ან ფიზიკალური პერიოდის მოაზროვნეთა კვლევა-ძიების ცენტრს კოსმოსის ან ბუნების ობიექტები შეადგენდენ, აზროვნების განვითარების ანთროპოლოგიურ პერიოდში კვლევა-ძიების მთავარ საქმედ ადამიანის შეცნობა გამოცხადდა: შემცნების

საგნად აქ ადამიანმა საკუთარი „მე“ ან საკუთარი ადამიანობა აქცია, შემცნობი სუბიექტი თავის თავს მოუბრუნდა, შესაცნობ იპოექტად შემცნობი სუბიექტი გახდა, შემეცნება კი თვითშემეცნებამდის იქნა ამაღლებული. თუ ფიზიკალურად მოაზროვნეთა გაუბზარავი ცნობიერება გარესამყაროსაკენ იყო პირდაპირ და უშუალოდ მიმართული, ანთროპოლოგიურს პერიოდში გაიძარა შემცნობი სუბიექტის ცნობიერება და მოხდა გარესამყაროდან სუბიექტის შინაგან სამყაროსაკენ ყურადღების მობრუნება ან მოქცევა: ცნობიერება გარდაიტეხა, რათა უფრო გართულებულიყო და საგნის ცნობიერების ნაცვლად ცნობიერების ცნობიერებად ან შეგნებად გადაქცეულიყო; რაც შეეხება ცოდნას, — ფიზიკის გულუბრყვილო, მოელი და საგნისაკენ პირდაპირ და უშუალოდ მიმართული შემეცნების პრიმიტიული საფეხურიდან იყი ავიდა ფილოსოფიური რეფლექსის ან გარდატეხილი, გართულებული, გაშუალებული შემეცნების მაღალ საფეხურზე, რათა კაცის, საზოგადოების და კულტურის სახით აღმოჩენა განკუნებულად აღებულს გარეგანს ბუნებაზე უფრო ღრმა, უფრო ფართო, უფრო მდიდარი და რთული შინაარსი. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა აზროვნების განვითარებაში, რომელიც შეიძლება შევადაროთ სტარტის ასაკიდან სრული სიმწიდის ასაქში ინდივიდუუმის ონტოგენეტურს გადასცლას. აზროვნებამ შენიშვნა ფიზიკალური შეცნიერების საზღვრები, იწყო მისი შესწავლა და მერყევი შეცნიერული ცოდნა მტკიცე ფილოსოფიურ ცოდნამდის აამაღლა.

§ 5. ანაქსაგორა და სოფისტები

ბერძნელი აზროვნების განვითარების ანთროპოლოგიურს პერიოდს, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით გაიშალა ატიკაში (საბერძნეთის შუაგულ ნაწილში) ათინის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის, პერიკლეს ხანაში, ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ სოფისტებს, სოკრატეს და ე. წ. სოკრატულ სკოლებს. ძეველ ფიზიკოსთა შორის ყველაზე უფრო ახლოს დგას ამათოან ანაქსაგორა, რომელიც პერიკლეს შეკობარმა ასაზია მიღებელმა მცირე აზიიდან მოიწვია ათინაში. უნდა ითქვას, რომ ანაქსაგორას მოძღვრება უკვე კერ ეტეოდა ძველი ფიზიკის ჩარჩოებში. თუ ეს ფიზიკა (მაგალითად, ლევიტეს სახით) მხოლოდ მექანიკური მიზეზების რეალობას სცნობდა, ანაქსაგორამ აღიარა, რომ მექანიკური მიზეზების გარდა ბუნებაში მოქმედი

დებს გონიერი მიზანი და სწორედ ეს უკანასკნელი არის ყოველი მე-
ქანიური მიზეზის სათავე ან პრინციპი. ამით ანაქსაგორამ ჰიზან-
მდებელი გონების ცნება შეიტანა ფიზიკაში და გამოეთოშა დანარჩენ
ფიზიკოსებს, რომებიც სინამდვილის ყველა მოვლენაში მხოლოდ
უგნურსა და მიზნის დასახელის უნარს მოვლებულ ნივთიერებას ამჩნევ-
დენ. ეს გარემოება სსნიდა ანაქსაგორას წინაშე პერსპექტივას გულ-
უბრყვილო ფიზიკის წრიდან გასასვლელად. მაგრამ ანაქსაგორამ,
როგორც პლატონი აღნიშნავს, ვერ შესძლო საჭირო თანდათანობა გა-
მოეჩინა და ყველა დასკვნა გამოეყენა თავისი პრინციპიდან: თვით
ის გონება, რომებიც მმართველ პრინციპად იყო მის თეორიაში გამოც-
ხალებული, ანაქსაგორამ ბოლოს და ბრლოს შესძლო განეზრა მხო-
ლოდ ნივთიერების ტერმინებში, და მაშასადამე, ანაქსაგორზედაც
ვრცელდებოდა იმ დებულების ძალა, რომებიც არის ტოტელუმ ძელი
ფიზიკოსების შესახებ წამოაყენა: „ისინი ფიქრობდნენ, რომ არის მხო-
ლოდ ის, რაც გრძნობისეულია“.

ანაქსაგორაზე უფრო დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ფიზიკალური აზ-
როგნიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ სოფისტებმა: პროტა-
გორამ, გორგიამ, პროდიკემ, პიპიაშვილი. თუ ფიზიკისთა კელევა-ძიების
ცენტრში ბუნების მოვლენები იყო მოქცეული, ხოლო ადამიანისა და
საზოგადოებრივი კულტურის პრობლემებს ესენი ნაელებად იყველე-
დენ, სოფისტებმა თავის ყურადღების ცენტრში სწორედ ადამიანი და
მისი კულტურა მოაქციეს. „ვალიარებ, რომ სოფისტი ვარ და ვზრდი
ადამიანებს“, ამბობდა თავის საქმის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნე-
ლობის შეგნებით ამაყი პროტაგორა, თითქმის ყველა პუმანიტარულ
დისციპლინაში — გრამატიკიდან დაწყებული და რელიგიის თეორიით
გათავებული — სოფისტებმა თავისი სიტყვა სთქვეს, და სწორედ ეს
საქმე (ე. ი. კვლევა-ძიების მთავარ საგნად ადამიანის პრობლემების
ქცევა) იყო სოფისტების დიდი ისტორიული დამსახურება. მაგრამ, მიუ-
ხედავად ამისა, ფიზიკალური აზროვნების ნაკლოვანების სრული გა-
დაღლახვა სოფისტებმა მაინც ვერ შესძლეს. უწინარეს ყოვლისა აღსა-
ნიშნავია, რომ სოფისტებს აღარ შეუწყვეტიათ ფიზიკალური ხასიათის
პრობლემებზე სჯა-ბაასი, და ამ გარემოებამ თავისი კვალი დატოვა
მათი აზროვნების მეოთოდზე. მართალია, დამოუკიდებელ კვლევა-ძიე-
ბას ფიზიკის დარგში სოფისტები აღარ აწარმოებდენ, მაგრამ მაინც
ახლოს იდგნენ ამ კვლევა-ძიებასთან — იმდენად მაინც ახლოს, რომ შე-

ეთვისებინათ ამ კვლევა-ძიების დასკვნები და ეკისრათ მათი პოპულარიზაცია საზოგადოების ფართო მასებში. პოლტავორა, მაგალითად, ფიზიკისი დემოკრიტეს უახლოესი მოწაფე იყო, პიბიას ელიდელი კინებები, რომ მან იცის ყველაფერი, რაც კი ბუნებაში ხდება, ეს პრეტენზია, ცხადია, გადაჭარბებული იყო: დღეს. ჩევნ ვიცით, რომ სოფისტები იმეორებდენ ნამდვილ ფიზიკისების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, ახალი აღმოჩენების ინტერესი ფიზიკის დარგში აღარ პქონდათ და ამის გამო ხშირად ეწეოდნენ ფიზიკალური თეორიების უცლვარიზაციას ნაცვლად მათი პოპულარიზაციისა (ვინაიდან, როგორც ცნობილია, მეცნიერების პოპულარიზატორს მხოლოდ მაშინ შეეძლია მეცნიერების უცლვარიზაცია აიცდინოს თავიდან, როდესაც ის თვითონ აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევა-ძიებას ამ მეცნიერების დარგში). მაგრამ ყველაფერი ეს არ უშლიდა ხელს იმ შეხედულების დამყარებას საზოგადოებაში, რომ სოფისტები ბუნების მეცნიერები იყენენ.

ასეთს შეხედულებას სოფისტებზე ამჟღავნებს უკვე არისტოფანეს სახელვანთქმული კომედია „დრუბლებს“, სადაც რეაქციული მისწრავებით გაუღენთოლმა დრამატურგმა განიზრახა გაემათრახებინა სოფისტები და ამ მიზნით თავისი სატირის ვესლიანი შოლტი გადაუჭ-

¹ ამ კომედის შინაარსი ასეთია: ერთი გაღარისებული ათინელი მოქალაქე სტრექშისადე, მევალებისაგან შეწუხებული, გადასწყვეტს ისწავლოს სოფისტებისაგან ტუკილის გასაღვა სიმართლედ, რათა ამ ხერხით მოიცილოს მევალები. სტრექშისადე მიებარება მოწაფეებ სოკრატს, რომელიც სოფისტის პროცესსას ეწეოდა, უ. ა. ინიციებდა, რომ იცის ყველაფერი, რაც კი ცასა და ქვესწელში ხდება. ის თბიავდა ღრუბლებსავით დაუდევარსა და უფორმო თეორიებს და ასწავლით ყველას, ვიცე კი ამისათვის უუს გაიღებდა. ტუკილის ოსტატურად ლაპარაკეს. საწმუნაობო, ხანში შესულმა სტრექშისადე კერ შეხმლო სოკრატეს „მეცნიერების“ შეფინიშება: აელდა ამისათვის საჭირო შესხერება და ყურადღების უნარი ამიტომ თავის მაგიტრად სტრექშისადე ავზანის მასწავლებელთან თავის შეისალებ, რომელიც წარმინდება დასასრულებს სოკრატეს სკოლას და შემცემ პრუნდება სახლში. მაგრამ აღმოჩნდება, რომ სოკრატეს სკოლაში უიდიბიდებს დაუკარგავს ყოველგვარი ზნეობა: ის სცენტრის თავის მამას და აპირებს დედის ცემასაც. გაბრიზებული სტრექშისადე შეტანიებს სოკრატე: შეაგროვებს მოსამსახურებს და დაარბევს თავის დამღვმევლ მასწავლებლის სახლს. Karl Heineman თავის წიგნში Die klassische Dichtung der Griechen. Leipzig. 202, წერს. რომ კომედიაში არ ჩას ავტორის რეაქციონობა, რადგან არისტოფანე აქ მხოლოდ ცეინისო, მაგრამ სცენტრი სცენტრისათვის არისტოფანეს ნიჭის არ შეეფერებოდა. და მისი კომედია მოქალაქეობრივი მიზნებით იყო გამოწვეული.

არა სოკრატის, რომელიც არის ტოფანემ, თუ ტენდენციით არა, უოველ
შემთხვევაში ადვილად ასახსნელი გაუგებრობის გამო¹, სოფისტების
ტიპიურ წარმომადგენლად ჩასთვალა². თუმცა სინამდვილეში სოკრა-
ტი სრულიადაც არ იყო სოფისტი და მით უმეტეს არ იყო ის ტიპიური
სოფისტი, მაგრამ ჩევნთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში შემდეგი
რამ: არის ტოფანეს კომედიიდან ირკვევა, რომ სოფისტებს ათინის
საზოგადოებაში ფიზიკოსებად სთვლილენ და თვითონ სოფისტებიც
იჩინებდენ ფიზიკოსობას...

ზემოაღნიშნულ ვარემოებას, რომელიც ამტკიცებს სოფისტების სი-
ახლოეს ფიზიკოსებთან, უნდა დაემატოს ისიც, რომ თეთი იმ პუმანი-
ტარულ პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც სოფისტებმა
ფიზიკოსებისაგან განსხვავებით თავის კვლევა-ძიების ცენტრში მო-
აქციეს, საქმით გვარწმუნებს, რომ სოფისტივა არსებითად არ გამიჯ-
ენია ფიზიკალურ აზროვნებას. სოფისტებმა ახალი პრობლემები დაა-
კვირეს, კვლევა-ძიებას ახალი საგანი მოუნახეს, სინამდვილის ახალი
სუერო მოაქციეს შემეცნების ცენტრში, მაგრამ წესი შემეცნებისა ან
მეთოდი კვლევა-ძიებისა დატოვეს ძველებური. სარწმუნოების, ზნეო-
ბის; სამართლის, ხელოვნების, მეცნიერების და საზოგადო კულტუ-
რის ყველა საკითხს სოფისტები იმ მეთოდით მოუდგნენ, რა მეთოდი-
თაც ფიზიკოსები უდგებოდნენ ხოლმე ბუნების მოვლენებს, — თითქოს
ისინი ბუნების უბრალო მოვლენები ყოფილიყვნენ და მეტი არაფე-
რი ემშირიულ ბაზაზე აკებული ანალიზისა და აბსტრაქციის საშუალე-
ბით სოფისტებმა დაშალეს კულტურის მოვლენები ზოგად ელემენ-
ტებს, და, როდესაც ვერ დაინახეს ამ მოვლენებში ის, რაც ფიზიკო-
სების შეხედულებით თავის თავად არსებულს სინამდვილეს ახასია-
თებს, სოფისტებმა კულტურის ყველა მოვლენა მოჩვენებად ან სუბიექ-
ტურ ილუზიად გამოაცხადეს. სუბიექტური ილუზია იყო, სოფისტების

¹ Aster, Gesch. d. antiken Philosophie, 1920, S. 49, სწერს; Die feineren Unterschiede, die zwischen Sokratesf seinen Zielen und Zwecken und denen der Sophisten bestanden, waren, wie am deutlichsten die Karikatur zeigt, die Aristophanes in den „Wolken“ von ihm entwarf, — den meisten Athenern nicht bekannt und erkennbar. დაახლოებით ასეთივე აზრის იყო ურიდანდანდა (Präludien, რუს. თარგმანის, ვვ. 64), რომელიც ხედავდა ტენდენ-
ციას არისტოფანეს სატირაში.

² როგორც დამტკიცა ეს 1726 წ. Süverin-მა თავისი გამოყელებით „Ueber Aristophanes Wolken“.

მოძღვრებით, სარწმუნოებაც, ზნეობაც, სამართალიც და თვით მეცნიერებაც. ყველაფერი ეს, სოფისტების შეხედულებით, არსებობს მხოლოდ პირობით, მხოლოდ რელატიურად, მხოლოდ სუბიექტის მიმართ, და, რამდენიც არის სუბიექტი, იმდენია სამართალი, ზნეობა და ჭეშმარიტება. ამრიგად, ყველასათვის სავალდებულო სამართალი, ზნეობა და ჭეშმარიტება სოფისტებმა უარპყვეს. სოფისტიკის ეს სუბიექტირიზმი, რელატივიზმი და ნიმილიზმი, რომელმაც V საუკუნის საბერძნეთში სოციალური პირობების გამო მასიური ხასიათი მიიღო, იყო აუცილებელი ლოგიკური შედეგი ფიზიკური მეთოდის გულუბრყვილო ან უკიტიკო მიყენებისა ჰუმანიტარული პრობლემებისადმი.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სოფისტებმა მხოლოდ ლოგიკურ დასკრინდის მიიყვანეს ფიზიკალური აზროვნება და თავის უნდებურად ცხადყეს უკანასკნელის ნაკლულოვანება: ცხადყეს, რომ ფაზიკა, როდესაც ის უკრიტიკოა, როდესაც მას საკუთარი საზღვრები არ აქვს შეგნებული და ფილოსოფიის მაგივრობის გაწევას იჩინებს, აუცილებლად უნდა დასრულდეს სკეპტიკიზმით, რომელიც განსაკუთრებით აუტანელია ადამიანის პრაქტიკის სფეროში და უწინარეს ყოვლისა ამ სუეროში იწვევს ენერგიულს ოპოზიციას და აღიძებს მოწინავ საზოგადოებრივ ელემენტებში მისი გამომწვევი მიზეზების დამლევის სურვილს. თუ ყველაფერი ეს გავითვალისწინეთ, ჩვენ, უნდა ვალიროთ, რომ სოფისტიკა ფიზიკალური აზროვნების თვითდარღვევა იყო არსებოთად. სოფისტიკა აღიმავებდა და შლიდა ფიზიკალურ აზროვნე-

1 ვ. ეინდელბანდი, რომელიც აღრმავებს საზღვარს ფაზიერებასა და სოფისტებს პორის, რათა უფრო დაუახლოვოს ხორატე და სოფისტებს ერთმანეთს, ფიქრობს, რომ სოფისტების სკეპტიკიზმი იყო მისი შედეგი, რომ სოფისტიკა „უფრო გმიჯნებოდა ძველს მეტაფიზიკურსა და ფიზიკურ თეორიებს“ (История др. философии, стр. 97). წერის აზრით, აქ შედეგად აღიარებულია მიზეზის სკეპტიკიზმი იყო შედეგი არა ფიზიკისაგან გამიჯვნისა, არამედ გულუბრყვილო ფიზიკის კესანსისა და მისი შეოთვების გაერცელებისა ადამიანის პრობლემბზე. მეცდა მეტაფიზიკური და ფიზიკური თეორიებისაგან გამიჯვნა კი შედეგად მოჰყა სოფისტიკურ სკეპტიკიზმს და თვითონ არ იყო სკეპტიკიზმის მიზეზი. სოფისტები იყნენ საბერძნეთის „განმანათლებლენი“, და ამაში იყო მათი ღირსება და ნაელოვანება; როგორც ახალი ეკრობის „განმანათლებლები“ (ოოლტერი, დიდრო, პელევისისა და სხვან). სოფისტები იყვნენ ანალიზისა და აბსტრაქციის მშევარეობის სტატები. ამიტომ ისინი უარყოფისა და რღვევის საშინელ ძალას წარმოადგენდნ, მაგრამ, სინთეზის ნიჭი მოედებული, ცხოვრების ახალისა და დაგებითს პრიციპებს არ იძლეოდნ.

ბას, ამხელდა თავისდა უნებურად აუცილებელს წინააღმდეგობას ამ აზროვნების წანამძღვრებსა და მის შედეგებს შორის, და ობიექტურ საჭიროებად ხდიდა უფრო მაღალი საფეხურის აზროვნებაზე გადასცა კლას, აზროვნების ახალი წანამძღვრებსა ან ახალი პრინციპების წამოყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აზროვნებას ბოლო უნდა მოღებოდა, რადგან ძეველი პრინციპების ფარგლებში არსებობის ვაგრძელება აზროვნებას უკვე აღარ შეეძლო. ან აზროვნებისათვის ახალი პრინციპების მონახვა, ან აზროვნების სრული შეწყვეტა — აი ის დილემა, რომელიც ობიექტურად ცხადყო სოფისტიკამ, და ამაში იყო ჩინი ისტორიული დამსახურება ფილოსოფიური აზროვნების წინაშე. მაგრამ, რამდენადაც თვითონ სოფისტებს ეს ახალი პრინციპები აზროვნებისა აღარ წამოუყენებიათ¹, შეიძლება ითქვას, რომ სოფისტები იყვნენ უმაღლესი ფიზიკალური აზროვნების ეპიგონები, ვიდრე არსებითად ახალი ხაზის წამომწყებნი ფილოსოფიის განვითარებაში.

ყოველს ეპიგონში, როგორც ცნობილია, მეღაენდება და ყველა-სათვის შესამჩნევი ხდება ის ნაჯლი, რომელიც ჰქონდა მის სახელოვან წინაპარს, მაგრამ დაფარული იყო ამ უკანასკნელის ცხოვრების ღონისერი ტემპით: ახალგაზრდობაში შეძენილი ავაღმყოფობა სიბერის ასაქში გვაგრძნობინებს ხოლმე თავის სიმწვავეს, როგორც ფიზიკალური აზროვნების ეპიგონებმა, სოფისტებმაც მხოლოდ ვამოამეღავნეს ის სისუსტე, რომლითაც შეუკებლად შეძყრობილი იყვნენ მათი წინაპრები — გულუბრყეილო ფიზიკასები, და ამით, თავისდა უნებურად, სოფისტებმა მორიგ ამოცანად აქციეს ფიზიკალური აზროვნების რადიკალური შეცვლა ჰეშმარიტად ფილოსოფიური (დიალექტიკური) აზროვნებით და, მაშასადამე, ისტორიულად მოამსადეს ფილოსოფიის განვითარების ახალი საფეხური, თუმცა ვერც ერთი სოფისტი ამ ახალ საფეხურს ვერ ასწვდა და თავის მოღვაწეობის სოციალური და ფიქტოლოგიური საფუძვლების საშუალებით ვერც ასწვდებოდა. აქ საჭირო იყო სოფისტის ტიბისაგან სრულიად განსხვავებული ადგიანი, ე. ი. არა ორატორი, რომლის უმაღლესი მიზანი იყო მარტო გარეგნული ეფექტის მოხდენა მსმენელებზე, არამედ ისეთი კაცი, რომელსაც მხოლოდ სიმართლისათვის უცემდა გული, და რომელიც მზად

¹ ასე აფასებს სოფისტებს ცელერიც, რომელიც ამობს სოფისტების შესახებ: Sie wissen keinen neuen und sicheren Weg zur Wahrheit zu zeigen. Philosophie der Griechen, II, 190. აგრეთვე ფიქრობს Hermann, Plato I, 232.

იქნებოდა, თავიც კი გაეწირა ამ სიმართლისათვის. სწორედ ასეთი კაცი მოევლინა საბერძნეთს სოკრატეს სახით.

სოფისტებისაგან განსხვავებით, სოკრატე არ დაქმაყოფილდა იშთ, რომ აზროვნებას ახალი საგანი გაუჩნდა, არამედ საჭიროდ სცნო მოენახა აზროვნების ახალი მეორიაც, რომელიც ფიზიკოსებისათვის უცნობი იყო. ეს კი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სოკრატე უფრო რადიკალურად გაემიჯნა ძველ ფიზიკას, ვიდრე ეს სოფისტებმა შესძლეს.

§ 6. ფილოსოფიის დემოკრატიზაცია.

სოკრატეს პიროვნება და სოკრატეს ფილოსოფიური მოძღვრება ისე არიან ურთიერთშედუღებული, რომ ძნელია წევნთვის მათი დაშორება ერთმანეთისაგან. ფილოსოფიის ისტორიაში არ გვხდება სოკრატემდე ისეთი მოაზროვნე, რომლისათვის ცხოვრება და ფილოსოფისობა ერთი და იგივე იყო და რომელსაც სიცოცხლე ფილოსოფოსობის გარეშე აღარ წარმოედგინა¹. პირველი ასეთი მოაზროვნეა სოკრატე. გასაგებია ამიტომ, რომ სოკრატეს ფილოსოფია სოკრატეს პიროვნების არომატით არის გაეღენთილი და იმ მშრალს თეორიებს აღარ გავს, რომლებიც განკუნძული გონების ნაყოფს წარმოადგენენ და საბაბს აძლევენ გოეთეს მეფისტოფელს დაცინვით გვითხრას:

Grau, teurer Freund, ist alle Theorie
Und grün des Lebens goldener Baum².

თუ გერმანელები ამბობენ ხშირად, რომ კანტის ფილოსოფია იყო თვითონ კანტი, არა ნაკლები უფლებით შეიძლება ითქვას, რომ სოკრატეს ფილოსოფია იყო თვითონ სოკრატე, მთელი მისი დიდბუნე-

1 შერ. Plato, Laches, 188 D, სადაც ნათქვამია, რომ სოკრატემ „საკუთანის თავში შეათანხმა სიტყვა საქმესთან“, ი. აგრეთვე Plato, Apol., 282, სადაც აღნიშნულია, რომ სოკრატესათვის სიცოცხლე ნიშნავდა „ცხოვრების ტარებას ფილოსოფისობაში: საკუთარი თავისა და სხვების გამოყვლევას“. იქვე სოკრატე ამბობს: „სანამ სულ მეღვმება და მექნება ძალა, მე არ მევწყვეტ ფილოსოფოსობას“.

2 „უკურულია, ძვირფასო შეგობარო, ყოველი თეორია და, მწვანეა ცხოვრების შეენიჭრი ხე“.

პოვანი არსებით — ურყევი ნებისყოფით, პუმანური გრძნობით და
მახვილი ჰკეიით¹.

ამით აისწენდა სწორედ ის გარემოება, რომ სოკრატემ შესძლოთ და
ლრმა კვალი დაეტოვებინა არა მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიაში,
არამედ კაცობრიობის მთელს კულტურულ ეითარებაშიც, მიუხედავად
იმისა, რომ მას, როგორც აღინიშნა, ერთი სტრიქონიც კი არ დაუ-
წერია. არა ნაწერების საშუალებით, არა წიგნებით, არამედ უშუალოდ,
მთელი თავისი ორიგინალური პიროვნებით მოქმედობდა სოკრატე
თანამედროვეებზე, და, მაშასადამე, თუ საზოგადოდ ყოველი ფილო-
სოფიური თეორიის ისტორიული შესწავლისათვის საჭიროა მისი
შექმნელი მოაზროვნის ცხოვრების ცოდნა, განსაკუთრებით საჭირო
არის ეს სოკრატეს ფილოსოფიის გასაგებად.

სოკრატე იყო მოქანდაკე სოფრონისკეს შვილი² და ახალგაზრდო-
ბისას ის თვითონაც ეწეოდა თავისი მამის ხელობას. სოკრატეს დედა,
ფაინარეტე, პროფესიით ბებიაქალი იყო. ახლობელ მეგობართა წრე-
ში სოკრატე ამბობდა ხშირად ხუმრობით, რომ ის თავის დედის ხე-
ლობას, ე. ი. ბებიაობას ეწევა. სოკრატეს შეეძლო ისიც ეთქვა, რომ
მან მოახდინა თავისი მშობლების ხელობათა სინთეზი და აამაღლა
ამით ორივე მართლაც, ის ფილოსოფია, რომელიც სოკრატემ თავის
ცხოვრების მთავარ საქმედ აქცია, ერთის მხრით ბებიაქალსავით
აბადებინებდა ადამიანს ახალ ცოდნას, ხოლო მეორეს მხრით მოქან-
დაკესავით ცდილობდა მიეცა ადამიანისათვის ჰეშმარიტი ადამიანო-
ბის ფორმა. ხელოსნობა იყო საწარმოო ტექნიკის
ის სტიქია, რომლის საგან წარმოიშვა სოკრატეს
ფილოსოფია და რომ ელმაც ამ ფილოსოფიას თა-
ვისებური ელური მისცა.

შრავალშრიიც არის ეს გარემოება დამაფიქრებელი. ფილოსოფიის
ისტორიაში სოკრატე პირველი წარმომადგენელია დაბალი საზოგადო-
ებრივი წრიდან გამოსულ მოაზროვნეთა შორის³ მანამდის კი ფილო-
სოფია უმაღლესი საზოგადოებრივი ფენების მონოპოლიას შეაღევნდა.
პერაკლიტე იყო მეფის ჩამომავალი; პარმენიდე იყო დიდებული გვარის

¹ შრ. Plato, Symp., 221, სადაც ათენის სახელგანთქმული პოლიტიკური მოლ-
ვაწე ალკიბედე იძლევა სოკრატეს შესანიშნავ დახასიათებას.

² Plato, Laches, 180 D.

³ მრიოტაგორა სოკრატეზე უმცროსი იყო, რაც შეეხება ქსენოფანეს, ის წარჩინ-
ებული ოჯახის შეიძლი იყო და მხოლოდ შემდევ განიცადა დევლასაცია.

კაცი და სახელმწიფო კანონმდებელი; პითაგორა, ეს ნახევრად ლევენ-დარული პიროვნება, იყო ძლიერი არისტოკრატიული პარტიის დამაარ-სებელი, რომელიც მოელი ერთი საუკუნის განმავლობაში უდიდესი, გავლენით სარგებლობდა საპერძეოს სახელმწიფოებში; ემპედოკლე ციც შთამომავლობით არისტოკრატი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ძეველი გადმოცემით თანამოქალაქეებმა მეუკიდა შეაძლიეს; თვით მატერიალისტი დემოკრიტეც კი, რომელიც სხვა ფი-ზიქოსებზე უფრო ახლო დგას ჩვენთან თავისი მოძღვრების შინაარ-სით, ისეთი მოდგმისა და შეძლების შემცირება იყო წარმომ-დგარი, რომ სპარსეთის მეფემ ქსერქსმაც კი სათავილოდ აღარ ჩასთ-ვალა თურმე ამ ოჯახს სტუმრად წვევოდა. ამ წარჩინებული გვამების გვერდით, სოკრატე თავის პლებური გარევნულობით¹, დარიბი ტანი-სამოსით² და ხშირი უქმაყოფილებით ოჯახში საწყალ კაცად გამოი-ყურება. არც ბრწყინვალე არისტოკრატიული გვარი, არც ზედამომართული სიმღიღირე, არც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის სახელი სოკრა-ტეს არ პქონებია. ის იყო მდაბიო მოქალაქე, კერძო პირი, ერთი ათა-თავისი, კ. ი. მასის კაცი, რომ ასეთმა შესძლო დილი მოაზროვნე გამ-ხდარიყო, ერთის მხრით იმის მაჩვენებელია, რომ ბერძნული საზოგა-დოება განვითარებულა და გამრავალფეროვანებულა, ხოლო მეორეს მხრით კი იმის, რომ ბერძნულ ფილოსოფიის დაუსრულებია უკვე თა-ვისი აჩსებობის საგმირო ხანა და შესულა ისტორიულს ხანაში, კ. ი. დაუწყია თავისი წმინდა ფორმით არსებობა. ამიერიდან დიდი ფი-

1 სოკრატეს გარევნულობა (პუმორისტულად აღწერილია პლატონის „ჩადამშა“, Symp., 215. სევდი ბეჭედი, წვრილი უქმები, დაიდი მუცელი, კვებერთელა ბელატი თავი, მსხვევი და მიუკე ცხეირი, გაღმოკარებული ჭრობა თეალები და ვნებანი ტურქი მაცური დასასამირნის ელფერს აძლევანქნ სოკრატეს ფიცვას, და აზიდან ჩამოსულ ფიზიონომიტეს ზოპირს, რომელიც თავის სამშობლოში მიჩეული იყო იმ აზრის, რომ ადამიანი არის მისი ტანი და მუტი არაფერი, უმქამს თურმე (Cicero, Tuscul., IV, 37, 80), რომ სოკრატეში მოცემულია ათამიანის უკველა ცუდი მიღრე-კილება, რაზედაც სოკრატეს უპასუხია, რომ ზოპირი არ ცდებათ, მაგრამ მან, სოკ-რატემ, ეს მიღრეკილებები შეარიგა, რაღაც კულტანი დაუმორჩილა კონებას ან სულის, რომელზედაც ბაბილონელ ზოპირს წარმოლენაც კი აღარ პქონდა.

2 „შენ ისე ცხოვრობ“, უპინებოდა სოკრატეს სოფისტული ანტიფონტე: „რომ არც ერთი მონა არ დასთანმდებოდა დარჩენილობა ბატონთან, რომელიც მას ასე ა-ხოვრებდა: სჭამ და სვამ საბავევ სასმელ-საჭმელს, ტანისამოსი გაცემა ცუდი და ისიც, ერთი და იგივე ზამთარ-ზაჟხელს, უქმებიშველი დაიარები და საცვლებიც კა-ლარ გაქცე“. Xenoph., Mem., I. 6. Plato, Apol., 28 B 38 A.

ლოსოფოსის სახელის შესაძენად საბერძნეთში არ იქნება საჭირო, რომ კაცი იყოს აუცილებლად ბრწყინვალე გვარის პატრონი ან მდიდარი და გავლენიანი ოჯახის შვილი. პოლიტიკურად სრულიად უჩინარი და მდგრად მოდგმის მოქალაქისათვისაც კი შექმნილა ობიექტური შესაძლებლობა დიდი ფილოსოფოსის სახელის მოსახვეჭად, თუ კი მას ექნებოდა შესაფერი ბუნებრივი ნიჭი. ამას შეიძლება ეწოდოს ფილოსოფიის ემანსიპაცია, რადგან ის იმის მომასწავებელი იყო, რომ პოლიტიკური და სხვა სახის მოღვაწეობის შექანიკური დამატებიდან ფილოსოფია სახოგადოების ისეთ ფუნქციად გადაქცეულა, რომელსაც აქვს თავისი სპეციფიკური ამოცანა და თავისი სპეციფიკური საშუალებები. ეს იყო მეორე ნაბიჯი ფილოსოფიის განთავისუფლების საქმეში: პირველი ნაბიჯი გადადგეს მიღების ფიზიკოსებმა, რომელმაც ფილოსოფია გამოიჯნეს რელიგიისაგან. სოკრატეს სახით კი ფილოსოფია გაემიჯნა პოლიტიკას, რათა თვითონ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ საქმეზ ქცეულიყო.

II სოკრატის ფილოსოფიის მოღვაწეობის უინარსი

1. სოკრატის ფილოსოფიის აღსავალი წართვის

§ 7. ძველი ფიზიკის უარყოფა.

სოკრატეს დაბადების თარიღს აღექსანტრიული პერიოდის დოქ-სოფრინია არკევედა მისი გარდაცვალების თარიღის საშუალებით. სოკრატე კი დასჯილი იქნა სიკედილით 95 ოლიმპიადის პირველ წელს ან ანთესტერიონის თვეში, ან ელაზებოლიონის თვის დასაწყისში. ჩვენი წელთაღრიცხვის სისტემით ეს იქნებოდა ქ. წ. 399 წ. მარტი. ამ ღრის სოკრატე, როგორც ეს ჩანს სასამართლოში მის მიერ წარმოთქმულ სიტყვიდან¹, 70 წელშე ცოტაოდენ მეტი წელის ყოფილა. აპოლოფორე სოკრატეს დაბადების თარიღიად ანგარიშობს 77 ოლიმპიადის მეოთხე წლის თარგელიონის თვის მეექვეს დღეს (ე. ი. ქ. წ. 469/8 წლის მაისის მეორე ნახევარს), რომელიც ბებიაობის მფარვე-

¹ Ueberweg—Prächter, I, 146. ცელერი, Phil. d. Gr., II, 45, იღებს სოკრატეს გარდაცვალების ოვედ თარგელობრივს, ე. ი. მაისს ან ივნისს.

² Plato, Apol., 17 d.

ლი ღმერთის (არტემიდეს) დღესასწაულად ითვლებოდა, და, შესაძლებელია, ამ საბაბის გამო იქნა სოკრატეს დაბადების დღედ ჩათვლილი აპოლოდორეს მიერ, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მოკლესტების დასათარიღებლად აპოლოდორე სარეგებლობდა ხშირად, მტკაცე საბუთების ნაჯებობის გამო, შემთხვევით ხასიათის სხვადასხვა ასოციაციებით¹. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინებით, თანამედროვე ფილოლოგები იღებენ სოკრატეს დაბადების წელად 77 ოლიმპიადის მესამე წელს, ე. ი. 470/469 წ. ქ. წ.

როგორ მიმდინარეობდა სოკრატეს აღზრდა და მისი გონიერივი განვითარება, არ არის კარგად გამორკეცეული. ვიცით მხოლოდ, რომ სოკრატეს უნდა გაევლო ის ელემენტარული სკოლა, რომელიც წევულებრივი იყო იმ დროს ათინის მოქალაქისათვის, ე. ი. უნდა ესწავლა წერა-კითხვა და ცოტაოდენი ლიტერატურა და ანგარიში. უფრო მაღალი საფეხურის სკოლა სოკრატეს არ გაუვლია: ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება სოკრატეს არც ერთი მასწავლებლის დასახელება². ქსენოფონტეს გადმოცემით³ სოკრატე ამბობდა, რომ ის იყო „ფილოსოფიის თვითმწარმოებელი“. ათინის მდიდარი მოქალაქეებისაგან განსხვავებით, რომელებმაც განათლების მისაღებად ბევრი ფული ჩაუყარეს სოფისტებს, სოკრატემ თავისი ცოდნა თვითონ გამოიმუშავა. ცხადია, რომ ამის შესაძლებლობას იძლეოდა ის საზოგადოებრივი ატმოსფერო, სადაც სოკრატე ვითარდებოდა. ამ დროს ათინა ისეთი მაღალი კულტურის ქაღაქი იყო, რომ ცხოვრების ყოველი კუთხე იქ განათლების გამარტივდებოდა წყაროს წარმოადგენდა, და ვისაც ცოდნის ისეთი დაუშრეტელი წყურეილი პქონდა, როგორც სოკრატეს, მას უმასწავლებლოდაც შეეძლო ბევრი რამ ესწავლა. ყოველ შემთხვევაში დამტკაცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სოკრატე, აღბათ, ახალგაზრდობისას გაეცნო საბერძნეთის გამოჩენილი ფიზიკოსების შეხედულებებს: ნაწილობრივ სოფისტების პოპულარული ლექციებიდან (სოკრატე იცნობდა პროდიკეს გარდა, პროტაგორას და პიპიასს), ნაწილობრივ კი თვით ამ ფიზიკოსების ორიგინალური ნაწერებიდან. მაგალითად,

¹ იბ. „ანტიფური ფილოსოფია სოკრატეს წინ“. 25.

² პლატონის თბზულებებში სოკრატე ასახელებს თავის მასწავლებლად ხან პროდიკეს, ხან პერიკლეს მეგობარ ქალს ასახავის. მაგრამ აქ. როგორც ცელებრი აღნიშნავს, II, 49, ნაგულისხმევა არა სისტემატური სკოლა, არამედ თავისუფალი ურთიერთობა ნაცნობთა შორის.

³ Symp. I, 5.

პლატონი გადმოვცემს ერთს თავის დიალოგში, თუ როგორ კით-
ს ულობდა ახალგაზრდა სოკრატე ანაქსაგორას თხზულებას და რა გავ-
ლენა მოახდინა მასზე ამ სახელოვანი ფიზიკოსის თეორიამ!

როგორც პლატონის ამ გადმოცემიდან ჩანს, სოკრატე ვერ დააკ-
მაყოფილა წინამორბედ მოაზროვნეთა თეორიებმა, რადგან ამათ თავის
უმაღლეს მიზნად მიაჩნდათ მოვლენათა ახსნა ან ფიზიკური მიზეზის
ჩვენება და გულუბრუებლოდ პქონდათ ნაგულისხმევი, რომ მოვლენა
სრულიად შეცნობილია, როდესაც გამორკვეულია, თუ რა მექანიკურ-
გა მიზეზმა წარმოშვა იგი. ასეთი მოვლენა, მაგალითად, რომ დატუ-
სალებული კაცი ზის საპყრობილეში, ფიზიკოსების თეორიით სრუ-
ლიად იქნებოდა გაგებული, თუ გამორკვეული იქნებოდა ამ კაცის
ძლების, სახსრების და კუნთების ის მოქმედება, რომელიც მიზეზია
მისი ჯდომისა (სირბილისათვის, მაგალითად, საჭირო იქნებოდა ძლე-
ბის, სახსრების და კუნთების სხვა მოქმედება). რატომ ზის კაცი, საპ-
ყრობილეში? კაცი იმიტომ ზის საპყრობილეში, რომ მისი ფეხების
კუნთები მოშევებულია და ამის გამო ფეხების ძლები მოკეცილია — აი
ნიმუში მოვლენის ფიზიკალური ახსნისა, რომელმაც სოკრატე ვერ
უაქმიაყოფილა. მართალია, ფეხების ძლები გამართული რომ ყოფი-
ლიყო და არა მოკეცილი, დატუსალებულ კაცს ჯდომა აღარ შეეძლე-
ბოდა. მაგრამ, განა საქმარისია იმის სრულიად გასაგებად, რომ კაცი
ზის საპყრობილეში, მისი ფეხების ძლების მდგომარეობის აღნიშვნა?
ცხადია, რომ არ არის საქმარისი. ფეხების ძლების მოკეცვა არის
მიზეზი ყოველი ჯდომისა, ის არის მიზეზი საზოგადოდ ჯდომისა,
მაგრამ ის არაფერს გვაგებინებს იმის შესახებ, თუ რატომ ზის კაცი
სწორედ საპყრობილეში და არა სხვაგან — მაგალითად, თავის სახლ-
ში. ის არაეთარ შეუქს აღარ ფეხს იმ მომენტს, რომლითაც ჯდომა
საპყრობილეში განსხვავდება სხვა სახის ჯდომისაგან; ე. ი. არ აშუ-
ქებს ამ მოვლენის სპეციფიკურობას. საკითხზე, თუ რატომ ზის ტუ-

¹ Phaedo, 96 ა. რამდენად ისტორიულია პლატონის ეს მოწმობა, ამის შესახებ
აზრთ სხვადასხვაობაა. იმერვეგან, მაგალითად, ის სანდოდ მიაჩნია, ცელენი კი,
Philos. d. Griech., II, 51, მას საცხველო სოელის და ფიქრობს, რომ აქ პლატონი
იძლევა არა პირადად სოკრატეს უილოსოფიური განვითარების, არამედ იდეათა თეო-
რიის განხენისის სურათს. მაგრამ, ჩვენი შეხედულებით, თუ დეტალებში არა, საზო-
გადოდ მანც, პლატონის მოწმობა ისტორიული უნდა იყოს, და ძნელი წარმოსად-
გენია, რომ ასპაზიას მეცნიერი სოკრატე არ იცნობდა ანაქსაგორას, რომელიც ას-
პაზიას ინიციატივით იყო მოწვეული ათინაში და დიდი პოპულარობით სარგებლობ-
და პერიკლეს დროს.

საღი საპყრობილები, სოკრატეს აზრით, ფიზიკოსზე უკეთეს პასუხს
გასცემდა ის, ვინც, მაგალითად, იტყოდა, რომ ამ ტუსალმა თავი-
სუფლად ყოფნის დროს დაარღვია სახელმწიფო კანონი და მიმოქმე-
სასამართლომ მიუსაჯა მას საპყრობილები ჯდომა. მაგრამ არც სა-
ხელმწიფოს, არც სასამართლოს მოვლენათა გასაგებელ პრინციპი
ფიზიკოსები აღარ სთვლიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მოვლენათა
გასაგებელი პრინციპია მხოლოდ ფიზიკური (მექანიკური) მიზეზები,
და სწორედ ეს იყო, სოკრატეს შეხედულებით, ფიზიკოსთა თეორიების
ნაკლოვანება. მექანიკური მიზეზები არ კმარა მოვლენათა გასაგე-
ბად, მექანიკური მიზეზის აღმოჩენა ან ფიზიკალური ახსნა არ არის
მოვლენის სრული გაგება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქს
მოვლენებია ადამიანი და მისი ცხოვრება. მაშასადამე, ვინც მექანი-
კურ მიზეზს სთვლის მოვლენათა ერთადერთ შესაძლებელ პირნციპად
ანუ უნივერსალურ პრინციპად, მას ნაწილი ჩაუთვლია მთელად, ერთი
მხარე სინამდვილისა ჩაუთვლია მთელ სინამდვილედ და მხედველობი-
დან გაუშვია, რომ სინამდვილეს აქვს კიდევ სხვა მხარეები. არც იყო
ამიტომ სოკრატესთვის გასაკვირი, რომ ფიზიკოსებს შორის მუდა
უთანებმოება და დავა წარმოებდა. მართლაც, როდესაც ერთი მკელე-
ვარი ამჩნევს საგნის ერთს მხარეს და სთვლის ამ უკანასკნელს მთელ
საგნად, ის აუცილებლად უნდა დაეჯახოს მეორე მკელევარს, რომე-
ლიც ამნაირადვე იქცევა, ე. ი. ამჩნევს ამავე საგნის მეორე მხარეს
და უიქრობს, რომ სწორედ მის მიერ შემჩნეული ეს მეორე მხარე არის
მთელი საგანი. „საგანი ცხელია“, ამბობს ერთი, რომელიც მას სელით
შეეხო. „საგანი თეთრია“, ამბობს მეორე, რომელმაც ის თველით
დაინახა. ტყდება დავა, და თითოეული აბრალებს მეორეს უვიცობას.
ამასობაში კი მესამეს შეეძლო ეთქვა, რომ ორივე მართალია (რაღ-
ან საგანი ცხელიც ყოფილა და თეთრიც) და ამავე ღრის ორივე
მტრუანია, რაღაც თითოეული ფიქრობს, რომ საგანი მხოლოდ ის
არის, რაც მან ამ საგანში შეამჩნია: საგნის ის მხარე, რომელიც მას
წარმოუდგა, თითოეულს ჩაუთვლია მთელ საგნად, ე. ი. თავისი წარ-
მოდგრენა საგანზე ვერ გაურჩევია თვითონ საგნის აგან და
ვერ შეუნიშნავს, რომ მისი წარმოდგენა საგანზე თვითონ საგანი კი
არ არის, არმედ ის არის სწორედ მისი წარმოდგენა, ვინაიდან ვერ
შეუნიშნავს, თუ რა ეკუთვნის ამ წარმოდგენაში მასვე თვითონ და
რა ეკუთვნის თვითონ საგანს, ან, სხვანაირად რომ ითქვას, ვერ შეუც-
ნია თავისი საკუთრება. სწორედ აი ამ მესამე პირის სახით გამოდის

სოკრატე ფიზიკისთა შორის არსებულს დავაში: ის არ ამყარებს ახალს თეორიას ფიზიკაში, მაგრამ შეაქვს ამ ფიზიკაში ისეთი მომენტი, რომელსაც ფიზიკა ახალ საფეხურზე უნდა აყვანა.

რაյმ სოკრატესთვის ცხადი შეაქნა, რომ ფიზიკა არ ხსნის იმას, რაც მთავარია, მან, როგორც ამას გარეულად აღასტურებს არის—ტოტელე, ზურგი შეაქცია ძველ ფიზიკას და აზროვნება მიმართა სხვა საკითხებს: ნაცვლად ბუნების მოვლენებისა, რომლებიც ფიზიკისების კვლევა-ძიების მთავარ საგანს შეადგენდა, თავისი კვლევა-ძიების მთავარ საგნაც სოკრატემ ადამიანი და მისი ცხოვრება აქცია. ციცე-რონის შენიშვნით, სოკრატემ ფილოსოფია ზეციდან ჩამოიყვანა და ქალაქებსა და სახლებში შეიყვანა. აზრი ამ შენიშვნისა ის იყო, რომ სოკრატემ მოაშინაურა ფილოსოფია, გააკულტურა იგი, დაშორებულ ვარსკვლავების, ღრუბლების და სხვა ბუნებრივ მოვლენების შესახებ უსაფუძლო, განვითარებულ და ერთმანეთის საწინააღმდეგო ოეორიების შეთხვის მაგივრად, რაც სოკრატემ შემლილობის მსგავს მეტიჩრობად ჩასთვალა, მან არჩია გამოკვლევა იმისა, რაც ადამიანის ჩვეულებრივ ცხოვრებას შექსებოდა უშუალოდ და რასაც უდიდესი შინიშვნელობა ჰქონდა ამ ადამიანის ყოველდღიური პრატიკისათვის. ქსენოფონტეს მოწმობით, სოკრატე¹, „არ ეხებოდა იმას, თუ როგორ გაჩნდა ე.წ. კოსმოსი და რა კანონს ემორჩილებოდა ცის თითოეული მოვლენა: ასეთი საკითხების მკვლევარებს ის უცნაურ ადამიანებად სთვლიდა“². სამაგიეროდ სოკრატე³ „ყოველთვის ადამიანურ საკითხებს ეხებოდა საუბარში და არკვევდა, რა არის ლამაზი და რაა სამარცხეინო, რა არის სიმართლე და რაა უსამართლობა, რა არის კონიერება და რა არის უგუნურობა, რა არის ვაჟეკაცობა და რაა დიაცობა, რა არის სახელმწიფო და რა არის პოლიტიკური მოღვაწე“⁴. დაახლოებით ამასევ ადასტურებს პლატონი, რომელიც ალეიბიადეს პირით ამბობს, რომ სოკრატე ეხებოდა ყოველთვის ჩვეულებრივსა და პროზაულს მატერიას: მეწადებს, მჭედლებს, მეტყავეებს — ასე რომ პირები შეხედვით მისი სიტყვები მაყურებელს სასაცილოდაც კი უნდა მოჩერენებოდათ⁵. გულუბრყვილო აზროვნებისათვის მართლაც და სასაცილო უნდა ყოფილიყო ის, ვინც ვარსკვლავებზე ლაპარაკს

¹ Tusc. V, 4, 10.

² Memor. I, 1, 11.

³ Memor., I, 1, 16.

⁴ Plato, Symp., 221 c.

თავს ანებებს და მეწაღებზე იწყებს ბაასს, რადგან გულუპრეკოლი
აზროვნება ვერ სწვდება იმას, რომ უბრალო მეწალის პრონაულ
ყოფაში მეტი ამოცანებია მოცემული, ვიდრე ბრწყინვალე სირიუსის
ელვარებაში.

§ 8. სოფისტიკის მოხსნა.

ზემონათქვამიდან ირკვევა, რომ სოკრატეს ბევრი რამ პქონდა
საერთო სოფისტებთან: მართლაც, სოკრატემ აქცია აზროვნების საგ-
ნად ადამიანი და ამით ხელი შეუწყო მეცნიერების მოშინაურებას.
მაგრამ განა ასე არ იქცეოდნენ სოფისტებიც? მათაც ხომ ადამიანი
მოაქციეს თავისი ყურადღების ცენტრში. ამრიგად საგანი აზროვ-
ნებისა სოფისტებს და სოკრატეს თითქმის ერთნაირი პქონდათ. ეს კი
იწევედა მსგავსებას მათი მოღვაწეობის გარევნულ ფორმაშიც. თუ
ციცერონმა სთქვა, რომ სოკრატემ ფილოსოფია ზეციდან მიწაზე ჩა-
მოიყავანაო, იგივე შეეძლო მას ეთქვა სოფისტებზედაც. მეორეს მხრივ,
თუ სოფისტების შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ მათ ფილოსოფია კარ-
ჩაკეტილი სკოლების კედლებიდან გაიტანეს ქუჩებში და მოედნებში,
კ. ი. დაუახლოეს ფილოსოფია მასებს, იგივე შეიძლებოდა ეთქვათ
სოკრატეს შესახებაც, ოღონდ უფრო მეტის უფლებით, ვინაიდან, თუ
სოფისტების მოსმენა შეეძლო მხოლოდ მდიდარ მოქალაქეს, რომე-
ლიც ამისათვის კარგს პონორარს გადაიხდიდა, სოკრატეს მოსმენა
შეეძლო უდარიბეს მოქალაქესაც, რადგან სოკრატე არავითარ პონო-
რარს არ ახდევინებდა მსმენელს. მაშასადამე, მსგავსება სოფისტებსა
და სოკრატეს შორის უჟვეველად არსებობდა, მაგრამ ყოველი მსგავსე-
ბა არ არის იგივეობა: სოკრატეს მსგავსებაც სოფისტებთან არ იყო
იგივეობა.

სოფისტების რეაბილიტაციის ობიექტური მიზნით ინგლისელმა მეცნიერმა
გრიტმა სკად დაემტეაცებინა, რომ სოკრატე იყო ტიპიური სოფისტი, უახლოედება
ამის ჰერელის შეხედულება, რომელიც სოფისტებსა და სოკრატს ერთნაირად სოფილის
იმ „სუბიექტობის“ და „რეფლექსის“ წარმომადგენლებად, რომელმაც შეარყად
„სუბსტანციალურ ზნეობაზე“ აფექტული ბერძნელი სახელმწიფო. წინააღმდეგ ამისა
ცელერი (Philos. d. Griech., II, 111, 190) და კინდელბანდი (Прелиодини, 54)
საბართლოანად წამოსწევენ წინ განსხვავებას სოფისტებსა და სოკრატეს შორის.
შეკვეთ ეს განსხვავება ასედაც შეიძლებოდა აღვენიშნა: სოფისტების პრინციპი იყო
კონტრტელი (კონტრული) სუბიექტი, ხოლო სოკრატეს პრინციპი იყო სუბიექტი, რი-
კორც ცნება.

პრინციპული განსხვავება სოფისტებსა და სოკრატეს შორის იყო აროვნების მეთოდში. თავისი საგნის გასარკვევად (ე. ი. ადამიანისა და მისი კულტურის პრობლემების გადასაწყვეტად) სოფისტია საჩ-გებლობდა ფიზიკისების მეთოდით (ე. ი. იძლეოდა ადამიანისა და კულტურის მექანიკას). ლოგიკური შედეგი ამისა კი იყო სოფისტების სკეპტიკური და ნიპილისტური დამოკიდებულება ყოველი კულტური-სადმი საზოგადოდ, ვინაიდან სოფისტებს აღარ ჰქონდათ ფილოსოფიუ-რად შეკნებული თავისი მოღვაწეობის წანამძღვრები. ასეთს სკეპ-ტიციზმსა და ნიპილიზმში სოკრატემ ვერ პპოვა საქმაოდ სანუეგშო მოელენა. მან კარგად შენიშნა, რომ თავისი სკეპტიციზმით სოფისტებ-გა მხოლოდ შეარყიეს ძველი პატრიარქალური ტრადიციები, მაგრამ ვერ დასძლიერ ივი, ვინაიდან ამისათვის საჭირო ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური რესურსები აკლდათ. სოფისტებმა მხოლოდ მექანი-კურად უარყვეს ცხოვრების ძველი ფორმები, მაგრამ დიალექტიკუ-რად ვერ მოხსნეს ისინი, რადგან ამისათვის აუცილებელი იყო უფრო შორს მწვდომი კრიტიკა, ვიდრე ის, რომელსაც აწარმოებდნენ სოფის-ტები. როგორც ძველი ტრადიციების მექანიკური უარყოფელები, სოფისტები არსებითად ამ ტრადიციის ეპიგონები იყვნენ და რადიკა-ლური ვამიჯვნა მისგან ვერ შესძლეს. ძველი ტრადიციის მექანის-ტური დაშლის საშუალებით სოფისტებმა მიიღეს კერძო ინდივიდუა-ზი და კამოაცხადეს ეს უანასქრელი აბსოლუტურ რაობად ან „ყველა სავნების საზომად“. სოფისტებმა ვერ შენიშნეს, რომ კერძო ინდივი-დურის გააპსოლუტება ისევ იმ ემპირიის გააპსოლუტებაა, რომელზე-ცაც ავებული იყო სოფისტების მიერ უარყოფალი პატრიარქალური ტრადიცია, ვინაიდან ეს კერძო ინდივიდუური ხომ ემპირიული არ-სება იყო.

რაც სოფისტებს შეუმჩნეველი დარჩა, ის შეამჩნია სოკრატემ და ისტორიულ ამოცანად აღიარა კერძო ინდივიდუურის გაკრიტიკება და მისი ჩამოვალება აბსოლუტის პიედასტალიდან. თუ პატრიარქალური კერძოთაყვანის ცემიდან სოფისტებმა მაინც გადაარჩინეს ერთი კერძი, კერძო ადამიანი, სოკრატემ ეს კერძიც დაანარცხა მიწაზე და განაც-ხადა, რომ არავითარი კერძი არ არის საჭირო, ვინაიდან ყოველი კერ-ძი პპოჭავს ადამიანის თავისუფლებას და, მაშასადამე, სოფისტების ინდივიდუალიზმიც არ არის ჭეშმარიტი განთავისუფლება ადამიანისა. როგორც ვხედავთ, სოკრატემ მხოლოდ გააგრძელა კრიტიკის საქმე,

რომელიც სოფისტებმა უადგილოდ შეაჩერეს, და ამან მისცა სოქრატეს
 საშუალება გადაეღახა სოფისტების სკეპტიციზმი და ნიპილიზმი. უკ-
 რიგად, სოქრატე ეწინააღმდევებოდა სოფისტებს არა იმაში, რომ ისინი
 ძველს მამა-პაპეულს ტრადიციას არღვევდნენ და ინდივიდუუმს ათა-
 ვისუფლებდნენ: რომ მამა-პაპეულმა ადათებმა და, საზოგადოდ, ძველმა
 წესებმა თავისი დრო მოსჭამეს, რომ სოციალური ცხოვრების გამოც-
 ვლილს პირობებში ისინი ვერ გამოადგებოდნენ ახალ ადამიანს სახელ-
 მძღვანელო საწყისებად, რომ საჭიროა კრიტიკის საშუალებით ადამი-
 ანის განთავისუფლება ამ ტრადიციებისაგან, — ამას სოქრატეც აღია-
 რებდა. ოღონდ სოქრატე ეწინააღმდევებოდა სოფისტებს მხოლოდ
 იმაში, რომ მათ ბოლომდის არ მიჰყავდათ ძველის უარყოფა და ინ-
 დივიდუუმის განთავისუფლების საქმე, რომ მათი კრიტიკა არ იყო
 საქმაოდ ღრმა კრიტიკა. რამდენადაც თვითონ სოფისტები ვერ ამჩნევ-
 დენ ამას, სოქრატე ფიქრობდა, რომ მას უფლება ჰქონდა, ისინი გო-
 ნებაშეზღუდულ ან გონებანაკლულოვან ადამიანებად ჩაეთვალა და
 თავის ამოცანად იმის გავეთება დაესახა, რასაც სოფისტების მოკლე
 ჭეუა ვერ ამწვდა — ისე როგორც გონებაშეზღუდულ ადამიანებად
 გამოაცხადა მე-19 საუკუნეში კ. მარქესმა „კრიტიკული კრიტიკის“
 ადეპტები — ბრუნო ბაუერი, ედგარ ბაუერი და მაქს შტირნერი, რო-
 მელთა ინდივიდუალიზმი მან სამართლიანად დაინახა ანტი-ფილო-
 სოფიური სოფისტის ჩესტივრაცია: და მართლაც, ვინც ლაპარაკობს „ich habe meine Sache auf mich gestellt“, ის არსებითად იმეო-
 რებს გორგას, რომელსაც seine Sache auf Nichts gestellt ჸქონდა.

აქედან ცხადია, თუ რამდენად შემცდარი იქნებოდა ის, ვინც იმ
 გარემოებაში, რომ სოქრატე საბერძნეთის პროგრესულ ძალას (სო-
 ფისტის) ებრძოდა, ბერძნული ცხოვრების ძველი წესების (ძველი
 ადათების, ძველი სარწმუნოების, ძველი პოლიტიკური წყობის, ძველი
 აღზრდის) აღდგენის რეაქციონურ ცდას დაინახავდა. სოქრატე ებრძო-
 და სოფისტის მარტო იმიტომ, რომ ეს უკანასწერელი არ იყო წმინდა
 პროგრესული ძალა, რომ პროგრესული საწყისის გვერდით მასში
 იმაღლებოდა რეაქციის ელემენტებიც. მაშასადამე, სოქრატეს ბრძოლა
 სოფისტისათან წარმოებდა არა ძველის აღდგენის ქვეშ, არამედ ახა-
 ლი გზის მოსაპოვებლად. რომ ძველი წესების დამცველი ყოფილიყო
 სოქრატე, მაშინ ის რეაქციონური არისტოფანეს თანამოაზრე იქნე-
 ბოდა. მართალია, არისტოფანემ დიდი სიყალბე ჩაიღინა, როდესაც
 მან სოქრატე სოფისტის ტიპიურ წარმომადგენლად გამოიყვანა ზე-

ვოსტენებულს თავის პიესაში (პოეტს არისტოფანეს არც კი შეეძლო, ცხადია, სოკრატეს ფილოსოფიური მოძღვრების გარჩევა სოფისტების მოძღვრებისაგან). მაგრამ არისტოფანე არ შემცდარა, როდესაც სოკრატეს მოღვაწეობაში მან თავის რეაქციონური სიმპათიების რაღაც აღური უარყოფა დაინახა და ამის გამო იერიში მიიტანა ათინელ ფილოსოფოსზე. მართლაც, მამა-პაპეულ ტრადიციაზე დამყარებული ცხოვრების წესების უარყოფაში სოკრატე უკველლად ემსგავსებოდა სოფისტებს და მათთან ერთად იღვა „განათლების“ საზოგადო ნიადაგზე: სოკრატეც ინდივიდუალისტი იყო, ისიც მოითხოვდა პიროვნების თავისუფლებას, ისიც განათლების მოციქულად სთელიდა საკუთარ თავს, ისიც „ზრდიდა დამიანებს“ პროტაგორასავით. ოდონდ ყველაფერი ეს სოკრატეს არ უშლიდა ხელს, სასტიკი ბრძოლა ეწარმოებინა სოფისტებთან, რაღაც მისი აზრით სოფისტებს აკლდათ სწორი საშუალება, კარგად გაეკეთებინათ ის ისტორიული საქმე, რომლის გაერთება სოკრატესაც პქონდა მიზნად დასახული. ასეა ყოველთვის: უსასტიკესი ბრძოლის წარმოება ჩეენ სწორედ იმათთან გვიძლება, ვინც სხვებზე უფრო ახლო დგას ჩეენთან, მაგრამ შეგნების ან სხვა საშუალებათა ნაკლებობის გამო ბოლომდის არ მოგვყენა და შეა გზაზე გვტოვებს. ასეთები იყვნენ სოფისტები სოკრატესათვის: ნაცვლად პიროვნების განთავისუფლებისა, სოფისტები ათავისუფლებლენენ კერძო ინდივიდუუმის კაპრიზებს; ნაცვლად ძეველი პატრიარქალური ზნეობის მოხსნისა, ისინი მხოლოდ მექანიკურად უარყოფნენ მას და ვერ ამჩნევდნენ, რომ თვითონ ამ ზნეობის ფარგლებს ვეღარ გასცდნენ; ნაცვლად ჭეშმარიტად განათლებული ადამიანის აღზრდისა ისინი ზრდიდნენ მოჩვენებით განათლების შქონე ნაცარქექიებს, ლამაზი სიტყვის ოსტატებს, ქარაფშეტა ორატორებს. რომლებსაც აკლდათ აზროვნების სიმტკიცე და ნებისყოფის სიწმინდე.

§ 9. ზნეობის კრიტიკა, როგორც სოკრატეს ფილოსოფიის მთავარი ამოცანა

სიტყისტებისაგან განსხვავებით, რომლებმაც თავისი კრიტიკა შეაჩერეს კერძო ინდივიდუუმზე და უკანასკნელი აბსოლუტად გამოაცხადეს, სოკრატემ საჭიროდ სცნო ეს კერძო ინდივიდუუმიც გაეკრიტიკებინა და მოხსნა. ამ კრიტიკას სოკრატე არ აწარმოებდა არც რელიგიის,

არც პოლიტიკის, არც ხელოვნების არეში. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ რელიგის რეფორმატორად სოკრატე არ გრძნობდა თავის თავს, ხოლო პოლიტიკურ ცხოვრებაში ის აქტიური მონაწილეობის მიღებას ერიდებოდა². რაც შეეხება ხელოვნებას, აქაც სოკრატე იმდენად თავდაჭერილი იყო, რომ სრულიად მიაგდო ძერწვა, რომელსაც სწავლობდა ახალგაზრდობისას, როგორც მომავალს თავის პროფესიას³. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზნი? არა ის, რომ სარწმუნოება, სახელმწიფო და ხელოვნება სოკრატეს ზედმეტ ბარგად მიაჩნდა ცხოვრებისათვის, აპათიის მქადაგებელ ეპიურეელთა ან ატარაქსიის მომხრე სკეპტიკოსების მსგავსად, რომელთა რიცხვი ასე გამრავლდა საბერძნეთში არისტოტელეს შემდეგ. სოკრატესათვის უცხო იყო ის ინდიფერენტიზმი პოლიტიკური ცხოვრების მიმართ, რომელიც არისტოტელეს მომდევნო თაობათა კოსმოპოლიტურს ფილოსოფიას ახასიათებს. პირიქით, სოკრატე ცდილობდა ხელი შეეწყო მოქალაქეთა შორის პოლიტიკური მოვალეობისაღმი ერთგული გრძნობის ზრდისათვის⁴ და თავის ფილოსოფიურ მოღვაწეობასაც კი ის ერთგვარ სახელმწიფო სამსახურად სთვლიდა⁵. თუ ასეთს პირობებში სოკრატემ თავისი კრიტიკა არ აწარმოა რელიგიის, პოლიტიკის და ხელოვნების არეში, მოხდა ეს იმიტომ, რომ მას რელიგიაც, პოლიტიკაც და ხელოვნებაც ზნეობა არა აქვს, მას, სოკრატეს აზრით, არც მტკიცე სარწმუნოება ექნება და ის ვერც მტკიცე სახელმწიფოს შექმნის და ვერც დიდ ხელოვნებას, იმიტომ რომ ზნეობა არის ის საუკმენელი, რომელზედაც შენდება სოკრატეს აზრით,

¹ ქსენოფონტეს გადმიცემით, სოკრატე სულელებად სთვლიდა მათ, ვინც დვთა-ებრივ საქმეებს იყვალებდა: Mem. I. 1, 11, ეს იმას კა არ ნიშნავს, რომ სოკრატეს არ მოუხერხა გვილენა რელიგიაზე, არამედ მხოლოდ იმას, რომ მისა მოღვაწეობა არ იყო უშეაღლო მიმართული რელიგიის რეფორმისაკენ. ამიტომ მართალია ფრ. ლინკის როგორც წერს: „reformatorisch wirkte Socrates allerdings auch auf religiösem Gebiete“ (Gesch. des Mater., hrsg. v. Elissen, I, 78), თუ აქ ვაგულისხმევთ არა მიზანდასახელი უშეაღლო მოქმედება.

² სოკრატე ამბობდა პედასტების წინაშე, რომ უხილავმა მაღამ აუკრძალა მას პოლიტიკოსობა: Plato, Apol., 31 D.

³ შედრ. Zeller, II. 52. 2 Anm.

⁴ სოკრატემ ჩრედა მისცა, მაგალითად, პლატონის ბიბას ხარშილეს. აქტიური მონაწილეობა მიეღო პოლიტიკაში. Xen, Memorab., III, 7.

⁵ Plato, Apol. Xen, Mem. I, 6, 15.

რელიგიაც, სახელმწიფოც და ხელოვნებაც, და, მაშასადამე, ამ უკანასწელთა გარდასაქმნელად საჭიროა ჯერ ადამიანთა ზნეობრივი გარდაქმნა! ამიტომ უდიდესი სამსახური საზოგადოებისათვის არის სოკრატეს აზრით, ადამიანთა ზნეობრივი აღზრდა და აღმზრდელს, გასწავლებელს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიღრე მხედარს ან პოლიტიკურ ორატორს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მაღალი დაფასება აღზრდის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა დიდი დამსახურება იყო ისტორიის წინაშე, თუმცა არ გუმენ ტებს, რომლებიც მოყვას სოკრატეს ამისათვის, ჩვენი დრო-არ გაიზიარებდა.

აქედან გასაგებია, რომ თავისი კრიტიკის ბასრი იარაღი სოკრატეს სწორედ ზნეობის არეში მოიმარჯვა. აქ არის სწორედ სოკრატეს განსხვავება მეორე დიდი კრიტიკოსისაგან, სახელმობრ, ელეატური სკოლის დამაარსებელ ქსენოფანესაგან, რომლის კრიტიკული მოღვაწეობა, სოკრატეს მოღვაწეობის წინამორბედი იყო. ქსენოფანე ფიქრობდა, რომ ზნეობა დამოიდებულია სარწმუნოებისაგან და ყალბი სარწმუნოება რყენის საზოგადოებას ზნეობრივად და დაღუპვისაენ მთაქანებს მას: სწორედ ყალბი წარმართული სარწმუნოების გამო გაირყენა, ქსენოფანეს შეხედულებით, საბერძნეთი და მონობის უღელჟერ ჩივარდა. ამიტომ ბერძნული ცხოვრების გასაჯანსაღებლად ქსენოფანემ თავისი მოღვაწეობის ცენტრად წარმართულ რელიგიასთან ბრძოლა აქცია: ქსენოფანემ მისცა საბერძნეთის რელიგიის კრიტიკა¹. ამ სახელმოვანი ელეატისაგან განსხვავებით, სოკრატე იმ შეხედულებას ემხრობოდა, რომ ზნეობა յე არ არის სარწმუნოებისაგან დამოკიდებული, არამედ თვით სარწმუნოება არის ზნეობისაგან დამოკიდებული. ამიტომ ქსენოფანესაგან განსხვავებით თავის უიღლოსოფიური მოღვაწეობის ცენტრში სოკრატემ ზნეობის პრობლემა მოაქცია². თუ ქსენოფანე ებრძოდა წარმართობას სარწმუნოებაში, სოკრატე შეებრძოლა „სუბსტანციალურ ზნეობასაც“.

წარმართობა ზნეობაში არის სოციალურ გარემოში მიღებულ და ტრადიციის ავტორიტეტით განმტკიცებულ ადათების ბრძა შესრულება, ვანუსჯელობა, შეუგნებლად მოქმედება, თავის თავისათვის ან-

¹ Xen. Mem. III, 6, 14.

² Xen. Memor. I, 6, 15.

³ ამ შემთხვევაში „ქსენოფანე კოლოფონელი“, 93 გვ.

⁴ Arist., Metaph., 987 b.

⁵ Hegel, Vorlesungen über die Gesch. der Philos. II, 81 ff.

გარიშის მიუცემლობა საკუთარ ყოფა-ქცევაში. წარმართის ყოფა-ქცევას ინდივიდუალური შეგნების ნაცვლად ინერცია მართავს. წარმართი არ აქტებს შეგნებულს არჩევანს სხვადასხვა შესაბალებელ მოქმედებათა შორის. ის მოქმედებს სტიქიურად, ქვეცნობიერ ინსტინქტებისა და გარეშე წრისაგან შეთვისებულ ბრძან ჩვევათა გავლენით, რომელიც ღრმად არიან გამჯდარი მის ფსიქო-ფიზიკურ ორგანიზაციაში და ნივთიერი აუცილებლობის ძალით აწვებიან მას. ამიტომაც ეს მოქმედება ღილად არ განირჩევა პირუტყვის ქცევისაგან. როგორც პიროვნება, წარმართი არც კი ჩანს ზნეობრივ არეში. შეიძლება ითქვას, რომ მას მორალური პიროვნება, მორალური „მე“ არ აქვს. როდესაც ადათი მოითხოვს ამა თუ იმ საქციელს, წარმართული ზნეობის ადამიანი თითქმის მექანიკური აუცილებლობით ასრულებს მას, რადგანაც ის ბაჟვობიდანვე მიჩვეულია მის შესრულებას და სხვაგვარად მოქცევის შესაბალებლობა მას არც კი წარმოუდგენია. მაგრამ მას არ ესმის, რასაც აქტებს, და ვისმე რომ ეკითხა, რისთვის არის საჭირო ასე მოქცევა და არა სხვაგვარად ან რა საბუთი აქვს ასე მოქცევას, წარმართი ამ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემდა და თვით ასეთი კითხვაც კი გაუკეირდებოდა: იმდენად ბუნებრივად და თავის თავად ცხადად მიაჩინა მას თავისი საქციელის საჭიროება. საბუთის მოყვანა თავისი მოქმედებისათვის ან დასაბუთება თავის ყოფა-ქცევისა წარმართული ზნეობის ადამიანს არ შეუძლია, ისე როგორც პირუტყვეს არ შეუძლია იმის დასაბუთება, რომ ის თივას სჭამს, ხეს არ შეუძლია იმის დასაბუთება, რომ ის ფოთლებს ისხამს, ან ქვას არ შეუძლია იმის მიზეზის ჩვენება, რომ ის ეცემა. როგორც თვის ჭამა პირუტყვისათვის, ფოთლების გამოსხმა ხისათვის ან ძირს დაცემა ქვისათვის არის ბუნებრივი აუცილებლობით გამოწვეული, ინერციული და არა შეგნებულად არჩეული ქცევა, თითქმის ასე ინერციული და შეგნებულია წარმართის მოქმედებაც: წარმართს საბუთი თავისი მოქმედებისა აღარ აქვს შეგნებული, და ამ უკანასკნელსაც ამიტომ მისი შეგნება ან მისი „მე“ კი არ მართავს, არამედ მისგან დამოუკიდებელი გარეშე მიზეზები, თითქო წარმართს არც კი პქონდეს ეს შეგნება და თითქო მთელი მისი არსება იყოს „მე“-ს მოკლებული ტლანქი ფიზიკური სხეული. მოქმედება, რომელიც გამოწვეულია გარეშე მიზეზების მიერ, არის მოქმედება იძულებითი, არა-თავისუ-

ფალი¹. ასეთი მოქმედების ჩამდენი არც აგებს მისთვის პასუხს, ისე როგორც არ აგებს პასუხს ხე იმისათვის, რომ მან რკო გამოისხა და არა თუთა. სწორედ ასე, წარმართული ზნეობის კაციც არ აგებს თავისი ქცევისათვის პასუხს, ვინაიდან ის არ არის თავისუფალი არსება, რომელიც თეოთონ არის მიზეზი თავის მოქმედებისა, ე. ი. თვითონ განსაზღვრავს თავის ქცევას ან თეოთონ მართავს საკუთარ თავს.

საბერძნეთის აზროვნების ისტორიაში სოკრატემ პირველმა გაიკო, თუ რაში მდგომარეობს წარმართული ზნეობის არსება², მაშასადამე, მისი საზღვარიც, და ზნეობის ახალი ცნება წამოაყენა. სოკრატეს აზრით, ზნეობრივი კაცის სახელი არ შეიძლება ეწოდოს იმას, ვინც არ იცის თავისი ქცევის საბუთი და მოქმედებს ბრძან, შეუგნებლად, ცონბიერებაში მოუყვანელ ბუნებრივ ინსტინქტებისა და საზოგადოებაში გამეუყებულ ჩევეულებათა და დაწესებულებათა გავლენით, ვინაიდან, ფიქრობდა სოკრატე, ზნეობა ქცევის შევნებულობას ან მისი საბუთის ცოდნის გულისხმობს, როგორც თავის პირობას. ზნეობის პრინციპია ცოდნა, შევნება, და, მაშასადამე, ცოდნასა და შევნებას მოკლებული ადამიანი ზნეობასაც მოკლებულია — აი ის აზრი, რომელიც წამოაყენა სოკრატემ და რომლის ძალით მთელი წარმართული ზნეობა უზნეობად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული, რადგან ის აგებული იყო არა ინდივიდუუმის შევნებაზე, არა ცოდნაზე, არამედ ბუნების შეუგნებელ ძალებზე. ამ უზნეობის სფეროდან ჭეშმარიტი ზნეობის სფეროში გასვლა ამოცანად იქნა დაყენებული კაციბრიობის წინაშე, და ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის საქმეში თავისი წელილის შეტანა იყო მიზანი სოკრატეს ფილოსოფიური მოღვაწეობისა, რომლისაეკნ სოკრატე, მისივე სიტყვით, სიყრმიდანვე გრძნობდა რადაც სიღიღმლო მოწოდებას³. რაյო ზნეობა, სოკრატეს აზრით, ცოდნას გულისხმობდა, ცხადია, რომ სოკრატეს ფილოსოფია კერ აუხვევება და გვერდს ცოდნის პრობლემას. და მართლაც, სოკრატემ გამოიჩინა

¹ თავისუფალია მოქმედება, რომლის მიზეზი მოთავსებულია თეოთონ ამ მოქმედის „შე“-ში და არა ამ უკანასკნელის გარეშე: თავისუფალია მხოლოდ თავისუფალი კაცის მოქმედება, ე. ი. ისეთი კაცის მოქმედება, რომელიც თეოთონ არის თავის უფალი, და არა სხვა არის მისი უფალი.

² სოფისტები უარყოფნენ წარმართულ ზნეობას, მაგრამ უიღოსოფიური გავება ამ ზნეობისა მათ არ პქონდათ და ამიტომ ისინი თეოთონაც ამ ზნეობის ფარგლებში ჯარიჩენ.

³ Plato, Apol. 33 c.

ამ პრობლემისადმი ისეთი ინტერესი, როგორიც არ გვხვდება მანამდე ფილოსოფიის ისტორიაში, და მოგვცა მისი ისეთი გადაწყვეტა: როგორ მეღიც თავისი სიღრმით აჭარბებს ყველაფერს, რაც კი უთქვაშო უწინ ამ საკითხის შესახებ საბერძნეთის მოაზროვნებს.

2. მათემატიკის აროგლამა სოკრატის ფილოსოფიაში

ა. მოღის ცხადი

10. მოწვევებითი სიბრძნის კრიტიკა

სოკრატე გვიან გამოვიდა ფილოსოფიურ სარბიელზე¹. საბაბად ამისათვის, როგორც თვითონ სოკრატე ამბობს პლატონის „აპოლო-გრამი“², შემდეგი შემთხვევა გამხდარა: ათინელი ბომონდის ერთი წარმომადგენელი, სახელად ხაირეფონტე, შეიძლება ოხუნჯობის მიზნით, შეეკითხა თურმე დელფის ორაკულს, არის ვინმე თუ არა სოკრატეზე უფრო ბრძენი. აპოლონის ქურუმებმა, თავის ჩვეულებისამებრ, მოხერხებულად დაიძრინეს თავი ამ მახსაგან, რომელიც დაუგო მათ სოფისტების სკეპტიციზმის ატმოსფეროში აღზრდილმა თავეკარიანმა ყმაწვილმა, და გასცეს მის შეეკითხვაზე ასეთი პასუხი: „არაენ არის სოკრატეზე უფრო ბრძენი“. სხვა პასუხის გასაცემად პათიას დასჭირდებოდა, ალბათ, დაესახელებინა სოკრატეზე უფრო ბრძენი კაცი, რაც უფრო სახიფათო იქნებოდა, ცხადია, ორაკულის პრესტიჟისათვის. ქარაფშუტა ათინელი ახალგაზრდობა უეჭველად ბევრი აცინა დელფის ქურუმების ამ ონბაზობამ. მაგრამ სოკრატე სხვა კაცი იყო: ის დააფიქრა ორაკულმა, რომლის ფრონტონზე, როგორც ცნობილია, ღვეიზად ეწერა: „იცან თავი შენი“. თუ ორაკული მას, უბრალო მოქანდაკეს, რომელსაც თავისი თავი აქამდე სრულიად არ მიაჩინდა ბრძენ კაცად, არავისზე უფრო ნაკლებ ბრძენად აღარ სთვლის, როგორ არის ეს შესაძლებელი? ორში ერთი: ან სოკრატე ყოფილა მართლაც დიდი ბრძენი, ან არც ერთი კაცი, რომელსაც ბრძენებად სთვლიდენ, არ ყოფილა ამ სახელწოდების ღირსი. აი, ამ

¹ უფელ შემთხვევაში არისტოფანეს „დრუბლების“ პირველი დადგმის დროს, კ. ა. 423 წ.. სოკრატე უკვე ცნობილი მოაზროვნე უნდა ყოფილიყო ათინაში: წინააღმდეგ შემთხვევაში, არისტოფანე მას თავისი კომედიის გმირად არ გამოიყვანდა.

² Plato, Apol., 20 e.

საკითხის გამოსარეკვევად, რომელიც მას ორაკულმა აღუძრა, სოკ-
რატემ საჭიროდ დაინახა მიემართა იმათვის, ვისაც ბრძენის სახელი
ჰქონდა საზოგადოებაში მოხვეჭილი, გაესინჯა ისინი და შეემოწმებინა
მათი სიბრძნე.

ბერძნულ საზოგადოებაში კი, უნდა ითქვას, ბრძენის სახელწოდე-
ბას უფრო ხელგაშლილად არიგებდენ, ვიდრე პროფესორის სახელ-
წოდებას არიგებდნ ხოლმე დღეს ევროპის ქვეყნებში. ბრძენი ეწოდე-
ბოდა აქ ყველას, ვინც თავისი უნარიანობით იყო ცნობილი, განურ-
ჩევლად იმისა, რომელ სპეციალურ დარგს ეკუთვნოდა ეს უნარი: პო-
ლიტიკას, ხელოვნებას, ექიმობას, მეცნიერებას, თუ ვაჭრობას, მრეწ-
ველობას, ხელოსნობას. მაგალითად, ბრძენის სახელი შეიძლებოდა
საბერძნეთში დარქმეოდა მშედელს, დურგალს, მოჭიდავეს, ან მხე-
დარს, — არა ნაკლები უფლებით, ვიდრე მათემატიკოსს ან ექიმს.
ყოველი სპეციალისტი, რომელსაც ეხერხებოდა თავისი საქმე, ბრძე-
ნად ითვლებოდა საბერძნეთში, უკვე იმ თვისების გამო, რომ მას
ეხერხებოდა ეს თავისი საქმე. „კარგი მშედელი“, „ჭედვის კარგი
მცოდნე“, „ჭედვის ბრძენი“, — სინონიმები იყო ბერძნისათვის, ისე
როგორც სინონიმები იყო მისთვის „კარგი მოჭიდავე“, „ჭიდაობის
კარგი მცოდნე“, „ჭიდაობის ბრძენი“².

აქედან გასაგებია, რომ იმ საკითხის გამოსარეკვევად, რომელიც
აღუძრა მას ორაკულმა, სოკრატემ მიმართა სხვადასხვა პროფესიის
სპეციალისტებს: ორატორებს, მწერლებს და პოლიტიკოსებს, მხატვ-
რებს, ექიმებს და მეცნიერებს, მხედრებს, ხუროთმოძღვრებს და რაჭ-
სოფებს, მეზღვაურებს, ვაჭრებს და მეტყავეებს, კალატოზებს, მშედ-
ლებს და მეწადეებს, დურგლებს, მექონიკებს და სხვა ასეთებს. მთელ
დღეს მათთან საუბარში ატარებდა სოკრატე, რომლის კომიკერი
ფიგურა არ შორდებოდა ათინის მოედნებს, ქუჩებს, საგინძასტიკო
დაბრაზებს, თეატრებს და საზოგადოები ადგილებს, სადაც ხალხი
ბუზიფით იროდა. სწორედ ამ ხალხის მასაში გრძნობდა თავს კარ-
გად სოკრატე, დიდი ქალაქის ეს ჭეშმარიტი შეიძლი, რომელიც ხშირად
იტყოდა ხოლმე, რომ მას ხალხში ყოფნა ურჩევნია ბუნების წიაღში
ყოფნას, ვინაიდან მუნჯი ხებისაგან კაცი ვერაფერს ისწავლისო.

¹ მაგალითად, საფრანგეთში არიან არა მხოლოდ მათემატიკის ან ფიზიკის, არამედ
ცვევის „პროფესიონერიცის“.

² P. Eisenmann, Ueber Begriff und Bedeutung der griechischen. Cœfia usw. Progr. für With. Gymn. München, 1895.

სპეციალისტების ახლო გაცნობიდან ცხადი შეიქნა სოკრატესათვის, რომ ესენი არც ისეთი ბრძენები ყოფილია, როგორც შორიდან მანანდენ, ვინაიდან არც ერთმა არ იცოდა, რა არის მისი სიბრძნე, ე. ი. არ იცოდა თავისი სიბრძნის არსება ან პრინციპი, რომ ბრძენებად წოდებულმა პირებმა არ იცოდენ თავისი სიბრძნის არსება, სოკრატე იქიდან დარწმუნდა, რომ ვერც ერთმა ვერ გასცა გარკვეული პასუხი სოკრატეს შეკითხვაზე, თუ რა არის მისი სიბრძნე ან რაში შედგება ამ სიბრძნის არსება. ვამოირკვა, რომ თითოეული ჩაფლული ყოფილ თავისი სპეციალური დარგის კერძო წვრილმანებში და ვერ ახერხებდა ამ წვრილმანებზე ამაღლებას საზოგადო საფუძვლებამდის ან პრინციპებამდის, რის ვამო ბერძენთა საზოგადოებაც ერთმეორისაგნ მაღალ კედლებით გათიშულ უჯრედების მექანიკურ გროვას წარმოადგენდა. ცხადია, რომ ვისმე ცოდნოდა თავისი სიბრძნის არსება, მასინ მას არც ვაუჭირდებოდა, სოკრატეს აზრით, ვაეცა პასუხი შეკითხვაზე, რა არის მისი სიბრძნე, ე. ი. არ ვაუჭირდებოდა გაეზიარებინა სხვისთვის თავისი სიბრძნის არსება ან პრინციპი². მას ეცოდინებოდა მაშინ თავისი დარგის საზღვარიც (ვინც არ იცის თავის დარგის საზღვარი, მას არ სცოდნია ხომ თავისი დარგის არსება), და ეს დაიცავდა მას იმ მეღიღური წარმოდგენისაგან, თითქოს მისი დარგი იყოს ყველაფერი, და ადგილი აღარ ექნებოდა სხვადასხვა დარგებსა და სპეციალობებს შორის იმ ურთიერთს დავას, რომლისაგან არ იყო თავისუფალი სოკრატეს დროის საბერძნეთი და რომელსაც შემდეგ სოკრატეს იარაღით შეებრძოლა კანტი ვერმანიაში³, როგორც გულუბრყილობის ნაშთს მეცნიერებაში.

როგორც ვამოირკვა სოკრატესათვის, პოლიტიკის ვამო ბრძენებად წოდებულებმა არ იცოდნენ, რა არის პოლიტიკა, ე. ი. არ იცოდნენ პოლიტიკის არსება, მისი პრინციპი ან საფუძველი და შეუენდლად ეწეოდენ პოლიტიკის. მაშასადამე, პოლიტიკის ბრძენების სახელი მათ უკანონოდ პქონიათ მიუთვნებული: ჰეშმარიტი ბრძენები კი არა, მოჩვენებითი ბრძენები ყოფილია ისინი. პოეზიის გა-

¹ Xen. Memor. IV, 2, 10.

² „ვისმაც ესმის საგანი, მას შეუძლია სხვასაც გააგებინოს იგი. ის კი, ვინც არ იყოს საგანი, თვითონაც აბნევა და სხვასაც აბნევს“, — ამბობს სოკრატე. Xen. Mem. IV, 6, 1.

³ Kant, Streit der Fakult.

ეო ბრძენებად წოდებულებმა არ იცოდენ, რა არის პოეზია¹, და, მა-
უასადამე, ისინი ყოფილან პოეტები არა პოეზიის ცოდნის გამო, არა-
მედ მხოლოდ ბრძა ინტიუციის მეოხებით. ასეთს პოეტებსაც პოეზიის
ბრძენის სახელი არ შეეფერებოდა, სოკრატეს გავებით. მჭევრ მეტ-
ყველების გამო ბრძენებად წოდებულებმა არ იცოდენ, რა არის
მყერმეტყველება, და მაშასადამე, ისინი იყვნენ მშევრმეტყველების არა
ჭეშმარიტი, არამედ მოჩვენებითი, ბრძენები. ხელოსნობის გამო
ბრძენებად წოდებულებმა არ იცოდენ, რა არის მათი ხელოსნობა, და
იყვნენ ხელოსნები არა ცოდნით, არამედ მხოლოდ ვარჯიშობის პრო-
ცესში გამომუშავებული ჩვევით. მაშასადამე, ესენიც იყვნენ ხელოს-
ნობის არა ჭეშმარიტი, არამედ მხოლოდ მოჩვენებითი ბრძენები. ვაჟ-
კაცობის, მეგობრობის ან სხვა რომელიმე სათხოების გამო ბრძენებად
წოდებულებმა (ასეთ „ბრძენებსაც“ იცნობდა საპერმენითი), არ იცო-
დენ, რა არის ვაჟკაცობა, მეგობრობა, და ესენიც იყვნენ არა ჭეშმა-
რიტი, არამედ მხოლოდ მოჩვენებითი ბრძენები. მეცნიერების გამო
ბრძენებად წოდებულებსაც კი არ ცოდნიათ თურმე, რა არის მეცნიე-
რება, და, მაშასადამე, ესენიც არ ყოფილან მეცნიერების ბრძენები:
წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ გაუჭირდებოდათ, გარკვეული პასუ-
ხი გაცემა სოკრატეს შეკითხვაზე — რა არის მეცნიერება. ნამდვილად
კი ასეთი პასუხის გაცემა მათ ვერ შესძლეს და ამით ნათელპყვეს
სოკრატესათვის, რომ ისინიც თავისი დარგის ისეთივე ბრძენები ყო-
ფილან, როგორი ბრძენებიც იყვნენ თავ-თავის დარგში დურგლები
და მეწალეები.

თავისი განსხვავება ამ მოჩვენებითი ბრძენებისაგან სოკრატემ
მხოლოდ იმაში შეძლო დაენახა, რომ ის არც თვითონ სთვლიდა თავის
თავს ბრძენად², და არც სხვები სთვლიდენ მას ასეთად, ვინაიდან სოკ-
რატე არც ერთ დარგში არ იყო სპეციალისტი: არ იყო არც გამოჩე-

¹ სოკრატე გააქვირება იმ გარემოებამ, რომ პოეზიის შესახებ პოეტებზე უკეთე-
სად არა-პოეტები მსჯელობდნენ, რასაც, ცხადა, არ ექნებოდა აღვალი, რომ პოე-
ტებს სიცინობათ, რა არის პოეზია. Plato, Apol., 22 b.

² ციცერონი მააწერს სოკრატეს დებულებას „scire se nihil se scire (Acad. pr. II, 23, 74). უფრო უსტად აქეს გამომცემული სოკრატეს დებულება პლატონს, — ამ არ ფიქრობ, რომ ვიცი“, და არა ამ ვიცი, რომ არაფერი ვიცი“ — აი როგორი
უნდა ყოფილიყო სოკრატეს დებულება. დებულება ამ ვიცი, რომ არაფერი ვიცი“
თავის თავს გააძათობდა. ვინც ამბობს, რომ არაფერი არ იცის, მას არ შევძლა
ხომ სოფეს, რომ მან „იცის“, და, მეორეს მხრივ, ვინც ამბობს, რომ მან რაღაც
იცის, მას არ შეუძლია სთქვას, რომ მან „არაფერი არ იცის“.

ნიღი თრატორი, არც ნიჭიერი პოეტი, არც დიდი მათემატიკოსი, არც დიდი ხელოსანი. ძერწვაშიც კი, რომელსაც ბაჟეობიდან სწავლობდა, დიდი პროგრესი არ გაუკეთებია სოკრატეს. ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო უპირატესობა: იმის, ვინც ფიქრობდა, რომ ის ბრძნია, მაგრამ ნამდვილად არ ყოფილა ბრძნი, თუ იმის, ვინც არ იყო ბრძნი და არც ფიქრობდა, რომ ის ბრძნია? თუ სიბრძნის ინტერესის თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, ორი პასუხის გაცემა ამაზე შეუძლებელი იყო: ცხადია, რომ უპირატესობა უნდა პქონოდა უკანასკნელს და არა პირველს, რადგან, თუ პირველი შემცდარი ყოფილა, რომ თავი ბრძნად წარმოუდგენია, უკანასკნელი ამ შეცდომისაგან მაინც თავისუფალი ყოფილა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ის ბრძნია, მედილურობით არის საკეთ და მას წინსვლის შესაძლებლობა წარომეული აქვს ცოდნის დარგში. წინააღმდეგ ამისა, ადამიანი, რომელიც არ ფიქრობს, რომ ის ბრძნია, წინსვლის ამ დაბრკოლებისაგან მაინც თავისუფალია: მას გახსნილი აქვს გზა განვითარებისთვის, მას არ აქვს დახმული ლტოლვა სიბრძნისაკენ ან სიბრძნის ძიების სურვილი. თუ მოჩვენებითი სიბრძნე რიცხავს სიბრძნის ძიების სურვილს, შეგნება იმისა, რომ სიბრძნე არ გაქვს, არის პირობა სიბრძნისადმი ლტოლვისა ან სიბრძნის ძიებისა. აი ამ სიბრძნის ძიებას ან ლტოლვის სიბრძნისაკენ სოკრატე უწოდებდა სიბრძნის სიყვარულს ან ფილოსოფიას და, სცნობდა რა, რომ თვითონ არ არის ბრძნი, აღიარებდა, მიუხედვად იმისა, რომ მას უყვარს სიბრძნე ან არის ფილოსოფო.

§ 11. „შე“ როგორც ცოდნის პირობა

შესაძლებელია, რომ პლატონის ზემოთ მოყვანილი გაღმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიდა სოკრატე ფილოსოფიურ ასპარეზზე, ყველა თავის დეტალში არ იყოს ისტორიული ხასიათის. ყოველ შემთხვევაში, იმავე პლატონის სიტყვებით, სოკრატე სიყრმი-დანევე გრძნობდა თურმე ფილოსოფიისაკენ მოწოდებას, და ის იდუმა-ლი ხმა, რომელსაც შემდეგ სოკრატე უწოდებდა² დემონს, უკაფავდა

¹ საყვირელია ტერმინის ეკოლუცია. ჩვეულებრივ წარმოდგენაში. დღეს ფილოსოფოსობა ნიშნავს პრეტენდირობას. თავდაპირეელად კი ეს ტერმინი შექნა პრეტენდირობის უარსაყოფად.

² ამის შესახებ იხ. ქვევთ.

გას გზას ფილოსოფიისაკენ უფრო ადრე, ვიდრე დელფის აპოლონის ორაკული საჯაროდ გამოაცხადებდა, რომ არავინ არის სოკრატეს უფრო ბრძენი. საკეირველიც კი იქნებოდა, რომ ხაირეფონტე შეეთხებოდა ორაკულს, არის თუ არა ვინმე სოკრატეზე უფრო ბრძენი, რომ სოკრატე სრულიად არ ყოფილიყო იმ დროს ცნობილი თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობით. გარდა ამისა, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ პლატონის გაღმოცემას ემჩნევა ერთგვარი ტენდენცია, სოკრატეს მოღვაწეობა დაუკავშიროს აპოლონის კულტს. ამ კავშირს კი შეეძლო გამოაშვარავება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოკრატეს ფილოსოფიური მოღვაწეობა გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბდა, და არა მანამდე.

მიუხედავად ამისა, მაინც პლატონის მოწმობა იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო სოკრატეს ფილოსოფიური მოღვაწეობა, შეუქს პფენს ამ მოღვაწეობას და გვაძლევს საშუალებას, გავერჩევთ მის შინაარსში. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ის ახალი წარმოდგენა ცოდნისა და სიბრძნის შესახებ, რომელიც პქონია სოკრატეს შემუშავებული. რომ ეს წარმოდგენა მართლაც ახალი იყო და ძირითადად განხსნავა და გვაძლევა იმისაგან, რომელიც პქონდათ სიბრძნისა და ცოდნის შესახებ სოკრატემდე, ამას ამტკიცებდა უკვე ის გარემოება, რომ არც ერთი კაცი, რომელსაც ყველანი ბრძენს უწოდებდნენ, სოკრატემ ბრძენად აღარ სცნო. ამიტომ საკითხავია, რაში უნდა ყოფილიყო ეს განსხვავება.

ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებით, რომელიც მიღებული იყო საბერძნებში, ბრძენი ეწოდებოდა მცოდნეს, ხოლო მცოდნე ეწოდებოდა იმას, ვინც იცის. სოკრატეც დაეთანხმა ამ სიტყვა-ხმარებას: მისთვისაც ბრძენი არის მცოდნე, ხოლო მცოდნე არის ის, ვინც იცის. მაგრამ სოკრატე აქ არ გაჩერებულა: მან სცადა, უკეთესად განესაზღვრა, რას ნიშნავს „იცის“, ან რა მნიშვნელობა უნდა პქონდეს „ცოდნა“ სიტყვას, და აქედან შეიცვალა როგორც „მცოდნე“, ისე „ბრძენი“ სიტყვის მნიშვნელობაც.

საბერძნებში მიღებული სიტყვა-ხმარებით ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ ასე: მჟედელმა „ცის“ ჰედვა, რაკი ის ჰედავს, მხერხავმა „იცის“ ხერხვა, რაკი ის ხერხავს, ხმატვარმა „იცის“ ხატვა, რაკი ის ხატავს. ასეთი სიტყვა-ხმარების საფუძველი იყო ის შეხედულება, რომ ყოველი კაცი, რომელიც აკეთებს რაიმე საქმეს, არის ამ საქმის

მცოდნე ან ბრძენი. სოკრატე არ დაეთანხმა ამას. რატომ არ დაეთანხმა, ამის შესახებ წყაროები გარეულად არაფერს გვეუბნებიან, მავრამ აღვილი შესამჩნევია, რომ სოკრატე უფლებად ფიქრობდა. ასე: თუ „იცის“ სიტყვას მიეცემოდა ასეთი მნიშვნელობა (კ. ი. თუ იმის შესახებ, ვანც ჰედავს, იტყოდნ, რომ მან იცის ჰედავი), მაშინ ისიც უნდა გვეთქვა, რომ ცხენმა „იცის“ სირბილი (რაჯი ის დარბის), მეზამ „იცის“ რეოს გამოსხმა (რაჯი ის რეოს ისხამს), წიწაკამ „იცის“ საჭმლის გამწარება (რაჯი ის საჭმელს ამწარებს), მდინარემ „იცის“ ხმაურობა (რაჯი ის ხმაურობს), ქვამ „იცის“ ძირს დაცემა (რაჯი ის ეცემა ძირს)¹. მაშასადამე, ეს ცხენი, წიწაკა, მდინარე და სხვა ასეთები მცოდნებად ან ბრძენებად უნდა გამოვეცხადებინა: ცხენი უნდა გვეცნ „ხმარბილის ბრძენად“, წიწაკა უნდა გვეცნ „საჭმლის გამწარების ბრძენად“, ქვა უნდა გვეცნ „ძირს დაცემის ბრძენად“. ეს იქნებოდა სიპრძის დამცირება, მისი პრესტიუსი შელაპნლვა და იმ მომენტის აბუჩად აგდება, რომელიც მოელი ბერძნელი კულტურის და ისტორიის სპეციფი-

¹ ქართველები შართლაც ასე ვლაპარაკობთ ხშირად: „იცის“ სიტყვას ვაერთობთ ეკრ. წ. უსულო საგნების აღწინშენებულ სიტყვებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, რომელსაც ეს საგნები სხვა თავის მსგავს საგნებისაგან განიჩრებან ამა თუ იმ თვისებებით ან მოქმედებებით, საათის შესახებ, რომელიც ხშირად მოულონებულად ჩერდება, ვატყვით ხოლმე, რომ ამ საათმა „იცის“ გამწერება; ლამის შესახებ, რომელიც ხშირად მოულონებულად ამოიწყეს, ვატყვით, რომ ამ ლამის „იცის“ ამოწყეა, — თითქო ეს საათი და ლამის სულიერი საგნები ყოფილიყონ. მაგრამ თოვები შესახებ, რომელიც წესიერად ასრულებს თავის დანიშნულებას და ნორმალური თოვებისაგან არ გამსხვავდება, არ ვატყვით, რომ ამ თოვები „იცის“ სირთლა (სამაცვიროდ თოვები „იცის“ ვალუაბა). აღსანიშნავია აქ ორი მომენტი: 1) „იცის“-სიტყვა ქართულ ენაზე იმსარება ხშირად ე. წ. უსულო საგანთა მოქმედების აღსანიშნავას, და ისიც შეიძლოდ მაშინ, რომელსაც ეს მოქმედება წევულებრივისაგან რითომ განიჩრევა. 2) „იცის“ სიტყვას აქეს ასეთი შემთხვევებში მნიშვნელობა არა უცირატესობის, არამედ სიცეისის, წესიერების დარღვევისა, უკარგისობისა, როგორც პრეველი, ისე შეორე მომენტი ანიმისტური და ანტი-ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის ნაშთია, რომელსაც უსულო საგნები სულიერად პქონდათ წარმოლგენილი, — განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ საგნების სხევებისაგან განსხვავებული თვისებები პქონდათ, და, ნაცვლად იმისა, რომ აქესნა ეს თვისებები (რაც უაჭველად აზროვნების ენერგიას მოიხსენება), აღამითან მიაწერდა მას „სულის“ მოქმედებას, კ. ი. ამეცავენებდა გონების სიჩრდენეს და სიზარმაცეს. მოწინავე ხალხებმა დიდი ხანია გადალახეს ეკვე ეს ანიმისტის ნაშთი რუსულად, მაგალითად, არ იომების „ყასა“, ვნაიოთ ისტავალისტისა, ბერძნებსაც უკვე გადაღაბული პქონდათ ეს სტატია ანიმიზმისა, და თუმცა

კურ ნიშანს წარმოადგენდა. სიბრძნის ასეთი დამცირებისაგან არ იყო საქმაოდ უზრუნველყოფილი ბერძნული საზოგადოება, როდესაც უზრუნველოსოფირ ასპარეზზე გამოვიდა სოკრატე. უკანასკნელმა ბრძოლა გამოუცხადა სიბრძნის გაფუქსიავატებას და ბრძენის ნიღაბი მოაგდიჯა უმეცარს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ მთხელავად იმისა, რომ სოკრატე უეჭველად დიდი ნოვატორი იყო ფილოსოფიური აზროვნების სფეროში, არსებითი მისი დამსახურება ის იყო, რომ მან სხვებზე უკუთხსად დაიცვა პრინციპი (სიბრძნე), რომელიც ჩათვისილი იყო, როგორც შეუგნებელი ლტოლვა, მისი ხალხის მოელს ყოფაცხოვრებაში და ამით შესძლო ამ უკანასკნელის დაძლევაც: პრინციპის დაცვა იქცა ფაქტის მოხსნად და მისი ფარგლების გადალახვად. სოკრატემ გადალახა საბერძნეთის ყოფის საზღვრები, რადგან ის სხვა მოაზროვნებზე უფრო ბრძენი აღმოჩნდა.

სოკრატეს აზრით, „იცის“ სიტყვა არ უნდა იქნეს ხმარებული იმ დამოუღებულების აღსანიშნავად, რომელიც არსებობს ქვესა (კ. ი. საგანსა) და დაცემის (მოქმედების) შორის ან და წიწაკასა (საგანსა) და სიმწარეს (თვისებას) შორის: არა ყოველი კავშირი საგანსა (ქვა, წიწაკა) და მისი მოქმედების (დაცემა) ან თვისების (სიმწარე) შორის არის შემცინება ან ცოდნა, ვინაიდან ცოდნა სპეციფიკური და მოკიდებულებების აღსანიშნავად, რომელიც არსებობს აზრით, სრულიად არ შეიძლება ითქვას, რომ ქვამ „იცის“ დაცემა. წიწაკა მწარება, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ წიწაკამ „იცის“ სიმწარე. მართლაც, ქვას მაშინ „ეცოდინებოდა“ დაცემა, რომ იმ დროს, როდესაც ის ეცემა, ქვას გაეფიქრა: „აი, მე ეხლა ვეცემი“, „ის, რასაც მე ვაკეთებ, არის დაცემა და არა სხვა რამე“. სხვანაირად რომ ითქვას: ქვას მაშინ ეცოდინებოდა დაცემა და, მაშასადამე, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა „ქვამ იცის დაცემა“. — რომ ამ ქვას დაცემის გარდა პერინებოდა კიდევ რაღაც სხვა, რასაც ჩენე ცუწოდებო შენიშვნას, შემწნევას, ყურადღების მიეცევას, შეცნობას, შეგნებას და ამათ მსგავს სხვა სახელებს. მაგრამ ეს რაღაც სხვა აღარ აქვს არც ერთს

იმინი ხმარობდენ ამ სიტყვას ცხოველების მიმართ, მაგრამ უსულო საგნების შინარჩ აზასოდეს არ ხმარობდენ მას. რა ზომაზედ ცოცხალია საქართველოში ანიშიშმის გადაწარმოები, ამის ნიშვნია, მაგალითად, ასეთი გამოთქმა: „შემოშეგამა“, „შემოშენერება“ და სხვ. რომელიც მტკიცებ არიან გამჯდარი ჩენეს ქვეცნობის არეში და გვაძრიკოდენ ეულტერის შეთვისებაში.

1. იხ. „ანტიკური ფილოსოფია სოკრატეს წინ“, გვ. 3.

ქვას: როგორც ქვა ეცემა, ის მხოლოდ ეცემა, და ამ დაცემის ფაქტს არც ერთი ქვა ახალს არაფერს ამატებს; არ ამატებს იმის შენიშვნამან შეგნებას, რომ ის ეცემა, — ისე როგორც წიწაკაც, როდესაც ის მწირებს საჭმელს, არ ამატებს ამ ფაქტს იმის შენიშვნას, რომ ის საჭმელს მწარებს. რა არას ეს შენიშვნა, ამის გამოკვლევა სოქრატეს, როგორც ჩანს, არ უწარმოებია. ოღონდ ორი რამ უკველად პერნდა სოქრატესაც შემჩნეული: 1. ყოველი შენიშვნა გულისხმობს ფაქტის მოქცევას ზოგადი პრინციპის ქვეშ. მაგალითად, დაცემის ფიზიკური ფაქტი რომ შენიშნულია როგორც ასეთი, ნიშნავს იმას, რომ ეს ფაქტი დაყენებულია „დაცემა“ — პრინციპის ქვეშ. 2. საკუთარი მოქმედების შენიშვნის უნარი აქვს მხოლოდ იმას, რასაც შეუძლია მო უბრუნდეს ამ მოქმედებას და აქციოს იგი თავისათვის ობიექტად, ე. ი. გასცეს ამ მოქმედების ფარგლებს და მიწვდეს, რომ ეს მოქმედება არას მისი მოქმედება ან ისეთი საგნის მოქმედება; რომელსაც ის-თვითონ სხვა საგნებისაგან არჩევს და „მე“-ს უწოდებს.

ამრიგად ირკვევა, რომ „იცის“ სიტყვა, სოქრატეს აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იქ, სადაც მოცემულია საგნის არა მხოლოდ მოქმედება ან თვისება, არამედ უფრო მეტი რაღაც, სახელდობრ — შენიშვნა თვით ამ საგნის მიერ საკუთარი მოქმედებისა, როგორც მისი „მე“-ს ფუნქციისა, რაც აუცილებლად „მე“-ს გულისხმობის. რასაც „მე“ აქვს (ე. ი. იმ საგანს, რომელსაც შეუძლია თავისი თავი შენიშნოს, სხვა საგნებისაგან გაარჩიოს და სოქვას: „მე“), იმას თანამედროვე ენით ეწოდება სუბიექტი. საგანს, რომელსაც „მე“ არ აქვს, ეწოდება ობიექტი. ამიტომ სოქრატეს შეხედულება ცოდნაზე ასე შევვეძლო გაღმოვვეცა: „იცის“ — სიტყვა უნდა იქნეს ხმარებული მხოლოდ იქ, სადაც საგანი მოქმედობს, როგორც სუბიექტი, და არა როგორც უბრალო ობიექტი. მაშასადამე, შეგნებაც არის მოქმედება ან თვისება არა ყოველი საგნისა, რომელიც კი არსებობს ქვეყანაში, არამედ მხოლოდ ზოგიერთი საგნისა, რომელსაც აქვს „მე“. სხვანაირად რომ ითქვას, შემეცნება არის არა უბრალო მოქმედება ან თვისება, რომლის მსგავსი აქვს ქვას, ხეს, პირუტყვს და საზოგადოდ ყოველს ფიზიკურად არსებულს საგანს, არამედ ისეთი მოქმედება, რომელიც ამისაგან დიდად განსხვავდება და მხოლოდ იმას გააჩინა, ვინც არის „მე“ ან სუბიექტი. როგორც ირკვევა, სოქრატეს შეუმჩნევა, რომ იმ საგნებს შორის, რომლებიც არსებობენ საზოგადოდ ბუნებაში ან არსებობენ ფიზიკურად, არის განსაკუთრებული ჯგუფი საგნები-

ხა, რომლებსაც აქვთ „მე“. სხვანირად რომ ითქვას, ფიზიკურად არსებულ საგნებს შორის სოკრატეს გაურჩევია ისეთი საგნები, რომ ლებიც სხვა ფიზიკურ საგნებისაგან ან ობიექტებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ აქვთ „მე“. ეს კი იმის თქმას ნიშნავდა, რომ ფიზიკურად, არსებობა, სოკრატეს აზრით, არ ამოწურავს მთელს არსებობას, რომ არის ამისაგან განსხვავებული და მასზე უფრო მაღალი არსებობა: ეს არის არსებობა „მე“-ს უორმით. ქვის დაცემა არსებობს მხოლოდ ფიზიკურად, მაგრამ ცოდნა ქვის დაცემის შესახებ არსებობს არა მხოლოდ ფიზიკურად. ქვა, რომელიც ეცემა, არის მხოლოდ ფიზიკური ობიექტი, მაგრამ კაცი, რომელმაც იცის ქვის დაცემა, მხოლოდ ფიზიკური ობიექტი არ შეიძლება იყოს: რამდენადაც ამ კაცმა იცის ქვის დაცემა, იმდენად ის არის „მე“ ან სუბიექტი. ე. ი. რაღაც მეტი, ვიდრე უბრალო ან მარტივი ფიზიკური ობიექტი. არც ერთს სოკრატეს წინამორბედს მოაზროვნეს არ პქონდა ასე გარკვეულად წარმოდგენილი განსხვავება სუბიექტსა და მხოლოდ ფიზიკურად არსებულ ობიექტებს შორის, და თუ სოკრატემდის სუბიექტს ადერლად აიგივებდნენ ფიზიკურ ობიექტთან, სოკრატე წინ აღუდგა ამ გაიგივებას და ახალი ეპოქა შექმნა საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში, რომელიც ჩენე დეკარტის სახით კიდევ უფრო გააღრმავებს და ზუსტად ჩამოაყალიბებს განსხვავებას სუბიექტსა და მხოლოდ ფიზიკურად არსებულ ობიექტს შორის.

§ 12. მეცნიერება, სიბრძნე და ფილოსოფია

როგორც ვნახეთ, სოკრატესათვის „მე“, სუბიექტი, თვითშემეცნება არის შემეცნების პირობა, და, სადაც ეს „მე“ და თვითშემეცნება არ არის, იქ არც შემეცნება არის და არც „იცის“ სიტყვა უნდა იქნეს სმარტებული. მაშასადამე, იქ არ არის მცოდნეც და ბრძნენიც, ვინაიდან მცოდნე და ბრძნენი არის მხოლოდ ის, ვინც იცის. სწორედ ამიტომ, თუ შეედელს, რომელიც ჭედავს, არ აქვს შეცნობილი თავისი მოქმედება, არ შეიძლება ითქვას, რომ მან „იცის“ ჭედვა, რომ ის არის ჭედვის

1 „საეჭვოა, შექნებოდა თუ არა მე წარმოდგენა სხვა საგანზე, რომ მე არ მცოდნდა ჩემი საქუთარი თავი“, ამბობს სოკრატე Xen., Memor. IV, 2,24. „სასაცილო შეჩენება მე, რომ კაცი, რომელმაც არ იცის საქუთარი თავი, უცხო საგნების უკლევებ“, ათენევინგბს სოკრატეს პლატონი Phaedr., 229 ე.

მცოდნე ან ჭედვის ბრძნი: ჭედვის ბრძნი კი არა, უბრალო მჭედელი ყოფილა ის. თუ პოეტს, რომელიც წერს ლექსებს, არ აქვს შეცნობილი თავისი მოქმედება, როგორც „მე“-ს ფუნქცია, და მან თვითონ აჩიცის თავისი ლექსების არც წარმოშობის მიზეზი, არც ღირებულების საბუთი, — არ შეიძლება ითქვას, რომ მან „იცის“ ლექსის წერა, რომ ის არის ლექსის წერის მცოდნე ან ბრძნი. ლექსის წერის მცოდნე კი არა, ლექსის უბრალო მწერალია ის და მეტი არაფერი, ვინაიდან ერთია ლექსის წერა და მეორეა ლექსის წერის ცოდნა: პირველი არის ფაქტი, მეორე კი არის ფაქტის შესახებ რეფლექსი. დაბოლოს, თუ მეცნიერს, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა მოვლენების კვლევა-ძიებას, არ აქვს შეცნობილი ეს კვლევა-ძიება, არ შეიძლება ითქვას, რომ ის არის მეცნიერების მცოდნე ან მეცნიერების ბრძნი: მეცნიერების მცოდნე კი არა, იმ საგნების მცოდნე არის ის მხოლოდ, რომლის კვლევა-ძიებას აწარმოებს; მას აქვს მხოლოდ საგნების ცოდნა, მაგრამ ამ ცოდნის ცოდნა მას არ აქვს, ე. ი. მას არ აქვს შეცნობილი თავისი ცოდნა, როგორც „მე“-ს ფუნქცია.

სწორედ ასეთები იყვნენ სოკრატეს წინამორბედი მეცნიერები, რომლებსაც მეცნიერების ბრძნებად მოპქონდათ თავი, თუმცა არც ერთმა არ იცოდა, რა არის მეცნიერება, ე. ი. არ იცოდა თავისი, მეცნიერების არსება ან ის პრინციპი, რომელიც მეცნიერებას აქცივს მეცნიერებად. ამიტომ ეს მათი მეცნიერებაც იყო ავებული არა მეცნიერების პრინციპის შეგნებაზე, არამედ ის იყო შეუგნებლად, უპრინციპობრ, უგეგმობრ უკრიტიკობრ ან გულუბრყვილობრ აშენებული. მას აკლდა პარმონიელი მთლიანობა და სისტემატიურობა, და ეს გარემოება იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ მეცნიერების დებულებათა შორის ურთიერთობანხმობის ნაცვლად საკირველ წინააღმდეგობებს პქონდა ადგილი. არ მოიძებნებოდა ორი მეცნიერი, რომელიც ერთსა და იმავე საკითხს ერთნაირად სწყვეტდა, და თვით ერთი და იგივე მეცნიერი ერთი და იმავე სავნის შესახებ ხან ერთს ამბობდა, ხან კი ამის საწინააღმდეგოს. ასეთ მეცნიერებას სოკრატე სთვლიდა არა სიბრძნედ, არამედ თავისებურ სიბრიველ², ხოლო მის წარმომადგენ-

¹ Xen., Mem., IV, 2,21.

² Xen., Mem., I, 1, 11.

ლებს ეძახოდა არა მეცნიერებს, არამედ „მრავლის მოღვაწეებს“ ან უკათ „მრავალ სწავლულებს“¹: მათ მრავალი უსწავლიათ და მრავალი იცოდნენ, გაგრამ მტკიცედ არაუერი არ იცოდნენ, რადგან პქონდათ მხოლოდ საგნების ცოდნა და კვლდათ ამ თავისი ცოდნის ცოდნა, რის გამო საგნების ის ცოდნაც, რომელიც მათ პქონდათ, იყო დაბალი ხარისხის ცოდნა, რომელსაც არც ფა ეკუთვნოდა უფლება ჰყმარიტი ცოდნის სახელი დარჩემოდა.

აქედან ირკვევა, თუ როგორი წარმოდგენის უნდა ყოფილიყო სოკრატე ჰეშმარიტი მეცნიერებაზე — არა იმ მეცნიერებაზე, რომელიც წინამორბედ ფიზიკოსების თეორიებში იყო მოცემული, არამედ იმ მეცნიერებაზე, რომლის პატრონისათვის შესაძლებელი იქნებოდა მეცნიერების ბრძნის სახელწოდების მიცემა: 1. ჰეშმარიტი მეცნიერება აშენებულია მეცნიერების პრინციპის ან არსების ცოდნის საფუძველზე. 2. ჰეშმარიტი მეცნიერება შენდება შევნებულად და, მაშასადამე, მისი აშენება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც აქვს მეცნიერული „მე“. 3. ჰეშმარიტი მეცნიერება არის დებულებათა სისტემა, რომელიც მოიცავს ყოველს შესაცნობ საგანს, ე. ი. არა მხოლოდ ბუნებას, არამედ ადამიანსაც, და თავისუფალია შინაგანი წინააღმდეგობებისაგან². 4. ჰეშმარიტი მეცნიერებას არ აქვს არც ერთი დებულება, რომელიც გამოსარიცხავი იყოს მისგან, და არ აკლია არც ერთი დებულება, რომელიც მისამატებელი იყოს მისთვის. 5. ჰეშმარიტი მეცნიერება არის განვითარება-დასრულებული ცოდნა, და არც შინაარსის გაფართოება და არც ფორმის შეცვლა მას უკვე აღარ სჭირდება: იქ ყოველს შესაცნობ საგანს მიჩნეული აქვს აღვილი და ყოველ შესაძლებელ კონვანე გაცემულია პასუხი.

ასეთ ჰეშმარიტი მეცნიერებას სოკრატე, პლატონის გადმოცემით, ეძახოდა „ჰეშმარიტად სიბრძნეს“ ან „ნამდვილ სიბრძნეს“, რაც შეე-

¹ Xen., Mem., IV, 3, 6. კანტი, რომელმაც სოკრატეს ბევრი მივიწვდებული აზრები კვლავ გაასხენა კაცობრიობას, მეორებს სოკრატეს, როდესაც სწერას: „Der Mangel an Urteilskraft ist eigentlich das, was man Dummheit nennt... Ein stumpfer und eingeschränkter Kopf... Ist durch Erlernung sehr wohl sogar bis zur Gelehrsamkeit auszurüsten... So ist es nicht ungewöhnliches sehr gelehrte Männer anzutreffen, die jenen Mangel häufig blicken lassen“, Krit. d. r. V., 140. (Kehrbach).

² XVII ხაუსის მთანმოწევებმა მხოლოდ სახელი მოუნახეს ასეთს მეცნიერებას — scientia universalis. გაგრამ მისი იდეა პქონდა უკვე სოკრატესაც.

ხება მისი დროის ფიზიკოსების მეცნიერებას, ის, სოქრატეს აზრით, იყო არა „ნამდვილი სიბრძნე“, არამედ მხოლოდ მოჩვენებითი სიბრძნე, თუმცა ტერმინი „მოჩვენებითი სიბრძნე“ არისტოტელემ ისმარი, ჰიდელიად და სოქრატეს იგი არ უნდა პერინებოდა ნახმარია, როგორც ტექნიკური ტერმინი: მის ნაცვლად სოქრატე შმარიბს ტერმინს „ადამიანური სიბრძნე“¹. ტერმინი „ადამიანური“ ნახმარია ამ შემთხვევაში არა-დეთაებრივის მნიშვნელობით: „ადამიანური სიბრძნე“ არ არის ღვთაებრივი სიბრძნე ან ნამდვილი სიბრძნე. ნამდვილი სიბრძნე ადამიანს არ აქვს: ნამდვილი სიბრძნე (ე. ი. ჰეშმარიტი მეცნიერება) აქვს მხოლოდ ღმერთს² და ნამდვილი ბრძნიც არის მხოლოდ ღმერთი. ამის შეგნება არ პქონდათ სოქრატეს აზრით, ფიზიკალური მეცნიერების წარმომადგენლებს, რომლებიც ბრძნებად სოვლიდნენ თავის, ნამდვილად კი არ იყვნენ ბრძნები.

ამათვან განსხვავებით, სოქრატე არ აცხადებდა პრეტენზიას ბრძნის სახელშე: არ ფიქრობდა რომ ის არის ბრძნი. სოქრატე ხედავდა, რომ მას არ გააჩნია ჰეშმარიტი მეცნიერება და არც შეუძლია ასეთი რამ ააშენოს. მაგრამ ამ გარემოებიდან სოქრატეს არ გამოყავდა არც სკეპტიკური დასკვნა, არც ნიშილისტური უარყოფა ჰეშმარიტი მეცნიერებისა ან სიბრძნისა. თუმცა არც ერთი მეცნიერის მიერ აშენებულ თეორიას არ შეიძლება ჰეშმარიტი მეცნიერება ეწოდოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს. სოქრატეს აზრით, რომ ჰეშმარიტი მეცნიერება არის უბრალო იღუზია, სუბიექტის აჩქარებულს ოცნებაში შექმნილი ქიმერა, რომელსაც არავითარი ღირებულება აღარ აქვს და არავითარი სავალდებულო მნიშვნელობა არ შეიწერება. სწორედ ამ უკანასკნელ შეხედულებას იცავდნენ სოფისტები: სოქრატე გაემიჯნა ამ მუხლში სოფისტებს, და, თუმცა მათთან ერთად სცნობდა, რომ ყოველი არსებული მეცნიერება სუბიექტური, და ადამიანურია, მაგრამ ამავე ღროს აღიარებდა, რომ არსებულ მეცნიერებათა გარდა არის კიდევ ცნება მეცნიერება³, რომელიც ყოველ ადამიანზე მაღ-

¹ მოუხედავად იმისა, რომ სოქრატესთან არ გვხდება ტერმინი „მოჩვენებითი სიბრძნე“, სოქრატეს აქვს წარმოლევნა ამ ტერმინის მინაპარსზე. მაგალითად, სოქრატე არჩევს ერთმანეთისაგან „ბრძნად ყოფნას“ და „ბრძნად მოჩვენებას“ Plato, Apol., 21 c.

² ღმერთის ცნება ამ შემთხვევაში გამოიყენებულია კრიტიკის იარაღდა.

³ პლატონისაგან განსხვავებით, ეს ცნება მეცნიერებისა სოქრატესათვის რეალური საგანი არ იყო.

ლა დგას და აძლევს უკანასკნელის შემცირების კანონს, ე. ი. არის გისთვის სავალდებულო ნორმა ან მისწრაფების მიზანი. აი ამ მიზანის სწრაფებას გრძნობდა სოკრატე საკუთარ თავში და უწოდებდა მას სიბრძნის სიყვარულს" ან „ფილოსოფიას".

ფილოსოფია სოკრატესათვის არ არის არც მოჩვენებითი სიბრძნე, არც ჭეშმარიტი სიბრძნე: ფილოსოფია არ არის ჭეშმარიტი სიბრძნე იმიტომ, რომ ის აღამიანის საქმეა და არა ღმერთის. მართლაც, ღმერთს სიბრძნისადმი მისწრაფება არ შეიძლება მიეწეროს, უნიათუან მას, როგორც უსრულეს არსებას, უნდა პქონდეს სრული სიბრძნე, რომელსაც არაუერი აღარ მიემატება: სიბრძნისადმი მისწრაფება კა უცილება პქონდეს მხოლოდ ისეთ არსებას, რომელიც არ არის ბრძენი. სწორედ ასეთია აღამიანი სოკრატეს აზრით, და ასეთად სთელიდა სოკრატე უწინარეს ყოელისა საკუთარ თავს, როდესაც ამბობდა: „მე არ ვფიქრობ, რომ რამე ვიცი". როგორც ვხედავთ, ტერმინი „ფილოსოფია" სოკრატეს წარმოდგენათა კონტექსტში მცოდნეთა მედიალურობის უარყოფის მოტივით არის გაეღენთილი და თავმდაბლობის გრძნობას ამეღლავნებს. მაგრამ ეს თავმდაბლობა მხოლოდ ძალას აძლევს ფილოსოფიას: თუ ფილოსოფია ჭეშმარიტი სიბრძნეზე დაბრუ დგას და ამიტომ ის არ არის ჭეშმარიტი სიბრძნე, სამავიეროდ ის მოჩვენებით სიბრძნეზე მაღლა დგას და, მაშასადამე, არც მოჩვენებითი სიბრძნე არის ის.

თუ მოჩვენებითი სიბრძნის პატრონმა არ იცის თავისი მეცნიერების პრინციპი ან საზღვარი და ამიტომ ფაქტობს გულუბრყვილობა, რომ მას აქვს ჭეშმარიტი მეცნიერება, ფილოსოფოსი ხედავს ამ მოჩვენებითი სიბრძნის გულუბრყვილობას და თავის თავზე არ ფიქრობს, რომ მას აქვს ჭეშმარიტი მეცნიერება. თუ მოჩვენებითი სიბრძნის პატრონი სავსეა მედიალურობით, რომელიც უშლის მას ხელს, თავისი ცოდნა განავითაროს და წინ წასწიოს, ფილოსოფოსი მუდამ კრძნობს თავისი ცოდნის ნაკლს და მუდამ ცდილობს განავითაროს ეს ცოდნა. ფილოსოფია არის სწორედ პროცესი ცოდნის განვითარებისა, ცოცხალი პროცესი კვლევა-ძიებისა. რა წამსაც კვლევა-ძიება წყდება, ფილოსოფიასაც ედება ბოლო. წყდება კი კვლევა-ძიება მაშინ, როდესაც მეცნიერას გაუჩინდება წარმოდგენა, რომ მან მიაღწია კვლევა-ძიების მიზანს და შეიძინა ჭეშმარიტი ცოდნა, რომელიც ბოლოა კვლევა-ძიებისა. ამიტომ ფილოსოფიის უსაშინელესი მტერი არის

სწორედ ასეთი წარმოდგენა, ე. ი. ის, რომ ჰეშმარიტი ცოდნა ჟეკ მილწეულია და შესაცნობია აწი არაფერია დარჩენილი. თავის დროს მეცნიერთა მთავარს ნაკლს სოკრატე სწორედ ასეთს წარმოდგენაში ხედავდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ თეორიებში საბოლოოდ განხორციელებულია ჰეშმარიტი მეცნიერება. ეს იყო თავისებური ეკი-იზმი, საკუთარი ცოდნის საზღვრების შეუმჩნევლობა და მისი აღიარება უსაზღვრო ან აბსოლუტურ ცოდნად. ეს იყო წარმართობა ცოდნის დარგში, ე. ი. რასაც კანტის შემდეგ ეწოდება „მეტაფიზიკურობა“ და რასაც პეგელმა უფრო ზუსტად დაარქევა „Metaphysik im schlechten Sinne“¹. ასეთს „მეტაფიზიკას“ სოკრატემ დაუბირდაპირა ფილოსოფია, როგორც უფრო მაღალი ხარისხის მოვლენა ცოდნის დარგში, რომელიც მოწოდებული იყო მოეხსნა სწორედ ამგვარი მეტაფიზიკა.

თუ ფილოსოფია დგას, ჰეშმარიტ სიბრძნეზე უფრო დაბლა, ხოლო მოჩერენებით სიბრძნეზე უფრო მაღლა, რა პირობით არის ეს შესძლებელი? იმ პირობით, რომ ფილოსოფია არის მიუნა მოჩერენებითს სიბრძნესა და ჰეშმარიტ სიბრძნეს შეა, მაშასადამე, ფილოსოფია ყოფილ საზღვარი მოჩერენებითი (ან ადამიანური) სიბრძნისა. ყოველი საზღვარი არის უარყოფა, და ამრიგად ფილოსოფია სოკრატესათვის არის უარყოფა მოჩერენებითი სიბრძნისა, მაგრამ არა ისეთი უარყოფა, რომელიც მხოლოდ უარყოფაა (დღეს ასეთს უარყოფას ვეძახით მექანიკურ უარყოფას), არამედ ისეთი უარყოფა, რომელიც წმინდავს უარყოფილს და გადაარჩენს მისეან საუკეთესოს: პეგელის შემდეგ ასეთ უარყოფას ეძახიან დიალექტიკურ უარყოფას, ხოლო კანტი ეძახოდა მას კრიტიკას. ფილოსოფია, სოკრატეს გაგებით არის მოჩერენებითი (ან ადამიანური) სიბრძნის დიალექტიკური უარყოფა, ე. ი. მისი კრიტიკა და გაწმენდა სუბიექტური ელემენტებისაგან. რა არის ის, რასაც ფილოსოფია გადაარჩენს მოჩერენებითი სიბრძნისაგან? ეს არის მისი მასალა. რა არის ის, რასაც ფილოსოფია უკუაგდებს მოჩერენებითი სიბრძნისაგან? ეს არის მისი კერძო კრიტიკა ან სუბიექტური ფორმა, რომელიც მოჩერენებითი სიბრძნის პატრონის ფსიქოლოგიური თავისებურობით ან სპეციფიკურობით იყო შექმნილი და დროულ-ვრცელი განსაზღვრულობით არის დამძიმებული.

¹ „მეტაფიზიკა ცუდი ჩიშველობით“.

გ 13. წარმოდგენა და ცნება.

ვისაც ფილოსოფიაზე ისეთი წარმოდგენა პქონდა, როგორც სოქუსუანი სატეს, ე. ი. ეისთვისაც ცოდნის ცოდნა ან უკეთ ცოდნის შემეცნება იყო ფილოსოფია, მისთვის უდიდესი მნიშვნელობა უნდა პქონდა შემეცნების მეთოდს, ვინაიდან ამ უკანასკნელს უნდა გადაეწყვიტა, მისი აზრით, ცოდნის ღირსების საკითხი (უკეთესი ცოდნა უარესისაგან განიჩევა, სოკრატეს აზრით, იმ მეთოდით, რომლითაც ისინი იწარმოებიან). მართლაც, სოკრატეს არ პქონდა ფილოსოფიური ი ი ტ ე-გ ა: მას ასეთი სისტემის მატერიული პრინციპიც კი არ წამოუყენებია! სამაგიეროდ, მან ცოდნის მეთოდის გამორკვევის საქმეს, რომელიც დაიწყეს ჯერ კიდევ ქსენოფანემ და მისმა მოწაფეებმა, ფრიად მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია.

უნდა აღინიშნოს, რომ თეორიის სახით თავისი წარმოდგენა ცოდნის მეთოდზე სოკრატეს არ ჩამოუყალიბებია: მან გამოიმუშავა მეთოდი შემეცნებისა. მოგვცა აგრეთვე ზოგიერთი ფრიად საყურადღებო შენიშვნა ამ მეთოდის შესახებ, მაგრამ მეთოდოლოგია შემეცნებისა ან თეორია შემეცნების შეთოდისა არ შეუქმნია¹. მიუხედავად ამისა, იმ ფაქტების ანალიზის საშუალებით, რომლებსაც გამოგვცემენ მოწმეები და რომლებიც ცხადყოფენ, თუ როგორი მეთოდით სარგებლობდა პრაქტიკულად სოკრატე თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის დროს, და აგრეთვე იმ მეთოდოლოგიური სასიათის შენიშვნების დამარტინით, რომელიც დარჩენილია სოკრატესაგან. შესაძლებელია სოკრატეს წარმოდგენა შემეცნების მეთოდზე იქნეს ცალკე გამოყოფილი და, თუ სრული სიზუსტით არა, ყოველ შემთხვევაში მიახლოებით მაინც იქნეს დახასიათებული: იგულისხმება, რომ სოკრატეს მეთოდი შემეცნებისა შეეფერებოდა მის წარმოდგენას შემეცნების მეთოდზე.

სოკრატეს წარმოდგენა შემეცნების მეთოდზე შემდეგ წანამძღვრებს² ემყარება: შემეცნება არის პროცესი, მოძრაობა და, როგორც ასეთს, მას აქვს თავისი ამოსავალი წერტილი, საიდანაც ის იწყება, და თავისი მიზანი, საითენაციის მიემართება. შემეცნების ამო-

¹ Zeller. II, 41.

² ასეთი თეორიის შექმნა ლოგიკის მამამთავრის, არისტოტელეს საქმე იყო.

³ წანამძღვრებილან თეორიონ სოკრატეს მხოლოდ ზოგიერთი პქონდა explicite ნახსენებია.

სავალი წერტილია წარმოდგენა, რომელიც ამა თუ იმ საგნის
შეუძენია ამა თუ იმ კაცს თავისი ქრძო გამოცდილების პროცესში,
ფსიქოლოგიური ხასიათის სხვადასხვა მიზეზების გამო. შემცირების
მიზანი კი არის საგნის ცნება, რომელსაც საყოველთაოდ სავალდე-
ბულო ან საზოგადო მნიშვნელობა აქვს. ამრიგად, შემეცნების
პროცესი არის სოკრატესათვის წარმოდგენის
გადამუშავება ცნებად.

წარმოდგენა იმით განიჩინება ცნებისაგან, რომ ის კერძოა. ეს იმას
ნიშნავს, რომ წარმოდგენა დამოკიდებულია იმ სუბიექტის კერძო თა-
ვისებურებისაგან, რომელსაც აქვს ეს წარმოდგენა, და, მაშასადამე,
იგი იცვლება თავის სუბიექტთან ერთად: რამდენი სხვადასხვა სუბი-
ექტი შეიცნობს ერთსა და იმავე საგანს, იმდენი სხვადასხვა წარმო-
დგენაა ამ საგნის შესახებ. ეს აზრი ასე შეგვეძლო გაგვეთვალსწინე-
ბინა: ევებიტელს, რომელსაც თავის გარშემო ეგვიპტის ცხელი შეით
გარუჯული ადამიანები უნახავს მხოლოდ, ადამიანი წარმოუდგენია,
როგორც შევკანიანი არსება. სამაგიეროდ თრაკიელს ადამიანი წარ-
მოუდგენია, როგორც თეოტრანიანი არსება — იმ კერძო ფსექოლოგი-
ური მიზეზის გამო, რომ მას სწორედ ასეთი ადამიანები უნახავს თა-
ვის გარშემო მომეტებულ შემთხვევაში. — ერთი და იმავე კაცის შესა-
ხებ მისი მტერი იტყვის, რომ ის აერა, ხოლო მისი მეგობარი იტყვის,
რომ ის კეთილია. პირველის წარმოდგენა გამოწვეულია მისი კერძო
გრძნობით, ე. ი. მტერობით, მეორის წარმოდგენა გამოწვეულია იგრე-
თვე მისივე კერძო გრძნობით, ე. ი. მეგობრობით. ამრიგად, ერთი და
იმავე საგნის შესახებ ადამიანებს სხვადასხვა წარმოდგენები აქვთ, და
ამ სხვადასხვაობის უშუალო მიზეზია წარმოდგენათა სუბიექტების კე-
რძო თვისებები. დღეს ამ კერძო თვისებათა ჯამს ეწოდება ფსიქო-
ლოგიური ინდივიდუალუბა.

თუ წარმოდგენა კერძოა, ცნება არ არის კერძო: ცნება საზოგა-
დოა. ეს იმას ნიშნავს სოკრატესთვის, რომ ცნება არ არის შემცნობ
სუბიექტთა კერძო თვისებებისაგან ან ფსიქოლოგიურ სხვადასხვაობი-
საგან ლოგიურად დამოკიდებული: თუმცა სხვა არის ეგვიპტელი და
სხვაა თრაკიელი, მაგრამ ცნება ადამიანისა ერთია, როგორც ეგვიპ-
ტელისათვის, ისე თრაკიელისათვის, ე. ი. როგორც თრაკიელი ასე
ეგვიპტელი ერთნაირად ვალებული არიან სცნონ ეს ცნება ან
ვალდებული არიან ერთნაირად განიაზრონ ადამიანი, თუმცა ფაქ-

ტარმოდგენის ეს ასე არ ხდება, და თრავიელი თავისებურად წარმო-
ადგენს ხოლმე ადამიანს, ეგვიპტელი კი თავისებურად.

წარმოდგენისა და ცნებას შორის ფრსებულს ამ ძირითადს ეფანიუს
სხვაებისთან დაკავშირებულია სხვა განსხვავებაც, რომელსაც რეი-
თონ სოქრატეც აღნიშნავს *explicite*. რომელიმე სუბიექტის კერძო
წარმოდგენა არ შეიძლება სხვას გადაეცეს: თითოეულ სუბიექტს აქვს
თავისი საუკუთარი წარმოდგენა, რომელსაც ის თავისი კერძო გამო-
ცდილების აუტენტურს პროცესში იმუშავებს და სხვისგან არ შეუძ-
ლია მიიღოს. მაგალითისათვის ავიღოთ მშედელი, რომელიც მრავალ
სხვადასხვა ოპერაციას აქტებს ნაღის გამოჭედვის დროს: თეოთონ
მშედელს უკველად აქვს წარმოდგენა ამ ოპერაციებზე, მაგრამ მან
არ იცის, რა ეწოდოს თითოეულ ოპერაციას, რა სიტყვით აღნიშ-
ნოს იგი, ვინაიდან მშედლის წარმოდგენა თავის საქმის შესახებ არ
არის ზუსტი ან დაწერილებითი. ამიტომაც ცხადია, მშედელს ადარ
შეუძლია ნაღის გამოჭედვის ოპერაციებზე თავისი კერძო წარმოდგე-
ნა გადასცეს სხვას სიტყვის საშუალებით, და ვისაც ჭედვა სურს, ის-
წავლოს, მან საუკუთარი გამოცდილების საშუალებით უნდა გამოი-
მუშაოს თავისი კერძო წარმოდგენა ამ ოპერაციებზე — იმ შემთხ-
ვევაშიც კი, როდესაც წარმოდგენა დაკავშირებულია უკვე სიტყვიერ
ნიშანთან, მისი გადაცემა სხვისათვის მაინც ვერ ხერხდება, რადგან
არ არის უზრუნველყოფილი, რომ ერთი და იგივე სიტყვა ყველასა-
თვის ერთსა და იმავე წარმოდგენას ნიშნავდეს ზუსტად — გარემოება,
რომელსაც ყურადღება მიაქცია უკვე გორგია სოფისტმაც².

თუ წარმოდგენის გადაცემა სხვისათვის არ შეიძლება, მით უფრო
ნაკლებ არის შესაძლებელი წარმოდგენის, როგორც ასეთის, დამ-
ტებულება: დამტებულებული წარმოდგენა უკვე არ არის უბრალო წარმო-
დგენა. ყოველს ათინელს აქვს, მაგალითად, იმის წარმოდგენა, რომ
ათინა არის სახელმწიფო, მაგრამ დამტებულება ამისა ათინელს არ
შეუძლია, ე. ი. არ შეუძლია პასუხი გასცეს კათხვაზე, თუ რატომ ან
რა საბუთის ძალით არის ათინა სახელმწიფო: მან იცის, რომ ათინა
არის სახელმწიფო, მაგრამ არ იცის საბუთი იმისა, რომ ათინა არის
სახელმწიფო, და ამიტომ ეს მისი ცოდნაც არ არის დამტებულებული,

¹ Xen. Mem., VI, 6, 1.

² იბ „ანტიური ფილოსოფია სოქრატეს წინ“, 225 გვ.

სრული ან ჭეშმარიტად მეცნიერული ცოდნა! საბუთი იმისა, რომ ათინა სახელმწიფო, არის სახელმწიფოს ცნება ან სახელმწიფოს არსება: ათინა იმიტომ არის სახელმწიფო, რომ მას ემჩნევა სახელმწიფოს ნიშნები, ხოლო სახელმწიფოს ნიშანთა ჯამს ეწიდება სახელმწიფოს ცნება. მაშასადამე, მხოლოდ იმას, ვინც იცის სახელმწიფოს ცნება, სახელმწიფოს არსება ან სახელმწიფოს ნიშნები, შეუძლია დამტკიცოს, რომ ათინა არის სახელმწიფო. მაგრამ არა ყოველმა კაცმა, რომელსაც აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ათინა არის სახელმწიფო, იცის გარკვეულად სახელმწიფოს ნიშანთა ჯამი, და ამიტომ არა ყოველ კაცს, რომელსაც აქვს ეს წარმოდგენა, შეუძლია იგი დამტკიცოს.

მოკლედ, ის განსხვავება, რომელსაც სოკრატე გულისხმობს წარმოდგენასა და ცნებას შორის, შემდეგ დებულებებში შეგვეძლო ჩამოგვეყალიბებინა: 1. წარმოდგენა კერძოა, ცნება საყოველთაო ან საზოგადოა. 2. წარმოდგენა ცვალებადია, ცნება უცვალება. 3. წარმოდგენა ერთი და იმავე საგნის შესახებ მრავალია, ცნება მრავალი საგნის შესახებ ერთია. 4. წარმოდგენა უშუალოდ არის მიმართული საგანზე, ცნება მიმართულია საგანზე წარმოდგენის საშუალებით. 5. წარმოდგენა ბუნდოვანი, გაუკვეეცელი და მერყევად, ე. ი. შინაგანი წინაღმდეგობებით არის დამბიმებული. ცნება ზუსტი, გარკვეული და მტკიცება, ე. ი. შინაგანი წინააღმდეგობებისა განწმენდილია. 6. წარმოდგენა არის ფინქოლოგიური კუთვნილება სუბიექტისა, ცნება კი არის საკალებებულო ღოვიური ნორმა სუბიექტისათვის. 7. წარმოდგენა საგნის შესახებ შეიძლება არც იყოს სიტყვის საშუალებით გამოხატული, ცნება კი საგნის შესახებ უნდა იყოს საყოველთაოდ სავალდებულო განსაზღვრებაში გამოსახული. 8. წარმოდგენა არის ფაქტის წარმოდგენა, ცნება კი არის ფაქტის წარმოდგენის საბუთი. 9. წარმოდგენა შეიძინება გრძნობის საშუალებითაც, ცნება კი შეიცნობა მხოლოდ აზროვნებით¹.

¹ Xen., Mem., IV, 6, 1. „იმის, ვისაც ესმის საგანი, შეუძლია სხვასაც აუხსნას უვი, და საკითხებიც არ არის ამოტომ, თუ ის, ვინც საგანი არ იცის, თვითონ ამნევა და სხვასაც ამნევს“, ამბობს აქ სოკრატე.

² უკანასკნელი შუხლის შესახებ იხ. Plat. Phaed. 99. D.



14. დიალოგი, როგორც წარმოდგენათა ვასარკვევი საშუალება, იმის

შემეცნების პროცესი არის წარმოდგენის გადამუშავება ცნებად, ე. ი. კერძო წარმოდგენათა არეან საზოგადო ან საყოველთაო ცნებათა არეში ასვლა. საგანი მაშინ კი არ არის ჰეშმარიტად შეცნობილი, როდესაც ის შეცნობილია მხოლოდ გრძნობების მიერ, მხოლოდ უშუალოდ, არამედ მაშინ, როდესაც ის შეცნობილია საზოგადო მნიშვნელობის ცნებათა პირობის ქვეშ ან მეშვეობით, ე. ი როდესაც ის შეცნობილია არა როგორც უბრალო ფაქტი, არამედ როგორც პირობადებული ფაქტი, რომელსაც თავისი განმსაზღვრელი საბუთი აქვს. საშუალებად ასეთი შემეცნებისათვის სოკრატეს მიაჩნდა დიალოგი ან საუბარი, რომელიც კითხვა-პასუხის სახით კითარდებოდა. „როდესაც სოკრატეს ეკამათებოდნენ ხოლმე ვისიმე შესახებ“, სწერს ქსენიფონტე¹ თავისი სადა ენით: „და არ შეეძლოთ წამოყენებინათ საბუთი, არამედ დაუმტკაცებლად ამბობდნენ, რომ ამა და ამ კაცს მეტი ჭკვა, სახელმწიფო მოღვაწის მეტი ნიჭი და მეტი გამბედაობა აქვს, ვადრე მეორეს, — მაშინ სოკრატე ასე მიმართავდა ხოლმე საუბარს საკითხის ნამდვილ არსებაზე: „შენ ამბობ, რომ ის, ვისზედაც დამარაკობ, უკეთესი მოქალაქეა, ვიდრე ის, რომელზედაც მე ვლაპარაკობ? — დაახ, მე ამას ვამბობ. „მაშ, რატომ არ ვანვიხილოთ ჯერ, რა არის კარგი მოქალაქის ნიშანი?“ — კარგი, ვანვიხილოთ... „მაგალითად, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგების საქმეში განა ის არ იქნება უკეთესი მოქალაქე, ვინც სახელმწიფოს მეტს შემოსავალს მისცემს?“ ევჭველად ასეა. — „სამხედრო თვალსაზრისით განა ის არ არის უკეთესი მოქალაქე, რომელიც სახელმწიფოს უკეთესად ამარაგებს მტრების წინააღმდეგ?“ სხვანაირად არ შეიძლება იყოს, — ხდიპლომატიაში კი ის არ არის განა უკეთესი მოქალაქე, რომელიც მტრებს მოკავშირებად აქცივს?“ — ცხადია. — „რაც შეეხება სახალხო კრებას, ის იქნება ხომ უკეთესი, ვინც არევდარევს ბოლოს მოუღებს და თანხმობას დაამყარებს?“ — „აუცილებლად ასეა“. — „საუბრის ასეთი წარმოების ღრის“, დაასკვნის ქსენოფონტე: „ჰეშმარიტება თავისთვალი ცხადდებოდა მოწინააღმდევისათვისაც... ამიტომ, როდესაც სოკრატე ლაპარაკობდა, მას ყველაზე უფრო მეტი მსმენელები ეთანხმებოდნენ“.

¹ Xen. Mem., IV, 6, 14.

საინტერესოა ქსენოფონტეს ამ გადმოცემაში, თუ როგორ აღწევდა სოკრატე თანხმობას მსმენელთა შორის, როგორც ირკვევა, ამ თანხმობას სოკრატე აღწევდა წარმოდგენათა დაზუსტებით, მათში დაუკრენციაციის შეტანით ან მათი განვითარებით, ადამიანთა უთანხმოების უშუალო მიზეზია წარმოდგენათა განუვითარებლობა, მათი სინორჩე ან სიტრანჯე; მოვსპოო ეს სიტრანჯე და უთანხმოებასაც ადამიანთა შორის მოედება ბოლო, — აი სოკრატეს ფილოსოფიური მოღვაწეობის ერთი უძნიშვნელოვანესი აზრი.

ამოსავალი წერტილი სოკრატეს დიალოგისა იყო ყოველთვის კერძო წარმოდგენა, რომელიც ამა თუ იმ საგანზე აქტუალურად პქონდათ სოკრატეს თანამოსაუბრებს. ერთი მოსაუბრის კერძო წარმოდგენა ეწინააღმდეგებოდა მეორე მოსაუბრის კერძო წარმოდგენას. თითოეული თავის კერძო წარმოდგენაში იყო ჩაფლული და ვერ ამჩნევდა, რომ ეს წარმოდგენა მისი კერძო წარმოდგენაა. რომ ის შემთხვევითი ხასიათის პირობებით იყო ფსიქოლოგიურად განსაზღვრული, და სწორედ ამიტომ ერთს მოსაუბრებს აღარ შეეძლო მეორე მოსაუბრისათვის ეჩვენებინა, რომ მისი წარმოდგენა უკავესია, და კერძო წარმოდგენათა შორის არსებული წინააღმდეგობის მოხსნაც შეუძლებელი ხდებოდა: ასეთს პირობებში საეკითხი იმის შესახებ, თუ რომელი წარმოდგენა არის უფრო სწორი, შეიძლებოდა შხოლოდ ძალადობით ან სხვა ამის მსგავსი საშუალებით ყოფილიყო გადაწყვეტილი. სოკრატემ უკეთესი საშუალება აღმოაჩინა კერძო წარმოდგენათა შორის არსებული წინააღმდეგობის მოსახსნელად და წარმოდგენათა სუბიექტების შესათანხმებლად. ასეთი საშუალება მან იპოვა კერძოობიდან ამოსვლაში ან ფსიქოლოგიური განსაზღვრულობის გადაღახვაში. თუ კაცი შეიგნო, რა არის მის წარმოდგენაში კერძო, მას, სოკრატეს აზრით, უკვე გადაღახული აქვს თავის განსაზღვრულობა.

მარტო თავისი საეუთარი ძალების ანაბრად დატოვებულ კაცს არ შეუძლია თავისი კერძო თვისებებიდან ამოსვლა. მას სჭირდება მეორე კაცის დაბმარება, და ამ საჭიროებას უშუალოდ ასაბუთებს სიყვარული ჭეშმარიტებისაღმი ან ერთსი. შემეცნების დარგში ადამიანთა შორის ურთიერთდაბმარება თავისი კერძო თვისებებიდან ამოსასვლელად ხორციელდება საუბარში ან დიალოგში: უსიტყვო ან მუნჯ ადამიანებს

1 ე. ი. ფერხობდა, რომ ეს წარმოდგენა საყოველთაოა, თვით იპიქტის ან საგნის ფისტებამ და არა მისი საეუთარი.

უჭირთ თავისი კერძო თვისებებიდან ამოსელა. საუბარში, რომელიც კვლევა-ძიების მეთოდის დონემდის აამაღლეს პირველად კლეტებშია, ირკვევა კერძო წარმოდგენის კერძოობა და მუშავდება საზოგადო ან საყოველთაო ცნება, რომელიც ათანხშებს ან არიგებს ერთმანეთთან კერძო წარმოდგენებს და აუქმებს მათ შეზღუდულობას, თითოეული-საგან კერძო ელემენტის გამორიცხვით და დარჩენილი ნაშთის ახალს სინთეზში შეყვანით: თუ ერთი მოსაუბრე ფიქრობს, რომ N კარგი მოქალაქეა, მეორე მოსაუბრე კი ფიქრობს, რომ N ცუდი მოქალა-ქეა, საუბარში ირკვევა ჯერ ზოგადი ცნება კარგი მოქალაქისა, ე. ი. ის, თუ რას უნდა ეწოდოს საზოგადო კარგი მოქალაქე, როგორ განი-საზღვროს კარგი მოქალაქე ან რა ნიშნები უნდა ჰქონდეს კარგს მო-ქალაქეს: ეს იქნება ინდუქცია ან კერძო შემთხვევიდან ზოგად განსაზღვრამდის ასელა, და არისტოტელეც² ამოწმებს, რომ სოკრატემ შემთხვეულია ეპავოვე. შემდეგ ამისა საუბრით ირკვევა, ემჩნევა თუ არა კარგი მოქალაქის ნიშნები N-ს: ეს იქნება განსაზღვრების ან ზოგადი ღებულების მიყენება კერძო შემთხვევისათვის³. შემეცნების ასეთ მეთოდს ისტორიკოსები დიალექტიკურ მეთოდს უწოდებენ, და ამბობენ, რომ დიალოგი იყო სოკრატესათვის დიალექტიის საშუა-ლება⁴. ჩვენც უნდა დავითანხმოთ ასეთ შეხედულებას, მხოლოდ უნდა გვასხვდეს, რომ სოკრატეს დიალექტია სრულიადაც არ იყო მატე-რიალისტური: სოკრატეს ეპოქას არ შეეძლო შეექმნა მატერიალისტუ-რი დიალექტია, რომელიც განინდა უფრო განვითარებულსა და როგორ საზოგადოებაში.

სოკრატეს დიალექტიკური მეთოდის არსება ასე შეიძლება დავახა-სიათოთ: დიალექტიკური და საგნის შეცნობა ნიშნავს სოკრატესათვის მის შეცნობას არა უშუალოდ, არამედ მეშვეობით, საყოველთაო ან ხა-

¹ იბ. ჩემი წერილი „ძებინის დიალექტიკა“, უნივერსიტ. მომბეგ VI.

² Arist. Metaph., 1078 b 27.

³ უკანასნელი ხერხის სისტემატური გამოყენება გვხვდება მხოლოდ პლატონთან, შრ. Zeller, II, 128 Anm. სოკრატე კი ცნებათა სისტემის არ აშენებს. მიზოობ მთავროსაც მას არ სჭირდება. ნაცვლად ამისა, ის აწარმოებს კერძო მოვლენის სუბ-სუბების ზოგადის ქვეშ.

⁴ Ist doch die Dialogik nur Ausdruck der Dialektik des kritischen Denk-
prozesses, „der eben in Sokrates erst zu reiner Selbständigkeit kommt“,
წერს ოფელი 1,773.

ზოგადო მნიშვნელობის მქონე ცნების პირობით¹. ფსიქოლოგიურად ასეთი შემეცნება გულისხმობს საკუთარი კერძო თვისებებიდან მზრდებლას, მათგან გამოჯვნას ან, უფრო ზოგადად რომ ითქვას, უროსს, რადგან ერთის არის კერძოს განსაზღვრულობის გადალახვა — სულ ერთია, ესი არის ეს კერძო: თვითონ შემცნობი კაცი თუ მასთან ახლო მდგომი მოყვასი. ლოგიკურად კი დიალექტიკური შემეცნება მიემართება მტკაცედ განსაზღვრული ცოდნისაკენ ან კერძო წარმოდგენაზე ამაღლებულსა და საყოველთაოდ სავალდებულო ან საზოგადო მნიშვნელობის მქონე ცნებისაკენ (იგულისხმება, რომ ცნება შესაძლებელია არა მხოლოდ ზოგადის, არამედ კერძო სავნის შესახებაც).

§ 15. სოკრატეს დიალოგის მაგალითი

სოკრატეს დიალექტიკური მეთოდის მდიდარ ილუსტრაციას გვაძლევენ ქსენოფონტე და პლატონი და მეითხველს შეუძლია მიმართოს მათ თხზულებებს, თუ სურს კარგად გაეცნოს სოკრატეს მეთოდს. მოვიყვანოთ აյ მხოლოდ ერთი მაგალითი ამ მეთოდის გამოყენებისა: გამოსარეკვება, ვთქვათ, საკითხი, მართალი კაცია კალისტრატე თუ არა. კალისტრატეს მტერი არისტრახო ამბობს, რომ კალისტრატე უსამართლო კაცია. კალისტრატეს მეგობარი ლავროსი ამბობს, რომ კალისტრატე არ არის უსამართლო კაცი. როგორც არისტრახოს წარმოდგენა კალისტრატეზე, ისე ლავროსის წარმოდგენა კალისტრატეზე, ცალმხრივი და შესღუდულია. ორივე წარმოდგენა გამოწვეულია ფსიქოლოგიური მიზეზით (ერთ შემთხვევაში — მეგობრობის ვრძნობით, მეორე შემთხვევაში — მტრობის ვრძნობით). საჭიროა ასეთი მიზეზის გავლენისაგან ამოსვლა.

ამისათვის უნდა გაირკვეს, რა არის უსამართლობა საზოგადოდ, ე. ი. განსაზღვროს უსამართლობის ზოგადი ცნება, უსამართლობის პრინციპი ან არსება, და სოკრატეც კვითხება ან არისტრახოს, ან ლავროსს: «ამბობენ, რომ კალისტრატე არის უსამართლო კაცი. ვინც ამას ამბობს, მას, როგორც ჩანს, ცოდნია, რა არის უსამართლო. მე კი ეს არ ვიცი, ამიტომ მითხარით, რა არის უსამართლო? ვის უნდა ეწოდოს უსამართლო კაცი? — პირველი პასუხი ამ შეკითხვაზე იქნებოდა,

¹ Xen. Memor., IV. 12.

² ქვევით მოყვანილი მაგალითი ალექსანდრი ქსენოფონტედან (Mem. IV, 2, 11).

შავალითად, ასეთი: „უსამართლო უნდა ეწოდოს კაცის მკვლელის“ ცხადია, რომ ეს არ არის უსამართლო კაცის საყოველთაო სფეროს დებულო ან სწორი განსაზღვრა. — თანამედროვე ლოგიის ენით ვიტოლით, რომ ეს განსაზღვრა ვიწროა: პრედიკატი არ უარავს სუბიექტს, პრედიკატი უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე სუბიექტი, რადგან კაცის მკვლელობის გარდა არის სხვა სახის უსამართლობაც. სოკრატე ცილილბას, შეაგნებინოს ეს გარემოება თავის თანამოსაუბრეებს და აძლევს მათ ახალ შეკითხვას: „განა მხოლოდ კაცის მკვლელი არის უსამართლო? მაგალითად, კაცის დამჭრელი, ხიფათში ჩამოვარდი, მომტკიცებელი და ს. ა. არ არიან განა უსამართლო?“ „ცხადია, ისინიც უსამართლო არიან“, უბასუხებს თანამოსაუბრე და იძლევა უსამართლობის მეორე განსაზღვრას: „უსამართლო არის ის, ვინც კაცს ზიანს მიაყენებს: სულ ერთია, რა ზიანიც არ უნდა იყოს იგი — მოკვლა, დაჭრა, მოტყუება თუ კადევ სხვა რამე“. არც ეს მეორე განსაზღვრა არის სწორი: თანამედროვე ლოგიის ენით იტყოდნენ, რომ ის არის ფართო; პრედიკატი უფრო ფართოა, ვიდრე სუბიექტი, ვინაიდან არა ყოველი მიუყენება ზიანისა კაცისათვის იყო მკვლი ბერძნისათვის უსამართლობა, ამიტომ სოკრატეც განაგრძობს შეკითხების მიცემას ან კვლევას. კვთვეთ, ომის დროს მეომარმა მოპელა მოწინააღმდეგე ბანაკის მეომარი: ესეც სომ კაცისათვის ზიანის მიუყენების მაგალითია, ესეც ხომ კაცის დაზიანებაა. არის თუ არა ეს უსამართლობა?“ — „არა ეს არ არის უსამართლობა. კაცისათვის ზიანის მიუყენება (მკვლელობა, დაჭრა, მოტყუება, ძალადობა და ს. ა.) მხოლოდ მაშინ არის უსამართლობა, როდესაც ამას მეგობარს უზამენ და არა მტკრს“. ეს მესამე განსაზღვრაც არ აქმაყოფილებს სოკრატეს, და ის ახალ კითხვას აძლევს თანამოსაუბრებს: „შეიძლება თუ არა უსამართლო ეწოდოს იმას, ვინც თავის განზრახვის წინააღმდეგ უცაბედად დასჭრა ან რაიმე სხვა ზიანი მიაყენა მეგობარს?“ — „არა“. „შეიძლება თუ არა უსამართლო ეწოდოს ექიმს, რომელიც თავის ავადმყოფ მეგობარს ჭრილობებს აყენებს ოპერაციის დროს?“ — „არა“. „შეიძლება თუ არა უსამართლო ეწოდოს მამას, როდესაც ის მოტყუების საშუალებით დააღვინებს წამალს თავის ავადმყოფ შეიღს მის განსაკურნავად“ „არა. ეგ რა უსამართლობაა!“ „შეიძლება თუ არა უსამართლო ეწოდოს კაცს, როდესაც ის ძალადობას იხმარს და გამოვლენს თავის მეგობარს ხანჯალს, რომლითაც უკანასკნელს სურდა თავის მოკვლა?“ — „რა თქმა უნდა, არ შეიძლება“. „მაშ, მოკვლა, დაჭრა, ძალადობა, მო-

ტკუება და სხვა ზიანის მიყენება არ ყოფილა ყოველთვის უსამართლობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამას მეგობარს უზამენ. მაში, უნ არის უსამართლო? — ეკითხება უკინასკნელად სოქრატე. „უსამართლო არის“, მოუკებს თანამოსაუბრე: „უკაიის მკელელი, დამჭრელი, მომტკუებელი ან სხვა რაიმე ზიანის მიმდენებელი, როდესაც ის ამას სჩაღის მეგობრის მიმართ იმ განშრახვით, რათა მას ვნება მიაყენოს“. როდესაც ამრიგად ცნება უსამართლო კაცისა განსაზღვრული შეიქნებოდა და ცხადი გახდებოდა მისი ნიშნები, სოქრატე უბრუნდებოდა საკითხს, უსამართლო კაცია თუ არა კალისტრატე. პასუხი ამ კითხებზე დამოკიდებული იყო იმისგან, აღმოაჩინდებოდა თუ არა კალისტრატეს ის თვისებები, რომლებიც უსამართლო კაცის ნიშნებს შეეფერება. ეს კი თავის მხრივ, თუ სრულიად ვერ გაათავისუფლებდა თანამოსაუბრეს მისი კერძო წარმოდგენისაგან კალისტრატეზე¹, ყოველ შემთხვევაში შევნებინებდა მის, რა იყო მის წარმოდგენაში კერძო, თვითონ მის მიერ შეტანილი, ე. ი. შეაცნობინებდა მას ამ წარმოდგენას, როგორც მის ფსიქოლოგიურს უუნქციას. ამის შევნების შემდევ თანამოსაუბრე აღარ მიაწერდა უკვე თავის კერძო წარმოდგენას საყოველთაო მნიშვნელობას, ე. ი. არ გაათავისექტიურებდა მას, არ იტყოდა, რომ თვითონ საგანი არის ისეთი, როგორც ის მას წარმოდგენია, და ეს იქნებოდა უკვე კერძობის დაძლევა, მისი შესღუღულობის გადალახვა: კერძო მობილია შემცნება ში დაძლევულია, როდესაც ის შეინობილია როგორც კერძობა.

§ 16. მაიევტიკის ფსიქოლოგიური და ლოგიკური მომენტები: სოქრატეს ირონია და სოქრატეს ინდუქცია

სოქრატეს კვლევა-ძიების ზემოაღნიშნულს მეთოდში რამოდენიმე მომენტს უნდა გაესვას ხაზი.

1. სოქრატე არევედა ცნებებს საუბრის ან დიალოგის პროცესში. სოფისტებისაგან განსხვავებით, სოქრატე არ მიმართავდა მონოლოგიურ ლექციებს² და დოგმატიკურ დებულებათა სისტემის სახით, რომელიც მხოლოდ პასიურ მოსმენას მოითხოვს, არ წარმოდგენდა სხვებს

¹ სოქრატე საქმაოდ წინდახედული იყო იმისათვის, რათა არ ეუიქრა, თოთქა ცნების განკუცვა საქმარისია იმისათვის, რომ გაუჩევეველი წარმოდგენა სამუდაშია იქნება განკუცვებული სუბიექტის ცნობიერებიდან, რაგან მან იცოდა, რომ წარმოდგენებს ღრმა ფეხებია აქვთ გადგმული ადამიანის ცნობიერებაში.

² Plato, Prot., 334, C.

თავის შეხედულებებს. ეს გარემოება აქვს სოკრატეს მხედველობაში, როდესაც ის ლაპარაკობს: „მე არასოდეს არ ვყოფილვარ ვისიმე მასწავლებელი”¹, ე. ი. ისეთი მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ საწავლის თავის მსმენელს, მაგრამ ამ მსმენელისაგან თვითონ არაფერს სწავლობს. ამისაგან განსხვავებით, სოკრატესათვის სწავლება იყო დიალექტიკური პროცესი, სადაც ყოველი მონაწილე კიდეც ასწავლის სხვას და კიდეც სწავლობს მისგან, ე. ი. მასწავლებელიც არის და მოსწავლეც და არ არის მხოლოდ მასწავლებელი (წმინდა მასწავლებელი) ან მხოლოდ მოსწავლე (წმინდა მოსწავლე). თავის საუბარს სოკრატე იწყებდა იმ შეგნებით, რომ ჰეშმარიტი ცოდნა მასაც აღარ პქონდა და ასევით ცოდნის მისაღწევად სჭირდებოდა მეორე კაცის დახმარება. მხოლოდ ადამიანთა შორის აზრთა ურთიერთს გაცვლა-გამოცვლაში შესაძლებელია, სოკრატეს შეხედულებით, წარმოიშვას ჰეშმარიტი ცოდნა, და მაშასადამე, ეს უკანასკნელიც ადამიანთა ურთიერთობის ნაყოფად პქონდა სოკრატეს გააზრებული². ფსიქოლოგიური საფუძველი ადამიანთა ამ ურთიერთობისა ჰეშმარიტების საძიებლად არის ჰეშმარიტების სიყვარული³. რამდენადაც ეს ურთიერთობა სოკრატეს აზრით, არის დუღაბი საზოგადოებისა, იმდენად შეიძლება ითქვას, რომ სოკრატესათვის ეროვნი არის ყოველი საზოგადოების შემავაეშირებელი ძალა.

შეცდომა იქნებოდა, სოკრატეს ეროვნი გაგვევო, როგორც ფიზიოლოგიური გრძელობა, რომელიც წარმოიშობა, მაგალითად, სექსუალურ ნიადაგზე. ეროვნი არის სოკრატესათვის სენსუალობისაგან განწმენდილი მისწრაფება ჰეშმარიტებისაკენ; სექსუალური სიყვარული კი არის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობა ამ ეროვნისა, ერთ-ერთი მისი მოვლენა, რომელიც ისევე ვერ ამოწურავს ეროვნის არსებას, როგორც მაგალითად, კუზიანი ადამიანი ვერ ამოსწურავს ადამიანობას. თუ სექსუალური სიყვარული შესაძლებელია მხოლოდ ვაჟსა და ქალს შორის, ეროვნი არ იცნობს ასეთს საზღვარს არც სქესისა და არც ასაკის თვალსაზრისით: ეროვნი შეიძლება აკავშირებდეს, როგორც ვაჟს ვაჟთან, ისე ქალს ქალთან და მოხუცს ბავშვთან. სხვანაირად რომ ითქვას, ეროვნი არის სიყვარული განუჩრიელად სქესისა და ასაკისა.

¹ Plato, Apol., 33, A.

² Xen., Mem., IV, 5, 12.

³ Plato, Symp. 216 d.

თუ ეროსი იგივე არ არის, რაც სქესობრივი სიყვარული, რომ დაისათვის ის მხოლოდ ზოგადს საფუძველს წარმოადგენს, მით უფრო ნაკლებ შეიძლება გავაიგივოთ ეროსი იმ ენა-ტკბილობასთან ადამიანთა მიმართ, რომელსაც დღეს მოყვასისადმი სიყვარულს უწოდებენ ფილანთროპის ადეპტები: მტერიც კა, რომელიც სდევნის თავის მტერს და ამით წინდავს მას შეცდომებისაგან და ობიექტურად უქმნის მას პირობებს წარმოდგენების ასამაღლებლად, ეროსის საქმეს აკეთებს შეუგნებლად. თუ სქესობრივი სიყვარული იგივე არ არის, რაც სოკრატეს ეროსი, ის მაინც ეროსის ერთ-ერთი შემთხვევაა. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ მოყვასისადმი სიყვარულს, რომელიც ტკბილ სიტყვებს იქით აღარ მიღის, ამ სენტიმენტურ გრძნობას ეროსთან არაფერი აქვს საერთო. პირიქით, იგი ეწინააღმდევება ეროსს, როგორც პირმოთნეობა და სიყალბე.

2. სოკრატე იწყებდა დიალოგს იმის აღიარებით, რომ მან არაფერი იცის და სურს ისწავლოს თავის თანამოსაუბრისაგან, რომელიც საკუთარ თავს მცოდნედ ასაღებდა. მაგრამ დიალოგის პროცესში ირკვეოდა, რომ სოკრატეს მოპირდაპირესაც აღარ პქონია ცოდნა. და ის, რაც მას ცოდნად მიაჩნდა და რითაც იგი აკვირებდა სხვებს, ყოფილა არა ჭეშმარიტი, არამედ მხოლოდ მოჩვენებითი ცოდნა. ვინაიდნ ამ „ცოდნიდან“ ისეთი დასკვნები გამომდინარეობდნენ თურმე, რომ თვითონ მისი პატრონიც არ ეთანხმებოდა მათ შინაარსს, როდესაც ამ უკანასკნელს წაუყენებდა მას სოკრატე, და ამით მტერიც დებოდა, რომ ეს დასკვნები უწინ სოკრატეს მოპირდაპირეს შემჩნეული არც კი პქონია თურმე. ამრიგად, თუ დიალოგის დასაწყისში მოპირდაპირის უპირატესობა სოკრატეს წინაშე ყველასათვის თითქოს ნათელი იყო, დიალოგის პროცესში ეს უპირატესობა თანდათან ქრებოდა, და მდგომარეობა საწინააღმდევებო მიმართულებით იცვლებოდა. რაღაც აშკარა ხდებოდა, რომ „არაფრის მცოდნე“ სოკრატეს „მცოდნე“ თავის მოპირდაპირესთან შედარებით ის უპირატესობა მაინც პქონია, ყოველ შემთხვევაში, რომ ის არ ფიქრობდა, რომ რამე იცის; სოკრატეს მოპირდაპირეს კი არაფერი სცოდნია და ამავე დროს იგი შეპყრობილი ყოფილა მეტიჩრული შეხედულებით, რომ მან ბევრი რამ იცის და ცოდნის ძიება აღარ სჭირდება. მდგომარეობის ასეთს მოულოდნელ შეცვლას აღარ შეეძლო კომიკური ეფექტი არ შეექმნა და მაყურებლები არ გაეცინებინა. ამაში შედგებოდა სწორედ სახელგან-

თქმული „ირონია“ სოერატესი¹. შეცდომა იქნებოდა გაგვეგო სოკრა-
ტეს „ირონია“, როგორც მეფისტოფელის ირონია, რომელიც ძალიან
პოპულარული იყო რომანტიკოსთა წრეებში XIX საუკუნის დასაბუთებული
წყისში. მეფისტოფელის ირონია ბოროტი გრძნობის გამოსახულე-
ბაა, ის არის დაცინვა დაცინებისათვის. ასეთი დაცინვის შესაძლებ-
ლობა გამორიცხული იყო უკვე სოკრატეს დიალოგის მიზნით: სოკრა-
ტე აწარმოებდა დიალოგს არა იმისათვის, რათა დაემცირებინა თავისი
თანამოსაუბრე და დაემტკიცებინა საკუთარი უპირატესობა (ასე სოფა-
სტები იქცეოდნენ). არამედ იმისათვის, რათა საკითხის საერთო გა-
ნებილვის საშუალებით აღმოჩინა ყველასათვის სავალდებულო ჰერ-
მარიტება, რომელიც მას თვითონ თავის განკარგულებაში სრულიად
გულწრფელად არ ეგულებოდა და რომლის ძიება მას (სოფისტები-
საგან განსხვავებით) აუცილებელ საჭიროებად მიაჩინდა. თუკი დია-
ლოგის პროცესში სოკრატეს თანამოსაუბრე კომიკურ მდგომარეობაში
ვარდებოდა, და მცოდნე კაცის ნილაბი, რომელიც საუბრის დასა-
წყისში ეფარა მას, საუბრის პროცესში მოცილდებოდა და ამ ნილაბ
ქვეშ უცოდინარის სახე გამოჩნდებოდა სასაცილოდ, — ეს იყო დია-
ლოგის აუცილებელი ობიექტური შედეგი, რომლისთვისაც დამნაშავე
იყო არა სოკრატე, არამედ მისი თანამოსაუბრის გულუბრყვილობა და
მეტირობა². ამ მეტირობისაგან და გულუბრყვილობისაგან განთავი-
სუფლებას სთვლილა სწორედ სოკრატე ფილოსოფიის მოყალეობად, —
მაგრამ არა თანამოსაუბრის დასამცირებლად, არამედ მის ასამაღ-
ლებლად.

თანამოსაუბრის დამცირება რომ პქონოდა სოკრატეს საუბრის
მიზნად დასახული, მაშინ საუბარიც უნდა დასრულებულიყო, გა-
მოიჩიეოდა თუ არა თანამოსაუბრის უცოდინარობა. მაგრამ სოკ-
რატეს საუბარი აქ არ წყდებოდა და განავრმობდა თავის ვითარებას,

¹ Plato, Rep. 1,337 a.

² სოკრატეს საუბარი მხოლოდ გარეშე მაყურებლებშე ახდენდა ირონიის შო-
ბეჭდილებას, თვითონ სოკრატეს კი ირონია არ პქონდა მიზნად, თუმცა უნდა აღინი-
შოს, რომ სოკრატე დადი პემორისტი იყო, და მისი სადა, დარბაისლური, უპრე-
ტენიო და ხალხური გამოთქმების წევნით გაედენთილი სიტყვა დამილს იწვევდა
მსმენელო შორის.

რათა უცოდინარობის არედან გასულიყო ჰეშმარიტი ცოდნის აწეშე.
 ამრიგად, უცოდინარობის შევნება იყო სოკრატესათვის კვლევა-ძეგ-
 ბის არა აბსოლუტური დასასრული, არა მეტაფიზიკური რიტობი.
 (ე. ი. ისეთი ბოლო, რომელიც წმინდა ბოლოა ან მხოლოდ ბოლო
 და სხვა არაფერი): რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სოკრატე იქნებოდა სკ-
 პტიკოსი. მაგრამ სოკრატე არ იყო სკეპტიკოსი. და უცოდინარობის
 შევნებაც იყო მისთვის დიალექტიკური ბოლო კვლევა-ძეგბი-
 სა, ე. ი. ისეთი ბოლო, რომლიდან ახალი ძეგბაც იწყება და რომელიც,
 მაშასადამე, ბოლოც არის და დასაწყისიც. ჩვენი შემეცნება იწყე-
 ბა სოკრატესათვის იმის შევნებით, რომ ჩეენ არაფერი ვიცით, და თა-
 ვდება ისევ იმის შევნებით, რომ ჩეენ არაფერი ვიცით. უცოდინარობა
 არის დერძი, რომლის გარშემო ტრიალებს ცოდნის ძეგბა: ამთართვით
 ეს დერძი, და ცოდნის ძეგბაც შეწყდება, რადგან მას აღარ უქნება ის.
 რის გარშემოც შეეძლება ტრიალი. კანტის ენით რომ გამოვთქვათ, სო-
 კრატეს აზრები, უცოდინარობა იყო სოკრატესათვის არა კონსტატუ-
 ციური პრინციპი, რომელიც დოგმატურად აძლევს შემეცნებას მის პო-
 ზიტურს შინაარსს, არამედ რეგულატური პრინციპი, რომე-
 ლიც მოწოდებული იყო, მიეცა შემეცნებისათვის მხოლოდ წესი (regula) და იმას მოითხოვდა მეცნიერებისაგან, რომ მას ცოდნის ყო-
 ველს კონკრეტულს ფაქტში აღმოჩენინა მისი საზღვარი ან უარყოფა,
 ყოველი „ვიცი“-ს ქვეშ დაენახა „არ ვიცი“-ს უფსერული, რათა არ
 გაყინულიყო ცოდნის რომელიდაც კერძო შემთხვევაზე, არ უქცია ეს
 უკანასკნელი აბსოლუტად, სათაყვანებელ კერძად და არ შეწყვიტა
 შემეცნების პრიცესი, მისი წინსევლა და განვითარება, ე. ი არ გას-
 თაშოდა ფილოსოფიას. ყოველი მეცნიერი უნდა იყოს, სოკრატეს შეხე-
 ლულებით, უწინარეს ყოველისა ფილოსოფიის და არა თავის საქმის
 ბრძანა და უფრთო ხელისანი, თავის საეციალობის წვრილმანებში უნა-
 ყოფილ ჩაძირული კაცი, რომლის ტიპი დაგვისურათა შემდევ
 გორეომ ვაგნერის სახით. არა ვაგნერი, რომელიც მატლივით
 ებდაუჭება ერთხელ მიღწეულ შედეგს და იმის შიშით, რომ ეს
 შედეგი მომავალში აღარ დაპკარეოს, ვერ ბედავს წინ წაწევას, არა-
 მედ ფაუსტი უნდა იყოს მეცნიერი, ის ფაუსტი, რომელიც არწივევით
 შზად არის, ყოველ წამს გასწიროს აწმყო კვლევა-ძეგბისა მის მომავ-
 ლისათვის, და რომელსაც არც ერთი აწმყო საბოლოოდ არ აქმაყო-

ფოლებსა. ვინც აწმუოს ებღაუჭება, მას აწმუოც დაკარგული აქვს და შომავალიც, რაღაც კლავს კვლევა-ძიების პროცესს, აწმუო კი პროცესში ეძღვევა ადამიანს.

ახლის ძიება ნაცოვლად ნაპოვნზე გაჩერებისა — აი ის აზრი, რომ მლითაც გაფლენთიღა იყო სოკრატეს საუბარი. ცხადია, რომ სოკრატეს საუბარს აღარ შეეძლო დასრულებულიყო ისეთი დებულების დამყარებით, რომელსაც სოკრატე აბსოლუტურად ჰეშმარიტ დებულებად სთვლიდა, და პლატონს, ცხადია, კარგად ესმის სოკრატე, როდესაც თავის ე.წ. „სოკრატულს დიალოგებში“ ის სოკრატეს ათავებინებს საუბარს არა ურყევი რწმენით ამა თუ მი კონკრეტულ დებულებისადმი, არამედ ეჭვით მისი მნიშვნელობის შესახებ, ე. ი. იმით, რაც ახალი კვლევა-ძიების დასაწყისია: ერთი კვლევა-ძიების ეპილოგი არის შეორე კვლევა-ძიებისათვის პროლოგი. მაგრამ თუ სოკრატეს საუბარი არ თავდება აბსოლუტური სიმტკიცის მქონე დებულების აღმოჩენით, ისიც დიდი საქმე იყო უკეთ. რომ გამოკვლეული საკითხის მეოთხეური გამოძიებით ზუსტად გამოირკვა, თუ რა იციან საუბრის მონაცილებმა ამ საკითხის შესახებ ან როგორი ღირებულების არის ეს ცოდნა, და ამით მომზადდა შემოწმებული და სინდო ნიადაგი კვლევა-ძიების წინ წასაწევად. როგორც ვხედავთ, სოკრატეს ესმოდა შეცნირული კვლევა-ძიების არსება, და მის დიალოგში მოცემულია ის, რასაც შემდეგ ფრანგმა დეკარტმა უწოდა „მეთოდური ეჭვი (la doute methodique).

3. სოკრატეს დიალოგის მიზანია: а) ზოგადი ცნების პრეზუმპტივული დეფინიციის ან განსაზღვრის ჩამოყალიბება; б) უკვე განსაზღვრული ცნების მიყენება კერძო შემთხვევისათვის: არა მხოლოდ კერძო შემთხვევის შესაცნობად, არამედ ზოგადი ცნების შესამოწმებლადაც. კინაიდან ცნება ამტკიცებს, სოკრატეს აზრით, თავის გარეისიანობას მხოლოდ იმით, რომ მის საშუალებით შესაძლებელი ხდება კერძო შემთხვევის შეცნობა. პირველი მიზანი ხორციელდება ინდუქციის საშუალებით: ინდუქცია არის დეფინიციის ან განსაზღვრის საფუძველი.

¹ სოკრატეს მოძღვრებაში საგრძნობა ის, რასაც კერძონებები „უაუსტურს ფლეიტს“ უწოდებონ, და ისეად შეენგლერი, რომელმაც ძალან გაითვა სახელა თავისი პუბლიციტური ნაწერებით, ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ საბერძნება ამ „უაუსტურ ელემენტს“ აღარ იცნობდა.

და სოკრატესათვის. მეორე შიზანი კი ხორციელდება დედუქტოს პროცესში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სოკრატეს ინდუქტია განსხვავდება თანამედროვე მეცნიერების ინდუქციისაგან. სოკრატეს ინდუქციას აკლია თანამედროვე მეცნიერული ინდუქციის სისრულე და სიზუსტე. თანამედროვე ინდუქციის საფუძველია ფაქტები, და ამ ინდუქციის თეორიაც, როგორც ფრანცისკ ბეკონის, ისე ჯონ-სტიუარტ მილის სახით, გვასწავლის: 1) როგორ უნდა ვაწარმოოთ დავირცევება ფაქტზე, 2) როგორ უნდა დავაჯგუფოთ ან დავალავოთ დავირცევების საშუალებით შეგროვებული ფაქტები, და ბოლოს, 3) ასე დაღაგვებულ ფაქტებისაგან როგორ უნდა გამოვიყვანოთ ზოგადი დებულება, ე. ი. ფაქტების წესი ან კანონი. რაც შეეხება სოკრატეს ინდუქციას, მისი უშუალო საფუძველია არა ფაქტები, არამედ საუბარში მონაწილე ადამიანების მიერ უკვე საუბრის დაწყებამდის შეძენილი წარმოდგენები ამ ფაქტებზე, და ისიც ისეთი წარმოდგენები, რომლებიც უკვე აღნიშნულია სიტყვის საშუალებით და რომლებიც შეიძლება გაახსენო კაცს საუბრის დროს! ასეთს წარმოდგენებში კი დაჭერილია შეოღონდ ტიპიური ან სამაგალითო ფაქტები და არა ყოველი ფაქტი, რომელიც კი შეიძლება ამ წარმოდგენის ქვეშ მოთავსდეს. სოკრატე არ აწარმოებს წარმოდგენების დაპირისპირებას უშუალოდ ფაქტებთან: ასეთი დაპირისპირების შესაძლებლობა გამოირიცხული იყო უკვე საუბრის წარმოების პირობებით, ამრიგად ფაქტები რჩებიან საუბარში მონაწილეობა ზურგს უკან. თუ სისტემურ დავირცებებს თვითონ ფაქტებზე სოკრატე აღარ აწარმოებს და არც სხვას ასწავლის, როგორ უნდა აწარმოოს მან ასეთი დავირცება, ე. ი. ასწავლის იმას, რასაც თანამედროვე ბუნებისმეტყველური ინდუქციის თეორეტიკოსები (ბეკონი, ჯონ სტიუარტ მილი) დიდ აღვილს უთმობენ თავის თეორიებში, — მით უმეტეს არ სარგებლობს სოკრატე ექსპერიმენტით, რომელიც უძლიერესი იარაღია თანამედროვე ბუნებისმეტყველებისათვის ახალი ფაქტების აღმოსაჩენად. ამიტომ სოკრატეს ინდუქციას არ შემოაქე

1 ქსენოფონტე გადმოგვცემს, რომ სოკრატე იწყებდა საეთოს გარჩევას „საყველოთ აღიარებულ ჰემიარტებათა საშუალებით, რომელთაც ის მსჯელობის საუბრებად სოელია“. Mem., IV 7, 15. ანდაზები, იგავ-არავები და ხალხური ხიაბანის სხვა ასეთი ქსენოლებები უხვად იყო გამოყენებული სოკრატეს მიერ, რომელიც ანალიზის საშუალებით გასცდა ხალხური ხიაბანის ფარგლებს, აამაღდა იყო.”

კელევა-ძიების პროცესში ახალი და ჯერ კიდევ უცნობი ფაქტი. თუ ამ
 აფაროთოებს კელევა-ძიების მასალას და არ აკეთებს იმას, რაც აზრის გადა
 ტებს თანამედროვე ბუნებისმეტყველურს კელევა-ძიებას. სოკრატეს
 ინდუქციას საქმე აქვს უშუალოდ წარმოდგენებთან, ფაქტები (საგნები)
 კი ამ ინდუქციის გარეშე რჩებინ. ის ერთმანეთს უპირისპირებს უშუა-
 ლოდ არა ფაქტებს, არა საგნებს, არამედ წარმოდგენებს ამ ფაქტებზე
 და ცდილობს თანხმობა შეიტანოს ამ წარმოდგენებში ან მოსსნას მათ
 შორის არსებული წინააღმდეგობა. ამიტომ სოკრატეს ინდუქციის
 უმაღლესი შედეგია თანხმობის მიღწევა საზოგადოებაში გავრცელებუ-
 ლსა და ენის საშუალებით უკვე აღნიშნულ წარმოდგენათა შორის,
 მათში მთავარის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან, ე. ი. მოწესრიგება
 (სისტემატიზაცია) წარმოდგენებისა, მაგრამ არა წესრიგის აღმოჩე-
 ნა წარმოდგენების უკან მდებარე ფაქტებში (საგნებში), რასაც მიზნად
 ისახავს გალილეო გალილეის მიერ დაარსებული თანამედროვე ბუნე-
 ბისმეტყველება როგორ უნდა ვიაზროთ საზოგადოებაში მიღწეულ წა-
 რმოდგენათა წინადაგზე ან საზოგადოებრივი გამოცდილების საფუძვე-
 ლზე უწინააღმდეგოდ ესა თუ ის ფაქტი, ესა თუ ის საგანი (და არა —
 როგორია საგანი თავის თავად) — აი ობიექტური ამოცანა სოკრა-
 ტეს ინდუქციისა, რომელიც ცდილობს, თავი მოუყაროს საზოგადოება-
 ში გავრცელებულსა და ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ წარ-
 მოდგენებს, შეასწოროს ისინი ურთიერთთან დაპირისპირების საშუა-
 ლებით, ვაწმინდოს წინააღმდეგობებისაგან, მოახდინოს მათი კონცენ-
 ტრაცია და ჩამოაყალიბოს გარკვეულს დებულებებში ან განსაზღვრე-
 ბებში. ასეთს მეოთოდს ჩვენებური ენით, ინდუქციის ნაცვლად უკეთე-
 სად შეეფერება ანალიზის სახელი: სოკრატე აწარმოებს საზოგადო-
 ებრივ გამოცდილების ან საზოგადოებაში გავრცელებული წარმოდ-
 გენების ანალიზს, არჩევს მთავარს მეორეხარისხოვანისაგან და ათან-
 ხებს ამ წარმოდგენებს ცნებაში. მაგრამ საზოგადოებრივი
 ვა ამ ცდილების მასალას სოკრატე აღარ აუა-
 რთოებს. ამიტომ უშუალესი კანონი სოკრატეს ინდუქციისათვის
 ივიცა, რაც ანალიზისათვის. ეს არის წინააღმდეგობის კანონი, რო-
 მელიც მოითხოვს, რომ წარმოდგენები არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთ-
 მანეთს². ბუნების მოვლენების შესაცნობად ეს მეოთოდი, ცხადია,

¹ ამის შემთხვება ეწოდოს საზოგადოებრივი გამოცდილების შეჯამება.

² Xen., Mem., IV 2, 21.

არ იქმარებდა, მაგრამ ზნეობის საკითხების გადასაწყვეტად ის კარგ
გამოდგა, რაღაც, თუ ბუნება ადამიანის წარმოდგენების გარეშეა ზნე-
ობას შეადგენს ადამიანის შინაგანი ცხოვრება ან მისი წარმოდგე-
ნები და არა ამ წარმოდგენების გარეშე მდებარე საგნება.

4. რამდენადაც სოკრატეს მეთოდი კვლევა-ძიებისა ხორციელდე-
ბოდა ზეპირი საუბრის პროცესში, ასალ ფაქტებს არ აღმოაჩინდა,
არამედ სარგებლობდა მხოლოდ იმ ფაქტებით, რომლებიც უკვე აღმო-
ჩენილი იყო და, აღნიშნული სიტყვების საშუალებით, ინახებოდა თანა-
მოსაუბრეთა მეხსიერებაში, ე. ი. რამდენადაც ეს მეთოდი სარგებლო-
ბდა მხოლოდ ფაქტების ან საგნების შესახებ უკვე შედგენილი წარ-
მოდგენებით — იმდენად მისი მიზანი იყო ამ წარმოდგენების ანალიზი
და იმ საბუთის შევნება, რომელსაც ეს წარმოდგენები გულისხმობლნენ,
ისე როგორც, მაგალითად, დედა-ენის ერამატიკის სწავლების მიზანია
შევნება ენის კანონებისა, რომელსაც უკვე გულისხმობს ამ ენაზე პრა-
ქტიულად მოლაპარაკე ადამიანი, თუმცა მას ჯერ კიდევ აღარ აქვს
ამ კანონის შევნება. სოკრატეს მეთოდიც შეაგნებინებდა თანამოსაუ-
ბრებს თავისი წარმოდგენების საბუთს ან კანონს, რომელიც მანამდე
არ პქონდათ მათ შევნებული, თუმცა-და ყველანი შეუგნებლად გული-
სხმობლნენ მას. ამრიგად, ეს მეთოდი იყო ჯერ კიდევ შეუგნებელის
შევნებინება, არა ცნობიერის ცნობიერებაში მოყვანა, ე. ი. წარმო-
დგენების გაშლა და იმის გამოყოფა. რაც შეუგნებულად და ცნობიე-
რებისათვის დაფარულად უკვე იგულისხმებოდა ამ წარმოდგენათა მი-
ერ, როგორც მათი მნიშვნელობის შეუგნებელი საფუძველი ან
საბუთი. სოკრატეს მეთოდი აღრმავებდა ცნობიერებას, ადიოდა მის
საფუძველებამდის, რათა გამოეაშკარავებინა და დღის სინათლეზე გამო-
ეფინა ის, რაც მანამდე შეუგნებლად იყო ნაგულისხმევი. გასაგებია
აქედან, თუ რატომ ამბობდა სოკრატე ხშირად, რომ ის ეწევა თავისი
დედის ხელობას, ე. ი. ბებია ქალობას ან, ბერძნული სიტყვა რომ ვი-
სმაროთ, მათე ვტ იკას. როგორც ბებია-ქალი ფაინარეტე (სო-
კრატეს დედა) ეხმარებოდა შშობიარეს, დაებალებინა ან დღის სინათლე-
ზე გამოეყვანა ბავშვი, რომელსაც ეს შშობიარე მუცელში ატარებდა
დაფარულად, ისე სოკრატე თავისი კვლევა-ძიების მეთოდით ეხმარე-
ბოდა თანამოსაუბრებს დაებალებინათ ის ცნება, რომელიც შეუგნებ-

¹ Plato, Theatet, 150 c.

ლად ან დაუარელად იყო ნაგულისხმევი მათ წარმოდგენების მიერ. ჩოგორც ფაინარეტის ხელობა იყო არა ბავშვის შექმნა (ეს ხომ შემოვალი ბლების საქმეა და არა ბებია-ქალის), არამედ მუცელში უკვე უარულად არსებული ბავშვის გამოყვანა დღის სინათლეზე, ისე სოკრატეს ხელობა იყო, მისივე აზრით, არა ცნების შექმნა, არამედ საუბარში მონაწილეთა წარმოდგენების მიერ შეუცნობლად ნაგულისხმევი ცნების გამოყვანა ცნობიერების სინათლეზე, ე. ი. მისი შეგნება. ოღონდ თუ ფაინარეტე მხოლოდ სხვას აბადებინებდა მის ბავშვს და თვითონ არ ბადებდა ამ უკანასკნელს, სოკრატე დარწმუნებული იყო, რომ თავისი შეთოლით ის მხოლოდ სხვებს კი არ შეაგნებინებდა მათ მიერ ფარულად ნაგულისხმევ ცნებას, არამედ თვითონაც აღიოდა ამ დროს ამ ცნების შეგნებამდის ან გამოაშეკარავებამდის: ე. ი. აბადებინებდა ცნებას სხვებსაც და თავის თავსაც.

5. ზოგადი ცნების განსაზღვრით სოკრატე გზას იყაფავდა კერძო წარმოდგენის დაზუსტებისაკენ. ჩვეულებრივ, კერძო წარმოდგენა ამა თუ იმ კონკრეტულ საგანზე (მაგალითად, სოფრონის წარმოდგენა სახალხო კრების მიერ მიღებულ დადგენილებაზე) არ არის გარკვეული. შესაძლებელია, ჩვენი მაგალითი რომ აიღოთ, სოფრონი სახალხო კრების დადგენილებას კანონიერად სოფლიდეს, მაგრამ მას არ ჰქონდეს ნათელი შეგნება, რატომ არის ის კანონიერი. სოფრონის წარმოდგენა, რომ ეს დადგენილება კანონიერია, მაშინ იქნებოდა გარკვეული, რომ სოფრონს სცოდნოდა, რატომ ან რა საბუთის გამო არის ის კანონიერი. ასეთ საბუთად გამოდგებოდა მხოლოდ კანონის საზოგადო ან საყოველთაო ცნება. ამიტომ, მას შემდეგ, რაც გამორკვეულია კანონის საზოგადო ცნება, სოკრატეს მიყავს თავისი თანამოსაუბრე სოფრონი იმის გასინჯვისაკენ, შეეფერება თუ არა კანონის საყოველთაო ცნებას, რომლის შინაარსი გაირკვა კანონის განსაზღვრებაში. სახალხო კრების მიერ მიღებული დადგენილება—ეს არის ზოგადი ცნების მიყენება კერძო შემთხვევისადმი, ე. ი. კერძო შემთხვევის შედარება ზოგად კანონთან, კერძო შემთხვევის შეცნობა საყოველთაო ცნების საშუალებით ან შემოწმება იმისა, შეეფერება თუ არა საზოგადო ცნებას კერძო შემთხვევა, თავსდება თუ არა კერძო ფაქტი ზოგად ცნებაში. თუ ზოგადი ცნების განსაზღვრა ინდუქციის ხერხით კეთდებოდა, ზოგადი ცნების საშუალებით კერძო ფაქტის შემოწმება წარმოადგინდა უკვე დედუქციის იმ მომენტს, რომელსაც ეწოდება პარაბოლა.

სოკრატეს მეთოდს ეწოდება „ევრისტული“ და „კატეხეტური“. ევრისტი ნიშნავს აღმოჩენას: თავისი მეთოდით სოკრატე აღმოჩენინდა თანამოსაუბრეს იმას, რის შესაძლებლობა, სოკრატეს აზრით, უკვე პქონდა მას დაფარულად, ე. ი. შეაგნებინებდა მას იმას, რაც უკვე გააჩნდა პოტენციალურად, მაგრამ არ პქონდა კიდევ შეგნებული. იგულისხმებოდა, რომ ის, რაც ადამიანს აქვს, იმაზე მეტია, რაც მან იცის, და ადამიანის მოვალეობაა შეიცნოს ის, რაც მას აქვს, ე. ი. შეიცნოს საკუთარი თავი, რათა არაფერი დაურჩის ისეთი, რაც მას შეცნობილი აღარ აქვს და რისთვისაც მას შეგნებულად არ მიუკია დასტური. „კატეხეტური“ ან „ეროტემატული“ ეწოდება სოკრატეს მეთოდს იმიტომ, რომ ის ვითარდებოდა კითხვა-პასუხის საშუალებით და თანამოსაუბრის შეწყვების ან შევიწროვების ხერხით¹ მიყავდა იყი იმის შეგნებამდის, რაც მის გაფანტულს ცნობიერებას შეუმჩნეველი რჩებოდა მანამდე. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ სოკრატეს მეთოდი იყო სერხი ცნობიერების კონცენტრაციისა, გულის-ყურის გამახვილებისა და ცოლის ამაღლებისა შეგნებულ შემეცნების ღონებდე.

3. ზეორგის პრიზლევა სოკრატეს ფილოსოფიაში

ა. ზეორგის ცნობა

§ 17. ზნეობის ქადაგება და ზნეობის თეორია

პრობლემები, რომლებსაც არკვევდა სოკრატე თავის მეთოდით, ზნეობის სფეროს ეკუთვნობდნენ უმთავრესად². მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სოკრატე იყო მხოლოდ მორალისტი, ზნეობის მხოლოდ პრაქტიკული მოქადაგე და არა ფილოსოფოსი, როგორც ფიქრობდნენ

1. ამ შეწყვებისა და შეეიწროების იარაღი იყო შეკითხვა: შეკითხვა აღვიძებდა პიძინებულ ცნობიერებას, აწესებდა მთელუმარე გონიერებას და არღვევდა მის გულუბრტყელო სიმშევისეს. გასაგებია აქედან, რატომ ადარებს სოკრატე თავის თავს კრაზანს, რომელიც აწესებს სიმსუქნისაგან გაზარმაცებულ (Plato, Apol): ჰარმაცია ცხენი იყო სოკრატესათვის შისი ეპოქის საზოგადოება.

2. Arist. Metaph. I,987 b 1.

յրտ դրու և ա գլուխ պայմանեն Ցողօցրութեան ։ Առայդից յալ թուրա-
լուսերն են ոյ ներծուն մասից զալցեալըն են սոյրամբ, პորոյտ, ցշցուն
ուսալու պայմանակա և ա յուղապա յերմուն մատ տացուն սայստարու գուն-
դայից ան հոգուն Շեյմլու մունչունցնես, հոմելու ամծուն,
հոմ ու արացուն մասից զալցեալըն արասունց առ պոյուն, յայսրա տացուն
տացնչ ներծուն մասից զալցեալըն ան ներծուն յաճացեան?

Սոյրամբ սանցալու առ օնօսարեծուն մի անըն, հոմ յաճացեան տ
շեյսամլցեալուն յըրտմա յալու ամայ մերուն մերուն ։ Նիշալու ոյո
սոյրամբ սատցուն տցումոյմելու և արա մեյյանյոյյուրու յաճասեմա ցուն-
սա յրտու տացուն մյուրու տացնու ։ արացուն առ Շեյմլու յաճացեան համբ
ամիշալու, արամբու տցուտոյուն յալու տցուտոն սիշալուննես ։ մասից զալցե-
լու յո յիմնուն մոխացյուն մեսուն եցլսացրու პորունաս մի տցուտնիշա-
լցեանսատցուն, ալցուկըն մոխացյուն մին Շեյնեան, հալու մի մոխացյուն յացու
այց տացուն წարմունցյուն մին Շեյցնեմլաւ, հոգուրու մի წարմունցյուն-
նուն սացուցեալու, հոմ մոխացյուն առ մյունեծուն տացուն წարմունցյուն մին
Շեյցնեմլաւ մուլցմյուն մին Շեյսամլցեալըն, հասաւ ու սիշալուննես,
սիշալու, սոյրամբ անրու, յանշորու ցուունցեալու յինեծուն ։ սիշալու
արուն Շեյցնեմլուն Շեյնեան, արա-ցնունցուրաւ մուլցմյուննուն յանշունց-
րուն և սեց արացյուրու ։ յալու տցուտոն յնդա Շեյցնուն ուն, հասաւ ու
սիշալուննես և հուն Շեյսամլցեալըն մաս մուլցմյուն այց, հոգուրու մո-
ւսու წարմունցյուն մին Շեյցնեմլուն սածուտու ։ մասից զալցեալու յո մեսուն
յաճացունցեալուն մոխացյուն Շեյցնեմլուն Շեյնեան, ամրոցաւ, պոյուն յալու
տցուտոն մյուննուն տացուն ցունաւ և առ լցենցուննես մաս սեցուսացան մյոյ-
նյոյյուրաւ.

ոյ այցուն ոյու սոյրամբ յարմունցյուն սիշալցեան Շեյսաեց սանց-
գալու, մուտ յիմբույս ներծուն սիշալցեան Շեյսաեց առ Շեյմլու մաս

1 XIX Սայցենին այց Շեյցնելցեան սոյրամբ յից ուրավունք մահասին, յըր-
ուսուն, նիդուսմեյլու և նցուրու յացու սեցա ։ յանանյենց լուն յու Շեյցնելցեան յա-
մեյունն ։ Յանցրին 1913 ։ յամուցմյունն տացուն წոցննու „Sokrates, sein Werk
und seine geschichtl. Stellung“. մահասին յըրին, հոմ սոյրամբ նյոյմերաւ
ոյցուն յունունտցուն և արց տցուտոն ոյու յունունտցունուն ։ հալու Շեյնեան մայրին,
ու ամբույցն, հոմ սոյրամբ ոյու ներծուն մասից զալցեալու, հոմլուստցուսաց
„philosophisch-wissenschaftliche Tendenzen so fern wie möglich lagen“. տե Zeller, Philos. der Griechen. II, 101, 1, loc. ib. 1, 763 f.

სხვა აზრი პერნოდა და ეფიქრა, თითქოს მას შეუძლია ასწავლის
სხვებს ზნეობა. სოკრატე იმას კი არ ფიქრობდა, რომ შესაბამებლის
ზნეობა ასწავლო სხვას, არამედ იმას, რომ ყოველი სათნოების სა-
ფუძველია ცოდნა, და ამიტომ კაცს შეუძლია შეიძინოს სათნოება, თუ
კი ისწავლის და გახდება მცოდნე ადამიანად. თვითონ სოკრატეს კი
სრულიადაც არ პერნოდა იმის პრეტენზია, რომ ჩან რამე იცის. მით
უმეტეს, აღარ შეეძლო მას პრეტენზია პერნოდა სათნოების ცოდ-
ნაზე, რათა უფლება მოგვცემოდა გვეთქვა, რომ სოკრატე იყო მორა-
ლისტი და ზნეობის დამრიცებელი. მორალისტი კი არა, ფილოსოფოსი
და მოაზროვნე იყო სოკრატე და მისი საქმე იყო არა ზნეობის დოკუ-
ტერი ქადაგება, მორალისტების მზგავსად, არამედ ზნეობის დიალექ-
ტიკური ანალიზი და მეცნიერული განსაზღვრა.

გარდა ზნეობის პრობლემებისა, სოკრატე ამუშავებდა აგრეთვე ფილოფილის, რელიგიის და პოლიტიკის პრობლემებსაც, მაგრამ მხო-
ლოდ იმდენად, რამდენადც ამათ კავშირი პერნოდათ ზნეობის პრობ-
ლემებთან. ბუნებისმეტყველების საკითხებსაც ეხებოდა სოკრატე: ქვე-
ნოფონტე გადმოვცემს, რომ სოკრატემ იცოდა გეომეტრია და ას-
ტრონომია. მაგრამ ბუნებას სოკრატე უცემოდა ადამიანის ზნეობრი-
ვი დანიშნულების თვალსაზრისით და ამ ბუნებაში მხოლოდ ის მხარე
აინტერესებდა, რომელიც ადამიანის ცხოვრებას შეეხება. სხვანაირად
რომ ითქვას, ბუნებას სოკრატე განიხილავდა *sub specie humanita-
tis*, ე. ი. არა ბუნებისმეტყველის მსგავსად, რომელიც იკვლევს ბუ-
ნებას ადამიანისაგან განყენებულად ან თავის თავად (თითქოს ეს ბუ-
ნება არსებობდეს თავის თავად).

უნდა ითქვას, რომ თავის შეხედულებათა სისტემა სოკრატეს არ
მოუცია არც ერთს ზემოაღნიშნულ დარგში, ე. ი. არც ეთიკის, არც
არ შეუქმნია. და ეს არც არის გასაკეირი, ვინაიდან ასეთი სისტემის
ფსიქოლოგიის, არც ოფილოგიის და არც ფიზიკის სისტემა სოკრატეს
შექმნა ეწინააღმდევებოდა უკვე იმ პრინციპს, რომელზედაც ემყარე-
ბოდა. სოკრატეს მეთოდი. ამიტომ შეიძლება ლაპარაკი სოკრატეს არა
ეთიკურ სისტემაზე, არამედ ეთიკურ შეხედულებებზე მხოლოდ.

¹ Xen. Memor, IV, 7, 2.



სოკრატეს უმთავრესი ეთიკური დებულებაა ის, რომ ყოველი სათნოები ნოვება არის ცოდნა. არისტოტელის გადმოცემით, სოკრატე ეპისტემაც შეთქმას მასაც თაქ ფიქრობდა, რომ ყოველი სათნოება არის ცოდნა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იქ, სადაც არ არის ცოდნა, სათნოებაც არ შეიძლება იყოს. და მაშინადამე, ვისაც არა აქვს ცოდნა, იმას სათხო კაცის სახელიც არ უნდა ეწოდოს. თუ გავისწენეთ, რომ სოკრატესათვის ცოდნა არის მხოლოდ იქ, სადაც არის სუბიექტი ან „მე“, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ სოკრატეს აზრით, არსება, რომელიც სუბიექტის დონეზედის არ ამაღლებულა და რომელსაც ადარ აქვს „მე“, ადარ აქვს შეგნება ან ის, რასაც ბერძნულია სინდისი ეწოდება, არ შეიძლება სათნოების მქონე არსება იყოს. მაშინადამე, სათნოება არ აქვს არც უსულო საგნებს, არც მცენარეებს, არც პირუტყვს, რავი ისინი მოედებული არიან „მე“-ს (არც ერთს ხომ არ შეუძლია თავისი თავი აქციოს საკუთარ ობიექტად და სოქვას თავის თავის შესახებ: „მე“), მოკლებული არიან შეგნებას და შეუგნებელი ან „უსინდისო“ ობიექტების რიცხვს ეკუთვნიან.

ზემოაღნიშნული თავისი დებულებით, რომ სათნოება არის ცოდნა, სოკრატე გაემიჯნა სათნოების წარმართულს გაგებას, რომელიც გამჭვიდარი იყო ძეველი ბერძნის ძეალ-რბილში და რომელსაც მაგარი ნიადაგი პქონდა მოპოვებული თვით ბერძნულს ენაში, სოკრატემ გაარღვეა საკუთარი დედა-ენის კალაპოტი, რომელშიაც მომწყელეული იყო ძეველი ბერძნის აზროვნება, და ამრიგად გადაღახა ენით უკვე დავანონებული ფორმა იმ დამოკიდებულებისა, რომელიც პქონდა ძველ ბერძენს სამყაროს მიმართ.

ბერძნული სიტყვა მრეთი (სათნოება) ნაწარმოებია მრესხელ ზრნიდან. იგი ბერძნულ ენაზე ნიშნავდა იმას, რასაც ქართულად ვეძახით „მოწონებას“, ხოლო მრეთი იყო, ძველი ბერძნისათვის ყოველი მოსაწონი თვისება ან მოქმედება — განურჩევლად იმისა, თუ ვის ან რას პქონდა ეს თვისება: კაცს, ცხენს, ხეს, რკინას თუ ქვას. მაგალითად ცხენის ერთ-ერთი მოსაწონი თვისება არის კაცისათვის მისი სირბილი: ამიტომ ცხენის შესახებ ბერძენი იტყოდა, რომ ცხენს აქვს სირბილის „სათნოება“. კოპიტის ერთ-ერთი მოსაწონი თვისებაა კაცისათვის, რომ ის კარგად იწვის და ათბობს ოთახს: ამიტომ კო-

პატის შესახებ ბერძენი იტყოდა, რომ კოპიტს აქვს თბობის სათნოება. რეინის ერთ-ერთი მოსაწონი თვისებაა კაცისათვის, რომ ის მაგარია: ამიტომ რეინის შესახებ ბერძენი იტყოდა, რომ რეინას აქვს სიმაგრის სათნოება. შესაძლებელი იყო საგნების ცალკე ნაწილების სათნოებაც: მაგალითად, უეხებს პქონდათ „სიარულის სათნოება“, თვალებს პქონდათ „ხედვის სათნოება“, უურებს პქონდათ „სმენის სათნოება“. ამ ღოვიყათ შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ ხარის კულს აქვს ბუნების მოგერიების სათნოება! როგორც ვხედავთ, „სათნოებას“ ძეელი ბერძნისათვის პქონია იმის მნიშვნელობა, რასაც ქართულ ენაზე, „სათნოება“ სიტყვის მაგიერად უკეთესად შეეფერება „უნარი“ ან „ხარისხი“. ამგვარი მნიშვნელობით ხმარობდენ გულუბრყეილოდ ბერძნები ამ სიტყვას აგრეთვე კაცის მიმართ თითქოს კაციც ისეთივე საგანი ყოფილიყო, როგორც რეინის ნაჟერი ან ხის ნაფოტი (ან როგორ ექნებოდა სხვა წარმოდგენა კაცზე იმ საზოგადოებას, სადაც ადამიანი მისი ფიზიკური რაობისათვის ფასდებოდა მხოლოდ!), და თითქოს არავითარი პრინციპული განსხვავება ადამიანსა და ბუნების სხვა ქმნილებათა შორის არ არსებულიყო.

სწორედ ამ გულუბრყეილობის წინააღმდევ აღსდგა სოკრატე თავისი კრიტიკით: მან შენიშნა, რომ ის, რაც ადამიანის მოსაწონ თვისებას შეადგენს, არ შეიძლება ისეთივე იყოს, რაც არის ბუნების დანარჩენ ქმნილებათა ხარისხი ან უნარი, ვინაიდან ადამიანი სხვა არსება. და მაშასადამე, ადამიანის მოსაწონი თვისება და ცხენის მოსაწონი თვისება ერთი და იმავე სახელით არ შეიძლება იქნეს წოდებული. ამის შევნება აყენებდა დილემას: ან ადამიანის მოსაწონი თვისებებისათვის ახალი სიტყვა უნდა ყოფილიყო გამონახული, ან და, თუ ადამიანის მოსაწონ თვისებათა აღსანიშნავად დასტოვებდენ ძველს სიტყვას, მაშინ მისი მნიშვნელობის წრიდან უნდა ყოფილიყო გამორიცხული ბუნების ყეველა სხვა ქმნილებათა მოსაწონ თვისებები, ე. ი. სათნოება — სიტყვის ძეელი მნიშვნელობა უნდა შეცვლილიყო ახალი მნიშვნელობით. სოკრატემ აირჩია უკანასკნელი გზა: მან დასტოვა ადამიანთა მოსაწონ თვისებათა აღსანიშნავად ძველი სიტყვა, მაგრამ შეუცვალა ამ სიტყვას მნიშვნელობა, როგორც მისი მოცულობის, ისე შინაარსის მხრიց.

მოცულობის მხრივ სოკრატემ შეზღუდა ამ სიტყვის მნიშვნელობა: თუ უწინ იგი აღნიშნავდა ყოველი ქმნილების მოსაწონ თვისებას, სოკრატემ შემოფარგლა იგი მხოლოდ ადამიანის მოსაწონი

თვისებებით ამასთან დაკავშირებით შეიცვალა სიტყვის შინაარსიც
იმ მხრივ, რომ ეს შინაარსი გამდიდრდა: აღმოჩენილი იქნა
ახალი ნიშნები, რომელიც უწინ არ იგულისხმებოდა საქმაოდ შეგ-
ნებულად ამ სიტყვაში.

თუ „სათნოება“ უნდა წოდებოდა მხოლოდ კაცის მოსაწონ
თვისებებს და არ უნდა წოდებოდა ბუნების დანარჩენ ქმნილებათა
მოსაწონ თვისებებს, რაში უნდა ყოფილიყო ამ სიტყვის შინაარსი,
თუ არა იმაში, რითაც კაცი განირჩევა ბუნების სხვა ქმნილებები-
საგან და რაც მის უპირატესობას შეადგენს დანარჩენ ქმნილებათა
წინაშე? რით განირჩევა მერე კაცი ბუნების სხვა ქმნილებებისაგან?
რაშია მისი უპირატესობა? სოკრატეს აზრით, კაცი განირჩევა ბუნე-
ბის სხვა ქმნილებებისაგან იმ უპირატესობით, რომ ბუნების დანა-
რჩენი ქმნილებები არიან მხოლოდ შეუკეთელი საგნები (ობიექტე-
ბი), რომლებსაც „მე“ აღარ აქვთ და რომლებიც სხვისთვის არსებო-
ბენ მარტო და თავისათვის კი არ არსებობენ (ხარი, ცხენი, ვაშლის
ხე, კოკა და სხვა ასეთები თავისი პატრონისათვის არსებობენ ხომ
და არა საკუთარი თავისათვის). რაც შეეხება კაცს, იგი არის „მე-ს
მქონე ან შეგნებული საგანი (სუბიექტი), რომელიც მხოლოდ სხვი-
სათვის კი არ არსებობს, არამედ თავისათვისაც. ეს თავისითვის არ-
სებობა შეადგენს ადამიანის უპირატესობას ბუნების სხვა ქმნილება-
თა წინაშე: იგი არის ის მეტი, რაც გააჩნია კაცს სხვა ქმნილებებთან
შედარებით და რაც ამ კაცს ბუნების დანარჩენ ქმნილებათა წრის
გარეშე აყენებს. აქედან, თუ ამ სიტყვის შინაარსს ის უნდა შეადგენ-
დეს, რითაც კაცი განირჩევა ბუნების დანარჩენი ქმნილებებისაგან
და რაც მის უპირატესობას წარმოადგენს, ცხადია, რომ ამ შინაარ-
სში აუცილებლად მოცემული უნდა იყოს „მე“ და შეგნება, ე. ი.
უნდა ითქვას, რომ სათნოება არის შეგნება და სათნო არის მცოდნე,
ხოლო უცოდინარი, რამდენადაც ის არის უცოდინარი, არ შეიძლე-
ბა იყოს სათნო. — ამას დაუკავშირდა მრავალი სხვა დებულება, რო-
მელიც შეადგენს სოკრატეს ეთიური მოძღვრების შინაარსს. მაგა-
ლითად, ის დებულება, რომ: 1) სათნოება შეიძლება ეკუთხნოდეს
მხოლოდ მთელს ადამიანს და არა ადამიანის ნაწილებს, და, მაშასადა-
მე, სისულელეა ლაპარაკი, მაგალითად, თვალების ან ფეხების „სათ-
ნოებაზე“, როგორც ეს სჩეკოდათ ბერძნებს. 2) სათნოება არის
არსებითად ერთი და არა მრავალი სათნოებანი ერთი სათ-

ნოების მოდუსებს წარმოადგენენ; 3) სათნოება არის ადამიანის პაროვნების მთლიანობა, საკუთარ თავთან თანხმობა, სიმტკიცა და გამძლეობა.

როგორც ეხედავთ, სოერატეს საქმე ეთივაში იყო ის. რომ მან მერყევი, გაურკვეველი, დიუერენციალის შოკლებული წარმართული წარმოდგენა სათნოებაზე გაარკვია, განსაზღვრა და სიმტკიცით აღჭურვა, ე. ი. სოერატემ გააკეთა ეთივის დარგში ის საქმე, რომელსაც მისიერ შეხედულებით საზოგადოდ აკეთებს ფილოსოფიის. სოერატემის პერიოდი ბუნდოვანი წარმოდგენა სათნოებაზე, სოერატემ ეს ბუნდოვანობა შენიშნა და სცადა გაეანალიზებინა (ვაკერიატიკებინა) ბუნდოვანი წარმოდგენა და შეეცვალა იყო უფრო გარკვეული ცოდნით. ამრიგად, სოერატეს მოღვაწეობა ზნეობის საკითხების დარგში ამონტურებოდა კრიტიკით და ფილოსოფიის ამოცანების ფარგლებს აღარ სცილდებოდა. მაშასადამე, არც წინასწარმეტყველის, არც მოციქულის მოღვაწეობის იყო აღარ ემსვავებოდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ სოერატე ვრძნობდა, რომ ის საიდუმლო მოწოდებას ასრულებდა თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობით.

§ 19. მამაცობის კრიტიკა

უკეთ რომ ვაეყიდოთ სოერატეს შეხედულება სათნოებაზე, ავიღოთ რამდენიმე მაგალითი. სათნოებად იყო, მაგალითად, მიჩნეული ძველს საბერძნეთში მამაცობა, სიმართლე და თავდაჭერილობა. სოერატეს შეხედულებით, შეუკნებელი ან უცოდინარი კაცი არ შეიძლება იყოს არც მამაცი, არც მართალი და არც თავდაჭერილი. ერთი შეხედვით საკვირველია ჩვენთვის სოერატეს ეს აზრი, ვინაიდან ჩვენში ამის საწინააღმდევო შეხედულება არის გავრცელებული. მაგალითად, ჩვენში ხშირად ფიქრობენ, რომ რაც უფრო განათლებული და მცოდნეა კაცი, მით უფრო ნაკლებად არის ის მამაცი. ვანათლებულ კაცზე უფრო მამაცად ჩვენში უსწავლელი კაცი ითვლება², და მამაცობის ნიმუშებს ველურ ხალხებში ეძებენ. ამრიგად, მამაცობა ჩვენში უფრო უცოდინარობის შედეგად მიაჩნიათ, უღრე ცოდნისა, თითქო ჩვენ ყველანი აღზრდილი ვიყოთ

¹ Xen., Mem. III, 9, 5.

² ერთი მიზნები ამისა ეპიკოდად არის სასკოლო სწავლების სიფაზზე. მეცნიერების სკოლა მართლაც მხდალ ჩინოვიცებსა და ფილისტერებს ზრდისა.

იულიუს კეისარის სახელგანთქმულ თხზულებაზე, სადაც გალების მა-
მაციობას როდოსის სტოიკოსების მოწაფე იულიუს კეისარი იმით
ხსნის, რომ გალები დაშორებული არიან კულტურის ცენტრიდან
(რომიდან) და ამიტომ მათ სწავლა-განათლება აკლიათ¹. ყოველ შემ-
თხვევაში მამაცობა არამც თუ არ ითვლება ჩეკენის შორის ცოდნის
ნაშნად, არამედ პირიქით, ხშირად ფიქრობენ, რომ შეგნება, ცოდნა,
კულტურა ანგლებს მამაცობას, და ამ უკანასკენელის გასაძლიერებ-
ლად საჭიროდ მიაჩინიათ ზოგჯერ შეგნების შესუსტება ან გაბრუება,
მაგალითად, ალკოჰოლის საშუალებით: ღვინით შეზარხიშებული კა-
ცი უხიზებ კაცზე უფრო მამაცად წარმოუდგენიათ. ზოგჯერ ჩეკენში
იმასაც კი იტუვიან კაცზე, რომ ის მამაცია იმიტომ, რომ სულელია,
ჰერი აღარ აქვს: „თავზე ხელაღებულია“, თავი დაკარგული აქვს.

სრულიად საჭიროა დამდევრო შესეღულება პქონდა მამაცობაზე სო-
კრატეს, რომლისათვის მამაცობა იყო არა თავზე ხელაღებულობა,
არა თავის დაკარგვა, არამედ თავის განმტკიცება. თავისათვის მა-
გრად ხელის მოჰკერა. სოკრატეს აზრით, მამაცი ან გამბედავი არ
უნდა ეწოდოს ისეთ კაცს, რომელიც ძლიერს მტერს იმიტომ კა-
ცეთა, რომ მან არ იცოდა (ე. ი. არ ფიქრობდა, არ ქონდა შეგნებული,
არ ქონდა წარმოდგენილი), რომ მტერი ძლიერია. რა განსხვავება
იქნებოდა ამ კაცსა და უგუნურ ქვას შორის, რომელიც შეუგნებულ
დაუჯახება უკელაფერს, რისენაც კი მას ისერიან? ამ ქვასაც მამაცის
სახელი უნდა წოდებოდა, თუ კი შეგნება არ არის მამაცობის პირობა,
და, მაშასადამე, ქვისთვისაც მამაცობის „სათნობა“ უნდა მიგვეწერა.
მაგრამ ქვას, ცხადია, არ შეიძლება მამაცობის სათნობა მიეწეროს,
ისე როგორც არ შეიძლება იგი მიეწეროს, სოკრატეს აზრით; არც
პირუტყვას: ღომსაც კი აღარ აქვს მამაცობის სათნობა, და თქმა
იმისა, რომელიმე კაცის შესახებ, რომ ის არის „ლომგულა“, არის
ამ კაცის დამცირება და არა მისთვის ჰეშმარიტი პატივისცემის აღმო-
ჩენა: რაღა დიდი პატივისცემაა კაცისა, თუ ის მხეცობან გაგვითანას-
წორებია! მამაცი, სოკრატეს აზრით, უნდა ეწოდოს მხო-
ლიდ კაცს, და ისიც — მარტო ისეთ კაცს, რომელსაც შეგნე-
ბული პქონდა, რომ მოწინააღმდეგე მასზე უფრო ძლიერია და ამ შე-
გნებით შეუტია მას. კაცის შეუგნებელი ან უცოდინარი „მამაცობა“
არსებობს მხოლოდ ფიზიკურად, მხოლოდ გარედან მაყურებელთა

¹ Commentarii de bello gallico, 1,1.

წარმოდგენაში, მაგრამ ის არ არსებობს ზნეობრივად, რადგან
 არსებობს, როგორც იმ კაცის შეგნებული თვისება, რომელიც მა-
 მაცად არის წოდებული. ამიტომ ასეთი „მამაცობა“ არის მხოლოდ
 უაზიკური გამბედაობა, მაგრამ ის არ არის ზნეობრივი გამბედაო-
 ბა. მხოლოდ ეს უკანასკნელი არის სოქრატესთვის ჰეშმარიტი მამა-
 ცობა ან მამაცობის სათხოება. რაც შეეხება ფიზიკურ გამბედაობას,
 ის არის მხოლოდ მოჩვენებითი მამაცობა (ე. ი. ისეთი რამ, რაც
 მხოლოდ სხვებს ეჩვენება მამაცობად), ის არის ცრუ-მამაცობა, და
 ამიტომ მას მამაცობის სახელი არც კი უნდა წოდებოდა. წარმოდგე-
 ვინოთ მხედარი რომელიც ეცა მტერს წინასწარ გაბრუებული ალ-
 კომოლით, ანდა თვალდახუჭულად, რათა არ ეგრძნო მისექნ მომარ-
 თული მტრის იარაღის შიში: განა ეს მამაცობაა? მამაცობა კი არა,
 ეს არის შიშის შიში, ე. ი. გაბორტენცირებული ან ხარისხში ამაღლე-
 ბული დიაცობა, რომელიც უბრალო დიაცობაზე უფრო დაბალია და
 უფრო დაშორებულია ჰეშმარიტი მამაცობისაგან, ვინაიდან ის, ვი-
 საც მას წინაშე მდგარი მტრის ეშინია, უფრო მამაცია, ვიდრე ის,
 ვისაც იმის ეშინია, რომ ის მტერს შეუშინება, როდესაც ამ უა-
 ნასკნელის წინაშე წარდგება. პირველ შემთხვევაში მოცემულია ში-
 ში რეალური მტრის წინაშე. მეორე შემთხვევაში კი მოცემულია
 შიში რეალურ მტერს წარმოდგენის წინაშე, ე. ი. შიში არა რეალუ-
 რი მტრისა, არამედ რეალური მტრის ლანდისა. როგორც ცხედავთ,
 სოქრატეს შეხედულება მამაცობაზე არის, ფილოსოფიურ
 ფორმულაში ჩამოყალიბებული ისტორია თეტრია. თეტ-
 რომილებისა, სადაც ლეონიდე სპარტანელი მხოლოდ სამასი
 მეომრით მანამდე ებრძოდა ქსერქსის მეთაურობით საბერძნეთის და-
 საბყრიბად შემოსულს სპარსელთა ურიცხვურდოებს, სანამ ყველა
 მეომარი არ დაეხოცა და თვითონაც არ დაიცალა სისხლისაგან.

ოუ გავითვალისწინეთ ყველაფერი, რაც ითქვა, ჩევნოვის გასაგე-
 ბი იქნება, რა აზრით ფიქრობდა სოქრატე, რომ „მამაცობა არის
 ცოდნა“, რომ მხოლოდ მცოდნეს ან შეგნებულს პიროვნებას უნდა
 ეწოდოს მამაცი, და, მაშასადამე, კაცი, რომელიც იმიტომ არ არას
 მამაცი, რომ მას აკლია ცოდნა ან შეგნება, შესაბლებელია მამაცად
 იქცეს, ოუ ის ისწავლის და შეგნებული გახდება². ყველა ამით სო-

¹ Arist. Eth. Nicom., 111,5 b 3.

² Xen., Mem., III, 9, 1.

კრატე იმას ამბობდა, რომ მამაცობად არ უნდა ჩაითვალოს შეუგნებელი ფიზიკური ქცევა, და, მაშასადამე, არავის არ შეიძლება ეს სათნიობა მიეწეროს, სანამ არ იქნება შესწავლილი და გარკვეული ის წარმოდგენა, რომელიც წინ უძღვდა მშ ქცევას, ვინაიდნ შიშველი ქცევისათვის კი არ უნდა ეწოდოს კაცს მამაცი (ასეთი ქცევა ხომ პირუტყვასაც აქვს), არამედ შეგნებისათვის. როგორც ირკვევა, აღამიანის ზნეობრივი დაფასებისათვის სოქრატე მოითხოვდა ჩავირცებას ამ ადამიანის შინგან განცდებში, მის წარმოდგენათა წყობაში, ე. ი. მოითხოვდა იმას, რაც ეცხო იყო განუვითარებელს წარმართულს საზოგადოებაში, სადაც კაცი ფასდებოდა აბსტრაქტულად, ტლანქად, ზერელებ, მისი ვარევნულობის მიხედვით. ზნეობრივი მსჯელობა ადამიანის შესახებ არ უნდა იქნეს, სოქრატეს აზრით, დამყარებული მის გარევნულს ან ფიზიკურს თვისებებზე, და, მაშასადამე, ის მსჯელობაც, რომელიც ადამიანის გარევნულობას ეყყარება მხოლოდ და მხედველობაში არ იღებს მოელს ადამიანს, თვითონაც არ არის ზნეობრივი მსჯელობა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სოქრატესათვის ზნეობრივი მსჯელობა იყო მსჯელობა დიალექტიკური, რომლისათვის არ ქმარა თვალები, ყურები და გრძნობის სხვა ორგანოები, არამედ საჭიროა აზროვნება ან აზრისეული შემეცნება.

კველას ახსოეს, თუ როგორ გააკეირვა ცნობილმა ათინელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სოლომა ლიდიის მეფე კრესი, როდესაც მან კრესის ცხოვრებას ამჯობინა სრულიად უჩინარ თავის თანამოქალაქეთა ცხოვრება, რომლებსაც არც კრესის სიმდიდრე პჟონდათ და არც მისი გარევნული დიდება. სოლომისა და კრესის სახით შეხვდენ ერთმანეთს ბერძენი და ბარბაროსი და ერთმანეთი დაიწუნეს. კრესი ბარბაროსულად გრძნობდა და ბარბაროსულად უცქეროდა ქვეყანას და ადამიანის ცხოვრებას მხოლოდ მისი გარევნულობის მიხედვით ზომავდა. სოლომი კი ბერძნულად უცქეროდა ქვეყანას და ადამიანის ცხოვრების საზომად მას გარევნულობა აღარ მიაჩნდა. სოლომი ფილოსოფოსი არ იყო; სოქრატე კი იყო ფილოსოფოსი და მან ფილოსოფიურად გამოსთხვა ის, რასაც სოლომი გრძნობდა: გარევნულობა არ არის სათნოება, და ვისაც გარევნულობა აქვს სათნო ადამიანისა, ის შეიძლება არ იყოს ჭეშმარიტად სათნო: ვისაც ძალიან მამაცი კაცის სახელი აქვს გაეარწილი. ის შესაძლებელია მამაცი არ იყოს. მართლაც და, ვიცით ჩვენ თუ არა, რატომ აქვს ამ კაცს მამაცის სახელი? ჩვენ უნდა თვითონ ჩავაკვირდეთ ყოველ სა-

ქმებს, რომლის შესახებ უმსჯელობთ, თვითონ უნდა გამოვიძით მისი არსება და სხვის მიერ გავრცელებულ შეხედულებებს არ უწიდოთ პრიმად და უკრიტიკოდ. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ შესაძლებელია ის, ვისაც დიდი მამაცის სახელი აქვს მოპოვებული, ლაჩარი აღმოჩნდეს, და ის, ვისაც არავინ არ სოვლის მამაცად, ვისაც წიწილიც კი არ მოუკლავს მთელს თავის ცხოვრებაში, მამაცობის გმირი იყო.

§ 20. სიმართლის და თავდაჭერილობის კრიტიკა

აქედან უკვე გასაგები ხდება ისიც, თუ რა აზრით შეეძლო სოკრატეს ეთქვა, რომ ის, ვინც უცოდინარია, არ შეიძლება ჰეშმარიტად მართალი კაცი იყოს¹. ხშირად მართალ კაცს ეძახიან იმას, ვინც არ არღვევს მიღებულ კანონებს ან საყოველთაოდ აღიარებულს სიმართლეს, ე. ი. იქცევა ლეგალურად ან ლითალურად. სოკრატეს აზრით, მხოლოდ ლოიალური კაცის სიმართლე არსებობს მარტო სხვების' წარმოდგენაში (ე. ი. სხვებს წარმოუდგენიათ იგი ან სხვები სთვლიან მას მართალ კაცად): ის არსებობს ფიზიკურად, მაგრამ ზნეობრივად შეიძლება არც კარსებობდეს (ე. ი. ვისაც სხვები სთვლიან მართალ კაცად, ის შესაძლებელია არ იყოს ჰეშმარიტად მართალი კაცი). მაშასადამე, ასეთს სიმართლე ყოფილა არა აუცილებლად ჰეშმარიტი სიმართლე ან სიმართლის ნამდვილი სათონება, არამედ აუცილებლად ყოფილა ის მხოლოდ ფიზიკური ან მოჩვენებითი სიმართლე, რომელსაც სიმართლის სახელი არც კი უნდა წოდებოდა. ჰეშმარიტად მართალი იქნებოდა კაცი მხოლოდ იმ პირობით, რომ მას წარმოდგენილი ან შეგნებული პქნონდა, რა არის კანონი, და ამ შეგნებით შეესრულებინა ეს კანონი ამრიგად, ქცევისათვის მხოლოდ კი არ არის კაცი მართალი, არამედ შეგნებისათვის. ქცევა სხვა არის და შეგნება კი სხვა. ქცევა ფიზიკურად არსებობს: ის შეიძლება უკვე თვალით და გრძნობის სხვა ორგანოებით იქნეს შემჩნეული გარეშე მაყურებლის მიერ. შეგნება კი არსებობს ზნეობრივად: გარეშე მაყურებლის თვალით და გრძნობის სხვა ორგანოებით ის არ შეიძლება იქნეს შემჩნეული, და ამ მაყურებელს მხოლოდ აზროვნებით შეუძლია მისწვდეს მას. მაშასადმე, ზნეობრივად არსებობა განიჩჩევა ფიზიკურად არსებობისაგან იმით, რომ პირველი არსებობს შეგნების სახით, შეგნების ფორ-

¹ Xen. Mem. IV, 6, 5.

გთ, ან შეგნებულად, და ამიტომ, რაც ფიზიკურად არსებობს ან არსებობს, როგორც ობიექტი, ის შესაძლებელია სრულიადაც არ არსებობს, ბლეს ზნეობრივად, ე. ი. არ არსებობდეს, როგორც სუბიექტი.

ამგვარადვე ამტკიცებდა სოკრატე, რომ არც თავდაჭერილობა და არც სხვა სათნობა არ აქვს უცოდინარს ან შეუგნებელს კაცს, თავდაჭერილობა, მაგალითად, არ შეიძლება მიეწეროს იმას, ვინც მხოლოდ იმიტომ არის ზომიერი ჭამა-სმაში, რომ მისი კუჭი ფიზიკურად ვერ იტანს ბევრს სასმელ-საჭმელს, ანდა იმიტომ არის ზომიერი, რომ მას არ აქვს ღიდი ქონება, რათა ზომაზე მეტი ჭამოს და სეას. ზომიერებას ამ მაგალითებში პემნის არა სუბიექტის შეგნება, არამედ სუბიექტის შეგნებისაგან დამოუკიდებელი ან მის გარეშე მყოფი ნივთიერი მიზეზი, რომელიც შეიძლებოდა არც კი ყოფილიყო მოცემული. რომ ასეთი კაცისათვის შემთხვევას ეჩუქებინა ღიდი ქონება ან რომ ბუნებას გაემეტებინა მისთვის უფრო ამტკანი კუჭი, მას ხომ მაშინვე დაეკარგებოდა ზომიერება. გაშასადამე, ეს ზომიერება კარგი შემთხვევისა ან ბერნიერი ბუნების ნაყოფი ყოფილა, და არა თვათონ ამ კაცის ან მისი შეგნების, და ამიტომ იგი უნდა ჩაეთვალოს ღირსებად არა ამ კაცს (არა მის „მე“-ს, მის შეგნებას), არამედ მისგან დამოუკიდებლად მოცემულს შემთხვევას ან ბუნებას. ასეთს ზომიერებას, სოკრატეს აზრით, არც უნდა ეწოდოს თავდაჭერილობის სათნოების სახელი, ვინაიდან სათნოება არის არა ის, რაც კაცმა გარეშე მიზეზებისაგან მიიღო, რაც მას ბრმა ბეღმა შეამთხვია, არამედ მხოლოდ ის, რაც კაცის ულრჩეს თვისებას შეადგენს, რაც მის „მე“-საგან არის მხოლოდ დამოკიდებული. მართლაც, ეისაც ყველაფერი, რაც მას გააჩნია, გარეშე. მიზეზებისაგან აქვს მიღებული, ის თავის თავს კი არ ეკუთვნის, არამედ ამ გარეშე მიზეზებს; ის ამ მიზეზების კრეატურაა, მათი მონაა. ის ნივთია და არა თავის უფალი არსება, ე. ი. ისეთი არსება, რომელიც თვითონ არის თავის უფალი, რომელსაც სხვა უფალი აღარ ყავს, გარეშე თავისი თავისა, და რომელიც თვითონ აძლევს თავის თავს იმას, რაც მას აქვს. სათნოება კი არ შეიძლება იყოს მონობა: სათნოებაუნდა ეწოდოს თავისუფლებას, და, მაშას-დამე, კაცის ფიზიკური ზომიერებაც, რომელიც ამ კაცის „მე“-ს გარეშე მიზეზებისაგან არის დამოკიდებული, არ არის თავდაჭერილობის სათნოება და მარტო იმას ეჩვენება თავდაჭერილობის სათნოებად. ვინც ზნეობის საკითხების გადასაწყვეტად თვალებსა და

ყურებს მიმართავს, აზროვნებით კი არ სარგებლობს. თავდაჭერილობის სათნოება ჭეშმარიტად შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ზომიერებას, რომელიც დამოკიდებულია არა კაცის გარეშე მყოფ მიზეზებისაგან, არამედ თვითონ ამ კაცისაგან, მისი „მე“-საგან, ზის შეგნებისაგან. თავდაჭერილია მხოლოდ ის, ვინც შეგნებულად არის ზომიერი, თავდაჭერილობაც შეიძლება იყოს მხოლოდ ის ზომიერება, რომელიც არსებობს შეგნების სახით ან შეგნების ფორმით.

პ. ზეორების პრიცეპითავი

§ 21. ზეორების კრიტერიუმის პრიცეპითავი და სოკრატეს ფსევდო-უტილიტარიზმი

როგორც გამოიჩინა ზემონათქვამიდან, სოკრატესათვის ყოველი სათნოება არის შეგნება ან ცოდნა, და შეგნებას მოკლებული სათნოება არის *contradictio in adiecto*. სხვანაირად რომ ითქვას, შეგნება ან ცოდნა ყოფილა სათნოების არსება ან სუბსტანცია, ხოლო სათნოება შეგნების ან ცოდნის ატრიბუტი. ისმება საკითხი: რა ნიშნით ან რა კრიტერიუმის საშუალებით შეუძლია კაცს გამოიცნოს სათნოება? ჩვენ ვიცით საზოგადოდ, რომ სათნოება არის შეგნება ან ცოდნა: მაგრამ როგორ გავიგოთ, რომ ამა თუ იმ კონკრეტულს შემთხვევაში ჩვენს წინ არის შეგნება და არა შეუგნებლობა? ხომ შესაძლებელია, კაცი ფიქრობდეს, რომ მას აქვს შეგნება ან ცოდნა, და შემდეგ თვითონვე დარწმუნდეს, რომ მას ეს შეგნება ან ცოდნა აღარ პქონებია. კადევ მეტი: სოკრატეს აზრით, კაცს არც კი შეიძლება რომ პქონდეს ცოდნა, მას შეიძლება პქონდეს მხოლოდ მისწრაფება ცოდნისაკენ, და, მაშასადამე, ლაპარაკიც კაცის ცოდნაზე დასაშეგნია მხოლოდ შედარებით. თუ ასეა, მაშინ არც ერთი კაცის შესახებ არ შეიძლება უბრალოდ ითქვას, რომ მას აქვს სათნოება, არამედ ყოველი კაცის შესახებ უნდა ითქვას მხოლოდ ის, რომ მას იმდენად აქვს სათნოება, რამდენადც აქვს ცოდნა. აქედან ცხადია, რომ ის, რაც კაცის ცოდნის ნიშანია, უნდა იყოს მისი სათნოების ნიშანიც, რაც კაცის შეგნების კრიტერიუმია, უნდა იყოს მისი ზეორების კრიტერიუმიც. როგორც ვნახეთ ზევით, შემეცნების კრიტერიუმი იყო სოკრატესათვის თანხმობა თავის თავთან ან წინააღმდეგობისაგან თავისუფლება: რო-

გორც ვნახავთ ქვევით, სწორედ ეს არის სოკრატესათვის ზნეობის კრიტერიუმიც

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი გარემონტირდებოდა ზნეობის კრიტერიუმზე, არ არის საქმაოდ კარგად გარევაული და აქ აზრთა უთანხმოებას აქეს აღილოს. ერთ-ერთი მიზეზი ამ გარემონტისა ის არის, რომ ორი მთავარი წყარო, რომელიც მოგვეპოვება ჩეუნ სოკრატეს მოძღვრების შესახებ — სახელდობრ, ქსენოფონტე და პლატონი — გვაძლევენ სხვადასხვანირ მასალას ჩეუნი საკითხის გადასაწყვეტიან.

ქსენოფონტეს გადმოცემიდან გამოღის, რომ სოკრატე ზნეობის კრიტერიუმს მისწრაფებათა საკანში ეძებდა და ფიქრობდა, რომ ზნეობრივია ადამიანის ის შეგნება, რომელიც კეთილს შედევს აღწევს ან კეთილს საგანს შეეფერება, ხოლო კეთილი საგანი იმიტომ არის კეთილი, რომ ის არის სასარგებლო საგანი ან ისეთი საგანი, რომელიც ადამიანს ბედნიერებას ან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, სიამოვნებას ანიჭებს, რომ სოკრატეს შეხედულება ზნეობაზე ასეთი ყოფილიყო, მაშინ ამ მოძღვრებას უნდა წილდებოდა უტილიტარიზმი, ევდემონიზმი ან კიდევ — პედონიზმი. მართლაც, ყოველი უტილიტარისტული, ევდემონისტური და პედონისტური ეთიკა ზნეობის განმსაზღვრელ ნიშანს სასარგებლო საგანში ან მისწრაფების მიერ მიღწეულ სასიამოვნო შედეგში ხედავს და ფიქრობს, რომ კეთილი საგანი სწორედ იმიტომ არის კეთილი, რომ ის არის სასარგებლო და სასიამოვნო: უტილიტარისტულ-პედონისტური ეთიკა იძლევა ზნეობის მატერიულს კრიტერიუმს და ემპირისტულ-ფილოსოფოლოგისტურ დასაბუთებას.

რომ კარგად გაგვეანალიზებინა ასეთი ეთიკა, ჩეუნ მასში იმ წარმართული ზნეობის ელემენტების გაფორმებას აღმოვაჩინდით, რომელსაც ებრძოდა სოკრატე, და უკვე ეს საქმარისი იქნებოდა: რათა მოვრიდებოდით მიგვეწერა იგი სოკრატესათვის. თუკი ქსენოფონტეს გადმოცემაში სოკრატე წარმოდგენილია, როგორც უტილიტარისტი, ეს უნდა იმ გარემონტით აიხსნას, რომ ქსენოფონტე ვერ ჩაწერდა კარგად სოკრატეს აზრებს.

¹ განსაუთრებით აღსანიშნავია სოკრატეს ფილოსოფიის ორ ღია შეკლევარს, უკლიეს და ცელერს შორის არსებული უთანხმოება ამ საკითხში.

ერთი რამ ცხადია: სოკრატეს მოძღვრებაში ზნეობაზე იყო ისე-
თი მომენტი, რომელმაც მისცა ქსენოფონტეს საბაძი, გაეგო ეს მრა-
ძღვრება, როგორც უტილიტარიზმი ან ევდემონიზმი. რომ ასეთი
მომენტი სოკრატეს მოძღვრებას ზნეობაზე აღარ პქონოდა სრუ-
ლიად, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, საიდან მოიტანა ის ქსენოფონ-
ტემ. გარდა ამისა, იმ გარემოებამაც, რომ სოკრატეს წრიდან გამოვი-
და პედონისტური ეთიკის დამუშავებელი არისტიპე, გვაძლევს ხა-
სუთს ვიუიქროთ, რომ სოკრატეს მოძღვრებას ზნეობაზე პქონოდა
ისეთი დებულებები, რომელიც შესაძლებელი იყო გაეგოთ, როგორც
პედონისტური ეთიკის პრინციპები, და ეს პრინციპები განავითარა
სწორედ არისტიპემ.

მაგალითად, სოკრატე უჰჭველად ამბობდა იმას, რომ კეთილი სა-
ქმე არის სასიამოენო და სასარგებლო საქმე. უკრიტიკო მსმენელს
შეებლო გაეგო ეს, როგორც უტილიტარიზმი და პედონიზმი. მაგრამ
თუ, დავაკვირდებით კარგად, დაეინახავთ, რომ სოკრატეს ამ დებულე-
ბას მხოლოდ სიტყვაერი მსგავსება შეებლო პქონოდა პედონიზმთან
და უტილიტარიზმთან, რომელთავან პირები ამტკიცებს, რომ კე-
თილი საქმე იმი ტომ არის კეთილი, რომ ის არის სასიამოენო,
ხოლო მეორე ამტკიცებს, რომ კეთილი საქმე იმი ტომ არის
კეთილი, რომ ის არის სასარგებლო. მართლაც, ერთია დებულება,
რომ კეთილი საქმე არის სასარგებლო, და სხვა არის დებულება, რომ
კეთილი საქმე იმი ტომ არის კეთილი, რომ ის არის სასარგებლო.
პირები დებულება შეიძლება წამოაყენოს იმანაც, ვინც სარგებ-
ლობას სთვლის კეთილი საქმის აუცილებელ შედეგად; მეორე დებუ-
ლების განიარება კი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ფიქრობს, რომ
სარგებლობა არის კეთილი საქმის ლირებულების საბუთი, მისი
როგორური საფუძველი. სოკრატესათვის, როგორც მოელი მისი მო-
ძღვრება გვიმტკიცებს ამას, ჰეშმარიტი სარგებლობა (ე. ი. არა ის,
რაც სარგებლობად გვეჩენება მხოლოდ, არამედ ის, რასაც ჰეშ-
მარიტად უნდა ეწოდოს სარგებლობა) და ჰეშმარიტი სიამოვნება (ე.
ი. არა ის, რაც სიამოვნებად გვეჩენება მხოლოდ, არამედ ის,
რასაც ჰეშმარიტად უნდა ეწოდოს სიამოვნება) იყო მხოლოდ აუცი-
ლებელი შედეგი კეთილი საქმისა და არა მისი ზნეობრივი ლირებუ-
ლების ლოგიკური საბუთი. ამიტომ, როდესაც სოკრატე იტყოდა

¹ Xen., Mem., IV, 6, 8.

ხოლმე, რომ კეთილი საქმე არის სასარგებლო საქმე, ის აშენდა და ამას იმ აზრით, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით სწორედ კეთილ საქმეს (და არა სხვა რამეს) უნდა ეწოდოს სასარგებლო, ე. ი. სასარგებლო საქმე არ არის ის, რაც არ არის კეთილი საქმე. მაშასადამე, გებლო საქმე არ არის ის, რაც არ არის კეთილი საქმე. მაშასადამე, ლოგიკურ პრედიკატად სოკრატეს დებულებისა — „კეთილი საქმე არის სასარგებლო და სასიამოვნო საქმე“ უნდა ჩაითვალოს არა „სასარგებლო და სასიამოვნო საქმე“, არამედ „კეთილი საქმე“¹, და აზრიც ამ დებულებისა ის არის, რომ სასარგებლო და სასიამოვნო საქმედ უნდა ცნობილ იქნეს მხოლოდ ის საქმე, რომელიც კეთილია. ამრიგად, სოკრატეს დებულებაში კეთილი საქმის ცნება კი არ ირკვევა სარგებლობის ცნების საშუალებით, არამედ, პირუჟუ, სარგებლობის ცნება ირკვევა კეთილი საქმის საშუალებით. მაშასადამე, სარგებლობა და სიამოვნება კი არ არის კეთილი საქმის ზნეობრივი არსება, მისი მორიალური საფუძველი ან პირობა, არამედ, პირუჟუ, თვითონ კეთილი საქმე არის აღიარებული ჭეშმარიტი სარგებლობისა და სიამოვნების ზნეობრივ საფუძვლად. ე. ი. სოკრატე ამბობს, რომ არც ერთი სასარგებლო საქმე არ შეიძლება იყოს ზნეობრივი ფაქტი, თუ ის არ არის კეთილი. ამით, რა თქმა უნდა, ის კი არ არის ნათქვამი, რომ კეთილი საქმე ფიზიკურად პქმის სასარგებლო საქმეს: კეთილი საქმე არის სოკრატესათვის სასარგებლო საქმის ლოგიკური პირობა და არა ფიზიკური, ქედონისტურსა და უტილიტარისტულს ეთიკურ თეორიებში კი სიამოვნება და სარგებლობა გამოცხადებულია კეთილი საქმის არსებად, მისი დირებულების საფუძვლად.

რომ სოკრატეს კეთილი საქმის საბუთად სიამოვნება ეცნო, ე. ი. კეთილი საქმე და ეყვანა სიამოვნების ემპირულს გრძნობაზე პედონისტების მსგავსად, ეს ფართო გზას გაუხსნიდა ზნეობრივ სკეპტიციზმს, რომელსაც სოკრატე ებრძოდა. მართლაც, ვინც ამბობს, რომ კეთილი საგანი იმის გამო არის კეთილი, რომ სასიამოვნოა, ის ამით აღიარებს, რომ ძირითადი ლირებულება არის სიამოვნება, სი-

¹ მნელი გასაზიარებელი ცელერის შეხედულება, თითქოს სოკრატეს შეეძლო არც კი შეენიშნა სკეპტიკური შედევები პედონისტური და უტილიტარისტული პოზიციისა ეთიკური. წინააღმდეგობები არის უცველუად უკველ თეორიაში, მაგრამ წინააღმდეგობის მიწერა მოაზროვნისათვის ისეთ შესლში, რომელიც მისი თეორიის ცენტრს წარმოადგენდა, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა გამოხავალი აღარ დაგერჩენია.

კეთე კი არის ამ სიამოვნების ატრიბუტი, და, მაშასადამე, ყოველ-
გან, სადაც კი არის სიამოვნება, არის სიკეთეც. სოკრატე საქმარე
კარგად იცნობდა ადამიანის ფსიქოლოგიას, რათა სცოდნობდა, რომ
მართლაც კაცს კეთილ საგნად ძალიან ხშირად ის მიაჩნია, რაც მას
სიამოვნებას აძლევს, და ყოველ სასიამოვნო საგანს ის ჩეკულებრივ
კეთილ საგნად სთვლის — სწორედ იმისათვის, რომ ის სასიამოვნოა.
მაგრამ სოკრატე არ ეთანხმებოდა ასეთ შეხედულებას, რადგან ხე
დავდა, რომ სიკეთის (ე. ი. ზნეობრივი კატეგორიის) გამოცხადება
სიამოვნების (ე. ი. ფსიქოლოგიური კატეგორიის) ატრიბუტად², იქ-
ნებოდა ზნეობის გაუქმება. სოკრატეს ფილოსოფიის მიზანი კი იყო
არა ზნეობის გაუქმება, არამედ მისი დასაბუთება.

1 „რა განსხვავებაა შეუცნებელს პირუტყვასა და იმ კაცს შორის, რომელიც „არ
იღებს მსედველობაში მას, რაც ზნეობრივია, და ეძებს მხოლოდ იმას, რაც სასა-
მოვნოა“, ამბობს სოკრატე იმ აზრით, რომ კაცი, რომელიც მხოლოდ სიამოვნება
ეძებს, პარუტყვია. Xen., Mem., IV, 5, 11.

2 დღეს ზნეობრივი კატეგორიის ასეთი დაყვანას ფსიქოლოგიურ კატეგორიაზე
ეთიკური ფსიქოლოგიზმი ეწოდება. ეთიკური ფსიქოლოგიზმის შედეგა
ეთიკური სკეპტიკიზმი.

კოცეტასეინი კაუანდი

კოცეტასეინი გრიგოლის ძე კაპანელი (ჭანტურია) დაიბადა 1889 წლის 5 მაისს სოფ. კაპანაში (აბაშის რაიონი). დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის ორჯელასიან სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო ფოთის საქალაქო სასწავლებელში. 1905 წლის რევოლუციის დღეების პროპაგანდისათვის განიცდიდა დევნის. სასწავლებელი დამთავრა ექსტერნის წესით ორჯონიშვილებში. უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში, სწავლობდა ნანსის, სორბონის და გრენობლის უნივერსიტეტებში. დამთავრა გრენობლის უნივერსიტეტის სიტყვიერების წოდებით. ნება დართეს, წარედგინა საღისებორო დისერტაცია „შოთა რუსთაველის მორალურ და ფილოსოფიურ იდეებზე“, მაგრამ იყო სამშობლოში გამოემგზავრა. მუშაობდა ქართაისის, ბათუმის სასწავლებლებში ფრანგული ენის, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის, ფილოსოფიის პროპერეტეტიული კურსის მასწავლებლად. 1923 წლიდან გადმოდის თბილისში ჯერ ქალთა ვიმნაშიაში, შემდეგ შრომის სკოლის გამგედ და პედაგენიკუმის დირექტორად.

1925 წლიდან კოცეტასეინი ასწავლის ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიას, ამავე პერიოდში იყო ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ლექტორი. 1929 წლიდან მოსკოვის სამხატვრო ჟურნალისაში კითხულობს ლექციებს ქართული ხელოვნების შესახებ. 1931 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე. 1931—1949 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ლიტერატურის თეორიისა და ევროპის ლიტერატურის ისტორიის მასწავლებელია. 1932 წლიდან იყო დოცენტი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი იყო მისი დაარსების დღიდან. გარდაიცვალა 1952 წელს.

კაპანელის მსოფლმხედველობის პორჩიზონტები მოიხაზა პირველსა-ვე შრომებში, რომლებიც მიეძღვნა ნიცმეანობის განმსაზღვრელ მოტივებს და ქართულ კულტურაში ნიცმეანელობის იდეებს. ნიცმეს

გვერდით მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია ფრანგული ბიოლოგისტური სოციოლოგიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სოციოლოგიის, ბერგსონისა და შპენგლერის იდეებმა. კაპანელი ცხოვრების ფილოსოფიის წარმომადგენელია. სამყარო მისთვის ორგანიზმისეული წარმოშობას, ზრდასა და სიკედილის წრებრუნვისეულ მოძრაობას. კაპანელის „ორგანოტროპიზმი“ მეოცე საუკუნის ქართული აზროვნების ერთ-ერთი ორიგინალური თეორიაა. „ორგანოტროპიზმი“, როგორც კაპანელი უწოდებს, ორგანიციზმი, ორგანიზმატიზმი, ბიოლოგიზმი, როგორც მას უწოდებენ დასავლეთში, ცხოვრების ფილოსოფიის იმ იდეებს ესმაურება, რომელიც საწყისს იღებენ ნიცხვესთან და გავრცელებას პოლუბენ კულტურის ფილოსოფიისა და ექსისტენციალიზმის თეორიებში. კაპანელის მსოფლმხედველობა ანთროპომორფიზტულია და რელატივისტური. სამყარო მარადიული ქმნადობაა. მატერიალური განსაზღვრულია სულიერით, მაგრამ სუბსტანციალობა არაფერს ახასიათებს. არაა არაეთოთარი პროგრესი არც ბუნებასა და არც საზოგადოებაში. მარადიული წრებრუნვა განსაზღვრავს ყოფიერების ყველა სახეს. ადამიანთა ყოფიერებას, ხასიათსა და სულიერ ყოფას განსაზღვრავს მათი გარემონტველი ბუნება, პავა და რელიეფი. ჰეშმარიტებაც კი გეოგრაფიული გარემოთი განისაზღვრება. იმოწმებს პასკალს, რომ ჰეშმარიტება ალბებს გაღმა სხვაა, ვიდრე გამომდა. კაპანელის აზრით, სამყაროში უსაზრისოა ყოველივე — ცხოვრებაც და ისტორიაც, რადგან ყოველივე წარმავალია. „წარმავლობის სევდა“ არის მისი ნააზრევის განმსაზღვრელი. ორგანიციზმი და ანთროპომორფიზმი განსაზღვრავს მის პოზიციას გნოსეოლოგიისა და ლოგიკის საკითხში. ჰეშმარიტებაც და ლოგიკაც სუბიექტურია, ჰეშმარიტება დამოკიდებულია განცდაზე. ერთისთვის ჰეშმარიტი შეორისთვის სიყალბეა. ლოგიკა უძლურია, გადმოსცეს სამყაროს სიცოცხლისა და აზროვნების მარადიული ცვალებადობა. ალოგიზმი, ინტუიტივიზმი და სუბიექტივიზმია განმსაზღვრელი. ცხოვრება განსაზღვრავს ყოველივეს, მაგრამ თვითონ მოკლებულია სიმყარეს და საზრისს. პირებელი იყო არა სიტყვა ან საქმე, არამედ განცდა, რომელიც მომენტალურია.

რელატივიზმი, სკეპტიციზმი, პესიმიზმი და ნიპილიზმი გამსჭვალავს მისი მსოფლმხედველობის შინაარსს.

ევროპული ყოფიერების კრიზისის ერთ-ერთი პირველი გაცნობიერება, ამ კრიზისის ფილოსოფიური ანალიზი, ადამიანისა და ყოფიერების პრობლემატიკა — ესაა საკითხთა ის წრე, რომელიც მნიშვნელო-

კაპანელის მიერ დასმულ პრობლემატიკაში, მათი ნიპილისტური
გადაწყვეტის მიუხედავად.

კაპანელის ნააზრევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მისი
ესთეტიკური კონცეფცია, აგებული მშვენიერების სუბიექტურობის და
ფსიქოლოგისტური ესთეტიკის პრინციპებზე, ასევე მსოფლიო და ქარ-
თული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, ხელოვნებისა და ლიტე-
რატურის სოციოლოგიის უახლესი პრინციპების გამოყენებით ლიტე-
რატურის ისტორიის განხილვის დრა. კაპანელი ებრძვის ლიტერატუ-
რის ისტორიის ბიოგრაფიულ-იდეოგრაფიულ განხილვას, ამკეიდრებს
ლიტერატურის ისტორიის სოციოლოგიურ ანალიზს, სოციალურ ყო-
ფასა და სოციალურ სტრუქტურასთან შეიცვრო კავშირში და მათი მეშ-
ვეობით განსაზღვრულობის დემონსტრირებას. კაპანელი ერთ-ერთი
პირველია, ვინც სოციალურ ფსიქოლოგიას იყენებს ქართული კულ-
ტურისა და კონის შესწავლის საქმეში.

შემდგომში კაპანელი შეეცდება, თავისი მსოფლმხედველობა მიუ-
სადაცოს მარქსიზმს და მახისტების ანალოგიურად, მარქსის თეორია
შეავსოს ბიოლოგიზმისა და ცხოვრების ფილოსოფიის იდეებით. მაგრამ
ეს ცდა, ისე როგორც ყველა ანალოგიური, წარუმატებელია.

ელუარდ კოდუა

მავრიკიაშვილის იღვა¹

რა არის მშვენიერება? სად იძალება და რას წარმოადგენს მშვენიერების იღვა?^{*} თეოთ საგანია, თეოთ ბუნების მოვლენაა მშვენიერი, თუ ადამიანშია მშვენიერების იღვის შემოქმედი ძალა? საზოგადოდ მიღებულია, რომ სილამაზე შეადგენს საგნის ანუ მოვლენის თვისებას, ორგანულ მოყვანილობას. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვამბობთ: „ლამაზი ხმა“, „მშვენიერი სახე“, „ლამაზი ქალი“, „მშვენიერი ბუნება“ — ვამბობთ ამას და თან საგანს ვაკუთვნებთ თვისებას, თითქოს საგანი იყოს ლამაზი, მშვენიერი; ჩვენ როდესაც ვამბობთ, ეს ქალი ლამაზია, დარწმუნებული ვართ, რომ სილამაზე შეადგენს ქალის თვისებას, რომელსაც აქეს ჩვენთვის ობიექტური მნიშვნელობა და რომელიც სრულებით არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სულიერ განწყობილებაზეა ამ „სილამაზის“ მჰკვრეტი.

ერთი სიტყვით, საზოგადოდ მიღებულია ის აზრი, რომ სილამაზე არის საგნის ანუ მოვლენის თვისება, წმინდა ორგანული ხასიათის, რომელიც დამოკიდებულია თავისი არსებობით. სწორია თუ არა ეს აზრი? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ვიცით, რომ ერთი და იგივე საგანი თითქმის ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გარევნობით; ერთი ფიქრობს, რომ საგანი მშვენიერია, მეორეს საგანი ეზიზლება, მახინჯად ეჩვენება. რაც უფრო თავისებურია ინდივიდუალური და ეროვნული წყობილება ადამიანის ცხოვრებისა, მით უფრო სუბიექტურია მისი ესთეტიკური შეხედულება. სხვადასხვა პირობებსა და ცხოვრების მოვლენებში გაწვრთნილ ადამიანებს მშვენიერების იღვა სხვადასხვა სახით ეჩვენებათ და სხვადასხვა ესთეტიკური იღვალი აქვთ. ისტორიულ, ეროვნულ და კლასიკურ მიზეზებს ესთეტიკური იღვალის შექმნის პროცესში ზედ ემატება ინდივიდუალურ-ორგანული განცდის შემოქმედებითი აგზებულება.

* ნაშრომიდან „სული და იღვა“.

ეროვნულ-ისტორიული ცხოვრების ფარგლებში იქმნება ერის მო-
რალი, ესთეტიკა, ერის ფილოსოფია და პოეზია, ლიტერატურა და მეც-
ნიერება.

კაცობრიობის სული ისტორიულ შეგრძნობაში გამოიხატება, არის
მრავალ საკუნძულო და მრავალ ჩამომავლობათა განცდის და თანდათა-
ნობით სულიერი ვარჯიშის ნაყოფი. შვევნიერია წუთისოფლად კვი-
ლაფერი, რის ყოფას და სახეს ჩვენ შევეჩვით; მშვენიერია ყველაფე-
რი, რაც აქმაყოფილებს ჩვენს ნერვულ გაღიზიანებას, რაც ფსიქოლო-
გიურად შეეფარდება იმ გრძნობებს, რომლებიც შემუშავებულია ინდი-
ვიდუალობაში ცხოვრებისა და ჩვეულებათა პირობების მიხედვით;
აღმოსავლეთში, მაგალითად, უყვართ მყვირალა ფერები, ჩრდილოეთ-
ში კი, სადაც მზე აღმოსავლეთურად არ აცხვნებს, უყვართ მერთა-
და ფერები. მშვენიერების იდეა სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა
სახისაა — საერთო მასშტაბი არ არსებობს; ჩინეთში ლამაზს ეძახიან
ისეთ ქალს, რომელიც ტანად შსვილია, ფეხები პატარა აქვს, თხელი
თმა და დიდი ყურები. ჩვენში ასეთი ქალი საზიზდარი იქნებოდა; იაპო-
ნელებს უყვართ ყვითელი კანი და შავი კბილები — თეთრი კბილები
მაღლებს აქვთ — ამბობს იაპონელი. ჩვენს მოგონებაში კი თეთრი
კბილების დანახვა ღვთიურ ცახცას იწვევს; სამხრეთ აფრიკაში ახალ-
გაზრდებს ძალით უმტვრევენ კბილებს, რადგან სრულებით უკბილო
ახალგაზრდა სილამაზის იდეალია; მშვენიერება ორგანული შეჩეკების
და ნერვული წვის შედევია. ისტორიული პირობები, გეოგრაფიული
მდებარეობა, შთამომავლობათა ადამიერი, ინდივიდუალობის თავისებუ-
რება — აი ფსიქოლოგიური პირობები, რომელთა შორის ისახება მშვე-
ნიერების იდეა. მშვენიერება მემოქმედებითი ეკოლუციის ისტორიო-
ლოგიური სახეა: ყოველ კუთხის დედამიწისას, სადაც უცხოვრია ადა-
მიანს, აქვს თავისი ისტორია და მასთან ერთად თავისი ესთეტიკა —
საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი სულის აქტივობა და წყობილება.
მშვენიერების იდეა უაღრესად ისტორიულ-ტროპულია. ქართველს
უყვარს ისეთი სახე, რომელიც ქართველის ტემპერამენტს შეეფერება;
ევროპელს უყვარს ის სახე, რომელიც ეკროპელის ტემპერამენტს შეე-
ფერება; ტემპერამენტი კი მრავალ შთამომავლობათა განცდის დაზგა-
ზეა ნაქსოვი და, მაშასადამე, ყოველთვის ისტორიულია, ყოველთვის
იწნება განსაზღვრულ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ პირობებში, ცხო-
ვრების მძაფრ ბრძოლასა და ტანჯვაში მშვენიერების სახე არის მხო-
ლიდ ისტორიულ-კულტურული მგრძნობელობის და ორგანული გა-
ღიზიანების ესთეტიკური განსახეობა. განსახეობა შემოქმედებითი

პროცესია და ამ შემოქმედებით პროცესში სილამაზის ემოცია, რომელიც სუბიექტურია და ორგანული, სუბიექტური იღუშის საშუალებით ძარღვთა წვაში სხვადასხვა ადამიანის ორგანული წყობილება დებულობს მოჩენებით ობიექტურ ხასიათს. რაღაც სხვადასხვა ნერვული სისტემა სხვადასხვანაირად იწვის და განიცდის, სილამაზე ღრმად სუბიექტური ცნებაა, და სილამაზის ემოციის „ობიექტიცაცია“, სადაც უნდა იყოს და რა პირობებში, სულ ერთია, ყოველთვის ინდივიდუალურია. შშვენიერების იდეა კერძობა ადამიანის განცდას და სულის ძებას: თუ სული კმაყოფილია, თუ ადამიანის გული ცხოვრების სახე-ების შეგრძნებით მთერალია, მაშინ ადამიანს ეძნელება, რა თქმა უნდა, მოძრაობა და ძიება, ეძნელება აღშოთება და აღელებება, მაშინ იყი მოღუნებულია და სისხლის მოძრაობა მისი წყნარია. იღუშიებსა და ოცნებებს ადამიანის გულის სიღრმეში ადგილი არა აქვს, თუ ადამიანი ბედით კმაყოფილია, თუ არ იწვის სურვილებით იგი, თუ არ იტანჯება სული მისი ცხოვრების სიჩმახით. დანტე ალიგიერი იმიტომ ეტროლა ბეატრინიეს სახის შშვენიერებას, რომ გრძნობდა წუთისოფლის უკერ-მართობას, უწესრიგობასა და სიმახინჯეს. დანტე უყურებდა ამ ცხოვ-რებას როგორც კოშმარულ მოჩენებას და ეტროლა ბეატრინიეს, რო-გორც შშვენიერებას, როგორც სულის დამაშვიდებელ ძალას. დან-ტემ იგრძნო ცხოვრების სიჩმახე და შექმნა ბეატრინიეს სახე, რომ დაფარა წუთისოფლის სიმახინჯე თავისი გრძნეული სიზმრებით.

ბეატრინიეს სახე ნაზი და გრძნეული სიზმრებითაა ნაქსოვი: ადამიანს უნდა ჰქონდეს შშვენიერი სული, რომ ნახოს შშვენიერი სიზმარი. მხო-ლოდ სულის სიმშვენიერე სულის სინაზეა და ვანც ტლანქ ცხოვრებას ურიგდება, სული მისი ტლანქია, ისე როგორც ყოველდღიური ცხოვ-რება, შშვენიერების იდეა ადამიანობასთან ერთად იბადება სწორედ იქ, სადაც იწყება იდეალის შეგრძნობა, როგორც ფსიქოლოგიური აუცი-ლებლობა. როდესაც ადამიანი ამბობს — საგანი შშვენიერია, არკევს და აზასიათებს არა ობიექტურ მოვლენას, არამედ თავისი სულის შინა-არსს და დამიხასიათებელ თვისებას. სილამაზე არის იდეური კავშირი ორგანული განცდისა და სულისა იღუშიის საშუალებით გატანილი ინდივიდუალობიდან უნივერსალობაში. რაც უფრო მდიდარია ადამიანი იღუშიებით, მით უფრო ჩქარა იშლება ცხოვრება მის თვალწინ ესთე-ტიკურ ფენომენად, მით უფრო ხშირად ხედავს სული მოქანცულ ბეატ-რინიებსა და დულცინებს. სილამაზე სულიერი ხორციელობაა — იღუ-შიების ტალღებში შექმნილი და განცდის ცეცხლში „სინამდვილედ“

ქცაული. სანამდე სული განიცდის აღურთოვანებას, სანამდე გული აღუშნებულია, მხოლოდ მანამდე არსებობს „სინამდვილე“ მშენერზე და თვალწარმტაცია. ძარღვების სიმთრალე — ორგანული სიგრეე სისტემას ხლის აჩქარებული მოძრაობით ქმნის სურვილს, სილრმეს და სული ადამიანისა დალად დასეირნობს ოცნების ბალებში, წყვეტის ყვავილებსა და ისვენებს სხვადასხვა ბუჩქის ძირას... დღეს ხედავს ზღვის ტალ-ლეპჩე მცურავ აფროდიტეს, ხვალ ღრუბელთა შორის მოციმციმე ბე-ატრიქეს, დღეს მხურვალედ „ერწებება“ ნესტან-დარეჯანს: მკერდი მკერდის შეეწება, გარდაჭედო ყელი ყელსა, ხვალ მულდაზანზარის ველ-ზე თინათინის სახეს გაშლის კოსმოსურ მშენიერებად, მარისსა და ოტარიდს შეუკრობს თავის ოცნებებსა და მწველ გრძნობებს. მშე-ნიერების იდეას იცნობენ მხოლოდ განცდით და გრძნობებით მდიდარი ძარღვები. საგანი მით უფრო მშენიერია, რაც უფრო ღრმაა ორგანუ-ლი წვა ადამიანისა, რომელიც ჭვრეტს საგანს; რაც უფრო აჩქარებით ბეუბუებს ნერვული სისტემა, მით უფრო მაღა იტაცებს ადამიანს ოცნება; რაც უფრო შეუბრალებელია ცხოვრების ქარიშხალი, რაც უფრო იბუგება წეთისოფლის სიმწარით ადამიანი, მით უფრო ლალად ნამავს ორგანული ტანჯვა სულის შემოქმედებას, მით უფრო მდიდარია იდეალებით და იღუზიებით სული.

იდეა არის განცდის განსახეობა. მშენიერების იდეა იუშენება ორ-განულად, იზრდება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო ღრმაა სულეირი შელელარება. ნერვული მოქანცულობა ყოველთვის იწევეს სულის სი-ლალეს, სისავსეს შემოქმედებითი სევდისას, — და შემოქმედებითი სევდა ქმნის ეროტიკულ მკრთომარეობას: იწყება შეევარების პროცე-სი და თან იზრდება შემოქმედებითი სევდა, რომელიც ბოლოს და ბო-ლოს დებულობს კოსმოსურ ხასიათს. ორგანული წვის ორთქლი ეფა-ნება მოელს ინდივიდუალობას, ჩხველეტს სხეულს, შეაქვს ეროტიკული სითბო ძარღვეთა ნასერეტებში და სულით მოერალი იძირება სიყვარუ-ლისა და სევდის გრძნობებში. ინძრევა, ირყევა, იწვის, იცრიცება ინდი-ვიდუალობა და თანდათან უახლოედება ყოველობას — უნივერსალობას: თვალწინ იშლება განუჭვრეტელი სამყარო მოებით, ოკეანეებით, ჩქა-რად მორბენალი მდინარეებით, ფერადი სახეებით. შეგრძნების ცეცხ-ლი აღრმავებს სიყვარულს: თრთოლა, სიცოცხლე, მოვლენათა და საგანთა უბნობა, ზღვის ტალღებზე მზის სხივების ლივლივი, შუაღლის ხილვა ტკბილენებიანი — ყველაფერი დელავს, ყველაფერს ეძლევა აღუზიური ღირებულება სიყვარულის ენტელექიაში, ყველაფერს აქვს

მიშიალველობა, რადგან მშვენიერების შეგრძნობა — ეს ესთეტიკური ანთროპომორფიზმია — ცხოვრების თვითმყოფი რაობის უარყოფა და ილუზიების განმტკიცება.

წუთისოფული თავისთვად არც მშვენიერია და არც საზიზღარი, არც კეთილმოქმედია და არც ბოროტი: ცხოვრების დამახასიათებელი თვისებებია სტილურობა და ირაციონალობა. ადამიანის აზროვნება ისტორიოლოგიურია, ადამიანის მორალი არ არის ბუნების მორალი. ჩვენს იდეალებსა და ოცნებებს, ჩვენს გრძნობებსა და ტრაგედიებს პენება არ იცნობს. ჩვენი ენა ბუნებას არ ესმის და არც ჩვენ გვესმის ბუნების ენა. ბეატრიჩები და დულცინები არსებობენ მხოლოდ ჩვენს სულიერ მოძრაობაში. ბუნებისათვის ბეატრიჩები და დულცინები იგივეა, რაც ბუჭყები და ჭიები.

წუთისოფულის მოვლენების თვითმყოფ რაობას ჩვენ არ ვიცნობთ, ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენს საგნები და მოვლენები per se, ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ ჩვენს ორგანულ შეცნაურებას, ჩვენს სულიერ მიმღებას; ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რასაც გვეუბნებიან ჩვენი გრძნობათა ორგანოები და თვითდაკვირვებანი. ჩვენთვის წუთისოფული ფენომენია მწვავე ორგანული შეცნაურებისა და ჭვრტის საგანთა, მოვლენათა სახეები და ფერები ფსიქოლოგიურად ილუზიერია. ჩვენი ნერვული დრესა და მღელეარება აძლევს ცხოვრებას სიმდიდრეს და ლირებულებას, სახეებსა და ფერებს; საემარისია შეიცვალოს ჩვენი ნერვული მდგომარეობა, რომ ცხოვრების მოვლენებმა მიიღონ სხვა სახეები და სხვა ფერები. ჩვენი იდეალი ჩვენი ორგანული ცახცახის, ჩვენი ხორციელი წვის ლილნიოა ინდივიდუალური ლირწების დინებით შექმნილი, ან შთამომავლობის ფსიქოლოგიური წვრთნით აბოლუბული და ანათებული.

ბეატრიჩები და დულცინები, ვენერები და ლაურები მშვენიერები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედებითმა სულმა მოინდომა მათი გამშვენიერება. როდესაც შემოქმედებით სულს ეკარგება თავისი ხორციელი ენერგია, როდესაც ორგანულ-ეროტიკული ცეცხლი მდელვარებისა და მოძრაობის შემდეგ ქრება, საგანს ეკარგება თავისი მშვენიერი სახე. ჰაინრიხ ჰაინრიქ ტანგეიზერს, რომელიც ერთ გამოქვაბულში რეა დღის განმავლობაში ტკბება სილამაზის ღმერთის — ვენერას სიყვარულით, რვა დღის შემდეგ საზიზღრად ეჩვენება მშვენიერი „არსება“ და იგი ვაჯავრებული ეუბნება მას — მე შენ არ შეივარსარო. მშვენიერება ინდივიდუალურ-ეროტიკული სურვილებისა და გულის ვნებათა ილუზიური განსხვალებაა. ერთხელ თურმე ინდოეთის

ღმერთი — ვიშნუ შესვდა მშვენიერ ქალწულს, დაუწყო მას გაშმაგებული ცქერა; ქალწულმა ვერ აიტანა ვიშნუს თვალების სიბასრე და უცხად ამოეფარა ღმერთს უკან, მაშინ თურმე ღმერთს კინჩხშე ამოუკიდა თვალები და ისე უცქერდა ქალწულს — ძლიერია ინდივიდუალობაში სურვილის ძალა.

რა არის ტობოსელი ღულცინეა, თუ არა ლამანჩელი რაინდის სურვილის იღუზიური განსხეულება? ჩეენ ვიცით, რომ ტობოსელი ღულცინეა (მშვენიერება) იყო ერთი ჩაგოდრებული გლეხის გოგო, სახელად ალდონსა. სანჩი პანსა მას ეძახის ალდონსას და წარმოდგენილი პყავს მხოლოდ როგორც ალდონსა. მაგრამ ლამანჩელ რაინდს ვინ დააჯერებს, რომ ღულცინეა არის მხოლოდ ალდონსა? ვინ დააჯერებს დანტეს, რომ ბეატრიჩე არის უბრალო, სუსტი, ფიზიკურად საზიზღარი არსება? ვინ დაარწმუნებს ტარიელს, რომ ნესტან-დარეჯანის ორგანულ მთლიანობაში არის ნაწილი წმინდა ვონების თვალსაზრისით ესოეტიკურად შიდებელი? ცხოვრება ესოეტიკური ფენომენია, მშვენიერების სახე ადამიანის სულის იღუზია.

არც ერთი მშვენიერი, არც ერთი საზიზღარი ქალი არსად არ დაბადებულა და არც დაიბადება, ისე როგორც არც ერთი ბოროტება და არც ერთი სიკეთე წუთისოფლად არასოდეს არ ყოფილა: „მშვენიერი“ „საზიზღარი“, „ბოროტი“, „უკეთილი“ — ყველაფერი ეს ჩეენი, ადამიანების გამოვლინდია და თავისითავად არაფერი მშვენიერი, არც არაფერი საზიზღარი არ არსებობს: შინაარსს, ღირებულებას, თვისებებს, სახეებს და მიზნებს ცხოვრებას აძლევს მხოლოდ ადამიანი და მისი ორგანულ-ფიზიკური ჩეეულება.

ვთონაში და კოსმიზი სიყვარელში

სიყვარული და ეგოიზმი ერთად შეუძლებელია იტყვის comme il faut-ს ხალხი, მეშჩანიზმით დამძიმებული და სალონურ ბაჟარდაცს შეწივეული.

ჩეენ ვამბობთ: სიყვარული ყოველთვის ეკოისტურია. აბა რომელ ქალს შეუძლია სიყვარულისთვის თავისი სიყვარული დათმოს? თუ ქალს მართლა უყვარს კაცი არა თავისთვის, რატომ არ აძლევს კაცს ნებას, სხვა ქალთან ისიამოვნოს? თუ მას კაცი უყვარს არა როგორც იარაღი თავისი სიამოვნებისათვის, არამედ გარეშე თავისი სიამოვნე-

ბისა, უნდა უყვარდეს ისიც, კინც მის ქმარს ასიამოვნებს. ცხადია, ვერც ერთი ტანსალი ქალი ვერ მოითმენს იმას, რომ მისთვის სიყვარული კაცი სხვა ქალს კოცნიდეს მის თვალწინ. რატომ? თუ მე ვინგე მიყვარს, რატომ არ მინდა, რომ მას სხვამ ასიამოვნოს? ჩემს პატარა ბავშვს ერთხელ გზაზე ძალიან მოსწყურდა, ვაღაც მგზავრმა მას წყალი დაალევინა; მე ეს ისე მესიამოვნა, რომ დღესაც, როდესაც მომაგონდება სახე იმ ადამიანის, რომელმაც ჩემს ბავშვს წყალი დაალევინა, სიყვარულისა და სათნოების გრძნობა დამივლის ძარღვების ნასკრეტებში.

რატომ ქალს არ უყვარს სხვა ქალი, რომელიც მის ქმარს კოცნის, ასიამოვნებს? ცხადია, ყოველგვარი სიყვარული თვითშეყვარებაა; როდესაც სოფიო ივანეს ელაპარაკება — მე შენ მიყვარხარო, სიცრუეს ამბობს. სოფიოს უყვარს მხოლოდ თავისი თავი და თავისი სიამოვნება.

სიყვარულის მიზანი ეგოისტურია, მაგრამ პროცესი კი პანთეისტური და კოსმოსური.

მშობლიური და ოჯახურ-ნათესაური სიყვარული სექსუალური სიყვარულისაგან წარმოიშვა; არსებობს მხოლოდ ერთადერთი ფორმა სიყვარულისა — სექსუალური სიყვარული: დედა შეიღს რომ ეალერხება, უიზიონლოგიურად სექსუალობაში დნება და სულიერად ითალხება სექსუალურ-ეროტიკული რომანტიზმით.

ქალიშვილი რომ თხოვდება, დედას უხარია იმიტომ, რომ ქალიშვილის „პერიოდებას“ თვითონ განიცდის თავისი წარსულის მოგონებასა და წარმოსახვაში.

ჩეენი თვალები, როდესაც ლამაზ სახეს ხედავენ, ნერები სექსუალური ტრფიალებით ითენთებიან; სიღაძაზისადმი ტრფიალება ადამიანში მით უფრო მძღვანელია, რაც უფრო ძლიერია სქესობრივი მოთხოვნილება.

ლამაზი ქალის დანახვაზე ჩეენი სული კოსმოსურად იშლება: მაშინვე გვებადება სურვილი უსაზღვრო სიყვარულისა და კეთილმოქმედების; ორგანულ ხელულებში მაშინვე აიშლებიან ტრფიალებანი და ნდომანი. გიყვარს არა მარტო ქალი, რომელსაც ხედავ, არამედ უველაური გარშემო, გიყვარს ტანისამოსი, რომელიც მას აცვია, გიყვარს ქვავენილი, რომელზეც ქალი დგას, გიყვარს ახლომახლო ადამიანები, მცენარეები, ბალახი, სახლები და მათი სახურავები, გიყვარს ამ ძროს მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო ზესკნელით, ქვესკნელით და გარესკნელით.

სიუვარული ჩვენი სულის კოსმიზმის უდიდესი და უმშევრიერესი უორმა; თვით კოსმიზმი როგორც ფორმა ორგანულ-ერთობისული ტრანსლების ერთგვარი ემანაცია სექსუალობისა.

ღიდა პოტები შეევარებულებს მთვარესა და პლანეტებთან ალა-კარაცებენ, ბალახებსა და მცენარეებს სულიერად უკავშირებენ: გოთე, შილერი, შელი, რუსთაველი, ბარათაშვილი, ბესიი, ვაჟა-ფშაველა სიევარულს კოსმიზმის შეგრძნებას უთანაბრებენ; რუსთაველი შეევარებულ ავთანდილს ამდერებს მულდაზანზარის ველზე და ამ სიმღერით პარი რიტმულად ატალდება, აირხევა; ბალახები და პირუტყვები ეროტიკულად აცახცახდებია: თითქოს ენების ამყოლობაში აინძრევა მთელი სამყარო და ჩვენი სულის ოცნება თავის მოჩვენებათ გრძელი რივით ფარავს აქოთებულსა და ჭუჭყიან სინამდვილეს; შეევარებულს ავიწყდება, რომ არსებობს ქვეყნად ორგანული ნაჯლი და უსრულობა, ჭუჭყი და წირპლი, ავიწყდება, რომ ქალს ხშირად გვირაბული სუნი აქვს, ავიწყდება, რომ ის, რასაც ის ღვთაებას ეძახის, არის მხოლოდ უაზიოლოგიური მასა.

ჩავასრითავის პროგლოთა და ლოგიკა

შეუთანხმე აზრები ერთმანეთს, — ლაპარაკობდნენ ელინები; შეუთანხმე აზრები აეტორიტეტს, — ამბობდნენ საშუალო, საუკუნეებში; შეუთანხმე აზრები ფაქტებს — ამბობენ დღეს; პეგელი ფაქტებს ომს უცხადებდა — ფაქტები თუ ჩემს თეორიას არ ემორჩილებიან, მით უარესი ფაქტებისათვის, — ამბობდა იგი.

ვავრამ, დრო რომანტიკული იდეოლოგით შეიცვალა და ფაქტებს დღეს უფრო ენდობიან, ვიდრე რაციონალისტურ ტრიალებს, სქოლითებსა და გააზრებულ ზეიადობას. დღეს ფაქტების ინტერპრეტაცია საჭირო იმიტომ, რომ ფაქტების ტრიალსა და ქარისხეალში ვინჩრიბით.

ჩვენი აზრი შემთხვევითი ფაქტის კაუზალური ასახვაა და ჩვენი მსჯელობა ასახული ფაქტების სისტემა — სისტემა მწყობრი და სახიერა; იმ დროს, როდესაც ფაქტები სამყაროში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ერთმანეთთან ჩხუბობენ, ჩვენს პატარა თავის ქალაში იღები და სახეები ფაქტებისა ერთმანეთთან მეგობრულად ბინადრობენ.

ფაქტის ასახვას ცნებას ეძახიან და ყოველი ცნება ასახული ნაშებისა და თვისებათა ერთგვარი კოეფიციენტია: ჩვეულება აგროვებს

ფაქტის ასახულ თვისებებს და ერთ ცნებაში აყალიბებს; ცნება ფაქტის ცხადყოფაა: თუ ცნება არ არის, არც ფაქტი არსებობს: თუ ცნება არის, ფაქტი ცხადყოფილია სიტყვით, სახელით; სიტყვა ერთგვარი საეიზოტო ბარათია, ცნების ერთგვარი აფიშაა, გამომსახველი ცნების გარემომცველობისა და ფაქტის მოცემულობის.

ჩვენ ვიცნობთ არა საეპის, არამედ საგნის თვისებებს; შემცნება ასახულ თვისებათა სისტემაა: მაგიდა შავია, გრძელი, ფართო და იწონის ათ გირვანქას; რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაცა აღიზიანებს ჩვენს მხედველობით ძარღვს და რაც აღიზიანებს, იმას სახელად დაარქვეს მაგიდა; შევეჩირეთ ჩვენ ამ სიტყვას იმიტომ, რომ სინამდე ჩვენ ვიხმარდით მას, სხვებმა იხმარეს და ჩვენ ეს გვესმოდა; შემდეგ დავიწყეთ ხმარება ამ სიტყვის ისე, როგორც სხვები ხმარობდნენ; შეგვადა იწონის ათ გირვანქას — ეს ნიშნავს იმას, რომ მის ასაწევად საჭიროა ენერგია ნაკლები, ვიდრე თერმეტ გარეანქიანს ესაჭიროება და მეტი, ვიდრე ცხრა გირვანქიანს... ესე იგი საგანი იწვევს ჩვენი კუნთების ერთგვარ გაღიზიანებას; ამნარად, თვისებათა ასახვა შთაბეჭილებათა სისტემაა; ჩვენი წარმოდგენა საგანზე მეტს არაფერს შეიცავს, გარდა შთაბეჭილებებისა და, როდესაც ჩვენ საგნის განმარტებას ვიძლევით, მხოლოდ გაღაებები ჩვეულების მიხედვით შეერმობათა რიგსა და რაოდენობას; საგნის შინაგანი, თვითური რაობა არის შეუცნობელი (კანტის ნოუმენი) მიზეზი ჩვენი ნერვულ-ფსიქიკურ გაღიზიანებათა. შთაბეჭილებათა ფორმას აყალიბებს ორგანოტროპიზმი. ავილოთ წინადადება: „კეთილშობილი ადამიანი ღირსია პატივისცემის“. ანალიზი ამ წინადადებისა შემდეგს გვიჩვენებს: სიტყვა კეთილშობილი ნიშნავს ყოველდღიურ ჩვეულებაში განმტკიცებულ დაღებით ცნებას, ცნებას ორგანოტროპულს, ჯგუფურს, ტერიტორიულს, კუთხერს; თავისთვალ ეს ცნება ანალიტიკურია და ორგანოტროპული; ჩვენ მაინც კუმატებთ სიტყვას — „ღირსია“, რომელიც სახავს კეთილშობილებასთან ჩვენს დამოკიდებულებას; სიტყვა „პატივისცემა“ ნიშნავს კეთილშობილების ღირებულების გადაეკარდებას სხვებთან. რომელთა პატივისცემა ონტოლოგიურ ჩვეულებათა ასახვაა.

გვეარევიოთ გეომეტრიული ცნება: „სამკუთხედი“. სამკუთხედის განმარტებაში, ისე როგორც ყოველ განმარტებაში, ორი მხარე: ერთი დაპარაკობს, რომ არსებობს წუთისოფლად ფიგურა, რომელიც შემთუარევულია სამი სწორი წირით; მეორე ნაწილი: — ასეთ ფიგურას ეძახიან სამკუთხედს. პირველი არის საფუძველი ონტოლოგიურ აბსტრაქტული, ისტორიულ-ტერიტორიული ჩვეულებებით განმტკიცებული.

პლანეტარული (შეიძლება მარსზე სხვანაირი ასახვა იყოს სამკუთხედის); მეორე არის თვითგანმარტება ონტოლოგიურად ასახულ ჩევულებათა; პირველი შეიძლება იყოს ჰეშმარიტება, ან სიცრუე; მეორე არც ჰეშმარიტებაა და არც სიცრუე; პირველი არის საფუძველი ყოველგვარ თეორემათა და მთავრებათა სამკუთხედის შესახებ; მეორე არის რეზიუმე ფაქტებისა ერთ სიტყვაში — სამკუთხედში. პირველი ჰეშმარიტებაა იმდენად, რამდენად მეორე მოხერხება და თქმაა; პირველი ცოდნაა იმდენად, რამდენად მეორე ენის მეტყველების საშუალებაა; პირველი გამოსახავს დამოკიდებულებას სამ წირთა შორის; შეორე ამ დამოკიდებულების სახელწირდებაა.^{*}

ბუნება ჩვენი შემეცნების ორ მხარეს შეიცავს: მას ერთი მხრივ საქმე აქვს სიტყვებთან, მეორე მხრივ მოვლენებთან, ფაქტებთან; სიტყვებსა და ფაქტებს აერთებს ერთმანეთთან ჩვეულება წუთისოფლური, ჩვენი განცდით დაწმენდილი და შეფარდებული შთაბეჭდილებებით გაღიაზიანებულ სულიერ მდგომარეობასთან.

ბოლოს და ბოლოს შემეცნების პროცესი არამცოუ ფსიქიკურია, არამედ ნევროზულიც. ჩვენ შევვაქვს ჩვენი ნერვულ-ფსიქიკური ინდივიდუალობის ლოგისი ყოვლობაში და სული ჩვენი დაუსარულებლობის აქნაში ივივეა, რაც თერმომეტრი ქვაბში: ჩვენ ვიძლევით ყოვლობის მოვლენების განმარტებას ჩვენი შთაბეჭდილებებით და ნერვულ-ფსიქიკური შეცნაურებებით ისე, როგორც ქვაბში რყევადი მდგომარეობის თანდათანობითი ცვლილებების ასახვას იძლევა შიგ მოთავსებული თერმომეტრი.

საგანი წუთისოფლად მხოლოდ იმ წუთიდან არსებობს, რა წუთს იგი ცნებაში ისახება: ჰეშმარიტება თავისთავად არსებობს იმდენად, რამდენადც ჰეშმარიტება ჩვენთვის არსებობს; ჩვენ ვადავვაქვს ჩვენი მეობიდან უნივერსალობაში სახები; ჩვენს ორგანულ-ფსიქიკურ ჩვეულებაში იჩაღება ტრანსცენდენტალური გონება და ფაქტის ასახულ თვისებათა აყოვლადებაში სული ჩვენი ქსოვს ონტოლოგიური რეალიზმის ფორმებს: ჩვენ შევიცნობთ ფაქტის რეალობაში მხოლოდ იმ თვისებებს, რომელთაც მივაუთვენებთ ფაქტს ჩვენი სურვილებისა და ორგანულ-ტემპერატურული დაბრილობის გავლენით. საგანთა და მოვ-

* ვ. 6 ე ც უ ბ ა ძ ე, „ალეთოლოგიის საფუძვლები“, „ჰეშმარიტების პრობლემა“ (თბილისი, 1922 წ. წიგნ I.) სწორედ ამ საკითხებს ეხება. ვ. ნუცებიძე იძლევა ჰეშმარიტების პრობლემის ორიგინალურ დასაბუთებას, ქართულ ფილოსოფიურ დატერმინაში „ალეთოლოგიის საფუძვლები“ საპატიო აღვილს დაიჭირს.

ლენათა დენას ჩვენ შევიცნობთ იმით, რომ ვეძებთ კანონს გამომდებარებულ ხელს სტატიურობისას: ვცდილობთ ფაქტი ფაქტის გადავაძლების შემდეგ ხელოვნურად შევათამაშოთ ფაქტები და ცდების საშუალებით ფორმულები გამოვიყვანოთ; მაგრამ ფაქტი, რომელსაც მე შევიცნობ, არის ხელოვნურად ამოგლევილი ყოვლობის სტიქიური დენიდან: მე რომ სხვანაირი გრძნობა მქონდეს, ან სხვანაირი ტრანსცენდენტალური პირობა ფაქტის შეცნობის, თვით ფაქტი სხვა სახეს მიიღებდა; ცხადია, აქედან ჭეშმარიტება თავისთავად არ არსებობს, რადგან შემთხვევითი და დაუცემტური სტრუქტურა შეცნობის შემთხვევით ფაქტის ირჩევს: ვინ იცის, ბუნებაში რამდენი პასკალისა და ბოლო-მარიოტის კანონის სებრი ფაქტები აღმოჩნდებოდა (შეიძლება კიდევ უკათესი), ჩვენ რომ უკეთესად მოწყობილი გრძნობათა ორგანოები გვქონდეს. ჩვენი შემცნება წაავაგეს ფარგალს, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს, შეიძლება შევიწროვდეს; წრეწირი, რომელსაც ჩვენი შემცნება ხაზის, არა ბუნებრივია, არამედ ხელოვნური.

ჩვენ რომ ჩვენი თვალებით ან სმენით ფაქტს შევიცნობთ, განა ის ჭეშმარიტი შეცნობა? ჩვენ რომ მიკროსკოპში ვიყურებით და ვადიდებულ მოვლენებს ვხედავთ, ვინ არის იმის თავდები, რომ ჩვენი თვალები და გამადიდებელი შეშა არ ვვატყუებს? — ვხედავთ რადაცებს, შევიცნობთ, სახელებს დავარქევთ ისე, როგორც ჩვენ ვვეხერხება, როგორც შევიძლია, როგორც მოვისურებთ და შემდეგ ვლაპარაკობთ — ეს ჭეშმარიტებათ. შეიძლება კაცი დაეთანხმოს დროებით იმ აზრს, რომ საგანი არსებობს მანამდე, სანამ ჩვენ შევიცნობთ, მაგრამ არავითარი საფუძველი არა ვვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ შეცნობილი საგანი ისეთია, როგორც ჩვენ შევიცნობთ.

დღემდე უიზიკა ვვასწავლიდა, მოლეკულები ატომებისაგან შედგებათ; დღეს უიზიკოსები ამტკიცებენ — მოლეკულები და თვით ატომები ელვისებური იონებისაგან შედგებათ. როდესაც ვლაპარაკობდით: მოლეკულები მხოლოდ ატომებისაგან შედგებათ, განა ეს ჭეშმარიტება იყო? ახლა ლაპარაკობენ: ატომები ელექტროიონებისაგან შედგებათ: ვინ იტყვის, არის თუ არა ეს დებულება ჭეშმარიტება თავისთავად?

ავსტრალიაში ადგილობრივ მცხოვრებლებს თურმე ასეთი წარმოდგენა აქვთ ადამიანის მოვალეობაზე: ვინმეს რომ ნათესავი მოუკვდება, ვალდებულია მეზობელ ტომს მოუკლას სამაგიეროდ ერთი წევრი, რადგან ნათესავის სიკვდილს აესტრალიელი აბრალებს მეზობელ ტომს, რომელმაც მას გამოუგზავნა ბოროტი სული.

ერთხელ თურმე ინგლისელ ექიმ ლოდორს, მმართველს ავსტრა-

ლის ერთ-ერთი პროვინციისას, გამოეცხადა ერთი ავსტრალიელი, რომელსაც ცოლი გარდაცვლოდა და სთხოვა: გამიშვი მეზობელ ტომს მოუკელავ სამაგიეროსო. ლოდორი დაქმუქრა, თუ კიდევ მსგავსის თქმას გაძებავდა, იგი მას ციხეში ჩაგდებდა. ავსტრალიელი დაავადმყოფდა, მას აწუხებდა სინდისი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო: ცოლის სული მას ხშირად ეცხადებოდა და, როგორც პამლეტს მამის აჩრდილი, მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ წამოვარდა თურმე ლოგინიდან ავადმყოფი და გაიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნებულმა გამოუცხადა ექიმ ლოდორი: რაც გინდა მიქენი, შევასრულე ჩემი ჰეშმარიტი მოვალეობა, მეზობელს ცოლი მოუკალიო. ლოდორმა შეიძყრო ავსტრალიელი და ციხეში გაგზავნა.

საინტერესოა: ალეთოლოგიის თვალთახედვით ვისკენ არის აბსოლუტური ჰეშმარიტება — ინგლისელის თუ ავსტრალიელის შხარეს.

ჩევნ კი უფიქრობთ, რომ ორი სხვადასხვა სახის კულტურულ-ტრადიციური ტრადიცია აქ ერთმანეთს შეხვდა და პრობლემა ჰეშმარიტებისა, პრობლემა ლოგიკური გადაიქცა ტერიტორიულ-ტროპულ პრობლემად.

ლოგიკა მხოლოდ ჩვეულებით აყველადებული ინტელექტუალური ზოგადობაა — ზოგადობა კუთხური, ჯუფური, ხშირად ტემპერამენტული ხასიათის, და როგორც ასეთი, ყალბი მარადობისა და უნივერსალობის თვალთახედვით.

ყოვლობის მიმდინარეობა ალოგიკურია და რაც უფრო გაყვება ადამიანი ლოგიკას, მით უფრო უბედური იქნება იგი წუთისოფლად.

ჰეშმარიტება როგორც პრობლემა ლოგიკის საგანია: ლოგიკის ჯებულებები საფუძველია ჰეშმარიტების; შემეცნების დროს ჩევნ გსარებლობით იმით, რაც გვაქვს და რასაც ჩვეულებრივად ვენდობით: მენ დებირენი, რანუვიე და ბოლცანო სინამდვილის ოდენობას ჩენი აზრის გარემონტველობას უფარდებენ და, როგორც პარმენიდე, საგანსა და შეცნობას შორის იგივეობას ხედავენ. ფსიქოლოგიურად ბუნებრივია, როდესაც ფილოსოფიის-რაციონალისტები საგანს შეცნობას უფარდებენ და სანამ საგანს შეცნობენ, შეაქვთ შეცნობის პროცესში თავიანთი პარიორიზმი და პრედიკატები: კანტმა ადრე შეამჩნია ეს, მაგრამ მაინც პარიორიზმსა და ტრანსცენდენტალობას მიენდო, როგორც აუცილებელ პირობებს შემეცნებისას.

მაგრამ, რას წარმოადგენს ეს აუცილებელი პირობები და არსებობს თუ არა თავისთავად ჰეშმარიტება, რომელსაც ჩევნ ვიჭერთ არსებობის ოკეანეში ამ აუცილებელი პირობებით?

როგორც დავინახეთ, ფაქტისა და შემეცნების დამოკიდებულება

შოველთვის შემთხვევათი ხასიათისაა. შემეცნების უდიდესი მომენტი — განკუნება, შედარება, აყოვლადება ბოლოს და ბოლოს ერთგვარი ფსიქური combinaison-ებია და შედეგი ამ კომბინირების არის ცნება, რომელიც ერთგვარ გააზრებულ სინთეზს წარმოადგენს — სინთეზს შეგრძნობილ თვისებათა.

მაგრამ, თვისებათა შეგრძნება და შეცნობა, როგორც აპერცეფციის პროცესი გვიჩვენებს, ფსიქოლოგისტურია და არა ლოგისტური. ყოველ ადამიანს პროფესიისა და სულიერი წვრთნის ფსიქიური ატრიბუტები შეაქვთ საგნის შეცნობის პროცესში: ფანქარს მოწაფე და ვაჭარის სხევადასხვა სახით შეიცნობენ; ძროხის კუნთებს მხატვარი და ყასაბი სხვადასხვა ოვალთახედვით უყურებენ. აპრიორული და ტრანსცენდენტალური რაც არის შემეცნების პროცესში, ყველაფერი შემოტანილია პროფესიული წინდახრილობით და ონტოლოგიური ჩვეულებათა ასახვით. დარჩა აპერცეფციის ინდუქციური ელემენტი—თვისებების რაობათა შეცნაურება და ამ ელემენტის განზოგადება სან განკუნების სახით, ხან შედარების. და ხან აყოვლადების.

მაგრამ განკუნება, შედარება, აყოვლადება, სწვრივადობა და სხვა მთავარი მომენტები შემეცნებისა აზროვნების ჩვეულების სტატიკა და როგორც ასეთები ცხადყოფენ საგნის თვისებათა სისტემას და არა საგნის რაობას.

საგნის თვისებათა სისტემაში ჰეშმარიტების გამოსახვა სრულებით არ ნიშნავს საგნის რაობის შეცნობას, როგორც ცარიელი ბოთლებისა და კოლოფების ჩამოწყობა თაროებშე სავაჭრო სახლის გახსნას არ ნიშნავს.*

ლოგიკის ძირითადი პრინციპები ფსიქიური ჩვეულებითაა განმტკიცებული; განუწყვეტლობა და სშირი განმეორება ფსიქიური ფაქტისა საუძღველს აძლევს აზროვნებას ისე, როგორც ფინიკურ მოძრაობათა სშირი განმეორება აძლევს საშუალებას მარჯვე მოძრაობისას კუნთებს.

ფსიქოლოგია ორგანოტროპულია და ლოგიკა მხოლოდ ერთგვარი სტატიკურ-გრაფული განყოფილებაა ფსიქოლოგიის; რესეტში ცედენსკი და ჩვენში ნუცუბიძე წინააღმდეგს ამტკიცებენ: მათი და მათი წინაარების აზრით ლოგიკა სრულებით დამოუკიდებელია ფსიქოლოგიი-

* აქ ვეხებით ჰეშმარიტების პრობლემას იმდენად, რამდენადაც გვესაჭირობს უარყოფა ამ პრობლემისა ჩვენი მსოფლმხედველობის გამოსარევევად. ვ. ნუცუბიძის უილოსიურ დებულებებს ცალკე გაფარივთ.

საგან, პირიქით, ფსიქოლოგიას ეძღვევა ღირებულება იმიტომ, რომ
არსებობს ლოგიკის კანონები...

ჩვენთვის ლოგიკა მხოლოდ ერთგვარი დაკვირვების სისტემაა, რომ-
გორც გრამატიკა: ლოგიკა აკვირდება შემცნების ბუნებას, გრამატიკა
კი ესის ბუნებას; ლოგიკის ცოდნა ადამიანს არ შველის შეცდომებში,
არც გრამატიკა შველის მაინც და მაინც ენის შესწავლაში: ვისაც უნდა
შეისწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, უნდა შეისწავლოს ოს-
თაველი, თმოველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე და არა ხუნდაძის გრა-
მატიკა.

ლოგიკა მხოლოდ სტატისტია აზროვნების ბუნებაში; აზროვნების
ფაქტები კი ალოგიკურ ყოვლობას უკავშირდება.

ლოგიკა მისაღებია როგორც მეთოდი, როგორც ხერხი და არა რო-
გორც ნორმა, არა როგორც საზომი.

რაც უფრო უმეშვეოდ და ლირიკული განცდებით შევდივართ ყოვ-
ლობაში, რაც უფრო შორს ვიხედებით კეთილშობილი ზრახვებით და
ინტუიციით, რაც უფრო კოსმოსური და მეტაონტოლოგიურია სული
ჩვენი, მით უფრო ვამჩნევთ, რომ ლოგიკა როგორც ნორმა, ყალბია და
კაცობრიობის კულტურის ერთგვარ დაფუქტს წარმოადგენს.

საშუალო საუკუნეების ინკუზიციებსა და ინტელექტუალურ კარ-
ნიაკეტილობას ლოგიკა ხელს უწყობდა; ყოველგვარ ჯაუფურსა და
კუთხერ განაპირებას ლოგიკით ასაბუთებდნ; ლოგიკამ აწამა ქრისტე,
სოკრატე, ბრუნო, გალილეი; ლოგიკით ხელმძღვანელობენ დისლომა-
ტიური შანტავებისა და აფერების დროს.

ლოგიკა უარყოფს გენიოსური კეთილშობილებისა და კოსმოსური
სევდის გამლილობას, ლოგიკა სულისა და ნებისყოფის ბორკილია. ლო-
გიკის დებულებები მეშჩანური comme il faut-ს მარჯველებია.

ლოგიკის საუკეთესო ფორმა არის სოფიზი — ფორმა, რომელიც
უარყოფს ლოგიკას და კარიკატურულად ეთანაბრება ყოვლობის ირა-
ციონიალობას.

ილეალის ეორლებია

კულტურის ისტორიაში ხშირად არის მომენტები მიმდინარეობათა
გაერთიანების, სინთეზის: ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში და-
შორებული ელემენტები სხვადასხვა მიზეზის გამო ერთდებიან, მთლიან
საქს იღებენ.

აგრეთვე არის მომენტები გაყრისა და განაპირების: ელემენტები, რომელიც წინათ მთლიან ერთეულში იყვნენ მოთავსებულნი, ერთმანეთს შორდებიან და სხვადასხვა გზით იწყებენ „ევოლუციას“, ხეტიალს.

მომენტი სინთეზის „პროგრესული“ მომენტია ისტორიაში; მომენტი გაყრისა და დანაწილების „რევერსის“ მაჩვენებელია.

ქველი პოლიციურ-მონარქიული სახელმწიფოები — ბაბილონი, ასურეთი, სპარსეთი — დაიყრეს მაკედონელებმა: კულტურა იმ სახელმწიფოების, დათანაწყობებული ელინიზმით, შეეიდა ხმელთაშე ზღვის ცივილიზაციაში, რომელშიც დროთა ვითარებაში ჩაისახა ქრისტიანული მოძღვრების ძლიერი ორგანიზაციები.

ანტიკური ცივილიზაცია დებულობს უნივერსალურ ბასიათს: ცხოვილოვიურ გამლილობასა და კოსმიზმს მატერიულ ფორმას აძლევს ცენტარების მსოფლიო ხასიათის გაქანება; მაგრამ, საშუალო საუკუნეები უეოდალური განწვალებით არღვევენ მთლიან კულტურულ-ცივილიზაციურ მიმდინარეობას და რელიგიური პერსპექტივების პარეო ისტორიულ-რასული ტემპერამენტის მიხედვით კაცობრიობის კულტურის მთლიან მიმდინარეობას ორად ყოფს:

ერთი მიმართულება იღებს ბიზანტიურ-აღმოსავლეთურ სახეს; მეორე — რომანულ-გერმანულს, დასავლეთურს.

ბიზანტიურ-აღმოსავლეთური კულტურა ცუდ პირობებში ვითარდება — ბიზანტიას ჯერ ჯვაროსანთა ლაშქრები იყავებენ, შემდეგ თურქები, ბალკანეთის ნახევარეულმდგრე სლავური სახელმწიფოები ორიგინალობას ვერ იჩენ; რუსეთს მოძრაობის საშუალებას არ აძლევენ მონღოლები ორნახევარი საუკუნის განმავლობაში; საქართველოს სისტემატურად აოხრებენ ისევ მონღოლები და სპარსელები.

რომანულ-გერმანული ცივილიზაცია გაცილებით უკეთეს პირობებში ვითარდება: საქართველო, რუსეთი და სხვა კულტურული სახელმწიფოები იფარავენ საუკუნეთა განმავლობაში ევროპას აღმოსავლეთის ურდოებისაგან; ხალხთა დღიდი გადასახლების შემდეგ ევროპა დასვენებულია; მან არ იცის, ვინ არიან ჯალალედინები, ქაიხოსროები, ჩინგისხანები, ბატიები და სხვა...

ევროპა არ წყვეტს კავშირს საშუალო საუკუნეების განმავლობაში ანტიკურ ქვეყნებთან, ძველი ცივილიზაციის სხივოსან წარმომადგენლებთან: პლატონი და არისტოტელე ისეთივე ავტორიტეტები არიან ევროპელებისათვის საშუალო საუკუნეებში, როგორც ქრისტეს მოციქულები და წინასწარმეტყველები.

მართალია, ფანატიკურ-ჩელიგიური გატაცება, პაპების მრეშობა და ბერების ორდენების ღირწებრიობა კულტურული მუშაობის წესიერ მიმღინარეობას ხელს უშლიან, მაგრამ წყურვილი შემოქმედებისა და ჰეშმარიტების ხილვის, წყურვილი ცოდნისა და მშვენიერების ეკრობელს ისევ ელინიზმისაკენ ეძახის: თვით კათოლიკური ეკლესია, მიუხედავად თავისი სიმაცრისა და ასეეტიზმის, საპატიო ადგილს უთმობს წარმართულ ესთეტიკას; პარიზის ცნობილი დეთისმშობლის ტაძრის (Notre Dame de Paris) სახურავზე კათოლიკე მხატვარს გამოყავს საუცხოო სიმბოლო სიშმაგისა და ჯიქერობის — Chimere. დიონისის კულტი დიდი ხალისით სრულდება დღემდე ეკრობის დიდი ქალაქების ქარიბში ეკრეთ წოდებული კარნავალის სახით.

საშუალო საუკუნეების იდეოლოგი, ქრისტიანი, მოწმუნე კათოლიკე დანტე ალიგიერი ანტიკური მწერლების ჯოჯოხეთში მოთავსებას ვერ ბედავს და რაღაც პომეროსი, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი მონათლულნი არ იყვნენ, დანტე იძულებულია დატოვოს ისინი სამოთხის გარეთ, საღმე ჯოჯოხეთის მახლობლად, მაგრამ იქ, სადაც ტანკევა არ არის.

ანტიკური კულტურის ახეთი განსაკუთრებული. პატივისცემა ახასიათებს მთელს საშუალო საუკუნეებს; ტერტიულიანე ლაპარაკობს: ქრისტიანული ფილოსოფია მხოლოდ კეთილშობილი დაგვირგვინებაა წარმართული კულტურის კეთილშობილი ზრახვებისაო; მინუცი სულის უკვდავებას ამტკიცებს და ამბროსი პატივს სცემს ანტიკურ ქვეყანას და რომის რესპუბლიკის ეპოქას მშვენიერ დროს ეძახის (Gaston Boiseier La fin du paganisme, 1254, 279, 339).

ჩენესანსის ეპოქა ამის შემდეგ უსიქოლოგიურად გასავებია: კლასიკური ცივილიზაციის გაკვლავყოფებას ნიადაგი პქონდა თვით საშუალო საუკუნეებშიც: ახალი საუკუნეების სოც. ისტორიული და გეოგრაფიული კოსმიზმი მთლიანობისა და ბუნებრიობის ნატვრაში უფრო მძღვრად იხრება თავისუფლებისა და ესთეტიკური იდეალებისაკენ.

კლასიკური ლიტერატურა პუმანისტების ხელში და ბიბლია პროტესტანტების უბეში — ორი დიდი ძალაა, რომელნიც ებრძვიან მონასტრული ტრადიციების სიმშრალეს, სქოლასტიკურ უსულობას. პუმანისტების იდეალია მთლიანი პიროვნება, ადამიანობა სრული, დამთავრებული: პროტესტანტები და რეფორმატორები ქრისტიანული მოძღვრების ეკლესიური ფორმებისა და ორგანიზაციების განახლებას აპირებენ კულტურის საერთო მიმდინარეობასთან შეფარდებით და საზოგადოებრივი სულიერი განწყობილების აღლოს აღებით.

რეფორმაცია იყო რენესანსის ფსიქოლოგიური გაგრძელება რელი-
გიის სფეროში და გამოსახვდა ახალი საუკუნეების ახალ მორალს,
არღვევდა კათოლიკურ-ფეოდალურ მსოფლმხედველობას და იმდეოდა
პერსპექტივებს, რომელიც აქმაყოფილებდნენ იმ დროს რელიგიურად
მოაზროვნე წრეებს.

კაცობრიობა დაქანცული აღმოსავლეთში ლაშქრობით, ფეოდალუ-
რი განწევალებით, მტკაცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების უქონ-
ლობით, გრძნობს მოთხოვნილებას სულიერი განახლებისას და ახალი
ფილოსოფიურ-რელიგიური პრინციპების ძიებისას.

გეოგრაფიული და კოსმოსური მსოფლმხედველობის გაფართოება,
ამერიკის აღმოჩენა, ოკეანეების გაცნობა, დასაბუჯდი მანქანების გამო-
გონება, ბუნებისმეტყველებისა და მორალის სფეროში ახალი კვლევა-
ძიებანი კათოლიკური მთლიანი მსოფლმხედველობის მაგიერ ნიადაგს
უმზადებს ადამიანის ქაოსურ სულიერ დრამას, მონტენის მწარე თქმას:
que sais-je?

რომის პაპების თეოკრატიული მმართველობის იდეალი ფეოდალიზ-
მთნ ერთად დაიღუპა და ვერც ანსელმ კენტერბერიელის Gredo
ut intelligam, ვერც თომა აკვინელის პათოსური მეტყველება, ვერც
დაგვიანებული ტრიდენტის კონგრესი ვერ ახერხებენ საშუალო საუ-
კუნეების მსოფლმხედველობის რესტავრაციას.

თვით იეზიუიტიზმი, მისი პედაგოგიური და დიპლომატიური ცდები,
მისი პლიტიკურ-რელიგიური ზრახვები მხოლოდ ამწვავებენ არსე-
ბობის ტრაგედიის გრძნობას და ყოველგვარი უკუსედვა, ყოველგვარი
სურვილი წარსულის დაბრუნებისა იწვევს წინააღმდეგობას აზროვნე-
ბისა და გრძნობის სფეროში.

ლუთერის თეზისებს, რომელიც ვიტენბერგის უნივერსიტეტის კა-
რებზე იყო გაკრული, ფსიქოლოგიურად აყოველადებს რენესანსის ხე-
ლოვნება — ვნებიანობისა და წარმართული გრძნობების აშშლელი;
ტიციანის ვენერა თავისი ლადად აბორციილი მუძუებით ისე ებრძოდა
რომის პაპებსა და ასკეტიზმს, როგორც რუსო და კოლტერი კათოლი-
კობას და კლერიკალობას.

ირლავევა საზოგადოდ კვიეტური და იდილიური სულიერი წყობა და
ადამიანი გრძნობს, თავის უსუსურობას, უმწეობას მოვლენათა და სა-
განთა უსაზღვრო დენაში.

სოციალური ინტერესების წინააღმდეგობანი, ყოველდილი ცხოვ-
რების უაზროდ ატორტმანებული და მრუში მოძრაობა, დიადი პრინ-

ცისქების და ფიქრების უშედეგოდ დაღუპვა, ჭეშმარიტებისა და კეთილ-შობილების დამარცხება — ყველაფერი ეს იწვევს პესიმისტურ აზრებისა და სევდას.

გაცვეთილი ფრანს „მსოფლიო სევდა“ უფრო ღრმა ხასიათისაა, ვიდრე სიტყვიერების ოფიციალური ისტორიულისები ფიქრობენ: მან-ფრედისა და ფაუსტის წუხილი, პამლეტის ტრაგედია, ბარათაშვილისა და ლეოპარდის სასოწარკვეთილება კაცობრიობის უკეთილშობილესი და უშვენიერესი გრძნობის გამოსახულებაა.

საშუალო საუკუნეებში არ იყო ისე მწარე წინააღმდეგობა იდეალსა და სინამდვილეს შორის: ყოველგვარ საშინელებასა და საზოზღრობას კათოლიკობა სხინდა რელიგიური საჭიროებით; სისხლი, დალატი, სიკედილით დასჯა, წვალება — ყველაფერი მისაღები იყო, თუკი ამას მოითხოვდა ინტერესი რელიგიისა და ეკლესიური ტრადიციისა.

ახალ საუკუნეებში კათოლიკობას დაეკარგა ძალა; ავტორიტეტი ეკლესიისა დაცა; ადამიანი მეტს ვერ არწმუნებს თავის თავს, რომ იდეალს შეუძლია გაამართლოს სინამდვილე. იჭვები იპყრობს ადამიანის სულს და ნებისყოფას ინტელექტი ახრჩობს იმიტომ, რომ ადამიანი მთლიანად არ არის განთავისუფლებული ტრადიციისაგან: გრძნობა იმისა, რომ არსებობს უთანხმოება იდეალსა და სინამდვილეს შორის, არის მიზეზი ტანჯვისა და ცრემლების, რადგან ადამიანს არ ყოფნის გამბედაობა ისტორიულ-ტრადიციულ ღირებულებათა სრული გადა-ფასებისა.

რენესანსი, რეფორმაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია ინდივი-დუალური მთლიანობისა და უფლებრიობისათვის იბრძვიან, მაგრამ წარსულის კულტი, ისტორიულ-ლოგიკური ტრაფარეტი ანახევრებს ენერგიას ამ ბრძოლისას და მებრძოლი იქსება მხოლოდ ეჭვებით.

პამლეტმა არ იცის, რა ქნას და ეძებს ფაქტებს, რომ დარწმუნდეს — სად არის ჭეშმარიტება, მაგრამ პამლეტის ლოგიკა ტრადიციული და ყალბია; პამლეტი კეთილშობილი რაინდია ძიებაში, მაგრამ პრინციპი ამ ძიებისა ყალბია.

პამლეტს ესაჭიროება თავისი სულის დასაშვიდებლად წუთისოფ-ლური უნერბა გაამართლოს მორალური პრინციპების წინაშე, მაგრამ ეს მორალური პრინციპები, რომლითაც პამლეტი ზომავს წუთისოფ-ლურ უნერბას, რეალობას, ორგანულ მრუშობას, ფიზიოლოგიურ წევას, რას წარმოადგენს თავისთავად? არის თუ არა ღირებულება ტრანსცენდენტური, მარადიული იმ თვალთახედვაში, რომელსაც პამ-ლეტი უცხადებს ნდობას, რომლითაც იგი ატაცებულია?

პამლეტს მამა მოუკლეს და სული მამისა მოსვენებას არ აძლევს მას: შერისძიებისაკენ ეძახის. სული აქ არის სიმბოლო კაცობრიობის ისტორიული მორალის, სუსტებისა და უძლურების მორალის რა უნდა სულს? სულს აწუხებს, რომ ქალი, რომელიც მას კოცნიდა, მას კეუთვ-ნოდა მოელი ტანით, ახლა სხვას ჰყავს; ახლა ამ ქალს სხვა კოცნის, სხვა ეაღერსება, ახლა ეს ქალი სხვისია მოელი ტანით.

მაგრამ ეს ხომ ბუნების კანონია: ბრძოლა, სუსტის დამარცხება, ძლიერის გამარჯვება; სუსტების ხვედრი ძლიერებს ეკუთვნის; მაგ ძმა მოელა და რძალი ცოლად წაიყვანა, მწვავე ფაქტია, მაგრამ ფაქტი მისაღები ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ოვალთახედვით.

სქესობრივი წვა, მზიდარულობა ენებათა, ფიზიოლოგიურ-ნერვუ-ლი რეალობა, განცდა, ნდომა მიეარებისა, შეერთებისა — ეს ხომ საღი სხეულის თვისებებია, თვისებები მოუშორებელი.

მხოლოდ პამლეტის მამის სული მსჯელობს როგორც ლუარსაბ თათქარიძე ძილში: თათქარიძეს ესიშმრება, ვითომ მოკვდა, საფლავში ჩაასვენეს და მარტოდ დარჩა, მას აწუხებს ის, რომ ცოლი, მისი და-რევანი არ ჩაჰვა საფლავში.

პამლეტის მამის სულიც ეგრე სჯის: ტრადიციული მორალი, ლოგიკა საუკუნეების მეშჩანური, ფილისტერული ფსიქოლოგია მოდგმათა თხოულობენ, რომ მმას არ ჰყავდეს ცოლად მმის ქერივი, მაგრამ ამ ლოგიკას, ამ მორალს ავიწყდება, რომ ქალისადმი ტრფიალება თავის-თავად არ ემორჩილება არც მორალს, არც ლოგიკას. საზოგადოდ ცხოვ-რებას არ უდგება არც ჩვენი მორალი, არც. ჩვენი ლოგიკა: ჩვენი მო-რალი, მისი პრინციპები, ჩვენი ლოგიკა, მისი კატეგორიები მხოლოდ ჩვენი წუთისოფლური ჩვეულებების შედევრია; ჩვენი ჩვეულების გარეშე ჩვენს იღებალებსა და პრინციპებს არა აქვს არავითარი საფუძველი, არა-ვითარი რეალობა; ფორმები ჩვენი მორალისა და აზროვნების ისე იყ-ცება ჩვენს ნერვულ-ფიზიოლოგიურ თვისებებში, მათ ჩვეულებებში, როგორც ტანისამოსი, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ და რომელიც თანდათანობით დებულობს ჩვენი ტანადობის გამომსახველ ფორმას, რასაც სპენსერი შეფარდებულობის კანონს ეძახის, ის ბოლოს და ბოლოს ორგანული ჩვეულების კანონია.

სული ჩვენი უნდა შეეჩიოს მწვერვალებისა და სილრმეების დანახ-ვის, როგორც ჩვენი ტანი ეჩვევა შემოდგომის სუსხში ნოტიო ჰაე-რეთს: წუთისოფლური ღირებულებები — ოჯახი, ნათესაობა, სიყვა-რული, იმედი, აღერსი, მეგობრობა იდილიურ-კვიეტური ცნებებია — ისტორიული მეშჩანიზმის გამომსახველი:

ტრაგედია ინდივიდუალიზმისა ბოლოს და ბოლოს ჩვეულებათა ტრაგედიაა და იმ დღიდან, რა დღესაც ადამიანი დარწმუნდება, რომ ბოროტება და სიკეთე ისტორიაში ისეთივე მოვლენებია, როგორც სითავა- ბო და სიცივე ფიზიკაში, შეგრძნება არსებობის სიმწარისა ჩვენში გა- ნახევრდება.

ქვეყანას არა ჰყავს შთართველი, ქვეყნის გარეშე რომ იდგეს და ისე აწესრიგებდეს ქვეყნის მიმღინარეობას — საგანთა და მოვლენათა დე- ნას; ტრანსცენდენტური, ვარესკენელური მიზანი ცხოვრებას არა აქვს; ჩვენ ვერ ვამჩნევთ კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ აზრს, მიზანს; ყოველი ერი, ყოველი საუკუნე, როგორც ლეი- ნის კონდენსატორი, დატეილირული ბიოლოგიური ენერგიით, იცვლე- ბა და შემდეგ უმიზნოდ უსაზღვროებაში იკარგება: იყო ბაბილონი, მას პერიდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ჰყავდა მმართველები, იქმ- ნებოდა მეტყველება, ლიტერატურა, ინდუსტრია; სიყვარული, ვნებათა ღეღვა, ილუსიები, კრძნობები ამშვენიერებდნენ, ასახიერებდნენ მიწა- წყალს, მინდორ-ვეღებს, ქალაქებსა და სოფლებს, იყო ეგვიპტი უა- რაონებით, მოგვებით, სფინქსებით, წვერადებით, იდეალებით; ელადა თავის მშვენიერი ღმერთებით, ტრაგედიული მითებით და ლამაზი გან- ცდებით; რომი ძლევამოსილი გაშლილობით და გამბედობით, ორატო- რებით და იმპერატორებით იყვნენ და აღარ არიან? დარჩა არსებობისა და იდების ნანგრევები მოწყენილი, დაღრეჯილი; დარჩა ისტორიული თქმები, დებულებები სავარეონი მხოლოდ გიმნაზიური მშევრმეტყვე- ლებისათვის; საუკუნეები გაივლის და გაქრება; სხვა საქმეები, სხვა ღროს ლეგენდები დაიყვებენ მათ ადგილს.

ვის ახსოეს დღეს რომელიმე ძეველი ელინის თავის ქალა, სადაც მო- თავსებული იყო ლამაზი იდეალები და ოცნებები? საუკუნეთა წვიმები და გვოლოგიური ნაეკუპი ფარავენ ინდივიდუალურ ვინაობას, მის კეთილშობილ განცდებსა და მისტიკურ შორეულობაში გააზრებულ ლანდებს. დაკარგული ვართ უფსკრულში სადღაც ვქანაობთ, ვირყე- ვით, ვდელავთ, იმედებში ვართ და იმედებით ვიღუპებით, ვიგონებთ სქოლიობებსა და კატეგორიებს, ჩვენს ილუსიებში შექმნილ კერპებს ვემორილებით, ვთვრებით იდეებით, როგორც ალკოჰოლით და ბო- ლოს კერპებსაც და იდეებსაც ვიცვლით როგორც ტანისამოსს.

ჩვენს „მე“-ს ჩვენვე ვეღავთ და სიახლის მაცდურ დაპირებებში ვებრძევით დამტკაცებულსა და მიღებულს...

ვარგად ამბობს დოსტოევსკის რასკოლიკოვი: „მე ქალი არ მო- შეიღავს, მე პრინციპი მოვკალიო“. პრინციპი შეცნობილი ჩვეულებათა

ლოგიკური სინთეზია და როგორც ასეთი, ინტელექტუალური კულტურის ნავსაყუდელს წარმოადგენს. მხოლოდ ამ მდორე ნავსაყუდელში ისრჩიბა ხალისი და სიცოცხლე ჩვენი ყოფისა; რაც უფრო მაღალია აქედან მღელვარე ოქანეში კაცობრიობის სული, რაც უფრო მივენდობით აუკეტებს, სტიქიურ-კოსმოსურ ყომარბაზობას, მით უფრო ღამაზი იქნება ჩვენი არსებობა წუთისოფლად.

პამლეტის ტრაგედია ისაა, რომ ხომალდი მისი აზროვნებისა ისტორიულ-ლიგიკური ტრადიციის მდორე ნავსადგურში დგას: პამლეტი ვერ კლას პრინციპს, მხოლოდ ეძებს და ემორჩილება, შურიანობს და ნაღვლიანობაში ისრჩიბა, როგორც იღია ჭავჭავაძის მეურმე, რომელიც თავისი უძლურების გამო შურით ხარჯს უტყილაშენებს შოლტებს.

ნაპოლეონსა და ცეზარს შეუძლიათ ათასების დახოცეა ბრძოლის ველზე უეტიშებისა და ყალბი ღმერთების სახელით, რასკოლნიკოვს და პამლეტს კი თითო ადამიანის მოკვლაც ეძნელებათ. ტრაგედია ინდივიდუალობისა მხოლოდ ჩვეულების ტრაგედია და ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი, რითაც ჩვენ წუთისოფლად თავს ვინუგეშებო, მხოლოდ ღანცერი ჩვენებაა ტებილი ჩვეულების, მეშჩანური იღილის.

უილოსოფოსმა უნდატმა პატრია ძალია შეაჩინა ჯოხზე ხტუნებას; როდესაც ფილოსოფოსი ძალს ეტყოდა: „პოპ“, ძალლი ჯოხს გადაახტებოდა. ერთხელ უნდატმა ძალს უბრძანა უჯოხოდ ხტუნვა, „პოპო“, — უთხრა ფილოსოფოსმა ძალს, მაგრამ ძალლი, შეჩერეული „პოპის“ ღროს ჯოხის დანახვას, არ დაიძრა აღვილიდან და სულელურად შექურებდა პატრიონს, — თითქოს საყვედურობდა თვალებით — ვის გაუგონია „პოპ“ უჯოხოდ?

უილოსოფოსის ჯოხი სიმბოლოა ორგანული ჩვეულების, ტრადიციის პრინციპის, კერძის: ჩვენც გვიკვირს, როდესაც ცხოვრება უპრინციპოდ (უჯოხოდ) გვახტუნებს.

პროგრესი არ არსებობს

არსებობს თუ არა პროგრესი? — ასეთი საკითხი ბევრს უსაფუძლოდ მიაჩინა: — არსებობს, რა თქმა უნდა; ქალაქების გაშენება, რკინიგზები, ტელეფონები, ტელეგრაფები, აკადემიები და სამეცნიერო დაბორატორიები, უუფუნების საგნები — განა ყველაფერი ეს კაცობრიობის წინსვლის ნიშანი არ არის? პროგრესი არსებობს: ისტო-

რია თანდათანობით აგროვებს ფაქტებს, მასალებს; ერები გამოდიან პირველყოფილი მდგომარეობიდან, ტოვებენ ტყეებს და აშენებენ ქალაქებს, სწავლობენ, იძენენ ცოდნას, აკეთებენ გზებს, ხიდებს, ცენოსაბიან ერთმანეთს — განა ეს პროგრესი არ არის შედარებით იმ მდგომარეობასთან, რომელშიც კაცობრიობა იმყოფებოდა რამდენიმე ათასი წლის წინათ; ეს მდგომარეობა უკეთესია, უფრო ღამაზია და მისაღები, უფრო ხელს უწყობს საერთოდ კაცობრიობის გაკეთილშობილებას, მაშ პროგრესი არსებობს: ასეთია ლოგიკა კაცობრიობის.

მართალია თუ არა ეს აზრი? ხდება თუ არა საერთოდ ცხოვრების ელემენტების გაკეთილშობილება?

სახელმწიფოებრივი ფორმა არსებობისა უარყოფს პროგრესის იდეას: ისტორია გვიმტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები არსებობენ, არის განუწყვეტილი ბრძოლა და ომი სახელმწიფოთა შორის. ომის დროს ხდება შერჩევა არა უკეთესი ელემენტების, არამედ ისეთი ელემენტებისა, რომელიც საერთო ცხოვრების გაკეთილშობილებას ხელს უშლიან: ომი მოითხოვს, რომ უკეთესები, ტანსაღები გამოიიდნენ ბრძოლის უელზე და ეს ტანსაღი ხალხი ხოცავს ერთმანეთს იმ დროს, როდესაც სუსტინ, ავადმყოფი შინ რჩებიან, ამრავლებენ ავადმყოფ მოდგმას, თაობებს; უკეთესი, უშვეენიერესი ელემენტი ისპობა; სუსტი, უარესი ფიზიოლოგიური და ორგანული სიმახიჯის განსახიერება ავრძელებს თავის არსებობას თავისი ავადმყოფი თესლით. განა კაცობრიობის ინტერესი მოითხოვს, რომ უკეთესი და უშვეენიერესი ელემენტი დაიღუპოს და ცუდი დარჩეს?

სად არის აյ წინსვლა?

ავიღოთ ცივილიზაციის მეორე თანამდევი თვისება: გაქალაქების პროცესი, შემჩნეულია, რომ სახელმწიფო, ერი მით უფრო კულტურულია, მით უფრო პატიცეცემულია, მით უფრო მეტი ღირებულების მატარებელია საერთო თვალთახედვით, რაც მეტი ქალაქებია იმ მიწაწყალზე, რომელიც უჭირავს ერს, სახელმწიფოს.

მაგრამ ყოველი ქალაქი არის ერთგვარი საავადმყოფო: ჰუკექი, რევმატიზმი, ნეკროზი, ლუესი უფრო ქალაქშია გავრცელებული, ვიღრე სოულში. პარაზიტები გადამდებ სნეულებათა სწორედ ქალაქში მრავლდებიან. სოულის პაერი კლას პარაზიტებს, ქალაქის აყროლებული პაერი მათ ამრავლებს. სოფლიდან მოსული ტანსაღი ელემენტი, ტანსაღი ადამიანის მეორე, მესამე მოდგმა ქალაქში უსათუოდ ავადმყოფდება ან ჰუკექით, ან ნეკროზით, ან ლუესით ან სხვა რამე

გადამდები სენით, შეიძლება ითქვას თამამად: ჩაც მეტი ქალაქია ის მუ. წა-წყალზე, რომელიც ერს უჭირავს, მით უფრო ავადმყოფია ერთი, მათ უფრო ახლოა იგი განადგურების კართან. გაქალაქებას თან სდევს და-გენერაცია, ორგანული გადაშენება, ხრწნა... ქალაქი ბუდეა საშინელების, ავადმყოფობის, ქალაქი ბუდეა ტრაგედიისა; კულტურა, ცოვილი-ზაცია გამოიხატება ქალაქების მრავლობაში, მხოლოდ ყოველი ქალაქი მომასწავებელია უბედურების, ავადმყოფობის, დევენერაციის. პარიზი, ბერლინი, ლონდონი — ცენტრებია კაცობრიობის ტრაგედიის: ჰლე-ქი, ლუესი, ნევროზი ანადგურებს კაცობრიობას ამ ცენტრებში. სო-ციალური შერჩევა ომის დროს და გაქალაქების პროცესი ისტორიაში უარყოფს პროგრესს, კაცობრიობის ორგანულსა და ცოვილიზაციურ გაკეთილშობილებას.

მეტყვიან: მეცნიერება და მისი ღირებულება ხომ უდავოა? ჩვენ ხომ ახლა მეტი ვიცით, ვიდრე ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ? მედცინა, ასტრონომია, ბუნებისმეტყველება ჩვენი შემეცნების თანდათანობით განვითარების მაჩვენებელია... დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველა-უერი ვეცოდინება.

— ჩვენი შემეცნება მხოლოდ გარეგნულად არის დიადი და თვალ-საჩინო; არსებითად ჩვენ იმაზე მეტი ბევრი არაფერი ვიცით, რაც იცოდნენ საბერძნეთში არისტოტელეს დროს; ჩვენ დღესაც ბევრი რამე არ ვიცით; ჩვენი გარეგანი გრძნობათა თრგანოები სუსტია სამ-ყაროს რაობის შესაცნაურებლად, მიკროსკოპი, გამაღილებელი შუშა ამის დამამტკიცებელია: როდესაც ჩვენ მიკროსკოპში ვიხედებით, ვე-დავთ, რომ საგანი ისეთი არ ყოფილა, როგორც მას ჩვენ ვხედავთ ჩვეულებრივად, მას ისეთი სახე აქვს, როგორის მიღება შეუძლია ჩვენს მხედველობით აპარატს; ჩვენ რომ სხვანაირი თვალები გვქონ-დეს, მაშინ საგანიც სხვა სახის იქნებოდა; სამყარო, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, არის მხოლოდ ის სამყარო, რომლის დანახვა შეუძლია ჩვენს თვალებს.

ვერავინ დავიდგება, რა თქმა უნდა, იმის თავდებად, რომ ჩვენი თვალები სწორად ხედავთ სამყაროს რეალობას. ორგანული ევოლუ-ციის თანდათანობით სახეცვლილებამ შექმნა ჩვენი გარეგანი გრძნო-ბათა თრგანოები, ერთგვარი ფანჯრები, ერთგვარი ღარები, რომლე-ბითაც უთვალავ წელთა განმავლობაში მოძრაობდნენ სტიქიურად, ბიოლინამიკურად პირველყოფილი პროტოზოები და სპერმები, მაგრამ ფანჯრები და ღარები შეიქმნა მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში და არც ერთ ჩვენს ორგანოს იდეალური სახე არა აქვს. მიზანშეწონი-

ლობას და იდეალობას ბუნება დასციანის, ენა და მორალი — ადამიანის
სამყაროს ენა და მორალი არ არის.

სკეფენბერგმა, პოლანდიდებმა მეცნიერმა, რომელმაც პირველად
ჩაიხედა მიკროსკოპი, აღო და დაწვა ცეცლაფერი, რაც მას ჰქონდა
დაწერილი: გამადიდებელმა შემამ დააწერუნა, რომ მისი წმინდა გო-
ნების კატეგორიები, რომელნიც იყვნენ ამენებულნი მისი მხედველო-
ბითი აპარატის ასახვაზე, ტყუოდნენ და სამყაროს ჰქონდა სხვა სახე,
არა ისეთი, როგორიც მას ეჩვენებოდა და როგორიც მან აღწერა...

ჩვენი ცოდნა, მთელი ჩვენი მსოფლმხედველობა იმაზე არის ამე-
ნებული, თუ რა სახისაა ჩვენი ორგანულ-ფიზიოლოგიური ჩვეულება:
თანდათან გაფართოება, თანდათან გაღრმავება ორგანული ჩვეულებისა
არის საფუძველი ჩვენი აზროვნებისა;

სულის აქტუალობას ქმნის მემკვიდრეობით მიღებული ენერგია
ორგანული ჩვეულებისა.

მსოფლმხედველობა ადამიანის ჩვეულების განვითარების ნაყოფია.
აბსოლუტური, უნივერსალური ხასიათი ჩვენს შემეცნებას არა აქვს:
ჩვენი სული ჩვენი ორგანული განცდის აორთქლებაა... ჩვენი იდები
უფრო ჩვენს ნერვულ სისტემასთან არიან დაევშირებული, ვიდრე
სამყაროსთან. ამიტომ რამდენი მოაზროვნეა წუთისოფლად, იმდენი
სხვადასხვა თეისებები მიეწერება სამყაროს: სპინოზა ყოველგან ხე-
დავს მათებატიურ დფთაებას, ბერგსონი სტიქიურ ძალა ათავაშებას
(elan vital), კანტი უკავშირებს მოვალეობის იდეას ვარსკვლავებსა და
სერცის ესთეტიკურ ჰერეტის. ყოველი ფილოსოფოსი თავისი ორგა-
ნულ-ესთეტიკური განცდის უანჯრიდან იყურება სამყაროში და ყო-
ველ მათგანს ეს ქვეყანა ეჩვენება იმ სახით, რა სახეც უფრო შეეფარ-
დება. მის ორგანული ჩვეულების დენას, ჩვენ უკახლოვდებით ჰეშმა-
რიტებას მხილოდ ილუზიის ფარგლებში: მიუხედავად იმისა, რომ ბევ-
რი უჯრედი და ხვეული შევისწავლეთ, ჩვენი დამოკიდებულება ბუნე-
ბასთან ისეთივეა, როგორიც იყო შორეულ წარსულში. ბევრი რამ წი-
ნათ არ ვიცოდით და დღესაც არ ვიცით. მიუხედავად ჩვენი მეცნიერუ-
ლი და აკადემიური გაქნილობისა, ჩვენზე ისე ბატონობს შემთხვევათა
გრძელი რიგი, როგორც ბატონობდა ადამიანზე მრავალ საუკუნეთა
წინათ.

რაც უფრო შორს მივდივართ ჩვენს კვლევა-მაებაში, მით უფრო
საშინელია ეს ცხოვრება; ჩვენ თითქოს შევდივართ დაუსრულებელ
სახეცეში:

სხვადასხვავები მიკრობები სხვადასხვანაირად ირაზმებიან ჩვენ
გარშემო, ახალ-ახალ სახელებს ვარქმევთ მათ, ვებრძვით დროგამც
შეებით, მაგრამ ვემორჩილებით ბოლოს და ბოლოს...

სამყაროს ნახევარზე მეტი მიკრობებს ეკუთვნის, პარაზიტები ჩვენ-
ში და ჩვენ გარშემო ისე დასეირნობენ, როგორც მეფეები თავიანთ
სასახლეებში. მეცნიერს, რომელიც ქვეყნის შემეცნებას ცდილობს, ხე-
ცოცხლეს უსპობს ხშირად უბრალო ტილი, უბრალო ხიწვი, თუ არსე-
ბობს ქვეყნად მიზანშეწონილი წინსელა, თუ არსებობს ბუნებაში
პროგრესი, თუ მართლა ბუნების მიზანია კეთილშობილი და უკეთესი
ელემენტების გაჩენა, მაშინ რა საჭიროა ადამიანის შემდეგ პარაზიტე-
ბის გაჩენა? ზოგიერთი გვარის ტილები, ვენერიულ სწეულებათა მიკ-
რობები გაჩნდნენ, ცხადია, ადამიანის შემდეგ. თუ ბუნებამ შეცდომით
შეგმნა ადამიანის გაჩენამდე მორიელი, რწყილები და სხვავები მავნე
ცხოველები, შეიძლება ეს საჭირო იყო ორგანული ეკოლუციისათვის,
მაგრამ სრულებით გაუგებარია ადამიანის გაჩენის შემდეგ პარაზიტე-
ბის გაჩენა: ეს იმას ნიშნავს, რომ ნაპოლეონისა და ლუქესის მიკრო-
ბებს ბუნება ერთნაირად უყურებს და მათ შორის ვანსხვავებას ვერ
ხედავს. ნუთუ ნაპოლეონი უფრო კეთილშობილი სახე არ არის შემოქ-
მედებითი ევოლუციის, ვიდრე ლუქესის მიკრობი? პარაზიტი ცხოვრობენ
ბერგსონებიც და სუსუნატის პონოკიებიც. რად ესაჭიროებოდა შე-
მოქმედებით ეკოლუციას? რა საჭიროა თ-თე სევინის სხეულთან
ოთანმი ბინადრობდეს საზიდარი მორიელი? მაგრამ, კიდევ უფრო
უაზრობა არაა განა სასქესო ორგანოს არსებობა იმ აღავას, საღაც
იღი არსებობს? განა ღვთიური ცახცახი, რომელსაც ჩვენ განვიცდით
სქესობრივი მოთხოვნილების დაქმაყოფილების დროს, უფრო ღამაზი
და ესთეტიკურად მისაღები ადგილით არ უნდა იყოს გაღიზიანებული?
ეტყობა ჩვენი ესთეტიკა, ჩვენი მორიალი, ჩვენი კატეგორიები ბუნე-
ბისათვის უცნობია და თქმულება პროგრესისა და საერთო ცხოვრების
მიზანშეწონილობის შესახებ ერთვეარი ზღაპარია, შექმნილი იმ დროს,
როდესაც ადამიანს ენატრებოდა მყუდრო, მეზჩანურად აწყობილი,
ტკბილი ცხოვრება, ცხოვრება სავსე იდილიებით. ფილოსოფია, მიხი
მოვალეობის იღეა, მისი კატეგორიები ერთვეარი გამომხატველია კა-
ცობრიობის მეშჩანური სულიერი განწყობილებისა. პროგრესისა და
მიზანშეწონილობის იღეა მხოლოდ ისტორიული ზღაპარია.

ისტორია არის შემთხვევათა გაქანების პროცესი, შემთხვევების
კოლონიალური რყევა; ამ დაუსრულებელ რყევასა და გაქანებაში არ
არის შესვენება, არის ქარიშხალი, ხეტიალი, გარდაქმნა, სახეცვლი-

ლება; ადამიანები, მათი კულტურა, ცივილიზაციური დირებულებანი, საუკუნეები, აკადემიები, დიდ ქალაქები დროული, შემთხვევითი ფორმა მებია ყოვლობის მარადიული ხეტიალისა. სხვადასხვა დრო, დაწესებულებანი, დირებულებანი, კულტურული ტიპები, მართალია, დაშლილ ელემენტებად შედიან ახალ მიმართულებებში, როგორც ბაბილონელების ასტრონომიული ცნებანი, როგორც ელინების მსოფლმხედველობა კერძოის კულტურაში, მაგრამ მთლიანობა, ინდივიდუალობა, სახეობა კულტურულ-ცივილიზაციური იკარგება ყოფის დაუსრულებლობაში და ისტორიული ეპოქა, მისი სული და იდეა წარმოადგენს სამყაროში ტრაგედიულ ეფექტობას, რომლის ნაწილები მარადიულ ხეტიალში ერთმანეთს ვერ ცნობენ და რომელსაც ეკარგება წუთისოფულური ინდივიდუალური მოფარგლულობა.

ჩეენ ვაცით ცივილიზაციური სტრუქტურა, კუონომიკური ტიპები, სახელმწიფოებრივი ფორმები ძეველი ქვეყნების, მაგრამ, ჩეენ ვაცით მხოლოდ შემთხვევით დარჩენილი მასალებით; მეცენატები და დიდი მოღვაწენი, წინასწარმეტყველები და მოგვები, მეცნიერები და ფილოსოფისები კვეთებდნენ თავიანთ დიდსა და საკაცობრიო საქმეებს შემთხვევით: ნიუტონს რომ მაგარი სურდო დამართოდა იმ დღეს, რა დღესაც მას თავში მოუვიდა იდეა მიზიდულობის კანონისა, შეიძლება შემდეგ სრულებით არ დაიიქრებულიყო მმ კანონზე, და კაცობრიობას შეიძლება დღესაც არ პქონოდა გარკვეული წარმოდგენა სამყაროს მოძრაობის შესახებ.

ნაპოლეონის მამა რომ დამთვრალიყო იმ დროისათვის, როდესაც ნაპოლეონი ჩაისახა დედის მუცელში, შეიძლება თვით ნაპოლეონი რაქიტიანი და რეგვენი ყოფილიყო, როგორც ჩეეულებრივად ხდება ალკოლოდიკების ოჯახში.

შემთხვევითია ყოველი წარმოსახვა, შემთხვევითია ყოველი მოქმედება, მოძრაობა და ფორმა: გარკვეული, განსაზღვრული, სწორი ლოგიკური და მიზანშეწონილი პლანეტარულ ყოფაში არახარ არის; კულტურულ-ცივილიზაციური ათერიალება და ნერვული ლაყლაყი შემთხვევათა დემონური თამაშია და ჩაც არის ისტორიაში, არის მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევათა დენამ წარმოშეა.

არც თეოლოგიური, არც იმანენტურ-ტელეოლოგიური აზრი და მიზანი ჩეენს ყოფასა და კულტურას არა აქვს წუთისოფლად.

უკი დრო პრეისტორიული: ადამიანი ცხოვრობდა გამოქვაბულებზე, დაზიოდა შიშველი; მხეცის ტყავის გაძრობა მისი იდეალი იყო: მას

ჰქონდა ერთადერთი იარაღი — ქვის ნაჯახი; ადამიანი არ იცნობდა დედამიწის სიმდიდრეს, ნივთების თვისებებს; პატრიატის მოვლენაში მასში იწვევდა გაეკვირვებას; მიწის დამუშავება არ შეეძლო, მრეწველი ვერ გახდებოდა; შიშველი, დარიბი, ალქატი, მშიერი ადამიანი დადიოდა ტყეში, ისვენებდა წყლის პირად.

გრძელი რივი პრეისტორიულ მოდგმათა გამყვა უამთა დენის; შეუცნობელი, გაურკვეველი ბურუსი ფარავს შორეული წარსულის კულტურას, წინაისტორიულ ეონებს.

ცივილიზაცია ეგვიპტური, ქალდეური, სპარსული, ელინური და რომაული რიგ-რიგად გადიან ისტორიიდან. მსოფლიო კულტურის დიდი ქალაქები: თებესი, სპარტა, კართავენი, ათინა, რომი ტოვებენ ნანგრევებს; კაცობრიობა მაინც ჯიუტად იბრძვის; მეცნიერები არკვევენ მატერიის თვისებებს, კოსმოსურ სფეროებს, ერები აშენებენ ქალაქებსა და სახელმწიფოებს, ქალაქთა შორის გამყავთ გზები, გვირაბები, მავიულები; აშრობენ ჭაობებს და ჭანჭრობებს; ქალაქებში კეთებენ სახლებს, სასახლეებს, მუზეუმებს, პანიონებს. ქარხნებში ამზადებენ საჭირო ნივთებს და საგნებს; ფერმებში საქონლებს და ფრინველებს მარავდებენ; აღნობენ მაღნებს, წურავენ სურნელოვან მცენრებს; კოსმეტიკურ სითხეებს კონსერვებად აწყობენ; სამკურნალო მარილებს წმენდენ ქიმიურ ლაბორატორიებში.

ხომალდები აერთებენ კონტინენტებს და ოკეანეებზე ლალად დასეირნობენ; რაღოთ მიაჩხეეს პატრიატის ტალღებს და კუნძულები ერთმანეთს დამორჩებული, გარკვევით ლაპარაკობენ ერთმანეთის გასაგონად.

ბაღები, ბოსტნები, ამწვანებული მინდოორუელები, ხეხილი; რეინიგზებით დასერილი და ელექტრონით განათებული ავარაკები; დიდი ქალაქები თეატრებით, ვიტრინებით და ქვაფენილებით, მეცნიერებით, პოეზიით და ფილოსოფიით — აი დღევანდელი სახე მსოფლიო კულტურის.

მაგრამ, ეკულმართ წუთისოფელში ადამიანი დღესაც ისე უბედური და საცოდავია, როგორც პრეისტორიულ ეპოქებში: შიში და აკონია ღღესაც წვავს ადამიანის ნერვებს; უსამართლობა და წინააღმდეგობა ღღესაც კლავს ადამიანის ნებისყოფას. თუ ტროგლოდიტს ეშინოდა მხეცებისა და გვეღების, დღევანდელ ადამიანს მიერობებისა და ტილების ეშინია.

ნიუტონებს და პასკალებს ბუნება ისე ხოცავს და ამრავლებს, როგორც მორიელებსა და ჰონორეებს.

ჯიშებისა და გვარების ეკოლუცია სიკეთესა და ბოროტებას სწეომენს, როგორც ჩვენ ვითმენთ სიცივისა და სითბოს ცვალებადობას. საშაროს აზღვავებულ ძალთა გაქანებაში ადამიანი თავისი ფორმულებით და ქიმერული წრეწირებით საცოდავია, საზიზღარი რომ არ იყოს თავის ფლიდობით, ცულლუტობით, პრანჭიაობით და ფიზიოლოგიური მოყვანილობით.

არასოდეს კაცობრიობის წარსულში გულშემატკიცრობას და თანაგრძნობას არ პქონია ადგილი, და სწორედ ამაშია ცხოვრების საშინელება — ადამიანის მორალისა და სინამდვილის — უთმებმოება: ერთი რომ საფლავში მიდის და ფერფლად იქცევა, მეორე ერთსის ცეცხლში იძირება, პირველყოფილ ძალთა სიგივისა და ნეტარების მორევში ბანაობს; ერთს რომ სიყვარულის და ბედნიერების ბულბული უმღერის, მეორეს მაშინ ცხოვრების თავშეუკავებელი და უზნეო დემონი ჯოჯონეთისაენ მიაქანებს; ერთი რომ სივრცეში მიმოფანტულ მნათობთა გუნდების ჭერეტით ტკბება და უთვალავ ყვავილთა სუნთქვით ძღება, მეორეს მაშინ პირი ევსება ჭიებითა და ბუზებით.

ადამიანი — პოეზიისა და ფილოსოფიის საუჯვე, ჭეშმარიტებათა ზეიადი მეტყველი, კულტურისა და ცივილიზაციის მესაჭვე, ჭუჭყანი, სუნიანი და მყრალია, როგორც ტაბასტიანი დედაკაცი.

ოჯახი, ცოლი, შვილი, ნათესაობა, სახლი, სამშარეულო, კულტურა ჩევეულებებით გატებილებული სახელებია. წუთისოფულური ჭუჭყი და სუნი უნდა გეზიზღებოდეს, თუ ხარ კეთილშობილი...

მარადობაში ჩვენი ოჯახი და სიყვარული, ნათესაობა და მეგობრები ისე გაითანაზება, როგორც ცეილონის კუნძულზე ქარიშხლის დროს ტყეში დამხრივალი ბეღურის ფრთები...

ჩვენი სული და გონება სოფიზმებითაა დაბლანდული, კაცობრიობას არა აქვს შინაგანი შედუღება, ერთეული სული; არსებობენ ეპოქები, არ არსებობს ისტორია: თითქოს როგორც გრანდიოზული მძიმე არტილერია, სავსე ცეცხლით და ენერგიით, დელავს და ორთქლდება სამყარო: ჭლექის მიერთები და სოკრატები, რდვევის დემონები და კეთილშობილი სულები ერთნაირად დაძრწიან, შემთხვევებს ერთნაირად ემორჩილებიან.

გაივლიან რა ჩქარსა და უაზრო ცელილებებს, დაღლილი, დათენ-თილი ერები შეუცნობელი უფსკრულისაკენ მიექანებიან — როგორც

აცეცხლებული დეგენდარული არმია მაძიებელი სულებისა, ჩვენ გამოვდივართ არარაობიდან და შემოვირბენთ რა ქარიშხლიანი გაქანებით ჩვენს ყოფას, ჩმახსა და უთავბოლოს, ისევ არარაობაში ჭიკარებებით.

მარადისობის იღვა

საღამო ყამს, როდესაც დიდი ქალაქის ქუჩებში ჩოჩქოლი დაწყნარდება და სივრცეში შორიდან აიშლება ძაღლების სევდიანი ყეფა, სული ჩვენი ატორტმანდება და გული ნერვიულად შეიკუმშება; საუკუნეთა კარები ლანდურ ჩვენებაში გაიღება: ერებსა და სახელმწიფოებს, სხვადასხვა დროის ღმერთებსა და ლეგენდებს, მეტყველების სისტემებსა და პიპოთეზებს რაღაც მწუხრული ზეწარი გადაფუარება. ატირდებიან სეები, ფოთლებში აშრიალდება ენტელექტის რიტმი და მდინარეები წელად აორთქლდებიან, თითქოს ნერვები ყოველობის გრანდიოზული სხეულის, რომელიც დაუსრულებლად იწვის და დელავს, განიცდის და კვამდება. დიდი ქალაქის ნოტიო დინჯად აიღრუბლება და ყოფა აღაშიანისა ამ ბურუსით გარშემორტყმული, თითქოს იძირება გაურკვეველსა და უთავბოლო ნირვანაში.

სამყარო იწყებს ლოცვას: მინერალების ბუყბუყი, მცენარეების ზორება, პირუტყვების დელვა, ადამიანების განცდა დვთიური რყევაა ურიერსალური სულიერობის, ყოვლიობის ენტელექტის. ჩვენს ნერვულ სისტემაშიც იღვიძებს სურეილი განყოვლადების, სურვილი სახსე სინაზით, სავსე ალერსით და წყურევილით.

არც ერთი ბოროტი აზრი, არც ერთი ცუდი ფიქრი ჩვენში აღარ არის... სიერცე, ეაცობრიობა, ქალაქი, სახურავები სახლებისა და ქუჩების აგუგუნებული ტროტუარები მარადობის იდეით ივსება: თითქოს უხილავი ატომები ჩვენი განცდისა და სულის მღელვარებისა ეფინებიან წუთისოფელს, საგნებსა და მოვლენებს; თითქოს ჩვენში ალაპარაკდნენ ჩვენი წინაპრების დაუქმეყოფილებელი სურვილები, თითქოს ჩვენში ამღერდნენ დაღუპული სახელმწიფოები, ერები და ბიოლოგიური ტიპები.

ადამიანთა შორის მტრობა და ლალვა, წუთისოფლის ჭორები და ინტრიგები სასაცილო და საზიზღარია ამ წუთს დაუსრულებლობის წინაშე:

გაუგებარია, რატომ ადამიანი ადამიანს ახრჩობს; რა საჭიროა ქვეყნად ამღენი ცრემლი, ამდენი წვალება და ერთმანეთის დევნა:

ქვეყანა დიდია, არსებობს მარადიული, მოძრაობა დაუსრულებელი, პლანეტარული სახეცვლილება უსაზღვრო, ჩეენი ინდივიდუალური კო-უა კა წარმავალი, ხრწვალი და უსუსური...

ჩეემ სირცხვილი არ იცის — რამდენი საუკუნეა დაპყურებს გულ-გრილად დედამიწასა და მის ცოდვებს.

პირველყოფილი ქაოსიდან ადამიანის კულტურამდე დიდი და გრძე-ლი გრძა გასული, ოლროჩოლრო.

არსები და მოვლენები ყოველ წუთს იღუპებოდნენ და დღესაც იღუპებიან ამ გზაზე.

დეპიდონდრონებისა და იქთოზაერების ეპოქა, გეოლოგიურ-ვულ-კანური დედამიწი, ტრიოკლოდიტების ხეტიალი და შიში, სახელმწიფო-ების დაუსული იმედები, ოლიმპოს ასხივოსნება, ღმერთების, გმი-რების და იმპერატორების ტრაპახი, მეცნიერება, სოფიზმები — ყვე-ლაფერი დეგენდაა, ტანჯული სულის დეგენდა.

ჩეენი ქიმიის და ფიზიკის კანონები, მათემატიკის ფორმულები და ლიმიტები მოხერხებული თქმაა კოსმოსური დეგენდისა, მხოლოდ თქმა, ზღაპარი... თავის ქალა, რომელშიც დღეს მოთავსებულია და-და აზრები და იდეალები, რომლებიც დღეს ერთგვარი საყდარია ბუ-ნების მოვლენებისა, ხვალ მტკრად იქცევა და ჭია-ღუებით იცისება.

ჩეენი ზეიალი და გაპრანჭული ყოფილან რჩება მხოლოდ ერთი მუჭადა მტკერი და ვინ იცის, სამყაროს დაუსრულებლობაში ვინ უფრო მაღლა დგას: ნაპოლეონი თუ ტასმანის ბეღურა, კანტი თუ ცეილონის კენგურუ?

სეედავ მარადისობისა, დაუსრულებლობის იდეავ, რა პატარაა თქვენ წინაშე წუთისოფელი? რა სასაცილოა ჩეენი ყოფა, რა უმისნოა ჩეენი ღელებინი? რა სულმოკლეობაა ჩეენი წუხილი?

ოჯახი, ცოლი, შეიღი, დედა, ნაოესაობა, ერთმანეთის პატივისცემა და ფარისეელობა, მეგობრობა, ზეიალი პათოსი და უზრუნველყოფილი მოქანება, ჩეენი კუთხური ჩეეულებები, მორალი, აზრები — ყველა-ფერი ღროულია. ღირებულება მარადიული არაფერს არა აქვს, ყვე-ლაფერი შემთხვევითია: შემთხვევით ვიბადებით, შემთხვევით წავალთ წუთისოფლიდან და უდიდესი ყოფა, უმშვენიერესი სახე დავიწყებას მიეცემა...

ჩეემ გვერდით აგერ სძინავს ჩემს პატარა ქალიშეილს, ღიმილი პატარა ტუჩებს ნელა არხევს: ეტყობა, ძილში ჩაპყოლია ტკბილი უიქრები და უმანჯო სული თცნებას განაგრძობს; არსებობის ტკივი-

ლები მას ამჟამად არ აწუხებს; სული მისი დარღვა და კპვებს
იცნობს.

მაგრამ, ვინ იცის, რომელი შემთხვევა, სად რას იზამს: ვინ იცის,
რომელი სენის საზიზლარი მიყრობი სად, როდის შეიპარება მის მშეე-
ნიერ ტანში? ვინ იცის, რა ტანჯვა მოელის? რამდენი ცრემლი დას-
ჭირდება? ვინ იცის, რა პირობებში დავშორდებით წუთისოფლად ჩვენ
ერთმანეთს? შემდევ ხომ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ შევხვდებით;
დაუსრულებლობის დენაში შეიძლება ჩვენი სხეულების უჯრედები
ერთმანეთს შეხვდნენ საღმე, რომელიმე ხეობაში, ან მთის მწვერვალ-
ზე, ან ოკეანის უფსერულში, ან გარყევილი ქალაქის რომელიმე
მტვრიან შესახვევში, მაგრამ ერთმანეთს ისინი ვეღარ იცნობენ, ისე
დაშორდებიან ერთმანეთს და გაგრძელდება სამყაროში მათი უნუგეშო
ხეტიალი.

სიყვარული, იმედები, ალერსის ტკბილი გრძნობანი, ჩვენი ყო-
ველდღიური ჩვეულებები, ერთმანეთის ცქერა, თამაში, სიხარული,—
ყველაფერი გაქრება, გაქრება ისე, როგორც სიზმარი, როგორც ლეპა-
დონდრონები და ბრონტოზავრები, პალიკარნასელი მეოცნებენი და
სევდიანი რომანტიკოსები.

რაღაა ჩვენი ყოფა, წუთისოფელი? რა საჭიროა ეს ცრემლები,
სევდა, წუხილი, კომერციული განვაში და მანქანების თქრიალი? რა
გვაჩქარებს, რას დავეძებთ?...

ერები, სახელმწიფოები რისთვის დელავენ? ყველაფერი ტერიტო-
რიულ-ფიზიოლოგიური ეკოიზმია და ყოველგვარი რომანტიკა თრგა-
ნელი სისავსის ვნებიანი აორთქლებაა: ეგვიპტე, ასურეთი, ათინა,
რომი, კართავენი დელავდნენ, ტერიტორიულ-ფიზიოლოგიურად იწ-
ვოდნენ, ეძებდნენ, იმედებში. იყვნენ... სადღა არიან კეთილშობილი,
მაძიებელი სულები?

აღელდნენ, ასხივოსდნენ, გაქრნენ...

— დარჩა მხოლოდ დევენდა, თქმულება, დარჩა მხოლოდ მოვ-
ნება ცარიელი, სევდიანი, — დავიწყება მარადიული, არარაობა მტვრი-
ანი, ამაოება ჩუმი.

სამყაროში დაძრწიან წარსულის უჯრედები და სულები: პირუ-
ტყვების ღმუილში, მცენარეების შრიალში, მინერალების აქაფებაში,
ჩვენი საფეთქლის რიტმულ რხევაში წარსული მღერის, მუსიკას უკ-
რავს...

ყოველ წუთს ჩვენ ვიშლებით, წარსულში ვიძირებით, ვიკარებით: ირლავა ჩვენი ყოფა, იცრიცება ჩვენი სახე და უჯრედები ჩვენი ორგანული ერთეულისა თანდათანობით შორდებიან ერთმანეთს და თითოეულ მათგანს მიაქვთ ჩვენი სულის ნაწილი, მიაქვთ ჩვენი ტკბილი ჩვეულებები და იმედები.

ყოვლობის არითმია არ გაიმეორებს არასოდეს სურვილებსა და ტკბილ ჩვეულებებს ჩვენი მეობით: მარადობის თქრიალში განმეორდება ყველაფერი, ჩვენი სხეულის ნაწილებიც განმეორდებიან, მაგრამ ჩვენი მე — მთლიანი, ერთეული, ვნებიანი, შემოქმედი, ცეცხლოვანი, ჩვენი მე — თესლით, სისხლით, სიყვარულით. იმედებით ვერასოდეს ვეღარ განმეორდება. რატომ დილიდან საღამომდე ერთმანეთს არ ვკოცით? რატომ ერთმანეთის ალერსში არ ვატარებთ დროს? რატომ ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, ეჭიზლებათ?

არსებობის ქარი მიქრის და მიეჩარება; ადამიანს, მცენარეს, პირუტყვს — ყველაფერს შემთხვევა ათამაშებს: რაც იყო, აღარ არის, რაც არის, აღარ იქნება. ლეგენდები და თქმულებები დარჩება; ბოლოს ლეგენდებსაც დაივიწყებენ, ხსენებაც არ იქნება.

სიერცეს, პლანეტებს, ზესკნელს, გარესკნელს ჩვენი წვალება, უმიზნო განგაში და ტევილები არ აწუხებთ: ჩეენ სადღაც უპატრონოდ ვართ დაკარგული და არავის ვეცოდებით.

შემთხვევა გვათამაშებს ყოველ წუთს: შემთხვევა ქუჩაში, შემთხვევა რეინიგზაზე, შემთხვევა ზღვაში, შემთხვევა ჭამის დროს, შემთხვევა წყლის დალევაზე. შემთხვევა დღით, შემთხვევა ღამით — წუთისოფელი შემთხვევათა შეუწყევერებელი დენაა; დიდ ქალაქებში მეცნიერები და ლუკესის მიკრობები ერთნაირად ემორჩილებიან შემთხვევებს...

ადამიანები მაინც ტრაბახობენ, მაინც იპრანჭებიან; მეცნიერები და ქალები მიზნებს ისახავენ და იმედებით ბერდებიან;

ქვეყანა სავსეა ცრუ პიბოთეზებით და ყალბი პათოსით. ქალები კოცნას ერიდებიან და ინახავენ ლამაზ ტუჩებს ჭიებისათვის; განკერძოებულია მშვენიერება, თითქოს მდინარეში წყლის დალევა არ შეეძლოს რამდენიმე პირუტყვს ერთად.

ვადმყოფისთვის ექიმი მოგვყავს და ვარჩენთ იმიტომ, რომ ხელმეორედ გახდეს ავად, თითქოს ერთხელ ტანჯვა საკმარისი არ იყოს...

სოფიზმებით და მეშჩანობით შეკრულია წუთისოფელი: ნებისყო-

ფარომ ერთ ნაბიჯს წინ გადააღმევინებს ადამიანს, ტრადიციული სოფიზმები მეორე ნაბიჯით უკან წევენ მას...

უდიდესი მტერი ადამიანის მისივე სოფიზმებია; უდიდესი დეფექტი კულტურის ლოგიკა — ჩვენი, ტრადიციული, ისტორიული დოგია, ლოგიკა, რომელიც ჩამოიდგება ჩვენს სულს, როგორც მეღლი ტანისამოსის სასირცხვო ნავლეჯები...

დააკვირდით სიერცის სიღრმეს: აյ არც ზომა და არც საზღვარია; ჩვენ რაღაც მოვჭორეთ წუთისოფლად, გამოვიგონეთ კატეგორიები, მორალი, მოვალეობა და ვიხრჩობით ჩვენს ჭორებში.

საწყალი ადამიანი ცრუობს თავისითვის, სივრცე ლურჯი, თვალშიწყვდომელი იცინის...

იყვნენ საუკუნეები და ხალხი; მზე ამოდიოდა და ჩადიოდა როგორც ყოველთვის; მოდგმები არევდარევით იცვლებოდნენ; ოჯახერი და სოციალური დირექტულებანი იქმნებოდა: ქალები ქსოვდნენ, კაცები ნადირობდნენ, ვაჭრობდნენ, ოცნებობდნენ, მუშაობდნენ — აშენებდნენ სახლებს, თხრიდნენ არხებს, იყო სიყვარული და ალერსი, იყო სევდა და წუხილი.

უთვალავი კეთილშობილი ზრახვანი, დიადი განცდანი და ფიქრები, იდეალები და მოქმედებანი იყო — ფაუსტებისა და პამლეტების ეპოქა — ჩვენი ცივილიზაციის ტრაგედია — ყალბი მორალის ღამიაზი პათოსი იყო და ხსენება დარჩა ჭლექითა და ლუესით დაავადებულ კაცობრიობაში.

მოდგმას მოდგმას მისდევს აჩქარებით; სხეულებრივი ფორმები არ-სებობისა მარადიული წყვდიადიდან გამოდიან: ტრიალებენ, ირყევიან, ქანაობენ, ეძებენ და ტირილით ისევ წყვდიადში იყარებიან. ღანცები მომრაობენ პლანეტარულ გარსში გახვეული: როგორც გრანდიოზული, მძიმე არტილერია, ღელავს და ორთქლდება კაცობრიობა; გაიღლის რა ჩქარსა და უაზრო ცვლილებებს, შეუცნობელი უფსკრულისაენ მიექანება.

როგორც ლეგენდარული არმია მაძიებელი სულებისა, ჩვენ გამოვდივართ არარაობიდან და შემოეირჩევთ რა ქარიშხლიანი გაქანებით ჩვენს ყოფას, ჩმახსა და უთავებოლოს, ისევ არარაობაში ვიკარებით.

მართალია, ჩვენი განცდა და სულისკეთება მომავალში შევა, უჯრედები ჩვენი ტანისა იქნება დაუსრულებელ ხეტიალში; ჩვენი სხეული ქმიტურად სახეცვლილი, ნაწილებად შევა სხვა სხეულებში, მაგრამ ჩვენი მე, ჩვენი სახე არასოდეს აღარ იქნება, წავა და ვეღარ წა-

მოვა კვლავ წუთისოფლად; ბუნების ცვლილება სპობს ინდივიდუალობის სისალეს; ინდივიდუუმი მყიფე ელემენტია ბიოლოგიური სტრუქტურისა და ნივთერებათა მიმოქცევადობა შლის სახეს, ტიპს: რკინა უანგად იქცევა, სპილენძი ხენჯად, აღამიანი მტვრად.

მარადობა ათრევს და ალალობებს ელემენტებს, სახეს კი ხერწის...

თარგავლობის სავა

So ist das Leben.

ნ ი შ ე

დაუსრულებელი ფერადობა, ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების გაშენება, დიდ ქალაქებში უაზრო ჩოჩქოლი, მოუსევენარი მდელეარება, პროფესორებისა და დოკონტრების ტრაბახი, ტყეული, სიცრუე, მოწამლული პაერით სუნთქვა, ჭლექი, ვენერიული სნეულებანი, შანტაჟი, კომერციული ავერები, გაიმურა და უსინდისო პირთა ინტრიგები, დილეტანტების და უზნეო ქალების შეღებილი ლოკები, შრომელთა ოული, მოტუებულთა ცრემლები, მეოცნებეთა შიმშილი და სიღატაე — აი ცივილიზაცია, აი ის, რასაც ჩვენ ვეძახით კულტურას, განათლებას, წინსელას...

მაგრამ ყველაფერი ეს იყო ძველად:

რომი, ბაბილონი, კართაგენი, ათინა იცნობდნენ კულტურას, — სული დალის ამ „ბედნიერებაში“.

ჩვენს დიდ ქალაქებსაც ძველი ცივილიზაციის ცენტრების ბედი მოეღის:

მიიხრწნება ორგანულად და ამოშრება წუთისოფლად პრობლემებისა და რეაქტივების, ინტრიგებისა და შანტაჟების მყრალი ჭაობი; ბოლო მოეღება აღქიმიკოსთა ფუსფუსს და მორწმუნეთა იდეალი კოშმარით დამთავრდება: ველად გაჭრილ პირუტყვთა ბლავილი და შუალამის სიჩუმეში ძალლის სევდიანი ყეფა სიმუონიურად დაასრულებენ არსებობის ზღაპარს.

რაც არის, აღარ იქნება...

საუკუნე საუკუნეს მისდევეს და აჩქარებით ერთმანეთს ფარავს, ვით დაუსრულებელი ჯაჭვის მარგვლები; საზღვარი არა აქვს სამყაროს, საზღვარი არა აქვს არც სივრცეს:

რაც უფრო შორს იხედება საწყალი ადამიანის კონება, მთე უფრო დიდია ეს ქვეყანა და პატირა ადამიანი — ადამიანი, ოცნებებისა და ცრემლების აღუვსებელი ჭურჭელი.

პლანეტები და ვარსკელავები სივრცის სიღრმეში მიმოფანტულან, იკენები და მათი კუნძულები ვადაშლილან დედამიწის გარშემო; დედამიწაზე მინერალების, მცენარეებისა და ცხოველთა გრძელი სუნთქვა ისმის — უსწორმასწორო, ხალვათი.

საუკუნეთა დასაწყისში აცეცსლებული კოსმოსური ნისლოვანები სივრცეში დახეტიალობდნენ; ერთი მათგანი შეიქმნა — ჩეკი მზე თავის გარშემო მოსრიალე პლანეტებით, რომელიც უთვალავ წელთა განმავლობაში მოსწყდნენ შუაგულს, სივრცეში თანდათანბით გაცივდნენ; გაციებულსა და ჭეპყიან ფენებზე მინერალური ელემენტების უსწორმასწორო. გადაჯგუფებასა და აბუყბუყებაში მცენარეები და ცხოველები გაჩნდნენ, მათ შორის წარმოიშვა ადამიანი — მოსერხებული, ფლიდი, ცულლუტი, მანკიერი და ეშმაკი.

წუთისოფელი ძალდატანებაა: ჭიანჭველა მიეჩქარება მწერის დასაჭერად, მონადირე ტყეში ათვალიერებს თავის მსხვერპლს, მეთევზე გულის ფანცელით ელის ანკესზე თევზის მოხევდრას; მეომარი მტერს ემუქრება და შურით ივსება, თითქოს ვერ ეტევა ამქვეყნად, თითქოს მას არ ყოფის მზე და ჰაერი.

ქარი ქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთისოფელი;

ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განშეორდება.

გრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობისა და წარმავლობისა?

გრძნობ თუ არა, როგორ იკარგება შენი სახეობა დაუსრულებელ ძალთა და სახეთა მიმდინარეობაში?

— თუ გრძნობ, რადა ხარ ეგრე შურიანი და ბოროტი? შეიყვარე და შეიგრძენი არი ყოველი:

შეუერთე სული შენი სიცოცხლის მოძრაობას, სუნთქვას ბალახებისას და მდინარეების აორთქლებას: ხომ ხედავ, რა უცბად ქრება ყველაფერი?

მხოლოდ მებსიერება, მწვავე მებსიერება რჩება, რომელიც არ აძლევს მოსვენებას ჩეენს სულს, სხეულს და ნერვებს. მართლაც, რა არის სიამოვნება, რომელიც ჩეენ ბედნიერებას გვპირდება?

ან რა არის ტანჯვა, რომელიც ჩვენ ეგრე გვაშინებს?

მხოლოდ ჩვენი ჩვეულება, ჩვეულების სიტყბოება და მისი უარის ყოფა.

რა უაშროა ადამიანის ცხოვრება?

* * *

ჩვენ არ ვიყავით წუთისოფლად, ვართ და აღარ ვიქნებით: მარა-
ლობა წარსულში, ესე იყი ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრუ-
ლი; მარალობა მომავალში, ესე იყი, ისევ ბნელი და თვალგადაუწვ-
დენელი უფსკრული.

შუაში რაღაც მოჩვენება, პატარა, სუსტი, წარმავალი მოჩვენება,
რომელსაც სადღაც მიეჩქარება, რაღაცას ეძებს და თან ამ ძიებასთან
ერთად ქრება და იყარება; სივრცე ლურჯი, თვალშიუწვდომელი
ფანჯრებიდან შორს ტურფად იშლება.

— ეგრე იყო, ეგრე იქნება. რად არის წარმავალი ადამიანის ცხოვ-
რება?

* * *

ან რა აშინებს ადამიანს და რატომ არის იყი ასე სულმოკლე?
სულერთი არ არის განა:

— სამი ღლე გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლე თუ სამი საუკუნე?

კველაფერი ამაოება და უაშრო მოქანცულობაა, მოქანცულობა
დაუსრულებელი. ხრწნა და დავიწყება წუთისოფლად ყველაფერის ბე-
ჭია.

ქრება სიყმაწვილე, თითების მწველი სურვილები ნელდებიან; ე-
თოლშებილი ზრახვანი გულისა და სულის აღარ განმეორდებიან და
მოვინებანი იმზა, რაც იყო, დიდხანს ჩვენთან აღარ დარჩებიან.

ქარი დაბერავს და სახე გამოიცვლება; ვნებათა ლელვაში დაქან-
ცელ გულს დასვენება მოენატრება, მთელი ცხოვრება თითქოს და-
ცინებით შევხედავს; და ის, რაც შენ წუთისოფლად ვინახავს, სიკეთე
იყო თუ ბოროტება, ტანჯვა იყო თუ სიამოვნება, ზღაპრად დარჩება;
სინაწულის გრძნობა გულზე ჩამოგეყიდება, როგორც მძიმე ქვა. ცრემ-
ლებით წარსულს ვერ დააბრუნებ და დაუკმაყოფილებელ სურეილთა

შერისძიება დაგახრჩობს, როგორც შეუბრალებელი მევაღე. ყოფა
შენი მერყევია, ისე როგორც ყველაფერი წუთისოფლად:

ცხოვრებაში, როგორც სიცრუეთა და მოტყუებათა ჯურმულში,
უკაველ წუთს უნდა ელოდე უსამართლობას და განსაცდელს. სიცრუე
ყველაფერში და ყველგან სიცრუე;

არ არსებობს წუთისოფლად არც ერთი ღირებულება: მეგობრო-
ბა, ნათესაობა, საზოგადოება, სიყვარული, თანაგრძნობა — ყვე-
ლაფერი მოტყუებაა: არ არის ქვეყნად ისეთი ადგილი, სადაც წმინდა-
სა და კეთილშობილ სულს შეეძლოს დასვენება სიყვარულისა და
მიმზიდველობის მახლობლად — ადამიანი მარტოა: მას გარშემორ-
ტყმის პლანეტარული სივრცე, კულტურული ფარისევლობა და უმ.
წეობა. ცხოვრების სისავსე, სიხარულის გრძნობა, წარმართული ვნე-
ბათა დელვა, ცახცახი სიყვარულისა და ნდომა მშენიერებისა მხო-
ლოდ ორგანული ბუყბუყის აორთქლებაა.

* * *

წუთისოფელი ირაციონალური, უთავბოლო და უზნეო მიმღინა-
რეობაა: უძლურია ადამიანის გონება და ყალბია ყველა პრინციპი
არსებობისა. სოკრატე ბრძენმა თურმე საწამლავი დალია და ციხიდან
გაქცევაზე უარი თქვა — რატომ? ქრისტე ჯვარზე აცეს: ვიღაცის
სურვილი იყო ეს, მაგრამ რისთვის? — ჯორდანო ბრუნო ცეცხლში
დაწვეს, — რა მიზნით?

განა ამით რამე შეიცვალა დაუსრულებლობაში? სიქრცე ცივად
გამლილია და ფარავს ჩევნს პლანეტას ამაყად. ყველაფერს აქვს თა-
ვისი ადგილი ცხოვრებაში: ფორმათა და სახეთა სხვადასხვაობა, ცვა-
ლებადობა მდგომარეობათა და მიმღინარეობათა... — ყველაფერს აქვს
თავისი საფუძველი და ყველა მართალია თავისთვის: არსად არაფერი
არ არის განსაზღვრული და გარეკეული, არსად არაფერი არ არის
გონივრული, დეთაებრივი და ზედროული; რაღაც ადამიანებს არ უნ-
დათ თავისუფლება გულისა და სულის: მათ ეზიშლებათ ხალვათობა
და გაშლილობა შემოქმედებითი ნებისყოფისა. ადამიანები თანდათა-
ნობით იგონებენ სხვადასხვა ზღაპრებს და თავს ინუგეშებენ...

დაუსრულებლად ირყევიან და, ვით სიზიფე, მუდამ იწყებენ...

სად არის აზრი? ეის სულშია თავმოყრილი შიზეზები და პრინცი-
პები ღვთაებრიობისა? ვინ იტყვის ჰეშმარიტებას ყოვლობაში განზო-
გაღებულს?

* * *

ძლევა და ტანჯვა, მოქანცულობა და ტკიეილები, შემთხვევათა
კოშმარი და დემონური სარხარი წინააღმდეგობათა ახრჩობს ჩვენს
სულს და ებრძვის ჩვენს ნებისყოფას.

ცხოვრება ჯოჯოხეთური მანქანაა, მარადობის ფრთებით უფსერუ-
ლასაცენ რომ მიექანება: ამ ფრთების გაშლისა და შეკვეცის დროს
ეშმაკი და ანგელოზი კოცნიან ერთმანეთს.

სიყვარული და სიკვდილი ორმაგობაა მარადიული.

* * *

სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთ-
ქვა: სტიქია სიყვარულისა უსაზღვროა, ვით ოკეანე, ვით მარადობა; სტიქია სიკვდილისა ერთდროულია, ვით ლანდი, ვით ფიქრი; სიყვა-
რულს ძალუძს, ერთი წუთი მარადობად აქციოს და მარადობა յо წუ-
თად შეცვალოს; სიკვდილი უარყოფს ყოველგვარ მარადობას და გვი-
ლინება მხოლოდ ერთი წუთით. განვეული ცისქრის სხივთავან მოქსო-
ვილ მსოფლიო სიხარულის ხავერდში, სიყვარული თეალწინ გვიშლის
ზურმუხტოვან სივრცეს, ღმერთებით და იდეალებით გამშვენიერე-
ბულს... აღელვებულსა და უსაზღვრო ზღვაზე ღრუბელთა მსუბუქ
ფრთებით მოქეანება ჩევენსკენ სიყვარული, რათა მან მძღავრი გრგვინ-
ვით, თეთო ოქროს ზმანებათა ოქროს ნემსებით დაჩხელიტოს სული
ჩვენი, რათა მან ოცნების განაფხულით, ყვავილებით და ოქროს ქსო-
ვილებით დაატქოს გული ჩევენი, მარტოდ შთენილი და მოტყუებუ-
ლი. სიკვდილი ფარავს მგზნებარე ვნებას ცრემლთა მდინარისაგან,
რომელთაც ელის ცივი დავიწყება და გახრწნა... სიყვარულს ცეცხ-
ლი უკიდია, მაგრამ იგი არ იწვის, ვით არ იწვოდა ბიბლიური ცეცხლ-
მოკიდებული ჩირგვი; სიკვდილმა არ უწყის — რა არის ღვთისური წვა-
სიყვარული ცეცხლში იწრობა და კოცნა მისი გვიხსნის მთელ სიღრ-
მავეს კოსმოსური ტანჯვა-დაქანცულობისას; იგი აერთებს ოცნების

ოკეანეში უსაზღვრო ლურჯ ეთერს და დემონურ სიცივეს მიწისძაბ; სიკედილი აშორებს ცასა და დედამიწას ერთმანეთს მსოფლიო სიერ-ცეთა სიცივით... ბასრი და ბრწყინვალე წვეტით ეჭრება სიყვარული უძრავ, ციკ მარმარილოს და შემოქმედებით აღტაცებაში ამოაღიკ-ლივებს მისვან სხივისანს, მკეთრ სახეს ნათელ მოღიმარე გულის დედოფლისას: სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკე-დილის სუნთქვა.

* * *

სიყვარული საწამლავია, საწამლავი, რომელსაც ამზადებს თვით ბუნება, ყოველი იმული ფუჭია, წუთისოფლად ცხოვრება უმიზნოა და უასრო.

საუკენეთა ძიებისა და ცრემლების ნაყოფი ჯერჯერობით მხო-ლოდ უსამართლობისა და ამაოების იდეა! დედამიწაზე მშევნიერების ხანგრძლივობა და სრული ბედნიერება ჯერ არავის უნახავს. დიდი ხანია აღამიანებს თავისუფლად და უშიშრად არ შეუძლიათ არც სიყ-ვარული, არც სიძულვილი; მათ სჩევევით მხოლოდ ღალატი, სინა-ნელის ცრემლები; ცოდვა და ურვა სულისა. ეს ცხოვრება ყველა-უკის კეთილს ტალახში სერის, ყველაფერს კარგსა და მშევნიერს მარად ღანძლავს და შეურაცხყოფს.

კეთილისთვის დაჯილდოების მავიერ გოლგოთის მთაზე აიყვანეს ქვეყნის მხსნელი და იქ ჯვარზე აცევეს, სოკრატე ბრძენს საწამლავი დაალევინეს იმიტომ, რომ ქადაგებდა ათინაში სიყვარულს, ჯორდა-ნო ბრძოლი ცეცხლში დაწვეს იმიტომ, რომ სიმართლის თქმა სმამარ-ლა გაბედა. ხალხთა გუგუნი და მღელეარება, სისხლის წვიმა და ცრემლების ოკეანე — ყველაფერი ეს მხოლოდ მეშჩანობის ხმაა, სევდის მომვრცელი ხმა ამაოებისა. ვინ იცის, რამდენი ცრემლი და ტებილი იმედია დაკარგული საუკენეთა თანაუგრძნობლად; შეფოძნ ცხოვრებაში მხოლოდ სულით მდაბალნი და უგრძნობელნი; წუთი-სოფლად ბუდობს მხოლოდ წერილი სურვილები, მხოლოდ მეშჩანობა; იღეალები სიყვარულის ცრემლები, მაღალი გრძნობები და ოცნებები მხოლოდ და მხოლოდ გმირთა შემოქმედებაა.

თუ რამე არის საყურადღებო წუთისოფლად — ეს არის გმირთა მარტო ძახილი, საუკუნეთა გრძემლებზე ამეტყველებული!

რა არის ეს საზინდარი წუთისოფელი, ფარისევლობით ატრუსული და მეშჩანობით ახრიოებული?

— ნიღაბთა კრებული, უსულო, უსახო, უგრძნობი, უგულო;

ღიღი ხანია, სამყაროს ყრუ ველში ადამიანის აზრი დაბორგავს უნავსაყუდლოდ და უმიზნოდ; საუკუნეთა სრბოლა ერთსახიანი და უფერულია: იდეალები და ღმერთები იცვლებიან, შშენიერების მიმბრრეელობა მუდამ წუთიერი და წარმავალია.

შშენიერი სახე მხოლოდ სისხლის მღელეარების ნერგოენებითი ორთქლია და გულის ტრუალება აცახცახებულ ძარღვთა ცეცხლია.

სატრუთის აბრეშუმეულ ნამწინის დაფუშვა იჭვნარევ გულის ძეგრას აღარაუერს ეუბნება და მარგალიტის მსგავსი სიყვარულისა და სინაცვლის ცრემლი შენანების სურვილში ზიზდს იწვევს:

ზიზდი ყოფილა სიცოცხლის შხამის და სურვილების უკანასკნელი სიტყვა, კუნთების დამთენო, ძარღვების დამგლეჯი, იმედების უარმყოფი სიტყვა.

საღამო გამს

წუთისოფელი იდენობას თვისას შლის უსაზღვრო სივრცის დაუსრულებელ საიდუმლოების სანახაობათა შორეული ღანდებით. ძრწიან უფსერულნი, გალობენ უბმოდ ფერხულში ჩაბმულნი ვარსკვლავი და პლანეტები; არსი თეალშეუდგამად ხმობენ მარადობას, რათა ვანაქარუონ ყოფის ცეცხლი და ააკამლონ შინაგანი წეა..

კერ კაღვე შეუცნობელი პირველყოფილი ქაოსი, უცნაურის ივავეობით ძლევამოსილი და თან ცივი, თითქოს ნელ-ნელა მსვლელობს ზღვაზ დაუენილ ღრუბელთა შორის.

პარში კვნესის საიდუმლო სუნთქეა სტიქიათა უთვალავ საუკუნეთი სიგიერისა და ისმის შორეული ბრგვინაობით ტლანქი ძახილი ჰელექით დავადებულ სურვილებისა; ფერადი მორთულობით ბრწყინავენ ჩეენებანი იდეალებისა და საუკუნეთა უზარმაზარ წიგნებს ოქროთ მოვარაუებულ ყდებში შლიან არსებობის ოკეანეზე სამარადევამო ძიებად.

ხალხთა ცხოვრებანი და საუკუნეების მეცნიერობანი თომ-
ქოს ირწევიან საიდუმლოების სამრეკლოში და ბრწყინვალე წარმოზ-
გენათა ძაფებზე ამონაქსოვ ოცნებებში ძილისპირულს მღერიან...

O altitudo, non liquet!

რათისოფალი და თარსები

ბევრი რამ არის ადამიანის ცხოვრებაში საიდუმლო, — ამბობს
შექსპირის გმირი და მართლაც, ცხოვრების აზრი და მიზანი, წუთი-
სოფლის და სამყაროს, დასაწყისი და ბოლო, თვით ადამიანის სიცოცხ-
ლე, ძიება, შემოქმედება, იდეალები, ოცნებები, სიყვარული, ტრუო-
ბა, — ყველაფერი, რაც შეადგენს ადამიანის სიამაყეს, ყველაფერი,
რითაც ადამიანი ამშვენებს თავის თავს — განა ეს არ არის მოცული
მარადიული საიდუმლოებით? განა ვიცით ჩვენ, რა ასულდგმულებს
საგანს, ნივთიერებას? განა შევეიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ცოდნა
დღეს უფრო ღრმაა, უფრო შინაარსიანი, ვიდრე ძველად? განა ცხოვ-
რების აზრი დღეს უფრო კარგად და ნათლად გვაქვს დასხული,
ვიდრე არისტოტელეს და ბლატონის ღროს იყო?

მართალია, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ დიდძალი
მასალა; ბევრი რამ ვიცით დღეს ისეთი, რაც უწინ არ ვიცოდით და
რის ცოდნა საჭირო იყო, მაგრამ ცხოვრების აზრი და სილრმე მაინც
ვერ შევისწავლეთ: ის, რაც ჩვენ ვიცით, შეეხება მხოლოდ ცხოვრე-
ბის გარევნობას, ნივთიერ ძალთა განაწილებას, საერთო მოძრაობის
მექანიკას; თუ რა ასულდგმულებს ამ მოძრაობას, ან რა მიზანი
აქვს მას, ჩვენ ეს არ ვიცით; მოხმარება რომელიმე ნივთის ან მოძ-
რაობის ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ რას წარმოადგენს თვით ნივთი, რას
წარმოადგენს მისი მოძრაობა, ეს კი ჩვენ არ ვიცით: ჩვენ ვხმარობთ
ელექტრონს შევეიძლია მისი ილოეატებით გამოანგარიშება, ვიცით,
რა ძალა აქვს ელექტრონის მოძრაობას, მაგრამ, აბა რომელი მეც-
ნიერი გვეტვის, თუ რა არის ელექტრონი და როგორ ამზადებს
ბუნება ამ ძალას? ვერც ერთი მეცნიერი ვერ იტყვის, რომ ეს არის
და აქ მზადდება ელექტრონის ძალათ, ისე როგორც ვერც ერთი ადა-
მიანი ვერ იტყვის დედამიწის ზურგზე კვერცხი გაჩნდა უწინ თუ ქა-
თამი; ბუნების გარევნობა და სტიქიურ ძალთა მექანიზმი ჩვენ შე-
ვისწავლეთ, მაგრამ თვით სული მოძრაობისა და წუთისოფლისა
შეაღვენს ჩვენთვის საიდუმლოებას.

მეცნიერები ამბობენ, ქვა, რომელსაც სივრცეში ისკრიან, ისევ დედამიწაზე ვარდება იმიტომ, რომ დედამიწას აქვს ერთნაირი მიზნები დუღლიბის ძალაო. თქმა არ უნდა, ეს კარგადაა მოფიქრებული, მაგრამ განა ვიციოთ, რაში გამოიხატება და სად იბალება ეს ძალა? ვინ იტყვის: რა მიზნია, რომ ყველაფერი დედამიწას უბრუნდება? — ამ კითხვაზე ჯერჯერობით ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ ვიციასუხა. მეცნიერები ამბობენ: ჩვენ ვინდა მოძრაობის და ცხოვრების კანონები შევისწავლოთ და სრულებით არ არის საჭირო პირვანდელი მიზნების ცოდნაო; ბუნების სიმდიდრეს კანონებით კი მოვისმართ, ცხოვრებას ვაკალამაზებთ, ელექტრონებს ვავაჩადებთ, ტელეფონებსა და ტელევიზოფებს ვავაბამთ, ვიყლით, ვიმოქმედებთ, ვიცხოვრებთ და აბა რა საჭიროა მიზნების და მიზნების ცოდნაო?

ეგრე მსჯელობს კაცობრიობა, ასეთია მეშჩანური ცხოვრების სიტყვა და თვით დოგია. მაგრამ საქმარისია მეშჩანობაში შემოიჭრას რომელიმე ტრაგედია, მაშინევ ღოვიკა ირყევა: გონება რწმუნდება, რომ ცხოვრება არც ისე ერთფეროვანი და ერთაზრიანი ყოფილა როგორც ევონა მას. ვამოანგარიშება და წინასწარ ვათვალისწინება ცხოვრების მრავალმხრივობისა შეუძლებელია: ადამიანი სუსტია, მისი მსოფლმხედველობა განსაზღვრულია, იყი იცნობს მხოლოდ განსაკუთრებულ ჯავაშს მოვლენებისას, იყი იცნობს მხოლოდ ერთ კუთხეს შემოქმედებისას და სულისას ტემპერამენტით განჭვრეტილს.

მაგრამ, ქვეყანაზე არაფერია ისეთი, რომ მოსვენებაში იყოს და პქონლეს მარადიული ღირებულება და სასიათი; იოტისოდენა ქეიშის კენჭი და ვერგერთელა მთა-კლდეები რღვევისა და ცვალებაღობის სტიქიას ერთნაირად ემორჩილებიან. შემთხვევებს და ცვლილებებს ექვემდებარება ყველაფერი: უზარმაზარი მთა დღეს ამაყად ვამომცქირალი დროთა განმავლობაში ნოყიერ მინდვრად იქცევა; ზოგ აღვიდას სრულებით მოულოდნელად ქვეყანა წყლით ივსება და მრავალ საუკუნეთა შემოქმედება იფარება...

ხშირად იქ, სადაც ტბა იყო და მეთევზები თევზებს იშერდნენ, შენდება დროთა განმავლობაში მშვენიერი ქალაქი და ბაღი. ხშირად ქალაქი კატასტროფულად ისე ღრმად ვარდება დედამიწაში, რომ იქ, სადაც წინათ ხალხი ცხოვრობდა და ბრძოლა იყო ვაჩადებული, იქ, სადაც ოდესლაც ტაძრებით და ღმერთებით ამაყობდნენ, კანონებსა და იდეებს ივონებდნენ, ახლა ვხედავთ მხოლოდ სალ კლდეებს და ხეობებს.

ასე ეკარგება წუთისოფლად ყოველივე მოვლენას და ხავანს თუ ს სახე, ასე ისპობა ინდივიდუალობა, ასე წარმავალია ყველაფერი, რასაც კი ვხედავთ, გვიყვარს და მოგვწონს: ყველაფერი ირღვვევა და იშლება, ყველაფერი იყარგება და იძირება უნუგეშოდ და სამუდამოდ არარაობისა და ამაოების უფსკრულში იძალებიან და ქრებიან საუკნეთა იღუზიები; სილამაზე, მშვენიერება, აღტაცება, სიყვარული — ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი დროულია. ჩაც უნდა გრძელი იყოს ბეჭნიერება წუთისოფლად, დღე უბედურებისა მათც დაგვება: სიცოცხლის ქარი მიერის და მიიჩიარის.

საიდუმლოებითაა მოცული ჩვენი არსებობა წუთისოფლად და რაც ჩვენ ვიცით, ყველაფერი დროული იგივეობაა: ჩვენ ვფიქრობთ, წინ მივდივართ, მაგრამ ისევ იქ ვართ, სადაც ვიყვავთ; წარსულს უარვყოფთ და ისევ წარსულს უუბრუნდებით; ქიმიამ აღქიმია უარყო, მაგრამ პერსპექტივებში გვესახება ისევ აღქიმისი ეპოქა: მენდელ-ევის სისტემა ირღვვევა, ევალიდეს პოსტულატები დაშალა ლობაჩევსკიმ, რიმანსა და ლევანდის ახალ სფეროებში გადააქვს ჩვენი სული და იდეალები, მითურ-კოსმოსური ეპოქა ჩვენი მსოფლმხედეველობის, რომელსაც პერიოდი ადგილი შორეულ წარსულში, კვლავ შედის ცი-კოლიზიაციის ისტორიაში და კვლავ იწყება სამყაროს ანთროპომორფიზმი: დღეს ჩვენი ბიოლოგები მცენარეებსა და მინერალებში სულ-სა და გრძელობებს ეძებენ, დაუჯერებელი იყო წინათ სიტყვებისა და გრძელობების უმავთულო გადაცემა: დღეს ჩვენი სიტყვები სივრცის დაუსრულებლობას არსევენ და ვნებიანი პარიზი უმავთულოდ ნიუ-იორკს ელაპარაკება.

შეიძლება მეტერლინჯის პრეზენტიზმიც არ იყოს მოკლებული ფსიქოლოგიურ საფუძველს, მთელს ყოვლობას შეიძლება ასულდებულებს ერთი განცდა, ერთი „აზრი“, ერთი სული.

წუთისოფელი ჩვენი ტანჯვის დემონსტრაციაა და ცივილიზაცია ჩვენი ღელვის აორთქლება; დრო ჩვენი: განცდით იზომება და სივრცე ჩვენი წარმოდგენების იღუზიაა.

წარსული აწმუობი შედის, აწმუო მომავალში; ყველაფერის ნაწილია ყველაფერი და ახლის ფორმაში ძეველის სული მოძრაობს.

ყველაფერი საუკუნეთა შრომის, ძიების და წვალების ნაყოფია, ცხოვრების ყოველი სახე წარსულის განცდის გამომხატველია; არის კავშირი უხილავი, მარადიული საიდუმლოებით გარემოცული წარსულ-

სა და ცხოვრების ყოველ მოვლენასა და წუთს შორის: ხშირად პდამი— ანის უბრალო და უმიზნო ხელის მოქნევაში ისახება წინაპართა განცდა, მრავალათასწლიანი ორგანული ცაცეცახი.

წარსულის სული ამოძრავებს აწმყოს, წარსულის შფოთვით ნაშობი ორთქლი ათბობს მომავალს. უშინაარსო, უიდეალო და ჩმანი იქნებოდა კაცობრიობის ცხოვრება, რომ მას არ პქონდეს წარსული, რომელიც სასოწარკვეთილებისა და უიმედობის ღროს ყოველთვის იძლევა იდეალებისა და მისწრაფებათა განახლების მაგალითებს:

ამბობენ, თურმე, როდესაც მიქელანჯელოს სახელგანთქმული ქანდაკება — „მოსე“ შეპქონდათ მუშებს მუშეუმში, მიქელანჯელო შორიდან უყურებდა ქანდაკებას და როდესაც ქანდაკება ვერ შეეტია მუშეუმის კარგში, მიქელანჯელო წამოვიდა გულმოსული, მოუახლოდა ქანდაკებას, რაც ღონე პქონდა, მოიქნია და დაარტყა „მოსეს“ თავზე ჩატარი: რად ვერ იძრჩევი, განა არ იცი, შენშია ჩემი სულიო, — უთხრა მოქანდაკემ ქანდაკებას.

შემოქმედების ცეცხლმა მოინდომა ნივთიერების გასულდგენულება და იდეალის განთვითოერება: წარსულის განცდა (მიქელანჯელო) ეტრული წარსულის (სიმბოლო — მოსე წინასწარმეტყველი) სახეს და ტრულია ქმნიდა რელიგიურ აღტაცებასა და ილუზიებს. შორეული აღმოსავლეთის სულისკვეთება განსახიერდა დასავლეთის სულის განცდაში: ასე უერთდება წარსული აწმყოს და მომავალს; ასე გადადის ორგანული მღელვარების პროცესი შემოქმედებით აღტაცებაში: ყოველი წუთი ამქეცვნად განსაზღვრულია საუკუნეთა შიმდინარეობაში, ყოველ მოქმედებაში და აქტივობაში, წუთისოფლის ყოველ კუნჭულში თავმოყრილია სურვილი, რომელიც შეიქმნა სტიქიურად, ირაციონალურად მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენი წინაპართა სულები ტრიალებენ ჩვენში და ჩვენ გარშემო: ისინი მონაწილეობენ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში.

წარსულს ყოველთვის აქვს მოპოვებული უკვდავება აწმყოში და მოელი ჩვენი სულიერი არსება ცხოვრების წარსულის შინაარსის განმეორებაა; მხოლოდ ამ განმეორებას აქვს თავისი ინდივიდუალური სახე, რომელსაც მემკვიდრეობა გადაყავს მარადობაში: დააკვირდით ცხოვრებას, შეისწავლეთ თანამედროვე კულტურა, სტილი, შემაგრენდობა, შინაარსი; შეიხედეთ ტაძრებში, მონასტრებში, სხვადასხვა დაწესებულებებში; — მიუხედავად ორი ათასი წლის ქრისტიანობისა წარმართული გრძნობა კიდევ მძლავრია ჩვენში; დასავლეთ ევროპის სხვა—

დასხვა ქალაქების ძველ ტაძრებში, თითქმის ყოველგან დაინახვი
ჩენი წმინდანების გვერდით წარმართული გრძნობის გამოშეატვე-
ლი ღმერთების სურათებს. ამ მხრივ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის
წარმოადგენს საუცხოო მაგალითს: სახელგანთქმული ტაძრის (“ნოტრ
დამ დე პარის”) სახურავზე გაკეთებულია დიდი ქანდაკება ქიმერების—
Chimeres, ქიმერები და ფემონები ღვთისმშობლის ტაძრის სახურავ-
ზე — სიმბოლო გამოშეატველი უხილავი და გამოუცნობელი კაში-
რისა, რომელიც არსებობს მოვლენათა შორის და რომლის საიდუმ-
ლოებით მოცული ძალა განაცხეს ადამიანის ცხოვრებასა და სი-
ცოცხლეს, შეაღვენს ადამიანის ბედისწერას, აღლვებს სხეულთა და
მოვლენათა ზღვას და აერთებს ცხოვრების გამოუთქმელ ტკიფილებს
და წუთისოფლის ნეტარებას; აი ძალა სტიქიური, ირაციონალური,
ძალა, რომელიც ცდილობს შეზღუდოს ყოველივე მოვლენის და არ-
სის ოვისუფლება და რომელსაც ძველი ბერძნები ეძახდნენ მოირას.
წუთისოფლის მოვლენათა და ძალთა მთვრალ ქანაობაში იბადება
იდეა აუცილებლობის: აქ იწყება კავშირი ქრისტესა და ლუციფერს
შორის, აქ ისახება იდეა ცხოვრების ორმაგობისა — განხეთქილებისა
და შეთანხმების, ბრძოლისა და შერიგების, სწორედ აქ არის იდეა-
ლისა და რეალიური ძიების დასაწყისი. სწორედ ეს აღელვებდა წარ-
სულმი გმირებსა და ღმერთებს, და ამით იტანჯებოდნენ პრომეთე,
ქრისტე, ბუდა.

ხელოვნება და ცოციალური სული*

მრავალ საუკუნეთა აბსოლუტიზმს ფსიქოლოგიურად გამოეცავა
საუძეელი; აბსოლუტიზმი ხმლისა და ეკლესიის, ერთ ღროს გამაგ-
რებული ინტელექტუალური მორჩილებისა და მოცემულობის აბსო-
ლუტიზმით, თეოლოგიისა და ეპისკოპოსების აბსოლუტიზმით დაცა-
რიელდა შინაგან წყობაში; იდეოლოგია ინდივიდუალიზმისა და იდეა-
ლიზმისა, იდეოლოგია მეობის აბსოლუტური პრეტენზიებით და რე-
ალიზმი — მორალური მისწრაფებებით დამთავრდა პამლეტისა
და ფაუსტის პრობლემებით; ადამიანი, რომელიც ოდესდაც თა-

* ნაშრომისან „სოციალური ესთეტიკის საუძეება, ორგანოტროპიზმი“.

ვის თავს ინუგეშებდა ფარ-ხმალით და ეკლესით, დარჩა თავისი ეჭვების ამარა; სევდა შეიძარა კაცობრიობის სულში — სევდა მარტინი ტომასისა და რდვევის; ინდივიდუალიზმის განვაში და ელვარება ფე-ოლალურ სასახლეებში გაქრა; სული, რომელიც შეყვარებული იყო ინდივიდუალიზმზე, სევდით და ეჭვებით აიღსო; რომანტიზმმა წესი აუგო ინდივიდუალიზმის დამარცხებას, მან ფრენებისა და სარდანა პალების ქაოსურ სურვილებს, მათი სასახლეებისა და ციხე-კოშკების ნგრევას; რომანტიზმმა აღიარა სასოწარევეთილებით, რომ ძლიერი პიროვნებისა და მისი წუთისოფლური გაქანებისაგან რჩება მხოლოდ ერთი მუშადა მტკერი; რომანტიზმმა არწივის პორიზონტიდან დაინახა, რომ ამ ქვეყნად ნამოლეონები ისე საცოდავად ქრებიან, როგორც ბელურები ტყეებში ქარიშხლის დროს.

საფრანგეთის რევოლუციამ და parvenus — იმპერატორმა კაცობრიობის მოასროვნე ნაწილს დაუმტკიცეს, რომ ცხოვრებაში აბსოლუტებს აღვილი არა აქვთ, რომ ცხოვრება არის დაუსრულებელი უერისცვალება და პრინციპების დაღუპვა, რომ დიადი და მშვენიერი წუთისოფლად თავდება ნაგავით და არარაობით; ნაგავისა და მტკერიდან ჩნდებიან მშვენიერი სახეები და დიადი ფაქტები.

მეორე მხრით, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ბუნებისმეტყველების ვანეითარებამ, სოციოლოგისა და ბიოლოგის მიღწევებმა მოუდეს ბოლო ყოველგვარ ალეთოლოგიურ-ეპისკოპოსურ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას; ბიოლოგიასა და სოციოლოგიაში განმტკიცდა პრინციპი გაადგილებისა, ლოკალიზაციისა; მდგომარეობა და ცხოვრების პირობები ყოველი არსის მოძრაობას აძლევენ მიმართულებას, სულისა და ტანის ფორმებს; არარა არის წუთისოფლად მარადიული და ზედროული; ყოველი ფორმა სულისა და ტანის შემოქმედებაა დროისა და მდგომარეობის გავლენის; სამყაროს სურათი, რომელსაც ეხედავთ ჩეენ, შედეგია წვალებისა გეოლოგიურ ევოლუციათა; ყოველი არსი, მოძრაობს რა კოსმოსურ როიაში, განსაზღვრულია თავის მოქმედებებში მდგომარეობით; ისტორიამ და მეცნიერებამ გააშიშვლეს ყოფა წუთისოფლური, ჩამოგლიჯეს მსოფლმხედველობიდან ტრადიციულად განმტკიცებული პრინციპები; ქალაქური ცხოვრების ეთარებამ, კაპიტალიზაციის უსამართლო პროცესება საესებით გაანადგურა პიროვნება; ქალაქი გახდა სიმბოლო კოს-

მოსური ქაოსისა და ადამიანმა, იგრძნო საშინელი სევდა მარტობისა, უიშებობისა, სასოწარკვეთილებისა, იგრძნო, რომ ინთენდანისის ხახაში.

ეკონომისტად შეძლებული კლასი დიდი ქალაქის კაცე-რესტორნებში თავიანთ მეტრესებთან ივიწყებს ინდივიდუალიზმის დაღუპვას, მარტობის გრძნობას: შემოქმედება და ხელოვნება დავიწყებისა და გართობისათვის, თამაშისა და სიამოვნებისათვის, — ამბობს ქალაქის სული; აზრი, იდეა, შინაარსი საინტერესო არ არის; ფერები და ფორმა, კოსმეტიკა, საღებავი, სურნელოვანი წყლები, ლამაზი ტანები, სულის სიმთვრალე, გაღიზიანება ნერებებისა რაც შეიძლება მეტი, — ამ კაცერესტორნული იდეოლიგია დიდი ქალაქისა, სული ცივილიზაციისა და კულტურისა, ალკოჰოლით დასუსტებულ ნერვებს ეზარება ძლიერი განცდა, ეზარება ტრაგედია, შექსპირი, არ უკვარს მეცნიერება, სერიოზული გააზრება; დათენითილი სული ვერ ითმენს შინაგანი ხილვის განათებას და ნერვები მიუჩქარებიან სინემატოგრაფში, სადაც არის ფერებისა და ლანდების ბორიალება, ისეთივე აჩქარებული მოძრაობა-ნი, როგორიც ახასიათებს ბურუუაზიულ ურბანიზმს. მდგომარეობამ შექმნა სულიერი განწყობილება, ორგანოტროპული და მიიღება ბდება რეოლისა კერვამა რეობისა კენ; სული მიიჩქარის განიავებისაკენ, სულმა დაკრიგა ეპიკური სიმშვიდე, ხელოვნებაში შემოიჭრა ნეროზი; ინდივიდუალიზმი იხრჩობა თავის ნაჭუჭში; დაღლილი, დათენითილი ტანი გრძნობს რა უკანასკნელ წუთებს, მიეჩქარება კაცე-რესტორნებში მეტრესებთან სათრეველად და საღალობოდ; განცდა განცდის ახრჩობს და ნერვულ კონვულსიებში ისმის გედის სიმღერა დიდი ქალაქისა — დევნერაციის მწარე თქმა და კოშმარული ვიზონები ბოდლერისა და ვერლენის ლამენტაციებში, ექსპრესიონისტურ დაჭინთვასა და უუტურისტულ ღრეობებში. სოციალური ყოფა აძლევს მიმართებას შემოქმედებას, სოციალური ყოფა მოქანდაკეა ხელოვნების ფორმებისა: კოთური სტილი, აწერადებული და საზღვარაცილებული, რელიგიური ღტოლვის სტატიკური ფორმა; იმპრესიონიზმი ეკროპის დიდი ქალაქების ვიტრინების ღივრული დამაბულობისა შთაგონებული; ექსპრესიონიზმი გერმანული დაძაბულობის პათოსია; სო-

ცისლური ფსიქოლოგიის ინტენსივობა სულის გადახრის შინართებით ქმნის ხელოვნებისა და მეტყველების ფორმებს. კულტურის ევოლუცია ასხვაფერებს ცნებებსა და მეტყველების იდეოლოგიურ კონსტრუქციას; ცნებას აქვს პირდაპირი დამოკიდებულება სოციალურ საჭიროებასა და ინტერესებთან; ცნებაში, ისე როგორც შეტყველებაში, არ არის ორაფერი აბსოლუტური, ორაფერი ზედორული, ორაფერი მარადიული და ღვთაებრივი: ყოველი ცნება თავისი გამომსახველი სიტყვით (რომელიც ერთგვარი სავიზიტო ბარათია ცნების) აისახება მეურნეობისა და სოციალური კულტურის ევოლუციაში და ვინაიდან ყოველ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ყოველ ეპოქას აქვს თავისი სოციალური ხასიათის საჭიროებანი, ცნება ესთეტიკური, მორალური, ფილოსოფიური ყოველი საუკუნისა და ყოველი ხალხის ცხოვრებაში სხვაფერდება იმის მიხედვით, თუ რა ხასიათა ცელილება ადამიანთა შორის მატერიალური ინტერესებისა და სოციალურ ურთიერთობათა.

სოციალურ-ტროპული კომპლექსიზმი აზროვნების სწორად აღებული მეთოდოლოგიური პრინციპია — პრინციპი ახალი იმდენად, რამდენადაც სოციალურ-კულტურული კონსტრუქცია მეთოდოლოგიისა თევზაფება ორგანოტროპიზმში; ყოველგვარ აპრიორიზმისა და აღეთოლოგიას, ყოველგვარ იდეალისტურ-აბსოლუტურ განმარტებას ფილოსოფიისა და ხელოვნების პრობლემებისას ორგანოტროპიზმის შემდეგ ბოლო ეღება; აშვარავდება უდავო კავშირი კაცობრიობის იდეოლოგიისა და სოციალურ-კულტურულ მყარობათა, აშვარავდება დამოკიდებულება პირდაპირი და ორგანული სულის ესთეტიკურ-ფილოსოფიური ვაზრებისა მდგომარეობასთან; აზროვნების ფორმებისა და ცნებათა ფაქტობრივი მოცემულობის საკითხი გენეზისის და შეუარებულობის საკითხად გადაიქცა. სულიერობა არის თვისება გამტერისა ისეთივე, როგორც ჩადიაცია და ელექტრონი; ჩვენს ამეტყველებასა და გააზრებას ისე ესაჭიროება ორგანულ-მატერიული ღრესა და წვა, როგორც ელექტრონისა და მავნეტიზმს; ჩვენი გრძნობათა ორგანოები მხოლოდ არხევენ, ასახიერებენ, ავითარებენ იმ განცდათა ფსიქიკურ კპიტალს, რომელიც ჩვენი ნერვული სისტემის უჯრედულ ხვეულებში გადმოლევა წინაპართა ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურში დალგვამ. წინაპართა განცდა, ისე როგორც ყოველი ეპოქის განცდა, ვითარდებოდა და სახიერდებოდა მეურნეობისა და მატერიალური კულტურის განსაკუთრებულ პირობებში. კაცობრიობის მეცნიერებისა და მატერიალური კულტურის ფორმა დამოკიდებულია გეოგრა-

უაულსა და მეტეოროლოგიურ პირობებზე. ეკვიპტის ოჯახური და
სანოგაღოებრივი მეურნეობის ფორმა შეფარდებულია ნილოსის გა-
დამოების გეოგრაფიულსა და მეტეოროლოგიურ პირობებთან; საქარ-
თველოს მეურნეობა და სოციალური კულტურა საქართველოს პაერი-
სა და მიწა-წყლის თავისებურებასთან არის დაკავშირებული; ხე-
ლოვნება და საერთოდ შემოქმედება ყოველი ხალხისა ისახება სო-
ციალური ეკოლუციის ფარგლებში.

სიტყვა ყოველ ეპოქაში იქმნება ნიეთის საჭიროების დროს; ფერე-
ბი და ნაკვთები ხელოვნებაში იარაღებია იმ სულიერი სისახსის გამო-
სახატავად, რომელიც დაგროვდა სოციალურ-ისტორიულ პროცესში
და რომელსაც მიმართებას აძლევდა ადამიანთა ურთიერთობა, შექმ-
ნილი ეკონომიკური და ბიოლოგიური ინტერესებით; არსებობის გან-
საკუთრებულ პირობებში ადამიანი იჩენს ერთგვარ ხერხს და ოსტა-
ტობას; სხვადასხვა პროცესია — პროცესია ნადირობის, თევზაობისა,
მიწის დამუშავების, ვაჭრობისა და მრეწველობისა იისნება არა
ტრანსცენდენტურად მოცემული ნიჭიერებით, არა შემთავონებით,
როგორც ფიქრობენ ყველა კატეგორიის რაციონალისტები და ალეთო-
ლოგისტები, არამედ ბუნებრივ-მატერიალური შესაძლებლობით და
ინტერესით; თავისებურება რასული ჩვენთვის არ არის universalia
ante rem; რასა შეგუებისა და ბიოლოგიური წვალების შედეგია: არა-
ვითარი მარადიული რეალია რასას არა აქვს და რასული თავისებუ-
რება ისე, როგორც ჯიში, სშირად იცვლება მატერიალურ და სოცია-
ლურ ურთიერთობაში; ბიოლოგიური ფაქტი სოციალურ პირობებში
განიცდის უერისცვალებას და თუ სოციალურ-მყარული პირობები
ხელს არ უწყობს, შეიძლება ჯიში როგორც ბიოლოგიური ფაქტი გა-
დაშენდეს, გადასხვავერდეს. ხელოვნება ყველა ხალხისა და რასისა
ეძიებს ისეთ ფორმებს, რომელიც გამოსახავენ მეურნეობისა და
სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა ასოციაციებს; ავსტრალიულე-
ბი და ესკიმოსები რასულად და ანთროპოლოგიურად დიდად განს-
ხვადებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ერთნაირი მეურნეობა —
წარმოება და სოციალური საჭიროების ინტერესები მათს ხელოვნება-
თა ფორმებს ერთმანეთს ამსგავსებს; ყველა რასის ყველა მონადირე
ხალხს ერთნაირი არქიტექტონიკის ხელოვნების ფორმები აქვს; ყვე-
ლა რასის ყველა მიწის მუშა ხალხს აქვს ერთნაირი არქიტექტონიკის
ხელოვნება. სოციალური საჭიროების ინტერესი არის დირიქტორი და
კონსტრუქტორი ხელოვნების ფორმებისა: რაც უფრო ერგები თანდა-

თანობით კულტურის ეკოლუციაში ერთნაირ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში იქნებიან, მით უფრო საერთო იდეები და საერთო განცდა იყო და ექნებათ მათ; მრეწველობის განვითარება და ქარხნების გამრავლება სხვადასხვა მიწა-წყალზე ერთსა და იმავე იდეოლოგიურ სტრუქტურას სახავენ; თუ აზროვნების და სელოვნების ეკოლუციის წარსულში სულ კუთხით ტროპიზმი ახასიათებდა, მომავალში ინდუსტრიისა და სოციალური კულტურის ცენტრალიზაციასთან შეფარდებით სული კაიშლება თავის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ ზრახვებში უნივერსალურად და კოსმოსურად; სული კულტურისა და ცივილიზაციისა მიღლტების მარადობისა და უსაზღვრობისავენ, მაგრამ კაცობრიობა, მიმოფანტული სხვადასხვა მიწა-წყალზე ტრომებად, შებოჭილია სამყაროს სხვადასხვა კუთხეში აღვილობრივი მდგომარეობით და სოციალურ-ტროპიზული ინტერესით.

ესთეტიკური კრძნობის გამოსახვა პირვანდელი ფორმაა კულტურისა და ცივილიზაციისა; ორნამენტიკამ წარმოშეა და განავითარა ტექნიკა; ცეკვამ და კოსმეტიკამ ხელი შეუწყეს კაცობრიობის გამრავლებისა და ქვეყნის კულტურულ მოშენებას სქესების ერთმანეთთან დაახლოებით; პოეზიამ და მუსიკამ ავარჯიშეს სოციალური ტექნიკაშენტი და მისი ნებისყოფის სიძლიერე, რასაც დიდი მნიშვნელობა პქონდა არსებობისათვის ბრძოლაში და საერთოდ ბიოლოგიურ-ორგანულ თავდაცვაში.

ყოველი ფორმა ხელოვნებისა და ლიტერატურისა გამოწვეულია სოციალური ინტერესით და ძველი ესთეტიკური ფილოსოფია სილამაზისა და მშვენიერების ღვთაებრივობისა, ხელოვნება თამაშის ოეორიით მოყლებულია აკადემიურსა და ფსიქოლოგიურ საფუძველს: ხელოვნება თამაში კი არ არის, არამედ ფუნქცია სოციალური ცხოვრებისა: მართალია, ხელოვნების მიმართება ხშირად ნაკარნახევია ბიოლოგიური მოთხოვნილებით, მაგრამ თვით ბიოლოგიური მოთხოვნილების დაქმაყოფილება მოითხოვს ერთგვარ სოციალურ არეს, ერთგვარ ურთიერთობას სხვა არსებებთან და ამიტომ ბიოლოგიური ინტერესის განხორციელება ყოველთვის სოციალურ მოხერხებასა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული; სოციალური კულტურის ეკოლუცია ახდენს ხელოვნების ფორმების სახეცვლილებას: ქორეოგრაფიას ეკარგვება ის მნიშვნელობა, რომელიც მას პქონდა პრეისტორიულ მდგომარეობაში, ეინაიდან საზოგადოებრივი ჯგუფები გამრავლდნენ და ტექნიკურად შეუძლებელი შეიქნა ერთი ცეკვის გარშემო შემოერთება მრავალი ათასი ადამიანისა: ვიწრო თემში, რამდენიმე კაცისათვის კი-

დევ შესაძლებელი იყო კუნთურ-მიმიკური გამოსახვა შინაგანი განკ-
დისა, რომელიც წარმოადგენდა პლასტიკურ ფორმას კუნთების მოქ-
რაობაში, მაგრამ დროთა ვითარებაში, სოციალური კულტურის ეფე-
ზუციაში არსებობის საჭიროებასთან, ადამიანთა შორის ურთიერთ-
ბათა ვითარებასთან ვითარდება ფორმა კუნთურ-პლასტიკური შემოქ-
მედებისა. პრინციპი ესთეტიკური განცდისა ყოველი ეპოქის და ყოვე-
ლი ხალხის ცხოვრებაში აისახება ფსიქოლოგიურად სოციალურ სა-
ჭიროებაში; მონადირე ხალხის ცხოვრება აისახება ფსიქოლოგიურად
ნადარობის საჭიროებაში; მონადირე ხალხის ცხოვრებაში, მაგალი-
თად, ყოველთვის ღიად მნიშვნელობა აქვს ცეკვასა და პანტომიმას;
ცეკვას თან ახლავს ყოველთვის სიმღერა ხან უბრალო ტონალური
გაბეკრების სახით, ხან სიტყვებით, ესთეტიკულაციით და მიმიკით სა-
ერთოდ, კელური და უკულტურო ხალხის ცხოვრებაში სიტყვათა ჩატ-
ხეი ძლიერ მცირება და ყოველგვარი საჭიროების ღროს კელური ადა-
მიანი სურვილის გამოსახატავად ხშარობს კუნთების მოძრაობას; აზრი
აქვს, მხოლოდ სიტყვები არა აქვს... დრამატიული ხელოვნება მუსი-
კო პირველყოფილი სულიერი ღირიზმის გამოსახვაა და ყოველგვა-
რი სულის ღირიზმი მაჩვენებელია ერთგვარი სევდისა და სოციალუ-
რობაში გაშლის წყურვილისა. სულის მოძრაობაში ყოველთვის არის
სურვილი ერთგვარი მეობის გარღვევისა, გაორებისა, მრავლობაში
გასვლისა; მაგრამ ყოველი ხალხის ცხოვრებაში სულის ესთეტიკური
ფალოსოფიური განცდა სახიერდება აღვილობრივი პირობების ასთ-
ციადებით და მეოდიდი, რომლითაც შეიძლება სხვადასხვა დროისა და
სხვადასხვა ხალხის ხელოვნების ფორმების შესწავლა, ვერც გასცილ-
დება ერასოდეს ორგანოტროპიზმის საზღვრებს; მდგომარეობისა და
შემოქმედების ურთიერთობა ფორმულაა კულტურულ-ცივილიზაციუ-
რი მოძრაობის, ესთეტიკურ-ფილოსოფიური გააზრებისა და ხელოვ-
ნებისა; წმინდა ხელოვნებისა და ხელოვნება-თამაშის თეორია ესთე-
ტიკური ასოლუტებისა ირღვვევა ეთნოლოგიური და ისტორიულ-სო-
ციადური ფაქტებით; ყოველი ხალხისა და ყოველი საუკუნის კულტუ-
რა, ხელოვნება, ესთეტიკური იდეალები თხოვლობენ შინაგან გამარ-
თლებასა და ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას; იაპონელისათვის გა-
უვებარია რემბრანდ და ტიტოს სურათები, განსაკუთრებით ზოგიერთ
მისტიკური შინაარსისა; რომელი ეკროპელი მოაზროვნე იტყვის; რისი
თქმა უნდა ავსტრალიელს იმ მხატვრობით, რომელიც იპოვა გრეკი
ელენელების გამოქვაბულში? საჭიროა დიდი და ღრმა დაკვირვება პა-
ზუასების სოციალურ-კულტურული და აგრესიული ცხოვრებისა, მისი

თავისებური შინაგანი სტრუქტურისა და რელიგიურ-სტრატეგიული
 სტრუქტურისა, რომ ახსნათ, თუ რატომ უკეთებენ პაპუასები თა-
 ვარი საომარ ნავს წინა ნაწილზე ჩიტის თავს? რა ესთეტიკური-ლიტერა-
 რუბულება აქვს სიქსტინის მაფონას რომელიმე ბუშმენისათ-
 ვის და თუნდაც მონღოლისათვის? რა აზრი აქვს სუდანელი ზანგისათ-
 ვის „აბესალომ და ეთერის?“ მუსიკას, ან ვაგნერის მუსიკალურ
 ისტრუმენტობას? განა ჩვენთვის გაუგებარი და სასაცილო არ არის
 ბუშმენებისა და პოლინეზიელთა ხორალები? — ყოველ ყოფას ყო-
 ველ მიწა-წყალზე წუთისოფლად აქვს საჟუთარი სული, სეედა, განც-
 და, სტრილი და იდეა; სამყაროს დაუსრულებლობაში, ხალხთა გუგუნსა
 და მოძრაობებში, ეპოქათა და მოდგმათა ფერისცვალებაში ყოველი
 მოძრაობა არსებობისა, ყოველი სახე წარმოშობილი ბიოგენეტიკურად,
 მართლდება თავის შინა-წყობაში პირობებით და მდგომარეობებით —
 სულისა და გარემყარობის ურთიერთობით — ირგანოტროპიზმით; ყო-
 ველ ყოფას მოწყვეტილია სულიერად და ყოველი არის უსაზღვროების
 არეზე მარტოა განცდაში; სული და მისი ჩაღილები კუთხურ-ტროპუ-
 ლი ფორმებია ორგანულ-ბიოლოგიური შეგუებისა; შემოქმედების ყო-
 ველი ურიმა გამოსახვეს კუთხურ ტეივილებს და სიხარულს, კუთხურ
 განცდასა და სეედას; ღირებულება კუთხურ-ქლასური საჭიროების
 კვალიფიკაციით ისაზღვრება: იაპონელისათვის იაპონური ხელოვნება
 დაადი და მშენებელია, ეინაიდან მასში გამოსახულია იაპონური ყოფის
 თრუკინტროპული განცდა; ბუშმენისათვის ბუშმენური ხელოვნება
 საესეა აზრით და მშენებით: ყოველი ხალხის და ყოველი საუკუნის
 სოციალურ-ისტორიული პირობების კომპლექსი ათავისებურებს ხე-
 ლოვნების პრინციპს, ესთეტიკურ-ფილოსოფიურ იდეალებსა და ზრაბ-
 ებს; ესთეტიკური ღირებულება განიზომება ყოველთვის სოციალური
 ფსიქოლოგის მიმართებით ადამიანთა ურთიერთობის ინტერესისა და
 საჭიროების ფარგლებში; ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეა იკვეთება
 კუთხურ-ტროპული განცდის დაზგაზე და სული ადამიანისა, როგორც
 ალექსოდოს, ისრება გაღიაზიანებისა და მდგომარეობისაკენ მთელი
 თავისი მემკვიდრეობით მიღებული თვისებებით და ჩვეულებებით.

სოციალური ფსიქოლოგის გარჯიშობა და ჩვეულებების განმტკი-
 ცება შეართვებულის ხელოვნების ფორმების შერჩევაში: საბერძნეთში
 სოციალური ფსიქოლოგის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ადა-
 მიანის ტანისკენ. კუნთურ-პლატიკური ინტენსივობისაკენ და ამიტომ
 ედინს ასე ემარჯვებოდა ხელოვნების იდეალების განსახიერება ქან-
 დაკებებში ტანადობისა და ორგანულ-კუნთური მოყვანილობის უმეშ-

ვერ ფორმებში: მეტყველებისა და ლიტერატურის ფორმები, სტილები მნიშვნელი გამომსახველია სულის მოქანდაკურის მეტყველებით „ინსტრუმენტოვეა“ დამახასიათებელია როგორც პიონერმენი სოციალური ფსიქოლოგიისა. საშუალო საუკუნეებში არქატექტურა სიმბოლურად აერთებდა სულისა და ხორცს გიგანტური კაოდრალების გაშლილი გუმბათების რელიგიურ-ესთეტიკურ წარმოსახვაში; რენესანსის სოციალური ფსიქოლოგიის აუქციონალიზმი ადამიანის სულის ცივილიზაციურ ვიზონერობას და სევდას სახადს მხატვრობითა და მისი ფერებით — ჩრდილისა და სინათლის ნიუანსებით.

ხელოვნება ამეტყველებს სხვადასხვა ფორმებში სოციალურ-ისტორიულ კრძნობებსა და იდეალებს: როგორც ბუშენებისა და ავსტრალიულების ცეკვაში, საბერძნეთის ქანდაკებებში, ისე საშუალო საუკუნეთა არქატექტურასა და რენესანსის მხატვრობაში ხელოვნება იძლევა საზოგადოებრივ კრძნობათა დინამიკური გაერთიანების სტატიკურ ფორმებს. ხელოვნება ყოველთვის აერთიანებს ადამიანებს განსაკუთრებულ სოციალურ-ისტორიულ პირობებში; საერთო გრძნობა ახასიათდება ლიტერატურაში, აფერადებული მხატვრობაში, გამოქანდაკებული მარმარილოსა და ბრინჯაოში, ვაბგერებული მუსიკაში ამოძრავებს და ამოქმედებს სოციალურ სულს, მიმართებას აძლევს სოციალურ ნებისყოფას, იწვევს აზროვნების კოროლარიებს, სავალდებულოს განსაკუთრებული ეპოქისათვის და საზოგადოებისათვის; ვერაფიარი ადმინისტრაციული ზომები ვერ შექმნიან მთლიანობას ფსიქოლოგიურს ხალხის ცხოვრებაში ისე, როგორც ხელოვნების პლასტიკური ან ლიტერატურულ-ესთეტიკური ფორმა: ვერმანის გაერთიანებისათვის გოეთემ უფრო მეტი გააქეთა, ვიდრე ბისმარკმა: პოლიტიკურად დაწეწილი იტალია ფსიქოლოგიურად გარდაისხა ისტორიულ პროცესში მას შემდეგ, რაც დანტემ განასახიერა იტალიის საშუალო საუკუნეობრივი სული თავისი კოშმარებით და ილუზიებით; საქართველოს კულტურის ძლიერებისა და ცენტრალიზაციისათვის შოთა რუსთაველმა და შავთელმა: გაცილებით უფრო შეტი გააქეთს, ვიდრე თამარ მეფემ და დავით აღმაშენებელმა; ხელოვნება სტატიკური ფორმაა ისტორიული idee force-ის და ხელოვნების რომელიმე დარგი ხალხის უფლებისა და წუთის ფლური კვალიფიკაციისათვის ხშირად უფრო საჭიროა, ვიდრე ფარ-ხმალი და ზარბაზანი თავისი პარბაროსული იერიშებით. დიდი პოეტი, დიდი ფილოსოფიის, დიდი მეცნიერებისა და მეტყველებისა და ლიტერატურის ფორმები, სტილები მნიშვნელი გამომსახველია სულის მოქანდაკურის მეტყველებით „ინსტრუმენტოვეა“ დამახასიათებელია როგორც პიონერმენი სოციალური ფსიქოლოგიისა. საშუალო საუკუნეებში არქატექტურა სიმბოლურად აერთებდა სულისა და ხორცს გიგანტური კაოდრალიული გუმბათების რელიგიურ-ესთეტიკურ წარმოსახვაში; რენესანსის სოციალური ფსიქოლოგიის აუქციონალიზმი ადამიანის სულის ცივილიზაციურ ვიზონერობას და სევდას სახადს მხატვრობითა და მისი ფერებით — ჩრდილისა და სინათლის ნიუანსებით.

რი ისტორიაში არიან სოციალურ გრძნობათა და ნებისყოფათა შემცირების; ნიკეტონი ისეთივე კონსტრუქტორია ცივილიზაციური როგორ დებისა, როგორც მარქსი; შექსპირის ქარიშხლიან ტემპერაცია მენტებში მოცემულია წუთისოფლურ წვალებათა და დელვათა გადალერეა თავისი პათოსებით და ირაციონალებით ისე, როგორც რობერტი კი ერის და ლენინის პაროლებში მოცემულია სოციალურ ზრახვათა და ნდომათა დიდი და ძლიერი შენაკადები; შემოქმედების სახე კოეფიციენტია სოციალური განცდისა და წვალების; ხელოვნება უცნეცია სოციალური ცხოვრების.

მრავალრიცხოვანი და უზარმაზარი კაცობრიობა, მიმოფანტულია ჭუჭყიანი ბლანქტის სხვადასხვა კუთხეში, ცხოვრობს ყოველ მიწაწყალზე თავისებურად: ადამიანთა ურთიერთობა დედამიწის ერთ კუთხეში სხვა სახისაა, მეორე კუთხეში — სხვა სახის; გეოგრაფიული, კლიმატური, ბიოლოგიური პირობები წუთისოფლად ყველგან ათავისებურებს ცხოვრებას; კუნძულებზე, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, კიმბირში, ევროპის დიდ ქალაქებში სოციალური ცხოვრება ერთნაირი არ არის, რაკი ერთ კუთხეში ერთნაირი სოციალური ცხოვრებაა თავისი პრინციპებით, წუთისოფლური მორალით, კუთხურ-ტროპული აღათებით, სოციალური ფსიქოლოგიაც ამ კუთხეში ისეთია, რომელიც გამოსახავს იმ სურვილებსა და ტეივილებს, იმ ზრახვებსა და გრძნობებს, რომელთაც აღვილი პენდათ განსაკუთრებულ პირობებში, განსაკუთრებულ მიწაწყალზე. სხვადასხვა ხალსის ლიტერატურა, თეატრი, პატომიტურ-პლასტიკური ნიშნები, მხატვრობა, ქანდაკებანი, რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემები ბოლოს და ბოლოს ეთნოგრაფიული მასალებია; წუთისოფლის ყოველ კუთხეში სოციალურ ურთიერთობას გამოუნახავს სიმბოლოები, ქარაგმები, ნიშნები აღვილობრივი იდეალებისა და სურვილების გამომსახველად; მთელი ცივილიზაცია თავისი ნანგრევებით და უდაბნოებში აწერადებული პირამიდებით, თავისი ბარელიეფებით და ციხე-კოშკებით, დიდი ქალაქების ასანსიონებით, ლაბორატორიებით და ინსტიტუტებით ადამიანისა და მდგომარეობის ორგანოტრონი ურთიერთობის გამომსახველია; სული ყოველ ეპოქაში გადახრილია მდგომარეობის პათოსისაკენ; წარმართულ ეპოქებში ცივილიზაციის ისტორია აღმერთებდა ტანის კულტის და სული ილტოდა ორგანული სახიერებისაკენ, საშუალო საუკუნეებში მეცნიერება ემსახურებოდა თეოლოგიას; ეკრობის ქალაქურ-ვაჭრულმა ეპოქებმა წარმოშვეს იდეა სოციალური ცხოვრებისა:

ხ ი ც შ ე ს ტრაგედიულ შემოქმედებაში გადატყდა ინდივიდუალიზაციაში ხმალი და ადამიანი იგრძნო სოციალური ცხოვრების არეზე არსებობის ახალი სევდა: საშინელ ტკიფილებში გაირღვა უერთდალურ-არის, ტოკრატიული წყობა ცხოვრებისა, დაიცრიცა ინდივიდუალიზმის ფიქოლვია, საცოდავი ნაოჭები ძველი ყოფის ცივილიზაციის ეროვნმულისტორიას ჩამოეკიდა; ადამიანი ტრაგედიულად გადაეშვა სტიქიურ ირაციონალურ როიაში სასოწარევეთილებით და კოშმარებით: ხ ი ც შ ე ს არისტოკრატიულ-ინდივიდუალისტური პოზია, ო ს კ ა რ უ ა ი ღ-დ ი ს იღუზიური სამყარო, მ ე ტ ე რ ლ დ ნ კ ი ს შ ი შ ი დ ა თ რ ი თ ლ ვ ა , ღ ი ს ტ რ ე გ ს კ ი ს დ ა ა ნ დ რ ე ე ვ ი ს კ ო შ მ ა რ უ ლ ი ჩ ე ვ ე ნ ე ბ ა ნ ი , ტ რ ლ ს ტ რ ი ს ე ს თ ე ტ ი კ უ რ -რ ე ლ ი გ ი უ რ ი ნ ი რ ე ა ნ ა კ ა ც ი ბ რ ი თ ბ ი ს ს უ დ ი ე რ ი ტ კ ი ვ ა ლ ე ბ ა ს ს ი ც ი ა ლ უ რ ი კ ი რ ე ბ ი ა ვ ი ა .

ეპოქა ამეტყველებს თავის განცდებს; სოციალურ-ისტორიული წევა ასხივოსნებს იდეებსა და ზრახვებს; შემოქმედება იძლევა უორმულას; არსებობის განსაკუთრებული არე თავისი ცივილიზაციური და კულტურულ-ესთეტიკური ინტერესებით, თავისი ტემპერამენტებით და ნებისყოფათა პერიპეტიებით სახიერდება ტიპებში და მათ თქმაში: ფაუსტი და პამლეტი სახეებია ეერობის სულიერი ტკიფილებისა, რომელთა გამწვავება და სიღრმავე წარმოუდგენელია ეერობის კულტურის სოციალური ეკოლუციის გარეშე, რომელთა ძირითადი თვისებები გადაკავშირებულია ორგანულად სოციალურ-მყარულ პირობებთან; ზოგადი და აბსოლუტური, რაც არის ფაუსტისა და პამლეტის ტემპერამენტებში, კაუზალურად უკავშირდება იმ ეპოქების იდეოლოგიას, რომლიდანაც გენეტიკურად წარმოისახა ევროპელი ინტელიგენტის ტრაგედია და რომელიც ბიოლოგიური ეკოლუციის ათვალებით, წუთისოფულური უსანდევროების მიხედვით, მხოლოდ ერთი უორმულა კუთხური ფსიქოლოგიისა და ორგანოტროპიზმისა, რომლითაც შებოჭილია სამყაროს სული თავისი არსებობის ყოველ მომენტი.

ენდტურა და ცივილიზაცია აერთებენ ადამიანებს და ერებს: ეგოიზმის ჩინური კედელი ირლვევა; სოციალურ საჭიროებათა ურთიერთობაში სხვადასხვა კუთხიდან იკრიბებიან; დიდი ქალაქები იზიდავენ და ითრევენ თავიათ კომერციულ განვაჭში სხვადასხვა რასას და ნაციის; კუთხურ-ტროპულ მყარობათა არეები ფართოვდებიან. სული ერთი კუთხისა მეორე კუთხის სულს ემსგავსება, განცდა იღებს ხასიათს პლანეტარულს და კოსმოს ურს: რკინიება, ტელეფო-

ნა, ტელეგრაფი, რადიო, გაზეთები აეროებენ სხვადასხვა კუთხის სუ-
ლებს, ტემპერატურამცნობებს, გრძელებს, იღეალებს და ზრაბებებს; ეგრა-
ცენტრიზმი გაორებას გრძნობს, სული მძიმდება შორეულის ტრეია-
ლებით, ლანდურ ჩვენებათა ნარევებით: შთაბეჭდილებები შთაბეჭდი-
ლებებს ცვლიან; სიჩქარე, რომლითაც მოძრაობენ დღეს მატარებლე-
ბი, ტელეგრამები, გაზეთები, პაროსტატები, გვაძლევს ყოველ წეტი-
ს უკრებს ისეთი სოციალური ცხოვრებიდან, რომელიც მდებარეობს
რამდენიმე ათასი ეკრისს სიშორებულ; წ რ ე წ ი რ ი მორიალურ-ესთეტი-
კური ხასიათისა, რომელიც წინათ აზრს და შინაარსს აძლევდა ჩეცნს
ყოველდღიურ ყოფას ოჯახსა და საზოგადოებაში, ვაირდეა ფსიქოლო-
გიურად პრაქტიკულ ცხოვრებაში, სოციალურ საჭიროებაში; შორეუ-
ლის კრძნობა, რომელიც წინათ აწუხებდა რომელიმე ბაირონს და
ლეიონტ დე ლილს, დღეს გაბდა ბუნებრივი თვისება თითქმის
ყოველი მოქალაქესა, რომელიც თავის სოციალურ ყოფაში, ვაჟრო-
ბა-შორეტელობაში, ან მეცნიერებაში დაკავშირებულია შორეულ ცხოვ-
რებასთან: კაბიტალისტური წარმოების კონცესიები და ა ი ნ შ ტ ა ი-
ნ ი ს მ თ ე მ ა ტ ი რ უ რ ი რ ე ლ ი ტ ი ვ ი ბ ა ე რ თ ნ ა ი რ ა დ ა რ ლ ე ვ ე ნ ი ნ დ ი ე ლ უ -
ლისტერ ხამყაროს — ვანკერძოებისა და განაპირების ხამყაროს; კა-
ცობრიობა თავის რასულ ნაციური სხვადასხვაოცებებით ერთის კულ-
ტურულ-ცივილიზაციურ დენათა კოსმოსურ როიას და სული თერება
შთაბეჭდილებათა მრავლობაში; დოცურტი ლექციისათვის ემზადება
თავის კაბინეტში და მას უცბად წარმოესახება გონებაში ჩინელი ქალის
პატირა უხი; ინტელიგენტი ზის რესტორნის მაგიდასთან და მის ნევ-
როზით დათენითილ სულს აბორიალებს ვიტრინების ლიკელივი მზის
სხივებზე; ექიმი წამლობს სუსუნატით დაავადმყოფებულ როსკის და
ლამაზი ბარძავების დანახვაზე თვითონ ინთება სექსუალური ენიონ,
ჩატურა მიათრევს კაცობრიობას კოსმიზმისა და ქაოსისაკენ, ციე-
ლიზაციურ დელვათა ქარიშხალში იწვის სული ხალხთა და ეპოქათა:
დაღი პათოსი ხელოვნებისა და აზროვნებისა დიდი ბიოლოგიური ენერ-
გიის ვანიავებას ითხოვს: ლიტერატურისა და ხელოვნების ავგავება
ხალხის ცხოვრებაში მაჩვენებელია კუნთურ-ნერვული დათენთვისა და
დევენერაციისა; მართალია, ხელოვნება ფუნქცია სოციალური ცხოვ-
რებისა, ხელოვნება გრძნობათა სოციალიზაციის ამეტყველებაა, მაგ-
რამ, ამავე დროს, ხელოვნება ყოველთვის მაჩვენებელია ორგა-
ნულ-ბიოლოგიური აღელვებისა და სისუსტისა — პალპიტაციისა და
დევენერაციისა, თუკი ხელოვნებას დირიკორობს ერთი რომელიმე
ქლასი, თუკი ხელოვნებაში გამოისახებიან ჯგუფური სურეილები და

დღეალები, გრძნობები და ზრახვები. ხელოვნების ძირითადი ფორმები — ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, მოქანდაკეობა, ხუროშიმდვრება გამოსახავენ სოციალურ განცდებს, მხოლოდ კაცობრიობის წარსულში სოციალური განცდა ყოველთვის იხეთქებოდა ჯგუფურ განაპირებაში და რამდენადაც ყოველგვარ ჯგუფურ განაპირებაში ყო თავისებური ინტერესი და ფსიქოლოგია, იმდენად ხელოვნება შორდებოდა ფართო სოციალურ არეს და იწყებდა მსვლელობას. ვიტრო კლასობრივი მიმართებით ჯგუფური ფსიქოლოგია, გაბატონებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით, იმორჩილებდა სოციალურ მოქმედებათა ფართობს და ჯგუფურ სურვილებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ასაღებდა სოციალურ სურვილებად. ხელოვნების ბუნებრიობა მასინჯდებოდა: იდეალი შორეულისა და კოსმიზმისა ინდივიდუალუნიმით ხშირად თავის თავს უარყოფდა: მან უ რ ე დ ი, ასული იუნივრაუს მწვერვალზე და გატაცებული არწივის ლამაზი ფრენით, იძულებული გახდა ისევ დაბლა ჩამოსულიყო, რათა დაესვენა რამდენიმე წუთით მონადირის ფაცხაში; მედამ მდელვარე და თავაწყვეტილი ქოთუნიასტი ფაუსტი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში იწყებს პრაქტიკულ მოღვაწეობას; სასოწარკვეთილებაში ჩაბირული სული ბარათა შვილისა, მიმოიდის რა კოსმოსურ არებს, ისევ უბრუნდება წუთისოფლურ ყოფას, ჩბახსა და უთავბოლოს, მაგრამ მაინც ტკბილსა და მიხალებს დროგამოშეებით ინდივიდუალიზმის სოციალური პირობების რღვევას, რომლის შესახებ ჩვენ გვკონდა ლაპარაკი, მოპყა ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგიური სახეცვლილება: „მე გათრებას ვგრძნობო“ — ამბობდა ურ. ნიც შე თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში; ესთეტი და ინდივიდუალისტი უ ა ი ლ დ ი ციხიდან გამოიდა ახალი თეორიებით სოციალური გრძნობისა და სოციალიზმის შესახებ, თითქოს ციხეში ყოფნამ დააჩქარა მეტამორფოზა დიდი სულისა. ფეოდალურ-არისტოკრატიული პრესიზობა შემოქმედებაში თავდება სოციალურ გრძნობათა ემანაციით: ინდივიდუალიზმის ნაჭერში შეკრძინებული ტრაგედია არსებობისა დიდი ქალაქის მანქანების გრავანით და სოციალური თქრიალით კოსმოსურ ძეგრათა სიმფონიებად იშლება.

* * *

რეალობის ესთეტიკური სახე ორი ფაქტორით ისაზღვრება: — ერთი არის ობიექტურ გრძნობათა მოცემულობა, — მეორე ჩვენი დამოკიდებულება ამ მოცემულობასთან, ჩვენი შემეცნების ემოციური

მყარობა, რომელიც ჩვენში ორგანოტროპული ჩვეულების გამომსახული დირექტულებას მიათვისებს მოცემულობას.

მაგრამ ეს ხდება სტატიკურ-რაციონალისტური დაკვირვების დროს. დინამიკურ-ინტიუციურ დაკვირვებაში ობიექტურ-გრძნობადი მოცემულობა და ჩვენი დამოკიდებულება ამ მოცემულობასთან თავისი გრძნობითი ტონით ერთ მთლიან სახეს იღებს. შეცნაურების პროცესში ჩვენ გვაქვს შინაგანი ხილვა და გარეგანი მოცემულობის გაერთიანება: ნოუმენი და ფენომენი ბოლოს და ბოლოს სუბიექტიურისა და ფენომენის სფეროში იყვეთებიან; მე და არამე ორივე მეობის შემოქმედებაა და კანტის ანთროპოლოგიზმს აქლია ანთროპორფუზიზაცია: საგანი დებულობს ობიექტის სახეს მხოლოდ იმ წუთიდან, რა წუთსაც იგი უახლოვდება სუბიექტს. ობიექტი საგნის სუბიექტიურის სტატიკური ფორმაა; დინამიკურად საგნის შეცნაურება ეჯულება ანთროპორფუზიზაციის პროცესს: სუბიექტის წინაშე ობიექტი ჰყარგავს საგნობრიობას, უძრაობას; იმ წუთს, რა წუთსაც საგანს დავარქვით სახელი, საგანი გადაიქცევა თვისებათა ესთეტიკურ ინტეგრალუდ, სახელი კი ნორმალური ოდენობის კოეფიციენტად.

სუბიექტი როდესაც ობიექტს უახლოვდება, ობიექტს ისე ემართება, როგორც ნიეთს, რომელსაც ცეცხლს უკიდებდნენ. რეფლექსი ატორის ირველი საგანს და საგანი აენთება ჩვენს შინაგან ხილვაში, როგორც ნაციი ცეცხლის აღმი; საგნის თვისებათა შეცნობა სახეთა გაინტეგრალუდებაა ჩვენი შინაგანი ხილვის პოტენციალობაში.

როდესაც ვიწყებთ აზროვნებას, ჩვენს მეობას შეაქვს საგანში რეეცია და საგანი იქცევა ჩვენი შემოქმედების ათვალებაში საგნობრიობის დროულ მოღუსაღ: საგნის მყარობა და სოლიდარობა განიწვალება ჩვენს შემოქმედებით შეცნაურებაში. სუბიექტი ქურდულად კი არ შედის თავისი ინტიუციით საგანში, არამედ რევოლუციურ ასპექტში ითვისებს საგნის ობიექტივობას, ინტეგრალობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ორგანოტროპული, სუბიექტური და ილუზიურია იმიტომ, რომ შემეცნების პროცესი ერთგვარი პოემაა და ამ პოემის მთავარი გმირი, ვაჟური ელემენტი მხოლოდ სუბიექტია: სუბიექტსა და ობიექტს შორის ფილოსოფიური დიალოგი რომ გაიმართოს, ობიექტი ეტყოდა სუბიექტს ისე, როგორც ელაპარაკება იძენის ერთ-ერთ ღრამაში შეყვარებული ქალი საყვარელ ვაჟს: — მე ის მინდა, რაც შენ გინდაო. სუბიექტური სკეპსისი აღიარებს შემეცნების „ლოგიკურობის“ შინაგან წინააღმდეგობას: სუბიექტივაცია გვარწმუნებს, რომ

რეალობა სხვაა, მოცემულობა — სულ სხვა, რეალობა მოცემულია ან არის, მოცემულობაში რეალობა არ შედის: მოცემულობა დროული, ჩვენებადი და ქცევადია; მოცემულ საგანთა სამყარო გაღერეა, აწყობილი ორგანოტროპული პერცეფციის ესთეტიზმით.

შეფარდებულებითი პოტენცია ყოვლობისა იძლევა არსებობის საშუალებას და ამ საშუალებაში მიზნად არჩეულია არა ინდივიდუალობა ცხოვრებისა, არამედ ცხოვრება ინდივიდუალობისა. ცხოვრება ინახება თვითორსებობაში და დენის პროცესი არ იკარებს არაფერს გარეულს, რაც არაა შეგუებული მასთან: რაც არის სამყაროში, დებულობს უშუალო მონაწილეობას ყოვლობის პულსაციაში, სიღრმეში; მარტობას ადგილი არა აქვს, ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ვისაც წყურვილის დაქმაყოფილება უნდა, საჭირო არ არის წყალში ჩავარდეს, საკმარისია პეშვით ან ჭურჭლით ამოღოს...

წუთისოფლად ღირებულება იმდენად ღირებულია, რამდენადაც ჩვენს სურვილებსა და ინტერესებს გამოსახავს: ღირებულება თავის თავად არ იცვლება არავითარ პირობებში, იცვლება მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება ღირებულებისადმი: ჰეშმარიტი ღირებულება ყოველთვის სოციალურ-ფენომენურია და ღირებულების საკითხი ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულების საკითხია. ნიც შეს შეცდომა ისაა, რომ ღირებულებას ხედავს ღირებულების ინდივიდუალურ განთვისებაში, მაგრამ რა არის ინდივიდუალური განთვისება, თუ არა ერთვარი ფორმა სოციალობისა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: ურთიერთობიდან გაქცევა ბოლოს და ბოლოს ურთიერთობის უქსპანსიონბაა. ამის იღესტრაციაა ისეარ უაღღდის ტრაგედიული განცდა და მეტამორფოზა.

იდეოლოგია კაცობრიობისა მისი პლანეტური არსებობის სპირიტუალიზაციაა და ყოველი ეპოქა მეტყველებს თავის ტეოგილებს, ასხივოსნებს თავის განცდას საზოგადოებრიობისა და მდგომარეობის კალაპოტში. ხელოვნება, როგორც ნაწილი უნივერსალური სპირიტუალიზაციისა, არის ესთეტიკურ საშუალებათა მეთოდური დათანაწყობება.

გ ი რ ა რ ა გ ი რ ა

წინასტრიკა	3
შალვა წეცუბიძე	
ბიოგრაფია	13
ნაშრომიდან: ალეთეოლოგიური რეალიზმის ზოგადი მონახაზი, „ჰერმიტია-ტება და შემეცნების სტრუქტურა“	16
არეოპაგიტიურის წყაროები	74
დამიტრი უზნაძე	
ბიოგრაფია	91
რა არის შემეცნების ოცნება?	94
ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი.	104
ომის ფილოსოფია.	108
ცხოვრების რაობა	148
ორგანული მსოფლმხედველობა	148
სერგი ლანცელი	
ბიოგრაფია	160
ქსენოფანეს პროპლემა	162
სოფროტეს ფილოსოფია	172
კონსტანტინე კაპანელი	
ბიოგრაფია	257
მშევრიერების იდეა	260
ხელოვნება და სოციალური სული	304

რედაქტორი თამარ გაბეკლაძე
 ტექნიკური რედაქტორი ფრიდონ ბუღალთვილი
 კორექტორი იორე შოლოდინი

ხელშორისლია დასაბეჭდად 29.09.98.

საბჭედი ქაღალდი 60X84!/16, პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 20.

საალტ.-საგამოშიც., თაბაზი 16, 45,

ტირაჟი 300 შეკვეთა 70

ფასი სახელშეკრულები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
 თბილისი, 380028, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
 თბილისი, 380028, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

F 75-479
3